freediscussions.wordpress.com
by Gtrup

მარტინ იდენი

თავი პირველი

კარი ამერიკული გასაღებით გააღო და შევიდა, ყმაწვილი კაცი შეჰყვა, რომელმაც სახლში შესვლისას უხერხულად მოიხადა ქუდი. ხეშეში ტანსაცმელი ეცვა ამ ყმაწვილს, ზღვის სუნი ასდიოდა, ერთბაშად ამოდენა დარბაზში რომ აღმოჩნდა, დაიბნა, აღარ იცოდა, სად წასულიყო, ვეღარც ქუდისთვის მოეხერხებინა რამე; ის იყო, ჯიბისკენ წაიღო, რომ იმ მეორემ გამოართვა. ისე წყნარად და ბუნებრივად მოხდა ეს, რომ ყმაწვილმა ხელად გაუგო: «მიმიხვდა, — გაიფიქრა მან, — არ გამწირავს».

ფეხები უნებურად გაეჩაჩხა ჭაბუკს, რწევით მისდევდა თანამგზავრს, თითქოს იატაკი ზღვის ზვირთებივით ადი-ჩადისო. ეს გაჭიმული ოთახები მეტისმეტად ვიწრო ჩანდა მისი აცაბაცა სიარულისათვის, სულ იმის შიშში იყო, კარს არ წამოსდებოდა ფართო მხარ-ბეჭით ან დაბალი ბუხრიდან ძვირფასი ნივთები არ წამოეხვეტა. დაფეთებული აქეთ-იქით ეხეთქებოდა და ამით კიდევ უფრო ზრდიდა საშიშროებას, რაც ფაქტობრივად მხოლოდ მის თავში არსებობდა. როიალსა და წიგნებით დახვავებულ მაგიდას შორის ექვსი კაცი თავისუფლად გაეტეოდა, ამან კი შიშის კანკალით გაიარა. მსხვილი მკლავები მოწყვეტილივით ჩამოჰკიდებოდა, ვეღარც ის მოეფიქრებინა, მკლავებისა და ხელებისათვის რა ექნა, და როცა მოეჩვენა, ცალი მკლავი მაგიდაზე დახვავებულ წიგნებს წამოვდეო, დაფეთებული ცხენივით შეხტა, კინაღამ როიალის სკამი წამოაყირავა. წინ გაიხედა და ერთბაშად შენიშნა, რა თავისუფლად მოძრაობდა თანამგზავრი, ახლაღა მიხვდა, რომ თვითონ სულ განსხვავებულად დადიოდა, ყველასაგან განსხვავებულად. წამიერად სირცხვილით წამოენთო, შუბლზე სიმწრის ოფლი დაასხა, შედგა და ცხვირსახოცით მოიწმინდა სახე.

— ჰეი, ართურ, მოიხედე, ბიჭო, — ხუმრობით სცადა მღელვარების დაფარვა, _ მეტისმეტი მომივა ასე ერთბაშად. დამაცა, გონს მოვეგო. აკი გეუბნებოდი, არ წამოვალ-მეთქი, მგონი არც თქვენებს მისდით სული ჩემს სანახავად.

— კარგი, თუ ღმერთი გწამს! — დაამშვიდა თანამგზავრმა, — ჩვენი შიში ნუ გექნება. უბრალო ხალხი ვართ... ოჰო, წერილი მომსვლია.

მაგიდასთან მიბრუნდა, კონვერტი გახსნა და წერილის კითხვა დაიწყო, დამშვიდების დრო მისცა სტუმარს. ისიც მაშინვე მიუხვდა და მადლობელი დარჩა. მიხვედრილი კაცი იყო, გულისხმიერი, და, გარეგნული მღელვარების მიუხედავად, ეს ნიჭი ახლაც გამოამჟღავნა. შუბლი მოიწმინდა და თავშეკავებულად მიიხედ-მოიხედა, თუმცა თვალებში კვლავ ხაფანგით დაფეთებული ნადირის შიში ედგა. უცხო გარემოში მოხვდა, ეშინოდა, რა მომელისო, რა ექნა არ იცოდა, გრძნობდა, რომ მოუხეშავად დააბოტებდა, და იმისი შიშიც არ ასვენებდა, ვაითუ მარტო სიარულში კი არა, ყველაფერში მეტყობოდეს ეს მოუხეშაობაო. მეტისმეტად გამახვილებული ჰქონდა მგრძნობიარობა, ზედმეტი დაეჭვებით წონიდა ყოველ მოქმედებას, და ახლა წერილს ზემოდან მალულად გამოცურებული ცბიერი მზერა რომ დაიჭირა, გული

ხანჯალივით გაუსერა. შენიშნა კი ეს გამოხედვა, მაგრამ არ შეიმჩნია, რადგან იმ საგანთა შორის, რისი შესწავლაც მას უკვე მოესწრო, ერთ-ერთი დისციპლინაც იყო. სიამაყეც დაუკოდა ამ ხანჯალმა. თავბედი დაიწყევლა, აქ რამ მომიყვანაო. მაგრამ თან ისიც მტკიცედ გადაწყვიტა _ რაკიღა მოვედი, მოხდეს, რაც მოსახდენია, ყველაფერი უნდა ავიტანოო. სახე მოეღუშა და თვალებიც მრისხანებით აენთო. ახლა უფრო გულგრილად მიიხედ-მოიხედა, კარგად დააკვირდა და გონებაში ჩაიბეჭდა ყველა წვრილმანი, რასაც ამ ლამაზ გარემოში ხედავდა. არაფერი გამოჰპარვია მის ფართოდ გახელილ თვალებს; და რასაც მეტს იწოვდა ამ სილამაზეს, მრისხანების ნაპერწკალი თანდათან ჩაუქრა და მისი ადგილი თბილმა ელვარებამ დაიჭირა. სილამაზის მიმართ მუდამ მგრძნობიარე იყო და აქ კი ამისი საფუძველი უხვად მიეცა.

მისი ყურადღება ზეთის საღებავებით დახატულმა სურათმა მიიპყრო. მძიმე ტალღები გამეტებით ეხეთქებოდა და ემსხვრეოდა გამოშვერილ კლდეს; ქარიშხლის მომასწავებელი ღრუბლები დაბლა ჩამოწეულიყო და მთელი ცა დაეფარა; აზვირთებულ ტალღებზე ატყორცნილი პატარა კარჭაპი თითქოს ჩამავალი მზის სხივებით შეფერადებულ საავდროდ გამზადებულ ცისკენ მიიწევსო; ისე წამოფერდებულიყო, რომ ბანი ხელისგულივით ჩანდა. ეს იყო ნამდვილი სილამაზე და მიტომაც გაიტაცა ჭაბუკი. გადაავიწყდა, რომ ულაზათოდ დააბოტებდა, ახლოს მივიდა სურათთან, სულ ახლოს. სილამაზე ერთბაშად გაქრა. გაოგნებული ჭაბუკი დაუდევრად ათხუპნილ ტილოს დააშტერდა, მერე უკან დაიწია. მთელი სილამაზე ხელადვე აღსდგა ტილოზე. «სახუმარო სურათი ყოფილა», გაიფიქრა მან და გამობრუნდა, თუმცა ამდენი შთაბეჭდილების მიუხედავად გული მაინც ეტკინა, ასეთი დიდი სილამაზე უბრალო ხუმრობისთვის როგორ გასწირესო. მხატვრობისა არაფერი გაეგებოდა. ლითოგრაფიული ნახატებისთვის ჰქონდა თვალი შეჩვეული, რომლებიც, შორიდანაც და ახლოდანაც, ერთნაირი მკაფიობით ჩანს. ზეთის საღებავებით დახატული სურათებიც ენახა მაღაზიის ვიტრინებში, მაგრამ მინა უშლიდა ხელს მის ხარბ თვალებს, რომ უფრო ახლო დაეთვალიერებინა.

მეგობარს გახედა, რომელიც კვლავ წერილს ჩაშტერებოდა, და უნებურად წიგნები შენიშნა მაგიდაზე. თვალები ერთბაშად აენთო და გაუბრწყინდა, დიდი ხნის დამშეულ ადამიანს რომ მოუვა ხოლმე საჭმლის დანახვაზე. ერთბაშად მოსწყდა ადგილს და მაგიდასთან გაჩნდა, გატაცებით დაუწყო წიგნებს სინჯვა. ჯერ სახელწოდებებსა და ავტორის გვარს წაიკითხავდა, მერე გადაშლიდა და ტექსტს ჩახედავდა, ხელებით და თვალებით ეალერსებოდა, ერთი წიგნი იცნო კიდეც, ადრე წაეკითხა. დანარჩენები უცნობი გამოდგა, არც წიგნი ენახა, არც ავტორის გვარი გაეგონა. სუინბერნის ლექსები მოხვდა ხელში და გატაცებით დაიწყო კითხვა, სახე წამოენთო, აღარც კი ახსოვდა, სად იმყოფებოდა. ორჯერ დაკეცა წიგნი, გადაშლილ გვერდზე სალოკი თითი მიაყოლა და ავტორის გვარს დახედა. სუინბერნი! აღარ დაავიწყდება ეს გვარი! მახვილი თვალი ჰქონია ამ სუინბერნს, კარგად შეუნიშნავს ფერებიცა და გამოსახულებანიც. მაგრამ ვინ არის, ნეტავ? ეგეც ასი წლის წინათ მოკვდა, სხვა პოეტების მსგავსად, თუ ახლაც ცოცხალია და ისევ წერს? სატიტულო ფურცლის მეორე გვერდს დახედა. ჰო, სხვა წიგნებიც ჰქონია. ხვალ დილითვე, როგორც კი გათენდება, საჯარო ბიბლიოთეკაში წავა და მოიკითხავს, იქნებ იქ იშოვოს სუინბერნის რომელიმე წიგნი. ისევ გადაშალა და კითხვა განაგრძო, მთელი არსებით შთაინთქა. არც კი შეუნიშნავს, როგორ შემოვიდა ოთახში ახალგაზრდა ქალი. ართურის ხმამღა გამოაფხიზლა.

— აი, მისტერ იდენიც, რუთ!

წიგნი ხელადვე დახურა, მაგრამ მობრუნებაც ვერ მოასწრო ჭაბუკმა, რომ კვლავ ახალი შთაბეჭდილების ჟრუანტელმა დაუარა. ქალის შემოსვლას კი არ აღუძრავს ეს შთაბეჭდილება. მისი ძმის სიტყვებმა გამოიწვია. მეტისმეტად გაფაქიზებულ მგრძნობიარობას დაესადგურებინა ამ კუნთებით დაძარღვულ სხეულში. ოდნავი გაღიზიანება კმაროდა, რომ მისი გრძნობები და ფიქრები მოცახცახე სანთელივით ანთებულიყო. საოცრად გაფაქიზებული ჰქონდა აღქმისა და განცდის უნარი. მისი მგზნებარე წარმოსახვა განუწყვეტლად მუშაობდა, რათა კავშირი დაემყარებინა საგნებსა და მოვლენებს შორის, მათი მსგავსება თუ განსხვავება გაერკვია. «მისტერ იდენის» გაგონებამ ერთბაშად შეაკრთო. აქამდე, მთელი თავისი დღე და მოსწრება, მხოლოდ «იდენს» ეძახდნენ, ან «მარტინ იდენს», ან უბრალოდ «მარტინს». ახლა კი ერთბაშად «მისტერი!» «რაღაცას უნდა მოასწავებდეს ეს», თავისებურად ახსნა მან. გონება უცებ თითქოს უშველებელ ფოტოკამერად ექცა, და დაუსრულებელ კადრებად გადაუშალა განვლილი ცხოვრების ნაცნობი სურათები — საცეცხლფარეშოები, ტრიუმები, ნავმისადგომები, მეჩეჩები, საპატიმროები და სამიკიტნოები, საავადმყოფოები და ღატაკთა ქოხმახები. ეს იყო მოგონებათა ასოციაციების ძაფი, ერთბაშად გაიხსენა, როგორ მიმართავდა მას სულ სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა დროს.

უცებ მობრუნდა და ახალგაზრდა ქალი დაინახა. ჭაბუკის წარმოსახვაში არეული სურათები ხელადვე გაქრა. ფერმიხდილი, ჰაეროვანი ქმნილება იყო ეს ქალი. დიდი, ზეშთაგონებული ლურჯი თვალები და ხშირი, ოქროსფერი თმა ჰქონდა. რა ეცვა, ეს არ დაუნახავს ჭაბუკს, მაგრამ ტანსაცმელიც რომ ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც თვითონ ქალი, ეს მაშინვე შენიშნა. წვრილ ღეროზე გაშლილი ოქროსფერი ყვავილი მოაგონა. არა, ეს უფრო ცითმოვლენილი სული იყო, ღვთაება, ღმერთქალი. ასეთი ამაღლებული სილამაზე მიწიერი ვერ იქნება. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება მართალიც ეწერა წიგნებში, მაღალ საზოგადოებაში იქნებ მართლაც ბევრი იყოს ასეთი ქალი. აი ამისთვის უნდა ემღერა სუინბერნს. ალბათ ის გოგოც ასეთი ჰყავდა წარმოდგენილი, ის იზოლდა, აგერ ამ წიგნში რომ დაუხატავს. ამ ფიქრებმა, განცდებმა და სურათებმა თვალის დახამხამებაში გაუელვეს, ერთმანეთის მონაცვლეობით. სხვა არავის შეუმჩნევია ეს, ყველაფერი თავისთავად ხდებოდა. ჭაბუკმა დაინახა, როგორ გამოუწოდა ქალმა ხელი, რა ვაჟკაცური გულგახსნილობით ჩამოართვა და როგორ გაუსწორა ამ დროს თვალი. სხვა ქალები, ვინც კი ადრე სცნობია, ასე არ ართმევენ ხელს. ის კი არადა, მათმა უმრავლესობამ სულაც არ იცის ხელის ჩამორთმევა. და კვლავ ერთმანეთს გადაება ათასნაირი სურათები და ასოციაციები: ვის სად შეხვედრია იმ ქალთაგან, ვინა სცნობია... ნიაღვარივით მოასკდა ეს მოგონებები და ლამის წალეკვით დაემუქრა. მაგრამ ხელადვე მოიშორა და ქალს შეხედა. თავის დღეში არ ენახა ასეთი ქალი. ის ქალები, ვინც ადრე სცნობია!.. ხელადვე გვერდში გაუმწკრივდნენ ამ ქალს ისინი, აქეთ-იქით ამოუდგნენ. ერთი წამის განმავლობაში, რაც მას მარადისობად მოეჩვენა, სურათების გალერეაში წარმოუდგა თავი, საცა ეს ქალი გამორჩეულ ადგილას იდგა. შუაში, ირგვლივ კი ქალთა მთელი კრებული შემოხვეოდა. ჭაბუკი სათითაოდ შეავლებდა ხოლმე თვალს, ამ ქალთან შეფარდებით წონიდა და ზომავდა ყოველ მათგანს. შეჰყურებდა ფაბრიკებში მომუშავე ქალების გამხდარ-გაცრეცილ სახეებს, სამხრეთ ბაზრის ჭიჭყინა, ღმეჭია გოგოებს; აქვე იყვნენ რანჩოების დედაკაცები და მექსიკელი შავტუხა გოგონები, რომელთაც ეროთთავად პაპიროსი ჰქონდათ პირში გაჩრილი; ესენი, თავის მხრივ, ხის ქოშებზე აკინკილებულმა, ტიკინებივით გამოწკეპილმა იაპონელმა ქალებმა შეცვალეს; მათ მოჰყვა ნაკვთებჩამოქნილი ევრაზიელი ქალები, რომელთაც სახეზე გადაგვარების

ნიშანი აღბეჭდოდათ; სამხრეთ ზღვის კუნძულების ჩასუქებული, ყვავილების გვირგვინებით თავშემკული, მზეზე გარუჯული დედაკაცები... და უცებ ახალმა ნიაღვარმა წალეკა ესენი, წამოვიდა საშინელი, ძრწოლისმომგვრელი ბრბო, ჯინით გაბერილი, ჩამობრანძულ-ჩამოგლეჯილი ქაჯები, უაიტჩეპელის ქუჩებისა და საროსკიპოების ბინადარნი, ჯოჯოხეთის მაშხალები, ქალის მოდგმას დამსგავსებული, მეზღვაურებზე გამწარებით მონადირე ყიამყრალი და ბილწი მაწანწალები, ნავსადგურების ნაძირალები, ადამიანური მოდგმის ქაფი და ნალექი.

— დაბრძანდით, მისტერ იდენ. — მიმართა ქალმა, — რაც ართურმა თქვენი გმირობის ამბავი გვითხრა, ერთი სული მქონდა, მანამ გაგიცნობდით. რა მამაცობა გამოიჩინეთ...

ჭაბუკმა ხელი გაიქნია და შეაჩერა, ეს რა მამაცობა იყოო, წაიდუდუნა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ყველა ასე მოიქცეოდაო. ქალმა ჭაბუკის ზეაწეულ ხელზე, რამდენიმე ადგილას, ჯერ კიდევ მოუშუშებელი ნაჭრილობევი შენიშნა. მეორე ხელზე დახედა — იმაზედაც ასეთივე ნაჭდევები! მერე კისრისკენ გაექცა ცნობისმოყვარე თვალი და იქაც დაუნახა ნაიარევი. მეორე ნაიარევი თმიდან გამოდიოდა და შუბლზეც აჩნდა, მესამე — გახამებულ საყელოში იკარგებოდა. მზით გარუჯული კისერი საყელოს გაეხეხა და წითელი ზოლი დაეჩნია, ეტყობოდა, დაჩვეული არ იყო გახამებულ საყელოს. ქალმა ღიმილი ძლივს შეიკავა. მის ქალურ თვალს არც ჭაბუკის მდარე და ულაზათოდ შეკერილი ტანსაცმელი გამოჰპარვია; ბეჭებზე ერთიანად დანაოჭებოდა კოსტიუმი და ასეთივე ნაოჭები აჯდა სახელოებსაც, რომელიც მკლავის კუნთებს გამოებურცა.

თან წაიდუდუნა, ეს რა მამაცობა იყოო, და თან ქალის მიპატიჟებაზე სკამისკენ გადადგა ნაბიჯი. აღფრთოვანებით შენიშნა, რა მოხდენილი უბრალოებით დაეშვა ქალი სკამზე, და კიდევ უფრო აირია, რადგან წარმოიდგინა, თვითონ რა უშნოდ დააბოტებდა. ეს იყო სავსებით უცნობი განცდა. თავის დღეში არ დაფიქრებულა, უშნოდ დავდივარ თუ შნოიანადო. აქამდე ერთხელაც არ მოსვლია ამნაირი ფიქრი. ფრთხილად ჩამოჯდა სკამის ძგიდეზე. ახლა ხელები აწუხებდა, აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა. საითაც არ გასწია, ყველგან უშნოდ ეჩხირებოდა თვალში. ამასობაში ართურიც გავიდა ოთახიდან და მარტინ იდენს გული ჩაწყდა, ნაღვლიანი თვალი გააყოლა. სულ უთვისტომოდ იგრძნო თავი ოთახში, ამ მიბნედილ გოგონასთან მარტოდ დარჩენილმა. ვერც დახლს ხედავდა, რომ სასმელი მოეთხოვა, არც პატარა ბიჭი ჩანდა სადმე, რომ ლუდისთვის გაეგზავნა და ამით მაინც მოეხერხებინა მეგობრული საუბრის გაბმა.

— კისერზე ნაიარევი გაჩნიათ, მისტერ იდენ, — დაიწყო ქალმა, — ეტყობა, რაიმე ფათერაკს გადაეყარეთ!

— ერთმა მექსიკელმა დანა დამკრა, ქალბატონო, — მიუგო ჭაბუკმა, გამშრალი ტუჩები ენით დაისველა და ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, — მაგარი ჩხუბი იყო, დანა რომ წავართვი, ცხვირის მოჭმა დამიპირა.

უბრალოდ თქვა ეს, მშრალად და შეუფერადებლად, მაგრამ თვალწინ გაუცოცხლდა იმ შეხუთული, ვარსკვლავიანი ღამის სურათი, სალინა კრუცში: თეთრად გაჭიმული სანაპირო ზოლი, ნავსადგურში ჩამომდგარი, გაჩახჩახებული შაქრის გემები, მთვრალი მეზღვაურების შორეული ღრიანცელი, მტვირთავების რიარია, მექსიკელის ბრაზით ანთებული სახე, მისი თვალების მხეცური ბრიალი ვარსკვლავების მკრთალ შუქზე, კისერში ლითონის ჩხვლეტა, სისხლის თქრიალი, ხალხის ალიაქოთი და ყვირილი, ქვიშაში მოფართხალე ორი, ერთმანეთზე გადაჭდობილი სხეული — მექსიკელისა და მისი, — და შორიდან მოსული ტკბილი

ხმა გიტარისა... ასეთი იყო ეს სურათი, მოგონებაზეც კი შეაჟრჟოლა. ნეტა ის კაცი თუ მოახერხებდა ამის დახატვას, ეგერ კარჭაპი რომ დაუხატავსო, გაიფიქრა. მართლაც რომ კარგი გამოვიდოდა, _ სანაპიროს თეთრი ზოლი, ვარსკვლავები, გაჩახჩახებული შაქრის გემები, შუაში კი ჩამუქებული ბრბო, რომელიც მოჩხუბრებს შემოხვევია. დანაც უნდა გამოჩნდესო, გადაწყვიტა, ვარსკვლავების შუქზე კარგად გამოვა დანის ლაპლაპი. ეს ისე გაიფიქრა, — თქმით არაფერი უთქვამს.

— ცხვირის მოჭმა დამიპირა, — გაიმეორა მან.

— ო! — ნაზად შეჰკივლა ქალმა, და ჭაბუკმა მის მეტყველ სახეზე შეძრწუნება შენიშნა.

თვითონაც შეცბა ერთბაშად და მზით გარუჯულ ღაწვებზე ოდნავი სიწითლე მოერია, თუმცა ისე აეწვა სახე, თითქოს საქვაბე ოთახში მდგარიყოს, ღია ღუმელთან. ეტყობოდა, დანების ტრიალსა და საერთოდ ასეთ უხამს ამბებზე საუბარი მაღალი საზოგადოების ქალბატონებთან არ გამოდგებოდა. აკი წიგნებშიც ამისთანა ქალები ასეთ რამეებზე არ ლაპარაკობდნენ, ალბათ არც კი გაუგონიათ, ამგვარი რამ თუ ხდება.

ძლივს წამოწყებული საუბარი ცოტა ხნით ისევ გაწყდა. და კვლავ ქალმა სცადა განახლება. ახლა მეორე ნაიარევზე ჰკითხა, ღაწვზე რომ აჩნდა. ჭაბუკი მაშინვე მიუხვდა — ცდილობს ჩემს ენაზე მელაპარაკოსო. და გადაწყვიტა, ამას რომ უპასუხებდა, მერე სწორედ ქალის ენაზე გადაეტანა საუბარი.

— შემთხვევით მომიხდა, — მიუგო ჭაბუკმა და ხელი ღაწვზე ჩამოისვა, — ერთ ღამეს. მაგარ ღელვაში გროტი მოწყდა და გემის მთელი აღკაზმულობაც მოწყვიტა, მავთულის ბაგირი გველივით სხმარტალებდა, აქეთ-იქით ეტლაშუნებოდა. ძალიან დაქიჩმაჩდნენ მეზღვაურები, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, ვერ მოავლეს ხელი. მე პირდაპირ მივვარდი და ჩავაფრინდი, მაგრამ ბაგირმა ბოლო მოიქნია და შიგ სახეში მთხლიშა.

— ო! — შეჰკივლა ქალმა, ამჯერად ერთგვარი თანაგრძნობით, თუმცა ჭაბუკის სიტყვებს ვერაფერი გაუგო, პირველად ესმოდა «გროტიცა» და «თხლიშაც».

— ეს სვაინბერნი... — სცადა ჭაბუკმა საუბრის თემის შეცვლა, მაგრამ პოეტის გვარი დაამახინჯა.

— ვინა?

— სვაინბერნი, — კვლავ შეცდომით გაიმეორა ჭაბუკმა, — პოეტი.

— სუინბერნი, — გაუსწორა ქალმა.

— ჰო, ისა, — ბორძიკით წარმოთქვა ჭაბუკმა და სახეზე კვლავ წამოენთო, — დიდი ხანია მოკვდა?

— არ ვიცი, — მიუგო ქალმა და გაკვირვებით მიაშტერდა, — მოკვდა განა? არც კი გამიგია. თქვენ სად გაიცანით?

— თვალითაც არ მინახავს, — იყო პასუხი, — მანამ თქვენ შემოხვიდოდით, რამდენიმე ლექსი წავიკითხე, ეგერ მაგიდაზე რომ წიგნია. ეს არის და ეს. მოგწონთ მისი ლექსები?

ქალი ცოცხლად და თავისუფლად ლაპარაკობდა იმ თემაზე, რაც თვითონ ჭაბუკმა შეარჩია. ამიტომ უფრო მეტი თავისუფლება იგრძნო ჭაბუკმა, ხალვათად გასწორდა, უკან გადააწვა სავარძელს, ოღონდ სახელურებზე მაინც მაგრად ჰქონდა ხელი ჩაფრენილი, თითქოს ეშინია, არ გამომეცალოს და ძირს არ დავენარცხოო. მოახერხა, ქალი საკუთარ ენაზე აემეტყველებინა, და მანამ იგი სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ჭაბუკი დაძაბული უსმენდა, მაგრამ ბევრი უცნობი სიტყვა, რაც ასე თავისუფლად წყდებოდა ქალის ბაგეს, მას არ ესმოდა, ცალკეული შენიშვნები და ნააზრევიც

სავსებით უცხო იყო, მაგრამ მაინც აიძულებდა ჭაბუკს, ყურადღება დაეძაბა და უფრო ჩაჰკვირვებოდა. აი, გონებრივი ცხოვრება, გაიფიქრა მან, აი ნამდვილი სილამაზე — სანუკვარი და საარაკო, რაც მას სიზმარშიაც არ მოლანდებია. საკუთარი თავიც გადაავიწყდა, ხარბი თვალებით მისჩერებოდა ქალს. აი, რისთვის ღირს სიცოცხლე, შრომა, ბრძოლა და... სიკვდილიც კი. წიგნები არა ტყუიან. მართლა ყოფილან ასეთი ქალები. აჰა, ერთი მათგანი, ქალმა ფრთები შეასხა მის ოცნებას, დიდი, განათებული ეკრანი გადაუშალა წინ, რომელზედაც სიყვარულის, სილამაზისა და გმირული საქმეების გამომხატველი ვეება გამოსახულებანი მოძრაობდნენ — და ყველაფერი ეს ფერმიხდილი ქალის, ოქროს პატარა ყვავილის გულისთვის ხდებოდა. ამ მოცახცახე სილუეტებსა და ზღაპრულ მირაჟს იქით კი იგი შეჰყურებდა ხორცშესხმულ ქმნილებას, ნამდვილ ქალს, რომელიც იქვე იჯდა და ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ლაპარაკობდა. გულისყურით უსმენდა და ხარბად მისჩერებოდა, ანგარიშსაც არ უწევდა იმას, რომ თვალები მამაკაცური გზნებით ანთებოდა. ქალს საამისო გამოცდილება არა ჰქონია, მაგრამ ქალური გუმანით იგრძნო ჭაბუკის მგზნებარე გამოხედვა. აქამდე ერთხელაც არ შეეხედა მამაკაცს ასე მისთვის, და დაიბნა, ენა აერია, გაჩუმდა, მსჯელობის ძაფი აებურდა. ამ კაცმა ერთბაშად შეაშინა და თან, ასეთი ხარბი ცქერით, ჯერ არგანცდილი სიამოვნებაც მოჰგვარა. აღზრდით გამომუშავებული სიფრთხილე ქალს უკარნახებდა, მორიდებოდა იმ იდუმალ, შემპარავსა და საშიშ ცთუნებას, მაგრამ ინსტინქტი მთელი ხმით რეკდა მის არსებაში, აქეზებდა, ყოველგვარი ზღუდე გადაელახა, და უცხო სამყაროდან მოვლენილ, ჭრილობებით ხელებდასერილ, გახამებულ საყელოს შეუჩვევლობით კისერგახეხილ, მოუხეშავ ჭაბუკს შეჰგებებოდა, რომელსაც ზედვე აჩნდა ტლანქი და გაუხარებელი ცხოვრების მთელი მანკი და ბიწიერება. ქალი ფაქიზი იყო და ახლა ეს სიფაქიზე მასვე ამხედრებდა. მაგრამ იგი ამავე დროს ქალი იყო, და ქალის პარადოქსული ბუნების შეცნობა სწორედ ახლახან დაეწყო.

— ერთი სიტყვით... რაო, რას ვამბობდი? — ერთბაშად გაუწყდა სათქმელი და თავის დაბნეულობაზე თვითონვე მხიარულად გაეცინა.

— თქვენ ამბობდით, ეს სუინბერნი იმიტომ ვერ გახდა დიდი პოეტი, რომ... და აქ შეჩერდით, ქალბატონო, — ესა თქვა და უცებ თითქოს შიმშილმა წამოუარა, ქალის სიცილზე ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. ვერცხლივით წკრიალებს, ვერცხლის ზარივით, გაიფიქრა მან. და ერთბაშად, სულ ერთის წამით, იგი შორეულ ქვეყანაში გადავიდა: იჯდა იქ ვარდისფრად შეფეთქილ ალუბლის ძირში, პაპიროსს აბოლებდა და ინდურ წოწოლა ეკლესიიდან ზარის ხმას ისმენდა, რაც ჩალისსანდლებიან მლოცველებს სალოცავად უხმობდა.

— ჰო... გმადლობთ, — მიუგო ქალმა, _ სუინბერნი დიდი პოეტი ვერ გახდა, მართალი თუ გინდათ, იმიტომ, რომ... ტლანქია. რამდენი ლექსი აქვს ისეთი, წაკითხვაც არ შეიძლება. ნამდვილი პოეტის ყოველი სტრიქონი მომხიბლავი სიმართლით არის გამსჭვალული, და რაც კი ადამიანს ამაღლებული და კეთილშობილური მოეპოვება, იმას ეხმაურება ხოლმე. ერთ სტრიქონსაც ვერ ამოიღებ დიდი პოეტის შემოქმედებიდან, ეს იქნებოდა უდიდესი დანაკლისი მთელი მსოფლიოსათვის.

— მე კი ძალიან კარგი მომეჩვენა, _ გაუბედავად თქვა ჭაბუკმა, — თუმცა სულ ერთი-ორი ლექსი წავიკითხე. ვერც წარმომედგინა, ასეთი... ასეთი საშინელი თუ იყო. ალბათ სხვა წიგნები აქვს ასეთი.

— მაგ წიგნიდანაც, თქვენ რომ კითხულობდით, რამდენსაც გინდათ ამოიღებთ და მაინც არაფერი დააკლდება, — მტკიცედ და გადაჭრით განაცხადა ქალმა.

— ეტყობა, მე არ შემხვდა ის ლექსები, — უპასუხა ჭაბუკმა, — რაც მე წავიკითხე, დიდებული იყო. ნათელი და ბრწყინვალე, გული გამინათა და გამიხალისა, თითქოს მზე ყოფილიყოს ან შუქურა. მე კი ასე მომეჩვენა და... ეტყობა, ლექსებისა ბევრი არაფერი გამეგება, ქალბატონო.

მორცხვად შეჩერდა. იგრძნო, რომ არეულად ბლუყუნებდა და საშინლად შეწუხდა. რაც ახლა მან წაიკითხა, იმაში ცხოვრების მთელი ელვარება და სიდიადე გამოსჭვიოდა, მაგრამ სიტყვები არ ეყო ამ აზრის გამოსახატავად. რასაც გრძნობდა, იმისი გამოთქმა არ შეეძლო, უცხო გემზე მოხვედრილ მეზღვაურს ვგავარო, ფიქრობდა, სიბნელეში აქეთ-იქით ვაწყდები და დავბორიალებო. ასე იყოს, გადაწყვიტა მან, მით უფრო საჭიროა ახალ სამყაროს გავეცნო! ერთხელაც არ მომხდარა, გულში რამე ამოეჭრას და არ შეესრულებინოს. ახლა კი დრო დადგა, ისე შეესწავლა თავისი ფიქრებისა და განცდების გადმოცემა, რომ აგერ ამ ქალიშვილისთვის გაეგებინებინა. მთელი ჰორიზონტი დაუჩრდილა ამ ქალმა.

— აგერ, თუნდაც ლონგფელო... — დაიწყო ქალმა.

— დიახ, წამიკითხავს, — სწრაფად შეაწყვეტინა ჭაბუკმა, ხელსაყრელი შემთხვევა არ გაუშვა, რომ თავისი მცირე ლიტერატურული ცოდნა გამოეჩინა, გულით უნდოდა, ქალს მთლად ბრიყვად და უვიცად არ ჩვენებოდა. — «სიცოცხლის საგალობელი», «ექსცელსიორი» და... მგონი, მეტი აღარაფერი...

ქალმა თავი დაუქნია და გაიღიმა. ჭაბუკს მოეჩვენა, რომ ეს თანაგრძნობის ღიმილი იყო, თანაგრძნობის საცოდავი ღიმილი. სისულელე მოუვიდა. რომ ამით მოინდომა თავის გამოჩენა. იმ ლონგფელოს ალბათ ქვეყნის წიგნები და ლექსები ექნება.

— მაპატიეთ, ქალბატონო, რომ ასეთ რამეებზე დავიწყე თქვენთან ლაპარაკი. განა არ ვიცი, რომ ამეებისა არაფერი გამეგება. ჩემნაირი ხალხის საქმე არც არის ეს. მაგრამ მივაღწევ კი, რომ ჩემი საქმე გახდეს.

ეს სიტყვები მუქარასავით გაისმა. ხმას სიმტკიცე მიეცა, თვალები წამოენთო, სახის ნაკვთები უფრო გამოეკვეთა. ქალს ისიც კი მოეჩვენა, ყბა წინ გამოეწიაო. გამომეტყველება რაღაცნაირად უსიამოვნო და გამომწვევი გაუხდა. ამასთან, ვაჟკაცური ძალა და სიმტკიცე თითქოს ტალღასავით დაიძრა ჭაბუკის სხეულიდან და ქალი შიგ გაახვია.

— ვგრძნობ, რომ მიაღწევთ... თქვენც მიაღწევთ ამას, — გაეცინა ქალს, — თქვენ ისეთი ძლიერი ხართ!

მისი მზერა წამიერად ჭაბუკის მზით დამწვარ, მსხვილ, მოზვერივით დაძარღვულ კისერზე შეჩერდა, რომელიც თითქოს ჯანსა და ღონეს აფრქვევდა. და მიუხედავად იმისა, რომ ასე დაბნეული და დარცხვენილი იჯდა, ქალს კიდევ ერთხელ გაუწია გულმა მისკენ. თავში ისეთმა ახირებულმა აზრმა გაჰკრა, რომ თვითონვე გაუკვირდა: ახლა, ამ კისერს რომ ხელები შემოვაჭდო, მთელი მისი ძალა და ენერგია ჩემს სხეულში გადმოიღვრებაო. ერთბაშად შეაკრთო ამ ფიქრმა. თითქოს აქამდე უცნობი ბიწიერება აღმოეჩინოს თავის არსებაში. თანაც, ფიზიკური ძალა მას მუდამ უხეშ და მხეცურ რამედ მიაჩნდა. მამაკაცის სილამაზის იდეალად მოხდენილი მიხრა-მოხრა წარმოედგინა. მაგრამ ეს ფიქრი მაინც არ შორდებოდა თავიდან. გაოგნებულიყო — ამ მზით გარუჯულ კისერზე ხელის მოხვევა რამ მაფიქრებინაო. საქმე ის იყო, რომ, თვითონ სუსტსა და უღონოს, ძალა და ღონე იზიდავდა, ის, რაც მის სხეულს აკლდა. მაგრამ ეს ვერ შეეგნო. იმასღა გრძნობდა, რომ ჯერ არც ერთ მამაკაცს ასეთი ძალით არ ემოქმედა მასზე, როგორც აგერ ამ ჭაბუკს, რომლის ტლანქი მეტყველება ყურში ეკალივით ესობოდა.

— მადლობა ღმერთს, საპყარი არა ვარ, — თქვა ჭაბუკმა, — თუ გაჭირდა, რკინასაც მოვინელებ. მაგრამ ახლა თითქოს კუჭი მომიდუნდა, რასაც თქვენ ლაპარაკობთ, ნახევარზე მეტიც ვეღარ მომინელებია. ამნაირი რამეები კაციშვილს არ უსწავლებია ჩემთვის. წიგნები და ლექსები კი მიყვარს, და როცა მოვიხელთებ, მუდამ ვკითხულობ ხოლმე, მაგრამ ახლა თქვენ რომ ილაპარაკეთ, ასეთი ფიქრები ამ წიგნებზე ჩემს დღეში არ მომსვლია. იმიტომაც ვერ გადამიბამს ერთმანეთზე სათქმელი. თითქოს უცხო ზღვაში მოხვედრილი მეზღვაური ვიყო, ურუკოდ და უკომპასოდ. მინდა გავიგო, სადა ვარ, როგორა ვარ. იქნებ თქვენ დამაყენოთ გზაზე! ამდენი რამე სად გისწავლიათ?

_ სკოლაში დავდიოდი, ვკითხულობდი, — უპასუხა ქალმა.

_ სკოლაში მეც მივლია, როცა ბავშვი ვიყავი, — შეესიტყვა ჭაბუკი.

— დიახ, მაგრამ მე საშუალო სკოლას ვგულისხმობ, მერე უნივერსიტეტი, ლექციები...

— უნივერსიტეტშიაც ყოფილხართ? _ ჰკითხა გაკვირვებულმა ჭაბუკმა. ერთბაშად თითქოს მილიონი მილით მაინც დაშორდა მას ქალი.

— ახლაც დავდივარ. ინგლისურის სპეციალურ კურსს ვისმენ.

ვერ გაიგო, «ინგლისურის სპეციალური კურსი» რას ნიშნავდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, გუნებაში დაიმახსოვრა, და ქალს ჰკითხა:

— რამდენ ხანს უნდა ვიმეცადინო, რომ უნივერსიტეტში მოვხვდე?

ქალმა გადაწყვიტა გაემხნევებინა ცოდნასმოწყურებული ჭაბუკი და უპასუხა:

_ ეგ იმაზეა დამოკიდებული, აქამდე რამდენი გისწავლიათ. საშუალო სკოლაში სულ არ ყოფილხართ? თუმცა საიდან იქნებოდით? არც დაწყებითი სკოლა დაგიმთავრებიათ?

— ორი წელიწადიღა მაკლდა დამთავრებას, თავი რომ დავანებე, — მიუგო ჭაბუკმა, — ისე კი, მუდამ ქებას ვიმსახურებდი.

და ბაქიაობისათვის საკუთარ თავზე გულმოსულმა, ისე მოუჭირა ხელი სავარძლის სახელურებს, რომ თითებმა ტეხა დაუწყო. იმავე წუთში ჭაბუკმა თვალი მოჰკრა მეორე ქალს, რომელიც ოთახში შემოდიოდა. გოგონა ხელად წამოხტა სკამიდან და მკვირცხლად მიეგება ახალშემოსულს. ქალებმა ერთმანეთს აკოცეს და, წელზე ხელმოხვეულები, ჭაბუკისაკენ გაემართნენ. დედა იქნება, გაიფიქრა მან. ქერა ქალი იყო, მაღალი, მოხდენილი, წარმოსადეგი და ლამაზი. ტანსაცმელიც სახლის შესაფერი ეცვა. კაბის კოხტა ზოლები თვალში სასიამოვნოდ მოხვდა ჭაბუკს. სცენაზე ნანახი ქალები მოაგონა ქალმაც და იმისმა მორთულობამაც. მერე ისიც გაახსენდა, როგორ ნახა ასეთივე დიდებული ქალბატონები ლონდონის თეატრების შესასვლელთან, როგორ თვალდაჭყეტილი შეჰყურებდა მათ და მერე როგორ გააჩიქჩიქა პოლიციელმა გარეთ, წვიმაში. ბოლოს მოგონებამ იოკოჰამის გრანდ-ოტელში გადააფრინა — იქაც მოუკრავს თვალი ასეთი ქალბატონებისათვის. და უცებ თვალწინ იოკოჰამის ნავსადგურისა და თვით ქალაქის ათასფერადი სურათები აუელვარდა. მაგრამ თავს ძალა დაატანა და მოგონებათა კალეიდოსკოპი ხელადვე დახურა, მთელი გულისყური ამ ახალ მოვლენაზე დაძაბა. იცოდა, რომ ქალის გასაცნობად უნდა წამომდგარიყო. ძლივძლივობით წამოიწია, შარვალი მუხლებზე გამოებერა, ხელები სასაცილოდ ჩამოეკიდა, ახალი განსაცდელის მოლოდინში შუბლი შეეჭმუხნა.

თავი მეორე

სასადილო ოთახში გასვლა საშინელი სატანჯველი გამოდგა ჭაბუკისათვის. ფეხებს ძლივს მიათრევდა, ბანცალებდა, საცოდავად ირწეოდა, აღარ ეგონა, მეორე ოთახში თუ გააღწევდა. მაგრამ როგორც იქნა გააღწია და ახლა სუფრასთან იჯდა ქალიშვილის გვერდით. ზედიზედ ჩამწკრივებულმა დანა-ჩანგალმა დააფრთხო: რაღაც გამოუცნობ საფრთხეს უმზადებდნენ ისინი. მონუსხულივით დაჰყურებდა ჭაბუკი, მანამ თვალი არ აუჭრელა მათმა ბრჭყვიალმა, და ამ ელვარე ფონზე გემის ბანი არ გამოესახა — აგერ შაშხს შემოსხდომიან ისა და მისი ამხანაგი მეზღვაურები, ჯიბის დანა მოუმარჯვებიათ და არხეინად შეექცევიან, თითებსაც კარგად ახმარენ; ან არადა თუნუქის ჯამიდან რკინის დაგრეხილი კოვზებით მუხუდოს სქელ სუპს ხვრეპენ. ცხვირში დამპალი ხორცის სუნი სცემს, ყურებში კი, გემის ჭრიალთან ერთად, მეზღვაურების პირის წკლაპუნი ჩაესმის. კარგად დააკვირდა ამ მეზღვაურებს და ახლაღა მიხვდა, რომ ისინი ღორებივით თქვლეფდნენ. არა, სიფრთხილე მართებს აქ. პირი არ უნდა აწკლაპუნოს. გულისყურით უნდა იყოს.

მიიხედ-მოიხედა. მის პირდაპირ ართური და იმისი ძმა ნორმანი ისხდნენ. მაშინვე ის გაიფიქრა _ ამ გოგონას ძმები არიანო, და გულში მათ მიმართ განსაკუთრებული სითბო ჩაეღვარა. როგორ უყვართ ერთმანეთი და-ძმებსა და დედა-შვილებს! გაახსენდა, როგორ შეხვდა ქალი დედას, როგორ აკოცეს ერთმანეთს და ხელგადახვეულები მისკენ წამოვიდნენ. მშობლებსა და შვილებს შორის ასეთი სინაზე უცხო იყო იმ სამყაროსათვის, რომელსაც ჭაბუკი ეკუთვნოდა. ახალ აღმოჩენასა ჰგავდა, იმის უტყუარ ნიშანს, თუ რა ამაღლებული გრძნობებისათვის მიეღწია ამ საზოგადოებას. ჯერ ხომ წამიერად შეავლო თვალი ამ სამყაროს, და ყველაზე უფრო სწორედ ეგ მოეწონა. გული აუჩქროლდა, პატივისცემისა და სინაზის გრძნობით განიმსჭვალა. თავისი დღე და მოსწრება ნამდვილ სიყვარულს იყო დანატრებული, მთელი არსებით სწყუროდა, შინაგან მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული; მაგრამ ერთხელაც არ ღირსებია ეს გრძნობა და მარტოობაში გული გაქვავებოდა. თუმცა თავად არა ჰქონია შეგნებული, ასე თუ საჭიროებდა სიყვარულს. არც ამჟამად უგრძვნია ეს. უბრალოდ, დაინახა სიყვარული და გული აუჩქროლდა, მოეწონა, ბრწყინვალე და ამაღლებული ეჩვენა.

ესიამოვნა, რომ მისტერ მორზი შინ არ იყო. ჯერ ისიც რა ძნელი გამოდგა, რომ ერთბაშად რუთსაც გაეცნო, მის დედასაც და ნორმანსაც. ართურს, ასე თუ ისე, უკვე იცნობდა. მამის გაცნობაც _ მეტისმეტი იქნებოდა. ამდენი ჯაფა ჩემს დღეში არ დამდგომიაო, ფიქრობდა. ყველაზე მძიმე სამუშაოც კი, ამასთან შედარებით, ბავშვურ თამაშად ჩანდა. შუბლი დაენამა, ამდენი უჩვეულო დაძაბულობისაგან პერანგი ოფლით გაეწუწა. ისე უნდა ეჭამა სადილი, როგორც თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ უჭამია, რაღაც უცნაური იარაღები უნდა ეხმარა, მალულად უნდა ედევნებინა თვალყური სხვებისათვის და ენახა, როგორ ჭამდნენ, როგორ იქცეოდნენ. უწყვეტად მომდინარე შთაბეჭდილებების ნიაღვარი უნდა შეეწოვა და შეეთვისებინა, აეწონ-დაეწონა, თავისი ადგილი მიეჩინა ყველასათვის. თან იმასაც გრძნობდა, როგორ გაშმაგებით მიუწევდა გული ახალგაცნობილ ქალიშვილისკენ, რომელსაც მთელი მისი არსება რაღაც ბუნდოვანი და მტკივნეული მღელვარებით აეფორიაქებინა; გულში დაოკებული სურვილი ჩხვლეტდა, თვითონაც იმ საზოგადოებაში გარეულიყო, სადაც ეს ქალი ტრიალებდა, და გონებას ძაბავდა, გამწარებით ფიქრობდა, ბუნდოვან გეგმებს აწყობდა, როგორ მოეხერხებინა ეს. მოპირდაპირე მხარეს მჯდარ ნორმანს, ან რომელიმე სხვას რომ გადახედავდა მალულად, რათა გაეგო, რომელი დანისა თუ ჩანგლის აღება იყო ამჟამად საჭირო, თან გონების თვალით მისი სახის ნაკვთებს აკვირდებოდა და იმახსოვრებდა, თავისდა უნებურად

ცდილობდა გამოეცნო, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ გოგონასთან. უნდა ელაპარაკა, უნდა მოესმინა, რას ეუბნებოდნენ მას, ან სხვები ერთმანეთში რას ლაპარაკობდნენ, უნდა ეპასუხა, როცა ჰკითხავდნენ რამეს, და ერთთავად დაძაბული უნდა ყოფილიყო, რომ თავისუფალ ლაქლაქს დაჩვეულ ენას უხამსი რამე არ წამოეყრანტალებინა. ამდენ დავიდარაბას ერთი განსაცდელი კიდევ დაემატა: სად იყო, სად არა, უცებ მსახური გამოჩნდებოდა ხოლმე, ფეხაკრეფით წამოვიდოდა და ზედ სკამთან აეტუზებოდა, განუწყვეტელ საშიშროებას უქადდა, საშინელი სფინქსივით ისეთ ამოცანებს აძლევდა, რაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა. და კიდევ ერთი აკვიატებული მტანჯველი ფიქრი, რომელიც მთელი სადილის განმავლობაში ვერა და ვერ მოიშორა — თითების წასაბან პატარა ჯამებს როდის შემოიტანენ, ან როგორია ნეტა ის ჯამებიო. სადღაც გაეგონა ასეთი ჯამების არსებობა და ელოდა, ადრე თუ გვიან, იქნებ ამ წუთშიაც კი, შემოიტანონო, საკუთარი თვალით ნახავდა; ბოლოს და ბოლოს, ისეთ ოჯახში იყო, სადაც ამ ჯამებს წარამარა ხმარობდნენ, და, აგერ, თვითონაც ჩაჰყოფდა შიგ თითებს. მაგრამ ყველაზე დიდი საზრუნავი მაინც ის იყო და ყველაზე უფრო ის ფიქრი არ ასვენებდა, თუ როგორ სჭეროდა თავი ამ ხალხში? რა ექნა, როგორ მოქცეულიყო? თავს იმტვრევდა, სიმწრის ოფლში ცურავდა, ცდილობდა, როგორმე ეს ამოცანა გადაეწყვიტა. ზოგჯერ სულმოკლე სურვილი წამოუვლიდა _ ტოლად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ მეორე, კიდევ უფრო ლაჩრული მოსაზრება მაშინვე დათრგუნავდა — არ გამოგივა, უარესად შერცხვებიო: თვალთმაქცობას არა ყოფილა დაჩვეული და ტყუილად თავს გაისულელებდა.

ამ ფიქრებში გართულმა, სადილის პირველი ნახევარი ისე გაატარა, რომ გარეგნული სიმშვიდე არ დაურღვევია. რა იცოდა, რომ ამ სიმშვიდით ართურის სიტყვებს აქარწყლებდა, რომელმაც წინა დღით თავისიანებს განუცხადა — ხვალ, სადილად ერთი ველური ადამიანის მოყვანას ვაპირებ და ნუ შეგეშინდებათ, საინტერესო ველურიაო. მაშინ რას იფიქრებდა მარტინ იდენი, რომ ამ ქალის ძმა ასეთ ღალატს გასწევდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ჭაბუკმა განსაცდელისაგან იხსნა იგი. ასე რომ, სუფრას უჯდა, თავისივე მოუხეშაობის გამო სიმწრის ოფლში ცურავდა და თან მოხიბლული იყო ყველაფრით, რაც ირგვლივ ხდებოდა. მთელ თავის სიცოცხლეში პირველად ახლაღა მიხვდა, რომ ჭამა მარტო შიმშილის მოკვლა კი არ ყოფილა, არამედ რაღაც უფრო მეტი. აქამდე არც კი უკვირდებოდა ხოლმე, რასა ჭამდა. საჭმელი — საჭმელიაო, ფიქრობდა. მაგრამ აქ, ამ სუფრასთან, იგი დარწმუნდა, რომ ჭამასაც შეიძლებოდა ესთეტიკური ფუნქცია ჰქონოდა და გაიხარა, რადგან ყოველგვარ სილამაზეს თაყვანს სცემდა. და განა მარტო ესთეტიკური ფუნქცია — ინტელექტუალურიც! გონება დაეძაბა. ისმენდა სიტყვებს, რისიც მას არაფერი გაეგებოდა, ან მხოლოდ წიგნებში თუ ჰქონდა ამოკითხული, მოსმენით კი თავის დღეში არ მოესმინა. აქ კი, ამ საკვირველ ოჯახში, ამ ქალის ოჯახში, ისე თავისუფლად ისროდნენ ამგვარ სიტყვებს, რომ ჭაბუკს სიამოვნების ჟრუანტელი უვლიდა. მთელი რომანტიკა, სილამაზე, ყველაფერი ის ამაღლებული, რაც მას მხოლოდ წიგნებში ამოეკითხა — თურმე სინამდვილე ყოფილა. ისეთ იშვიათ, ნეტარ წუთებს განიცდიდა ჭაბუკი, როცა ადამიანის ოცნებას სიზმრის საბურველი ჩამოეხსნება ხოლმე და სინამდვილედ იქცევა.

არასოდეს ასე ამაღლებულად არ უგრძვნია თავი, და ცდილობდა ნაკლები ყურადღება მიექცია; ისმენდა, აკვირდებოდა, გული სიამოვნებით ევსებოდა; შეკითხვებზე მოკლედ უპასუხებდა ხოლმე; «დიახ, მისს», «არა, მისს» _ როცა ქალი თვითონ ჰკითხავდა რამეს; ან «დიახ, მემ», «არა, მემ», როცა ქალის დედა

შეეკითხებოდა. ცდილობდა თავი შეეკავებინა და ენაზე მომდგარი სიტყვებით არ მიემართა ძმებისათვის — «დიახ, სერ», «არა, სერ», რაც მას საზღვაო სამსახურის დისციპლინით ჰქონდა შესისხლხორცებული. გრძნობდა, რომ ეს შეუფერებელი იქნებოდა, დამცირება გამოვიდოდა, თავის დამცირება კი არასდიდებით არ შეიძლებოდა, თუკი მართლა ლამობდა ქალის გულის მონადირებას. სიამაყეც ამასვე უკარნახებდა. «ღმერთმა შემარცხვინოს», გაიფიქრა მან ერთი პირობა, «ამათზე უარესი თუ ვიყო! თუ ვისწავლო!» მაგრამ იმავე წუთში, როცა ქალი ან დედა «მისტერ იდენს» ეტყოდა, გამომწვევი სიამაყე ხელადვე ავიწყდებოდა და სიამოვნებისაგან თვალები გაუბრწყინდებოდა. ესეც ხომ ცივილიზებული ადამიანია! აი, თუ არა _ აგერ, გვერდით მოსჯდომია ხალხს, რომელთა არსებობა მან მხოლოდ წიგნებით იცოდა, და მათთან ერთად სადილს შეექცევა. თვითონაც წიგნებში წარმოედგინა თავი და აკინძულ ტომებში, ნაბეჭდი ფურცლიდან ფურცელზე, არხეინად დააბოტებდა.

ართურის ვარაუდი სულ გააქარწყლა ჭაბუკმა — ახლა, სუფრასთან, უწყინარ კრავს უფრო ჰგავდა იგი, ვიდრე ველურ ადამიანს. იჯდა და გამწარებით იმტვრევდა თავს, რა ექნა და როგორ მოქცეულიყო. სინამდვილეში, უწყინარი კრავი სულაც არ ყოფილა და მეორეხარისხოვანი როლი ოდნავადაც არ ეგუებოდა მის ძლიერ ბუნებასა და მაღალ მისწრაფებებს. ლაპარაკს ერიდებოდა, მხოლოდ მაშინ გაიღებდა ხმას, როცა სხვა გზა არ იყო, და სასადილო ოთახში გასვლას ჰგავდა მისი მეტყველება: იმგვარადვე ბორძიკობდა, დაბანცალებდა და შიშის კანკალით არჩევდა სიტყვებს თავის მრავალენოვან ლექსიკონში, ყოყმანობდა — ვაითუ, ამ საუბრისთვის შესაფერი სიტყვები სათანადოდ ვერ გამოვთქვაო, სხვა სიტყვები კი ამ ხალხისთვის გაუგებარი ან ტლანქი გამომდგარიყო. მოსვენებას არ აძლევდა იმის ფიქრი, ვაითუ ასეთმა სიფრთხილემ და ენის ამგვარმა დაბმამ სასაცილო გამხადოსო; ხელს უშლიდა თავისი ნამდვილი აზრი და შეხედულება გამოეთქვა. თანაც თავისი ლაღი ბუნების ასეთი ძალდატანებითი შეზღუდვა იმგვარადვე აღიზიანებდა, როგორც გახამებულმა საყელომ გაუღიზიანა კისერი. გრძნობდა, რომ დიდხანს ვერ აიტანდა ამას. ბუნებით მგრძნობიარე და ფიქრიანი კაცი იყო, და ახლა ლამის დაახრჩო მოზღვავებულმა გრძნობამ და სათქმელმა, გარეთ მოიწევდა, გადმოხეთქვასა და რაიმე ფორმაში ჩამოყალიბებას ლამობდა. ერთბაშად გადაავიწყდა თავისი არსებობაცა და ისიც, ამჟამად სად იმყოფებოდა, და უნებურად ძველი, ნაცნობი სიტყვა წამოსცდა.

ზურგს უკან ატუზული მსახური მოსვენებას არ აძლევდა. რაღაც კერძს აწოდებდა, უარის ნიშნად კი ჭაბუკმა მოკლედ და ენერგიულად მოუჭრა:

— პაუ!

ყველამ ყური ცქვიტა და მოლოდინში გაირინდა, მსახური, ეტყობოდა, ნასიამოვნები დარჩა — ცბიერად გაიბადრა. მაგრამ ჭაბუკი ხელადვე მოეგო გონს.

— კანაკური გამოთქმაა, — განმარტა მან, — «მეყოფას» ნიშნავს. ისე წამომცდა.

უცებ ქალიშვილის ცნობისმოყვარე მზერა დაიჭირა, ჭაბუკს ხელებზე მისჩერებოდა. რაკიღა ერთხელ აეშალა საღერღელი, განაგრძო:

— წყნარი ოკეანის ერთ-ერთ საფოსტო გემს ჩამოვყევი ამ დღეებში. ძალიან იგვიანებდა და ზანგებივით გვამუშავეს პიუჯეტის უბეში, მთელი ტვირთი გადმოგვაწყობინეს... სწორედ მაშინ გადავიტყავე.

— მაგაზე არც კი შემიხედავს, — სწრაფად მიუგო ქალმა, — თქვენი ხელები სხეულთან შედარებით ძალიან პატარა ჩანს.

ჭაბუკი სახეზე წამოენთო. აჰა, ერთი ნაკლი კიდევ გამომიაშკარავესო, იფიქრა.

— დიახ, — წყენით თქვა მან, — მუშტები მართლაც პატარა მაქვს, დიდ დაძაბვას ვერ უძლებს. მკლავსა და მხრებში კი, გაგიხარია, ჯორის ღონე მაქვს. ყბაში რომ მოვდებ ვინმეს და ჩავულეწავ, მუშტებიც ტეხას მიწყებენ ხოლმე.

თქვა და მაშინვე ინანა, საკუთარი თავი შეეზიზღა. ნებაზე მიუშვა ენა და უკადრისი რამეები წამოაყრანტალა!

— რა მამაცობა გამოიჩინეთ, ართურს რომ მიეშველეთ. მით უმეტეს, სულ უცხო იყო თქვენთვის! _ თავაზიანად მიაშველა ქალმა, რომელმაც შეცბუნება კი შენიშნა ჭაბუკს, მაგრამ მიზეზს ვერ ჩაწვდა.

ჭაბუკიც მაშინვე მიუხვდა და მადლიერების მღელვარე გრძნობამ ისე გაუვსო გული, რომ ენაზე კბილის დაჭერა კვლავ დაავიწყდა.

— ეგეც რომ დიდი რამეა! — მიუგო მან, — ვინც არ უნდა მოხვედრილიყო იქა, ამასვე იზამდა. შარზე იყვნენ არამზადები. ართურს ხმაც არ გაუცია. მივარდნენ და პირდაპირ თხლიშეს, მეც ხელად ვეცი და ისეთი ვთხლიშე, რომ სულ თავგზა ავუბნიე. ხელები კი გადამეყვლიფა ცოტათი, მაგრამ სამაგიეროდ რამდენიმე ვაჟბატონი უკბილოდ დავტოვე. იქ რომ არ ვყოფილიყავი, უფრო დამწყდებოდა გული, თუ დავინახე, რომ...

და უცებ გაწყვიტა სათქმელი, პირი გაღებული დაურჩა, საკუთარი უმწეობისა და უბადრუკობის უფსკრულში იგრძნო თავი. რა ღირსი ვარ, მე და ეს ქალი ერთი ჰაერით ვსუნთქავდეთო, იფიქრა. და მანამ ართური გააგრძელებდა ამბავს, მეოცედ მაინც ყვებოდა, როგორ დაესხნენ თავს ბორანზე მთვრალი არამზადები, როგორ მოვარდა უცებ მარტინ იდენი და იხსნა იგი, თვით ამ ჭაბუკს კოპები შეეკრა და მწარე ფიქრს მისცემოდა, თავი რად გავისულელეო, საგონებელში ჩავარდნილიყო — ვეღარ გადაეწყვიტა, როგორ უნდა სჭეროდა თავი ამ ხალხთან. წესიერად რომ ვერ იქცეოდა, ამას თვითონვე გრძნობდა. მათი ჯილაგისა არა ყოფილა და მათებურად ვერ ლაპარაკობდა. ეს აშკარა იყო. არც ის შეეძლო, რომ მათი ჯილაგისად მოეჩვენებინა თავი. თვალთმაქცობა ხელადვე შეეტყობოდა, მის ბუნებას არც ეგუებოდა თვალთმაქცობა. ფლიდობასა და ოინბაზობას ვერ იტანდა. მოხდეს, რაც მოსახდენია — მაინც ისა სჯობია, რომ ჩემი ნამდვილი სახე გამოვაჩინოო. ახლა ვერ აუწყობს ამათ ენას, მაგრამ დრო მოვა და ამასაც მოახერხებს. ეს მტკიცედ გადაწყვიტა. თუმცა არც მანამდე იჯდება მუნჯივით, ისიც ჩაერევა საუბარში, თავისებურად ილაპარაკებს, ცოტა უფრო მოზომილად, რაღა თქმა უნდა, რომ ამათაც გააგებინოს სათქმელი და თან მეტისმეტად არ შეაშფოთოს. ამას გარდა, არც ის იქნება სწორი, სულ ჩუმად იჯდეს და ხალხს აფიქრებინოს, ყველაფერი ესმისო, მაშინ როდესაც ზოგიერთი რამ იქნებ არ ესმოდეს. ამიტომაც იყო, რომ, როცა ძმები უნივერსიტეტის ამბებსა ყვებოდნენ და ლაპარაკში რამდენჯერმე ახსენეს სიტყვა «ტრიგი», მარტინ იდენი თავისი გადაწყვეტილების ერთგული დარჩა და ჰკითხა:

— «ტრიგი» რა არის?

— ტრიგონომეტრია, — მიუგო ნორმანმა, — მათის უმაღლესი დარგი.

— «მათი» რაღაა? _ აღარ მოეშვა ჭაბუკი და ნორმანს ღიმილიც კი მოჰგვარა.

— მათემატიკა — არითმეტიკა, — უპასუხა მან.

მარტინ იდენმა თავი დააქნია. აჰა, ერთბაშად გადაჰკრა თვალი სიბრძნის უსაზღვრო სიღრმეებს და სავსებით რეალური ეჩვენა. მისი წარმოსახვის არაჩვეულებრივი ძალა აბსტრაქტულ მოვლენებს კონკრეტული ფორმით აღიქვამდა. ტრიგონომეტრიამ, მათემატიკამ და ცოდნის მთელმა იმ სფერომ, რასაც ეს სიტყვები მოიცავდა, ჭაბუკის ალქიმიკურად მოწყობილ ტვინში რაღაცნაირი პეიზაჟის გამოსახულება მიიღო. ხედავდა მწვანედ მოხასხასე ფოთლებს. ტყის ქაშანებს —

ზოგან თანაბარი შუქით განათებულს, ზოგან ტოტებში გამოჭრილი სხივებით აელვარებულს. უფრო მოშორებით ყველაფერი მოწითალო ნისლში გახვეულიყო, ხოლო ამ ნისლს იქით, იცოდა, რომ რომანტიკული მომხიბლაობით გაბრწყინებული უცნობი სამყარო იწყებოდა. ღვინოსავით ათრობდა ეს ხილვა. ფართო მოქმედების ასპარეზი იყო, სადაც თავსაც ბევრი საქმე გამოუჩნდებოდა და ხელსაც. ეს იყო სამყარო, რომელიც მას უნდა დაეპყრო. და მყისვე, მისი ცნობიერების მიღმა, ახალმა აზრმა გაიელვა: ამ ქალის გულისთვის უნდა დაიპყროს!.. ამ შროშანივით თეთრი ქალის გულისთვის, აგერ გვერდში რომ უზის.

ეს ელვარე ზმანება ართურმა დაუნგრია და გაუფანტა, რომელიც მთელი საღამო სულ იმის ცდაში იყო, შინაურებისათვის ნამდვილი ველური ეჩვენებინა. მარტინ იდენმა წეღანდელი გადაწყვეტილება გაიხსენა. პირველად ახლაღა დაემსგავსა თავის თავს _ ჯერ დაძაბულად, მერე უფრო თავისუფლად, ბოლოს კი შემოქმედის სიხარულით მოცული ლაპარაკობდა, სხვებსაც ისე გადაუშალა ცხოვრების ცალკეული სურათები, როგორც თავად ჰქონდა განცდილი და დანახული. «ალკიონზე» — კონტრაბანდისტების გემზე — მუშაობდა მეზღვაურად, როცა ეს გემი საბაჟოს მოხელეებმა დააკავეს. ყველაფერს ფართოდ ხედავდა ჭაბუკი და უნარი ჰქონდა ასევე ფართოდ ეამბნა ნანახი. ცოცხლად დაეხატა აბობოქრებული ზღვა, ტალღებში მოქანავე გემი და მეზღვაურები. წარმოსახვის დიდი ძალა სიტყვებშიაც გადმოიტანა და სხვებსაც ცოცხლად განაცდევინა ის, რაც საკუთარი თვალით ენახა. მხატვრის მახვილი ალღოთი მას შეეძლო აურაცხელი მოვლენისა და წვრილმანისაგან ყველაზე მკაფიო და ცხოველმყოფელი შეერჩია. თავისი ტლანქი მჭევრმეტყველებით, მგზნებარებითა და ძლიერებით სხვებიც გაიტაცა. ზოგჯერ თუ ნაამბობის მძაფრი სიცხადე და გამოთქმის სიტლანქე შეაძრწუნებდათ, სამაგიეროდ, ამ სიტლანქეს მაშინვე მოჰყვებოდა ხელადვე ნამდვილი სილამაზე, ხოლო ცალკეული ამბის ტრაგიკულობას ხელადვე ანელებდა მეზღვაურთა ათასნაირად დახვლარჭნილ-დაგრეხილი ხუმრობანი.

მანამ ჭაბუკი ლაპარაკობდა, ქალი აღგზნებული თვალებით შეჰყურებდა. ჭაბუკის ცეცხლი მასაც ათბობდა. ახლაღა მიხვდა, რომ მთელი თავისი დღე და მოსწრება ერთხელაც არ უგრძვნია ასეთი სითბო. უნებურმა სურვილმა მოიცვა — ზედ მიჰკვროდა ამ ანთებულ, მოგიზგიზე ვაჟკაცს, რომელიც ვულკანის მსგავსად აფრქვევდა ძალას, ჯანსა და ენერგიას. ისეთი ძლიერი იყო ეს სურვილი, რომ თავს ძლივს იჭერდა. მაგრამ თან მეორე, საწინააღმდეგო ძალა უკან ეწეოდა: ზიზღს აღუძრავდა ეს დასახიჩრებული ხელები, რომელთაც ცხოვრებისეული ჭუჭყი კანსა და ხორცში გასჯდომოდა, ეს საყელოსაგან გახეხილი კისერი, გამობერილი კუნთები... აფრთხობდა ჭაბუკის მოუხეშაობა. ყოველი ტლანქი სიტყვა ყურში ეკალივით ესობოდა, მისი ცხოვრების ყოველი ტლანქი ეპიზოდი გულზე ლახვარივით ეცემოდა. და ისევ შეუნელებელი ძალით იზიდავდა ჭაბუკი. ნამდვილად ეშმაკი ჩასახლებია სულში, სხვას რას შეიძლება ასეთი ძალა ჰქონდესო, გაიფიქრა ქალმა. ყველაფერი, რაც აქამდე მტკიცედ ჰქონდა ჩაჭდობილი გონებაში, ახლა ერთბაშად შეირყა. რომანტიკული თავგადასავლებითა და ფათერაკებით სავსე ცხოვრება ჭაბუკისა ყველაფერს თავდაყირა აყენებდა ქალის შეგნებაში. ისე აგდებულად ახსენებდა ხოლმე ჭაბუკი განსაცდელს, ისე სიცილად უჩანდა სიცოცხლე, რომ ქალსაც შეეცვალა შეხედულება: მაშ, ცხოვრება არც ისე სერიოზული და რთული ყოფილა, სათამაშოს უფრო ჰგავს — გაჰკრავს, გაითამაშებ, უდარდელად გაატარებ წუთისოფელს და ბოლოს ისე მოიშორებ, რომ გული არც დაგწყდება. «მაშ, შენც ითამაშე!» ეუბნებოდა ქალს შინაგანი ხმა. «თუკი ასე გულით გწადია, ბარემ ჩაეხუტე და მიეკარი, ეგ შენი

ხელები კისერზე მოხვიე!» ლამის იყვირა, ასეთი ქარაფშუტული ფიქრი რომ მოუვიდა, მაგრამ ამაოდ ცდილობდა თავისი დიდი კულტურა და სიწმინდე გაეთვალისწინებინა, მთელი თავისი უპირატესობა დაეპირისპირებინა ჭაბუკისათვის. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და შენიშნა, რომ სხვებიც გატაცებით უსმენდნენ; თუმცა ძალიან შეწუხდებოდა, რომ დედის თვალებშიაც არ შეენიშნა შიში, _ მართალია, აღტაცებული შიში, მაგრამ შიში მაინც შიშია. ეს კაცი ნამდვილად ბოროტი სულია, წყვდიადიდან მოსული. ეტყობოდა, ეს დედასაც შეენიშნა, და დედა არა ცდებოდა. მზად იყო, ამ საქმეშიაც ერწმუნა დედის შეხედულება ისევე, როგორც ყოველთვის სწამდა. ჭაბუკის ცეცხლი ქალს მეტად აღარა სწვავდა, და შიშიც ერთგვარად გაუნელდა.

ნასადილევს ქალი როიალს მიუჯდა, ჭაბუკს მუსიკა მოასმენინა. ბუნდოვანმა სურვილმა წამოუარა, გამომწვევი სიკეკლუცით დაეკრა და ამით კიდევ უფრო ღრმა მოეჩვენებინა ის უფსკრული, რაც მათ ერთმანეთისაგან აშორებდა. თითქოს კომბლად იქცა ეს მუსიკა და ჭაბუკის თავზე მხეცური გაცოფებით დატრიალდა: გააყრუა, დაარეტიანა, მაგრამ ამავე დროს აღაგზნო და ააფორიაქა. მარტინი მოწიწებით შეჰყურებდა ქალს. უფსკრული მის წარმოდგენაშიაც ისევე გაფართოვდა, როგორც ქალისაში. მაგრამ მით უფრო აღაგზნო სურვილმა, გადაელახა იგი და ქალი დაეპყრო. მგრძნობიარე კაცი იყო, სიცოცხლით სავსე, არ შეეძლო მთელი საღამო მჯდარიყო და უფსკრულისათვის ეცქირა, მით უმეტეს, როცა მუსიკასაც ისმენდა. ძალიან უყვარდა მუსიკა, მაგრამ სასმელივით მოქმედებდა — აღაგზნებდა, სიმხნეს მატებდა, ფრთებს შეასხამდა და ცას მოატარებდა ღრუბელივით. ყოველდღიური ცხოვრების ჭუჭყს ავიწყებდა, სულს სილამაზითა და მშვენიერებით უვსებდა. ჭაბუკისათვის გაუგებარი იყო, რას უკრავდა ქალი. ეს არ ჰგავდა პიანინოების ჟღარუნს, რაც მას იაფფასიან საცეკვაო დარბაზებში მოესმინა, არც სპილენძის სასულე საკრავების ზრიალს. მაგრამ წიგნებში ამოეკითხა, რომ ამგვარი მუსიკაც არსებობდა, და სწორედ ასეთად ირწმუნა ის, რასაც ახლა ისმენდა, დასაწყისში თითქოს ასხვავებდა გამოკვეთილ მარტივ რიტმს, მაგრამ მალევე აირეოდა და იბნეოდა. ზოგჯერ თითქოს შინაგან ხმას ააყოლებდა მოტივს, მაგრამ ბგერების ქაოსში გაიბურდებოდა, სავსებით გაუგებარი ხდებოდა და როგორც საყრდენგამოცლილი სიმძიმე, მიწაზე ეცემოდა.

ერთი პირობა მოეჩვენა, ჩემი გამასხარავება ხომ არ განუზრახავთო. მტრული განწყობილება შენიშნა ქალს და სცადა გამოეცნო, რას ამბობდნენ მისი თითები, როცა კლავიშებს ეცემოდნენ. მალევე მოიშორა ეს უღირსი და არასარწმუნო ფიქრი და უფრო თავისუფლად მიეცა მუსიკას. კვლავ ძველი აღფრთოვანება დაეუფლა. სხეულმა წონა დაკარგა, ჰაეროვან არსებად იქცა. თვალები დიდმა სიკაშკაშემ გაუცისკროვნა, ირგვლივ ყველაფერი გაქრა და გაუჩინარდა, თვითონაც ჰაერში აიზიდა, ზემოდან დაფრენდა სამყაროს — ძველ საოცნებო და სანეტარო სამყაროს. ნაცნობი და უცნობი მოვლენები ერთმანეთში სიზმარივით აირია. შედიოდა მზით გადახრუკული უცნობი ქვეყნების ნავსადგურებში. დააბოტებდა საბაზრო ადგილებში, ყოვლად უცნაურ და უცნობ ველურთა შორის; კვლავ უღიტინებდა ცხვირში კუნძულებიდან გამოჭრილი სურნელი სანელებლისა; ეს ბევრჯერ განუცდია ზღვაზე, შეხუთულ ღამეებში... ჰა, გრძელი ტროპიკული დღეები და სამხრეთ-აღმოსავლეთის პასატებთან ბრძოლა! პალმებით შემკული პაწაწინა მარჯნის რიფები ხან ამოყოფენ თავს ფირუზისფერ იკეანეში, ხან ისევ გაუჩინარდებიან; ფიქრივით სწრაფი სურათები ერთმანეთს ენაცვლებიან. აგერ რომ უცებ ცხენს მოახტება და მზით გარუჯულ უდაბნოში გაიჯირითებს, მეორე წამში ხვატში დგას და მზის სიმხურვალით გავარვარებული ჰაერის მიღმა, სიკვდილის ხეივანში, თეთრად

მოელვარე აკლდამას დასცქერის; ან ყინულოვან ოკეანეში მიცურავს ნავით და ნიჩბებს გამეტებით უსვამს, ირგვლივ კი მზეზე მოელვარე ყინულის დიდი კუნძულები წამომართულან; ქოქოსის პალმის ძირში წამოწოლილა, მარჯნის კუნძულზე, და ქვემოთ ტალღები ნაზად ეტლაშუნება ნაპირს; აგერ, ოდესღაც დაღუპული გემის ჩონჩხი ლურჯი ალით იწვის და მის შუქზე მოცეკვავეებს ფერხული გაუმართავთ, სასიყვარულო სიმღერის გამაყრუებელ ყიჟინაზე, ჰავაური გიტარის წკრიალსა და დოლის ბრახუნზე გამწარებით ცეკვავენ «ჰულას». ვნებიანი ტროპიკული ღამე იყო. იქით კი, მოშორებით, ვულკანი აჭრილა ვარსკვლავებში. მაღლა ფერმიხდილი ახალი მთვარე მიცურავს და ცის დასალიერზე სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი ციმციმებს.

თითქოს ქნარად იქცა: რაც სიცოცხლეში ნახა და გამოსცადა, სიმები იყო, ხოლო ეს მუსიკა — ქარი; შეარხევდა ხოლმე ქარი სიმებს და ხელად მოგონებებსა და ოცნებებს წამოშლიდა. განა მარტო გრძნობდა ამას ჭაბუკი: თავისი გამოსახულება და ფერი ეძლეოდა ყველაფერს, რაღაც ჯადოსნური ძალით ხორცს ისხამდა, იწმინდებოდა. წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთში აირია. შედიოდა ამ დიდ, მცხუნვარე ქვეყანაში და გმირულ საქმეებს სჩადიოდა — ამ ქალისათვის, ამ ქალის მოსაპოვებლად, მასთან ერთადვე: მოუხვევია ქალისათვის ხელი და თავისი ოცნების სამყაროში დააცურებს.

ქალმა ცერად გახედა ჭაბუკს და მის სახეზე თითქმის ყველაფერი ეს წაიკითხა. სულ სხვა ელფერი მისცემოდა სახეს; დიდრონი, მოელვარე თვალები თითქოს ბგერების საბურველს ჰკვეთდნენ და იმის მიღმა ცხოვრების მთელ მჩქეფარებასა და ოცნების ბუმბერაზ მოჩვენებებს ჭვრეტდნენ. ქალი სახტად დარჩა. ტლანქი და მოუხეშავი ჭაბუკი სადღაც გამქრალიყო. ულაზათოდ შეკერილი ტანსაცმელი, დასახიჩრებული ხელები და მზით გარუჯული სახე იქვე იყო. მაგრამ ეს ახლა თითქოს ციხის გისოსებად იქცა, ხოლო ამ გისოსებს იქით ხედავდა დიდი სულის ადამიანს, უსიტყვოსა და დამუნჯებულს, რადგან ბაგეს არ შეეძლო გადმოეცა მისი ნამდვილი განცდები. ეს მხოლოდ ერთი წამით მოეჩვენა ასე; მოუხეშავი-მოუქნელი ჭაბუკი ხელადვე დაბრუნდა და ქალს თვითონვე გაეცინა თავისი ფანტაზიის უცნაურ თამაშზე. თუმცა შთაბეჭდილება იმ წამიერი ხილვისა კვლავ დარჩა. და როცა, ბოლოს, ჭაბუკი უხერხული რხევით მიუახლოვდა გამოსამშვიდობებლად, ქალმა მას სუინბერნისა და ბროუნინგის წიგნები ათხოვა — სწორედ ახლა სწავლობდა იგი ბროუნინგის შემოქმედებას. სახეზე წამოწითლებულმა ჭაბუკმა მადლობა ძლივს ამოღერღა და ამ წუთში ქალს იგი პატარა ბიჭად მოეჩვენა, უნებურად დედობრივი სინაზე და სიბრალული იგრძნო. ერთბაშად დაავიწყდა მისი მოუხეშაობაც, შებოჭილი სულიც და ის მამაკაცური გამოხედვაც, რაც ქალს ერთდროულად ახარებდა და აფრთხობდა კიდეც. ახლა იგი პატარა ბიჭსღა ხედავდა, რომელმაც ისე მაგრად ჩამოართვა თავისი გახეხეშებული ხელი, ლამის კანი გაუხეხა, და ენის ბორძიკით უთხრა:

— ყველაზე შესანიშნავი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. შეჩვეული არა ვარ ამისთანა რამეებს... — უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, — არც ხალხსა და არც ამისთანა სახლს. სულ ახალი რამ არის ჩემთვის... და ძალიანაც მომწონს.

— იმედი მაქვს, კიდევ მოხვალთ, — უთხრა ქალმა, როცა ჭაბუკი ძმებს ემშვიდობებოდა.

ჭაბუკმა ქუდი ჩამოიფხატა, კარი რხევით გაიარა და გავიდა.

_ რას იტყვი? _ ჰკითხა დას ართურმა.

— ძალიან საინტერესოა... თითქოს ოზონის ნაკადი შემოიჭრაო, — უპასუხა ქალმა, — რამდენი წლის იქნება?

— ოცის... თითქმის ოცდაერთისაც. სწორედ დღესა ვკითხე. არ მეგონა, ასე ახალგაზრდა თუ იყო.

სამი წლით უფროსი ვყოფილვარ, გაიფიქრა ქალმა და ძმებს აკოცა, ღამე მშვიდობისა უსურვა.

თავი მესამე.

კიბეზე რომ ეშვებოდა, მარტინ იდენმა პალტოს ჯიბეში ჩაიყო ხელი, პაპიროსის ქაღალდის ნაგლეჯი და ერთი მწიკვი მექსიკური თუთუნი ამოიღო, სიგარეტი გაახვია. კვამლი ღრმად ჩაისუნთქა ფილტვებში და დინჯად ამოუშვა.

— საოცარია! — გაკვირვებითა და აღტაცებით წამოიძახა მან. — საოცარია! — გაიმეორა და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ წაიბუტბუტა: — საოცარია! — მერე გახამებული საყელო მოიგლიჯა და ჯიბეში ჩაიტენა. ცივი წვიმა ცრიდა, მაგრამ ჭაბუკმა ქუდი მაინც მოიხადა, შიშველი თავი შეუშვირა, საკინძი გაიხსნა, თავისთვის მიირწეოდა, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, ბუნდოვნად გრძნობდა წვიმას. აგზნებული იყო, ახლახან ნანახი და განცდილი სურათები უტრიალებდა თავში.

აჰა, შეხვდა ისეთ ქალს, რომელზედაც, მართალია, ბევრი არ უოცნებია, — საერთოდ, ცოტას ფიქრობდა ხოლმე ქალებზე, — მაგრამ ელოდა, გრძნობდა, რომ ოდესმე შეხვდებოდა. სუფრაზე გვერდით ეჯდა ამ ქალს, ხელით შეეხო, თვალებში ჩახედა და მშვენიერი სული დაინახა, ისეთივე მშვენიერი, როგორიც მისივე თვალები იყო, საიდანაც სულის სილამაზე გამოუკრთოდა, როგორც სხეული, რომელშიაც ამ სულს დაესადგურებინა. სხეული არც კი გახსენებია ამ ქალისა და ეს პირველად მოხდა მის ცხოვრებაში, რადგან აქამდე მხოლოდ საამისოდ აინტერესებდა ქალები. სხეულიც სულ სხვაგვარი ჰქონდა. ჭაბუკს ვერ წარმოედგინა, რაიმე სენი ან სხვა რამ ჩვეულებრივი სისუსტე თუ გაეკარებოდა მას. განა მარტო სულის სადგური იყო ეს სხეული. არა — უფრო მეტი. იგი მისივე სულის გამოსხივება იყო, მისი ღვთაებრივი არსების უწმინდესი და უმშვენიერესი ხორცშესხმა. ეს რომ გაიფიქრა, ერთბაშად გაეფანტა ოცნება და უფრო ფხიზელ ფიქრს დაუბრუნდა. აქამდე, — გინდ პირდაპირ ეხსენებინათ, გინდა გადაკვრით, გინდ ისე მიენიშნებინათ, — ღვთაებრივის არსი გაუგებარი იყო მისთვის. არაფრის ღვთაებრიობა არა სწამდა. საერთოდ, ღმერთიც არა სწამდა; სულიერ მამებს, რომლებიც სულის უკვდავებას ღაღადებდნენ ხოლმე, გულიანად დასცინოდა. საიქიოს არსებობა არა სჯეროდა; სააქაოა ყველაფერი, ფიქრობდა იგი, სააქაო და აწმყო — დანარჩენი მარადიული წყვდიადია. მაგრამ რაც ახლა ქალის თვალებში დაინახა, ნამდვილად სული იყო, უკვდავი სული, მარადიული სული. აქამდე არც ერთ ადამიანს — არც ქალსა და არც კაცს — საბაბი არ მიუცია მისთვის უკვდავებაზე ეფიქრა. ამ ქალმა კი შთააგონა. შეხვდა თუ არა, მაშინვე იდუმალი ხმით წასჩურჩულა ეს. ახლაც, მიდიოდა ქუჩაში და თვალწინ ქალის სახე უბრწყინავდა — ფერმკრთალი და სერიოზული, ალერსიანი და მგრძნობიარე, სინაზითა და თანაგრძნობით მოღიმარე ისე, როგორც ნამდვილ სულს შეუძლია გაღიმება. და ისეთი წმიდა, რა სიწმიდეც ჭაბუკს აქამდე ერთხელაც ვერ წარმოედგინა. ამ სიწმიდემ დაარეტიანა იგი, თითქოს კეტი დაერტყათ. გააოგნა. კეთილისა და ბოროტის არსებობა აქამდეც იცოდა, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, სიწმინდე თუ შეიძლება ყოფილიყო არსებობის ერთ-ერთი ატრიბუტი. ახლა კი მან

ნახა ეს სიწმიდე, როგორც სიკეთისა და უბიწოების უმაღლესი გამოხატულება, რომელთა შერწყმა უკვდავების საწინდარს წარმოადგენს.

და ერთბაშად მოიცვა პატივმოყვარულმა სურვილმა, ამ უკვდავებას ზიარებოდა. იგი იმის ღირსიც არ ყოფილა, წყალი ეზიდა ამ ქალისათვის — ეს მან იცოდა; დღეს რომ შეხვდა, საღამო მასთან გაატარა და ელაპარაკა, ეს ბედის სასწაული და საოცნებო იღბალი იყო. შემთხვევით მოხდა. კანონზომიერება დაირღვა. ასეთი ბედნიერება არაფრით არ დაუმსახურებია. რელიგიურმა ექსტაზმა წამოუარა. მორჩილი და თვინიერი გახდა, თვითგვემა და თვითდამცირება მოუნდა. ასეთი სულიერი განწყობილებით მიდის ხოლმე ცოდვილი სააღსარებოდ. ცოდვილად ეჩვენა თავი. მაგრამ როგორც ყოველი ცოდვილი მონანიებითა და მორჩილებით უნებურად მომავალ განცხრომასა და სასუფეველს ჭვრეტს, ჭაბუკიც იდუმალად ჭვრეტდა იმ ნეტარებას, რასაც ქალის დაუფლება მოუტანდა. მაგრამ ეს დაუფლება ძალიან ბუნდოვანი იყო, ბურუსით მოცული ცნება, სავსებით განსხვავებული იმისაგან, რაც ოდესმე წარმოედგინა. პატივმოყვარეობამ გიჟური ფრთები შეასხა და ჭაბუკმა წარმოიდგინა, როგორ დასრიალებდა იგი ცაში ქალთან ერთად, როგორ უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ ფიქრებს, როგორ ტკბებოდნენ ყოველგვარი სიკეთითა და მშვენიერებით. ასეთ დაუფლებაზე ოცნებობდა ჭაბუკი.; ეს იქნებოდა ერთგვარი სულიერი დაუფლება, ყოველგვარი სიტლანქისა და უხეშობისაგან განწმენდილი, სულთა თავისუფალი, ძალდაუტანებელი კავშირი. მაგრამ ამ ოცნების გამოკვეთა და ჩამოყალიბება მას არ შეეძლო. არც უფიქრია ამაზე. არაფერზედაც არ ფიქრობდა ახლა: მთრთოლვარე გულისთქმამ დასჯაბნა მისი გონება და მთელი არსებით მიეცა ემოციებს, რაც ადრე ერთხელაც არ გამოუცდია. გრძნობათა ზღვაში დაცურავდა და ეს გრძნობები თავისთავად მაღალი და წმინდა იყო, სულ სხვა სამყაროში დაატარებდა ჭაბუკს.

მთვრალივით მიბარბაცებდა და მგზნებარედ ბუტბუტებდა:

— საოცარია, საოცარია!

მოსახვევთან პოლიციელმა დაეჭვებული თვალი გააყოლა, სიარულზე შეატყო, რომ მეზღვაური იყო.

— სად გადაგიკრავს? — გასძახა პოლიციელმა.

მარტინ იდენი კვლავ მიწაზე დაეშვა. მოქნილი ორგანიზმი ჰქონდა, ხელად შეეგუებოდა ხოლმე გარემოსა და მდგომარეობას, პოლიციელის შეძახილზე მყის გამოფხიზლდა და გონს მოეგო.

— კარგი რამე კია, რას იტყვი! — გაუცინა მან, — არც კი მიგრძვნია, რომ ხმამაღლა ვლაპარაკობდი.

— მალე სიმღერასაც შემოსძახებ, — დაასკვნა პოლიციელმა.

— მაგას კი არ ვიზამ. ასანთი მომიკიდე და პირველსავე ტრამვაის გავყვები.

პაპიროსს მოუკიდა, პოლიციელს მშვიდობის ღამე უსურვა და გზა განაგრძო.

— კარგი საქმეა, შენ ნუ მომიკვდები, — წაიბუტბუტა თავისთვის, — მთვრალი ვეგონე ამ ვაჟბატონს, — ჩაეცინა და გაიფიქრა, — ეტყობა მართლაც მთვრალი ვარ, — და მერე დასძინა, — მაგრამ არ მეგონა, ქალის სახეს თუ შეეძლო ეს.

ტელეგრაფ ავენიუზე ბერკლისაკენ მიმავალ ტრამვაის შეახტა. ახალგაზრდებით იყო გაჭედილი, მღეროდნენ, კოლეჯებში ამოჩემებულ სიტყვებს ეძახდნენ ერთმანეთს. მარტინმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა, უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ. იმავე უნივერსიტეტში სწავლობდნენ, სადაც რუთი, იმავე კლასს და წრეს ეკუთვნოდნენ, შეეძლოთ გაეცნოთ ქალი, თუკი მოისურვებდნენ, ყოველდღე მოენახულებინათ. და ჭაბუკი გაკვირვებული დარჩა, ეს როგორ არა

სურთო! ახლაც, აგერ სხვაგან ყოფილან, იმის ნაცვლად, რომ იმ ქალთან გაეტარებინათ საღამო, მასთან ელაპარაკათ, მოწიწებით შემოხვეოდნენ და თაყვანი ეცათ. ფიქრი ფიქრს გადაება. ერთი ბიჭი გამოარჩია — წვრილთვალა და ლაშჩამოშვებული იყო. გაფუჭებული კაცი იქნება, გადაწყვიტა მან. გემზე მაგისთანა ვაჟბატონი ხელად გამოამჟღავნებს თავის სილაჩრეს, გულნამცეცობასა და მაბეზღარობას. ამ ვაჟბატონს როგორ არა სჯობს მარტინ იდენი! ამ აზრმა გაამხნევა და გაამხიარულა. თითქოს ცოტათი უფრო მიუახლოვდა ქალს. ახლა სხვა სტუდენტებსაც შეადარა თავი. საკუთარი კუნთების ძალა კარგად იცოდა და გული დაიარხეინა — ღონით ყველას ვაჯობებო. მაგრამ ამათ თავი ჰქონდათ ცოდნით გატენილი და შეეძლოთ ქალის ენაზე ელაპარაკათ! ამან გუნება გაუფუჭა. ბოლოს და ბოლოს, ეს ტვინი რის მაქნისია?! იმედიანად გაიფიქრა მან. რაც მაგათ უსწავლიათ, განა მე კი ვერ ვისწავლი?! მაგათ წიგნებით უსწავლიათ ცხოვრება, მე კი ცხოვრების გულში მიტრიალია. მაგაზე თუ მიდგა საქმე. განა ჩემი თავი კი არ არის ცოდნით სავსე! ოღონდ ეგ სულ სხვაგვარი ცოდნაა. რომელი ამათგანი დასჭიმავს ბაგირებს? საჭეს ვინ მიუჯდება? ვინ იმორიგევებს? თვალწინ გადაეშალა განვლილი ცხოვრების სურათები — განსაცდელი და მამაცობა, გაჭირვება და მძიმე შრომა. გაახსენდა, რამდენი მარცხი და დაბრკოლება გამოუცდია სწავლაში. რა მოხდა მერე, არაფერი წაუგია! მაგათი ჯერიც მოვა, ეგენიც აღმოჩნდებიან ცხოვრების პირისპირ და მთელი ის ვაი-ვაგლახი ექნებათ გასავლელი, რაც მე უკვე გამოვიარე. ასეა! მანამ ეგენი ამას მოახერხებდნენ, მეც მოვასწრებ და ცხოვრების მეორე მხარეს წიგნებით შევისწავლი.

ტრამვაი უწესრიგოდ მიმოფანტული სახლების უბანს უახლოვდებოდა, ოუკლენდსა და ბერკლის შორის, და ჭაბუკმა გარეთ დაიწყო ცქერა, რომ არ გამორჩენოდა ნაცნობი ორსართულიანი სახლი, რომელზედაც ამაყად გამოეკრათ აბრა — «ჰიგინბოთამის საცალო სავაჭრო». სახლს რომ გაუპირისპირდა, ჩამოხტა. აბრას ახედა. იგი გაცილებით უფრო მეტის მთქმელი იყო მარტინ იდენისათვის, ვიდრე ზედ გამოკვეთილი უბრალო სიტყვების შინაარსი. თითქოს ყოველი ასოდან გამოსჭვიოდა უბადრუკი წვრილმანობა, სიხარბე და გულნამცეცობა. ბერნარდ ჰიგინბოთამი მისი სიძე იყო — დის ქმარი — და კარგად იცნობდა. კარი გასაღებით გააღო და მეორე სართულზე ავიდა. აქა ცხოვრობდა მისი სიძე. სავაჭრო დაბლა ჰქონდათ. დამპალი ბოსტნეულის სუნით იყო გაჟღენთილი იქაურობა. ხელისცეცებით გაჰყვა ბნელ დერეფანს და უცებ სათამაშო ეტლს წამოჰკრა ფეხი, ერთ-ერთ დისშვილს დარჩენოდა. დისშვილებით დახუნძლული იყო. ეტლი კარს მიენარცხა და ლაწანი მოადინა. «წუწურაქი!» გაიფიქრა ჭაბუკმა, «ორი ცენტი ენანება, რომ გაზის ფული გადაიხადოს და მდგმურებმა კისერი არ მოიტეხონ!»

ცეცებით მოძებნა კარის სახელური და განათებულ ოთახში შევიდა; დაცა და სიძეც იქ დაუხვდა. ქალი შარვალს უკერებდა ქმარს, გამხმარ-გაწლიკული ქმარი კი ორ სკამზე გადაკონწიალებულიყო, დაგლეჯილ ფაჩუჩებში გაყრილი ფეხები მეორე სკამიდან გადმოეშვა და გაზეთს ათვალიერებდა. ცოლისძმას გაზეთს ზემოდან გამოხედა, თავისი შავი, ცბიერი, კვესა თვალები მიაშტერა. მარტინ იდენს მუდამ ზიზღსა ჰგვრიდა მისი დანახვა. ვერ მიმხვდარიყო, რა მოეწონა დას ამ კაცისა, რომელიც მას ქვეწარმავალს აგონებდა და მზად იყო ფეხით გაესრისა. «ერთხელაც იქნება, დავუნაყავ სიფათს», თავს ინუგეშებდა ჭაბუკი, თორემ ისე გაუძნელდებოდა მისი ატანა. ახლა უკმაყოფილებას გამოხატავდა სიძის ბოროტი თვალები.

— რაო? აღარ მოგწყინდა! — უთხრა მარტინმა.

— ერთი კვირა არც კი გასულა, ეს კარი რომ შევღებე, — წამოიკნავლა თუ წამოიღმუვლა მისტერ ჰიგინბოთამმა, — კავშირებს რა ფული მიაქვთ, შენც კარგად მოგეხსენება. ცოტა უფრო ფრთხილად რომ მოიქცე, არ გაწყენს.

პასუხის გაცემა დააპირა მარტინმა, მაგრამ თავი შეიკავა, წყლის ნაყვა იქნებაო, იფიქრა. სურათს შეხედა კედელზე. გაოცებული დარჩა. ყოველთვის მოსწონდა ეგ სურათი, ახლა კი თითქოს პირველად ენახოს. მდარე რაღაცა იყო, იაფფასიანი, როგორც სხვა ყველაფერი ამ სახლში. უცებ ის სახლი გაიხსენა, საიდანაც ახლა მოდიოდა, ჯერ იქ ნანახი სურათი წარმოუდგა თვალწინ, მერე კი ის ქალი — ალერსიანი ღიმილით რომ ჩამოართვა ხელი გამომშვიდობების დროს. ერთბაშად გადაავიწყდა ბერნარდ ჰიგინბოთამიცა და მისი არსებობაც, მანამ ამ ჯენტლმენმა თვითონ არ შეახსენა თავი.

— რამე მოგეჩვენა?

მარტინი გამოფხიზლდა და წვრილ, პრიალა, ბოროტ, დამცინავ თვალებში ჩახედა. უცებ მოაგონდა, როგორ იცვლებოდა ეს თვალები, როცა მათი პატრონი საქონელს გაასაღებდა მაღაზიაში — მაშინვე ქლესა, დამტკბარი და მორჩილი გახდებოდა.

— დიახ, — მიუგო მარტინმა, — მოჩვენება ვნახე. ღამე ნებისა. ღამე ნებისა, გერტრუდა.

წასვლა დააპირა და კვლავ წამოედო უხეიროდ დაგებულ ნოხს.

— კარს ნუ გაიჯახუნებ! — გააფრთხილა ჰიგინბოთამმა.

სისხლი ყელში მოაწვა ჭაბუკს, მაგრამ თავი შეიკავა და ფრთხილად გაიხურა კარი.

მისტერ ჰიგინბოთამმა ნიშნის მოგებით გადახედა ცოლს.

— მთვრალია! — ჩაილაპარაკა მან ხრინწიანი ხმით, — ხომ გეუბნებოდი!

ცოლმა მორჩილად დაუქნია თავი.

— თვალები მართლაც უპრიალებდა, — აღიარა ქალმა, — არც საყელო მოჰყოლია, აქედან საყელოთი წავიდა. მაგრამ არა მგონია, ორ ჭიქაზე მეტი დაელიოს.

— ფეხზე ძლივს იდგა, — თავის სიტყვაზე იდგა ქმარი, — მე რას გამომაპარებს. ორი ნაბიჯი ვერ გადადგა, ფეხი რომ არ წამოეკრა. ვერ ნახე, კინაღამ კისერი მოიტეხა დერეფანში.

— ალბათ ალისის ეტლს წამოჰკრა ფეხი, — მიუგო ცოლმა. — სიბნელეში რას დაინახავდა.

მისტერ ჰიგინბოთამს უფრო და უფრო მოერია ბრაზი და ხმას აუწია. მაღაზიაში მთელი დღე ქედმოდრეკილი დაღამებას ელოდებოდა ხოლმე, რათა ოჯახში მაინც გამოეჩინა თავისი უფლებამოსილება.

— მე გეუბნები, რომ შენი ძვირფასი ძმა მთვრალია.

ცივი ხმით, მკვახედ და თავდაჯერებულად ლაპარაკობდა. ისე მოჭრით და მოკვეთით გამოთქვამდა სიტყვებს, თითქოს დაზგაზე აყალიბებსო. ცოლმა ამოიხვნეშა და გაჩუმდა. მსხვილი, მოსული ქალი იყო, მუდამ ულაზათოდ ეცვა და ერთთავად გაწყვეტილი ჰქონდა ქანცი საკუთარი სხეულის სიმძიმისაგან, შრომისაგან და ქმრისაგან.

— მამისა გამოჰყვა, — ეგეც სადმე თხრილში ჩაძაღლდება. არადა, ნახე!

ქალმა თავი დააქნია, ამოიხვნეშა და თავისი საქმე განაგრძო. შეთანხმდნენ, რომ მარტინი მთვრალი დაბრუნდა. სილამაზისა არაფერი გაეგებოდათ, თორემ მაშინვე უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ეს ანთებული თვალები და გაბრწყინებული სახე პირველი ჭაბუკური სიყვარული იყო.

— კარგ მაგალითს კი აძლევს ბავშვებს, — ერთბაშად წამოიფრუტუნა ცოლის სიჩუმით გამწყრალმა მისტერ ჰიგინბოთამმა. ზოგჯერ იმითაც იყო უკმაყოფილო, რატომ ცოლი არ მედავებაო, — ერთი კიდევ მოსვლია ამისთანა რამე, და აქედან დაიკარგოს! გაიგე?! არაფერი სასიამოვნოა, მაგის ლოთ სიფათს უყურონ უცოდველმა ბავშვებმა და გაირყვნან! — მისტერ ჰიგინბოთამს უყვარდა გაზეთში ახლად ამოკითხული სიტყვების წამოსროლა, — დიახ, ასეა ეს... სხვა სახელს მე ვერ შევარქმევ.

ცოლმა კიდევ ამოიხვნეშა, ნაღვლიანად გააქნია თავი და კერვა განაგრძო. მისტერ ჰიგინბოთამი ისევ გაზეთს დაუბრუნდა.

— იმ კვირის ქირა თუ გადაიხადა? — გაზეთს ზემოდან გამოსძახა ცოლს.

ქალმა თავი დაუქნია.

— ჯერ ისევ აქვს ფული.

— ზღვაზე როდის უნდა გაბრუნდეს?

— ალბათ ფული რომ გამოელევა, — მიუგო ცოლმა, — გუშინაც იყო სან-ფრანცისკოში, შესაფერ გემს ეძებდა. ჯერ აქვს ფული. თავის გემოზე უყვარს გემის შერჩევა.

— მამა უცხონდება! თავის გემოზე თუ არ შეარჩიეს მაგისთანა ლაწირაკმა მეზღვაურებმა! თავის გემოზე! ვერ უყურებ!

— რაღაც გემს ამზადებენო, ჩაფლული განძის საპოვნელად მიდიან თურმე... ფული თუ მეყო, იმ გემს დავუცდიო.

— აქ დარჩეს, თუ უნდა, მედროგედ ავიყვან, — თქვა ქმარმა, — ტომს უკვე ანგარიში გავუსწორე, წავიდა.

ცოლმა შიშითა და გაკვირვებით შეხედა.

— ამ საღამოს გავუსწორე ანგარიში. კარუთერესებთან გადავიდა. მეტს შეჰპირდნენ. მე მაგდენს ვერ მივცემ.

— ხომ გეუბნებოდი, გაგექცევა-მეთქი, — შესძახა ქალმა, — იმ ფულზე რას გაგიჩერდებოდა!

— მოიცა, მოიცა, დედაკაცო! — შეუღრინა ჰიგინბოთამმა, — რამდენჯერ უნდა გითხრა, სხვის საქმეში ნუ ეჩრები-მეთქი! შენისთანა ვიქნები, კიდევ რომ გეტყვი რამეს.

— მე რა მენაღვლება, მაგრამ ტომი კარგი ბიჭი იყო, — ჩაიდუდუნა ქალმა.

ქმარმა თვალები გადაუბრიალა. ეს უკვე მეტისმეტი იყო!

— კაცად რომ ვარგოდეს შენი ძმა, ფურგონზე დავსვამდი, — წამოიფრუტუნა ჰიგინბოთამმა.

— რა მართებს შენი? ქირას წესიერად გიხდის, — აღარ მოუთმინა ცოლმა, — რა ხელწამოსაკრავად გაიხადე, რა უფლება გაქვს, ძმა არის ჩემი! შვიდი წელიწადია შენს ხელში ვარ, მაგრამ ცოტა გრძნობა მაინც შემრჩა.

— არ გააფრთხილე? თუ კიდევ არ მოიშალა ღამღამობით წიგნის კითხვა, გაზის ფულიც უნდა იხადოს! — უთხრა ქმარმა.

მისის ჰიგინბოთამს აღარაფერი უპასუხნია. უცებ ჩაქრა, დაქანცულმა სხეულმა დაიმორჩილა აღშფოთებული სული. ქმარი გამარჯვებას ზეიმობდა. დასჯაბნა! თვალები ბოროტი სიხარულით გაუბრწყინდა, ქალის ჩუმი ზლუქუნი ყურში საამურად ჩაესმოდა. დიდი ბედნიერება განიცადა ქალის მოდრეკით. ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ადვილად ადრეკინებდა ქედს, ადრე კი, დაქორწინების პირველ წლებში, მანამ ქალს ხშირი მშობიარობა და ქმრის განუწყვეტელი ჭიჭყინი ქანცს არ გაუწყვეტდა, უფრო ძნელი იყო ესა.

— ხვალვე გააფრთხილე, მორჩა და გათავდა, — უთხრა მან, — ჰო, ახლავე გეტყვი, რომ მერე არ დამავიწყდეს: მარიენთანაც გაგზავნე ხვალ ვინმე, ბავშვებს მიხედოს. ფურგონზე მე თვითონ უნდა დავჯდე, რაკი ტომი წავიდა; შენ მაღაზიაში ჩასვლა მოგიწევს.

— ხვალ რომ სარეცხი მაქვს, — გაუბედავად შეესიტყვა ქალი.

— ადრე ადგები და მოითავებ. ათ საათამდე ვერც წავალ მე.

გაზეთი გაბრაზებით შეაბრუნა და კითხვა განაგრძო.

თავი მეოთხე

სიძესთან შეჯახების შემდეგ სახეში მოწოლილი სისხლი ჯერ კიდევ არ დასცხრომოდა მარტინ იდენს, რომ ჩაბნელებული დერეფანი გაიარა და თავის ოთახში შევიდა. ეს იყო პატარ სორო, რომელშიაც საწოლი, პირსაბანი და ერთი სკამი ძლივს ეტეოდა. მისტერ ჰიგინბოთამისთანა ხელმოჭერილი კაცი მოსამსახურეს რას აიყვანდა, მანამ ცოლს მუშაობა შეეძლო! თანაც რაკი მოსამსახურის ოთახი თავისუფალი იყო, შეეძლო ერთის ნაცვლად, ორი მდგმური ჰყოლოდა. სუინბერნისა და ბროუნინგის ტომები მარტინმა სკამზე დააწყო, ქურთუკი გაიხადა და ლოგინზე ჩამოჯდა. სხეულის სიმძიმისაგან ზამბარებმა ჭრიალი იწყეს, მაგრამ ჭაბუკს არც კი შეუმჩნევია. ფეხსაცმლის გასახდელად რომ დაიხარა, თეთრად შეფეთქილ კედელზე თვალი მოჰკრა ყავისფერ ლაქებს — სახურავიდან წვიმა ჩამოსულიყო და ჭერი ჩამოერეცხა. ამ ჭუჭყიან ფონზე იწყო გამოსახვა და გაუჩინარება სხვადასხვა მოჩვენებებმა. ფეხსაცმლის გახდა სულაც გადაავიწყდა ჭაბუკს, კედელს გაუშტერა თვალი, მანამ ტუჩები უნებურად არ შეერხა: «რუთ!» ჩაიბუტბუტა მან.

«რუთ!» ვერ წარმოიდგენდა ასეთი უბრალო ბგერა ამდენ სილამაზეს თუ გამოსცემდა. ყურს საამურად ჩაესმა და მარტინმა რამდენჯერმე სიყვარულით გაიმეორა «რუთ!» ჯადოდ, თილისმად იქცა ეს სიტყვა. რამდენს წარმოთქვამდა, იმდენი მისი სახე აუელვარდებოდა თვალწინ, დალაქავებულ კედელს ოქროს შარავანდედი დაედგა. განა მარტო კედელს — გარეთაც გაიჭრა, უსასრულობად იქცა ეს შარავანდი, და იქ, იმ ოქროსფერ სივრცეში, ჭაბუკის სული ქალის სულს ეძებდა. რაც კი საუკეთესო ჰქონდა ჭაბუკს, ნიაღვრად გადმოვიდა მისი არსებიდან. ამ ქალის უბრალო გახსენებაც კი აკეთილშობილებდა და ასპეტაკებდა მას, უფრო კარგსა ხდიდა, სურვილს აღუძრავდა კიდევ უკეთესი გამხდარიყო. ასეთი რამ ჯერ არ განეცადა. აქამდე ერთხელაც არ შეხვედროდა ქალს, რომელსაც გაეკელშობილებინოს იგი. პირიქით, მხეცად აქცევდნენ ხოლმე. მარტინმა არ იცოდა, რომ ბევრი იმათგანი ყველაფერს სწირავდა ჭაბუკს, რაც კი რამ საუკეთესო ჰქონდა. არც ის იცოდა, ერთხელაც არ დაფიქრებულა, თავად რა ჰქონდა ისეთი, რითი იზიდავდა ხოლმე, რითი აღუძრავდა სიყვარულს ყველა ქალს. მოსვენებას არ აძლევდნენ ქალები, მას კი, თვითონ, სულაც არ ენაღვლებოდა ისინი. ფიქრშიაც არ გაუვლია, რომ ზოგიერთი ქალი მის გამო და მისი წყალობით გაკეთილშობილდა. აქამდე დაუდევრად და გულგრილად ეპყრობოდა ყველას, და ახლა მიხვდა, რომ ისინი თავიანთი ბილწი ხელებით ცდილობდნენ ხოლმე მის დაპყრობას. უსამართლოდ ექცეოდა იმათაც და საკუთარ თავსაც. მაგრამ განსჯა არ შეეძლო, რადგან პირველად მხოლოდ ახლა ასწონ-დასწონა გონებაში თავისი მოქმედება, და სირცხვილით ლოყა აეწვა, როცა ბევრი სამარცხვინო საქციელი გაიხსენა.

წამოხტა და გათხუპნულ სარკეში ჩაიხედა, რომელიც პირსაბანის თავზე ეკიდა. პირსახოცით გადაწმინდა და ისევ ჩაიხედა, დიდხანს ათვალიერა. პირველად

ხედავდა ფაქტიურად თავის თავს. მახვილი თვალი კი ჰქონდა, მაგრამ აქამდე ცხოვრების მრავალფეროვან სურათებს უცქერდა და დრო აღარ რჩებოდა, საკუთარი თავისთვისაც შეეხედა. შეჰყურებდა სარკეში ოცი წლის ჭაბუკს, მის სახეს ათვალიერებდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, კარგი იყო თუ არა; შეჩვეული არ ყოფილა სილამაზის შეფასებას. სწორ, მომაღლო შუბლის ზემოთ წაბლისფერი ქოჩორი აშლილიყო. ქალებს განსაკუთრებით უყვარდათ ეს ხუჭუჭა თმა, შიგ თითებს აცურებდნენ, უალერსებდნენ. მაგრამ ახლა უგულოდ შეხედა ჭაბუკმა: იმისთვის ამას ფასი არ ექნებაო, გადაწყვიტა. მაღალ შუბლს დააკვირდა, თითქოს შიგ ჩახედვას ლამობსო, ცდილობდა გაეგო, რა იყო შიგ და რას წარმოადგენდა. როგორი ტვინი დევს შიგ? დაჟინებით ეკითხებოდა თავს. რა შეუძლია, რა ძალა აქვს? რა მიმაღწევინებს? იმას მომაპოვებინებს?

ნეტა სული თუ დგას ამ მორუხო თვალებში, რომლებიც ზოგჯერ ლურჯად აენთებიან, თითქოს მზით გასხივოსნებული ზღვა ჩადგომოდეს?! ან იმას თუ მოეწონება ნეტა ეს თვალები? ასეთმა ფიქრმა მოიცვა ჭაბუკის თავი. სცადა იმ ქალის თვალებით შეეხედა საკუთარი თვალებისათვის, მაგრამ არ გამოუვიდა. საერთოდ, ადვილად სწვდებოდა ხოლმე სხვა ადამიანების ფიქრებს, მაგრამ იმათი ასავალ-დასავალი კარგად იცოდა. რუთს კი სულაც არ იცნობდა. იდუმალებით მოცული საკვირველება გამხდარიყო ეს ქალი, ერთ ფიქრსაც კი ვერ გამოიცნობდა მისას. ერთი რამ კი შეიძლება ითქვას, დაასკვნა მან ბოლოს, პატიოსანი თვალებია, სიბილწისა და სიგლახის ნატამალი არა სცხიათ. კანის სიშავემ გააკვირვა — არ ეგონა, ასე მაგრად თუ ჰქონდა მზე მოკიდებული. სახელო წამოიწია და თეთრი მკლავი სახეს შეადარა. არა, თეთრი ადამიანი ეთქმის, რაც უნდა იყოს. თუმცა მკლავებზეც კარგა გვარიანად მოჰკიდებოდა მზე. იდაყვში მოხარა მკლავი და მეორე ხელით კუნთები გადასჭიმა, ის ადგილი გამოაჩინა, რასაც მზის სხივი თითქმის სულ არ მოხვედროდა. ქათქათა თეთრი იყო. კიდევ შეათვალიერა გარუჯული სახე სარკეში და როცა წარმოიდგინა, ოდესმე ესეც იმგვარივე თეთრი იქნებაო, გაეცინა. თავშიაც არ მოსდიოდა აზრი, რომ ქვეყნად ბევრი ქალი ვერ დაიტრაბახებდა ასეთი ქათქათა კანით.

ანგელოზის ბაგე-პირი ჰქონდა, მაგრამ გაბრაზების დროს მაგრად იცოდა სავსე, ვნებიანი ტუჩების მოკუმვა. ზოგჯერ ისე მაგრად მოკუმავდა, რომ სახეს ასკეტური სიმკაცრის იერი ეძლეოდა. ეს იყო მეომრისა და შეყვარებულის ტუჩები: შეეძლო ცხოვრების მთელი სიტკბოება ეგემნა და განეცადა, და ისიც ადვილად შეეძლო, ეს სიტკბოება განზე დაეტოვებინა და თავად გამხდარიყო მბრძანებელ-წარმმართველი ცხოვრებისა. ნიკაპი და სიძლიერის გამომეტყველი ქვედა ყბა კიდევ უფრო მეტად აძლევდა ტუჩებს მბრძანებლურ იერს. თანდაყოლილ გრძნობიერებას ძალა აწონასწორებდა და ამიტომაც ჯანსაღი სილამაზე უყვარდა. ტუჩებს შორის ჩაწიკწიკებული კბილები მოუჩანდა, რომელთაც ჯერ არ დასჭირვებოდა და არც შეხებოდა ექიმის ხელი. კარგად გასინჯა და დაასკვნა, რომ თეთრი, მაგარი და ლამაზი კბილები ჰქონდა. მაგრამ უცებ უსიამოვნო გრძნობამ შეაწუხა: სადღაც გაეგონა და თავში ბუნდოვნად ჩარჩენოდა, რომ ზოგი ადამიანი ყოველდღიურად იწმენდს კბილებს. ალბათ, მაღალი წრის ხალხი, იმის წრის ხალხი! ისიც ალბათ, ყოველდღე იწმენდს კბილებს. ნეტა რას იტყვის, თუ გაიგო, რომ მას, ამ ჭაბუკს, მთელ თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ გაუხეხავს კბილები? გადაწყვიტა ჯაგრისი ეყიდა და ჩვეულებად გაეხადა კბილების წმენდა. ახლავე უნდა დაიწყოს, ხვალვე. მარტო მამაცობით ვერაფერს გახდება, ვერ დაიპყრობს ქალის გულს. ერთიანად უნდა შეიცვალოს — დაწყებული კბილის ჯაგრისითა და საყელოთი... თუმცა, რამდენს

გაიკეთებდა გახამებულ საყელოს, ისეთი გრძნობა მოიცავდა, თითქოს თვითონვე ისპობდა თავისუფლებას.

ხელი გადმოაბრუნა და დაკოჟრილ ნებს ცერი გადაუსვა. ისე გამჯდარიყო კანში ჭუჭყი, რომ მაგარი ჯაგრისითაც ვერ ამოხეხავდა. ახლა იმის ხელი შეადარე! გახსენებაზეც კი სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. ვარდის ფურცელივით რბილი, თოვლის ფანტელივით გრილი და ფაფუკი, გაიფიქრა მან. ვერც წარმოედგინა, ასე საამურად რბილი თუ შეიძლებოდა ყოფილიყო ქალის ხელი. უცებ თავში გაჰკრა, რა დიდებული იქნება ასეთი ხელი რომ მოგეფეროსო, და თვითონაც გაწითლდა დამნაშავესავით. თავხედობა იყო ასეთი ფიქრი, მის სულიერ სიწმინდეს შეურაცხყოფდა: ის ხომ ფერმიხდილი, ჰაეროვანი სული იყო, ყოველგვარ მიწიერს მოშორებული და ცაში მონარნარე. მაინც ვერ იშორებდა ამ ფიქრს, ქალის ხელების სირბილე და სიფაფუკე თავში ჩაჭდობოდა. ფაბრიკებში მომუშავე ქალების დაკოჟრილ ხელებს იყო შეჩვეული. იცოდა, რაღა თქმა უნდა, რისგან ჰქონდათ ასეთი ხელები... მაგრამ იმისი ხელები! მძიმე სამუშაოს არ გაჰკარებია და მიტომაც არის ასეთი ნაზი. მათ შორის გაწოლილმა უფსკრულმა კვლავ დააღო პირი, როცა ჭაბუკმა წარმოიდგინა, რომ არსებობს ხალხი, რომელთაც ლუკმაპურის მოსაპოვებლად მუშაობა არა სჭირდებათ. თვალწინ დაუდგა მუშაობას შეუჩვეველი არისტოკრატის სახე: დალაქავებულ კედელზე გამოიკვეთა ქედმაღალი და ძლიერი ბრინჯაოს ქანდაკება. თვითონ კი, რაც თავი ახსოვს, სულ მუშაობს, ბავშვობის პირველი მოგონება მუშაობასთან არის დაკავშირებული; და მთელი მისი ოჯახისაც. გერტრუდა აგერ: როცა ხელები დაკოჟრებული არა ჰქონდა ოჯახის მძიმე სამუშაოსაგან, სულ ერთია, მოხარშული ხორცივით დაუსივდებოდა და დაუწითლდებოდა რეცხვის გამო. ახლა მეორე და — მარიენი: საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა იგი წარსულ ზაფხულს და თავისი წვრილი, ლამაზი ხელები პამიდორის საჭრელი დანით ერთიანად დაისერა. ზამთარში კი, მუყაოს ფაბრიკაში მუშაობის დროს, მანქანამ თითის წვერები წააცალა. გაახსენდა, რა დაკოჟრილი ხელები ჰქონდა დედამისს, როცა იგი კუბოში ესვენა. მამაც სულის ამოხდომამდე მუშაობდა. გოჯის სიმსხო კოჟრები ასხდა ხელზე, როცა მოკვდა. იმას კი როგორი რბილი ხელები აქვს! დედამისსაც! ძმებსაც! ეს რომ გაიფიქრა, გაკვირვებამ მოიცვა: აჰა, რამსიმაღლეზე ასულა იმათი კასტა, რა დიდი უფსკრული ყოფილა იმ ქალსა და ჭაბუკს შორის.

მწარედ გაეცინა, ისევ ჩამოჯდა ლოგინზე და, როგორც იქნა, ფეხსაცმლის გახდას მორჩა. გასულელდა თუ რა მოუვიდა? ასე როგორ დაათრო ქალის სახემ და თეთრმა ხელებმა? და დალაქავებულ კედელზე ისევ გამოისახა წარსული სურათი: პირქუში სახლის წინა დგას, ლონდონის ისტ-ენდზე, საღამო ხანია, მარჯიც იქვეა, ფაბრიკაში მომუშავე თხუთმეტი წლის პატარა გოგონა. რაღაც დღესასწაულიდან შინ მიუცილებია. ამ პირქუშ სახლში ცხოვრობს გოგონა, საღორედაც რომ არ გამოდგება. გამომშვიდობებისას ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, გოგონამ ტუჩები მიაგება საკოცნელად, მაგრამ ბიჭს სულაც არ დაუპირებია კოცნა. რაღაცნაირად აშინებდა ეს გოგო. მაშინ გოგომ ცახცახით მოუჭირა ბიჭს ხელი. ერთიანად დაკოჟრილი ხელი ჰქონდა და ბიჭს სიბრალული მოერია. ახლაღა შეხედა მის სევდიან დამშეულ თვალებს, შიმშილით გალეულ მის ბავშვურ სხეულს, რომელსაც თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც შეჰპარვოდა ველური სიმწიფე. ხელი მოხვია, დაიხარა და ტუჩებში აკოცა. გოგომ სიამოვნებისაგან წამოიკნავლა და კატასავით მოებღაუჭა. საწყალი დამშეული გოგონა!.. მარტინი კვლავ შეჰყურებდა დიდი ხნის წინანდელ სურათს. ტანში ჟრუანტელი უვლიდა, როგორც იმ ღამეს, როცა გოგონა ჩაებღაუჭა მას, და გული სიბრალულით გაუთბა. გულისმომწყვლელი სურათი იყო და წვიმის წვეთებიც

გულისმომწყვლელად ეცემოდა ქვაფენილს. მაგრამ უცებ კვლავ განათდა კედელი, ახალმა გამოსახულებამ გაიბრწყინა, იმ ქალის ფერმიხდილმა, ოქროსფერი თმის გვირგვინით დამშვენებულმა სახემ გაიელვა, ვარსკვლავივით შორეულმა და მიუწვდომელმა.

სუინბერნისა და ბროუნინგის ტომები აიღო და კოცნა დაუწყო. ასეა თუ ისე, თვითონვე მითხრა, გამომიარეო, გაიფიქრა ჭაბუკმა. ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში და ზეიმით თქვა:

— მარტინ იდენ, გაიღვიძებ თუ არა ხვალ დილით, საჯარო ბიბლიოთეკაში წახვალ და ქცევის წესებს წაიკითხავ. გასაგებია?!

სინათლე ჩააქრო და საწოლის ზამბარები კვლავ აჭრიალდა მისი სხეულის სიმძიმისაგან.

— ოღონდ გინებას თავი უნდა დაანებო, მარტინ! გესმის, ვაჟბატონო, გინებას თავი უნდა დაანებო! — ხმამაღლა თქვა მან.

და ჩაეძინა კიდეც. რათა ისეთი სიზმრები ენახა, რაზეც ოპიუმის მწევლები ვერ იოცნებებდნენ.

თავი მეხუთე

მეორე დილას, ტკბილი სიზმრებიდან რომ გამოეღვიძა, ჰაერი ორთქლის სინოტივით იყო გაჟღენთილი, ირგვლივ საპნისა და ჭუჭყიანი სარეცხის სუნი იდგა, ყურისწამღები ჭიჭყინი და ლანძღვა-გინება ისმოდა, რაც გაძაღლებულ ცხოვრებას თან სდევს ხოლმე. ოთახიდან რომ გამოვიდა, წყლის ტლაშუნი შემოესმა, ამას მოჰყვა გამწარებული კივილი და ტკაცანის ხმა — დამ, გულის მოსაფხანად, თავის მრავალრიცხოვან შთამომავალთაგან ერთ-ერთს სილა უთავაზა. ბავშვის წივილმა ყური დანასავით გაუსერა მარტინს. ყველაფერი, ჰაერიც კი, რასაც იგი ისუნთქავდა, ბილწი და გულისამრევი იყო. ერთი ის სახლი შეადარე! გაიფიქრა მან, ის სილამაზე და სიმშვიდე, რაც რუთის სახლში სუფევს! იქ ყველაფერი ციური და ამაღლებულია; აქ — ბილწი, ხელშესახები!

— აქ მოდი, ალფრედ! — გასძახა მან ატირებულ ბავშვს და ჯიბიდან ფული ამოიღო. ფულის ანგარიში არ უყვარდა, დაუდევრად ხარჯავდა, საერთო დაუდევრობა ამაშიაც ეტყობოდა. ასლუკუნებულ ბიჭს ოცდახუთცენტიანი ჩაუდო ხელში და აიტატა, მოეფერა.

— გაიქეცი და კამფეტი იყიდე, ოღონდ სხვებსაც გაუნაწილე. ისეთი შეარჩიე, რომ დიდხანს არ დნებოდეს პირში.

რეცხვისაგან ერთიანად გაჭარხლებულმა დამ თავი წამოსწია და შეხედა.

— ათი ცენტიც კარგად ეყოფოდა, — უთხრა მან, — სულ არ იცი ფულის ყაირათი. ბავშვიც ამოიყორება.

— ეგ არაფერი, — მხიარულად უპასუხა მარტინმა, — ჩემმა ფულმა თვითონ იცის ყაირათი. არ მინდა საქმეს მოგაცდინო, თორემ ერთს გაკოცებდი.

ცდილობდა ალერსიანად მოპყრობოდა დას, რომელსაც გული ჰქონდა და თავისებურად უყვარდა ძმა. მარტინი ამას მუდამ გრძნობდა. თუმცა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო იცვლებოდა, მძიმე ხასიათი გაუხდა. ასე იცის არაადამიანურმა შრომამ, ამდენმა ბავშვებმა და ქმრის უხასიათობამ, დაასკვნა მარტინმა. და უცებ თავში გაუელვა: თითქოს მთლიანად გაიჟღინთა დამპალი ბოსტნეულის, აქოთებული სარეცხისა და გაქონილი ხურდა ფულის სუნით, რასაც იგი დახლში ითვლიდა ხოლმე.

— წადი, ისაუზმე, — მკვახედ უთხრა დამ, თუმცა გულში ნასიამოვნები იყო. ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაფანტულ ძმათაგან მარტინი მას გამორჩეულად უყვარდა.

— მოდი, გაკოცებ, რაც იყოს, იყოს, — ერთბაშად აუჩვილდა გული ქალს.

ჯერ ერთი მკლავიდან ჩამოიწრიტა თითებით საპნის ქაფი, შემდეგ მეორიდან. მარტინმა ჩამსხვილებულ წელზე მოხვია ხელი და სველ, დაორთქლილ ტუჩებში აკოცა. თვალები ცრემლით დაებერა ქალს — იმდენად არა მოზღვავებული გრძნობებისაგან, რამდენადაც გამუდმებული ქანცის გაწყვეტისაგან. ხელი ჰკრა ძმას და მოიშორა, მაგრამ მარტინმა მაინც შენიშნა ცრემლი.

— ღუმელშია საუზმე, ჯიმიც ადგებოდა აქამდე. მე ადრიანად ავდექი, სარეცხი მქონდა, — ერთბაშად მიაყარა დამ, — დღეს აქ მთელი ალიაქოთი იქნება — ტომი წავიდა, ბერნარდს თვითონ მოუწევს ფურგონის ტარება.

გულჩაწყვტეილი მარტინი სამზარეულოსკენ გაემართა, დის გაჭარხლებული სახე და ჩამობრანძულ-ჭუჭყიანი ტანსაცმელი თავში ჩაეჭდო და როგორც რაიმე მაგარი სიმჟავე, ისე ჩააკვდა, რომ აღარ შორდებოდა. დრო რომ ჰქონოდა, ალბათ ვეყვარებოდი კიდეც, დაასკვნა მან. მაგრამ ამდენ მუშაობას სიკვდილის პირს მიუყვანია. ნამდვილი პირუტყვია ბერნარდ ჰიგინბოთამი, ასე უღმერთოდ რომ ამუშავებს ცოლს. ერთი ფიქრიც აეკვიატა მარტინს — არავითარი სილამაზე დის კოცნაში არა ყოფილა. თუმცა უჩვეულო კოცნა კი იყო. აქამდე მხოლოდ მაშინ თუ აკოცებდა, როცა მარტინი ზღვიდან დაბრუნდებოდა, ან როცა მიემგზავრებოდა ხოლმე ზღვაზე. საპნის გემო დაჰყვებოდა ამ კოცნას და ტუჩებიც მოშვებული იყო. ერთბაშად თუ არ იგრძენი ტუჩების მოჭერა, რაღა კოცნაა! ეს იყო ქანცგაწყვეტილი ქალის კოცნა, რომელსაც დიდი ხნის გადაღლილობისაგან კოცნა სულაც გადავიწყებოდა. გაახსენდა, ქალიშვილობის დროს როგორი იყო მისი და, გათხოვებამდე: სამრეცხაოში მთელი დღის მძიმე მუშაობის შემდეგ, შეეძლო ეცეკვა და ეცეკვა, გათენებამდე ეცეკვა, არც კი შეაწუხებდა იმისი ფიქრი, რომ მეორე დღეს კვლავ სამრეცხაოში იყო წასასვლელი. და ისევ რუთი გაახსენდა: ტუჩებიც ისეთივე ტკბილი და საამური ექნება, როგორც ყველაფერი; მისივე ხელის ჩამორთმევას ემგვანება მისი კოცნა, ან შემოხედვას — პირდაპირსა და გულწრფელს. ოცნებაში ისიც კი გაბედა და წარმოიდგინა, როგორ ეხებოდა ტუჩებით მის ტუჩებს. ისეთი ცოცხალი იყო ეს წარმოდგენა, რომ ერთბაშად თავბრუ დაესხა, ვარდის ფურცლების ღრუბლებში გაეხვია, ტვინი ვარდის სურნელებამ დაუბნიდა.

სამზარეულოში ჯიმი დაუხვდა, მეორე მდგმური, უგემურად ჭამდა ფაფას, უსიცოცხლო თვალები სივრცისთვის გაეშტერებინა. ზეინკლის შეგირდი იყო, უნებისყოფობის გამომხატველი ნიკაპი და დუნე ხასიათი სანუგეშოს არაფერს უქადდა ცხოვრებაში, ლუკმაპურისათვის გამწარებულ ბრძოლაში ბევრს ვერაფერს მიაღწევდა.

— რატომ არა ჭამ? — ჰკითხა მან მარტინს, რომელიც უხალისოდ ჩიჩქნიდა ნახევრად მოუხარშავ, ცივ შვრიის ფაფას, — წუხელაც დათვერი?

მარტინმა თავი გააქნია. მთელი ეს უბადრუკობა, რასაც ირგვლივ ხედავდა, მას გულს უკლავდა. ახლა კიდევ უფრო შორს მოეჩვენა რუთ მორზი.

— მე კი მაგრად გამოვიბრუჟე, — წაიტრაბახა ჯიმმა და ნერვული ქირქილი აუტყდა, — სულ გავიჟღინთე. უჰ, რა გოგო იყო! ბილიმ მომათრია შინ.

მარტინმა თავი დაუქნია, მესმისო, აგრძნობინა — ასეთი ჩვეულება ჰქონდა, ვინც უნდა ყოფილიყო, ყველას ასე აგრძნობინებდა, გისმენო. მერე ნელთბილი ყავა დაისხა.

— «ლოტოსის» კლუბში არ წამოხვალ ამაღამ საცეკვაოდ? — ჰკითხა ჯიმმა, — ლუდიც ექნებათ. ტემესკალელი ვაჟბატონებიც თუ მობრძანდნენ, მაშინ ნახე, რა ჩხუბი გახურდება! თუმცა მე რა მენაღვლება. ჩემს გოგოს მაინც მოვიყვან. ფუჰ, რა გემო მაქვს პირში. — დაიჭყანა და ყავით სცადა გემოს გამოკეთება.

— ჯულიას ხომ იცნობ?

მარტინმა თავი გააქნია.

— ჩემი გოგოა, — განუმარტა ჯიმმა, — ჩასაკვნეტია, პირდაპირ. გაგაცნობდი, მაგრამ წამართმევ. ვერ გამიგია, რატომ კარგავენ შენზე ჭკუას გოგოები. ვინც უნდა იყოს, ყველას წაართმევ.

— შენთვის როდის წამირთმევია! — უხალისოდ უთხრა მარტინმა.

— როგორ არა, მეც წამართვი! — მგზნებარედ შეესიტყვა ჯიმი, — მეგი არ გახსოვს?

— არც გავკარებივარ. იმ ღამის მეტად არც მიცეკვია მასთან.

— ჰოდა, საქმეც ეგ არის, — შესძახა ჯიმმა, — იმ ერთხელ იცეკვე, შეხედე და მორჩა, ცუდი არაფერი გდებია გულში, მაგრამ მე ძვირად დამიჯდა. ზედაც აღარ შემომხედა. სულ შენს ამბავს მეკითხებოდა. რომ მოგენდომებინა, მაშინვე პაემანს დაგინიშნავდა.

— აკი არ მოვინდომე!

— მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს. მე მაინც მშრალზე დავრჩი. — ჯინმა აღტაცებით შეხედა, — მითხარი მაინც, როგორ ახერხებ მარტ!

— ზედაც არ უნდა შეხედო, ვითომ არც გაინტერესებს, — იყო პასუხი.

— შენ ისე გიჭირავს თავი, თითქოს სულ არ გაინტერესებს? — ჩააცივდა ჯიმი.

მარტინი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— ეგეც ალბათ გასჭრის, მაგრამ ჩემი საქმე სულ სხვაა... მე მართლაც არავის დავუინტერესებივარ... დიდად. სცადე მაინც, იქნებ გაგიმართლოს.

— ნეტა შენც ყოფილიყავი წუხელ რაილის სოროში, — უცებ სულ სხვა რამეზე გადახტა ჯიმი, — ზედახორა გამართეს. ერთი ბიჭი მოვიდა, ქვემო ოუკლენდელი. ზორბა ვინმე კი იყო. ვირთაგვას ეძახდნენ. ატლასივით სხმარტალებდა. კაცმა ვერ მოჰკიდა ხელი. შენა გნატრობდით ყველანი, სად იყავი მაინც?

— ოუკლენდში, — მიუგო მარტინმა.

— თეატრში შეხვედი?

მარტინმა თავისი თეფში გვერდზე მისწია და წამოდგა.

— ამაღამ არ წამოხვალ საცეკვაოდ? — მიაძახა ჯიმმა.

— არა... არა მგონია, — უპასუხა მარტინმა.

კიბეზე დაეშვა, ქუჩაში გავიდა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა. ისედაც სული ეხუთებოდა, და შეგირდის ლაქლაქმა ლამის გააგიჟა. თავს ძლივს იკავებდა, რომ არ წამოვარდნილიყო და ცხვირით ფაფაში არ ჩაემხო. რაც მეტს ყბედობდა, მით უფრო შორს ეჩვენებოდა მარტინს რუთი. განა შეიძლება, ამისთანა ნახირში გარეული კაცი ოდესმე მისი ღირსი გახდეს?! ჩიხში მოემწყვდია ამ თავსატეხ ამოცანას, მიწასთან გაესწორებინა თავისი წრის — მუშათა კლასის მდგომარეობას. თითქოს ყველაფერი მას ჩამოჰკიდებოდა და დაბლა ეწეოდა — დაც, დის სახლი და ოჯახიც, შეგირდი ჯიმიც და ყველა, ვისაც კი იცნობდა, ყველაფერი, რაც კი ცხოვრებასთან აკავშირებდა, სიცოცხლემ გემო დაკარგა. აქამდე უბრალოდ უყურებდა ცხოვრებას, არც დაფიქრებულა — კარგია თუ ცუდიო; მარტო მაშინ თუ ჩაუფიქრდებოდა, როცა წიგნებს კითხულობდა მაგრამ წიგნი ხომ მაინც წიგნია — ტკბილი ზღაპარი არარსებულ სანეტარო სამყაროზე. ახლა კი საკუთარი თვალით ნახა ეს სამყარო —

ნამდვილი და ხელშესახები, რომლის გულშიც ყვავილი ამოსულიყო, რუთი ერქვა ამ ყვავილს. ახლაღა იგემა ცხოვრების სიმწარე, მტანჯველი სურვილი და უიმედობა, განსაკუთრებით მწარე სწორედ იმიტომ, რომ მას იმედი კვებავდა.

ვეღარ გადაეწყვიტა, სად წასულიყო — ბერკლეის საჯარო ბიბლიოთეკაში თუ ოუკლენდისაში. ბოლოს ისევ ოუკლენდი არჩია, რადგან რუთი ცხოვრობდა ოუკლენდში. ვინ იცის... ბიბლიოთეკაში ალბათ ხშირად დადის — ხომ შეიძლება იქ შეხვდეს! ასავალ-დასავალი არ იცოდა ბიბლიოთეკისა, ბელეტრისტიკის განყოფილებას რომ მიადგა, საშველი აღარ დაადგა მის გათავებას, მანამ ბოლოს სანდომიანი სახის გოგონამ, რომელიც ფრანგს ჩამოჰგავდა და, ალბათ, მორიგე იყო, არ უთხრა — საცნობარო ზემო სართულშიაო. ვეღარ მოიფიქრა, მაგიდასთან მჯდომ კაცისთვის მიემართა, და პირდაპირ ფილოსოფიის განყოფილებაში მოხვდა. გაეგონა, რომ ფილოსოფიური წიგნები არსებობდა, მაგრამ რას იფიქრებდა, ამდენი თუ იქნებოდა. მძიმე ტომებით გამოტენილმა, მაღალმა კარადებმა ერთბაშად გაანადგურა და წააქეზა კიდეც. აი, სამუშაო მისი ტვინისათვის! მათემატიკის განყოფილებაში ტრიგონომეტრიულ წიგნებს წააწყდა და დიდხანს ფურცლავდა, გაკვირვებით დაჰყურებდა უაზრო ფორმულებსა და ციფრებს. სიტყვები ინგლისური იყო, მაგრამ აზრი მაინც ვერ გამოიტანა. ნორმანსა და ართურს ესმოდათ ამისი აზრი. აკი ლაპარაკობდნენ იმ დღეს. ნორმანი და ართური კი იმისი ძმები არიან. იმედდაკარგულმა დატოვა ეს განყოფილება. თითქოს ყოველი მხრიდან მოიწევდნენ ეს წიგნები და სრესდნენ, ანადგურებდნენ. ვერ წარმოედგინა, ასეთი ფართო და ვრცელი თუ იყო ადამიანის ცოდნა. დაფრთხა. ამას მოერევა ოდესმე მისი ტვინი? მაშინვე გაახსენდა, რომ ამისი მომრევი ხალხი იყო, ბევრიც იყო. და, სუნთქვაშეკრულმა, გულში დაიფიცა, მხურვალედ დაიფიცა — რისთვისაც სხვებს მიუღწევია, იმას ჩემი ტვინიც მიაღწევსო.

შეჰყურებდა სიბრძნით გამოტენილ თაროებს და ხან სასოწარკვეთა მოერეოდა, ხან იმედით აღევსებოდა გული. საერთო განყოფილებაში ნორის კონსპექტს წააწყდა. მოწიწებით გადაშალა. ახლობელი ეჩვენა. ისიც ზღვის კაცი გამოდგა. მერე ბაუდიჩის, ლეკეის და მარშალის წიგნებიც ნახა. აჰა, მიაგნო. ზღვაოსნობას შეისწავლის. სმას თავს გაანებებს, მაგრად ჩაუჯდება და კაპიტანი გახდება. უცებ სულ ახლოს ეჩვენა რუთი. კაპიტნობას რომ მიიღებს, მერე უკვე შეუძლია რუთი შეირთოს (ქალიც თუ მოისურვებს). თუ არ მოისურვებს, რა გაეწყობა, კაცურად ხომ მაინც იცხოვრებს, და ესეც მისი წყალობა იქნება. სმას კი ახლავე დაანებებს თავს. მერე გემის მფლობელები და დამზღვევები დაუდგა თვალწინ, კაპიტნის ეს ორი პატრონი თუ ბატონი, რომელთა ინტერესები მუდამ ერთმანეთს ეჯახება, და მაშინვე გაიფიქრა — ერთ-ერთი მათგანი უსათუოდ დამღუპავს, ეს გარდაუვალია. ოთახში თვალი მიმოატარა და ერთბაშად ათი ათასი ტომის დანახვაზე ქუთუთოები დაეხუჭა. არა. ზღვას საბოლოოდ უნდა გამოეთხოვოს. წიგნების ამ საგანძურში უდიდესი ძალა იმალება და დიდი საქმეების შეჭიდებას თუ აპირებს, ბარემ ხმელეთზე შეეჭიდოს. თანაც, კაპიტნებს ნება არა აქვთ, ცოლები თან იყოლიონ გემზე.

შუადღემ მოატანა. მოსაღამოვდა. მარტინს საჭმელიც გადაავიწყდა, გამწარებით ეძებდა წიგნებს საზოგადოებაში ქცევის წესებზე; რადგან იმ დიდ საქმეებს გარდა, რასაც იგი ცხოვრების მიზნად ისახავდა, მისი გონება ახლა ერთ უბრალო და კონკრეტულ საკითხს მოეცვა — ახლად გაცნობილი ლედი რომ გთხოვს, კიდევ მოგვინახულეო, რამდენ ხანში შეუძლია კაცს მისვლა? როგორც იქნა, მიაგნო კიდეც ასეთ წიგნს, მაგრამ ამ კითხვის პასუხი მაინც ვერ ამოიკითხა. თავაზიანობის წესების სიმრავლემ მოსპო და გაათავა, წესიერი საზოგადოების ადამიანთა შორის სადარბაზო

ბარათების გაცვლათა ლაბირინთში დაიბნა და იძულებული გახდა თავი გაენებებინა. ვერ იპოვა ის, რასაც ეძებდა, მაგრამ ძებნის დროს დარწმუნდა, რომ თავაზიანობის წესების შესწავლას მთელი სიცოცხლე დასჭირდება ადამიანისა; მან, პირადად, ერთი სიცოცხლე წინასწარ უნდა გაიაროს, რომ ეს წესები აითვისოს.

— იპოვეთ, რასაც ეძებდით? — ჰკითხა მაგიდასთან მჯდარმა კაცმა, როცა მარტინი ბიბლიოთეკიდან გადიოდა.

— დიახ, სერ, — მიუგო მან, — მშვენიერი ბიბლიოთეკა გქონიათ.

კაცმა თავი დაუქნია.

— მოხარული ვიქნებით, ხშირად თუ შემოივლით. მეზღვაური ხართ?

— დიახ, სერ, — მიუგო მარტინმა, — კიდევ მოვალ.

«როგორ მიხვდა, რომ მეზღვაური ვარ?» გაიფიქრა მან, როცა კიბეზე ეშვებოდა.

და ქუჩაში რომ გავიდა, ერთი პირობა სცადა სწორად ევლო, რწევა მოეშალა, მაგრამ ფიქრები რომ მოაწვა, ეს განზრახვა გადაავიწყდა და კვლავ რწევით განაგრძო გზა.

თავი მეექვსე

ვეღარ მოესვენა მარტინ იდენს, როგორც შიმშილით აწრიალებული ადამიანი, ისე იტანჯებოდა, ერთი სული ჰქონდა, მანამ ნახავდა ქალს, რომლის სუსტი ხელები გოლიათის ძალით ჩასჭიდებოდა ჭაბუკის სიცოცხლეს. შინ მიკითხვაც ვერ გაებედა, ეშინოდა, მეტისმეტად ნაადრევი არ გამოსვლოდა და ამით ეთიკის საშინელი წესები არ დაერღვია. საათობით იჯდა ოუკლენდისა და ბერკლეის ბიბლიოთეკებში, საცა თვითონაც ჩაეწერა, დებიც ჩაწერა — გერტრუდა და მარიენი — და ჯიმიც, ვისი თანხმობაც რამდენიმე ჭიქა ლუდის ფასი დაუჯდა. ოთხივეს სახელზე გამოჰქონდა წიგნები, იჯდა მოსამსახურის ოთახში და გაზის სინათლეზე ათენებდა, რისთვისაც მისტერ ჰიგინბოთამმა დამატებით ორმოცდაათი ცენტი შეაწერა ყოველკვირეულად.

რაც მეტს კითხულობდა, უფრო მეტად ვერ მოესვენა. ყოველი წიგნის ყოველი გვერდი თითქოს სათვალთვალო ჭუჭრუტანად იქცა, საიდანაც ცოდნის სამყაროს ჭვრეტდა. კითხვით იკლავდა ცოდნის შიმშილს, მაგრამ სულ უფრო და უფრო შივდებოდა. გარდა ამისა, არ იცოდა რითი დაეწყო, და წინასწარი საერთო მოუმზადებლობაც საშინლად აწვალებდა. სულ უბრალო რამეებიც კი არ იცოდა, რაც წიგნის ხელში დამჭერმა უსათუოდ უნდა იცოდეს. ეს შეეხებოდა პოეზიასაც. რაზედაც იგი ჭკუას კარგავდა. სუინბერნისა სხვაც ბევრი რამე წაიკითხა, მარტო რუთის ნანათხოვრებ წიგნს არ დასჯერდა. «დოლორესი» მშვენივრად გაიგო. რუთი ალბათ ვერ გაიგებდა ამ ნაწარმოებს, დაასკვნა მან. ანკი როგორ გაიგებდა. ასეთი ფაქიზი ცხოვრება აქვს! მერე კიპლინგის ლექსები მოხვდა ხელში და იმისმა მუსიკალობამ, გაქანებამ და ჯადომ მოხიბლა, ისე ჰქონდა აღწერილი ნაცნობი მოვლენები; განცვიფრებაში მოიყვანა სიცოცხლის დიდმა სიყვარულმა, მახვილმა ფსიქოლოგიამ. «ფსიქოლოგია» ახალი სიტყვა იყო მარტინის ლექსიკონში. სწორედ ახლა შეიძინა განმარტებითი ლექსიკონი, რამაც ფულის მარაგი შეუმცირა და ახალი სახსრების საშოვნელად ზღვაზე გასვლის დღე მოუახლოვა. ამანვე გააგულისა მისტერ ჰიგინბოთამი, რომელსაც ერჩივნა ეს ფული ბინის ქირად მიეღო.

დღისით ვერ ბედავდა რუთის სახლის მახლობლად გავლას, ღამით კი ქურდივით შემოუვლიდა მორზების სახლს, შეჰყურებდა ფანჯრებს და შორიდან ეალერსებოდა კედლებს, რომელთა შორისაც ქალი ეგულებოდა. რამდენჯერმე ძმებს კინაღამ შეეჩეხა, ხოლო ერთხელ შინიდან გამოსულ მისტერ მორზს აედევნა, განათებულ

ქუჩებში მის სახეს აკვირდებოდა, მხურვალედ ნატრობდა, უცებ რამე განსაცდელი შეხვდეს, რომ მივვარდე და სიკვდილისაგან ვიხსნაო. მეორე საღამოს ნამდვილად გაუმართლა გუშაგობამ — რუთს შეავლო თვალი მეორე სართულის ფანჯარაში. მარტო თავი და მხრები დაუნახა, მერე ზეაწეული ხელიც — თმას ისწორებდა სარკეში. სულ ერთ წამს გაგრძელდა ეს, მაგრამ მარტინისთვის ერთი წამიც დიდი გამოდგა — სისხლი მაჭარივით აუდუღდა და ძარღვებში დაურბინა. ქალმა მალევე ჩამოუშვა ფარდა. ჭაბუკი მიხვდა, რომ ეს რუთის ოთახი იყო. შემდეგ ამ ოთახის პირდაპირ დადგებოდა, ერთ დაბურულ ხეს მოეფარებოდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. ერთ ნაშუადღევს დედამისი დაინახა, ბანკიდან გამოდიოდა, და კიდევ ერთხელ იგრძნო მარტინმა, რა უფსკრული აშორებდა რუთს: ამათ ბანკში უდევთ ფული! მარტინს კი ერთხელაც არ ღირსებია ბანკში შესვლა. მისი წარმოდგენით, ასეთი დაწესებულებები მხოლოდ ძალიან მდიდრებისა და ძალიან უფლებამოსილი ხალხისთვის არსებობდა.

მარტინმა ერთგვარი ყოფითი რევოლუცია განიცადა. ქალის სიწმინდემ და სისუფთავემ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ სისუფთავე აუცილებელ მოთხოვნილებად გადაექცა. თუკი გსურს მისი სიახლოვის ღირსი გახდე, უსათუოდ სუფთა უნდა იყო, დაარწმუნა თავი. კბილების წმენდა დაიწყო, სამზარეულოს ჯაგრისით ხელებსაც იწმენდდა ხოლმე, მანამ საასფთიაქო მაღაზიის ვიტრინაში ფრჩხილების ჯაგრისს დაინახავდა და მის დანიშნულებას მიხვდებოდა. ხელებზე რომ დახედა ნოქარმა, ფრჩხილის საწმენდი პატარა ქლიბიც შესთავაზა, ასე რომ მის პირად ტუალეტს კიდევ ერთი ნივთი მოემატა. ბიბლიოთეკიდან წიგნი გამოიტანა სხეულის ჰიგიენის შესახებ და ცივ აბაზანას დაეჩვია დილდილაობით, რამაც ჯიმი გააკვირვა, ხოლო მისტერ ჰიგინბოთამი შეაფიქრიანა, რადგან, ჯერ ერთი, რომ ახალ-ახალი მოდების შემოღება ჭკუაში არ მოსდიოდა და მეორეც — ვეღარ გადაეწყვიტა, დამატებითი წყლის ფულიც გადაეხდევინებინა თუ არა. ამის შემდეგ შარვლის საკითხი წამოიჭრა. ამისთანა საქმეებით დაინტერესებულმა მარტინმა მალე შენიშნა განსხვავება მუშა ხალხის ტომრებივით ჩამოკიდებულ შარვლებსა და მაღალი კლასის წარმომადგენელთა შარვლებს შორის, რომელთაც, მუხლიდან მოკიდებული ტერფამდე, ტოტები ლარივით ჰქონდათ გადაჭიმული. მიზეზსაც მიხვდა და თავისი დის სამზარეულოს მიაშურა, უთო და საუთოებელი ფიცარი მოძებნა. პირველად მარცხი განიცადა, ერთი შარვალი ისე დაეწვა, რომ აღარაფერი ეშველებოდა, და იძულებული გახდა ეყიდა, რამაც კიდევ უფრო მოუახლოვა ზღვაში გასვლის დღე.

მაგრამ მარტო გარეგნული ცვლილებებით არ შემოფარგლულა საქმე, უფრო ღრმად წავიდა. პაპიროსს ისევ ეწეოდა, მაგრამ დალევით მერე აღარ დაულევია. ლოთობა აქამდე აუცილებელ რამედაც კი მიაჩნდა მამაკაცებისათვის, ეამაყებოდა კიდეც, მაგარი თავი მაქვსო, სხვებს რომ კინწი მოწყდებოდათ, ამას კიდევ შეეძლო სმა. სან-ფრანცისკოში ბევრი მეგობარი მეზღვაური ჰყავდა, შემთხვევით თუ შეხვდებოდა ხოლმე რომელიმეს და ძველებურად დაჰპატიჟებდა, ან, პირიქით, მარტინს თუ დაჰპატიჟებდნენ, თავისთვის წყალ-წყალა ლუდს ან ლიმონათს მოატანინებდა და ამხანაგების დაცინვას დიდსულოვნად იტანდა. შეჰყურებდა, ჯერ გულაჩუყებულები რომ აზლუქუნდებოდნენ, მერე კი მხეცს დაემსგავსებოდნენ, და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ თვითონ აღარ იყო ამ დღეში. ყველას თავისი გასაჭირი ჰქონდა და ღვინოში ეძლეოდნენ თავდავიწყებას, დალევდნენ, გონება დაუბნელდებოდათ და თავს ღმერთებად წარმოიდგენდნენ, რასაც უნდა, იმას აკეთებდნენ თავიანთ სასუფეველში. მარტინს აღარ სჭირდებოდა სასმელი. ისედაც მთვრალი იყო და უფრო მაგრადაც — რუთმა დაათრო, გულში სიყვარულის ცეცხლი

დაუნთო, უფრო ამაღლებული და უკვდავი სიცოცხლის ჟინი აღუძრა; წიგნებმა დაათვრეს, თავი ათასნაირი სურვილებით გამოუტანეს; საკუთარი სიწმინდის შეგრძნებამ დაათრო, ჯანსაც მეტსა გრძნობდა ახლა და მთელი სხეულით განიცდიდა აღმაფრენას.

ერთ საღამოს თეატრში წავიდა, იქნებ შემთხვევით იქ შევხვდეო, იფიქრა. და მართლაც დაინახა მეორე იარუსის ბალკონიდან. პარტერის გასასვლელში იდგნენ ის, ართური და ვიღაც ახალგაზრდა სათვალიანი კაცი, რომელსაც თმა ფეხბურთელივით შეეკრიჭა; მის დანახვაზე მარტინს უსიამოვნოდ გაჰკრა გულზე და ეჭვმა გაჰკენწლა. წინა რიგში დაჯდა რუთი, ორკესტრთან ახლოს, და მარტინს იმ ღამეს თითქმის არც არაფერი დაუნახავს — ხედავდა მარტო ქათქათა, კოხტა მხრებს და ოქროსფერ თმას, რომელიც შორიდან, თითქოს ბურუსში გახვეულიყო. მაგრამ მერე სხვებიც შენიშნა: ერთი-ორჯერ გაიხედა გვერდზე და წინ, მისგან თორმეტიოდე ადგილის მოშორებით ორ გოგონას მოჰკრა თვალი, რომელთაც უტიფრად გაუცინეს. მარტინი მუდამ მხიარული კაცი იყო, არავის შეუბღვერდა. რამდენიმე ხნის წინათ რომ მომხდარიყო ეს, თვითონაც გაუცინებდა და უფრო შორსაც შესტოპავდა, მაგრამ ახლა შეიცვალა ყველაფერი. თუმცა პასუხად მაინც გაუცინა, მერე თავი მოაბრუნა და ცდილობდა იქით აღარ გაეხედა. მაგრამ ისე გადაავიწყდა იმ გოგონების არსებობა, რომ უნებურად რამდენჯერმე მოჰკრა თვალი. გოგონები ერთთავად უღიმოდნენ. ერთ დღეში მთლიანად ხომ არ შეიცვლება კაცი, ვერც სიკეთეს მოიშლის — მარტინიც უღიმოდა ხოლმე კეთილი, მეგობრული ღიმილით. მისთვის ხომ ახალი არაფერი ყოფილა. იცოდა, რომ ისინი თავიანთი ქალური ხელებით ეპოტინებოდნენ. მაგრამ უკვე ყველაფერი შეიცვალა. აგერ, სულ ქვემოთ, ორკესტრთან ახლოს, ერთი ქალი ზის, ერთადერთი მთელ ქვეყანაზე, სულ სხვაგვარი, საოცრად განსხვავებული, ისე განსხვავებული იმ ორი გოგონასაგან, მარტინისავე კლასის შვილებისაგან, რომ ჭაბუკს მათი სიბრალულიღა მოაწვა გულში. ნეტა სულ ცოტაოდენი მაინც გამოგყოლოდათ მისი სილამაზე და სათნოებაო, გაიფიქრა. დაძრახვით არასდიდებით არ დაძრახავდა ასეთი გამომწვევი ქცევისათვის. თუმცა არც სიამოვნებდა. პირიქით, ცოტათი შერცხვა კიდეც — მეც ასეთი მდაბიო ვარ და იმიტომ მეთამაშებიანო. რუთის კლასის რომ ყოფილიყო, მაშინ ასე გამომწვევად აღარ მოექცეოდნენ გოგონები. ამას გრძნობდა მარტინი და ყოველ მათ შემოხედვაზე, თითქოს თავისივე კლასი სწვდებოდათ თითებით ყელში, დაბლა ეწეოდა.

ჯერ კიდევ არ ჩამოეშვათ უკანასკნელი მოქმედების ფარდა, რომ მარტინი ადგა და გამოვიდა, რათა უფრო ახლოს შეეხედა რუთისთვის თეატრიდან გამოსვლის დროს. თეატრის შესასვლელთან მუდამ ირეოდა ხალხი; ქუდს ჩამოიფხატავდა, ვინმეს ზურგს უკან ამოეფარებოდა და რუთი ვერც კი შენიშნავდა. პირველივე ჯგუფს გამოჰყვა გარეთ. მაგრამ ადგილის შერჩევა ძლივს მოასწრო, რომ ის ორი გოგონაც გამოჩნდა. იცოდა, რომ მას ეძებდნენ და საკუთარი თავი დასწყევლა — რა მცხია ისეთი, რომ ქალები მესევიანო. მოშორებით დადგნენ, მაგრამ მარტინმა მაშინვე იგრძნო, რომ მიაგნეს. ნელ-ნელა მოიწევდნენ, საერთო ტალღას მოჰყვებოდნენ. ერთმა მხარი გაჰკრა და თითქოს ახლაღა შენიშნა. კოხტა გოგო იყო, შავგვრემანი, შავი, გამომწვევი თვალები ჰქონდა. გოგონებმა გაუღიმეს და მარტინმაც ღიმილით უპასუხა.

— ჰელო! — მიესალმა ჭაბუკი.

ეს თავისდა უნებურად აღმოხდა. ამგვარსავე ვითარებაში რამდენჯერ მისალმებია ქალებს. ასე, სხვაგვარად არც შეეძლო, ბუნებით კეთილი კაცი იყო. შავთვალა გოგონამ სიხარულითა და კმაყოფილებით გაუღიმა და მიახვედრა, აღარსად

ვაპირებთ წასვლასო. ამხანაგს მკლავში ხელი გამოედო მისთვის და კუჭკუჭებდა. ისიც აგრძნობინებდა, არსად მიგვეჩქარებაო. მარტინმა სწრაფად გადაწყვიტა: რუთს რომ ახლა მათთან დაენახა იგი, არ ივარგებდა, ამიტომ, ბუნებრივია, შავთვალა გოგონას ამოუდგა გვერდში და წავიდა. არც ენის დაბმა უგრძვნია ამათთან და არც დაბნეულობა. როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს, არხეინად ხუმრობდა, ჟარგონებსა და უწმაწურ სიტყვებს ისროდა, ერთი სიტყვით, რაც ასეთი ნაუცბათევი გაცნობისთვის არის საჭირო, ყველაფერს აკეთებდა. კუთხის ქუჩას რომ მიაღწიეს, მარტინმა სცადა ბრბოს ჩამოშორებოდა და შეეხვია. მაგრამ შავთვალა გოგონა მკლავზე ჩამოეკიდა, თვითონაც გაჰყვა და ამხანაგიც თან გაიყოლა.

— აბა, აბა, ბილ! — შესძახა მან, — ნეტა სად მიგეჩქარება? ასე უცებ გინდა მოგვიცილო?

მარტინს გაეცინა და შედგა, მობრუნდა. შეეძლო აქვე მდგარიყო და, გოგონებს მოფარებულს, ქუჩის ფარნის სინათლეზე კარგად შეეთვალიერებინა გამვლელი ხალხი. თვითონ სიბნელეში იდგა, ვერავინ დაინახავდა, რუთი კი არ გამოეპარებოდა, სწორედ აქ უნდა ჩაევლო.

— ამას რა ჰქვია? — ჰკითხა მან კუჭკუჭა გოგოს და შავთვალაზე ანიშნა.

— რაღა მე მეკითხები, მას ჰკითხე, — წაიფრუტუნა გოგომ.

— ჰო, მართლა, რა გქვია? — მიუბრუნდა ახლა შავთვალას.

— ჯერ ხომ შენი სახელი არ გითქვამს! — მოუჭრა გოგონამ.

— არც გიკითხავს, — გაეცინა მარტინს, — თუმცა კარგად კი გამოიცანი. ბილი მქვია... ნამდვილად.

— კარგი, ერთი! — ქალმა თავისი ვნებიანი და გამომწვევი თვალები მიანათა, — მითხარი... მართლა გეკითხები!

და კიდევ შეხედა. რაც კი ქალის სახსენებელი გაჩენილა ქვეყანაზე, მთელი მისი ბუნება იყო აღბეჭდილი ამ თვალებში. მარტინმა დაუდევრად ახედ-დახედა და მაშინვე მიხვდა, შემდეგ რა მოხდებოდა: ქალი ახლა დაირცხვენდა და ნაზად დაიხევდა შეტევის მოლოდინში, თან კი თვითონვე იქნებოდა შეტევისათვის გამზადებული, თუკი ჭაბუკს გულის გაციებას შენიშნავდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ისიც კაცი იყო, გრძნობდა გოგონას მომხიბლაობას, მისი ალერსიანი გამოხედვა სიამოვნებდა. ეჰ, ამ გოგონებს ყველას იცნობდა, კარგადაც იცნობდა, მთელი მათი ასავალ-დასავალი იცოდა. კარგი გოგონები იყვნენ, რამდენადაც კი შეიძლება კარგები იყვნენ ამ კლასის შვილები; მუშაობით წელს იწყვეტდნენ და უბადრუკ გასამრჯელოს იღებდნენ, მაგრამ უფრო იოლი ცხოვრებისათვის საკუთარ თავს არასდიდებით არ გაყიდდნენ, გამწარებით ცდილობდნენ პატარა ბედნიერება მაინც მოეპოვებინათ ცხოვრების უდაბნოში, თვალს უსწორებდნენ მომავალს, რომელიც მაცთურ არჩევანს სთავაზობდა: დაუსრულებელი, გაუხარელი შრომის მთელ სიმწარეს და კიდევ უფრო საშინელი უბედურების შავ უფსკრულს, საცა უფრო კარგი გასამრჯელოა, მაგრამ ბოლო მალე ეღებათ.

— ბილი მქვია, — უპასუხა მან და თავი დაუქნია, — მართლა გეუბნები, ბილი მქვია.

— ხუმრობ? — ჩაეკითხა ქალი.

— ბილი კი არა, ის არ გინდა! — ჩაერია მეორეც.

— თქვენ საიდან იცით, — უთხრა მარტინმა, — პირველად მხედავთ.

— რა დიდი ცოდნა უნდა მაგას, ზედვე გეტყობა, რომ ტყუი.

— მართლა, ბილ? — კვლავ ჰკითხა პირველმა.

— ბილი ვიყო, — გამოტყდა მარტინი.

გოგონა მკლავში სწვდა და შეანჯღრია.

— განა ვერ შეგატყვე, რომ ტყუოდი, მაგრამ მაინც მომეწონე, კარგი ბიჭი ხარ.

ჭაბუკმა მისკენ წამოსული ხელი ჩაბღუჯა და მაშინვე იგრძნო კარგად ნაცნობი კოჟრები და განაკაწრები.

— დიდი ხანია საკონსერვო ქარხნიდან წამოხვედი?

— შენ საიდან იცი?! გულთმისანი ხარ თუ რა?! — ერთხმად შეჰყვირეს გოგონებმა.

და უცებ, ასეთ სულელურ ღლაბუცში გართულმა ჭაბუკმა გონების თვალით ბიბლიოთეკის თაროები დაინახა, რომლებიც საუკუნეობრივი სიბრძნით იყო გამოტენილი. ამ ახირებულსა და ყოვლად შეუსაბამო ხილვაზე თვითონვე მწარედ გაეღიმა და ეჭვები მოეძალა. მაგრამ არც შინაგან ხილვას, არც ამ უგულო ლაყბობას მისთვის ხელი არ შეუშლია, ყურადღებით ეთვალიერებინა თეატრიდან მომავალი ხალხი. და უცებ მას მოჰკრა თვალი, სწორედ ფარნის ქვეშ ჩაიარა, აქეთ-იქით ძმა და ის სათვალიანი უცნობი ჭაბუკი მოჰყვებოდნენ. დაინახა და თითქოს გულისცემა შეუჩერდა. რამდენი ხანია ამ წუთს ელოდა. ამ ერთ წამში ჭაბუკმა მოასწრო კარგად დაენახა, როგორ უფარავდა დედოფლურ თავს რაღაც ფუმფულა ბეწვი, გემოვნებით შეკერილ ტანსაცმელში როგორ კოხტად მოუჩანდა ჩამოქნილი ნაკვთები, რა შნოიანად მიდიოდა და ცალი ხელით წამოეწია კაბა. ამასობაში ქალი მიეფარა კიდეც თვალს. ისევ ის ქარხნის მუშა გოგონები შერჩა ჭაბუკს, რათა ეყურებინა მათი ჭყეტელა ტანსაცმლისთვის, რითაც ისინი გამწარებით ცდილობდნენ ლამაზები და კოხტად მორთულები გამოჩენილიყვნენ, ამათი უბადრუკი ბაფთებისა და თითზე წამოცმული ბეჭდებისათვის... უცებ მკლავზე ჩამოსწიეს და ხმაც ჩაესმა:

— გაიღვიძე, ბილ! რა მოგივიდა?!

— რაო, რას ამბობდი? — ჰკითხა მან.

— არაფერსაც არ ვამბობდი, — მიუგო შავგვრემანმა და თავი გააქნია, — ისე კი ურიგო არ იქნებოდა...

— რა?

— ერთი კარგი ბიჭი რომ გეშოვა-მეთქი... აგერ, ამისთვის... — (ამხანაგზე უჩვენა). — წავიდოდით, ნაყინს ვჭამდით, ყავას დავლევდით ან რამეს.

გული აერია მარტინს. რუთისაგან ერთბაშად ასეთ რამეებზე გადასვლა მეტისმეტად მძაფრი გამოდგა. ამ გოგოს უტიფარი, გამომწვევი თვალების გვერდით იგი ხედავდა რუთის ანკარა, ნათელ თვალებს, რომლებიც წმინდანის თვალებივით შემოჰყურებდნენ. და უცებ დიდი ძალა იგრძნო. მარტინი ხომ ყველაფერ ამაზე მაღლა იდგა! ცხოვრება მისთვის უფრო მეტ რამეს ნიშნავდა, ვიდრე ამ ორი გოგოსათვის, რომელთა მისწრაფებანი ნაყინსა და კარგ ბიჭს ვერ სცილდებოდა. გაახსენდა, რომ მუდამ ასე ცხოვრობდა — საკუთარი ფიქრებითა და იდუმალი მისწრაფებებით. უცდია სხვისთვისაც გაეზიარებინა ეს ფიქრები, მაგრამ ვერც ქალს შეხვედრია ისეთს, რომ გაეგებინებინა რამე და ვერც კაცს. ბევრჯერ უცდია, მაგრამ ვისთვისაც არ მიუმართავს, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია. რაკი ამ ფიქრებს ვერა სწვდებიან, მაშ, მე უფრო მაღლა ვმდგარვარ და მეც ვერ მომწვდებიან, დაასკვნა მან ახლა. აბორგებული ძალა იგრძნო მთელ არსებაში და მუშტები შეკუმშა. თუკი ცხოვრება მეტს რასმე ნიშნავდა მისთვის, მაშ, მეტიც უნდა მოითხოვო! თვითონ რა აქვს, რომ შენ შემოგთავაზოს ამ უტიფარმა შავმა თვალებმა?! ზეპირად იცოდა, რა ფიქრები და მისწრაფებანი იმალებოდა მათში — ნაყინი და რაღაც კიდევ. იმ წმიდანის თვალები კი იმასაც სთავაზობდა, რასაც ესწრაფოდა ჭაბუკი, და კიდევ უფრო მეტსაც, რისი გამოცნობაც მას არ შეეძლო. იგი სთავაზობდა წიგნებს, სურათებს, სილამაზესა და მოსვენებას, ამაღლებული ცხოვრების მთელ

მომხიბლაობას. ამ შავ თვალებში იგი ადვილად ჭვრეტდა ყოველი ფიქრის მოძრაობას. საათის მექანიზმსა ჰგავდა. ჭაბუკი ყოველი პატარა გორგოლაჭის მუშაობას ხედავდა. მათი მისწრაფება მდაბალი იყო, სამარესავით ვიწრო, გულის მომყირჭებელი, და მართლაც სამარე იყო იმისი ბოლო. იმ წმიდანის თვალებს კი სულ სხვა მისწრაფებანი ჰქონდა — იდუმალი, გონებისათვის მიუწვდომელი, მარადიული სიცოცხლე. იმ თვალებში იგი ხედავდა ქალის სულის ანარეკლს და საკუთარი სულის ანარეკლსაც.

— პროგრამაში მხოლოდ ერთი შეცდომა გაპარულა, — ხმამაღლა განაცხადა მან, — სხვასთანა ვარ შეპირებული.

გოგონას წყენა დაეტყო.

— ალბათ ავადმყოფ მეგობარს უნდა დაუჯდე სასთუმალთან, — ჩაიქირქილა მან.

— არა, ნამდვილი პაემანი მაქვს ერთ... — ენა დაება, — ერთ გოგონასთან.

— ხომ არ გამაცურე? — სერიოზულად ჰკითხა ქალმა.

ჭაბუკმა თვალი გაუსწორა და უპასუხა...

— სიმართლეს გეუბნები. რატომ არ შეიძლება, სხვა დროს შევხვდეთ? შენ სახელიც კი არ მითხარი. სადა ცხოვრობ?

— ლიზი მქვია, — მიუგო გოგონამ და მთელი სხეულით მიეყრდნო, ხელი მოუჭირა, — ლიზი ქონოლი. ბაზრის ქუჩაზე ვცხოვრობ, ხუთ ნომერში.

ცოტა ხანს კიდევ ელაპარაკა გოგონებს და გაშორდა. შინ არ წასულა მაშინვე. სათვალთვალო ხეს მიაშურა და ფანჯარას ახედა.

— შენთან ვიყავი შეპირებული, რუთ, — ჩაილაპარაკა მან, — შენ უნდა მენახე და არც გამიტეხია სიტყვა.

თავი მეშვიდე

მთელი კვირა გავიდა რუთ მორზთან პირველი შეხვედრის შემდეგ და მარტინს ჯერაც ვერ გაებედა მეორედ მისვლა. იჯდა და ერთთავად წიგნებს კითხულობდა. ზოგჯერ ძალას მოიკრებდა, გადაწყვეტდა წასულიყო, მაგრამ ეჭვები მოერეოდა და გადაწყვეტილება შეუსრულებელი რჩებოდა. არ იცოდა, როდის შეიძლებოდა განმეორებით მისვლა, მრჩეველიც არავინ ჰყავდა, ეშინოდა, გამოუსწორებელი შეცდომა არ მომივიდესო. ძველ ამხანაგებს სულ ჩამოშორდა, ძველი ჩვეულებებიც მოიშალა, და რაკი ახალი მეგობრებიც არ შეუძენია, კითხვის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, საათობით თავაუღებლივ კითხულობდა, რამდენიმე ადამიანის ჩვეულებრივი თვალი ვერ გაუძლებდა ამდენ კითხვას. მაგრამ მარტინს მაგარი თვალები ჰქონდა და თვითონაც მაგარი იყო. ამას გარდა, მისი ტყვინიც გაუტეხავი ყამირი იყო; აბსტრაქტული, მწიგნობრული აზრები ჯერ არ გაჰკარებოდა და თესლის გასაღვივებლად სწორედ კარგ ნიადაგს წარმოადგენდა. სწავლას ჯერ არ მოექანცა და ამიტომ ხარბად მოებღაუჭა წიგნების სიბრძნეს.

ჯერ ერთი კვირაც არ გასულიყო და ასე ეგონა, საუკუნეები მიცხოვრიაო, რადგან ძალიან შორს ჩამოიტოვა ძველი ცხოვრებაცა და ძველი შეხედულებანიც. მაგრამ საფუძვლის უქონლობა უჭირებდა საქმეს. ისეთ წიგნებს ეჭიდებოდა, რომელთა გაგება წლობით წინასწარ შემზადებას მოითხოვდა. დღეს რომ უახლეს ფილოსოფიას კითხულობდა, ხვალ ანტიკურს ჩაუჯდებოდა და თავი სულ საპირისპირო იდეათა ქაოსით ჰქონდა გამოტენილი. ასევე ეკონომიკაშიაც. ბიბლიოთეკის თაროზე მან აღმოაჩინა კარლ მარქსი, რიკარდო, ადამ სმითი და მილი, და ერთ-ერთი ამათგანის გაუგებარი ფორმულა გასაღებს არ იძლეოდა მეორის მოძღვრების გასაშიფრავად.

დაიბნა. ცოდნის წყურვილი მაინც არ განელებია. ერთდროულად ეკონომიკითაც დაინტერესდა, მრეწველობითაც და პოლიტიკითაც. ერთხელ ქალაქის ბაღში რომ გაიარა, ერთად მოგროვილ ხალხს მოჰკრა თვალი; შუაში ექვსიოდე კაცი იდგა. სახეალეწილები გაცხარებით დაობდნენ. მარტინიც შეუერთდა ბრბოს და პირველად გაიგონა ხალხიდან გამოსული ფილოსოფოსების ენა. ერთ-ერთი მოკამათე მაწანწალა აღმოჩნდა, მეორე — მუშა აგიტატორი, მესამე — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, სხვები კი კამათის მოყვარული მუშები იყვნენ. მაშინ პირველად გაიგონა მარტინმა სოციალიზმი, ანარქიზმი, ერთიანი გადასახადი; პირველად გაიგო, რომ არსებობდა ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი სოციალური ფილოსოფიის სისტემები. ყური მოჰკრა ასობით სპეციალურ გამოთქმას, რომლებიც მეცნიერების ისეთ სფეროებს განეკუთვნებოდა, რასაც ჯერ არ მისწვდომოდა მისი უბადრუკი ცოდნა. ამიტომაც ვერ გაერკვა ხეირიანად კამათში, გუმანითღა ჩასწვდა ამ უცნაურ გამოთქმაში გახვეულ აზრს. მოკამათეთაგან რესტორნის შავთვალწარბა ოფიციანტი თეოსოფი გამოდგა, ხაბაზთა პროფკავშირის წევრი — აგნოსტიკოსი... ერთმა ბერიკაცმა ყველა დააბნია თავისი ახირებული ფილოსოფიით — ყოველი არსებული სამართლიანიაო; მეორე ბერიკაცი ენის გაუჩერებლად ქაქანებდა კოსმოსზე, მამა-ატომსა და დედა-ატომზე.

რამდენიმე საათს უსმენდა მარტინ იდენი ამ კამათს და იქიდან პირდაპირ ბიბლიოთეკისკენ გაქანდა ტვინდაბნეული, რათა რამდენიმე უცნობი სიტყვის მნიშვნელობა გაეგო. ბიბლიოთეკიდან გამოსულს ოთხი ტომი ამოეჩარა იღლიაში: ქალბატონი ბლავადსკაიას «საიდუმლო დოქტრინა», «პროგრესი და სიღატაკე», «სოციალიზმის არსი» და «ომი რელიგიასა და მეცნიერებას შორის». საუბედუროდ, «საიდუმლო დოქტრინით» დაიწყო. წიგნი სულ გრძელ-გრძელი სიტყვებით იყო გადაჭრელებული, რომელთა მნიშვნელობა მარტინს არ ესმოდა. ლოგინზე იჯდა და ლექსიკონში უფრო ხშირად იყურებოდა, ვიდრე წიგნში. იმდენი უცნობი სიტყვა შეხვდა, რომ დამახსოვრებას ვეღარ ახერხებდა და იძულებული იყო ხელახლა ეძებნა ლექსიკონში. გადაწყვიტა ცალკე ამოეწერა სიტყვები და მთელი ფურცლები გაავსო. მაინც არაფერი ესმოდა. დილის სამ საათამდე კითხულობდა, ტვინი აერია, ერთი ჩამოყალიბებული აზრიც კი ვერ გამოიტანა. თავი რომ ასწია, მოეჩვენა, ოთახი თითქოს გემივით ირწეოდა და ადი-ჩადიოდა. გაბრაზებულმა მოიქნია «საიდუმლო დოქტრინა», ერთი მაგრად შეუკურთხა, სინათლე ჩააქრო და ჩაწვა. ვერც იმ დანარჩენ სამ წიგნს გაუგო ასავალ-დასავალი. იმიტომ კი არა, თითქოს შეთვისების უნარი არა ჰქონოდეს ან საკმაოდ ნიჭიერი არ ყოფილიყოს — არა, შეჩვეული არ იყო, გაწაფვა აკლდა, აზროვნებისათვის საჭირო იარაღი არა ჰქონდა. თვითონვე მიხვდა ამას და გადაწყვიტა, ლექსიკონის მეტი ჯერჯერობით არაფერი აეღო ხელში, მანამ კარგად დაისწავლიდა საჭირო სიტყვებს.

პოეზია იყო მისი ნუგეში, ბევრსაც კითხულობდა. უბრალო, შედარებით ადვილად გასაგებ ლექსს რომ წაიკითხავდა, მთელი სიხარული იყო მისთვის. სილამაზე ხომ თავიდანვე უყვარდა და აქ ნახულობდა ხოლმე სილამაზეს. მუსიკასავით მოქმედებდა ლექსი, მთელი არსებით შეარხევდა. თვითონ ვერა გრძნობდა, მაგრამ ამით მომავალი უფრო ძნელი მუშაობისთვის ამზადებდა თავს. მისი ტვინის ფურცლები სუფთა იყო და ძალის დაუტანებლად იბეჭდებოდა ზედ ახალ-ახალი სტროფები, ასე რომ, მალე შეეძლო ზეპირად წარმოეთქვა ლექსები და, დაბეჭდილი სიტყვების აჟღერებით, მთელი მისი მუსიკა და სილამაზე განეცადა. მერე ბიბლიოთეკის ერთ თაროზე გეილის «კლასიკურ მითებსა» და ბულფინჩის «მითების

საუკუნეს» წააწყდა. ეს იყო შუქურა, მისი უვიცობის და წყვდიადში შეჭრილი ძლიერი შუქი, და ამის შემდეგ კიდევ უფრო ხარბად დაეწაფა პოეზიას.

მაგიდასთან მჯდარი კაცი ისე ხშირად ხედავდა მარტინს ბიბლიოთეკაში, რომ შეეჩვია, გაღიმებული ხვდებოდა ხოლმე, მუდამ თავს დაუკრავდა. ამან გააბედინა მარტინს ერთი საქმე. ერთ დღეს, როცა, ჩვეულებრივ, რამდენიმე წიგნი შეარჩია და მაგიდასთან მიიტანა, რათა კაცს ბარათებზე ბეჭედი დაესვა, მარტინმა უცებ წამოილუღლუღა.

— ერთი რამე მინდა გკითხოთ.

კაცმა გაუღიმა და ანიშნა, მითხარიო.

— ახალგაზრდა ლედის რომ გაიცნობ და სახლში მიგიპატიჟებს, როდის შეიძლება მისვლა?

მთელ ტანზე ოფლი დაასხა, იგრძნო, როგორ მიეწება პერანგი სხეულს.

— მე მგონი, ყოველთვის, — მიუგო კაცმა.

— ჰო, მაგრამ აქ ცოტა სხვაგვარად არის საქმე, — შეესიტყვა მარტინი, — ის ქალი... მე... ერთი სიტყვით, საქმე ის არის, რომ ვაი-თუ შინ არ დამიხვდეს. უნივერსიტეტში დადის.

— თქვენც მეორედ მიდით.

— არა, მე სულ სხვა რამე მაწუხებს, — გამოტყდა მარტინი, გადაწყვიტა მთლიანად მინდობოდა ამ კაცის გულმოწყალებას, — მე ერთი უბრალო კაცი ვარ, მოუქნელი, ხალხში გამოუსვლელი. ის ქალი სულ სხვაა და მე სულ სხვა ვარ... არ გეგონოთ, თავს ვისულელებდე!.. — უცებ შეწყვიტა მან.

— არა, რა ბრძანებაა, განაგრძეთ. ეგ ისეთი შეკითხვაა, რომ საცნობარო განყოფილებას არ ეხება, მაგრამ მე თვითონვე გამიხარდება, თუ რამეში დაგეხმარეთ.

მარტინმა აღფრთოვანებით შეხედა.

— მეც რომ ასე შემეძლოს მივაყარო, მაშინ რა მიჭირს, — თქვა მან.

— რა ბრძანეთ?..

— ასე თავისუფლად რომ შემეძლოს-მეთქი ლაპარაკი, ჩქარაც, თავაზიანადაც და ყველაფერი...

— ოჰ! — მიუხვდა ბიბლიოთეკარი.

— რა დროს ჯობს მისვლა? ნაშუადღევს რომ მივიდე... ვაითუ სადილობის დროს მოვხვდე? იქნებ საღამოთი ჯობდეს! თუ კვირადღეს?

— იცით, რას გეტყვით, — სახე გაუბრწყინდა ბიბლიოთეკარს, — ტელეფონით დაურეკეთ და ჰკითხეთ.

— ახლავე დავურეკავ! — შესძახა მარტინმა, წიგნები აიღო და წავიდა. ცოტა რომ გაიარა, ისევ მობრუნდა და ჰკითხა, ახალგაზრდა ლედის რომ ელაპარაკებით... ვთქვათ, მის ლიზი სმითს, როგორ უნდა მივმართო — «მის ლიზი» თუ «მის სმით»?

— «მის სმითი» უთხარით, —

მტკიცედ ურჩია ბიბლიოთეკარმა, — მანამ დაუახლოვდებოდეთ, სულ «მის სმითი» უთხარით.

ამრიგად, ეს პრობლემა მოაგვარა მარტინ იდენმა.

— როცა გინდოდეთ, მობრძანდით. ნაშუადღევს მუდამ შინა ვარ ხოლმე, — უპასუხა რუთმა, როცა მარტინმა ბორძიკით ჰკითხა ტელეფონში, ნანათხოვრები წიგნების მოტანა როდის შეიძლებაო.

კარებში თვითონ რუთი შეეგება, მისმა ქალურმა თვალმა ხელადვე შეამჩნია გაუთოებული შარვალი და ერთგვარი ცვლილება. ვერ იტყოდა, სახელდობრ რა ცვლილება, მაგრამ უკეთესობისკენ კი იყო. ჭაბუკის გამომეტყველებამაც განაცვიფრა.

ყოველ მის ნაკვთში დიდი ძალა და ჯანის სიმრთელე გამოსჭვიოდა, თითქოს მისი სხეულიდან გადმომჩქეფარებდა ეს ძალა და ქალს ტალღებივით ეხეთქებოდა. ისევ მოუარა სურვილმა, ჭაბუკს მიყრდნობოდა და მისი სითბო მიეღო, ახლაც მაშინდელივით გაკვირვებული დარჩა — მისი სიახლოვე როგორ მოქმედებსო. თავის მხრივ, მარტინმაც ხელახლა განიცადა ის დამაბრუებელი ნეტარება, როცა ქალს ხელი ჩამოართვა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ქალი თავშეკავებული იყო და გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, ხოლო ჭაბუკი სახეზე ერთიანად აენთო და წამოჭარხლდა. ძველებურადვე ბანცალით გაჰყვა ქალს, მხრები სახიფათოდ ერწეოდა.

მაგრამ სასტუმრო ოთახში რომ შევიდნენ და დასხდნენ, ისეთი თავისუფლება და შვება იგრძნო, თვითონაც რომ არ მოელოდა. ეს მოხდა ქალის მეცადინეობით, მაგრამ ისე ფრთხილად და უბრალოდ მოახერხა, რომ ჭაბუკს კიდევ უფრო მეტი თავდავიწყებით შეუყვარდა. ჯერ ნანათხოვრებ წიგნებზე ილაპარაკეს — სუინბერნზე, რომელიც მარტინს ძალიან მოსწონებოდა, და ბროუნინგზე, რომელიც სულაც ვერ გაეგო. საუბარს ქალი წარმართავდა, ხან ამ საგანზე ჩამოუგდებდა სიტყვას, ხან იმ საგანზე, და თან სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დახმარებოდა ჭაბუკს. ხშირად უფიქრია ამაზე პირველი შეხვედრის შემდეგ. სურდა როგორმე დახმარებოდა. ქალს სიბრალული და სინაზე აღძვროდა გულში, რაც ადრე არავის მიმართ არ განეცადა, მაგრამ ეს სიბრალული დამამცირებელი კი არ ყოფილა, დედობრივი უფრო ეთქმოდა. ანკი როგორღა იქნებოდა ჩვეულებრივი სიბრალული, როცა მის აღმძვრელსა და გამომწვევს ისეთი მამაკაცური ძალა აღმოაჩნდა, რომ რუთს ქალწულებრივი შიშით აკრთობდა და გულს უცნაური ფიქრებითა და გრძნობებით უთრთოლებდა. კვლავ ის მიმზიდველობა ჰქონდა ჭაბუკის კისერს და რუთს ახლაც ხელის მოხვევის ჟინმა წამოუარა. მეტისმეტად ძლიერი იყო ეს სურვილი, მაგრამ ქალი უკვე მიეჩვია და უფრო ადვილად მოახერხა თავის შეკავება. რას წარმოიდგენდა, რომ ახლად ჩასახული სიყვარული ასეთი იქნებოდა. თუმცა ვერც იმას წარმოიდგენდა, ეს განცდები სიყვარული თუ შეიძლებოდა ყოფილიყო. ყველასაგან განსხვავებული ჭაბუკიაო, ფიქრობდა, რაღაც დაფარული ძალა აქვს და ამან დამაინტერესა, კაცთმოყვარული გრძნობა მამოძრავებსო.

ვერც კი გრძნობდა ქალი, ასე სასურველი თუ იყო მისთვის მარტინი. ჭაბუკმა კი მაშინვე იგრძნო, რომ თავდავიწყებით შეუყვარდა რუთი და ასე სასურველი არაფერი ყოფილა მისთვის მთელ სიცოცხლეში. პოეზია ადრეც უყვარდა, სილამაზეს ხედავდა მასში. მაგრამ რუთთან შეხვედრის შემდეგ უფრო ფართოდ გაეხსნა სამიჯნურო პოეზიის დიდი სამყაროს კარი. მისგან თითქმის უფრო მეტი რამ გაიგო, ვიდრე ბულფინჩისა და გელისაგან ასეთი სტრიქონი შეხვდა, — «და სიყვარულით გაგიჟებული კოცნის გულისთვის თავსაც გასწირავს». — ერთი კვირის წინ ყურადღების ღირსადაც არ გახდიდა ამ სიტყვებს, ახლა კი თავში ჩაეჭდო და აღარ შორდებოდა. აღტაცებული იყო მათი სილამაზითა და სიმართლით. შეჰყურებდა ქალს და გულში ფიქრობდა, კოცნის გულისთვის მეც სიამოვნებით მოვკვდებიო. სიყვარულით გაგიჟებულად მიაჩნდა თავი და ეს უფრო ეამაყებოდა, ვიდრე რაინდად კურთხევა. ახლაღა ჩასწვდა სიცოცხლის აზრს, ახლა მიხვდა, რატომ იყო გაჩენილი ქვეყანაზე.

შეჰყურებდა, უსმენდა ქალს და მისი ფიქრები უფრო გაბედული ხდებოდა. მოიგონა ის ველური სიამოვნება, რაც ქალის ხელის ჩამორთმევამ მოჰგვარა, და ერთი სული ჰქონდა, მანამ კვლავ შეახებდა ხელს. მოწყურებული თვალებით შეხედავდა ხოლმე მის ტუჩებს. მაგრამ არავითარი ტლანქი და მიწიერი გრძნობა ამ შეხედვაში არ ყოფილა: სიამოვნებას ანიჭებდა მოძრაობა მისი ტუჩებისა, როცა ისინი სიტყვებს

გამოთქვამდნენ. ეს არ ყოფილა ჩვეულებრივი ტუჩები, არავის ქვეყნად — არც ქალსა და არც კაცს — ამისთანა ტუჩები არა ჰქონია. ჰაეროვანი ტუჩები იყო, ხორციელი არ ყოფილა, და ამიტომ არც ისეთი კოცნის სურვილს აღუძრავდა, რაც სხვა ქალების ტუჩებს აღუძრავთ. ამასაც აკოცებდა, თავის ხორციელ ტუჩებს დააკონებდა, მაგრამ ეს იქნებოდა ისეთივე ამაღლებული და მხურვალე ამბორი, როგორც ღვთის ანაფორას შეიძლება ემთხვიოს კაცი. ჭაბუკი ვერა ხვდებოდა, რა ფასეულობათა გადაფასებას მოეცვა მისი გონება, ვერა გრძნობდა, რომ ის შუქი, რაც მის თვალებს აცისკროვნებდა ქალის შეხედვის დროს, ჩვეულებრივი შუქი იყო ყველა სიყვარულმოწყურებული მამაკაცისათვის. ვერც კი წარმოედგინა, რა მგზნებარე და ვნებიანი ხდებოდა მისი თვალები და როგორ აფორიაქებდნენ ისინი ქალის სულს. რუთის ქალწულებრივი კდემამოსილება მის გრძნობებსაც ამაღლებდა და ასპეტაკებდა, ვარსკვლავების ცივ უმანკოებამდე აჰყავდა. გაოგნებული დარჩებოდა, რომ გაეგო, რა თბილ ტალღასავით ელამუნებოდა ქალს მისი თვალების ცეცხლი და გულში ასეთსავე ცეცხლს უღვივებდა. ჭაბუკის თვალები აბნევდა ქალს, ერთიორჯერ სიტყვა გაუწყდა, — თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რატომ, — ამ სასიამოვნო მღელვარებამ ფიქრი გაუფანტა და იძულებული გახდა კანტიკუნტად წამოსროლილი ფრაზები ეკოწიწებინა. საერთოდ, თავისუფლად და ლაღად მეტყველებდა ხოლმე და ეს უნებური ბორძიკი ალბათ შეაცბუნებდა კიდეც, რომ არ ეფიქრა — თვითონ თანამოსაუბრეა განსხვავებული და ასე იმიტომ მომდისო. შთაბეჭდილებიანი ქალი იყო, ყველაფერი გულთან მიჰქონდა და, ბოლოს და ბოლოს, რა გასაკვირია, რომ უცხო სამყაროდან მოსულ მგზავრს ასეთი გავლენა მოეხდინოს.

ქვეცნობიერად სულ ის ფიქრი უტრიალებდა თავში, თუ როგორ დახმარებოდა ჭაბუკს და საუბარსაც ამისდა კვალობაზე წარმართავდა, მაგრამ ახლა მარტინმა დაასწრო.

— მინდა რჩევა გკითხოთ თუ ნებას მომცემთ, — უთხრა მან და თანხმობა რომ მიიღო, სიხარულით სუნთქვა შეეკრა, — ამას წინათ რომ ვიყავი, თუ გახსოვთ, გითხარით, წიგნებზე და ამისთანა რამეებზე ლაპარაკი არ მეხერხება, არ გამომდის-მეთქი. მას შემდეგ სულ ამაზე ვფიქრობ. ბიბლიოთეკაში სიარული დავიწყე, მაგრამ რა წიგნსაც არ მოვკიდე ხელი, ასავალ-დასავალი ვერ გავუგე. იქნებ თავიდან დაწყება ჯობდეს. მე ხომ ხეირიანად არასოდეს მისწავლია. რაც თავი მახსოვს, სულ თავაუღებელი მუშაობა... ახლა, აგერ, ბიბლიოთეკაში წავედი, ახალი თვალით შევხედე წიგნებს... წიგნებიც სულ ახალია ჩემთვის... და ახლაღა ვატყობ, რომ რაც წამიკითხავს, საჩემო არ ყოფილა. სადღაც ფერმაში და გემზე რომ წიგნს წააწყდები, სად ის წიგნები და სად, აგერ, თქვენს სახლში რომ წიგნებია. იქ სულ სხვანაირად კითხულობენ, და მეც იმნაირ კითხვას შევეჩვიე... არადა, ტრაბახით არ გეუბნებით, მე უფრო სხვა კაცი ვარ, იმათ არ ვგავარ, ვისთანაც მიტრიალია. იმას კი არ ვამბობ, იმ მეზღვაურებს და კოვბოებს ვჯობივარ-მეთქი, — ერთ ხანს ფერმაშიაც მიმუშავია, — მაგრამ წიგნები მუდამ მიყვარდა, რაც კი მომხვდებოდა, ყველაფერს ვკითხულობდი... ერთი სიტყვით, მე სხვა რამეს ვფიქრობ, ისინი სულ სხვას ფიქრობენ... ჰოდა, ბარემ გეტყვით, რაც უნდა მეთქვა... ამისთანა სახლში პირველად ვარ... აქ რომ მოვედი ამ ერთი კვირის წინათ და ყველაფერი ეს დავინახე, თქვენ დაგინახეთ, დედათქვენი დავინახე, თქვენი ძმები, და ყველაფერი... როგორ გითხრათ, მომეწონა. გაგონილი კი მქონდა ამისთანა რამეები, წიგნებშიაც წამეკითხა, და ახლა თქვენს სახლში რომ მოვხვდი... წიგნებში მართალი წერებულა. მაგრამ, რაც მთავარია, მომეწონა, მე თვითონ მომინდა... ახლაც მინდა... ამნაირი ჰაერით ვისუნთქო... ამ წიგნების ჰაერით, ამ სურათების ჰაერით, ამ ლამაზი ნივთების ჰაერით... საცა ყველა წყნარად

ლაპარაკობს, ყველა სუფთაა, ფიქრებიც სუფთა აქვთ. სადაც კი მიცხოვრია, ყველგან სამზარეულოს სუნი დგას, და რაზე ლაპარაკობენ — სულ ყლაპვაზე, ბინის ქირაზე და მეტი არაფერი... აქ კი, რას ამბობ, თქვენ რომ დედის შესაგებებლად წამოდექით და აკოცეთ, ამაზე ლამაზი რა უნდა იყოს, უკეთესი არაფერი მინახავს ცხოვრებაში. ნახვით კი ბევრი რამა მაქვს ნანახი, იმათზე გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სხვებს უნახავთ, ჩემთან მყოფებს. მიყვარს ხოლმე ახალ-ახალი რამეების ნახვა. სულ მეტი და მეტი მინდა ვნახო... მაგრამ ჩემი სათქმელი მაინც არ მითქვამს ჯერ, და ახლა მინდა გითხრათ: მეც მინდა ისე ვიცხოვრო, როგორც თქვენ ცხოვრობთ ამ სახლში. მარტო ყლაპვა ხომ არ არის ცხოვრება, ან თავაუღებლივი მუშაობა და ჩხუბი. როგორ მივაღწიო ამას? რითი დავიწყო? მუშაობა არ მეზარება, რაც უნდა მძიმე სამუშაო იყოს, კაცი ვერ მაჯობებს, ყველას დავაწვენ. ერთი თუ დავიწყე, თავს აღარ ავიღებ, დღეს და ღამეს გავასწორებ. იქნება სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, თქვენ რომ გეუბნებით ამას. სწორედ თქვენთვის არ უნდა მეკითხა, მაგრამ რომ არ ვიცი, ვისა ვკითხო... ართურს გარდა! იქნებ ართურისთვის უნდა მეკითხა. მე ხომ...

ერთბაშად გაუწყდა სიტყვა. იმის გაფიქრებაზე, რომ სწორედ ართურისთვის უნდა ეკითხა და თავი ასე არ გაესულელებინა, მტკიცედ მოფიქრებული გეგმა დაერღვა. ქალს მაშინვე არ უპასუხია. ცდილობდა ჭაბუკის არეული, ბორძიკით წარმოთქმული სიტყვების მარტივი აზრი იმ ფიქრისათვის დაეკავშირებინა, რაც მისსავე სახეზე ამოიკითხა. პირველად ხედავდა ასეთი დიდი ძალის გამომეტყველ თვალებს. «ამ კაცს წინ ვერაფერი დაუდგება», ამოიკითხა ქალმა, და ეს სულაც არ ეგუება იმ სიტყვების შინაარსს, რაც ჭაბუკმა ბორძიკით წარმოთქვა. თანაც, ქალის რთულსა და მკვირცხლ გონებას არ შეეძლო სწორად შეეფასებინა ჭაბუკის უბრალოება. მაგრამ ამ არეულ ფიქრებშიაც კი იგრძნო მან დიდი ძალა. მიჯაჭვულ გოლიათად ეჩვენა, რომელიც ჯაჭვების დამსხვრევასა და დაგრეხას ცდილობს. ქალის სახე თანაგრძნობით ციმციმებდა, როცა ჭაბუკს უთხრა:

— თქვენ თვითონვე გრძნობთ, რაცა გჭირდებათ. სწავლა გჭირდებათ. სკოლაში უნდა მიბრუნდეთ და დაამთავროთ. მერე უნივერსიტეტში შეხვალთ...

— მაგას ფული უნდა! — შეაწყვეტინა ჭაბუკმა.

— აჰ! — შესძახა ქალმა, — ეგ არც კი მიფიქრია. რა მოხდა მერე? ნათესავები ხომ გყავთ — ვინმე დაგეხმარებათ.

ჭაბუკმა თავი გააქნია.

— დედ-მამა დამეხოცა. ორი და მყავს — ერთი გათხოვილია, მეორე, მგონი, ახლა აპირებს გათხოვებას. ძმებს ხომ სათვალავი არა აქვს... მე ყველაზე პატარა ვარ... მაგრამ თავის დღეში არავის არ დახმარებიან. ზოგი სად არის და ზოგი სად, მთელ ქვეყანას მოედვნენ, ბედნიერებას ეძებენ. უფროსი ინდოეთში მოკვდა, ორი ძმა ახლაც სამხრეთ აფრიკაშია, ერთი ზღვაშია ვეშაპსანადირო გემზე, ერთი ცირკს დაჰყვება, ჯამბაზია. მეც ასე ვარ. თერთმეტი წლიდან მოკიდებული, — რაც დედა მომიკვდა, — თვითონ ვირჩენ თავს. ჩემით უნდა ვისწავლო, სხვა გზა არ არის. მაგრამ რომ არ ვიცი, რითი დავიწყო.

— ყველაზე პირველად გრამატიკა უნდა ისწავლოთ. თქვენი გამოთქმები... — უნდოდა ეთქვა, საშინელიაო, მაგრამ შეარბილა და თქვა, — მთლად სწორი არ არის.

ჭაბუკი წამოჭარხლდა და ოფლი დაასხა.

— დიახ, ჩემი ლაპარაკი... ალბათ ნახევარი არ გესმით, თქვენთვის გაუგებარი სიტყვებია... ამათი გამოთქმა ვიცი მაინც... სხვა სიტყვები კი — წიგნიდან ამოკითხული სიტყვები — არ ვიცი, როგორ გამოითქმის და ამიტომ არც ვხმარობ.

— სიტყვები იმდენი არაფერი. მთავარია, როგორ ალაგებთ და გამოთქვამთ ამ სიტყვებს. ჩემი გულახდილი ლაპარაკი ხომ არა გწყინთ? არ მინდა გაწყენინოთ.

— აჰ, რასა ბრძანებთ! — შესძახა მარტინმა, გუნებაში კი მადლობაც უთხრა ასეთი გულკეთილობისათვის, — შემახურეთ! ხომ უნდა ვისწავლო, და ბარემ თქვენგან გავიგო პირველად, მანამ სხვა მეტყოდეს.

— ერთი სიტყვით, გრამატიკაში სცოდავთ, დროს ურევთ, მრავლობითსა და მხოლობით რიცხვსაც ვერ ათანხმებთ, უღვლილება გერევათ. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. გრამატიკა უნდა ისწავლოთ. ახლავე გამოგიტანთ წიგნს და სცადეთ, დაიწყეთ.

ქალი წამოდგა, მარტინს უცებ თავაზიანი ქცევების წესი მოაგონდა, წიგნში ახლახან ამოკითხული, და უგერგილოდ წამოხტა, მაგრამ თან შეშინდა, ვაითუ სწორად არ მოვიქეცი, ან არადა არ ეგონოს, შინ წასასვლელად წამოვდექიო.

— ჰო, მართლა, მისტერ იდენ, — კარიდან მოუბრუნდა ქალი, — ყლაპვა რას ნიშნავს? რამდენჯერ ახსენეთ დღეს ეგ სიტყვა.

— ოჰ, ყლაპვა, — გაეცინა მარტინს, — უბრალო ხალხი ასე იტყვის ხოლმე... არაყს რომ დალევ, ან ლუდს... ან ისეთ რამეს, რაც თქვენ დაგათრობს.

— აი, კიდევ ერთი შეცდომა, — გაუცინა ქალმა.

— ვერა ვხვდები, რა შეცდომაა.

— არაყს რომ დალევ ან ლუდს, ან ისეთ რამეს, რაც თქვენ დაგათრობსო, მეუბნებით. ჯერ ერთი, რაკი თქვენობით მომმართავთ, ზმნაც მრავლობითში უნდა გეხმარათ, დაგათრობთო, უნდა გეთქვათ. და მეორეც, რა საჭირო იყო აქ «თქვენის» ხმარება? განა უფრო სწორი არ იქნებოდა გეთქვათ, «დაათრობს ადამიანსო?! მე უნდა დამათროს?

— აჰ, რა ბრძანებაა, რა ბრძანებაა!

რუთმა გრამატიკის წიგნი მოიტანა, სკამი მარტინისკენ მისწია (ჭაბუკმა მაშინვე ის გაიფიქრა, მე ხომ არ უნდა მივშველებოდიო) და მარტინის გვერდით დაჯდა. წიგნი გაშალა. მათი თავები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ისე დააბნია ჭაბუკი ამ სასიამოვნო სიახლოვემ, რომ განმარტებას ყურს ძლივს უგდებდა. მაგრამ როცა უღვლილების ახსნაზე გადავიდა ქალი, მარტინმა მთელი გულისყური დაძაბა, სხვა ყველაფერი დაივიწყა. ერთხელაც არ გაეგონა უღვლილება და ახლა პირველად რომ ჩასწვდა ენის გასაღებს, მოჯადოებული დარჩა. წიგნისკენ დასწია თავი და უცებ ქალის თმა ლოყაზე შეეხო. მთელ თავის სიცოცხლეში ერთხელ წასვლოდა გული მარტინს და ახლაც ის გაიფიქრა, გული ხომ არ მიღონდებაო. სუნთქვა შეეკრა, გული გამალებით აუძგერდა, თითქოს ამოვარდნას ლამობდა, პირველად იგრძნო რუთი ასე ახლოს. იმ დიდმა უფსკრულმა, რომელიც მათ ერთმანეთისაგან აშორებდა, წამით თითქოს პირი შეკრა. მაგრამ მისი ამაღლებული გრძნობები ოდნავადაც კი დაბლა არ დაწეულა. განა ქალი დაეშვა — მარტინი თვითონ ამაღლდა, ღრუბლებს მისწვდა და რუთს მიუახლოვდა. კვლავ ისეთივე მოკრძალებას გრძნობდა ქალის მიმართ, რელიგიურ თაყვანისცემასა და სასოებას. მოეჩვენა თითქოს წმიდათა წმიდა სასუფეველში შეიჭრა და ნელა, ფრთხილად მოაშორა თავი ქალის თმას, რამაც ელექტროდენივით აათრთოლა ჭაბუკი. მაგრამ რუთს არაფერი უგრძვნია.

თავი მერვე

გავიდა რამდენიმე კვირა. მარტინ იდენი გრამატიკას ჩაჰკირკიტებდა, ისევ და ისევ კითხულობდა თავაზიანობის წესებს და ხარბად ეწაფებოდა ყოველ წიგნს, რაც

კი მოეწონებოდა. თავის ძველ წრეს სულ ჩამოშორდა, აღარავის ხვდებოდა. ლოტოსის კლუბელი გოგონები გაკვირვებულნი იყვნენ, რა მოუვიდაო, ჯიმს აღარ აძლევდნენ მოსვენებას შეკითხვებით, ბიჭებს კი უხაროდათ მეტოქის ჩამოშორება კიდევ ერთი ძვირფასი წიგნი აღმოაჩინა ბიბლიოთეკის საგანძურში. როგორც გრამატიკა შეიცნო ენის გასაღებად, ასევე ეს წიგნი პოეზიის გასაღები გამოდგა. დაიწყო მეტრის, ლექსწყობისა და ფორმის შესწავლა, რითაც მისი საყვარელი სილამაზე იქმნებოდა. ამ სილამაზის საფუძველს ჩასწვდა. მეორე წიგნში, რომელიც თანამედროვე ავტორს ეკუთვნოდა, პოეზია განხილული იყო, როგორც სახვითი ხელოვნება, საფუძვლიანადაც იყო განხილული, საილუსტრაციოდ ავტორს ნიმუშები მოჰქონდა ლიტერატურის შედევრებიდან. რომანებიც კი არ წაუკითხავს მარტინს ასეთი გატაცებით და მისი დაუღალავი, ოცი წლის განმავლობაში დასვენებული ტვინი, რომელიც ახლა ცოდნის წყურვილს მოემწიფებინა და დაეძაბა, ისე სწრაფად ითვისებდა ყველაფერს, რომ ვერც ერთი სტუდენტი ამას ვერ მოახერხებდა.

უკან რომ მიიხედა, თავისი ძველი სამყარო — შორეული ქვეყნებისა და ზღვების, გემების, მეზღვაურებისა და ქუჩის ქალების სამყარო — ძალიან დაკნინებული ეჩვენებოდა. და მიუხედავად ამისა, მაინც ჰქონდა რაღაც საერთო იმ ძველსა და ამ ახალს. მისი გონება მუდამ მთლიანობისაკენ მიისწრაფოდა და პირველად რომ შენიშნა ეს საერთო, ძალიან გაუკვირდა. იმ ამაღლებულმა აზრებმა და სილამაზემ გააკეთილშობილეს იგი, რაც წიგნებში ჰპოვა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მაღალ საზოგადოებაში, რომელსაც რუთი და მისი ოჯახი ეკუთვნოდა, ყველანი — კაცებიცა და ქალებიც — სწორედ ამ ამაღლებული აზრებით სულდგმულობდნენ. დაბლა კი, სადაც ჭაბუკი მთელი თავისი დღე და მოსწრება თვითონ ცხოვრობდა, სიბინძურე და ჭუჭყი იყო, და ამ ჭუჭყისაგან განწმენდა მოუნდა, რათა იმ მაღალ სამყაროში ასულიყო. ბავშვობა და სიჭაბუკე ისე გაატარა, რომ რაღაც ბუნდოვანი გრძნობა აწუხებდა და აწვალებდა. მანამ რუთს შეხვდებოდა, თვითონვე ვერ მიმხვდარიყო, რა სურდა, თუმცა რაღაცის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა. ახლა ეს მოუსვენრობა უფრო მძაფრი და მტკივნეული გახდა, და მან ბოლოს და ბოლოს იგრძნო — აშკარად და გარკვეულად იგრძნო _ რომ ეს იყო სილამაზის, ცოდნისა და სიყვარულის წყურვილი.

ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ექვსჯერ მაინც შეხვდა რუთს და ყოველი ახალი შეხვედრა სულ ახალსა და ახალ შთაგონებას აძლევდა. ქალი ეხმარებოდა მას ინგლისური გრამატიკის შესწავლაში, გამოთქმას უსწორებდა და არითმეტიკაც დააწყებინა. მაგრამ მათი საუბარი მარტო ამ საგნების სწავლით არ იფარგლებოდა. იმდენი რამ ენახა ჭაბუკს ცხოვრებაში, მისი გონება ისე მომწიფებულიყო, რომ მარტო წილადებით, კუბური ფესვებით, უღვლილებებითა და წინადადებების გარჩევით ვერ დაკმაყოფილდებოდა. სხვა თემებსაც სწვდებოდა მათი საუბარი — ლექსს, რომელიც ჭაბუკს ბოლო დროს წაეკითხა, იმ პოეტის შემოქმედებას, რომელსაც ამჟამად სწავლობდა ქალი უნივერსიტეტში. და როცა რუთი თავის საყვარელ სტრიქონებს წაუკითხავდა, ჭაბუკი ციურ ნეტარებას განიცდიდა ხოლმე. რამდენ ქალთან ულაპარაკია, მაგრამ ასეთი საამური ხმა ჯერ არ სმენია. გულში სიყვარულის ცეცხლს უღვივებდა ეს ხმა. თრთოდა, ცახცახებდა ყოველი სიტყვის მოსმენაზე. მისი მუსიკალური ჟღერადობა, დამამშვიდებელი ხავერდოვნება, ინტონაციის სიმდიდრე დიდი კულტურისა და სულის კეთილშობილების ნაყოფი იყო. უსმენდა ქალს და მეხსიერებაში ცოცხლად იღვიძებდა, კვლავ ზარივით რეკდა ყურისწამღები კივილი ველური დედაკაცებისა, ქუჩის კახპების ხორხოცი და მუშა ქალების — თავისივე კლასის გოგონების — ტლანქი მეტყველება. სწრაფად ამუშავდებოდა ხოლმე

წარმოსახვა და გონების თვალით ხედავდა ამ ქალებს, ერთად მოჯარებულს. კონტრასტის სიძლიერე უფრო სხივოსანსა და ელვარეს ხდიდა რუთის შარავანდს; ჭაბუკის ნეტარებას კიდევ უფრო ასხამდა ფრთას იმის შეგნება, რომ ქალი ღრმადა სწვდებოდა წაკითხულის შინაარსს და პოეტური აზროვნების სილამაზით თრთოდა. რუთი ბევრ ადგილებს უკითხავდა «ბრინცესადან», და ჭაბუკი ხედავდა, როგორ ევსებოდა მას თვალები ცრემლით — ეს იყო ესთეტიკური აღქმის უკიდურესი დაძაბვა. ამ დროს ქალის განცდები ჭაბუკსაც გადაედებოდა, აამაღლებდა და ღმერთს უახლოვდებოდა; უსმენდა ქალს, შეჰყურებდა და თითქოს მთელ ცხოვრებას ჭვრეტდა, მის უღრმეს იდუმალებას სწვდებოდა და კითხულობდა. და როცა თავისი ამაღლებული გრძნობები წარმოიდგინა, ჭაბუკი მიხვდა, რომ ეს იყო სიყვარული — ყველაზე დიდი რამ ამქვეყნად! გაახსენდა ის სიხარულის თრთოლვა და ვნებათაღელვანი, რაც მას წარსულში განეცადა — ღვინით დათრობა, ქალის ალერსი, ტლანქი თამაშობანი და კრივი თუ ჭიდაობა — და ამ ამაღლებულ განცდებთან შედარებით, რასაც ახლა მისი არსება მოეცვა, ის ყველაფერი დაკნინებულ და ბილწ რამედ ეჩვენა.

რუთი კი ბურანში იყო. თავის დღეში არ განეცადა სიყვარული. ამ საქმეში მთელი მისი გამოცდილება წიგნებით განისაზღვრებოდა, სადაც ჩვეულებრივი ცხოვრების ყოველდღიური წვრილმანები ფანტაზიის მიერ არარსებულ ნეტარ სამყაროში იყო გადატანილი. ვერც კი გრძნობდა, რომ ეს ტლანქი მეზღვაური ნელ-ნელა მიიკვლევდა გზას მის გულში, უხილავ ძალებს უყრიდა იქ თავს, რაც ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებდა და ქალს მღელვარე ცეცხლად მოედებოდა. სიყვარულის ნამდვილი გზნება ჯერ არ განეცადა. მხოლოდ თეორიულად იცოდა მისი არსი. მოციმციმე სხივად წარმოედგინა, წყლის ლივლივად, ნამის ჩამოცვენად, ზაფხულის ბნელი, ხავერდოვანი ღამის სურნელად. ნაზი და მშვიდი ურთიერთობა იყო, მისი წარმოდგენით, სიყვარული, როცა ირგვლივ, ყვავილთა სურნელით გაჟღენთილ გარემოში, ეთერიულ სიმშვიდეს დაესადგურებინა. სიზმრადაც კი არ მოელანდებოდა ის ვულკანური რყევა, რაც სიყვარულს მოჰყვება ხოლმე, ის ყოვლის მომსპობი ცეცხლი, რაც ადამიანის გულს სწვავს და ანაცრებს. არც საკუთარ არსებაში დაფარული ძალის ფასი იცოდა და არც ის, თუ რა ძალები იყო ქვეყნად დაფარული. ცხოვრების დიდი უფსკრული მისთვის ილუზიების ზღვას წარმოადგენდა. დედ-მამის ცოლქმრული ურთიერთობა სიყვარულის იდეალად მიაჩნდა და იმ დღეს ელოდა, როცა თვითონაც დაიმკვიდრებდა ასეთსავე ტკბილსა და მშვიდ ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან.

ისე შეჰყურებდა მარტინ იდენს, როგორც ახალს, რაღაც უცნაურ არსებას, და იმ შთაბეჭდილებასაც, რაც ჭაბუკმა მოახდინა მასზე, სწორედ ამ სიახლითა და უცნაურობით ხსნიდა. ეს ბუნებრივიც იყო. ასეთივე უჩვეულო გრძნობა დაეუფლებოდა ხოლმე, როცა სამხეცეში ველურ მხეცებს შეხედავდა, ან როცა ქარიშხალი ამოიჭრებოდა, ან ცაზე ელვის დაკლაკვნა შეაკრთობდა. რაღაც კოსმოსური იყო ამ მოვლენებში და თვით მარტინის არსებაშიაც იგრძნობოდა ეს კოსმოსური ძალა. ჭაბუკმა გაშლილი ჰაერისა და დიდი სივრცეების სუნთქვა მიიტანა მასთან. სახეზე ტროპიკული მზის ელვარება ჰქონდა გადაკრული, ხოლო მის გამობურცულ, მოქნილ კუნთებში პირველყოფილი სიცოცხლის ძალა და ენერგია გამოსჭვიოდა. სახე ჭრილობებით ჰქონდა დასერილი და ეს ჭრილობები იმ ტლანქ ადამიანთა და კიდევ უფრო ტლანქ საქმეთა იდუმალებით მოცულ სამყაროში მიეღო, რომელიც რუთის ცნობიერების ჰორიზონტს იქით იწყებოდა. მოუთვინიერებელი ველური იყო და ახლა მისი ამგვარი მორჩილება რუთს იდუმალ სიამოვნებას

ჰგვრიდა. გულში ველურის მოთვინიერების სურვილი სწვავდა, ქვეცნობიერი იყო ეს სურვილი, და ქალი ვერც კი გრძნობდა იდუმალ მისწრაფებას — ჭაბუკი დაემსგავსებინა თავისი მამისათვის, რომელიც მას უმშვენიერეს ადამიანად მიაჩნდა. გამოუცდელობის გამო რუთი ვერა ხვდებოდა, რომ ეს კოსმოსური გრძნობა, რაც მას ჭაბუკმა განაცდევინა, სიყვარული იყო, რომლის ძალითაც ქალი და მამაკაცი, ქვეყნის დასაბამიდან, ერთმანეთისაკენ მიისწრაფიან, რომელიც მეტოქეობით აგზნებულ ირმებს გაზაფხულობით სასიკვდილოდ შეაჭიდებს ხოლმე ურთიერთს, და თვით ბუნების ელემენტებსაც კი ერთმანეთის შესარწყმელად აშლის და აღძრავს.

ჭაბუკის სწრაფმა განვითარებამ გააკვირვა კიდეც და თან დააინტერესა ქალი; ადრე დაფარული ჩანდა მისი ნიჭი, ახლა კი დღითი დღე ღვივდებოდა და იფურჩქნებოდა, როგორც ნოყიერ ნიადაგში მოხვედრილი ყვავილი. რუთი ბროუნინგს უკითხავდა მას და ხშირად გაკვირვებული რჩებოდა, ისე უცნაურად განმარტავდა ხოლმე ჭაბუკი სადავო ადგილებს. ქალი ვერა ხვდებოდა, რომ ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით ჭაბუკი მასზე უფრო სწორად იგებდა და ხსნიდა ცალკეულ საკითხებს. მარტინის მსჯელობა გულუბრყვილოდ ეჩვენებოდა, თუმცა, ჭაბუკის გაბედული აზროვნება და ფრთაშესხმული ფიქრები ხშირად მასაც აღაფრთოვანებდა ხოლმე; შორს მიდიოდა ეს ფიქრები, ვარსკვლავებს სწვდებოდა, ქალი იმ სიშორეს ვერ მიჰყვებოდა, და ამ გამოუცნობ ძალასთან უეცარი შეხვედრით თრთოდა და ცახცახებდა. ზოგჯერ დაუკრავდა ხოლმე მარტინისათვის, სცდიდა, მუსიკა როგორ იმოქმედებსო, მაგრამ ისე ღრმადა სწვდებოდა ბგერები ჭაბუკის სულს, რომ მისი გაზომვა რუთს აღარ შეეძლო. ისე გაიშლებოდა მისი სული მუსიკის მოსმენით, როგორც ყვავილი გადაუშლის გულს მზის სხივებს; ხელად გადაეჩვია მდაბიურ, ჯაყჯაყა საცეკვაოებს და რუთის კლასიკურ მუსიკას შეეჩვია, რასაც ქალი თითქმის ზეპირად უკრავდა. ყველაზე უფრო მაინც ვაგნერი მოეწონა, დემოკრატიული მიკერძოება გამოიჩინა მის მიმართ; «ტანჰეიზერის» უვერტიურამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა რუთმა კარგად განუმარტა მთელი არსი. ერთი შეხედვით, თითქოს მის ცხოვრებას განასახიერებდა ეს ნაწარმოები. ვენერას გამოქვაბულის მოტივი თავის წარსულს მოაგონებდა, ხოლო პილიგრიმების გუნდის მოტივი — რუთის ცხოვრებას. თითქოს აიტაცებდა მას ეს მუსიკა, გააქანებდა და სულთა ბურუსით მოცულ სამეფოში დააქროლებდა, საცა ბოროტისა და კეთილის მარადიული ჭიდილია.

მარტინის ზოგიერთ შეკითხვაზე რუთს ეჭვი აღეძვრებოდა ხოლმე — მე თვითონ კარგად თუ მესმის მუსიკაო. მაგრამ სიმღერას რომ დაიწყებდა, ჭაბუკს აღარაფერი ჰქონდა შესაკითხი. ქალის სული იყო ჩაქსოვილი სიმღერაში და მარტინი სასოებით უსმენდა წმინდა სოპრანოს ღვთაებრივ მელოდიას. უნებურად ფაბრიკის გოგოების უხეირო წრიპინი და ნავსადგურებში მოწანწალე ლოთი დედაკაცების ხრინწიანი ჩხავილი გაახსენდებოდა. რუთს თვითონვე სიამოვნებდა, მარტინისათვის რომ უკრავდა და მღეროდა. მარტინის სული მოქნილი აღმოჩნდა და ქალს ეს უხაროდა, ადვილად ვძერწავო, ფიქრობდა: დარწმუნებული იყო, რომ ჭაბუკის სულსა ძერწავდა, კეთილი განზრახვა ჰქონდა. უბრალოდ, ჭაბუკის სიახლოვეს ყოფნაც სიამოვნებდა. უკვე აღარ აფრთხობდა იგი. თავიდან რაღაც გაურკვეველი შიში აღუძრა ჭაბუკმა, ახლა კი გამქრალიყო ეს შიში. ქვეცნობიერად ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყოს მარტინი, უფლება ჰქონოდეს მასზე. თავის მხრივ, ჭაბუკიც სასიცოცხლო ენერგიას აძლევდა ქალს. რუთი ბევრს მეცადინეობდა უნივერსიტეტში, ასე რომ დროდადრო მტვრიან წიგნებს მოწყვეტა და ზღვის მაცოცხლებელი ჰაერით სუნთქვა, რითაც ჭაბუკი იყო გაჟღენთილი, მას

თითქოს ძალას მატებდა. ძალა! ძალა სჭირდებოდა ქალს და ჭაბუკიც არ იშურებდა ამ ძალას. მასთან ერთად ოთახში ყოფნა, მისი ნახვა — მთელი სიცოცხლე იყო. ხოლო როცა ჭაბუკი წავიდოდა, ქალი ახალი ძალითა და ენერგიით ჩაუჯდებოდა ხოლმე წიგნებს.

ბროუნინგს კარგად იცნობდა, მაგრამ სერიოზულად ერთხელაც არ დაფიქრებულა, რა საშიშია ადამიანის სულთან თამაში. რამდენადაც უფრო მეტ ინტერესსა გრძნობდა მარტინის მიმართ, იმდენად უძლიერდებოდა სურვილი, გარდაექმნა მისი ცხოვრება.

— აგერ, თუნდაც, მისტერ ბატლერი, — უთხრა მან ჭაბუკს ერთ დღეს, როცა გრამატიკას, არითმეტიკასა და პოეზიას მორჩნენ, — თავდაპირველად მაინცდამაინც არა სწყალობდა ბედი. მამა ბანკის მოლარე ჰყავდა, მაგრამ ჭლექი შეეყარა, იწვალა და რამდენიმე წლის შემდეგ სული განუტევა არიზონაში, ასე რომ მისტერ ბატლერი — მაშინ უბრალოდ ჩარლზ ბატლერს ეძახდნენ — სულ უთვისტომო დარჩა. მამამისი ავსტრალიიდან გადმოხვეწილიყო და კალიფორნიაში ერთი ნათესავიც არა ჰყავდა. მამის სიკვდილის შემდეგ სტამბაში მოწყობილა მისტერ ბატლერი — თვითონვე რამდენჯერმე უამბნია, ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი — კვირაში სამ დოლარს უხდიდნენ თურმე თავდაპირველად. ახლა კი ოცდაათი ათასი დოლარი მაინც ექნება წლიური შემოსავალი. როგორ მიაღწია ამას? პატიოსანი იყო, ბეჯითი და მომჭირნე. ბიჭები ხომ გართობასა და თავშექცევაზე კარგავენ ჭკუას, ეს ყოველგვარ გასართობს გაურბოდა. მტკიცედ გადაწყვიტა: როგორადაც უნდა გაჭირვებოდა, ყოველკვირეულად დაეზოგა ფული. მერე და მერე, რაღა თქმა უნდა, სამ დოლარზე მეტს ღებულობდა და, რაც უფრო ეზრდებოდა შემოსავალი, უფრო და უფრო მეტს ინახავდა.

«— დღისით მუშაობდა, საღამოობით ღამის სკოლაში სწავლობდა. სულ თავის მომავალზე ფიქრობდა, ბოლოს ღამის კოლეჯშიაც შევიდა. ჯერ ჩვიდმეტისა იყო და უკვე ასოთამწყობობა მიანდეს, მშვენიერი ხელფასიც დაუნიშნეს, მაგრამ პატივმოყვარე კაცი იყო. კარიერისთვის იღვწოდა, მარტო თავის რჩენა არ აკმაყოფილებდა, კარგი კარიერის გულისათვის არაფერს მოერიდებოდა, ვექილობა ამოიჭრა გულში და მამაჩემის კანტორაში დაიწყო მუშაობა შიკრიკად _ წარმოგიდგენია! _ ოთხი დოლარის მეტს არ აძლევდნენ კვირაში, მაგრამ მომჭირნეობით ცხოვრებას ხომ თავიდან შეეჩვია და ამ ოთხი დოლარიდანაც ზოგავდა ფულს.

რუთი შეჩერდა, სული მოითქვა და მარტინს შეხედა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმაო. ჭაბუკს სახე წამონთებოდა, მართალაც დაეინტერესებინა ახალგაზრდა მისტერ ბატლერის საარსებო ბრძოლას, მაგრამ შუბლი კი შეჭმუხნილი ჰქონდა.

მძიმე დღეები გამოუვლია, ვერაფერი სახარბიელოა ახალგაზრდა კაცისათვის, — თქვა მან, — კვირაში ოთხი დოლარი! როგორ გაჰქონდა თავი? ოთხი დოლარით რას გახდები? აგერ, ხუთ დოლარს ვიხდი კვირაში კვება-ბინისათვის, მაგრამ, მართალი თუ გინდათ, არაფერი გამოდის. ძაღლური ცხოვრება გამოუვალია. რაღა მაგისი საჭმელი და...

_ თვითონვე იმზადებდა საჭმელს, — შეაწყვეტინა ქალმა, _ პატარა ნავთქურაზე.

_ რაღა მაგისი საჭმელი და რაღა გემის მეზღვაურისა. ალბათ უარესადაც კი იკვებებოდა, თუმცა მეზღვაურის საკვებზე უარესი რაღა უნდა იყოს.

_ ერთი ახლაც ნახეთ! _ მგზნებარედ შესძახა ქალმა, _ იმდენი ფულის პატრონია, რომ რასაც უნდა გააკეთებს. რაც ახალგაზრდობაში ითმინა, ათასწილად დაუფასდა.

მარტინმა გაკვირვებით შეხედა ქალს,

_ სან.აძლეოს ჩამოვალ, _ თქვა მან, _ რომ ახლა იმ მისტერ ბატლერის გულს აღარაფერი გაახარებს. ისე დაუვიწროვებია თავის დროზე კუჭი, რომ აღარაფრად ევარგება.

ქალმა ვეღარ გაუძლო მარტინის დაჟინებულ მზერას და თავი დახარა.

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ სულ მოშლილი ექნება კუჭი, — გამომწვევად უთხრა მარტინმა.

— კი, მართალია, — გამოტყდა ქალი, — მაგრამ...

_ გადაბერებულ ბუსავით ზის ალბათ ახლა დამჟავებული და ცხვირჩამოშვებული; გინდა ჰქონია ახლა ის ოცდაათი ათასიანი წლიური შემოსავალი და გინდა არა. სანაძლეოს ჩამოვალ, სხვების მხიარულებაც კი დიდად არ სიამოვნებს.; ხომ ასეა?

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დაეშურა განემარტა:

— ასეთი ბუნების კაცი. მუდამ დაღვრემილი და სერიოზული ყოფილა თავიდანვე.

— აბა რა იქნებოდა! — თქვა მარტინმა, — თავისი სამი თუ ოთხი დოლარით რა ხეირი დაეყრებოდა! პატარა ბიჭი თვითონვე თითხნიდა საჭმელს ნავთქურაზე, რომ ფული დაეზოგა და გადაენახა!.. დღეს მუშაობაში აღამებდა, ღამეს სწავლაში ათენებდა, თავის დღეში არ უთამაშნია, გართობა მისთვის არ არსებობდა ალბათ არც კი იცოდა, რას ჰქვია გართობა... ძალიან გვიან მიიღო ის თავისი ოცდაათი ათასი.

ერთბაშად წარმოიდგინა ათასი წვრილმანი პატარა ბიჭის ცხოვრებისა, რომელიც სულის შეხუთვისა და შეზღუდვის წყალობით წლიურ ოცდაათი ათას დოლარიან კაცად იქცა! ჩარლზ ბატლერის მთელი ცხოვრება თითქოს თვალშესავლებად გადაეშალა წინ.

— იცით, რა მინდა გითხრათ, — განაგრძო მარტინმა. — მეცოდება ის მისტერ ბატლერი. მაშინ პატარა იყო და ვერ გრძნობდა, როგორ ძარცვავდა საკუთარ თავს იმ წლიური ოცდაათი ათასის გულისთვის, რაც ახლა უქმად უყრია. რა ბრძანებაა! ეს ოცდაათი ათასი, ამდენი ფული, ახლა იმისთანა უბრალო რამესაც კი ვერ უყიდის, რასაც მაშინ, პატარა ბიჭი რომ იყო, გადანახული ათი ცენტი უყიდდა — კანფეტი და თხილი იქნებოდა ეს თუ ქანდარის ბილეთი თეატრში.

ისე უცნაური ეჩვენებოდა ჭაბუკის მსჯელობა რუთს, რომ ერთბაშად შეაკრთობდა. და არა მარტო იმიტომ, რომ ეს მოსაზრება სრულიად ახალი და მისი რწმენის საპირისპირო იყო, არამედ ქალი მასში ჭეშმარიტების მარცვალსაც ხედავდა, რაც მთელ მის შეხედულებებსა და მრწამსს შეცვლითა და თავდაყირა დაყენებით ემუქრებოდა. თოთხმეტი წლისა რომ ყოფილიყო და არა ოცდაოთხისა, იგი ალბათ შეიცვლიდა კიდეც თავის შეხედულებებს მარტინის გავლენით, მაგრამ უკვე ოცდაოთხისა იყო, აღზრდითა და ბუნებით _ კონსერვატორი, და ამ ცხოვრების წესებს შეჩვეული, სადაც დაიბადა და ჩამოყალიბდა. მართალია, ჭაბუკის ახირებული მასჯელობა ერთბაშად შეაწუხებდა, მაგრამ მაშინვე მის თავისებურ ხასიათსა და უცნაურობას მიაწერდა ხოლმე და მალევე ივიწყებდა. მიუხედავად ამისა, ჭაბუკის მტკიცე ტონი, ანთებული თვალები და გამომეტყველების სერიოზულობა მაინც ყოველთვის აღელვებდა და იზიდავდა ქალს, თუმცა მისი მსჯელობის არსს არ იზიარებდა. ერთხელაც არ უფიქრია, რომ ეს უცხო სამყაროდან მოსული კაცი ისეთ ღრმა და საგულისხმო აზრებს გამოთქვამდა, რაც ქალის მსოფლმხედველობის ჰორიზონტს შორდებოდა. სამყარო მისთვის ამ მსოფლმხედველობით იყო შემოფარგლული, და შეზღუდული გონება მხოლოდ სხვის შეზღუდულობასა ხედავს. ასე რომ, რუთს თავისი შეხედულებანი ძალიან ღრმა და ფართო მიაჩნდა და

იმ დავასაც, რაც მსჯელობის დროს მოსდიოდათ ხოლმე, ჭაბუკის გონების შეზღუდულობით ხსნიდა; ამიტომაც ცდილობდა დახმარებოდა, მოვლენათა აღქმა თავისი თვალთახედვით ესწავლებინა და ჭაბუკის მსოფლმხედველობის არე თავისი საკუთარი მსოფლმხედველობის ჰორიზონტამდე გაეფართოებინა.

«— დასმაცადეთ, ჯერ ხომ არ დმიმთავრებია სათქმელი. _ უთხრა ქალმა, «— ისე მაგრად მუშაობდაო, მამაჩემი ამბობს, რომ მთეოლ კანტორაში ვერავინ შეედრებოდაო. თავიდანვე დიდი ყუყაითი ყოფილა, ერთხელაც არ დაუგვიანებია სამსახურგი, ის კი არადა, ცოტა უფრო ადრეც მიდიოდა ხცოლმე და მაინც აცხერხებდა დრწოის დაზოგვას. ყოველ თავისუფალ წუთს სწავლას ანდომებდა. შეისწავლა ბუღალტერია, მანქანაზე ბეჭდვა, სტენოგრაფია; ღამღამობით სასამართლოს რეპორტიორს უკარნახებდა ხოლმე, რომელსაც პრაქტიკა სჭირდებოდა, და გაკვეთილების ფასს ამით ისტუმრებდა. სულ მალე კლერკობას მიაღწია და დაუფასებელი მოხელე გახდა. მამაჩემი ძალიან აფასებდა, თავიდანვე მიხვდა, რომ დიდ რამეს მიაღწევდა ეს კაცი. სწორედ მამაჩემმა ურჩია იურიდიულ სასწავლებელში შესვლა. გახდა ვექილი და მობრუნება ვერც კი მოასწრო, რომ მამამ უმცროს კომპანიონად აიყვანა. ნამდვილად დიდი კაცია. რამდენჯერმე მიიწვიეს შეერთებულ შტატების სენატში, მაგრამ თვითონვე არ ინდომა. რომ მოინდომოს, უზენაესი სასამართლოს წევრი გახდებაო. მამა ამბობს, ამისთანა კაცს უნდა მივბაძოთ, ეს უნდა გახდეს ჩვენი შთაგონების წყარო, ხომ ხედავთ, რა წრისაც არ უნდა იყოს ადამიანი, თუკი ნებისყოფას გამოიჩენს, ყველაფერს მიაღწევს.

— მართლაც დიდი ადამიანი ყოფილა, — გულწრფელად შენიშნა მარტინმა.

მაგრამ ამ ამბავში იყო ისეთი მომენტები, რაც სულ არ უთავსდებოდა ჭაბუკის შეხედულებებს ცხოვრებასა და სილამაზეზე, ვერ მიმხვდარიყო, რამ აიძულა მისტერ ბატლერი, ძალათი გადაეტანა ამდენი გაჭირვება და წამება. ქალისთვის რომ მომხდარიყო ეს, ანდა რაიმე მშვენიერების გულისთვის, მაშინ მარტინისათვის ყველაფერი გასაგები იქნებოდა, სიყვარულით გახელებული ჭაბუკი ერთი კოცნისათვის თავსაც კი გასწირავს, მაგრამ წლიური ოცდაათი ათასი დოლარისათვის — არასდიდებით! გულს ურევდა მისტერ ბატლერის მთელი კარიერა, საცოდაობად ეჩვენებოდა ოცდაათი ათასი წლიური შემოსავალი, იცოცხლე, კარგია, მაგრამ კუჭ-ნაწლავის მოშლილობა და ცხოვრებაში ყოველგვარი ხალისისა და სიხარულის დაკარგვა, ფასს უკარგავდა მას.

სცადა რუთისთვისაც გაეზიარებინა ზოგი თავისი მოსაზრება, მაგრამ ამით უფრო შეაკრთო ქალი და კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ უსათუოდ საჭირო იყო ჭაბუკის გარდაქმნა. რუთსაც აზროვნების ჩვეულებრივი შეზღდულობა ახასიათებდა, როცა ადამიანი ბრმად არის თავდაჯერებული, თითქოს მისი მოდგმა, რელიგიური რწმენა და პოლიტიკური შეხედულებანი ყველაზე კარგია, ხოლო სხვებისა, იმ ადამიანებისა, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულან, გაცილებით უფრო დაბლა დგას. ეს ისეთივე შეზღუდულობაა გონებისა, რამაც ერთ დროს უძველეს ებრაელებს მადლი შეაწირვინა ღმერთისათვის, ქალად რომ არ გამაჩინეო, და რაც ახლაც აიძულებს მისიონერებს, ქვეყნის ყოველი კუთხე მოიარონ და ხალხები თავიანთ სარწმუნოებაზე მოაქციონ. რუთმაც ასე გადაწყვიტა _ სულ სხვა სამყაროსა და პირობებში აღზრდილი კაცი სავსებით გარდაექმნა და თავისი საკუთარი წრის ადამიანებისათვის დაემსგავსებინა.

თავი მეცხრე

ზღვაზე მგზავრობიდან მარტინ იდენი შეყვარებულის სულწასულობით მიეშურებოდა შინ, კალიფორნიისაკენ. ფული რომ გამოელია, იძულებული გახდა მეზღვაურად მოწყობილიყო გემზე, რომელიც განძის საძებნელად გაემართა. რვა თვის ამაო წანწალის შემდეგ, საბოლოოდ სოლომონის კუნძულებზე დაიშალა ექსპედიცია. მეზღვაურებს ავსტრალიაში გაუსწორეს ანგარიში და მარტინი მაშინვე სან-ფრანცისკოსკენ მიმავალ დიდ გემზე მოეწყო. ამ რვა თვეში მან ფულიც გვარიანად მოაგროვა, — კარგა ხანს ეყოფოდა ხმელეთზე, — და ბევრიც წაიკითხა და შეისწავლა.

მკვირცხლი გონება ჰქონდა და, ნიჭის გარდა, ბუნებითი სიჯიუტე და რუთის სიყვარული უწყობდა ხელს ამ საქმეში, რუთისაგან წამოღებული გრამატიკა მანამდე იკითხა და ისწავლა, ვიდრე მისმა მოუღლელმა გონებამ საფუძვლიანად არ შეითვისა ყველაფერი. ამის შემდეგ უკვე ყურში ხვდებოდა მეზღვაურთა დამახინჯებული გამოთქმები და გონებაში უსწორებდა, სწორად აგებდა მათგან დამახინჯებულ ფრაზებს. დიდი სიხარულით შენიშნა, რომ სმენა თანდათანობით უფაქიზდებოდა, ხელად ამჩნევდა შეცდომებს და გრამატიკული ალღო სულ უფრო და უფრო უვითარდებოდა. ყოველგვარი ენობრივი შეცდომა ყალბი აკორდივით ჰკვეთდა ხოლმე ყურს, თუმცა ჯერ თვითონვე არ იყო კარგად გაწაფული და ხშირად მის ბაგესაც მოსწყდებოდა შეცდომა. ერთბაშად ყველაფერს ვერ მოერეოდა.

გრამატიკას რომ მორჩა და მრავალჯერ გაიმეორა კიდეც, ლექსიკონს მოჰკიდა ხელი და ყოველდღიურად ოც-ოც ახალ სიტყვას იზეპირებდა. იოლი საქმე არ გამოდგა ეს. იდგა საჭესთან, ან საგუშაგოზე და დასწავლილ სიტყვებს ჯიუტად იმეორებდა, ცდილობდა სწორად გამოეთქვა. თავისდა გასაკვირად შენიშნა, რომ ახლა უკვე უფრო წმინდად ლაპარაკობდა ინგლისურს, ვიდრე გემის ოფიცრები და კაბინეტში მჯდარი ჯენტლმენები, რომელთაც ეს ექსპედიცია მოაწყვეს და დააფინანსეს.

კაპიტანს, თევზისთვალება ნორვეგიელს, როგორღაც შექსპირის სრული თხზულებანი აღმოაჩნდა, რაც მას ერთხელაც არ გადაეფურცლა. მარტინი საცვლების რეცხვას შეჰპირდა კაპიტანს და სამაგიეროდ, ნება მიეცა ამ ძვირფას წიგნებს დასწაფებოდა. ცალკეული ადგილები პიესებისა ზეპირად დაამახსოვრდა, ისე რომ ძალა არც კი დაუტანებია თავისთვის; ისეთი დიდი და ძლიერი იყო წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილება, რომ, ერთი პირობა, მთელი სამყარო ელისაბედის ეპოქად ესახებოდა და თვითონაც შექსპირის თეთრი ლექსით აზროვნებას შეეჩვია. ამან სმენა გაუფაქიზა და დარბაისლური ინგლისურის გემო გაუხსნა, თუმცა, ამავე დროს ბევრი მოძველებული და არქაული გამოთქმაც შეათვისებინა.

სასარგებლო გამოდგა ეს რვა თვე, ენის გაწაფვისა და ბევრი რამის შესწავლის გარდა, მარტინმა საკუთარი თავიც უკეთ შეიცნო. ჯერ ერთი, მიხვდა, რომ თითქმის უვიცი იყო, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარი ძალის რწმენაც მიეცა. ხედავდა, რა დიდი განსხვავება იყო მასა და სხვა მეზღვაურებს შორის, თან კი, იმდენი ჭკუაც გამოაჩნდა, რომ იგრძნო, ეს განსხვავება პერსპექტიულად უფრო დიდი იქნებოდა, რასაც ის აკეთებდა, ამისი გაკეთება სხვებსაც შეეძლოთ, მაგრამ შინაგანი ბუნდოვანი ხმა ეუბნებოდა, რომ მას გაცილებით მეტისთვის შეეძლო მიეღწია. მტკივნეულად განიცდიდა სამყაროს მომხიბლავ მშვენიერებას და სურდა, რუთსაც მასთან ერთად განეცადა ეს გრძნობა, გადაწყვიტა, რუთისთვის აეწერა სამხრეთის ზღვის მთელი მშვენიერება, ერთბაშად იფეთქა მის არსებაში შემოქმედებითმა ცეცხლმა და ჟინმა მოუარა, მარტო რუთისთვის კი არ აეწერა ეს, არამედ სხვებისთვისაც. და ამ ბრწყინვალე ოცნებაში დიდი იდეა იშვა — კალამს უნდა მოჰკიდოს ხელი და წეროს! ისიც უნდა გახდეს ერთ-ერთი იმათთაგანი, ვისი თვალითაც მთელი ქვეყანა ხედავს,

ვისი ყურითაც — ისმენს, ვისი გულითაც გრძნობს და განიცდის, დაწერს, ყველაფერს დაწერს — ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ნარკვევებს; პიესებსაც, შექპირის მსგავსად. აჰა, ნამდვილი კარიერა და გზა, რითაც იგი რუთის გულს მოინადირებს! მწერლები ხომ სამყაროს გოლიათები არიან, სად მოვლენ მათთან მისტერ ბატლერები, რომელთაც წლიური ოცდაათი ათასი დაუგროვებიათ და თუ მოინდომებენ, შეუძლიათ უზენაესი სასამართლოს წევრები გახდნენ.

რაკი ერთხელ ჩაესახა ეს აზრი, მთელ მის არსებას დაეუფლა და ისე დაბრუნდა სან-ფრანცისკოში, თითქოს სიზმარში ყოფილიყოს. ერთიანად დაათრო საკუთარი ძალის შეგრძნებამ, ეჩვენებოდა, რომ ყველაფერს დაძლევდა. დიდი ოკეანის სიმყუდროვეში განმარტოებულს, წინ ათასნაირი პერსპექტივა გადაეშალა. პირველად წარმოუდგა თვალწინ მთელი მკაფიოებით რუთი და მისი სამყარო. გონებაში წარმოსახულმა საგნებმა თითქოს კონკრეტული ფორმა მიიღო, თითქოს შეეძლო ხელი შეეხო მათთვის და გაესინჯა. ბევრი რამ იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი ამ სამყაროში, მაგრამ იგი აღიქვამდა როგორც მთლიანს, ცალკეულ დეტალებს არც კი აკვირდებოდა და, რაც მთავარია, გზას ხედავდა, რითაც შეეძლო დაუფლებოდა მას. უნდა წეროს! ეს ფიქრი ცეცხლივით უტრიალებდა გულში. დაბრუნდება თუ არა, მაშინვე კალამს მოჰკიდებს ხელს. ჯერ განძის მაძიებელთა მოგზაურობას აღწერს. სან-ფრანცისკოს რომელიმე გაზეთს მიჰყიდის. რუთთან კი კრინტსაც არ დაძრავს ამაზე: როგორ გაუკვირდება და გაიხარებს, მოულოდნელად რომ წააწყდება მის გვარს გაზეთში! თან წერს და თან სწავლასაც განაგრძობს. დღეში ოცდაოთხი საათია. რა დაუდგება წინ! მუშაობა იცის, ყოველგვარი ციხე-სიმაგრე დაინგრევა მის წინაშე. ზღვაში გასვლა მეზღვაურად აღარ დასჭირდება. და უცებ გონებში საკუთარი იახტა წარმოუდგა. რამდენი მწერალია, რომ საკუთარი იახტა აქვს. რაღა თქმა უნდა, — სიფრთხილე გამოიჩინა მარტინმა, _ წარმატებას ერთბაშად ვერ მიაღწევ, პირველ ხანებში ისიც კარგი იქნება, სწავლის გასაგრძელებლად საჭირო ფული იშოვოს. მერე და მერე — წინასწარ ვერ განსაზღვრავ, რამდენ ხანში — როცა ისწავლის და მოემზადება, დიდ ნაწარმოებებს შექმნის და მისი სახელი ყველას პირზე ეკერება. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი — განუსაზღვრელად მნიშვნელოვანი — ის იქნება, რომ რუთის ღირსი გახდება. დიდების მაძიებელი კი არ ყოფილა იგი, უბრალოდ სიყვარულით გატაცებული ჭაბუკი იყო.

ფული კარგა ბლომად ჰქონდა ჯიბეში, ოუკლენდს რომ ჩამოვიდა, ისევ თავის ძველ ოთახს მიაშურა ჰიგინბოთამის სახლში და მუშაობას შეუდგა. რუთისთვისაც კი არ შეუტყობინებია ჩამოსვლა. მორჩება თავის ნარკვევს განძის მაძიებლებზე და მერე მოინახულებს! ისე სწვავდა შემოქმედებითი ცეცხლი, რომ ქალის უნახაობა მოითმინა, გარდა ამისა, სწორედ ეს ნარკვევი, რასაც იგი ახლა წერდა, კიდევ უფრო დააახლოებდა ქალთან. არ იცოდა, რამოდენა ნარკვევი უნდა დაეწერა, მაგრამ «სან-ფრანცისკოს მიმომხილველის» საკვირაო დამატებაში ორი სვეტის სიტყვები გამოთვალა და ვარაუდი ამით დაიჭირა, სამი დღე სულმოუთქმელად მუშაობდა, მორჩა ნარკვევს, გულმოდგინედ გადაწერა დიდი ასოებით. რათა წაკითხვა გაადვილებოდათ, და მაშინღა გაიგო, — ბიბლიოთეკიდან გამოტანილ რიტორიკის სახელმძღვანელოში ამოიკითხა, — რომ თურმე პარაგრაფები და ბრჭყალებიც არსებულა. მარტინს ეს საიდან დაესიზმრებოდა! დრო აღარ დაუკარგავს, მოდგა და ხელახლა გადაწერა, თან წერდა და თან, ცალი თვალით, სახელმძღვანელოში იყურებოდა. ერთ დღეში იმდენი რამ შეისწავლა მართლწერისა, რასაც ჩვეულებრივი ნიჭის მოსწავლე მთელ წელიწადს მოანდომებდა, გადაწერა, ქაღალდი ფრთხილად დაგორგლა, შეახვია და უცებ რომელიღაც გაზეთში შენიშვნა წაიკითხა დამწყები

ავტორებისათვის, საცა მან რკინის კანონი აღმოაჩინა: ჯერ ერთი, ხელნაწერის დაგორგვლა არ შეიძლებოდა და, მეორეც, გადაწერითაც მხოლოდ ცალ გვერდზე უნდა გადაეწერა, ორივე წესი დარღვეული იყო. ამავე შენიშვნიდან გაიგო, რომ პირველხარისხოვანი გაზეთები, სულ ცოტა, ათ დოლარს უხდიდნენ ავტორებს თითო სვეტში. ასე რომ, როცა მესამედ შეუდგა გადაწერას, თავს იმით ინუგეშებდა, რომ ამრავლებდა და ამრავლებდა ათ სვეტს ათ დოლარზე. ნამრავლი უცვლელად ერთი და იგივე გამოდიოდა — ასი დოლარი! საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მეზღვაურობას ნამდვილად ესა სჯობდა. ეს იაღლიში რომ არ მოსვლოდა ზედიზედ ორჯერ, სამ დღეში ნარკვევი მზადა ჰქონდა. ასი დოლარი — სამ დღეში, ამდენ ფულს გემზე სამ თვეშიაც კი ვერ გააკეთებდა. რეგვენი უნდა იყო კაცი, რომ მეზღვაურად წახვიდე, თუკი წერა შეგიძლია, დაასკვნა მან. თუმცა ფულის სიყვარული, თავისთავად, ერთი ბეწოთიც არა ჰქონია. მხოლოდ თავისუფლება იყო დასაფასებელი, რასაც ფული მოუპოვებდა მას, და კიდევ რიგიანი ტანსაცმელი, რაც, აგრეთვე, ფულით უნდა ეყიდა. ერთიცა და მეორეც მას საშუალებას მისცემდა დაახლოებოდა ტანწერწეტა, ფერმკრთალ ქალიშვილს, რომელმაც მთელი ცხოვრება თავდაყირა შეუტრიალა ჭაბუკს და შთაგონების ცეცხლი მისცა.

ხელნაწერი დიდ კონვერტში ჩადო და «სან-ფრანცისკოს მიმომხილველის» რედაქტორს გაუგზავნა. ეგონა, გაზეთი ხელადვე დაბეჭდავდა; პარასკევს გაგზავნა თავისი ხელნაწერი და კვირის ნომერში დაბეჭდილს ელოდა. დიდებული კი იქნება, ჩამოსვლა ამით გააგებინოს რუთს! კვირას, საღამო ხანს, თვითონაც შეივლის და ნახავს. ამასობაში ახალი აზრი დაებადა. რომ დაუფიქრდა, ძალიან მოეწონა ეს აზრი — საოცრად საღი, კარგად აწონ-დაწონილი და სადა ეჩვენა. სათავგადასავლო მოთხრობას დაწერდა ბავშვებისათვის და «ყმაწვილის თანამგზავრს» გაუგზავნიდა. ბიბლიოთეკაში შეიარა და ჟურნალის ნომრები გადაათვალიერა, გამოირკვა, რომ ამ კვირეულ ჟურნალში მოთხრობები გაგრძელებით იბეჭდებოდა, დაახლოებით ხუთ-ხუთ ნომერში; თითო ნომერში სამი ათასამდე სიტყვა ეტეოდა. ზოგიერთი მოთხრობა უფრო გრძელიც აღმოჩნდა — შვიდ ნომერში გაეგრძელებინათ. გადაწყვიტა, მასაც ამოდენა მოთხრობა დაეწერა.

ერთხელ ვეშაპზე მონადირე გემს გაჰყვა მარტინი არქტიკაში. ექსპედიცია სამი წლით იყო ნავარაუდევი, მაგრამ ექვს თვეში დამთავრდა, გემის მარცხის გამო. ფანტაზია მდიდარი ჰქონდა მარტინს, მაგრამ სიმართლე ყველაფერს ერჩია და ეს აიძულებდა, საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი აღეწერა. ვეშაპების ჭერის საქმეს კარგად იყო გაცნობილი და გადაწყვიტა, ამ ნაცნობი თემიდან გამოგონილი ამბავი შეეთხზა ორი გმირი ბიჭის მონაწილეობით, რომლებიც გამონაგონს ნამდვილთან დააკავშირებდნენ. იოლი საქმეაო, გადაწყვიტა შაბათ საღამოს, და იმავე საღამოს დაამთავრა პირველი ნაწილი, სამი ათასი სიტყვა. ჯიმი ამით ძალიან გაახარა, მისტერ ჰიგინბოთამმა კი ყბად აიღო, მთელი დღე აღარ გაათავა ქირქილი — საკუთარ სახლში მწერალი აღმოვაჩინეო.

მარტინი არაფერს უპასუხებდა, გუნებაში კი ეცინებოდა, როცა წარმოიდგენდა, როგორ გაშლიდა მისი სიძე საკვირაო გაზეთს და შიგ ნარკვევს ნახავდა განძის მაძიებლებზე. მეორე დღეს გათენებამდე გამოვარდა დერეფანში და ნერვულად დაუწყო შლა მრავალფურცლიან გაზეთს, მეორედაც გადაფურცლა, მეტი გულისყურით, მერე ისევ დაკეცა და იქვე დადო, საიდანაც აიღო. თავისი თავის კმაყოფილი დარჩა, რომ წინასწარ არავის უთხრა. ცოტა რომ დაფიქრდა, გადაწყვიტა, ალბათ შევცდი, ასე მალე რომ მოველოდი დაბეჭდვას, ეტყობა, ასე ჩქარა არ

ბეჭდავენო. თანაც ისეთი სასწრაფო და გადაუდებელი არაფერი ყოფილა გაზეთში და იფიქრა, რედაქტორი ალბათ წინასწარ თავის მოსაზრებას მომწერსო.

ნასაუზმევს ისევ მიუბრუნდა მოთხრობას. სიტყვები შეუწყვეტელ ნაკადად სწყდებოდა კალამს, თუმცა ხშირად იძულებული იყო, მუშაობა შეეჩერებინა და ხან ლექსიკონში და ხანაც რიტორიკის სახელმძღვანელოში ეცქირა, ასეთი შეჩერების დროს იგი ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე — ზოგჯერ რამდენჯერმე — უკვე დაწერილ ნაწილს; თავს ინუგეშებდა — მანამ დიდ რასმე დავწერდე, კომპოზიციას შევისწავლი, ყოველ შემთხვევაში გავიწაფები, აზრის ჩამოყალიბებას და დალაგებას შევეჩვევიო. დაბნელებამდე მაგრად მუშაობდა, მერე კი ბიბლიოთეკაში წავიდოდა და ჟურნალებსა და ყოველკვირეულ დამატებებს ათვალიერებდა, მანამ ათ საათზე ბიბლიოთეკას დაკეტავდნენ, საამკვირიოდ ასეთი გეგმა ჰქონდა დასახული, დღეში სამი ათას სიტყვას წერდა, საღამოობით ჟურნალებში იქექებოდა, აკვირდებოდა მოთხრობებს, ნარკვევებს, ლექსებს, ამოწმებდა — რედაქტორებს როგორი ნაწარმოები მოსწონთო. ერთი რამ ცხადი გახდა: რასაც ეს მრავალრიცხოვანი მწერლები წერდნენ, მასაც შეეძლო ამის დაწერა, ხოლო დრო თუ ექნებოდა, იმისთანა რამეებსაც დაწერდა, რასაც ისინი ვერ მოახერხებდნენ. «წიგნის ბიულეტნში» რაღაც ცნობა ამოიკითხა ჰონორარების თაობაზე და ძალიან გაუხარდა, რედიარდ კიპლინგი რომ თითო სიტყვაში დოლარს იღებდა, ეგ არაფერი, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ პირველხარისხოვან ჟურნალებში მინიმალური ჰონორარი სიტყვაში ორი ცენტი ჰქონოდათ დაწესებული. «ყმაწვილის თანამგზავრი» არ შეიძლებოდა პირველხარისხოვანი ჟურნალი არ ყოფილიყო, ასე რომ სამი ათას სიტყვაში, რაც იმ დღეს დაწერა მარტინმა, სამოც დოლარს მიიღებდა — მეზღვაურის ორი თვის გასამრჯელოს!

პარასკევ საღამოს დაამთავრა მოთხრობა — ოცდაერთი ათასი სიტყვა გამოვიდა. ორ ცენტს თუ მისცემდნენ სიტყვაში, მთლიანად ოთხას ოც დოლარს მიიღებდა. კვირის ხელფასად არა უშავდა რა! ამდენი ფულისთვის ერთბაშად ჯერაც არ შეევლო ხელი. არ იცოდა, რაში უნდა დაეხარჯა. ოქროს მადანს მიაგნო! რაკი ერთხელ გაეხსნებოდა გზა, შემდგომ სულ უფრო და უფრო მეტს მიიღებდა. რამდენიმე ხელს ტანსაცმელს ვიყიდიო, გადაწყვიტა, ჟურნალებს გამოიწერდა. ათ-თორმეტ აუცილებლად საჭირო წიგნსაც იყიდდა, რისთვისაც ახლა იძულებული იყო ბიბლიოთეკაში ერბინა. მაგრამ ამის შემდეგაც ფული მაინც ბლომად რჩებოდა იმ ოთხას ოცი დოლარიდან. შეწუხდა, აღარ იცოდა, რაში დაეხარჯა, და ბოლოს მოიგონა — მოსამსახურეს დაუქირავებდა გერტრუდას, მერიონს კი ველოსიპედს უყიდდა.

კარგა დიდი ხელნაწერი «ყმაწვილის თანამგზავრს» გაუგზავნა ფოსტით, მერე ნარკვევის გეგმა მოიფიქრა, მარგალიტის მოპოვების შესახებ და შაბათ საღამოს რუთის მოსანახულებლად გასწია. წინასწარ ტელეფონით დაურეკა და რუთი თვითონვე გამოეგება კართან. თითქოს კვლავ ამოვარდა ჭაბუკის სხეულიდან საოცარი სიმტკიცისა და ძალის ნაცნობი ალი და ქალს შემოეხვია. თითქოს მთელ სხეულში ჩაეღვარა, ყველა ძარღვსა და ნერვში თბილ ნაკადად დაუარა ამ ძალამ და თრთოლვა დააწყებინა. ხელი რომ ჩამოართვა ჭაბუკმა და ლურჯ თვალებში ჩახედა, ერთბაშად წამოენთო სახეზე, მაგრამ ქალმა ეს ვერ შენიშნა, რადგან ამ რვა თვეში ისე გარუჯულიყო მზეზე, რომ სიწითლე მზის სიდამწვრემ დაჰფარა, ოღონდ გახამებული საყელოს განახეხი კისერზე მაინც გარკვევით აჩნდა. ქალს ღიმილმა წამოუარა, როცა ეს წითელი ხაზი შენიშნა, მაგრამ ტანსაცმელსაც რომ შეავლო თვალი, ღიმილი ჩანასახშივე გაუქრა. მართლაც რომ დიდებულად ადგა ტანსაცმელი — ეს იყო დაკვეთით შეკერილი პირველი კოსტიუმი და მარტინს უფრო გამხდარსა

და მოხდენილს აჩენდა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ძველი კეპის ნაცვლად, ხელში ეჭირა რბილი შლიაპა, რომელიც მაშინვე დაახურინა ქალმა, და შეაქო, კარგად გამოწყობილხარო. ისე ბედნიერად იგრძნო თავი, რომ ასეთი განცდა თავის დღეში არა ჰქონია. მთელი ეს ცვლილება მისგან მოდიოდა, მისი გავლენით იყო, და გულში ერთბაშად სიამაყე იგრძნო. დაუცხრომელმა სურვილმა აღაგზნო, მომავალშიც დახმარებოდა ჭაბუკს.

მაგრამ ყველაზე დიდი ცვლილება, რამაც განსაკუთრებით გაახარა ქალი, ენაში იგრძნობოდა, მარტინი ახლა უფრო სწორადაც მეტყველებდა, უფრო ლაღადაც, სიტყვის მარაგიც გაცილებით უფრო გაემდიდრებინა. თუმცა, როცა ეშხში შევიდოდა და აღეგზნებოდა, წინანდებურადვე ტოვებდა ცალკეულ მარცვლებსა და დაბოლოებებს, ზოგჯერ ენაც კი დაებმებოდა, როცა ახალდასწავლილი სიტყვების გამოყენებას ცდიდა. ლაღი და თავისუფალი მეტყველების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის მოვლენა, რომ ჭაბუკს ჭკუამახვილობა და მსუბუქი იუმორიც აღმოაჩნდა, და ამან ძალიან გაახარა ქალი, ფაქტობრივად ეს მისი ჩვეულებრივი ენამახვილობა იყო, რისთვისაც განსაკუთრებით უყვარდათ ამხანაგებს, მაგრამ რუთისთან აქამდე ვერ გამოამჟღავნა, რადგან სიტყვის მარაგი აკლდა და ლაპარაკშიც გაწაფული ვერ იყო. ახლა უკვე თანდათანობით ეჩვეოდა ამ გარემოს და ტყიდან. შემოვარდნილივით აღარ გრძნობდა თავს. მაგრამ მაინც ფრთხილობდა. მხიარული საუბრის ინიციატივას რუთს უთმობდა. თვითონ ნაბიჯს უწყობდა და თავს ნებას არ აძლევდა გაესწრო მისთვის.

თავისი საქმიანობა და გეგმა გააცნო ქალს — თავი წერით უნდა დავირჩინო და როგორმე სწავლა გავაგრძელოო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა: რუთი მოწონებით ვერ შეხვდა, ჭაბუკის გეგმა ჭკუაში არ დაუჯდა.

— იცით, რა, — გულწრფელად უთხრა მან, — მწერლობაც ხომ ისეთივე ხელობაა, როგორც ყოველი სხვა პროფესია. თუმცა ამ საქმეში დიდ ცოდნას, რა თქმა უნდა, ვერ დვიჩემებ, მე საერთო აზრს ვიმეორებ, მჭედლობა რომ მჭედლობაა, იმასაც კი, სულ ცოტა, სამი წლის სწავლა დასჭირდება, იქნებ ხუთისაც, და მწერლები ხომ მჭედლებზე გაცილებით მეტ გასამრჯელოს იღებენ, ამიტომ წერის მოსურნეც მეტი იქნება... ვინ იცის, რამდენი ცოდვილობს.

— მაშ, მე ამისი თანდაყოლილი ნიჭი არა მაქვს, ვითომ? — იკითხა მარტინმა, და გულში სიხარული იგრძნო — სათქმელი ლამაზად გამოვთქიო. ხელადვე თავისი ცხოველი წარმოსახვა აუმუშავდა, თითქოს ვეებერთლა ეკრანზე შეჰყურებდა ამ საუბრის სცენას, და ამ სცენასთან ერთად განვლილი ცხოვრების ათას სხვა სცენებს — ტლანქს, უხეშს, პირუტყვულსა და საძაგელს.

მაგრამ ამ სცენებმა სინათლის სისწრაფით გაიელვა მის წარმოსახვაში, ისე რომ არც საუბარი დაურღვევიათ და არც მისი წყნარი ფიქრთა დენა. ოცნების ეკრანზე მარტინი ხედავდა საკუთარ თავსა და ამ მომხიბლავ, საყვარელ გოგონას — პირში შესცინცინებენ ერთმაენეთს, გამართული ინგლისურით ლაპარაკობენ, ოთახში, სადაც ისინი სხედან, წიგნები და სურათებია, ყველაფრიდან გამოსჭვივის კულტურა და კეთილშობილება. ამ სცენამ, თვალისმომჭრელი სინათლით გაბრწყინებულმა და განათებულმა, ეკრანის შუაგული დაიჭირა. ირგვლივ კი, ეკრანის ნაპირებზე, ინთებოდა და ქრებოდა სულ სხვა სურათები, და ჭაბუკს, როგორც მაყურებელს, შეეძლო საკუთარი სურვილის მიხედით ეცქირა მათთვის. ეს ცალკეული სურათები გამოისახებოდა ხოლმე ორთქლისა და ნისლის ბოლქვებში, რასაც მალევე ფანტავდა სინათლის წითლად მობრჭყვიალე ისრები, აგერ, კოვბოები მისდგომიან, დახლს და მაგარ უისკისა სვამენ. ჰაერში უშვერი და უწმაწური სიტყვების კორიანტელი

დამდგრა. მარტინიც მათთან დგას, ყლურწავს უისკის და თან იგინება; ან არადა ამავე კოვბოებთან ერთად სუფრას მისჯდომია და ნავთის ჭრაქის მხრჩოლავ სინათლეზე კარტს თამაშობს; აგერ, წელამდე გატიტვლებულს, მუშტები შეუმართავს და «სასკვენჰანას» ბანზე წიქორა ლივერპულელს ებრძვის — ეს იყო ყველაზე გააფთრებული ჩხუბი, რაც კი მას გამოეცადა; იქით ჯონ როჯერსის» სისხლით მოთხვრილი ბანი, როცა ერთ ნისლიან დილას მეზღვაურებმა აჯანყება სცადეს: უფროსი თანაშემწე სასიკვდილო აგონიით იწმახნება, კაპიტნის შემართულ რევოლვერს ლულიდან ისევ ამოსდის კვამლი, ყელში მოწოლილი ბოღმით სახეშეშლილი, დაჭრილი მეზღვაურები მწარედ იგინებიან... და ისევ ის მთავარი სურათი, მოელვარე შუქით გასხივოსნებული სიმყუდროვე, ირგვლივ წიგნები და სურათები, მარტინი კი ზის, რუთს ესაუბრება. აგერ როიალიც, რომელზედაც ცოტა ხანში რუთი დაუკრავს. თავისი საკუთარი ხმაც შემოესმა, გამართული ინგლისურით წარმოთქმული სიტყვები: «მაშ, მე ამისი თანდაყოლილი ნიჭი არა მაქვს, ვითომ?»

— მჭედლობის განსაკუთრებული მიდრეკილებაც რომ ჰქონდეს კაცს, კმარა განა?! — სიცილით უპასუხა რუთმა, — ჩემს დღეში არ გამიგონია, შეგირდობის გაუვლელად მჭედელი გამხდარიყოს კაცი.

— მაშ, რას მირჩევდით? — ჰკითხა ჭაბუკმა. — ოღონდ ნუ დაივიწყებთ, რომ მე მართლაც ვგრძნობ წერის უნარს... ამისი ახსნა არ შემიძლია, მაგრამ ნამდვილად ასეა

— ჯერ უნდა საფუძვლიანად ისწავლოთ, — მიუგო ქალმა, — გახდებით თუ არა მწერალი, სულ ერთია, უნდა ისწავლოთ. რა ხელობაც არ უნდა აირჩიოთ, განათლება მაინც გჭირდებათ, მაგრამ საფუძვლიანი განათლება, სასხვათაშორისო კი არა. სკოლაში უნდა შეხვიდეთ.

— ჰო… — დაიწყო ჭაბუკმა, მაგრამ ქალმა შეაწყვეტინა.

— წერით, რა თქმა უნდა, მაშინაც შეგიძლიათ წეროთ.

— წერას ხომ მაინც ვერ მოვიშლი! — მტკიცედ განაცხადა ჭაბუკმა.

— რატომ? — გაკვირვებით ჩაეკითხა ქალი, რადგან ჭაბუკის სიჯიუტე არ მოეწონა.

— აბა, თუ არ ვწერე, სკოლაში როგორ შევალ?! რითი ვიცხოვრო? წიგნები და ტანსაცმელი რით ვიყიდო?

— ეს კი არ მომგონებია! — გაეცინა ქალს, — როცა დაიბადეთ, წლიური შემოსავალიც უნდა დაგყოლოდათ.

— მაგას ის მირჩევნია, ჯანის სიმრთელე და წარმოსახვის უნარი მქონდეს, — მიუგო ჭაბუკმა, — შემოსავალი ისედაც მოვა. რეებს გავაკეთებდი, ოღონდ... — კინაღამ წამოცდა, «ოღონდ შენ ჩემი გახდეო», — ოღონდ ყველაფერი კარგად წარიმართოს.

— ნუ ამბობთ, «რეებს გავაკეთებო!» — ხუმრობით აღშფოთდა ქალი, — ეს ხომ ჟარგონია, საშინელებაა!

მარტინი სახეზე წამოჭარხლდა, ენა დაება,

— მართალი ხართ, ნეტა მუდამ ასე გამისწორებდეთ.

და მაშინვე თიხად იქცა ჭაბუკი ქალის ხელებში, მგზნებარე სურვილმა წამოუარა — რადაც თვითონ მოისურვებს, იმად გამომძერწოსო; ქალის სურვილიც ხომ სწორედ ეს იყო — ისეთ კაცად ექცია მარტინი, რაც მისი ოცნების იდეალს წარმოადგენდა. კარ.გად დაემთხვაო, ქალმა უთხრა, მისაღები გამოცდები საშუალო სკოლაში მომავალ ორშაბათს იწყებაო, და მარტინიც ხალისით დათანხმდა გამოცდები დაეჭირა.

მერე როიალს მიუჯდა ქალი და ჭაბუკს უმღერა. ბიჭი მოწყურებული თვალებით შესცქეროდა, ვერ ძღებოდა მისი ცქერით, უკვირდა — რატომ ასობით თაყვანისმცემელი არ ახვევია გარს და, აგერ ჩემსავით, არა დნება მისი სურვილითო.

თავი მეათე

იმ საღამოს მარტინი იქვე დარჩა სადილად და რუთი გახარებული იყო, რომ ჭაბუკმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მამამისზე. საუბარი გააბეს ზღვაოსნობაზე, როგორც ხელობაზე, მარტინმა კი ეს საქმე ხუთი თითივით იცოდა. გონებაგახსნილი ჭაბუკი ყოფილაო, მისტერ მორზმა შენიშნა შემდეგ. მარტინი ცდილობდა, ჟარგონი არ დასცდენოდა, შესაფერი გამოთქმები შეერჩია, ამიტომ ნელა ლაპარაკობდა და კარგადაც აყალიბებდა სათქმელს. ახლა უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე პირველი სადილის დროს, თითქმის ამ ერთი წლის წინათ, ხოლო ის მოკრძალება და მორცხვობა, რაც კვლავ შერჩენოდა, ძალიან მოეწონა მისის მორზს, რომელიც კმაყოფილი იყო ჭაბუკის ასეთი შეცვლით.

— ჯერ მამაკაცისთვის ყურადღება არ მიუქცევია რუთს, ეს პირველია, — უთხრა მან ქმარს, — ისე გულგრილად ეპყრობოდა მამაკაცებს, რომ მეშინოდა კიდეც.

მისტერ მორზმა გაკვირვებით შეხედა ცოლს.

— მაგისი ქალობის გასაღვიძებლად გინდა ეს ყმაწვილი კაცი — მიუგო მისის მორზმა, — მართლა თუ აღუძრავს ეს იდენი ინტერესს მამაკაცების მიმართ, მაგას რაღა ჯობს.

— მარლაც რა ჯობს! — დაეთანხმა ქმარი, ვაითუ... ხომ იცი, ყველაფერს უნდა მოელოდე, ჩემო კარგო... ვაითუ საკუთარი თავის მიმართ აღუძრა ინტერესი!

— «ეს რამ გაფიქრებინა” — გაეცინა მისის მორზს, — რუთი სამი წლით უფროსია მაგაზე... და ისედაც, ეგ რამ გაფიქრებინა... თავის დღეში არ მოხდება ეგა. მე მენდე.

ამრიგად, მარტინის როლი ზუსტად განისაზღვრა, თვითონ კი ამ დროს ერთ უცნაურ გეგმას აწყობდა: ართურმა და ნორმანმა ატეხეს — კვირა დილას ველოსიპედებით აპირებდნენ გასეირნებას მთებში; თავიდან არც კი დაინტერესებულა მარტინი, მაგრამ, როცა გაიგო, რუთიც ძმებთან ერთად მიემგზავრებოდა, თვითონაც მოინდომა წასვლა. თავისდღეში არ მჯდარა ველოსიპედზე, არცა ჰქონია საკუთარი ველოსიპედი, მაგრამ რაკი რუთი მიდიოდა, გადაწყვიტა მასაც ესწავლა. გამოემშვიდობა თუ არა მასპინძლებს და ქუჩაში გამოვიდა, მაშინვე მაღაზიისაკენ გაემართა და ველოსიპედი იყიდა, ორმოცი დოლარი დახარჯა. ამდენ ფულს მთელი თვის მძიმე მუშაობითაც კი ვერ აიღებდა და ქისა საგრძნობლად შეთხელდა. მაგრამ «მიმომხილველიდან» მისაღებ ას დოლარს, ის ოთხას ოცი დოლარიც რომ მიუმატა, რასაც იგი ‚ყმაწვილის თანამგზავრში» მიიღებდა, გულზე მოეშვა — დახარჯვა ხომ უნდოდა ამ ფულს და, აგერ, ერთ ნაწილს უკვე გამოუჩნდა გზა, არც იმაზე შეწუხებულა, კოსტიუმი რომ გაიხია, როცა თავის სიცოცხლეში პირველად გადააჯდა ველოსიპედს და შინისკენ გაემართა, იმავე საღამოს მისტერ ჰიგინბოთამის მაღაზიიდან მკერავს დაურეკა და ახალი კოსტიუმი დაუკვეთა. ველოსიპედი ეზოს ვიწრო კიბიდან აიტანა, რომელიც სახანძრო კიბესავით მიეკრათ სახლის კედელზე; და საწოლი რომ გამოსწია კედლიდან, აღმოჩნდა რომ იმ მოკუცულ ოთახში მხოლოდ მისთვის და ველოსიპედისთვის დარჩა ადგილი.

კვირა დღე საგამოცდო მზადებისთვის უნდა მოენდომებინა. ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მარგალიტების მაძიებლებზე მოთხრობის წერამ გაიტაცა და

მთელი დღე შემოქმედებით ციებ-ცხელებაში გაატარა, ცდილობდა მოთხრობაში გაეცოცხლებინა ის სილამაზე და რომანტიკა, რაც ასე მგზნებარედ გიზგიზებდა მის წარმოსახვაში. მეორე მოთხრობა — «განძის მაძიებლებზე» — არც საკვირაო ნომერში აღმოჩნდა დაბეჭდილი, მაგრამ ამას სულაც არ გაუტეხია მარტინის სული; ისე იყო აგზნებული, რომ არც ის გაუგია როგორ მიიხმეს სადილზე ორჯერ. ასე რომ იმ დღეს სულაც არ უგემნია მისტერ ჰიგინბოთამის საგანგებო საკვირაო სადილი. ასეთი სადილებით მისტერ ჰიგინბოთამს სურდა თავისი კეთილდღეობა და განსაკუთრებული წარმატებანი დაედასტურებინა, გულისამრევად მოჰყებოდა ხოლმე ქადაგებას ამერიკული ცხოვრების წესის უპირატესობზე, ყოველ უბრალო მუშას შეუძლია ამაღლდეს და გარკვეულ დონეს მიაღწიოსო, უსათუოდ თავისსავე მაგალითს მოაყოლებდა — როგორ იქცა საბაყლო დუქნის უბრალო ნოქარი ჰიგინბოთამის დიდი მაღაზიის პატრონად.

ორშაბათ დილას მარტინმა გულდაწყვეტით დახედა თავის დაუმთავრებელ ნარკვევს, ტრამვაიში ჩაჯდა და ოუკლენდის სკოლისაკენ გაემართა, რამდენიმე დღის შემდეგ შედეგის გასაგებად მიაკითხა და გაიგო, რომ, გრამატიკის გარდა, ყველა საგანში ჩაჭრილიყო.

— გრამატიკა ჩინებულად გცოდნიათ, — უთხრა პროფესორმა ჰილტონმა და სქელი სათვალიდან გამოხედა, — მაგრამ სხვა საგნებისა არაფერი გაგეგებათ, სრულებით არაფერი, ამერიკის ისტორიაში თქვენი პასუხები პირდაპირ საშინელება იყო, სხვა სიტყვით ვერ გამოვხატავ — ნამდვილი საშინელება იყო. მე გირჩევდით...

პროფესორი ჰილტონი შეჩერდა და გულგრილად, ცივად შეხედა მარტინს, თითქოს თავის ლაბორატორიაში სინჯარებს დაჰყურებსო, ფიზიკას ასწავლიდა ეს პროფესორი სკოლაში, დიდი ოჯახის პატრონი იყო, პატარა ჯამაგირი ქონდა, თავისი საგანი თუთიყუშივით გაეზეპირებინა და კარგ მცოდნედ ითვლებოდა.

— დიახ? — მოკრძალებით გამოეხმაურა მარტინი, ინატრა — ნეტა პროფესორ ჰილტონის ადგილზე ახლა ის ბიბლიოთეკარი დასვაო.

— მე გირჩევდით, ორი წელიწადი ისევ დაწყებით სკოლაში გესწავლათ. მშვიდობით!

დიდად არ შეუწუხებია მარტინი ამ მარცხს, მაგრამ რუთს ისე შეეშალა სახე, პროფესორ ჰილტონის რჩევა როცა გაიგო, რომ ჭაბუკი სახტად დარჩა. ისეთი აშკარა იყო ქალის გულისტკივილი, რომ ახლა მარტინიც შეწუხდა, მაგრამ უმთავრესად რუთის გულისათვის.

— კი გეუბნებოდით, — უთხრა ქალმა, — ყველა იმათზე მეტი იცით თქვენ, ვინც იქ გამოცდას აბარებდა, მაგრამ არ გაგიმართლათ. ეს იმიტომ რომ ფრაგმენტული ცოდნა გაქვთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი. თანმიმდევრობა გჭირდებათ სწავლაში, რასაც მხოლოდ გამოცდილი მასწავლებლები შეგაჩვევენ. ჯერ საძირკველი უნდა მოიმზადოთ. პროფესორი ჰიტლონი მართალია. თქვენს ადგილას რომ ვიყო, საღამოს სკოლში შევიდოდი. წელიწად-ნახევარში გაივლით მთელ კურსს და ექვსი თვე დაგეზოგებათ. თანაც დღისით თავისუფალი იქნებით, წერა შეგეძლებათ, ან არადა, კალმით თუ ვერ ირჩენთ თავს, სხვა რამე საქმეს მოჰკიდებთ ხელს.

«დღისით თუ ვიმუშავე და ღამით ვისწავლე, თქვენ როდისღა გნახოთ?» — გაიფიქრა უცებ მარტინმა, მაგრამ თქმით არ უთქვამს, თავი შეიკავა და ესღა უთხრა:

— ბალღი ხომ აღარა ვარ, საღამოს სკოლაში ვიარო. თუმცა კი არ ვითაკილებდი, დარწმუნებული რომ ვიყო, ღირს-მეთქი... მაგრამ ღირს ვითომ? დამოუკიდებლად უფრო ჩქარა შევისწავლი ყველაფერს, ტყუილუბრალოდ რად დავკარგო დრო (ამას

რომ ამბობდა, ქალზე ფიქრობდა, მისი გულის მონადირების სურვილი სწვავდა)... დავზოგავ დროს, გასაფლანგავი დრო სადა მაქვს?

— მაგრამ რამდენი რამ გჭირდებათ! — ნაზად შეავლო თვალი ქალმა. ნამდვილი პირუტყვი ვარო, მარტინმა გაიფიქრა, რას ვეურჩებიო.

— ფიზიკასა და ქიმიას, — განაგრძო ქალმა, — ულაბორატორიოდ ვერ ისწავლით. ალგებარასა და გეომეტრიაშიც ვერაფერს გახდებით, მასწავლებელი თუ არ გეყოლათ. გამოცდილი მასწავლებლები გჭირდებათ, კარგი სპეციალისტები.

მარტინი წუთით ჩაფიქრდა, კარგად ასწონ-დასწონა, როგორ ეპასუხა, რომ ზედმეტი კვეხნა არ გამოსვლოდა.

— კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევთ, — დაიწყო მან, — სულაც არ ვაპირებ კვეხნას. მაგრამ ვგრძნობ, რომ ყველაფერს ადვილად დავძლევ. სხვისი დახმარება სულაც არ მჭირდება. როგორც იხვს წყლისკენ, ისე მიმიწევს სწავლიკენ გული, ხომ ნახეთ, როგორ დავძლიე გრამატიკა. სხვაც ბევრი შევისწავლე… ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი რამე. მაგრამ ეს ჯერ დასაწყისია მხოლოდ ჯერ დამაცადეთ... — შეყოყმანდა, სწრაფად გამოვთქვამ თუ არა ამ სიტყვასო, — იმპულსი შევიძინო...

— თუ ღმერთი გწამთ, ნუღარ იტყვით, «იმპულსი შევიძინოო — შეაწყვეტინა ქალმა.

— მე ხომ ახლა შევდივარ საქმის გულში...

— ან «საქმის გულში შესვლა»— რას ნიშნავს? — არც ეს მოუწონა ქალმა.

ჭაბუკმა თავს ძალა დაატანა და სცადა უფრო სწორად გამოეთქვა:

— საქმე ისაა, რომ მე ახლაღა ვიწყებ ხელ-ფეხის მოკიდებას.

ქალს შეეცოდა და აღარ შეუჩერებია. ჭაბუკმა განაგრძო:

— ცოდნა მე შტურმანის ოთახად წაერმომიდგენია, საცა საზღვაო რუკებს ინახავენ ხოლმე. რამდენს ბიბლიოთეკაში მივალ, იმდენი ეს მომაგონდება, მასწავლებლის ვალია, თანმიმდევრობით გააცნოს ეს რუკები მოწაფეს. ამ რუკების ოთახის გიდები არიან მასწავლებლები… მორჩა და გათავდა. საკუთარი კი არაფერი უდევთ თავში. თვითონ კი არაფერს იგონებენ, კი არაფერს ქმნიან. ამ ოთახში მზამზარეულადა დევს ყველაფერი, და მასწავლებელი იმასღა აჩვენებს, სად რა დევს, რათა გამოუცდელ მოწაფეს არ აერიოს. მე აგრერიგად არ ამერევა, ხელადვე მივაგნებ ხოლმე. არხეინადა ვგრძნობ... კიდევ ავურიე რამე?

— «არხეინადა ვგრძნობ» რაღაა?!

— მართალი ხართ, — მადლიერებით მიუგო ჭაბუკმა, — მშვენივრადა ვგრძნობ. დიახ, რასა ვგრძნობ არხეინად... მშვენივრად? ჰო, ვგრძნობ-მეთქი, სად რა არის. ზოგ-ზოგებს მართლაც...

— ზოგს, — გაუსწორა ქალმა.

— ზოგს მართლაც სჭირდება გიდი, ბევრსა სჭირდება, მე კი, იმედი მაქვს, დამოუკიდებლადაც მოვახერხებ. იმდენი ხანი ვტრიალებ ამ რუკებით ოთახში, რომ გზის გაგნება უკვე აღარ გამიჭირდება, კარგად მივაგნებ საჭირო რუკას, ხელად მივხვდები, რომელ ნაპირს უნდა მივადგე და გამოვიკვლიო. და სხვის… დაუხმარებლად უფრო ჩქარაც გამოვიკვლევ. ფლოტის სისწრაფეს ყველაზე ნელი ხომალდის სიჩქარით ზომავენ ხოლმე. მასწავლებლებსაც ასე მოსდით _ მძიმე მოსწავლის ნაბიჯს უნდა აუწყონ ფეხი. მე კი დამოუკიდებლად უფრო სწრაფად ვივლი.

— «ვინც მარტო დადის, ის ივლის სწრაფად». — გაიხსენა რუთმა.

— «მე კი ნეტა შენთან ერთად მატარა სწრაფად», ენაზე მოადგა მარტინს, როცა თვალწინ წარმოუდგა მზით გასხივოსნებული უსაზღვრო სივრცეები,

ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა... მას კი რუთისთვის მოუხვევია ხელი და მიცურავს, ქალის ოქროსფერი კულულები სახეზე ეფინება, და მაშინვე თავისი ენადაბმულობა მოაგონდა. ღმერთო დიდებულო! სიტყვების დამორჩილება რომ შეეძლოს, რათა ქალსაც დაანახოს, რასაც ახლა თვითონ ხედავს! ტკივილივით მოაწვა გულში სურვილი, ყველაფერი დაეხატა, რაც ახლა, ასე მოულოდნელად, მისი წარმოსახვის სარკეში ირეკლებოდა. აჰა, სწორედ ეგ არის! იგი უკვე ჩაწვდა საიდუმლოს. სწორედ ამას ახერხებენ დიდი მწერლები და პოეტები. ამიტომაც არიან გოლიათები. მათ იციან, როგორ გამოთქვან საკუთარი ფიქრები, განცდილი, ნაგრძნობი, დანახული. მზეში მიძინებული ძაღლები ხშირად წამოიკნავლებენ და წამოიყეფებენ ხოლმე, მაგრამ ვერ გეტყვიან, რა ნახეს, რამ წამოაკნავლათ და წამოაყეფათ. რამდენჯერ ჩაფიქრებია ამას თვითონაც მზეში მიძინებულ ძაღლსა ჰგავდა. ლამაზ, მომხიბლავ ზმანებებს ნახულობს, მაგრამ როცა ცდილობს რუთსაც მოუთხროს ეს, კნავილი და ყეფაღა აღმოხდება. მორჩა — აღარ დაიძინებს მზეში. ადგება, თვალს გაახელს, იბრძოლებს, ხელს გაანძრევს, ისწავლის, მანამ თვალი არ გადაეწმინდება, მანამ ენა არ აეხსნება, მანამ რუთსაც არ გაუზიარებს ზმანებაში ნანახ მთელ სიმდიდრეს. არის ხალხი, რომლებიც ჩასწვდნენ ამ საიდუმლოს, სიტყვები დაიმორჩილეს და დაიმონეს, ისე შეეჩვიენ ამ სიტყვების ერთმანეთთან შერწყმას, რომ უფრო მნიშვნელოვანი რამ მიიღეს, ვიდრე მათი ცალკეულ მნიშვნელობათა მექანიკური ჯამი. მღელვარებამ მოიცვა, როცა იგრძნო. ამ საიდუმლოს ჩავწვდიო, და კვლავ წარმოუდგა მზით გასხივოსნებული სივრცეები, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა... ბოლოს ოთახში გამეფებულმა სიჩუმემ გამოაფხიზლა, ღიმილით თვალებაციმციმებული რუთი მას შეჰყურებდა.

— დიდებული ზმანება ვიხილე, — თქვა ჭაბუკმა და საკუთარი სიტყვები რომ ჩაესმა ყურში, გული აუძგერდა. საიდან ეწვია ეს სიტყვები, რომელთაც ზედმიწევნით სისწორით ახსნეს ზმანებით გამოწვეული პაუზა საუბრის დროს. სასწაულია! ასე ამაღლებული სიტყვებით აქამდე ერთხლაც არ გამოუხატავს თავისი ამაღლებული ფიქრები. თუმცა არც უცდია. ასეა. ახლა ყველაფერი ნათელია. თავის დღეში არ უცდია. სუინბერნმა სცადა, მაგალითად, ტენისონმაც, კიპლინგმაც, სხვა პოეტებმაც. თავისი «მარგალიტების მაძიებელნი» მოაგონდა. აქამდე ვერც კი გაებედა სიტყვებით გამოთქმა იმ დიდი სილამაზისა, რითაც სული ეწვოდა. ასე თუ დაწერს ამ მოთხრობას, სულ განსხვავებული გამოვა. თვითონვე შეცბა, როცა ამ სილამაზის მთელი გრანდიოზულობა წარმოიდგინა. ახალმა გაბედულმა აზრმა გაუელვა: რატომ არ შეიძლება, იმ დიდი პოეტების მსგავსად, მანაც ტკბილხმიანი ლექსით უმღეროს ამ სილამაზეს?! აგერ, თუნდაც, ეს რაღაც იდუმალი სიხარული და სულიერი აღმაფრენა, რასაც რუთის სიყვარული განაცდევიენებს! რატომ არ უნდა უმღეროს ამას, პოეტების მსგავსად?! ისინი აკი სიყვარულს უმღერენ! მარტინიც უმღერებს, ეშმაკმა წამიღოს!..

ყურებში გამიზრიალეს ამ სიტყვებმა. ფიქრებში წასულს, ხმამაღლა წამოცდა. სახეზე სისხლი მოაწვა, ერთინად წამოჭარხლდა.

— მაპატიეთ... ეს... ისე... მე... — ამოილუღლუღა მან, — ფიქრებში გავერთე.

— ლოცვასავით გაისმა ეს თქვენი სიტყვები, — გაამხნევა რუთმა, მაგრამ მთელი არსებით თრთოდა ქალი. ნაცნობ მამაკაცთაგან ჯერაც არ გაეგონა ასეთი გინება და ახლა თითქოს ელდა ეცა; არა მარტო იმიტომ, რომ ეს წესიერებისა და თავაზიანობის ნორმებს არღვევდა, არა, იგი სულიერად შეატოკა ტლანქი ცხოვრების ქარმა, რომელიც ერთბაშად მისი ქალწულობის მყუდრო წალკოტში შეიჭრა.

მაგრამ აპატია და თვითონვე გაუკვირდა, ასე იოლად გულმოწყალება როგორ გამოვიჩინეო. თუმცა ამ ჭაბუკისთვის მიტევება არ იყო ძნელი. სხვა მამაკაცებისაგან

განსხვავებით, ამას მძიმე ცხოვრება გამოევლო და ახლა გამწარებით ცდილობდა სწორ გზაზე დამდგარიყო, წარმატებასაც აღწევდა. რუთი ვერასდიდებით ვერ წარმოიდგენდა, სხვა მიზეზიც თუ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ასეთი გულმოწყალებისა ჭაბუკის მიმართ. მისი გული განსაკუთრებული სინაზით ძგერდა ჭაბუკისათვის, მაგრამ ეს ქვეცნობიერი იყო, ვერა გრძნობდა, ანკი როგორ უნდა ეგრძნო. ოცდაოთხი წლისა ისე გახდა, ოდნავადაც არ უგრძვნია სიყვარულით გატაცება, წყნარად და უშფოთველად ცხოვრობდა; და ვერა გრძნობდა, რომ აქამდე სიყვარულით გაუმთბარს ახლა ეკიდებოდა სიყვარულის ცეცხლი.

თავი მეთერთმეტე

მარტინი ისევ «არგალიტების მაძიებლებს» მიუბრუნდა და, ალბათ მალეც მორჩებოდა, რომ გზადაგზა ლექსების წერას არ მოეცდინა. ეს იყო სატრფილო ლექსები, რუთის სიყვარულით შთაგონებული, მაგრამ ვერც ერთის დამთავრება ვერ მოახერხა. შეუძლებელი გახდა პოეტის კეთილშობილი ხელოვნების ასე სახელდახელოდ დაუფლება, ჯერ რითმა, მეტრი, ლექსის წყობა... რა რთული ასათვისებელია! ამაზე გაცილებით უფრო ძნელი და მიუწვდომელი გამოდგა სულ სხვა რამე, რასაც იგი ყველა დიდი პოეტის ლექსებში ხედავდა, მაგრამ თავის საკუთარში ვერანაირად ვერ გადმოეტანა. ეს იყო ხელშეუხები სული პოეზიისა, რასაც გამწარებით უტრიალებდა, გრძნობდა კიდეც, მაგრამ დაპყრობა ვერა და ვერ მოახერხა. თითქოს რაღაცნაირი ათინათიაო, ნისლივით გაიწელებოდა და დაეკიდებოდა, მარტინი მას ვერ სწვდებოდა, თუმცა ზოგჯერ მაინც წაავლებდა ხელს, ნაფლეთი შერჩებოდა ხოლმე, რასაც ცალკეულ ფრაზებსა და სტრიქონებში ჩააქსოვდა, ტკბილი ჰანგივით აჟღერდებოდა, ბუნდოვანი ზმანების მომხიბლაობით გაისრიალებდა. მეტისმეტად მძიმე გამოდგა. სურვილით იტანჯებოდა. რათა ლამაზად გამოეხატა სათქმელი, მაგრამ შეუკოწიწებელი პროზაული ფრაზები გამოდიოდა. ხმამაღლა კითხულობდა ხოლმე თავისი ლექსების ნაწყვეტებს. ზომას კარგად დაეუფლა, რითმსა და რიტმასაც გვარიანად გაართვა თავი, მაგრამ გრძნობდა, რომ ცეცხლი და აღმაფრენა აკლდა. როცა ვეღარ გაუგებდა ხოლმე ასავალ-დასავალს, სასოწარკვეთილი, იმედგაცრუებული და დამარცხებული, მოთხრობას მიუბრუნდებოდა. პროზა აშკარად უფრო ადვილი იყო.

«მარგალიტის მაძიებლებს» რომ მორჩა, მეზღვაურებზე დაწერა ნარკვევი, მერე კუს ჭერაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის პასატებზე... ბოლოს პატარა სიუჟეტიანი მოთხრობაც სცადა და ამან ისე გაიტაცა, რომ ზედიზედ ექვსი დაწერა, ჟურნალებს დაუგზავნა. ნაყოფიერად მუშაობდა, ენერგიულად, დილიდან-საღამომდე თავს არ იღებდა. ზოგჯერ შუაღამემდეც არ ადგებოდა მაგიდიდან და მხოლოდ მაშინ თუ დაანებებდა მუშაობას თავს, როცა ბიბლიოთეკაში იყო წასასვლელი წიგნის გამოსატანად, ან რუთი ჰყავდა მოსანახულებელი. თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა. ცხოვრებას აზრი მიეცა. გამოუნელებელმა ციებ-ცხელებამ მოიცვა. შემოქმედის სიხარული, რაც აქამდე ღმერთების საკუთრებად მიაჩნდა, მის სულშიც ჩაიღვარა. ყველაფერი, რასაც ირგვლივ გრძნობდა და ხედავდა — დამპალი ბოსტნეულისა და აქაფებული საპნის სუნი, თავისი დის ულაზათო მოყვანილობა, მისტერ ჰიგინბოთამის გესლიანი გამომეტყველება — სიზმარიღა ეგონა. რეალური სამყარო მხოლოდ მის თავში იყო, და ის მოთხრობებიც, რასაც იგი წერდა, ამ რეალური სამყაროს ნაწილებს წარმოადგენდა.

დღეები თითქოს დაპატარავდა: უთვალავი რამ აღმოჩნდა სასწავლი. ძილის დრო ხუთ საათზე დაიყვანა და ეგეც საკმარისი გამოდგა. მერე ოთხნახევარზე დაყვანა სცადა, მაგრამ ისევ ხუთს დაუბრუნდა სინანულით. დანარჩენ დროს დიდი სიამოვნებით მოანდომებდა ერთ რომელიმე საქმეს. წერას გულისტკივილით ანებებდა ხოლმე თავს, რათა სწავლას შესდგომოდა. ასევე დასანანი იყო სწავლის მიტოვებაც, როცა ბიბლიოთეკაში წასვლის დრო დადგებოდა. და ბიბლიოთეკიდან გამოსულსაც ფეხი უკან რჩებოდა, რადგან იქ, ჟურნალებში, იმ მწერალთა საიდუმლოს ეცნობოდა, რომელთაც უკვე მოეხერხებინათ თავიანთი ნახელავის გასაღება. როცა რუთთან იყო, ადგომა და წამოსვლა ისე უმძიმდა, თითქოს გულის ძარღვები აწყდებოდა, ხოლო რომ გამოვიდოდა, გამწარებული სირბილით გაივლიდა ბნელ ქუჩებს, რათა რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნებოდა თავის წიგნებს. მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი იყო ალგებრისა თუ ფიზიკის წიგნის დახურვა. რვეულისა და ფანქრის გვერდზე გადადება და დაღლილი თვალების დასაძინებლად დახუჭვა. ცხოვრების მდინარების შეჩერება, თუნდაც ასე მოკლე ხნით, ძნელი ასატანი ხდებოდა; ერთადერთი ნუგეში ისღა იყო, რომ მაღვიძარა ხუთ საათში კვლავ გააღვიძებდა. მხოლოდ ხუთი საათი იკარგებოდა, მეტი არა — თავაწყვეტილი საათი რეკვას მოჰყვებოდა, უსიამოვნო ძილისაგან გამოაფხიზლებდა და ახალი, ბრწყინვალე დღე დაიწყებოდა, მთელი ცხრამეტი საათი.

ასე გადიოდა კვირეები, ფული თანდათანობით ილეოდა და ახალიც არსაიდან ჩანდა. «ყმაწვილის თანამგზავრიდან» სათავგადასავლო მოთხრობის ხელნაწერი ერთი თვის შემდეგ უკანვე მიიღო. უარი ისე თავაზიანად იყო დაწერილი, რომმ მარტინს ლამის შორიდან შეუყვარდა რედაქტორი. მაგრამ ასეთივე გრძნობა არ აღძვრია «სან-ფრანცისკოს მიმომხილველის» რედაქტორისადმი. მთელი ორი კვირა უცადა მარტინმა და ბოლოს თვითონვე მივიდა რედაქციაში, რათა პირადად მოენახულებინა რედაქტორი. მაგრამ ამ დიდებული გვამის ნახვას ვერ ეღირსა, წიქორია ჭაბუკმა არ შეუშვა, რომელიც კაბინეტის კარს ცერბერივით იცავდა. ხუთი კვირის შემდეგ უკანვე მიიღო ხელნაწერი, პასუხი სულაც არ მოუწერიათ — არც უარი, არც რაიმე განმარტება, არაფერი! სან-ფრანცისკოს დიდმა გაზეთებმაც ამგვარადვე დაუბრუნეს სხვა ხელნაწერები. ადგა და აღმოსავლეთ შტატების ჟურნალებს გაუგზავნა, მაგრამ სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, რომ უკანვე მიიღო, თან უარის სტანდარტული წერილი ახლდა ყველას.

პატარა მოთხრობებიც ამგვარადვე დაუბრუნეს. მოდგა და რამდენჯერმე გადაიკითხა ეს მოთხრობები. თვითონვე მოეწონა და გაკვირვებული დარჩა, რატომ დამიბრუნესო. ბოლოს რომელიღაც გაზეთში ამოიკითხა, მასალები მანქანაზე გადაბეჭდილი უნდა გაიგზავნოს რედაქციაშიო. ახლა უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. საქმეში გართულ რედაქტორებს იმის თავი სადღა ექნებათ, ხელნაწერებს უკირკიტონ! მარტინმა საბეჭდი მანქანა იქირავა და მთელი დღე ბეჭდვის შესწავლას მოანდომა. ახლა უკვე, რასაც დღის განმავლობაში შეთხზავდა, მოდგებოდა და გადაბეჭდავდა. თანდათანობით ბეჭდავდა აგრეთვე რედაქციებიდან დაბრუნებულ ძველ ხელნაწერებს. გაოცებული დარჩა, როცა გადაბეჭდილმა მოთხრობებმაც იწყეს უკან დაბრუნება. მაგრამ კიდევ უფრო ჯიუტი გაუხდა გამომეტყველება, ნიკაპი, სიმტკიცის ნიშნად, თითქოს წინ გამოეწია. მიიღებდა თუ არა დაწუნებულ ხელნაწერს, მაშინვე ახალ რედაქციას გაუგზავნიდა.

ბოლოს იფიქრა, იქნებ მე არ ვარგივარ ჩემივე ნამუშევრის მსაჯულადო. ადგა და გერტრუდას წაუკითხა. ქალს თვალები გაუბრწყინდა, სიამაყით შეხედა ძმას და უთხრა:

— რა დიდებულია, ამისთანა რამეებს რომ წერ!

— კარგი. კარგი, — მოუთმენლად შეაწყვეტინა მარტინმა, — შენ ის მითხარი, მოგწონს მოთხრობა თუ არა?

— რას ამბობ, დიდებულია, — იყო პასუხი, — ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ერთიანად გამასავათა.

მაგრამ მარტინმა შეატყო, რომ და ყველაფერს ვერ ჩახვდა, კეთილი სახე გაუშტერდა. აცალა, რას იტყვისო.

— ოღონდ ეს ვერ გავიგე, მარტ, — დაიწყო ქალმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ, — როგორა მთავრდება? ეს ბიჭი, ასე მოქარგულად რომ ლაპარაკობს, შეირთავს გოგოს ბოლოს?

როცა მარტინმა აუხსნა დასასრული, რაც მისი აზრით, სავსებით გასაგები უნდა ყოფილიყო, ქალმა წარმოთქვა:

— ეგ ვერ გავიგე სწორედ. შენც ავიღებდი და პირდაპირ დავწერდი.

რამდენიმე მოთხრობა წაუკითხა მარტინმა და მიხვდა, რომ გერტრუდას ტკბილად და კეთილად დაბოლოებული ამბავი უფრო მოსწონდა.

— ეს მართლაც რომ დიდებული იყო, — თქვა მან, რეცხვას თავი მიანება, გაიმართა, ამოიხვნეშა და ორთქლით დამბალი, გაწითლებული ხელი შუბლზე მოისვა, ოფლი მოიწმინდა, — მაგრამ მე ჩემი დამემართა, ლამის ტირილი წამსკდეს. საწყენი ისედაც გამოულეველია ქვეყანაზე. კარგ რამეზე რომ ვფიქრობ, გულსაც უხარია. რა მოხდებოდა, შეერთო ბარემ ის გოგო და... ხომ არ მიბრაზდები, მარტ? — შიშით ჰკითხა ქალმა, — ალბათ მე მეჩვენება ასე, ხომ იცი, დავიღალე. ისე, დიდებული ამბავია, ნამდვილად დიდებული! რას იზამ, ვის მიჰყიდი?

— ეგ უკვე სულ სხვა საქმეა, — გაეცინა ჭაბუკს.

— არა, მაინც... რამდენს მოგცემენ, თუ გაჰყიდე?

— უჰ, ას დოლარს. სულ ცოტა, ას დოლარს. ასეთია ფასი.

— რას ამბობ!.. ნეტა მართლა გაგაყიდინა!

— კაი ფულია, ხომ! — ამაყად დასძინა მარტინმა, — ორ დღეში დავწერე. დღეში ორმოცდაათი დოლარი გამოდის.

გულით უნდოდა რუთისთვისაც წაეკითხა თავისი მოთხრობები, მაგრამ ვერ ბედავდა. დავიცდიო, ფიქრობდა, მანამ დაიბეჭდებოდესო. მაშინ ქალისთვის გასაგები გახდებოდა, რას აკეთებდა მარტინი ასე მონდომებით. და კვლავ თავაუღებლად მუშაობდა. არავითარ საქმესა და თავგადასავალს ასე არ გაუტაცნია იგი, როგორც ამ საოცარმა მოგზაურობამ ცოდნის სამყაროში. ფიზიკისა და ქიმიის სახელმძღვანელოები იყიდა და, ალგებრასთან ერთად, ფიზიკის კანონებისა და თეორიების შესწავლას შეუდგა. იმ ნაწილს, რაც თვალსაჩინო ცდებით უნდა შეესწავლა, გონებაში წარმოიდგენდა ხოლმე, ისეთი წარმოსახვის ძალა ჰქონდა, რომ ლაბორატორიაში მომუშავე საშუალო ნიჭის სტუდენტსაც კი გაუჭირდებოდა ქიმიური რეაქციების ასე შესწავლა. მიიკვლევდა გზას დიდტანიანი სახელმძღვანელოების მძიმე ფურცლებზე და თანდათანობით სწვდებოდა საგანთა ბუნებას. აქამდე სამყაროს ისე აღიქვამდა, როგორც თვალის უბრალო შევლებით ხედავდა, ახლა კი, თანდათანობით, საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირს, ძალისა და მატერიის თანაფარდობის ახსნა მიეცა. ბერკეტისა და ამწის თეორიებმა, მაშინვე ჯალამბარი და ტაკელაჟი გაახსენა. ნავიგაციის თეორია, რისი წყალობითაც გემები უსაზღვრო ოკეანეებში იკვლევენ გზას, ერთბაშად გასაგები გახდა. ღრმად ჩასწვდა წვიმის, ქარიშხლისა და ზღვის მიქცევა-მოქცევის საიდუმლოს, უკვე გასაგები შეიქნა პასატების გამომწვევი მიზეზები, და ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა,

ჩრდილო-აღმოსავლეთის პასატზე ნარკვევის დაწერა ხომ არ ვიჩქარეო. ყოველ შემთხვევაში, იგრძნო, რომ ახლა გაცილებით უკეთ დაწერდა. ერთ საღამოს კალიფორნიის უნივერსიტეტში გაჰყვა ართურს, სუნთქვაშეკრული და რელიგიური სასოებით მოცული შევიდა ლაბორატორიებში, ცდებს დაესწრო, ფიზიკის პროფესორის ლექცია მოისმინა.

მაგრამ წერისთვის მაინც არ გაუნებებია თავი. ზედიზედ აცხობდა პატარ-პატარა მოთხრობებს, ლექსებსაც აუღო მუღამი და უფრო იოლად დაიწყო წერა, ჟურნალებში ამოიკითხა ასეთი ლექსები. მერე კარგა თავსატეხ საქმესაც მოჰკიდა ხელი — ტრაგედია დაწერა თეთრი ლექსით და მთელი ორი კვირა მოანდომა, მაგრამ ისე ზედიზედ დაუწუნა ექვსმა ჟურნალმა, რომ მარტინი გაშრა, ენა დაება. მერე, როგორღაც, ჰენლის შემოქმედებას გაეცნო და «საავადმყოფოს ჩანაწერების» მსგავსად, ლექსების სერია დაწერა ზღვის თემაზე. სადა ლექსები გამოუვიდა — ნათელი, ფერადი, რომანტიკითა და დაუდგრომელი სულის განწყობილებით გაჟღენთილი. საერთო სათაურად «ზღვის სიმღერები» დაარქვა ამ ლექსებს და გადაწყვიტა, რომ რაც კი აქამდე დაეწერა, ყველაფერს ჯობდა. ოცდაათი ლექსი გამოვიდა. ერთ თვეში მორჩა, დღეში თითო ლექსს წერდა, მოთხრობებზე ყოველდღიური მუშაობის შემდეგ ჩაუჯდებოდა ხოლმე. მისი ყოველდღიური მუშაობა კი ჩვეულებრივ მწერლის თითო კვირის საქმიანობას უდრიდა. მუშაობა არაფრად მიაჩნდა. რაკიღა ენა აეხსნა, მთელი სილამაზე და საკვირველება, რაც წლების განმავლობაში გამოუთქმელად ჰქონდა სულში დაგუბებული, მომსკდარი ნიაღვარივით წამოვიდა.

«ზღვის სიმღერები» არავისთვის უჩვენებია, რედაქციებშიაც კი არ გაუგზავნია. დაკარგა რედაქტორების ნდობა. თუმცა ამ უნდობლობის გამო კი არ შეუკავებია თავი: ისეთი ძვირფასი და ლამაზი იყო მისთვის ეს ლექსები, რომ რუთისთვის ინახავდა — ბოლოს და ბოლოს, დადგებოდა ის ნანატრი დროც, როცა თავის ნაწერებს რუთს წაუკითხავდა. მანამდე კი თავისთვის ჰქონდა ეს ლექსები, კითხულობდა და კითხულობდა ხმამაღლა, სანამ არ დაიზეპირა.

ყოველი წუთი მისი ცხოვრებისა, ღვიძილშიაც და ძილშიაც, ცხოველმყოფელი იყო. ის იძულებითი უმოქმედობის ხუთი საათიც კი ფიქრთა ჭიდილში მიდიოდა, დღისით ნანახი თუ განცდილი მოვლენები სასწაულებრივ ზმანებად ისახებოდა. ასე რომ, ფაქტობრივად, სულაც არ ისვენებდა, ნაკლებად გამძლე სხეული და ტვინი რომ ჰქონოდა, ვერ გაუძლებდა, დავარდებოდა. ახლა უფრო იშვიათად მიდიოდა საღამოობით რუთთან, რადგან ივნისი მოახლოვდა და ქალს უნივერსიტეტში გამოცდები ეწყებოდა. დიპლომი უნდა დაეცვა. ხელოვნების ბაკალავრი!.. რუთის მეცნიერული ხარისხი რომ გაახსენდებოდა მარტინს, უცებ მოეჩვენებოდა: იმ სისწრაფით მიჰქრის ქალი, რომ ვეღარ წამოვეწევიო.

კვირაში ერთ საღამოს მაინც უთმობდა რუთი მარტინს. ჭაბუკი სადილადაც მათთან რჩებოდა იმ დღეს და მერე მუსიკასაც ისმენდა. ეს იყო ბედნიერი დღეები. ისეთი ატმოსფერო იყო გამეფებული იქ და ისე განსხვავდებოდა იქაურობა იმ სახლისაგან, საცა მარტინი ცხოვრობდა, თან ქალის სიახლოვეც ისეთ ძალას მატებდა, რომ მტკიცედ გადაწყვეტდა — მეც უსათუოდ უნდა ავიდე იმ სიმაღლეზეო. რუთის გულისთვის იღვწოდა იგი, მისი სიყვარული ამოქმედებდა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ მშვენიერების გრძნობაცა და წერის ჟინიც მოჭარბებულად ჰქონდა. იგი შეყვარებული იყო, უპირველეს ყოვლისა. სხვას, ყველაფერს, ამ სიყვარულს ამორჩილებდა. სიყვარულის ოცნება ყველა სხვა ამქვეყნიურ საზრუნავსა და ოცნებას ჩრდილავდა. სამყარო განა იმით იყო საოცრება, რომ იგი ტომებისა და მოლეკულებისაგან შედგებოდა და რაღაც იდუმალ ბიძგებს ემორჩილებოდა. არა, იგი

საოცრება იყო უმთავრესად იმით, რომ რუთი ცხოვრობდა ამქვეყნად. რუთი ქცეულუიყო ყველაზე დიდ საოცრებად, რაც კი მას ოდესმე განეცადა, ენახა თუ დასიზმრებოდა.

მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა რუთის ასეთი სიშორე. ძალიან შორს იდგა ქალი მისგან, და ჭაბუკმა აღარ იცოდა, როგორ მიახლოვებოდა. თავისი კლასის ქალები და გოგონები, იცოცხლე, ეხვეოდნენ, მაგრამ მარტინს არც ერთი მათგანი არ შეჰყვარებია. რუთი კი შეუყვარდა. და განა იმიტომ, რომ იგი სხვა კლასის შვილი იყო. ჭაბუკის სიყვარული მას ყველა კლასზე მაღლა აყენებდა. ყველაგან განსხვავებული იყო. იმდენად განსხვავებული, რომ აღარ იცოდა, როგორ მიახლოვებოდა. მართალია, ენაში ცოტა უფრო გაიწაფა, ისწავლა კიდეც ზოგი რამ, მის ენაზე დაიწყო ლაპარაკი, საერთო აზრები და შეხედულებებიც აღმოაჩნდათ, და თითქოს ცოტათი დაუახლოვდა, მაგრამ მის გამიჯნურებულ გულს ეს არ აკმაყოფილებდა. შეყვარებულის წარმოსახვამ წმიდანად შერაცხა ქალი. ისეთ წმიდანად და ჰაეროვნად, რომ ფიზიკური სიახლოვე წარმოუდგენელი ჩანდა. თავისივე სიყვარულმა გაატყორცნინა ქალი შორს და დაახლოება უკვე შეუძლებელი ჩანდა. იმავე სიყვარულმა მოუსპო იგი, რისთვისაც გული ასე მიუწევდა.

და, აჰა, ერთ დღეს, მოულოდნელად, ამ უფსკრულზე ხიდი გაჩნდა. ხოლო შემდეგ უფსკრული, მართალია, სავსებით არ გამქრალა, მაგრამ სულ უფრო და უფრო დავიწროვდა. ისხდნენ და ალუბალს შეექცეოდნენ, დიდრონ, სურნელოვან შავ ალუბალს. ისეთი წვენი ჰქონდა, წითელი ღვინო გეგონებოდა. მერე ქალმა წიგნი დაიჭირა ხელში, «პრინცესას» უკითხავდა მარტინს. და უცებ ჭაბუკმა ალუბლის წვენი შენიშნა ქალს ბაგეზე. ერთბაშად შეირყა მისი ღვთაებრიობა. ესეც ჩვეულებრივი ხორციელი არსება ყოფილა, ბოლოს და ბოლოს. ბაგეც ისეთივე ჰქონია, როგორც თვითონ მარტინს, და ალუბლის წვენიც ისე დააჩნდა, როგორც მას დააჩნდებოდა. ბაგე ბაგეა, მაგრამ სხვაც ყველაფერი, მთელი არსება ასეთივე იქნებოდა. ქალი იყო, ჩვეულებრივი ქალი, სხვა ქალების მსგავსი. ერთბაშად გაჰკრა ამ ფიქრმა და ეტოშა, გააოგნა. თითქოს მზე მოწყვეტოდეს ცას და ძირს ჩამოვარდნილიყოს, თითქოს საკუთარი თვალით ეხილოს ყველასაგან სათაყვანებელი ღვთაებრივი სიწმინდის შებღალვა.

კარგად რომ ჩასწვდა ამ აღმოჩენის არსს, გულმა რეჩხი უყო, მოუნდა პირდაპირ გაემჟღავნებინა თავისი გულისპასუხი ქალისათვის, რომელიც სხვა სამყაროდან მოვლენილი სული კი არ ყოფილა, არამედ ჩვეულებრივი ქალი, ალუბლის წვენით ბაგეწათხუპნული ქალი. როცა გონებაში აწონ-დაწონა ეს თავხედური ფიქრი, კანკალმა აიტანა, თუმცაღა გული უმღეროდა და გამარჯვებით მოზეიმე გონებაც ამხნევებდა — მართალი ხარო. ეტყობა, ქალმაც იგრძნო მარტინის სულში მომხდარი ეს უეცარი ცვლილება — კითხვას თავი მიანება, ჭაბუკს ახედა და გაუღიმა. მარტინმა ქალის ცისფერი თვალებიდან ტუჩებზე გადაიტანა მზერა და ისევ რომ დაინახა ალუბლის ლაქა, ლამის ჭკუა დაკარგა. მისი ხელები ქალისკენ მიიწევდნენ, როგორც ძველად, უზრუნველი ცხოვრების დროს იცოდა ხოლმე ქალებისთვის ხელის მოხვევა. ქალიც თითქოს ამას ელოდა, ოდნავ გადმოიხარა, და მარტინს ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, რათა თავი შეეკავებინა.

— ერთი სიტყვაც კი არ მოგისმენიათ, — გაიბუტა ქალი.

მაგრამ მაშინვე გაუცინა. ესიამოვნა, მარტინის შეშფოთება რომ შენიშნა. მარტინმა ალალ თვალებში ჩახედა ქალს, იგრძნო, რომ იგი ვერა სწვდებოდა ჭაბუკის ფიქრთა დენას, და სირცხვილით ლოყა აეწვა. მართლაც ძალიან შესტოპა და თავხედურ ფიქრებს მიეცა! ყველა ქალი გამოიცნობდა ჭაბუკის ფიქრებს, ყველა, ვინც კი მას

ოდესმე შეხვედრია... გარდა რუთისა. რუთი კი ნამდვილად ვერ მიხვდა. საქმეც ეგ არის! იგი სხვებს არა ჰგავდა. საშინლად შეაწუხა საკუთარმა სიტლანქემ, ქალის ალალმა გამოხედვამ გული მოუკლა და ერთხელ კიდევ გახედა მათ შორის არსებულ უფსკრულს. ხიდი ჩატეხილიყო.

მაგრამ ამ შემთხვევამ მაინც დააახლოვა რუთთან. ხშირად მოაგონდებოდა ის ფიქრები და გულგატეხილობის წუთებში სიმხნეს ჰმატებდა ხოლმე. უფსკრული უკვე ისე ფართო აღარ ჩანდა. ისეთი მანძილი განვლო ერთბაშად და ისე დაუახლოვდა ქალს, რომ ამას თორმეტი სამეცნიერო ხარისხიც კი ვერ შეაძლებინებდა. წმიდა იყო ქალი, ასეთი სიწმინდე უწინ არც კი დაესიზმრებოდა ჭაბუკს, მაგრამ ფაქტია, რომ ალუბალმა ბაგე მოუთხუპნა. ისიც ისევე გარდაუვლად ემორჩილებოდა ბუნების კანონებს, როგორც თვით ჭაბუკი. არსებობის შესანარჩუნებლად მასაც ისევე სჭირდებოდა კვება; ფეხი თუ დაუსველდებოდა, ისიც სხვებივით გაცივდებოდა... მაგრამ ეგ არაფერი. თუკი შიმშილისა და წყურვილის შეგრძნების უნარი ჰქონდა ქალს, სიცივე და სიცხეც თუ სხვებივით შეაწუხებდა, მაშ, სიყვარულის უნარიც ჰქონია, მამაკაცის შეყვარების უნარი. მარტინიც ხომ კაცია?! რატომ არ შეიძლება სწორედ ის შეიყვაროს?! «ნამდვილად უნდა ვეწიო საწადელს, — მხურვალედ ბუტბუტებდა იგი, — სწორედ მე გავხდები ის კაცი, ვინც რუთმა უნდა შეიყვაროს! ნამდვილად გავხდები. საწადელს ვეწევი».

თავი მეთორმეტე

ერთხელ, საღამო ხანს, მარტინი სონეტს უკირკიტებდა, ამაოდ ცდილობდა სტრიქონებში ჩაეწნა ის სილამაზე და ფიქრები, რაც თავში ნისლის ბუნდოვანებით ერეოდა. ტელეფონზე დაუძახეს.

— ვიღაც ქალბატონი გთხოვს... მშვენიერი ქალბატონი ჩანს, — გესლიანად უკბინა მისტერ ჰიგინბოთამმა.

ტელეფონი ოთახის ერთ-ერთ კუთხეში იდო, მარტინი იქითკენ გაემართა. რუთის ხმა რომ გაიგონა, ტანში თბილმა ჟრუანტელმა დაუარა. სონეტზე კირკიტმა სულ გადაავიწყა ქალის არსებობა და ახლა, მისი ხმის გაგონებაზე, ერთბაშად სიყვარულის ცეცხლი შემოენთო. თანაც რა ხმა ჰქონდა!.. ტკბილი, საამური, როგორც შორიდან მოჭრილი მუსიკა, როგორც ვერცხლის ზარის წკარუნი. წმიდა ბროლის წკრიალი... უბრალო, მოკვდავ ქალს ამისთანა ხმა საიდან ექნება! რაღაც ციური იყო მასში, არაამქვეყნიური. ისე აირია, რომ ძლივს გაარჩია, რას ეუბნებოდა ქალი, თუმცა გარეგნულად არაფერი შეიმჩნია; იცოდა, რომ მისტერ ჰიგინბოთამი კატასავით კუსავდა თვალებს, მას მიშტერებოდა.

ისეთი განსაკუთრებული არაფერი უთქვამს რუთს — ნორმანი უნდა გამყოლოდა ამაღამ საჯარო ლექციაზე, მაგრამ თავი ასტკივდა და ვეღარ მოდის, აღარ ვიცი, რა ვქნა, ბილეთები უკვე აღებული მაქვს, თუ გცალია, იქნებ გამომიარო და გამომყვეო.

იქნებ გამომიაროო? ძლივს მოახერხა თავის შეკავება, რომ ხმაში არ დასტყობოდა მოულოდნელი სიხარულის თრთოლვა. საოცრებაა! აქამდე მუდამ მასთან მიდიოდა, სახლში ხვდებოდა მხოლოდ. ერთხელაც ვერ შეებედა, სადმე გამომყევიო... ისევ ტელეფონთან იდგა და ელაპარაკებოდა, როცა დაუოკებელმა სურვილმა წამოუარა — ქალისთვის შეეწირა თავი, ათასნაირი მამაცობისა და გმირულიი თავგანწირვის სურათი წარმოუდგა თვალწინ. განუზომლად უყვარდა ქალი, თავდავიწყებით, უიმედოდ. ბედნიერებისაგან ლამის გაგიჟდა, როცა წარმოიდგინა, როგორ გაივლიდა ქალი მასთან ერთად ქუჩაში, როგორ წავიდოდა ლექციაზე მასთან ერთად — მარტინ

იდენთან ერთად! ისე მაღლა ფრინავდა ქალი ჭაბუკის წარმოდგენაში, რომ მარტინს ერთი სურვილიღა აღეძრა — ნეტა მისთვის მოვკვდეო. სხვაგვარად ვერ მოახერხა ამაღლებული და ერთბაშად მომსკდარი განცდების გამოხატვა. ეს იყო ჭეშმარიტი შეყვარებულის თავდადება, საკუთარი არსების მსხვერპლად მიტანა, და მანამ მარტინი ტელეფონთან იდგა, ცეცხლოვანი გრიგალივით მოასკდა ეს გრძნობა. რუთისთვის სიკვდილი — საუკუნო სიცოცხლესა და სიყვარულს ნიშნავს, ფიქრობდა ჭაბუკი. ჯერ მხოლოდ ოცდაერთი წლისა იყო და სიყვარული პირველად სწვეოდა!

ხელის კანკალით ჩამოჰკიდა ყურმილი, უეცარი მღელვარების შემდეგ ერთბაშად მოუსავათდა, თვალები ანგელოზივით უელავდა, სახე შეცვლოდა, გასპეტაკებოდა, თითქოს ყოველგვარი მიწიერი ჭუჭყისაგან განიწმინდაო.

— პაემანი დაგინიშნეს, ჰა? — ჩაიქირქილა სიძემ, — ხომ იცი, მაგას რა მოჰყვება? პოლიციაში წაგაჩიქჩიქებენ!

მაგრამ მარტინი ისევ მაღლა ფრინავდა. ამ პირუტყვულმა ქირქილმაც კი ვერ ჩამოიყვანა მიწაზე. ბრაზი და ვნება ვერ სწვდებოდა. ისეთი წმინდა ზმანება გამოეცხადა, რომ ამისთანა უბადრუკობას, ახლა ღმერთის დარად, სიბრალულით დაჰყურებდა ზემოდან. არც კი შეჰყურებდა სიძეს, თვალი კი გადაატარა მასზე, მაგრამ არ დაუნახავს. თითქოს სიზმრის ბურანშიაო, თავის ოთახში გადაფარფატდა და ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო. და როცა ყელსახვევის გაკვანძვას შეუდგა, მხოლოდ მაშინ იგრძნო ყურში გამაღიზიანებელი ხმაური. ეს იყო ბერნარდ ჰიგინბოთამის ქირქილი, რაც ახლაღა მისწვდა მის სმენას.

სადარბაზო კარი რომ მიიხურა და მარტინი, რუთთან ერთად, კიბეზე დაეშვა, ერთბაშად დაიბნა, უხერხულობა იგრძნო. ქალთან ერთად ლექციაზე წასვლის სიხარულს ისა ჩრდილავდა, რომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. რამდენჯერ უნახავს: ამათი წრის მამაკაცები ქალებს ქუჩაში ხელს გამოსდებენ ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ ხელგამოუდებლადაც რომ დადიან! აღარ იცოდა, რა ეფიქრა — მარტო საღამოობით გამოდებდნენ ხოლმე ხელს, თუ მხოლოდ ცოლ-ქმარი და ნათესავები დადიოდნენ ხელგაყრილები.

ის იყო, კიბე ჩაათავეს და ტროტუარზე უნდა დაედგათ ფეხი, რომ ჭაბუკს მინი გაახსენდა. ეს ქალი ეთიკის დიდი დამცველი იყო და, მეორეჯერ რომ მოუხდა მარტინთან ერთად გავლა, ბიჭს საყვედური უთხრა — ტროტუარზე რომ მიჰყვები ქალს, გარედან უნდა ამოუდგე, ქუჩის მხრიდან, შენ კი სულ შიგნით მოექცევიო. ნამდვილ ჯენტლმენს ეგ არ უნდა შეეშალოსო. ამის შემდეგ წესად გაიხადა მინიმ — სულ წაჰკრავდა ხოლმე მარტინს ქუსლზე ფეხს, როცა ქუჩიდან ქუჩაზე გადავიდოდნენ, მოაგონებდა, ქუჩის მხრიდან ამომიდექიო. ახლა საგონებელში ჩავარდა ჭაბუკი, არ იცოდა, სად შეითვისა მინიმ ეთიკის ეს წესები, მართლა ასე თუ იყო დაკანონებული მაღალ საზოგადოებაში.

მაინც ვცდი, ამით არაფერი დაშავდებაო, გადაწყვიტა ბოლოს, ზურგიდან მოუარა ქალს და ქუჩის მხარეს ამოუდგა. მაგრამ ახლა მეორე თავსატეხი გაუჩნდა — შესთავაზოს თუ არა ხელი? თავის დღეში ხელი არ გამოუდვია ქალისთვის. ის გოგონები, ვისთანაც აქამდე უვლია, არასდროს მამაკაცთან ხელგაყრილები არ დადიოდნენ. ახალგაცნობილები რომ იყვნენ, ცალ-ცალკე იცოდნენ ხოლმე სიარული, მერე კი, ჩაბნელებულ ქუჩებში, ბიჭი წელზე შემოხვევდა ხელს და გოგოც თავს მხარზე მიაყრდნობდა. მაგრამ იმათ ხომ არ შეადარებს?! ეს სულ სხვა ქალია. რამე უნდა იღონოს.

ადგა და ქალის მხარეს მკლავი მოხარა — ოღონდ ოდნავ, ვითომ უნებურად მოუხვდა ხელი, თითქოს სიარულის დროს ასეთი ჩვეულება ჰქონოდეს. და უცებ

საოცრება მოხდა: მკლავზე ქალის ხელი იგრძნო. ტანში საამურმა ჟრუანტელმა დაუარა, ერთბაშად გამოეშალა მიწა და ქალთან ერთად ჰაერში აიჭრა. მაგრამ ხელადვე დაეშვა უკან, კვლავ საგონებელში ჩავარდა — ის იყო, ქუჩა გადაჭრეს და მარტინი ტროტუარის შიგნითა მხარეს მოექცა. არადა, ქუჩის მხრიდან უნდა ევლო! რა ქნას ახლა, მკლავი გამოაცალოს და შემოუაროს — ქუჩის მხარეს მოექცეს? ახლა კარგი, ვთქვათ, ასე იზამს, მაგრამ მეორედ რომ მოუწევს ქუჩის გადაჭრა? ანდა მესამედ? სულ აირია საქმე, და მარტინმა გადაწყვიტა, აღარ ეხტუნა აქეთ-იქით, რაც მოხდებოდა, მოხდებოდა. მაინც ხინჯად დარჩა ეს გულში და, საქმის გამოსასწორებლად, სულმოუთქმელად ალაპარაკდა, თითქოს რაღაც ამბავმა გამიტაცაო. თუ მართლაც აშავებდა რამეს ეთიკის თვალსაზრისით, მის დაუდევრობას ამით ახსნიდა ქალი, ლაპარაკში გაერთოო, იფიქრებდა.

ბროდვეი რომ გადაჭრეს, ახალი განსაცდელი შეეჯახა: ამ გაჩახჩახებულ სინათლეში ლიზი ქონოლისა და მის მუდამჟამ მოქირქილე მეგობარს მოჰკრა თვალი. ერთის წამით კი შეცბა ჭაბუკი, მაგრამ მალევე წაიღო ქუდისკენ ხელი და მოუხადა. თავის საკუთარ კლასს ხომ არ უღალატებდა, და ახლა ეს სალამიც მარტო ლიზი ქონოლის კი არ ეკუთვნოდა, ქალმა თავი დაუქნია და ჯიქურ შეანათა თავისი ლამაზი და თამამი თვალები, რაც სავსებით განსხვავებული იყო რუთის ნაზი და მშვიდი თვალებისაგან. მერე რუთზედაც გადაიტანა მზერა, ხელადვე გაითვალისწინა მისი სახე და ტანსაცმელი, მიხვდა, რა წრისაც იყო. ჭაბუკს არ გამოჰპარვია, რომ, თავის მხრივ, რუთმაც შეავლო გოგოს მტრედივით მშვიდი და უწყინარი თვალები, მართალია, ერთი წამით, მაგრამ მაინც მოასწრო შეემჩნია იაფფასიანი ჭყეტელა ტანსაცმელი და ის უცნაური ქუდი, რასაც მაშინ მუშა გოგონები იხურავდნენ.

— რა ლამაზი გოგონაა! — უთხრა რუთმა ჭაბუკს.

მარტინი მზად იყო, ლოცვით აევსო ქალი ამ სიტყვებისათვის, მაგრამ სულ სხვა რამე უპასუხა.

— რა მოგახსენოთ. ალბათ გემოვნების საქმეა. მე არც ისე ლამაზად მეჩვენება.

— როგორ! ათი ათას ქალში ერთს ვერ შეხვდები, ასეთი სწორი ნაკვთები ჰქონდეს. გამოქანდაკებულს ჰგავს. თვალებიც რა ლამაზი აქვს!

— ვითომ? — გულგრილად ჰკითხა მარტინმა, რადგან მისთვის მხოლოდ ერთი ქალი იყო ქვეყნად ლამაზი და ეს ქალი ახლა გვერდში მოჰყვებოდა, მკლავში ხელგამოდებული.

— რა ბრძანებაა! ეს გოგონა რომ კარგად გამოაწყო და საზოგადოებაში თავის დაჭერა ასწავლო, მამაკაცები ჭკუას დაკარგავენ, და თქვენც, მათ შორის, მისტერ იდენ.

— ჯერ ლაპარაკი უნდა ისწავლოს, — შენიშნა ჭაბუკმა, — თორემ ის მამაკაცები ვერაფერს გაუგებენ. დარწმუნებული ვარ, ნახევარს ვერ გაიგებთ მაგის ნათქვამს, თავისებურად თუ ილაპარაკა.

— რა სისულელეა! მტრისას თქვენცა და ართურიც, თუ რამე დაიჟინეთ!

— დაგავიწყდათ, როგორ ვბლუყუნებდი, პირველად რომ გნახეთ?! ახლა თითქოს სულ სხვა ენაზე ავმეტყველდი. უწინ მეც მაგ გოგოსავით ვლაპარაკობდი. ახლა უკვე თქვენთვის გასაგებ ენაზე შემიძლია აგიხსნათ, რომ მაგის ლაპარაკს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებთ. აბა, თუ მიხვდებით, ასე გვერდზე გადახრილი რატომ დადის? უწინ ვერც მე გეტყოდით, მაგრამ ახლა ამისთანა რამეებს ვუკვირდები და ვხვდები კიდეც.

— მაინც? რატომ დადის ასე?

— იმიტომ, რომ დილიდან საღამომდე სულ მანქანასთან დგას. აგერ რამდენი წელიწადია, ნორჩი ადამიანის სხეული მოქნილია, რა მოძრაობასაც ასრულებს,

იმნაირად მოიხრება. საკმარისია ერთხელ შევავლო თვალი და მაშინვე გეტყვით, რა ხელობისაა ადამიანი. აბა, მე შემხედეთ. ასე რატომ ვირწევი ხოლმე? იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე გემზე ვმუშაობ, ჯოგში რომ გამეტარებინა ეს ხანი, რწევა კი აღარ დამჩემდებოდა, ფეხები მომერკალებოდა ცხენზე ჯდომით. ეს გოგოც ასეა, ვერ შენიშნეთ, როგორ ჯიქურ იყურებოდა, თავის დღეში საკუთარ ჭერს არ ღირსებია, პატრონი არ ჰყოლია, გოგოს რომ პატარაობიდანვე ლუკმაპურისთვის უხდება ზრუნვა, როგორღა გინდა ასეთი მშვიდი თვალები შერჩეს, აგერ..... აგერ, თქვენ რომ გაქვთ.

— მართალი ხართ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა რუთმა, — საშინელებაა! მერე რა ლამაზი გოგონაა!

მარტინმა გადახედა და შენიშნა, რომ თვალები სიბრალულით აციმციმებოდა. მაშინვე ის გაახსენდა, როგორ უყვარდა ქალი, ერთბაშად შეაკრთო იმ ბედნიერების წარმოდგენამ, რომ უფლება მიეცა ლექციაზე გაჰყოლოდა, ქუჩაში მასთან ერთად ხელიხელგაყრილი ევლო.

«ვინა ხარ, შენ, მარტინ იდენ? — ეკითხებოდა იგი საკუთარ თავს სარკეში იმავე ღამეს, შინ რომ დაბრუნდა. დიდხანს, გულმოდგინედ აკვირდებოდა თავის გამოსახულებას, — ვინა ხარ? რა ხარ? რა წრიდან გამოსულხარ? შენ ლიზი ქონოლისთანა გოგოებთან უნდა დადიოდე. შენი ადგილი იმ მილიონობით მდაბიოთა შორის არის, რომლებიც თავაუღებელ შრომაში ლევენ წუთისოფელს, იმ სიტლანქესა, ბიწიერებასა და სიმახინჯეში. ბოსელში უნდა ეგდო, პირუტყვებსა და მონებთან, საშინელ ჭუჭყში, სიმყრალესა და სიბინძურეში. აშმორებული ბოსტნეული უყრიათ იქა. დამპალი კარტოფილი. დაყნოსე, კარგად დაყნოსე... ჯანდაბას შენი თავი! იქ უნდა ჩარგო ცხვირი. წიგნებში შენ რა გესაქმება! მომხიბლავი მუსიკის მოსმენა რა შენი საქმეა, ან ლამაზი მხატვრობის ყურება, გამართული ინგლისურით ლაპარაკი, ისეთ რამეებზე ფიქრი და ოცნება, რასაც არც ერთი შენი წრის ადამიანი არ ღირსებია. ბოსელს გინდა გაექცე, ლიზი ქონოლის გაურბიხარ და ის ჰაეროვანი ქალიშვილი გინდა შეიყვარო, რომელიც სადღაც ვარსკვლავებში ცხოვრობს, შენგან მილიონი კილომეტრის დაშორებით?! ვინა ხარ-მეთქი, რა ხარ?! ჯანდაბამდის გზა გქონია. მიაღწევ კი, ვითომ, კარგ რამეს?!»

მუშტი მოუღერა საკუთარ გამოსახულებას სარკეში. საწოლის ძგიდეზე ჩამოჯდა და ფართოდ დაჭყეტილი თვალები სივრცეს გაუშტერა. მერე ალგებრა და რვეული გამოიღო და კვადრატულ განტოლებებში ჩაეფლო. დრო კი მიჰქროდა, ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ, ფანჯარას მტრედისფერი განთიადი მოაწვა.

თავი მეცამეტე

ენაწყლიანი სოციალისტებისა და მუშათა წრიდან გამოსული ფილოსოფოსების წყალობით მარტინ იდენმა დიდი აღმოჩენა მოახდინა. ეს ფილოსოფოსები სიტი-ჰოლ-პარკში იკრიბებოდნენ, შუადღის სიცხეში; ბიბლიოთეკისაკენ ველოსიპედით მიმავალი მარტინი პარკთან ჩამოხტებოდა და მათ უგდებდა ყურს; ისე გაიტაცებდა ხოლმე იმათი დავა, რომ მოშორება უძნელდებოდა. კამათის ტონი იმას არა ჰგავდა, რაც მისტერ მორზის სუფრასთან მოესმინა მარტინს, გაცილებით უფრო მდაბიური იყო. არც სიდარბაისლე გააჩნდა ამ ხალხს და არც ღირსეულად თავის დაჭერის უნარი. ხელად გაფიცხდებოდნენ, ერთმანეთის ლანძღვას მოჰყვებოდნენ, პირზე სულ ბინძური და საგინებელი სიტყვები ეკერათ. ერთჯერ თუ ორჯერ მუშტი-კრივამდეც კი მივიდა საქმე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ სიტყვებში რაღაც მნიშვნელოვანი,

დიდი ცხოვრებისეული აზრი გამოსჭვიოდა, თუმცა მარტინი ვერ მიმხვდარიყო, როგორ და რანაირად. ამათი დავა უფრო მეტად აღაგზნებდა მის გონებას, ვიდრე მისტერ მორზის წყნარი და თავშეკავებული დოგმატური მსჯელობანი. ეს ხალხი, — რომლებიც მთვარეულებივით იქნევდნენ ხელებს, უმოწყალოდ აწვალებდნენ ინგლისურ ენას და, თავისი აზრის დასამტკიცებლად, მდაბიური გაანჩხლებით სწვდებოდნენ ხოლმე პირში ერთმანეთს, — უფრო სიცოცხლისუნარიანი ეჩვენებოდა მარტინს, ვიდრე მისტერ მორზი და მისი გულითადი მეგობარი მისტერ ბატლერი.

რამდენჯერმე გაიგონა, როგორ დაიმოწმეს მოკამათეებმა პარკში ჰერბერტ სპენსერის სიტყვები, ერთ საღამოს კი თვითონ სპენსერის მოწაფეც მოევლინათ, — ჩამობრანძული მაწანწალა, რომელსაც გაზინთული ქურთუკი ბოლომდე შეებნია, რათა სიტიტვლე დაეფარა. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ირგვლივ თამბაქოს კვამლის ბურუსი იდგა, მოკამათეები გამწარებით ღეჭავდნენ თუთუნს და იფურთხებოდნენ, მაწანწალა მარჯვედ იგერიებდა დარტყმებს, მუშა-სოციალისტის დარტყმაც კი მოიგერია, როცა იმან დაცინვით ჩაუქირქილა: «არა არს ღმერთი თვინიერ შეუცნობელისა და ჰერბერტ სპენსერია მისი წინასწარმეტყველიო». მარტინი გაოგნებული იყო, ვერ ჩასწვდა ამ დავის აზრს, მაგრამ როცა ველოსიპედს გადააჯდა და ბიბლიოთეკისაკენ გასწია, თან გაჰყვა ინტერესი ჰერბერტ სპენსერის გაცნობისა, და რაკი მაწანწალა ხშირად ახსენებდა ხოლმე «ძირითად პირველ მიზეზებს», მარტინმა სწორედ ეს წიგნი გამოიტანა.

სწორედ ეს იყო იმ დიდი აღმოჩენის დასაწყისი. ერთხელ წინათაც სცადა მარტინმა სპენსერის წაკითხვა, მაგრამ რაკი «ფსიქოლოგიის საფუძვლები» შეხვდა, ასავალ-დასავალი ვერ გაუგო ისევე, როგორც მადამ ბლავატსკის; და, შერცხვენილმა, წიგნი წაუკითხავად დააბრუნა. იმ საღამოს კი, როცა ფიზიკასა და ალგებრას მორჩა და ცოტა ხანს სონეტსაც უკირკიტა, ლოგინში ჩაწვა და «ძირითადი პირველმიზეზები» გაშალა. თავზე დაათენდა. ძილი არ გაეკარა. იმ დღეს წერაც კი არ უცდია. მთელი დღე იწვა, მანამ გვერდები არ ეტკინა. მერე იატაკზე ჩამოვიდა და გულაღმა გაიშოტა. კითხვა მაინც არ შეუწყვეტია, ხან თავზემოთ ეჭირა წიგნი, ხან აქეთ-იქით გადასწევდა. იმ ღამეს დაიძინა და წერა მეორე დილას განაგრძო. მაგრამ ისევ აცთუნა წიგნმა და მთელი საღამო კითხვაში გაატარა, სხვა არაფერი გახსენებია, ისიც კი დაავიწყდა, რომ იმ საღამოს რუთს უნდა შეხვედროდა. მაშინღა მოვიდა გონს, როცა ბერნარდ ჰიგინბოთამმა კარი შეაღო და ჰკითხა, შენ რა, აქ რესტორანი ხომ არა გგონიაო.

მარტინ იდენი ბუნებით ცნობისმოყვარე კაცი იყო. ყველაფრის გაგება სურდა, მეზღვაურობა და ქვეყნების მოვლაც იმიტომ ინდომა თავის დროზე, მაგრამ სპენსერმა ახლა ისეთი რაიმე შეასწავლა, რაც თავის დღეში არ გაეგონა და ვერასოდესაც ვერ გაიგონებდა, ძველებურადვე რომ განეგრძო ზღვებზე მოგზაურობა. აქამდე იგი ზედაპირულად ჭვრეტდა საგნებს, მოვლენებს ერთმანეთისაგან გათიშულად აღიქვამდა, ამა თუ იმ ფაქტის ცალკეულ ფრაგმენტებსა სწვდებოდა და ზერელე განზოგადოებასღა თუ მოახერხებდა, ყველა და ყველაფერი ერთმანეთთან დაუკავშირებლად იყო გაფანტული ამ შემთხვევითობისა და უწესრიგო ცვალებადობის სამყაროში. შეჰყურებდა ჩიტებს და სწვდებოდა მათი ფრენის მექანიზმს, მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია თავში, განვითარების ის პროცესი აეხსნა, რამაც ეს მფრინავი მექანიზმი წარმოშვა. ეჭვიც კი არ შეჰპარვია, რომ შეიძლებოდა ფრინველებს განვითარების რაიმე პროცესი განეცადათ. არა. თავიდანვე ასეთები იყვნენ. ასეთები გაჩნდნენ.

რასაც ჩიტებზე ფიქრობდა, ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა, საერთოდ, ყველაფერზეც. ცოდნა აკლდა, საფუძველი აკლდა და ამიტომ ყოველგვარი ცდა, ფილოსოფიური განზოგადება მიეცა მოვლენებისათვის, უნაყოფო იყო. კანტის შუასაუკუნეობრივმა მეტაფიზიკამ ვერავითარი მოვლენის ასახსნელი გასაღები ვერ მისცა, თავის გონებრივ შესაძლებლობაში დააეჭვა მხოლოდ. ევოლუციის თეორიის შესწავლა სცადა რომენსის მეტად სპეციფიკური წიგნით და აქაც ისეთივე მარცხი განიცადა. ამ წიგნსაც ვერაფერი გაუგო და ის აზრიღა გამოიტანა, რომ ევოლუცია მშრალი და მოსაწყენი საგანია, მოგონილია პატარა ადამიანების მიერ, რომელთაც გაუგებარი სიტყვების რახარუხი უყვართ. ახლაღა მიხვდა, რომ ევოლუცია უბრალო თეორია კი არ ყოფილა, არამედ საყოველთაოდ აღიარებული განვითარების პროცესი; რომ მეცნიერებს ამ საქმეში განსხვავებული აზრი არა აქვთ და მხოლოდღა ევოლუციის მეთოდოლოგიის საკითხებში ედავებიან ერთმანეთს.

და, აგერ, გამოჩნდა ვიღაც სპენსერი, რომელმაც ერთად დაალაგა სხვადასხვა შეხედულებანი, თავი მოუყარა ძირითად საკითხებს, საერთო დასკვნები გამოიტანა და გაოგნებულ მარტინს თვალსაჩინოდ გადაუშალა კონკრეტულად გამოსახული სამყარო, თითქოს გემის მოდელი ყოფილიყოს, რასაც მეზღვაურები აკეთებენ და მინის ჭურჭელში ჩადებენ ხოლმე. არავითარი უცნაურობა და შემთხვევითობა აქ არ ყოფილა. ყველაფერი კანონზომიერი იყო. ჩიტების ფრენაც გარკვეულ კანონს ემორჩილებოდა; იმავე კანონის მიხედვით ლორწოვანი ნივთიერება, თანდათანობით გარკვეულ გამოსახულებას მიიღებს, გამაგრდება, ფეხებსა და ფრთებს გამოიბამს და ჩიტად იქცევა.

მარტინის გონებრივი განვითარება სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, ასეთი სიმაღლისათვის კი ჯერ არ მიეღწია. ერთბაშად ჩასწვდა საგანთა და მოვლენათა იდუმალებას და ამის შეგრძნებამ დაათრო. ღამით კოშმარულ სიზმრებს ხედავდა და თითქოს ღმერთებთან ადიოდა. დღისით კი მთვარეულივით დაფარფატებდა და გაშტერებული შეჰყურებდა მის მიერვე ახლახან აღმოჩენილ სამყაროს. სადილს რომ მიუჯდებოდა, ყოველდღიურ წვრილმანებზე საუბარი არც კი ესმოდა, რადგან მისი დაძაბული გონება ყველაფერში მიზეზობრივ კავშირებს ეძებდა. დაჰყურებდა თეფშზე ხორცს და გონების თვალით მასში მზის სხივებსა ჭვრეტდა, წარმოიდგენდა მთელ იმ გზას, ასეული მილიონობით მილს, რაც ამ სხივებს გამოევლოთ პირველწყაროდან, წარმოიდგენდა ამ ენერგიას ხან თავისივე მკლავების კუნთებში გადასულს, რაც მას ძალას აძლევდა ხორცი დაეჭრა, ხანაც ტვინის უჯრედებში გადასულს, რაც კუნთებს უბრძანებდა, ხორცი დაჭერიო... ასე რომ, ბოლოს თავისსავე ტვინში წარმოიდგენდა ამ მოგიზგიზე მზეს. ისე იყო გაოგნებული, რომ აღარ ესმოდა, როგორ წაიჩურჩულებდა ხოლმე ჯიმი, «საგიჟეთიო», არც დის შეშფოთებულ სახეს ხედავდა და ვერც ბერნარდ ჰიგინბოთამს ამჩნევდა, რომელიც თითს შუბლთან მიიტანდა და დაატრიალებდა, ჩემს ცოლისძმას ტვინი აერიაო, ანიშნებდა.

განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მარტინზე იმ ურთიერთკავშირმა, რაც მეცნიერებათა შორის, ყველა მეცნიერებათა შორის არსებულა. ცოდნას მოწყურებული თავიდანვე იყო იგი, და რასაც კი გაიგებდა, სულ სხვადასხვა ადგილას მოათავსებდა ხოლმე მეხსიერების უჯრედებში. ასე რომ, მეზღვაურობაზე დაგროვილი ცოდნა ყველაზე დიდ უჯრედში აღმოჩნდა. ქალებზედაც კარგა ბლომად ცოდნა დაგროვებოდა და ისიც საკმაოდ დიდ უჯრედში აღმოჩნდა. მაგრამ ეს ორი საგანი არაფრით არ უკავშირდებოდა ერთმანეთს, სავსებით განცალკევებული ჩანდა ეს ორი უჯრედი. რას წარმოიდგენდა, რომ გაკაპასებულ დედაკაცსა და ქარიშხალში მოხვედრილ ხომალდს შორის რაიმე კავშირის არსებობა

იყო შესაძლებელი. ეს ფიქრი ახირებულად და შეუძლებლად მოეჩვენებოდა, მაგრამ ჰერბერტ სპენსერმა აშკარად დაანახა, რომ არათუ ახირებული იყო კავშირი მათ შორის, არამედ ასეთი კავშირის არარსებობა იქნებოდა შეუძლებელი და წარმოუდგენელი. ყოველი მოვლენა თუ საგანი უსათუოდ მეორეს უკავშირდება — ცის უსაზღვრო სივრცეებში მოკიაფე უშორესი ვარსკვლავიდან მოკიდებული სილის იმ უმცირეს ატომამდე, რასაც ადამიანი ფეხით თელავს.

ეს აღმოჩენა განცვიფრებათა უშრეტი წყარო შეიქნა მარტინისათვის. ამის შემდეგ იგი იმის ცდაში იყო, რაიმე კავშირი აღმოეჩინა მოვლენათა და საგანთა შორის მთელ მზის ქვეშეთში და მზის მიღმაც. სავსებით სხვადასხვაგვარი საგნების სიას ადგენდა და მანამ ვერ მოისვენებდა, სანამ რაიმე კავშირს არ აღმოაჩენდა მათ შორის — კავშირს სიყვარულსა, პოეზიასა, მიწისძვრასა, ცეცხლსა, ჩხრიალა გველებსა, ცისარტყელასა, პატიოსან თვლებსა, სიმახინჯესა, მზის ჩასვლასა, ლომის ღრიალსა, მანათობელ გაზსა, კანიბალიზმსა, სილამაზესა, მკვლელობასა, ბერკეტებსა, საყრდენ წერტილებსა და თამბაქოს შორის. ამრიგად, სამყარო მან გააერთიანა და მთლიანობაში აღიქვა, თვალშესავლებად წარმოუდგა, არხეინად დააბოტებდა მის შუკებსა, ბილიკებსა და ტევრებში არა როგორც დამფრთხალი მგზავრი, რომელიც იდუმალებით მოცულ სამყაროში მოხვდა, და შეუცნობელი მიზნისაკენ მიილტვის, არამედ როგორც მკვლევარი, რომელიც ყველაფერს აკვირდება, ყველაფერს ეცნობა და სწვდება, და რუკაზე გადააქვს. რაც უფრო მეტს ნახულობდა და ეცნობოდა, მით უფრო აღფრთოვანებული იყო მთელი სამყაროთი, სიცოცხლით, იმითი, რომ თვითონვე ცხოვრობდა ამ სამყაროში.

«სულელო! — შესძახებდა ხოლმე საკუთარ გამოსახულებას სარკეში, — წერა მომინდომე? მწერლობა მოგინდა? როგორღა, თუკი დასაწერი არაფერი გქონდა?! რისი პატრონი წერდი?! რაღაც ბალღური წარმოსახვისა, უმწიფარი გრძნობებისა, სილამაზეზე ბუნდოვანი წარმოდგენისა და წყვდიადით მოცული გონების პატრონი? გული მოზღვავებული სიყვარულით ლამის გისკდებოდა და პატივმოყვარეობაც ამ სიყვარულივით გაბერილი გქონდა, მაგრამ ფუჭი და უსარგებლო, როგორც შენივე უმეცრება! ჰა, ამის პატრონი აპირებდი მწერლობას?! შენ ხომ ცოტათი ახლაღა უღებ ალღოს იმას, თუ რაზე შეიძლება წერა! სილამაზის შექმნა მოინდომე? მაგრამ როგორ, როცა წარმოდგენაც კი არა გაქვს სილამაზეზე? ცხოვრების აღწერა მოინდომე, როცა ასავალ-დასავალი არ გაგეგებოდა ცხოვრებისა... სამყაროს არსზე მოინდომე წერა, მაგრამ სამყარო შენთვის ჩინურ ანბანს წარმოადგენდა. და რამდენიც არ უნდა გეწერა, მხოლოდღა შენს უვიცობას დაამტკიცებდი. არა უშავს, გულს ნუ გაიტეხ, მარტინ, ყოჩაღად, ბიჭო! ახლა დაწერ. ზოგი რამე უკვე გაგეგება, მართალია, ძალიან ცოტა, მაგრამ სწორ გზაზე დგახარ და თანდათანობით მეტს ისწავლი. თუ ბედმა გაგიღიმა, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი გეცოდინება, რისი ცოდნაც კი შეიძლება. მოდექი მერე და წერე.

რუთსაც გაანდო თავისი დიდი აღმოჩენა, მასაც გაუზიარა მთელი სიხარული და გაკვირვება. მაგრამ ქალს დიდი ენთუზიაზმი არ გამოუჩენია, გულგრილად შეხვდა, ეტყობოდა, უკვე შესწავლილი ჰქონდა ყველაფერი ეს. ვერავითარი ინტერესი ვერ შენიშნა და მარტინს ძალიან გაუკვირდებოდა ეს, მაშინვე რომ არ ეფიქრა — ალბათ ახალი არ არის მისთვის, ყველაფერი იცისო. გამოირკვა, რომ ართურსა და ნორმანს სწამდათ ევოლუციის თეორია, სპენსერიც წაეკითხათ, თუმცა, ეტყობოდა, ისეთი დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა მათზე ამ ფილოსოფოსს; სათვალიანმა, ქოჩორა ჭაბუკმა უილ ოლნიმ კი გესლიანად ჩაიქირქილა და ის ეპიგრამა გაიმეორა: «არა არს ღმერთი თვინიერ შეუცნობელისა და ჰერბერტ სპენსერია მისი წინასწარმეტყველიო».

მაგრამ მარტინმა მიუტევა ეს ჩაქირქილება, რაკიღა მიხვდა, რომ ჭაბუკი რუთის შეყვარებული არ იყო. მერე ზოგი დეტალის წყალობით ისიც შენიშნა, რომ ჭაბუკს არათუ არ უყვარდა რუთი, არამედ ანტიპათიურადაც კი იყო მის მიმართ განწყობილი. ამან საოცრად გააკვირვა, გაუგებარი აღმოჩნდა მისთვის. ეს ისეთი რამ იყო, რაც ვერანაირად ვერ დაეკავშირებინა სამყაროს სხვა მოვლენებისათვის. შეებრალა კიდეც ყმაწვილი, რომელსაც ალბათ რამე თანდაყოლილი ნაკლი ჰქონდა, რაც ხელს უშლიდა რუთის ნამდვილი სილამაზე და მომხიბლაობა შეეფასებინა. კვირაობით ხშირად გაისეირნებდნენ ხოლმე ველოსიპედებით და მარტინს ათასი საბუთი მიეცა დარწმუნებულიყო, რომ რუთსა და ოლნის შორის ზავი კი იყო ჩამოვარდნილი, მაგრამ იარაღი ორივეს შემართული ჰქონდა. ოლნი უფრო ნორმანთან მეგობრობდა, ართურსა და მარტინს რუთს მიუგდებდა ხოლმე და ჭაბუკი ამისათვის განუზომლად მადლობელი იყო.

კვირა დღეები ნამდვილი დღესასწაული იყო მარტინისათვის — რაც მთავარია, რუთთან ერთად გრძნობდა თავს, თან ისიც რად ღირდა, რომ მისი კლასის ჭაბუკებთან როგორც ტოლი ტოლთან, ისე იყო. მართალია, ეს ხალხი რამდენი წელიწადია სწავლობდა და სისტემატური განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ მარტინი დარწმუნდა, რომ გონებრივი განვითარებით ახლა ტოლს აღარ დაუდებდა მათ, ხოლო ერთობლივი საუბარი შესანიშნავი წვრთნა აღმოჩნდა გრამატიკაში, რაც მან ასე გულმოდგინედ შეისწავლა. ეთიკის წიგნებს თავი მიანება და მთლიანად თავის დაკვირვებას მიენდო. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ლაპარაკში გაერთობოდა და აღეგზნებოდა, მუდამ გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს სხვების ქცევას, იმახსოვრებდა თავაზიანობისა და ურთიერთდამოკიდებულების ყოველ წვრილმანს.

იმ ამბავმა, რომ სპენსერს დიდი ხალისით არ კითხულობდნენ, პირველ ხანებში გააკვირვა მარტინი. «ჰერბერტ სპენსერი! — შესძახა ბიბლიოთეკაში საცნობარო განყოფილების თანამშრომელმა, — ო, დიდი მეცნიერია!» მაგრამ ზედვე ეტყობოდა, რომ ამ «დიდი მეცნიერისა» არაფერი წაეკითხა. ერთ საღამოს, სადილობისას, როცა მისტერ ბატლერიც აქ იყო, მარტინმა სპენსერზე ჩამოაგდო სიტყვა. მისტერ მორზმა სასტიკად გაილაშქრა ინგლისელი ფილოსოფოსის აგნოსტიციზმის წინააღმდეგ, მაგრამ გამოტყდა, რომ «ძირითადი პირველმიზეზები» არ წაეკითხა. მისტერ ბატლერმა კი უბოდიშოდ განაცხადა, სპენსერის წასაკითხად მოთმინება არა მყოფნის, ჩემს დღეში ერთი სტრიქონიც კი არ წამიკითხავს მაგისი, მაგრამ თავს უიმისოდაც კარგად ვგრძნობო. ეჭვმა გაჰკენწლა მარტინი და ასეთი მტკიცე და თავის თავში დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, იქნებ სულაც მიენებებინა თავი ჰერბერტ სპენსერისათვის. მაგრამ სპენსერის შეხედულებანი დამაჯერებელი ეჩვენებოდა და ახლა მასზე ხელის აღება იგივე იქნებოდა, მეზღვაური რომ ამდგარიყო უცებ და კომპასი და ქრონომეტრი ზღვაში გადაეგდო. ასე რომ, მარტინმა კვლავ განაგრძო ევოლუციის თეორიის შესწავლა, სულ უფრო და უფრო მტკიცედ შეითვისა საგანი. ამ მოძღვრების დადასტურებას ბევრი სხვა მწერლის წიგნებშიაც წააწყდა. რასაც მეტს სწავლობდა, სულ უფრო და უფრო მეტ აუთვისებელ ცოდნის სივრცეებს აწყდებოდა ხოლმე, სულ უფრო და უფრო მეტს სწუხდა, რომ დღეღამეში მხოლოდ ოცდაოთხი საათი იყო.

და რაკი ასე მოკლე იყო დღე, ადგა და ალგებრა-გეომეტრია განზე გადადო, ტრიგონომეტრიას კი ჯერაც არ შესდგომოდა. მერე ქიმიაც ამოშალა თავისი ცხრილიდან და მხოლოდ ფიზიკა დატოვა.

— მე ხომ სპეციალისტი არა ვარ, — თავი იმართლა რუთთან, — არც ვაპირებ სპეციალისტობას. იმდენი მეცნიერებაა, რომ ერთი კაცი რას გასწვდება, თუნდა

მთელი სიცოცხლე მოანდომო მათ შესწავლას. მე საერთო განათლების მიღება უნდა ვცადო. სპეციალური საგანი თუ დამჭირდა, ავდგები და წიგნებს მოვიშველიებ.

— ეგ ხომ საკუთარი ცოდნა აღარ გამოვიდა! — შეესიტყვა რუთი.

— ანკი რა საჭიროა. ჩვენ სპეციალისტების შრომებით უნდა ვისარგებლოთ, სხვა რა დანიშნულება აქვთ მათ? აგერ, თქვენთან რომ შემოვედი დღეს, ბუხრის მწმენდავები შევნიშნე. ეგენიც ხომ სპეციალისტები არიან. გაწმენდენ მილებს, თქვენ კვამლი აღარ შეგაწუხებთ, მაგრამ წარმოდგენაც კი არ გექნებათ იმ მილების მოწყობილობაზე.

— ეგ ხომ ყურით მოთრეული არგუმენტებია.

ქალმა გაკვირვებით შეხედა და მარტინმა საყვედური ამოიკითხა მის თვალებში. მაგრამ თავისი შეხედულების სისწორეში მტკიცედ იყო დარწმუნებული.

— ყველა დიდი მოაზროვნე, ვინც საერთო ფილოსოფიურ პრობლემებს არკვევს, კონკრეტულ საკითხებში სხვა სპეციალისტებს ეყრდნობა ხოლმე. ჰერბერტ სპენსერიც ასე იყო. მან ათასობით მკვლევარის დასკვნები და აღმოჩენები განაზოგადა. თავად რომ შესდგომოდა ყველაფრის შესწავლას, ათასი სიცოცხლეც არ ეყოფოდა. თუნდაც დარვინი! მან ყველაფერი გამოიყენა, რაც მებაღეებმა და მეცხოველეებმა გამოიკვლიეს.

— მართალი ხართ, მარტინ, — მოუწონა ოლნიმ, — თქვენ იცით, რასაც აკეთებთ, რუთმა კი არ იცის. რუთმა ისიც არ იცის, თვითონ რას აკეთებს და რა სჭირდება.

— ... დიახ, სწორედ ასეა, — განაგრძო ოლნიმ, საშუალება არ მისცა რუთს შესიტყვებოდა, — ვიცი, ამას თქვენ საერთო კულტურას ეძახით. მაგრამ თუკი ამით ეზიარები საერთო კულტურას, სულ ერთი არ არის, რას შეისწავლი?! ადექი და ფრანგული ისწავლე ან გერმანული, ან არადა ორივე განზე გადადე და ესპერანტოს ჩაუჯექი. საერთო კულტურას ამითაც მიაღწევ ბოლოს და ბოლოს. იმ თქვენი «საერთო კულტურისათვის» ბერძნულიც შეგიძლიათ ისწავლოთ, ან ლათინური, თუმცა ცხოვრებაში არც ერთი გამოგადგებათ და არც მეორე. რა მოხდა მერე, ეგეც ხომ კულტურაა! რუთი არ იყო, საქსონური რომ ისწავლა, და კარგა საფუძვლიანადაც... ორი წლის წინ იყო ეს ამბავი და ახლა ერთი ფრაზაღა ახსოვს: «როცა აპრილი შხაპუნა წვიმით...» ასეა, მგონი, ხომ?.. მაგრამ ამან მოგცათ საერთო კულტურა, — სიცილით განაგრძო და არც ახლა მისცა რუთს შესიტყვების საშუალება. — ვიცი, ჩვენ ხომ ერთ კურსზე ვსწავლობდით.

— ისე ლაპარაკობთ კულტურაზე, თითქოს იგი საშუალება იყოს და არა მიზანი, — შესძახა რუთმა. თვალები წამონთებოდა, ღაწვებზე ორი წითელი ლაქა დააჩნდა, — კულტურა თავისთავად მიზანია.

— მარტინს ასეთი კულტურა არა სჭირდება.

— რატომ გგონიათ?

— რა გჭირდებათ თქვენ, მარტინ? — ჰკითხა ოლნიმ და მისკენ შეტრიალდა.

მარტინმა თავი ძალიან უხერხულად იგრძნო და საწყლად შეხედა რუთს.

— ჰო, რა გჭირდებათ? — ჩაეკითხა რუთი, — ეს გადაწყვეტს ჩვენს დავას.

— რა თქმა უნდა, კულტურა მჭირდება, — გაუბედავად თქვა მარტინმა, — მე სილამაზე მიყვარს და კულტურა საშუალებას მომცემს უფრო კარგად აღვიქვა იგი.

რუთმა თავი დაუქნია და გაიბადრა.

— სისულელეა! და თვითონვე მშვენივრად იცით ეს. — განაცხადა ოლნიმ, — მარტინი კარიერას მისდევს და არა კულტურას. ახლა შემთხვევით მოხდა, რომ კარიერა და კულტურა ერთმანეთს დაემთხვა. ქიმიკოსობა რომ მოენდომებინა, საერთო კულტურა რაში დასჭირდებოდა?! მარტინს მწერლობა გადაუწყვეტია, მაგრამ

არ ამბობს, შიშობს, გრძნობს, რომ თქვენ მაშინ ამ დავაში დამარცხდებით. მწერლობა რატომღაც მოუწადინებია? — განაგრძო მან, — იმიტომ, რომ სიმდიდრე თავზე არ გადასდის. თქვენ რატომღა გამოიტენეთ თავი საქსონიურითა და «საერთო კულტურით?» იმიტომ, რომ გზის გაკაფვა არა გჭირდებათ, ამაზე მამათქვენი ზრუნავს, ის გაცმევთ, ის გახურავთ და გარჩენთ. რაში გვჭირდება ჩვენ ეს განათლება — ან თქვენ, ან მე, ან ართურსა და ნორმანს? სულ ამ «საერთო განათლებით» ვართ გაჟღენთილი და უცებ ჩვენს მამებს რომ ფეხი გადაუბრუნდეთ და გაკოტრდნენ, ხვალვე იძულებული გავხდებით მასწავლებლის ხელობაზე ჩავაბაროთ გამოცდა. თქვენ პირადად, რუთ, სოფლის სკოლაში თუ იშოვით მასწავლებლის ადგილს ან მუსიკის გაკვეთილებს ქალთა პანსიონში, მადლობელი უნდა იყოთ.

— იქნებ ისიც გვითხრათ, თქვენ რაღას იზამდით? — ჩაეკითხა რუთი.

— დიდი ხეირი არც მე დამეყრებოდა — შავ სამუშაოზე მოვეწყობოდი, იქნებ დოლარ-ნახევარი გამეკეთებინა დღეში, ან იქნებ ჰელნისთან გამოვმდგარიყავი რეპეტიტორად... «იქნებ-მეთქი», ვამბობ, იმიტომ რომ, ვინ იცის, ერთ კვირაში გამომაგდონ კიდეც, უვარგისობის გამო.

მარტინი გულისყურით უსმენდა, ოლნის სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ გუნებაში მაინც ჰკიცხავდა მას, რუთს ასე კადნიერად როგორ ეკამათებაო. უსმენდა ამ კამათს და ახალი შეხედულებანი უყალიბდებოდა სიყვარულზე. გონებას სიყვარულთან არაფერი ესაქმება. მართებულად მსჯელობს საყვარელი ქალი თუ არამართებულად, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სიყვარული გონებაზე მაღლა დგას. ვთქვათ, რუთმა ვერ შეიგნო, როგორ ესაჭიროება ახლა მარტინს კარიერა — რა ვუყოთ მერე, განა ამიტომ იგი ნაკლებ საყვარელი გახდება ჭაბუკისათვის?! არა, ისეთივე მომხიბლავია და როგორაც არ უნდა იმსჯელოს, მის მომხიბლაობას ამით არაფერი დააკლდება.

— რა მითხარით? — ჩაეკითხა იგი ოლნის, რომელმაც მარტინს ფიქრი შეაწყვეტინა და რაღაც უთხრა.

— იმედი გამოვთქვი, — იმდენ ჭკუას მაინც იხმართ, ლათინურს არ უკირკიტოთ-მეთქი.

— ლათინური ხომ მარტო საერთო განათლებას არ ნიშნავს, — შეესიტყვა რუთი, — გონებასაც წვრთნის.

— ჰა, რას აპირებთ, მარტინ. დაუწყებთ კირკიტს ლათინურს? — აღარ მოეშვა ოლნი.

მარტინს გასაქანი აღარ მიეცა. შენიშნა, რომ რუთი გაფაციცებით უცდიდა მის პასუხს.

— ვშიშობ, რომ ვერ მოვახერხებ, — უპასუხა მან ბოლოს, — გულით მინდა, მაგრამ დრო არ მეყოფა.

— ხომ ხედავთ, მარტინს სულაც არ აინტერესებს საერთო განათლება, — გაიხარა ოლნიმ, — იმასღა ცდილობს, სადმე ფეხი მოიკიდოს, რამეს მიაღწიოს.

— ჰო, მაგრამ ლათინური ხომ ჭკუის საწვრთნელია! გონებას წვრთნის, აყალიბებს! — რუთმა იმედის თვალი მიაპყრო მარტინს, თითქოს სთხოვს, შეხედულება შეიცვალეო. — ფეხბურთელები დიდი თამაშის წინ მუდამ წვრთნას გადიან ხოლმე. ასევე საჭიროა მოაზროვნე ადამიანისათვის ლათინურიც. ეგეც წვრთნა არის.

— სისულელეა, აბსურდია! ამას, ბავშვი რომ ვიყავით, მაშინ ჩაგვჩიჩინებდნენ. მაგრამ ერთი რამ არ უთქვამთ მაშინ ჩვენთვის. ჩვენვე მოგვანდეს — როცა იქნება, თვითონ მიხვდებიანო — ოლნიმ ცოტა ხანს შეიცადა, რათა შთაბეჭდილება გაეძლიერებინა და ბოლოს, დასძინა, — ყოველმა ჯენტლმენმა უნდა ისწავლოს

ლათინური, ცოდნით კი არც ერთ ჯენტლმენს არა სჭირდება მისი ცოდნა. აი, ეს არ უთქვამთ მაშინ.

— ეს რა პატიოსნებაა! — შეჰყვირა რუთმა, — თავიდანვე შეგატყვეთ, ისე წარმართეთ საუბარი, რომ ყველაფრის გაბიაბრუება გინდოდათ.

— მაინც ხომ გონებამახვილურად გამოვიდა! — იხტიბარი არ გაიტეხა ოლნიმ, — ანკი რატომ არ არის პატიოსნება?! აბა, ვინ იცის ეგ თქვენი ლათინური? მეაფთიაქეებმა მხოლოდ, ვექილებმა და ლათინურის მასწავლებლებმა. მარტინიც თუ რომელიმე ამ ხელობის შესწავლას აპირებს, რაღა მეთქმის, შევმცდარვარ და ეგ არის. მაგრამ მაშინ ჰერბერტ სპენსერი რაღად უნდა? მარტინმა ახლახან აღმოაჩინა სპენსერი და ლამის ჭკუა დაკარგოს. რატომ, არ იკითხავთ? იმიტომ, რომ სპენსერმა რაღაც მისწრაფება გაუჩინა. ჩემთვის პირადად, არავითარი მისწრაფება არ აღუძრავს, არც თქვენთვის. ჩვენ არაფერი არა გვჭირდება. თქვენ გათხოვდებით, მე არაფერზე ხელის განძრევა არ დამჭირდება, ჩემი აგენტები და ვექილები მოუვლიან მამაჩემის დანატოვარ ქონებას.

ოლნი წამოდგა. ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ კარებთან ისევ შედგა და უკანასკნელი ტყვიაც გაისროლა:

— მოეშვით მარტინს, რუთ. თვითონ უკეთ იცის თავისი საქმისა. ხომ ხედავთ, რამდენ რამეს მიაღწია უკვე. ზოგჯერ ამას რომ გავიხსენებ, ჩემივე თავისა მრცხვენია და ცუდადა ვხდები. მარტინს ახლა გაცილებით უფრო მეტი გაეგება ქვეყნისა, ცხოვრებისა, ადამიანის დანიშნულებისა და, საერთოდ, ყველაფრისა, ვიდრე ართურს, ნორმანს, ან მე და თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ლათინურიც კარგად ვიცით, ფრანგულიც, საქსონურიც და საერთო კულტურაცა გვაქვს.

— მაგრამ რუთი ხომ ჩემი მასწავლებელია, — რაინდულად გამოექომაგა მარტინი, — თუკი მართლაც ვიცი რამე, სულ რუთის წყალობით.

— სისულელეა! — ოლნიმ გესლიანად გადახედა რუთს, — თქვენ იმასაც მეტყვით, სპენსერის წაკითხვა რუთმა მირჩიაო, მაგრამ ეს ხომ მართალი არ იქნება. რუთს იმდენი გაეგება დარვინისა და ევოლუციისა, რამდენიც მე — სოლომონ მეფის ალმასის საბადოებისა. ამას წინათ თქვენ გაგვაოგნეთ იმ თავსატეხი ადგილების განმარტებით, რაც სპენსერის წიგნებში შეგხვედრიათ — საგანთა განუსაზღვრელობით, დაუკავშირებლობითა და ერთგვაროვნებით. აბა, ერთი სცადეთ და რუთსაც განუმარტეთ, ერთ სიტყვას თუ გაიგებს! ხომ ხედავთ, საერთო კულტურა არაფრის მაქნისი ყოფილა. მორჩა და გათავდა — ტრა-ლა-ლა! ახლა რომ ლათინურს დაუწყოთ კირკიტი, მარტინ, ყოველგვარ პატივისცემას დავკარგავ თქვენსას.

ამ დავამ დააინტერესა მარტინი, მაგრამ გულში მაინც რაღაცნაირ ხინჯსა გრძნობდა. საქმე ეხებოდა მეცნიერებას, გაკვეთილებს, ცოდნის საწყისებს და კამათის ეს ბავშვური ტონი სულაც არ ეგუებოდა იმ დიდ საკითხებს, რაც მარტინს აღელვებდა, რაც ძალას აძლევდა არწივის კლანჭებივით ჩაბღაუჭებოდა ცხოვრებისეულ მოვლენებს, და რაკიღა შეეგრძნო, როგორ იწყებდა ყველაფერ ამის დაუფლებას, კოსმოსური თრთოლვით აცახცახებდა. უცხო ქვეყნის ნაპირზე გარიყულ პოეტს ამსგავსებდა თავს, რომელსაც ძალუმად განეცადა გარესამყაროს სილამაზე, მაგრამ ვერ მოეხერხებინა ადგილობრივ მკვიდრთა ტლანქ ენაზე ემღერა. მარტინსაც ასე მოსდიოდა. გულში მისწრაფებას გრძნობდა, ტკივილისმომგვრელ მისწრაფებას, სამყაროს უდიდეს მოვლენებზე ეფიქრა და ამის ნაცვლად კი იძულებული იყო ბალღური დავა და კინკლაობა ესმინა — საჭიროა თუ არა ლათინურის სწავლაო.

— ეს ლათინური რაღა ჯანდაბად გამოტყვრა! — მიმართავდა იგი საკუთარ თავს იმ საღამოს სარკეში, — მკვდარი მკვდრად დარჩეს. მკვდრებთან რა მესაქმება? სილამაზე ცოცხალი და მარადიულია. ენები იბადებიან და კვდებიან. მკვდრების — ფერფლიღა არის.

უცებ შენიშნა, რა მარჯვედ აყალიბებდა ახალ აზრებს, და დასაძინებლად რომ დაწვა, ის გაიფიქრა: რუთთან როცა ვარ, მაშინ რა მომდის, რატომ მაშინ ვერ ვლაპარაკობ ასეო! რუთთან იგი მოწაფესავით იყო და მოწაფის ენაზე მეტყველებდა.

— დრო მომეცით! — წამოიძახა მან, — ოღონდ დრო მომეცით!

დრო! დრო! დრო! ეს იყო მისი გაუთავებელი მუდარა.

თავი მეთოთხმეტე

რუთის სიყვარულის მიუხედავად, მარტინმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ლათინური არ შეესწავლა. ეს ოლნის გავლენით არ მომხდარა. დრო მისთვის ფული იყო. ლათინურზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამდენი საგანი მტკიცედ მოითხოვდა ყურადღებას. თანაც უნდა ეწერა. ფული ეშოვა. თუმცა არც ერთმა ჟურნალმა და გაზეთმა არ გაიკარა. მისი ხელნაწერები გაუთავებლად მოგზაურობდა ჟურნალიდან ჟურნალში. სხვები ნეტა როგორღა ახერხებდნენ დაბეჭდვას? საათობით იჯდა ხოლმე სამკითხველო დარბაზში და სხვის ნაწერებს კითხულობდა, მუშტრის თვალით სწავლობდა, უკირკიტებდა, თავისებს ადარებდა და გამწარებით ცდილობდა ამოეხსნა ის საიდუმლო, რისთვისაც სხვებს უკვე მიეგნოთ და მიტომაც ახერხებდნენ თავიანთ ნაწარმოებების გასაღებას.

გაკვირვებული იყო — დაბეჭდილი მასალების დიდ უმრავლესობას სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა: არავითარი სინათლე, არავითარი ფერები... სიცოცხლის სუნთქვას ვერ იგრძნობდი, და მაინც ახერხებდნენ გასაღებას, თითო სიტყვაში ორ-ორ ცენტს იღებდნენ, ათას სიტყვაში — ოც დოლარს; ასე იუწყებოდა გაზეთები. იმდენს ბეჭდავდნენ ამ პატარ-პატარა მოთხრობებს, რომ მარტინი გაოგნებული რჩებოდა, ლაღი და ჭკვიანური მოთხრობები იყო, ამას ვერ უარყოფდა, მაგრამ სიცოცხლე და ცხოვრებისეული სიმართლე აკლდა. ცხოვრება ათასნაირი მოულოდნელობით, საოცრებით, ოცნებებით, გმირული შემართებით, გრანდიოზული პრობლემებით არის სავსე, ეს მოთხრობები კი ყოველდღიურ წვრილმან ამბებს მოიცავდნენ. ცხოვრების მთელ სიმძაფრესა და დაძაბულობას გრძნობდა მარტინი, მის მგზნებარებასა და შფოთიანობას, მის ამბოხ სულს, — აი, რა იყო დასაწერი! სურდა ხოტბა შეესხა იმედგადაწურულ ხალხთათვის, რომლებიც მაინც მედგრად მიუძღოდნენ სხვებს, შმაგი მიჯნურებისათვის, იმ გოლიათებისათვის, რომლებიც საშინელ გაჭირვებასა და სიდუხჭირეს ებრძოდნენ და თავიანთი სიძლიერით თვით ცხოვრებას წელში ზნექდნენ. ამ პატარა მოთხრობებში კი, ჟურნალები რომ ბეჭდავდნენ, ხოტბაშესხმულნი იყვნენ მისტერ ბატლერები, ის ბილწი და უბადრუკი ხალხი, რომლებიც დოლარების შეგროვებას გაეტაცებინა, პატარა კაცუნების უბადრუკი სასიყვარულო ამბები... იქნებ თვით რედაქტორები არიან პატარა კაცუნები და იმიტომ! ეკითხებოდა თავს მარტინი. ან იქნებ იმ რედაქტორებს, მწერლებსა და მკითხველებს ცხოვრებისა ეშინიათ!

მაგრამ მთავარი უბედურება ის იყო, რომ მარტინი არც რედაქტორებს იცნობდა და არც მწერლებს. არათუ არ იცნობდა მწერლებს, ისეთ ვინმესაც კი არ გადაჰყროდა, ვისაც ოდესმე წერა ეცადა. კაციშვილი არ იყო, რომ ეთქვა, ენიშნებინა, უბრალო რჩევა მიეცა. ერთი პირობა ეჭვიც კი შეეპარა — რედაქტორები იქნებ ნამდვილი ადამიანები

არც კი არიანო. უცებ მანქანის ხრახნებად წარმოუდგა. ასეა, ნამდვილად მანქანაა! მარტინმა სული ჩაღვარა ამ მოთხრობებსა და ნარკვევებსა და ლექსებში... და რა გამოვიდა — მანქანებს მიანდო. დაკეცავდა ხოლმე ხელნაწერს, დიდ კონვერტში ჩადებდა, შიგ უკანდასაბრუნებელ მარკას ჩააყოლებდა, ერთ მარკას გარედანაც დააკრავდა და საფოსტო ყუთში ჩაუშვებდა. მთელ ქვეყანას მოივლიდა ეს ხელნაწერი და რამდენიმე ხნის შემდეგ უკანვე უბრუნდებოდა, მეორე კონვერტში ჩადებული, გარედან კი მის მიერვე გაგზავნილი მარკა ეკრა. იქითა მხარეს სულიერი არავინ ჩანდა, მარჯვედ მოწყობილი მანქანა იყო, რომელიც კონვერტს გახსნიდა, ხელნაწერს მეორე კონვერტში ჩადებდა და მარტინისავე გაგზავნილ მარკას დააკრავდა. ავტომატებსა ჰგავდა — ჩაუშვებ პენიანს, ხელს დააჭერ და პატარა ჭრილიდან კევს გადმოაგდებს, ან შოკოლადის ფილას. რედაქციის მანქანაც ასეთი ყოფილა: ერთი ჭრილიდან ჰონორარის ჩეკებს უშვებს, მეორედან — დაწუნებულ ხელნაწერებს. მარტინი ჯერჯერობით ერთხელაც ვერ მოხვდა იმ პირველ ჭრილში.

უარის სტანდარტული წერილები ხომ ნამდვილად მანქანას ამსგავსებდნენ მთელ ამ პროცედურას. ასობით ასეთი სტანდარტული წერილი მიიღო მარტინმა, თითო ხელნაწერზე ბარე თითო დუჟინი უარი. ბედნიერად ჩათვლიდა თავს, ერთი პატარა განაწერა უარი მაინც მიეღო, საგანგებოდ მისთვის დაწერილი. მაგრამ ერთხელაც არ მომხდარა ეს და ამიტომაც რედაქტორების არსებობა საეჭვო ჩანდა. ამრიგად, მარტინმა საბოლოოდ დაასკვნა, რომ იმ მეორე მხარეს, იქითა მხარეს, ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ ხრახნები, კარგად გაზეთილი ხრახნები, რომლებიც მარჯვედ სრიალებდნენ მანქანებში.

მარტინი ნამდვილი მებრძოლი იყო — მხნე და შეუდრეკელი, წლობით რომ ეკვება ეს მანქანები, წარბს არ შეხრიდა. მაგრამ ახლა სისხლისაგან იცლებოდა და არათუ წლებს, დღეებს შეეძლო ბრძოლის ბედი გადაეწყვიტა. ბინისა თუ საჭმელ-სასმელის ყოველკვირეული გადასახადი სულ უფრო და უფრო აჩქარებდა მის საბოლოო გაკოტრებას, ამას ემატებოდა საფოსტო ხარჯებიც თავისი ორმოცი ხელნაწერის აქეთ-იქით გაგზავნისათვის!.. წიგნებს აღარ ყიდულობდა მეტად, გადაწყვიტა მომჭირნეობით ეცხოვრა და როგორმე გაეხანგრძლივებინა გარდუვალი დასასრული. მაგრამ სულაც არ ეხერხებოდა მომჭირნეობა და ერთი კვირით კიდევ მოიახლოვა აღსასრული, როცა მერიენს ხუთდოლარიანი კაბა უყიდა.

ბრმად იბრძოდა მარტინი, არც რჩევა, არც გამხნევება!.. სული კბილით ეჭირა. გერტრუდამაც კი ალმაცერად დაუწყო ცქერა. პირველ ხანებში იგი მოსიყვარულე დის დიდსულოვნებით შეჰყურებდა მარტინის ბალღურ სისულელეებს; მერე და მერე კი იმავე მოსიყვარულე და მზრუნველმა გულმა შეაწუხა გერტრუდა. ძმის ბალღური სისულელე უკვე სიგიჟედ იქცა. მარტინი კარგად გრძნობდა დის განცდებს და ეს უფრო აწუხებდა, ვიდრე ბერნარდ ჰიგინბოთამის აშკარა და უტიფარი დაცინვები. საკუთარი თავის რწმენა კი ჰქონდა, მაგრამ სხვას არავის სჯეროდა ამ რწმენისა. რუთსაც არა სჯეროდა. რუთი იმის მოსურნე იყო, მხოლოდ სწავლისათვის დაეთმო მარტინს მთელი დრო; მართალია, მწერლობისათვის აშკარად არ გაუკიცხავს, მაგრამ არც არასოდეს მოუწონებია.

მარტინსაც არასოდეს უჩვენებია თავისი ნაწერები რუთისთვის. რაღაცნაირად ერიდებოდა; თან ისიც იცოდა, რა დატვირთული იყო რუთი უნივერსიტეტში და არ უნდოდა ზედმეტი დრო წაერთმია. მაგრამ როცა დიპლომის დაცვას მორჩა ქალი, თვითონვე სთხოვა მარტინს, წამიკითხე, რასა წერო. მარტინს ერთსა და იმავ დროს ფრთაც შეესხა და მუხლებიც მოეკვეცა. აჰა, ერთბაშად გამოუჩნდა მსაჯული. ქალი ხელოვნების ბაკალავრი იყო. ლიტერატურა გამოცდილ პროფესორებთან ჰქონდა

შესწავლილი. ალბათ რედაქტორებიც კარგი შემფასებლები იქნებიან, მაგრამ რუთი სულ სხვაგვარად შეხედავს მარტინის ნამუშევარს. ქაღალდის ნაგლეჯზე დაბეჭდილ სტანდარტულ უარს არ გადასცემს. არ ეტყვის — გარკვეული ღირსებების მიუხედავად, რაც ნაწარმოებს უსათუოდ აქვს, ჩვენი ჟურნალისთვის არ გამოდგებაო. არა, იგი ცოცხალი, ნათელი სიტყვებით ეტყვის თავის აზრს, თბილად და ადამიანურად და, რაც მთავარია, თვით მარტინ იდენის არსს შეიცნობს. ამ ნაწერებში გადაეშლება მარტინის გული და სული, მთელი არსება, ნაწილობრივ მაინც შეიცნობს, ნაწილობრივ მაინც, რაზე ოცნებობს ჭაბუკი და რა ძალა შესწევს მას.

მარტინმა რამდენიმე მოთხრობის ასლები შეარჩია და, მცირე ყოყმანის შემდეგ, «ზღვის სიმღერაც» დაუმატა. ივნისის მიწურული იყო, როცა ერთ ნაშუადღევს მარტინი და რუთი ველოსიპედებით ქალაქგარეთ გაემგზავრნენ. მეორედ მიდიოდნენ ქალაქგარეთ მარტოკანი. ზღვიდან სუსტი ნიავი ქროდა და თბილ ჰაერს ზომიერად აგრილებდა, საამურად ელამუნებოდა ყმაწვილებს. ისეთ გუნებაზე დამდგარიყო მარტინი, რომ მთელი ქვეყნიერება სასურველად მოწყობილი და მშვენიერი ეჩვენებოდა; რა კარგია სიცოცხლე და სიყვარულიო, ფიქრობდა. ველოსიპედები გზის პირას დატოვეს და გორაკს თავზე მოექცნენ, მზის მწველი სხივებით გამხმარ ბალახს თივის სასიამოვნო სურნელი ჰქონდა, მკის სუნთქვა იგრძნობოდა.

— ეს ბალახი უკვე მორჩა თავის საქმეს, — თქვა მარტინმა, როცა ისინი დასხდნენ — რუთი მარტინის ქურთუკზე, მარტინი კი პირდაპირ თბილ მიწაზე. ჭაბუკმა გარუჯული ბალახი დაყნოსა, ერთბაშად დაათრო საამო სურნელმა და მისი ფიქრები კონკრეტული საგნიდან ხელად ზოგადზე გადაიყვანა.

— უკვე შეასრულა თავისი დანიშნულება, რისთვისაც გაჩნდა და არსებობდა, — განაგრძო მან და გამხმარ ბალახს ალერსით გადაუსვა ხელი, — ჯერ ზამთრის მოსაწყენი ნიაღვრების სინოტივით სულჩადგმული, ამოწვერას ესწრაფებოდა, მერე გამწარებით ებრძოდა ადრეული გაზაფხულის ქარებს, ყვაოდა, ხოჭოებსა და ფუტკრებს იზიდავდა, თესლს აქეთ-იქით ფანტავდა... შეასრულა თავისი მოვალეობა ქვეყნიერების წინაშე და...

— რატომ უყურებთ ყველაფერს ასეთი საშინელი პრაქტიკული თვალით? — შეაწყვეტინა რუთმა.

— ალბათ იმიტომ, რომ ევოლუციას ვსწავლობ. მართალი თუ გნებავთ, მე ხომ ახლახან ამეხილა თვალი!

— ასეთი პრაქტიკული ჭვრეტით, ვაითუ სულ დაკარგოთ სილამაზის აღქმის უნარი, მე რატომღაც ასე მეჩვენება. ვაითუ სულ გაანადგუროთ სილამაზე, იმ ბიჭების მსგავსად, რომლებიც პეპლებს დაიჭერენ ხოლმე და ხელის სმით ლამაზი ფრთებიდან პრიალა ფენას აცლიან.

ჭაბუკმა თავი გააქნია.

— სილამაზესაც თავისი დანიშნულება აქვს, მაგრამ აქამდე ამას ვერ ვამჩნევდი. აქამდე ისე მომწონდა სილამაზე, როგორც უსაგნო და გამოუყენებელი რამ, როგორც უბრალოდ სილამაზე და სხვა კი არაფერი. არსი სილამაზისა სულაც არ გამეგებოდა. ახლა უკვე მესმის, უფრო სწორად — ვიწყებ გაგებას. ეს ბალახი ჩემთვის ახლა უფრო ლამაზი გახდა, როცა გავიგე, რატომ არის ბალახი, როცა ჩავწვდი მზის, წვიმისა და მიწის იმ იდუმალ გავლენებს, რამაც ის შექმნა და აღმოაცენა. ყოველ ღერ ბალახს თავისი რომანტიკული ცხოვრება აქვს, საკუთარი თავგადასავალი. ამის გაფიქრებაც კი მაღელვებს და მაფრთოვანებას. როცა ენერგიისა და მატერიის თამაშზე დავფიქრდები, ამ გრანდიოზულ სასიცოცხლო ჭიდილს რომ წარმოვიდგენ, ასე მგონია, ბალახზედაც კი მთელ პოემას დავწერ-მეთქი.

— რა კარგად ლაპარაკობთ! — ერთბაშად მოსწყდა რუთს ეს სიტყვები და მარტინმა ერთბაშად შენიშნა, რომ ქალი გამომცდელი თვალით შეჰყურებდა.

ჭაბუკი ერთბაშად დაიბნა, აირია, სახეზე სისხლი მოაწვა.

— მე ხომ ახლა ვსწავლობ მეტყველებას, — ამოილუღლუღა მან, — თითქოს იმდენი რამა მაქვს სათქმელი, მაგრამ დიდია და ვერ ვერევი, თავი ვერ მომიყრია. ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს მთელი სამყარო, მთელი სიცოცხლე, ყველაფერი ჩემს არსებაში მოქცეულიყოს და მთხოვდეს, მათზე ვილაპარაკო. ვგრძნობ, — ო, რატომ არ შემიძლია ამისი აღწერა, — ვგრძნობ მთელ სიდიადეს ამისას, მაგრამ პირს რომ დავაღებ, ბალღივით ავლუღლუღდები. ძალიან ძნელი საქმეა, სიტყვებში ჩამოაყალიბო შენი ფიქრები და გრძნობები, ხოლო მერე კი დაწერო და წარმოთქვა, რათა მკითხველიცა და მსმენელიც შენი საკუთარი ფიქრებითა და გრძნობებით აღაგზნო. დიდი საქმეა! ხომ ხედავთ, ბალახში მაქვს თავი ჩარგული და როცა ამ სურნელს ვისუნთქავ ნესტოებით, ათასნაირ ფიქრსა და ოცნებას აღმიძრავს. ეს სამყაროს სუნთქვაა. მე ჩამესმის სიმღერა და სიცილი, ვხედავ ტანჯვასა და ბედნიერებას, ბრძოლას, სიკვდილს. ბალახის სურნელი ათასნაირ ხილვას წამომიშლის და მინდა, რომ ეს გადმოგცეთ თქვენ, მთელ ქვეყნიერებას. მაგრამ რანაირად? ენა მებმის. ახლაც, აგერ, ვცადე, თქვენთვის გადმომეცა, სიტყვებით ამეწერა ეს განცდა, რაც ბალახის სურნელმა აღმიძრა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემი უხეირო ლაპარაკით მიგახვედრეთ მხოლოდ, რისი თქმაც მსურდა... რაღაცნაირად ვლუღლუღებ. სურვილი კი დიდი მაქვს — ყველაფერი გითხრათ... ო! — გამწარებით აიქნია ხელი, — არაფერი არ გამომდის! ვერანაირად ვერ გამომითქვამს! ამისი გადმოცემა არ მოხერხდება!

— რას ამბობთ, მშვენივრად ლაპარაკობთ! — დაიჟინა რუთმა, — საოცარია, რა კარგი ლაპარაკი ისწავლეთ ამ ცოტა ხანში, რაც მე გაგიცანით. მისტერ ბატლერი ცნობილ ორატორად ითვლება, წინასაარჩევნო კომპანიებში სულ მაგას სთხოვენ ხოლმე სიტყვით გამოსვლას. იმ დღეს კი, სადილზე, თქვენ არაფრით არ ჩამოუვარდებოდით, ეს არის, რომ იმას მეტი თავდაჭერილობა ჰქონდა. თქვენ მეტისმეტად აღელდით. არა უშავს, თანდათანობით ამასაც დაძლევთ. რა ბრძანებაა, დიდებული ორატორი გამოხვალთ. შორს წახვალთ... თვითონვე თუ მოინდომებთ. ისეთი ძალა გაქვთ! თქვენ შეგიძლიათ ხალხს წარუძღვეთ წინ. ღრმადა მჯერა; რასაც მოჰკიდებთ ხელს, ყველაფერი გამოგივათ, ისევე როგორც გრამატიკაში გაიმარჯვეთ. მშვენიერი ვექილი დადგებით. პოლიტიკურ მოღვაწეობაშიაც გაიბრწყინებდით. ვეღარაფერი ვერ შეგიშლით ხელს, ისეთივე წარმატებას მიაღწევთ, რასაც მისტერ ბატლერმა მიაღწია... თანაც ისე, რომ წყლული არ გაგიჩნდეთ, — ღიმილით დასძინა მან.

ასე საუბრობდნენ. რუთი ჩვეული ალერსიანი სიჯიუტით უმტკიცებდა სრული და საფუძვლიანი განათლების აუცილებლობას, შეაგონებდა, რომ სწორედ ლათინური იყო ასეთი საფუძვლის ქვაკუთხედი, სულ ერთია — რა კარიერასაც არ უნდა გაჰყოლოდა მარტინი. მან ცხოვრების ასპარეზზე გამოსული კაცის თავისებური იდეალი დაუხატა მარტინს და ეს იდეალი უმთავრესად მამამისის გამოსახულებას ემთხვეოდა, მხოლოდ ზოგიერთი ნაკვთი და ფერი ჰქონდა დამატებული მისტერ ბატლერისა. მარტინი ზურგზე გაწოლილიყო და გულისყურით უსმენდა, ქალის ტუჩების მოძრაობას რომ შეჰყურებდა, გული სიამით უძგერდა, მაგრამ გონება არ იკარებდა იმას, რასაც ქალი ასე ჩასჩიჩინებდა. ქალის დახატული პერსპექტივები სულაც არ იზიდავდა, იმედგაცრუების ყრუ ტკივილმა წამოუარა და სიყვარულის

მწველ ტკივილს შეუერთდა. მარტინის მწერლობაზე კრინტიც კი არ დაუძრავს ქალს, წასაკითხად წამოღებული ხელნაწერები იქვე ეყარა, დავიწყებული და უარყოფილი.

ბოლოს, როცა ცოტა ხნით გაწყდა საუბრის ძაფი, მარტინმა მზეს ახედა და ხელნაწერები აკრიფა, ამითღა მოაგონა ქალს.

— სულ არ დამავიწყდა! — შესძახა ქალმა, — მერე როგორ მინდოდა მომესმინა!

მარტინმა შეარჩია და რაც ყველაზე უფრო მოსწონდა, პირველად ის მოთხრობა წაუკითხა. «სიცოცხლის ზედაშე» ერქვა ამ მოთხრობას და ის ღვინო, რამაც წერის დროსაც დაათრო ჭაბუკი, ახლაც თავში აუვარდა და გააბრუა. გარკვეული მომხიბლაობა ჰქონდა ამ თავისებურ ჩანაფიქრს, ხოლო ფრაზების მოხდენილი აგებითა და მოქცევით მეტი სურნელება შემატებოდა. ცეცხლი, რითაც ეს მოთხრობა ჰქონდა დაწერილი, კვლავ შემოეგზნო მარტინს და ისე გააბრუა, რომ ახლა კითხულობდა და ვერავითარ ნაკლს ვერ ამჩნევდა. მაგრამ რუთს არ მოსვლია ასე. მისი გაწაფული სმენა ყოველგვარ ნაკლს, ზომიერების დარღვევას, ახალბედასავით დამახასიათებელ ზედმეტ პათეტიკას ხელადვე იჭერდა და არც ფრაზების რიტმულობის დარღვევა გამოჰპარვია. საერთოდ, ვერ შენიშნა რიტმი ნაწარმოებში, გარდა იმ ადგილებისა, რაც განსაკუთრებით პათეტიკურად ჟღერდა, და ამან, როგორც დილეტანტიზმის უტყუარმა ნიშანმა, გულიც დასწყვიტა. მისი საბოლოო მსჯავრიც ეს იყო — დილეტანტიზმი. მაგრამ თქმით არ უთქვამს. პირიქით, ზოგ წვრილმანზე მიუთითა, როცა მარტინი კითხვას მორჩა, საერთოდ კი მოუწონა მოთხრობა.

მაგრამ მარტინი იმედგაცრუებული დარჩა! შენიშვნები მართებული იყო. ეს აღიარა მან. მაგრამ განა მოწაფური შენიშვნებისათვის წაუკითხა ეს მოთხრობა! ცალკეულ დეტალებს რა მნიშვნელობა აქვს, თავისთავად გასწორდება. მარტინი თვითონვე გაასწორებს; ისწავლის, როგორ უნდა გასწორება. მან რაღაც დიდ პრობლემას ჩაავლო ხელი და სცადა მოთხრობაში მოექცია. ეს იყო დიდი ცხოვრებისეული საკითხი, ფრაზების განლაგება და წერტილ-მძიმეები რა მოსატანი იყო! განზრახვა ჰქონდა, რუთისთვისაც ეგრძნობინებინა ის დიდი საკითხი, რასაც თვითონ მიაგნო, საკუთარი თვალით დაინახა, საკუთარი ტვინით გადაამუშავა და საკუთარი ხელით გადაიტანა ქაღალდზე. «დავმარცხდი!» გადაწყვიტა მან გულში. რედაქტორები მართალი ყოფილან. ჩავლებით კი ჩაავლო ამ დიდ ცხოვრებისეულ პრობლემას, მაგრამ ვერ დაწერა. თავისი გულისტკენა ადვილად დაფარა მარტინმა და ისე უბრალოდ გაიზიარა რუთის შენიშვნები, რომ ქალი სულაც არ მიმხვდარა, რა პროტესტის ნიაღვარი დაიძრა ჭაბუკის გულში.

— ამ მოთხრობას «ქოთანი» დავარქვი, — თქვა მარტინმა და ხელნაწერი გაშალა, — უკვე ოთხმა თუ ხუთმა ჟურნალმა დამიბრუნა უკან, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ კარგი მოთხრობაა. მართალი თუ გნებავთ, ჩემთვის ძნელი უნდა იყოს შეფასება, მაგრამ მე ვფიქრობ, რაღაცას მივაგენი. იქნებ თქვენ ისე არ გაგიტაცოთ, როგორც მე მიტაცებს. პატარა მოთხრობაა — სულ ორი ათასი სიტყვა.

— რა საშინელებაა! — შესძახა რუთმა, როცა მარტინმა კითხვა დაამთავრა, — საშინელებაა, ენითგამოუთქმელი საშინელება!

ჭაბუკი იდუმალი კმაყოფილებით შეჰყურებდა რუთის გადაფითრებულ სახეს, ფართოდ გაღებულ თვალებს, დაძაბულ გამომეტყველებას, ხელების ნერვულ მოძრაობას. მაშ, მიუღწევია მიზნისათვის: მოუხერხებია, გადმოეცა ნაგრძნობი და განცდილი. კარგად მოურტყამს ნიშანში. მოეწონა თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია, რომ მთელი არსებით შეიპყრო, გააოგნა, წვრილმანები სულ გადაავიწყდა.

— ეს ცხოვრებაა, — უთხრა მარტინმა, — ცხოვრება კი ყოველთვის ლამაზი როდია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ვიცი, იქნებ მე ვარ ახირებული ადამიანი და იმიტომ, — აქ სილამაზესაც ვხედავ. ათჯერაც მეტი სილამაზე მეჩვენება აქ, იმიტომ, რომ...

— კი, მაგრამ იმ უბედურმა ქალმა რატომ ვერ... — ერთბაშად შეაწყვეტინა რუთმა. მაგრამ თავადაც არ დაუმთავრებია სათქმელი, ასე შეჰყვირა: — ო, ეს ხომ საძაგლობაა! რა საკადრისია! ჭუჭყია!

ერთი წუთით თითქოს გული გაუჩერდა მარტინს. ჭუჭყი! ეს არც კი უფიქრია! არც მოლანდებია ასეთი რამ. მთელი მოთხრობა თვალწინ წარმოუდგა, ცეცხლის ასოებით დაწერილი, ისე თვალის მომჭრელად ელავდა, რომ ბევრი უკირკიტა, მაგრამ ვერავითარი ჭუჭყი ვერ შენიშნა. მაშ, არაფერი დაუშავებია. გულმა კვლავ დაუწყო ძგერა.

— უფრო ლამაზი სიუჟეტი რატომ არ აირჩიეთ? — განაგრძობდა რუთი, — განა არ ვიცი, რომ ქვეყნად ბევრი ჭუჭყია, მაგრამ...

ქალი აღშფოთებით ლაპარაკობდა, მაგრამ მარტინი აღარ უსმენდა, იგი ღიმილით შეჰყურებდა რუთის ქალწულებრივ სახეს, წმინდას, უმანკოს... ეს უმანკოება თითქოს გადმოდიოდა და მარტინის არსებაში იჭრებოდა, გარეთ დევნიდა ყოველგვარ ჭუჭყსა და ნალექს, რბილ, გრილ და ვარსკვლავივით მოელვარე ეთერიულ ლაჟვარდში აბანავებდა, «განა არ ვიცი, რომ ქვეყნად ბევრი ჭუჭყია!» გაიფიქრა, რა შეიძლება რუთმა იცოდესო, და გაეღიმა, ხუმრობასა ჰგავდა ეს სიტყვები. უცებ რაღაც ხილვამ გაუელვა, თვალწინ გადაეშალა ცხოვრების ჭუჭყით სავსე მთელი ზღვა, ნაცნობი იყო მისთვის ეს ზღვა, ბევრჯერ გადაეცურა, და რუთს მიუტევა მოთხრობის ვერ გაგება: მისი ბრალი არ იყო, რომ ვერ გაიგო. მადლობა ღმერთს, იგი ასე უმანკო დაიბადა და აღიზარდა. მარტინმა კი მთელი ასავალ-დასავალი იცოდა ცხოვრებისა, მისი სიბინძურეცა და სიწმინდეც, სიდიადეც, იმ ჭუჭყის მიუხედავად, რაც ზედაპირს მოჰკიდებოდა და თუხთუხებდა... ღმერთო შენით, ამას ყვლაფერს ეტყვის იგი ქვეყანას! ცაში წმინდანები, რაღა თქმა უნდა, უმანკო და უბიწო იქნებიან! ეს რა დიდი დამსახურებაა, მაგრამ ჭუჭყში მოქცეული წმიდანები — აი, ეს არის საკვირველება. და სწორედ ამისთვის ღირს ქვეყნად ცხოვრება. რათა დაინახო, როგორ ამოდის ზნეობრივი სიდიადე უსამართლობის წუმპიდან; შენ თვითონ გაიზარდო და შეხედო (თუმცა თვალებზე ჭუჭყის ლიბრი გაქვს გადაკრული) სილამაზის პირველ, მკრთალსა და შორეულ კონტურებს; ნახო, თუ უბადრუკობისა, ბიწიერებისა და პირუტყვული სიტლანქის უფსკრულისაგან როგორ აღმოცენდება ძალა, ჭეშმარიტება, ამაღლებული სულიერი სიფაქიზე...

უცებ ქალის წყვეტილი ფრაზები ჩაესმა:

— თვითონ ტონია რაღაცნაირად მდაბიური. ამაღლებული გრძნობები რამ გამოლია?! თუნდაც «In Memorian».

მარტინს უნდოდა ეთქვა «ლოკსლი ჰოლ» და ეტყოდა კიდეც, ხელახლა რომ არ შთაენთქა მისი ყურადღება ხილვას. შეჰყურებდა რუთს და ფიქრობდა: რამდენი გზა უნდა გაევლო ქალს, რომ, პირველი ფერმენტიდან გამოსულს, ათასობით საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების ვეებერთელა კიბეზე ეცოცა და ებობღა, განვითარების უმაღლესი საფეხურისათვის მიეღწია და, აგერ, რუთისთანა სრულყოფილი გამხდარიყო — წმინდა, მშვენიერი, ღვთაებრივი; რომელსაც ძალა შესწევს მარტინსაც განაცდევინოს სიყვარული, სიწმინდეს აზიაროს და ღვთაებრივის განცდის მისწრაფებით აღაგზნოს, მარტინს, მარტინ იდენს, რომელიც თვითონვე, რაღაც საოცრების ძალით, ერთბაშად მოსწყდა უთვალავი შეცდომისა და სიბინძურის

წუმპეს და ზევით ამოიზიდა. აჰა, რომანტიკა, აჰა, საკვირველება და დიდების შარავანდი. აჰა, რა უნდა დაიწეროს, სიტყვები თუკი ეყო. ზეციური წმიდანები!.. ისინი მხოლოდ წმიდანები არიან... ძალა არ შესწევთ, ერთმანეთს უშველონ. მარტინი კი ადამიანია.

— თქვენ დიდი ძალის პატრონი ხართ, — ჩაესმა ქალის სიტყვები, — მაგრამ ეს ძალა გაუწვრთნელი და გაუხედნავია.

— როგორც ფაიფურის მაღაზიაში შეჭრილი მოზვერი, — იხუმრა მარტინმა და ღიმილი დაიმსახურა.

— კარგისა და ავის გარჩევა უნდა ისწავლოთ, გემოვნება განივითაროთ, სტილი გამოიმუშაოთ.

— ეტყობა, ძალიან გაბედულად ვკიდებ საქმეს ხელს, — წაიდუდუნა მარტინმა.

რუთმა მოწონების ნიშნად გაუღიმა და შემდეგი მოთხრობის მოსასმენად მოემზადა.

— არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ, — თავის დაზღვევა სცადა მარტინმა, — უცნაური მოთხრობაა. ვატყობ, ძალიან შევტოპე, მაგრამ განზრახვა კარგი მქონდა. წვრილმანებს ნუ გამოეკიდებით. უფრო მნიშვნელოვანი იქნება, მთავარს თუ შენიშნავთ. დიდი ცხოვრებისეული სიმართლე ავიღე, მაგრამ არ ვიცი, რამდენად გასაგებად დავწერე.

კითხულობდა და თან ქალს გადახედავდა ხოლმე. როგორც იქნა, დაინტერესა, ფიქრობდა იგი. ქალი ერთხელაც არ განძრეულა, თვალი მარტინისათვის მიეპყრო, სუნთქვა შეკვროდა. თავიც კი აღარ ახსოვს, ისე მოხიბლა ჩემმა დაწერილმა მოთხრობამო, ფიქრობდა ჭაბუკი. მოთხრობისათვის «თავგადასავალი» დაერქმია მარტინს, და მართლაც თავგადასავალის აპოთეოზს წარმოადგენდა; არა მწიგნობრული თავგადასავლისა, არამედ ნამდვილის, მძვინვარე მბრძანებლისა, რომელიც სასჯელსაც ისევე გულუხვად იმეტებს, როგორც ჯილდოს, ჟინიანია, ურწმუნო, არაადამიანურ მოთმინებას მოითხოვს, გულის შემაღონებელ შრომას მოითხოვს, დღისითაც და ღამითაც; სამაგიეროდ ან თვალისმომჭრელ დიდებას გვპირდება, ან წყვდიადივით ჩაბნელებულ სიკვდილს, შიმშილს, წყურვილს, თრევას და წანწალს, საშინელ ციებ-ცხელებას, ოფლსა და სისხლში, დამგესლავ მწერებში გდებას... მაგრამ წვრილ, დაკანონებულ მოვლენათა გრძელ ჯაჭვს იგი ძლევამოსილ და ამაღლებულ დიდებამდე მიჰყავს.

ეს ყველაფერი და სხვაც ბევრი რამ დაწერა მარტინმა თავის მოთხრობაში; სწამდა, რომ სწორედ ამან მოხიბლა რუთი, როცა იგი იჯდა და სულგანაბული ყურს უგდებდა. თვალები ფართოდ დაეღო, ფერმკრთალი ღაწვები შეფაკლოდა, და ჯერ კითხვა არ დაემთავრებინა ჭაბუკს, რომ მოეჩვენა, საცაა გულშეღონებული დავარდებაო. მართლაც მოსდებოდა ცეცხლი ქალს, მაგრამ მოთხრობის ცეცხლი კი არა, თვითონ ჭაბუკისა. მოთხრობაზე არც კი ფიქრობდა. კვლავ ძველი განცდა დაეუფლა — თითქოს დაიძრა მარტინის სხეულიდან რაღაც საოცარი ძალა და ქალს შემოეხვია. მის სხეულში ჩაიღვარა. უცნაური ის იყო, რომ ეს ძალა სწორედ მოთხრობიდან მოდიოდა, თითქოს არხი ყოფილიყოს და მარტინის ჯანი და ძლიერება გამოეტარებინოს. მაგრამ ქალი მარტო ძალას განიცდიდა, ეს არც კი უგრძვნია, რამ მოუტანა ეს ძალა. და როცა მარტინის მოთხრობამ თითქოს ყველაფერი გადაავიწყა, ფაქტობრივად ქალის ასეთი თავდავიწყება სულ სხვა რამის ბრალი იყო — ეს იყო ფიქრი, საშინელი, დამღუპველი ფიქრი, რაც თავისდა უნებურად, გონების ჩაურევლად ჩამოუყალიბდა. როცა გონს მოეგო, მიხვდა, რომ ქორწინებაზე ფიქრობდა, ნეტა როგორია ეს ქორწინებაო, და ამ ფიქრის მხურვაალე ჟინიანობამ

ერთბაშად დააფრთხო. ქალწულებრივ ფიქრს არა ჰგავდა ეს, ასეთი რამ დღემდე არ განეცადა, ჯერაც არ გაღვიძებოდა, ერთხელაც არ შეეწუხებინა სქესს, ტენისონის პოეზიის ბურანში დაცურავდა, იმ მკრთალად მინიშნებულ ურთიერთობასაც ვერა სწვდებოდა, რაც დედოფლებსა და რაინდებს აკავშირებდათ ამ ლექსებში. აქამდე ღრმა ძილით ეძინა ქალს და ახლა ცხოვრება ერთბაშად ყველა კარზე უბრახუნებდა ქუხილის სიძლიერით. უნებური შიშით მოცული თითქოს ყველა ურდულის გამაგრებას ლამობდა, მაგრამ ანცი ინსტინქტი დაჟინებით მოითხოვდა, კარი ფართოდ გაეხსნა და ეს უცნაური და სანატრელი სტუმარი მიეღო.

გახარებული მარტინი ქალის მსჯავრს ელოდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს მსჯავრი და სახტად დარჩა, როცა რუთის ხმა გაიგონა:

— ლამაზი მოთხრობაა!

— ნამდვილად ლამაზია! — მგზნებარედ გაიმეორა მან, მცირე დუმილის შემდეგ.

ლამაზი მართლაც იყო, მაგრამ სხვა უფრო მნიშვნელოვანი ჰქონდა მოთხრობას, ვიდრე უბრალო სილამაზე, რაღაც უფრო მეტი, მწველი სიდიადე, რაც ამ სილამაზეს იმორჩილებდა. მარტინი უხმოდ გაწოლილიყო მიწაზე და გონების თვალით მის წინაშე ჩამოწოლილ ეჭვის საშინელ ბურუსს შეჰყურებდა. კვლავ მარცხი განიცადა! ვერ გამოუთქვამს ხეირიანად. უდიდეს მოვლენებს ამჩნევს სამყაროში, მაგრამ გამოთქმით ვერ გამოუთქვამს.

— მაინც რას იტყოდით... — შეჭოჭმანდა, უცხო სიტყვის ხმარებას მოერიდა, — იდეაზე რას იტყოდით.

— გაურკვეველია, — უპასუხა ქალმა, — ერთადერთი ეს შენიშვნა მაქვს. გულისყურით ვუსმენდი, მაგრამ ვერ დავიჭირე. მეტისმეტი უხვსიტყვაობა იგრძნობა. იმდენი უსარგებლო მასალა შეგაქვთ, რომ მთავარი აზრის გამოკვეთას ხელს უშლის.

— მთავარი იდეა, — განმარტებას დაეშურა მარტინი, — შიგ გატარებული მთავარი აზრი ზოგადკაცობრიულია, კოსმოსურია. ამით არის გაჟღენთილი მთელი მოთხრობა, სიუჟეტი გარეგან საბურველს წარმოადგენს. გეზი კი სწორი ავიღე, მაგრამ თავი ვერ გავართვი. ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე. ამასაც ვისწავლი, როცა იქნება.

რუთი აღარ უგდებდა ყურს. ვეღარ სწვდებოდა ჭაბუკის აზრებს. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ხელოვნების ბაკალავრი იყო. მაგრამ თავსაც კი არ გამოუტყდა ამაში, ჭაბუკის დაულაგებელ ლაპარაკს მიაწერა.

— ძალიან უხვსიტყვაობა იგრძნობა, — უთხრა ქალმა, — მაგრამ ალაგ-ალაგ მშვენიერია.

მარტინს თითქოს სადღაც შორიდან მოესმა ქალის სიტყვები, რადგან ჭოჭმანში იყო, «ზღვის სიმღერა» წავუკითხო თუ არაო. იწვა მოშვებული და გულდაწყვეტილი, ქალი კი მას შეჰყურებდა სურვილით და თავში კვლავ ის ჯიუტი ფიქრი უტრიალებდა ქორწინებაზე.

— გინდათ, სახელი მოიხვეჭოთ? — ერთბაშად ჰკითხა ქალმა.

— დიახ, ცოტათი, — გამოტყდა მარტინი, — მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაწილია ჩემი მთავარი მისწრაფებისა. ჩემთვის მთავარი სახელი კი არ არის, არამედ გზა ამ სახელისაკენ. ბოლოს და ბოლოს, სახელი მხოლოდ იმიტომ მინდა, რომ ამითი სულ სხვა რამეს მივაღწიო. ამიტომ ვიღვწი, ამიტომ ვცდილობ სახელის მოხვეჭას.

შენი გულისთვისო, უნდოდა ეთქვა, და ეტყოდა კიდეც, რუთს რომ უფრო მეტი სითბო გამოეჩინა მისი მოთხრობების მიმართ.

მაგრამ რუთი ისე გაეტაცა ფიქრს, რა კარიერას შეიძლება მარტინმა მიაღწიოს, თუნდაც სულ პატარა და უმნიშვნელო საქმე იყოსო, ისე მოეცვა მისი გონება ამ

საზრუნავს, რომ ვეღარც კი ჰკითხა, იმ «ხვა რამეში» რას გულისხმობსო. ლიტერატურაში ვერავითარ კარიერას ვერ მიაღწევდა, ეს ღრმადა სჯეროდა ქალს. დღესაც დაამტკიცა ეს ჭაბუკმა თავისი სტუდენტური და მოუმწიფებელი მოთხრობებით. ლაპარაკით უკვე კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ აზრის ლიტერატურულად ჩამოყალიბებას სულ ვერ შეეჩვია. ქალი გონებაში ადარებდა ხოლმე ტენისონს, ბროუნინგს, თავის საყვარელ პროზაიკოსებს, მაგრამ ეს შედარება სანუგეშოს ვერაფერს ამბობდა. თავისი საბოლოო აზრი მაინც არ გაუმხელია. ის უცნაური ლტოლვა, რასაც ჭაბუკის მიმართ იჩენდა, მეტ მოთმინებას აიძულებდა. ბოლოს და ბოლოს, მწერლობით გატაცება მისი ერთგვარი სისუსტე იყო, რასაც თანდათანობით დაძლევდა. მაშინ უფრო სერიოზულ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ისეთ რაიმეს, რაც ცხოვრებაში გამოადგებოდა და გაიმარჯვებდა კიდეც. ამას წინასწარვე გრძნობდა ქალი. ისეთი ძალა აქვს, რომ არ დამარცხდება... ოღონდ კი წერას დაანებოს თავი.

— მინდა ყველაფერი წავიკითხო, მისტერ იდენ, რაც კი დაგიწერიათ, — უთხრა ქალმა.

მარტინი სიხარულით წამოენთო. მაშ, დაინტერესებულა, ეს აშკარაა! კაცმა რომ თქვას ხელაღებით არც დაუწუნებია. აკი თქვა ზოგიერთ რამეზე, მშვენიერიაო. პირველი გამხნევება და მოწონება სწორედ მისგან მიიღო.

— უსათუოდ წაგაკითხებთ, — მგზნებარედ მიუგო ჭაბუკმა, — და სიტყვას გაძლევთ, მისს მორზ, კარგი მწერალი გავხდები. მე შორიდან მოვედი... ეს კარგად ვიცი... ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასავლელი და გავივლი კიდეც, თუნდაც ფორთხვით დამჭირდეს სიარული. — შეხვეული ხელნაწერი აიღო. — აჰა, ჩემი «ზღვის სიმღერა». შინ რომ დავბრუნდებით, დაგიტოვებთ და თავისუფალ დროს წაიკითხეთ. გულახდილად მითხარით თქვენი აზრი. ხომ იცით, რომ ყველაზე უფრო კრიტიკა მჭირდება. თქვენც ნუ მომერიდებით, გულახდილად მითხარით ყველაფერი.

— გულახდილად გეტყვით, — შეჰპირდა ქალი და სინდისმა ქენჯნა დაუწყო, დღეს ვერ გამოვიჩინე გულახდილობა და ვაითუ ეს მომავალშიაც ვერ მოვახერხოო.

თავი მეთხუთმეტე

— პირველი ბრძოლა გადახდილია. — უთხრა მარტინმა თავის გამოსახულებას სარკეში, იმ ამბებიდან ათი დღის შემდეგ, — მაგრამ მეორე ბრძოლაც იქნება... მესამეც... სულ ვიბრძოლებ, მანამ...

ფრაზა არ დაუმთავრებია, თვალი თავის უბადრუკ სოროს მოავლო, ნაღვლიანად შეხედა რედაქციებიდან უკანვე გამოგზავნილ, კუთხეში, იატაკზე ერთად დახვავებულ ხელნაწერებს, რომლებიც გაუხსნელად ეწყო გრძელ კონვერტებში. მარკები აღარ ჰქონდა, რომ ისევ ეგზავნა აქეთ-იქით და მთელი ერთი კვირა ასე გროვად ეყარა. ხვალ ახალი პარტია, მოემატება, ზეგაც, მაზეგაც... მანამ ყველა არ დაუბრუნდება. და მორჩა, ვეღარც დაგზავნის. საბეჭდი მანქანის ქირაც გადასახდელი აქვს მთელი თვისა და ვერ გადაუხდია, რადგან საჭმელ-სასმელის ყოველკვირეულ გადასახდელსაც ვერ აუდის, საბირჟო კანტორაშიაც ძლივს შეაქვს ფული, სადაც სამსახურის შოვნის იმედი აქვს.

ჩამოჯდა და დაფიქრებით დახედა თავის მაგიდას. აქა-იქ მელნის ლაქები აჩნდა და მარტინმა ერთბაშად იგრძნო, რომ რაღაცნაირ სიყვარულსა გრძნობდა ამ მაგიდის მიმართ.

— ჩემო ძვირფასო მაგიდა, — წარმოთქვა მან, — რამდენი ბედნიერი საათი გამიტარებია შენთან! ნამდვილ მეგობრობას მიწევდი. ერთხელაც არ გაგიწირივარ, დაუმსახურებელი უარით შეურაცხყოფა არ მოგიყენებია, გადამქანცველი მუშაობისათვის ერთიც არ დაგიწუწუნია.

ხელები მაგიდაზე დაუშვა და თავი შიგ ჩარგო. ყელში რაღაცა უჭერდა და ტირილი მოუნდა. პირველი ჩხუბი მოაგონდა. ექვსი წლისა იყო მაშინ. იგერიებდა მეორე ბიჭის დარტყმებს და ცრემლი ღაწვებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ორი წლით უფროსი იყო ის ბიჭი და სულ დაბეგვა მარტინი. ირგვლივ წრედ შემორტყმოდნენ ბიჭები, რომლებიც ველურებივით აყმუვლდნენ, როცა ბოლოს მარტინი წაქცეული დაინახეს. რეტდასხმული და ტკივილებისაგან გამწარებული იგრიხებოდა, ცხვირიდან წამსკდარი სისხლი დალილავებულ თვალებიდან მომდინარე ცრემლს ერთვოდა.

— საწყალო ბიჭო! — ჩაიბუტბუტა მან, — ახლაც გაგლახეს. ძვალ-რბილი გაგისწორეს. ისე დაგცეს, რომ ვეღარც წამოდგები.

მაგრამ იმ პირველი ჩხუბის ხილვა კვლავ თვალწინ ედგა, იმას კი სხვაც გადაება, მთელი სერია იმგვარივე ჩხუბებისა. ექვსი თვის შემდეგ ერთხელ კიდევ სცემა პირგაბრტყელებულმა (ესე ეძახდნენ ხოლმე იმ ბიჭს). მაგრამ ამჯერად მასაც დაულურჯეს თვალი. ესეც ხომ საქმე იყო! შეჰყურებდა ჩხუბის სურათებს, ერთმანეთზე გადაბმულს, თვითონ ყოველთვის ნაცემი რჩებოდა, პირგაბრტყელებული კი — გამარჯვებული. მაგრამ გაქცევით არასოდეს არ გაქცეულა მარტინი. ამის გახსენებამ ძალა შემატა. მუდამ ბოლომდე რჩებოდა იგი, რათა ბედის სიმწარე ეგემნა. პირგაბრტყელებული ბოროტი სული იყო, ერთხელაც არ შეუბრალებია მოწინააღმდეგე, მაგრამ მარტინი მაინც იდგა, ბოლომდე რჩებოდა.

მერე თვალწინ წარმოუდგა ვიწრო შუკა, აქეთ-იქით ძველი, დაფხავებული სახლები. ბოლოში, შუკას ჰკეტავდა ერთი დაბალი აგურის სახლი, საიდანაც საბეჭდი მანქანების რიტმული გრიალის ხმა გამოდიოდა — გაზეთ «მოამბის» დილის გამოშვებას ბეჭდავდნენ. მარტინი უკვე თერთმეტისა იყო, პირგაბრტყელებული — ცამეტისა, «მოამბეს» ჰყიდიდნენ ორივენი. ამიტომაც იდგნენ იქ, გაზეთის გამოსვლას ელოდებოდნენ. პირგაბრტყელებულმა, რაღა თქმა უნდა, კიდევ წამოარტყა მარტინს, გაიმართა ახალი ჩხუბი, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა, რადგან ოთხს რომ თხუთმეტი აკლდა, სტამბის კარი გაიღო და ბიჭები ერთბაშად მიაწყდნენ გაზეთს.

— ხვალ დაგბეგვავ! — მოესმა მარტინს პირგაბრტყელებულის შეპირება და მერე თავისი კიკინა ხმაც გაიგონა, ყელში მობჯენილი ცრემლისაგან ათრთოლებული, ისიც შეჰპირდა — ხვალ აქ დაგიხვდებიო.

მეორე დღეს სკოლიდან პირდაპირ იქითკენ გაიქცა, რათა პირველი მისულიყო და, მართლაც, ორი წუთით დაასწრო პირგაბრტყელებულს. ბიჭები აქებდნენ მარტინს, დარიგებას აძლევდნენ, ცალკეულ შეცდომებს უსწორებდნენ და აგულიანებდნენ, ჩვენს რჩევას თუ შეისმენ, გამარჯვება უსათუოდ შენი იქნებაო. მაგრამ იგივე ბიჭები პირგაბრტყელებულსაც აძლევდნენ რჩევას. ჰოი, რა გაიხარეს ამ ბიჭებმა! იგონებდა ახლა მარტინი იმ ჩხუბს და ბიჭებისა შურდა, ისეთი კმაყოფილები იყვნენ. დაიწყო ჩხუბი და ნახევარი საათი გაგრძელდა, შეუსვენებლივ, მანამ სტამბის კარი გაიღებოდა.

ისევ და ისევ საკუთარი ბავშვობა ედგა თვალწინ, გამოვარდება სკოლიდან და «მოამბის» შუკისაკენ მიეშურება. ერთ დღეს არ გამოტოვებს. სირბილი უკვე აღარ შეუძლია: განუწყვეტელი ჩხუბისაგან კოჭლობს, გაშეშებულია. ხელები სულ გაშავებულ-დალურჯებული აქვს, მაჯიდან მოყოლებული იდაყვამდე: ხელებით

იგერიებდა დარტყმებს, ტანზე ჭრილობები აქა-იქ დასჩირქებია. თავი, მკლავები, ბეჭები სტეხს, ხერხემალი სტკივა, თავი გაბურსალებული აქვს, გამოლაყებული. სკოლაში აღარ თამაშობდა. ვერც სწავლობდა. წყნარად ჯდომაც კი, მერხზე, წამება იყო. თითქოს საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ყოველდღიური ჩხუბი დაიწყეს. დრო, ახალ-ახალი ჩხუბის მოლოდინში, მაჯლაჯუნასავით მიიზლაზნებოდა, «რა გახდა ეს პირგაბრტყელებული, რატომ ვერ უნდა მოვერიო?» ფიქრობდა ხოლმე მარტინი. ამით თუ ეწეოდა შვებას. ბრძოლის შეწყვეტა და დამორჩილება კი ერთხელაც არ უფიქრია.

ასე მიჩლახუნობდა ხოლმე «ბოამბის» შუკისაკენ, გაწამებული, გასავათებული, მაგრამ მოთმინებით აღჭურვილი, რათა თავის მოუშორებელ მტერს შეხვედროდა, პირგაბრტყელებულს, რომელიც, ამასობაში, მარტინივით გასავათებულიყო და დიდი სიამოვნებით მიანებებდა ჩხუბს თავს, მაგრამ ბიჭებისა რცხვენოდა, რომლებიც მუდამ იქ იყვნენ და აქეზებდნენ. ერთ დღეს, ოცწუთიანი გამწარებული ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც წესები მაინც არ ავიწყდებოდათ (წიხლის კვრა, ფეხის გამოდება და წაქცეულის ცემა აკრძალული იყო), როცა ორივეს გამოელია არაქათი, პირგაბრტყელებულმა შესთავაზა — მოვრჩეთ, ნურც შენ იქნები დამარცხებული და ნურც მეო.

ამ სურათის ხილვაზე, ხელებში თავჩარგულ მარტინს, ახლაც კი სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. ცოცხლად წარმოიდგინა ის წუთი, როცა სუნთქვაშეკრული და მილასლასებული, ტუჩებდამსკდარი და სისხლით პირგამოვსებული, ბორძიკით მიუახლოვდა პირგაბრტყელებულს, სისხლი გადმოაფურთხა, რადგან ლაპარაკს უშლიდა ხელს, და შესძახა, თუ თავს დამარცხებულად არა გრძნობ, ბრძოლა ბოლომდეო. პირგაბრტყელებულმა არა სცნო თავი დამარცხებულად და ჩხუბი გაგრძელდა.

მეორე დღეს, შემდეგ დღეებშიაც, რომელთაც ბოლო არ უჩანდა, კვლავ და კვლავ გრძელდებოდა. მუშტს რომ შემართავდა ჩხუბის დაწყების წინ, მკლავი ჩამოვარდნაზე ჰქონდა, სტკიოდა, პირველი ხუთი შემოკვრის დროს სული კბილით ეჭირა. მერე კი თანდათანობით გაბრუვდებოდა და ვეღარაფერს გრძნობდა, ბრმად იბრძოდა, მხოლოდ ბურუსში ხედავდა, თითქოს სიზმარიაო, პირგაბრტყელებულის წინგაშვერილ ყვრიმალებსა და მხეცივით ანთებულ თვალებს. და ამ გაბრტყელებულ სიფათს ჩააშტერდებოდა სწორედ, სხვა ყველაფერი გაქრებოდა; აღარაფერი არსებობდა ამ სიფათის გარდა, და ვერც მოისვენებდა, სიმშვიდეს ვერ ეღირსებოდა, მანამ დანაყილსა და სისხლში აზელილს არ ნახავდა იმ სიფათს, ან მანამ ის პირგაბრტყელებული არ დაუნაყავდა და სისხლში არ აუზელდა მარტინს ცხვირ-პირს მაშინღა თუ მოისვენებდა. ისე დაზავება და ბარიბარში გამოსვლა კი მისთვის, მარტინისათვის წარმოუდგენელი იყო.

დადგა ის დღეც, როცა მარტინი «ბოამბის» შუკაში მილასლასებდა და პირგაბრტყელებული კი იქ არ დაუხვდა. აღარც შემდეგ მოვიდა. ბიჭებმა მიულოცეს მარტინს. პირგაბრტყელებული დამარცხებულიაო, ეუბნებოდნენ. მაგრამ მარტინი მაინც ხინჯსა გრძნობდა გულში. ვერ დაამარცხა პირგაბრტყელებული, ვერც პირგაბრტყელებულმა დაამარცხა იგი. ბრძოლის ბედი გადაუწყვეტელი დარჩა. მერეღა გაიგეს, რომ იმ დღეს პირგაბრტყელებულს მამა მოკვდომოდა მოულოდნელად.

წლებმა ერთბაშად გაირბინა მოგონებაში და, აჰა, მარტინი თეატრშია, ქანდარაზე ზის. ჩვიდმეტისა იყო ამ დროს, ზღვიდან ახალი დაბრუნებული. უცებ ჩხუბი ატყდა.

ვიღაცამ ვიღაცას შემოჰკრა. მარტინმა გასაშველებლად გაიწია და ერთბაშად პირგაბრტყელებულის ანთებულ თვალებს შეეფეთა.

— წარმოდგენის შემდეგ გარეთ დაგელოდები, — კბილებში გამოსცრა ძველმა მტერმა.

მარტინმა თავი დაუქნია. უცებ წესრიგის დამცველმა მოირბინა.

— უკანასკნელი მოქმედება რომ გათავდება, ქუჩაში შეგხვდები, — წაიჩურჩულა მარტინმა, ისე რომ გვერდზე არც გაუხედავს, სცენას მიშტერებოდა.

წესრიგის დამცველმა ერთი კი შეხედა და გაბრუნდა.

— გახლავს ვინმე? — ჰკითხა მარტინმა პირგაბრტყელებულს, მოქმედების დამთავრების შემდეგ.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ მეც მოვძებნი ბიჭებს, — განუცხადა მარტინმა.

მიდგა, მოდგა და ანტრაქტების დროს თავის პარტიასაც მოუყარა თავი — ლურსმნის ქარხნის მუშები — სამი ბიჭი, ერთი ცეცხლფარეში, ექვსამდე მეზღვაური და ამდენივე მარკეტ-სტრიტელები.

წარმოდგენა რომ დამთავრდა, ორივე ბანდა ქუჩას აუყვა, ერთი ერთ ტროტუარს, მეორე — მეორეს. მოფარებულ კუთხეს რომ მიადგნენ, ერთად შექუჩდნენ და ბჭობა გამართეს.

— მერვე ქუჩის ხიდთან აჯობებს, — თქვა ერთმა წიქორია ბიჭმა, პირგაბრტყელებულის ბანდელმა, — ჩხუბს შუაში გავმართავთ, ზედ სინათლის ქვეშ, ჩვენ აქეთ-იქით ჩავსაფრდებით. ერთი მხრიდან თუ გამოჩნდნენ პოლიციელები, მეორე მხრით გავიქცევით.

მარტინი თავის ბიჭებს მოეთათბირა და თანხმობა განუცხადა.

— აგრე იყოს, თანახმა ვარ.

მერვე ქუჩის ხიდი, რომელიც სან ანტონოს შესართავთან არის გადებული, სიგრძით ქალაქის სამ კვარტალს უდრის. ხიდის შუაში, აგრეთვე ორივე ბოლოში, ელექტრონათურა ენთო. პოლიციელი თუ გაივლიდა, უსათუოდ შენიშნავდნენ. მარტინს ახლაც ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ ეს ჩხუბისთვის მართლაც ზედგამოჭრილი ადგილი. წარმოუდგა ორი ბანდა, დაბღვერილი და საჩხუბრად შემართული ბიჭები, რომლებიც ცალ-ცალკე იდგნენ და თავიანთ ღირსეულ ფალავნებს აგულიანებდნენ. მარტინი და პირგაბრტყელებული წელზევით გატიტვლებულან. ცოტა მოშორებით გუშაგები დაუყენებიათ და დაუვალებიათ ხიდის განათებულ ბოლოებს უთვალთვალონ. ერთ მეზღვაურს ხელში მარტინის ქურთუკი, პერანგი და ქუდი მოუმარჯვებია — პოლიცია თუ გამოჩნდა, გასაქცევად არის მზად. მარტინი გონების თვალით ხედავს, როგორ შედის თვითონ წრეში, თვალს თვალში უყრის პირგაბრტყელებულს, ხელს შემართავს და ამბობს:

— წინასწარ ხელის ჩამორთმევა და ასეთი მაიმუნობა არ უნდა. გაიგე? ბრძოლა ბოლომდე. არავითარი უკანდახევა და თავის დამარცხებულად გამოცხადება. სამკვდრო-სასიცოცხლო ჩხუბი უნდა იყოს. გაიგე? ერთ-ერთ ჩვენგანს სულ უნდა ამოენაყოს ცხვირ-პირი.

პირგაბრტყელებულს საქციელი წაუხდა, მაშინვე შეატყო მარტინმა, მაგრამ იმ ძველმა გაბღენძილმა სიამაყემ იმძლავრა, ამ ორი ბანდის წინაშე თავს როგორ შეირცხვენდა!

— კარგი, გამოდი! — შესძახა მან, — რას გაიტლიკე! ბოლომდე იქნება, მაშ როგორ!

და როგორც ნამდვილ ყმაწვილურ თავმოწონებას შეეფერება, მოზვრებივით ეცნენ ერთმანეთს, მუშტშემართულები, სიძულვილით გულაგზნებულები, ცემის,

დასახიჩრების, განადგურების წყურვილით შეპყრობილები. ერთბაშად გაქრა ყველაფერი, რისთვისაც კაცობრიობას ათასობით წლების განმავლობაში ტანჯვითა და ცოცვით მიეღწია. ელექტრონის ფარანიღა იდგა კენტად, როგორც კაცობრიობის დიდი პროგრესის ნიშანსვეტი. მარტინი და პირგაბრტყელებული ქვის ეპოქის ველურებად, გამოქვაბულების ბინადრებად ქცეულიყვნენ. სულ უფრო და უფრო ღრმად იძირებოდნენ ტალახით ამოვსებულ უფსკრულში, პირველყოფილობის ფსკერზე ეშვებოდნენ, ბრმად, ანგარიშმიუცემლად იქნევდნენ ხელებს, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და უკუიქცეოდნენ, როგორც ციური სხეულების ანასხლეტები, როგორც ატომები, რომლებიც მარადიულ დაჯახება-უკუქცევაში არიან.

«ღმერთო! რა მხეცები ვიყავით! რა პირუტყვები!» აღმოხდა მარტინს, როცა ის გახურებული ბრძოლა გაიხსენა. თავისი განსაკუთრებული წარმოსახვის წყალობით, თითქოს თვალნათლივ შეჰყურებდა იმ ჩხუბს. მჭვრეტელიც იყო და მონაწილეც ერთდროულად. ამ გრძელი თვეების განმავლობაში შეძენილმა კულტურამ და სულიერმა დახვეწილობამ აიძულეს ერთბაშად შემცბარიყო ასეთი სანახაობის ხილვაზე. მაგრამ აწმყო თანდათანობით შეავიწროვა წარსულმა და იგი კვლავ ძველ მარტინ იდენად იქცა: ზღვიდან ახლახან დაბრუნებულა და პირგაბრტყელებულს ებრძვის მერვე ქუჩის ხიდზე. დაიძაბა, სუნთქვა შეეკრა, ოფლი დაასხა, სისხლით მოითხვარა, გულში შვება იგრძნო, როცა შემართული მუშტები მიზანსა ხვდებოდა.

სხვადასხვა მხრიდან მოვარდნილ, ერთმანეთის მოძულე ორი გრიგალივით შეასკდნენ ერთმანეთს. დრო გადიოდა, ორი მტრული ბანდა თანდათან დაიძაბა და ახლა სულგანაბული იდგა. ამისთანა გააფთრებული შეტევა თავისდღეში არ ენახათ და ყველანი შიშის კანკალმა აიტანა. თვითონაც კი არა ყოფილან ისეთი გამძვინვარებული მხეცები, როგორიც ახლა ორივე მებრძოლი ჩანდა. პირველმა ჭაბუკურმა გზნებამ რომ გაიარა, უფრო მეტი სიფრთხილით განაგრძეს ბრძოლა. სასწორი არც ერთის მხარეზე არ იხრებოდა.

— უშედეგოდ დამთავრდება, — ჩაესმა მარტინს ვიღაცის სიტყვები.

მოწინააღმდეგემ ცრუ მოძრაობით მოატყუა მარტინი, ჯერ მარჯვნივ გადაიზნიქა, მერე — მარცხნივ და უცებ ისე მაგრად დაჰკრა, რომ მარტინმა იგრძნო, ლოყა ძვლამდე ჩაეხა. შიშველი მუშტით ამას ვერ იზამდა. ერთბაშად განცვიფრების შეძახილები მოესმა და სისხლმაც ითქრიალა. მაგრამ არაფრით შეიმჩნია. უფრო გაფრთხილდა და გაამახვილა ყურადღება, რადგან გამოცდილებით იცოდა ამნაირი ხალხის სიმდაბლე და გაიძვერობა. გაფაციცებით ადევნებდა თვალს და უცებ ლითონის გაელვება რომ შენიშნა, დასარტყმელად მოქნეული ხელი მარჯვედ შეაჩერა შუა გზაზე.

— ხელი გამოსწი! — შეჰკივლა მან, — კასტეტი დამარტყი?!

ორივე ბანდა ერთბაშად წამოიფოფრა, ღრენითა და ღმუილით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. წამიც და საერთო ხელჩართული ბრძოლა გაიმართებოდა, ვეღარ მოიკლავდა შურისძიების წყურვილს. მარტინი გაცოფდა.

— უკან, ბიჭებო! — დაჰკივლა მან, — გაიგეთ?! ჰა, ხომ გაიგეთ?!

ბიჭები მაშინვე გაეცალნენ. ხომ მხეცები იყვნენ ისინი, მაგრამ მარტინი კიდევ უფრო გამძვინვარებული მხეცი ჩანდა, უნებური შიში ჩაუდგათ გულში და უკან დაიხიეს.

— ეს ჩემი პირადი საქმეა, ნურავინ ჩაერევა. აბა, მომეცი კასტეტი!

პირგაბრტყელებული გონს მოეგო, ცოტათი შეშინდა კიდეც და ბილწი იარაღი გადასცა.

— შენ გადაეცი ხომ კასტეტი, წიქორიავ, უკან-უკან რომ მიიძურწები?! — შესძახა მარტინმა და კასტეტი მდინარეში მოიქნია, — რაღაც საეჭვოდ კი აეტმასნე, მაგრამ ვერ მივხვდი, რა გინდოდა. კიდევ თუ გაგიბედავს ამისთანა რამე, იმდენს გირტყამ, რომ სულს გაგაცხებინებ. გაიგე?

ისევ გახურდა ჩხუბი. ერთსაც და მეორესაც არაქათი გამოელიათ, გადალასლასდნენ, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ პირუტყვების ბანდაც კი შეშინდა, უკვე მოეკლათ სისხლის წყურვილი და ახლა თავიანთ ფალავნებს სთხოვდნენ, გაშველდითო. პირგაბრტყელებული ისე მოქცეულიყო, რომ საცაა დავარდებოდა და გათავდებოდა, ან ფეხზე დგომელას ამოხდებოდა სული; ადამიანის ნირი და იერი დაკარგოდა, შიშისმომგვრელ მოჩვენებას დამსგავსებოდა... ცოტათი შედგა და შეყოყმანდა, მაგრამ მარტინი მივარდა და დაუშინა და დაუშინა მუშტი.

მთელი საუკუნე გავიდა თითქოს, პირგაბრტყელებული სულ გასავათდა, და უცებ ტკაცანი გაისმა, მარტინის მარჯვენა მკლავი ჩამოეშვა. ძვალი გადაუტყდა. ყველამ გაიგონა და ყველა მიხვდა. პირგაბრტყელებულიც მიხვდა და, უკანასკნელ ძალამოკრებილი, ვეფხვივით ეცა მოწინააღმდეგეს, სეტყვასავით დააყარა მუშტები. მარტინის ბანდა წინ წამოიწია. მიშველება სცადა. ერთბაშად დაშენილი მუშტებით გაოგნებულმა მარტინმა თავის ბანდას ბინძური გინებით შეუტია, არ მომეკაროთო. გამწარებისაგან კვნესოდა, ხვნეშა ამოსდიოდა. მარცხენა ხელი შეემართა და ურტყამდა, ანგარიშმიუცემლად ურტყამდა. თითქოს სადღაც შორიდან მოდიოდა დამფრთხალი ბიჭების ბუტბუტი, გაარჩია კიდეც, როგორა თქვა ერთმა გაბზარული ხმით: «ეს რაღა ჩხუბი გამოვიდა, ბიჭებო. მკვლელობაა! გავაშველოთ!»

მაგრამ ვერავინ გაბედა ახლოს მისვლა და მარტინს გაეხარდა. იქნევდა და იქნევდა მარცხენა ხელს, სისხლიან მასას უტყაპუნებდა, რაც ადამიანის სახეს კი არა ჰგავდა, არამედ რაღაც საშინელებას — შიშისმომგვრელ მოქანავე, მოდუდღუნე მასას; ისევ და ისევ ბუნდოვნად ედგა თვალწინ მარტინს ეს მასა, არ შორდებოდა. სცემდა და სცემდა, ოღონდ ახლა სულ უფრო და უფრო მძიმედ, უკანასკნელი ნაფლეთები სასიცოცხლო ენერგიისა თანდათანობით ეცლებოდა. თითქოს მთელი საუკუნეები, მილიონობით წლები გავიდა, რაც იგი უტყაპუნებდა და უტყაპუნებდა, ვიდრე ბოლოს არ შენიშნა, როგორ ნელ-ნელა იწყო ჩაძირვა ამ უსახელო მასამ და ხიდის ფიცარს დაენარცხა. მარტინი თავზე დაადგა, მოფამფალებულ ფეხებზე მძიმედ ირწეოდა, ჰაერს ეპოტინებოდა თავის შესამაგრებლად და გაურკვევლად დუდღუნებდა ისე, რომ საკუთარი ხმა თვითონაც ვერ იცნო.

— კიდევ გინდა? ჰა, კიდევ გინდა?

იმეორებდა და იმეორებდა ამ სიტყვებს. ეკითხებოდა, ეღიჭინებოდა, ემუქრებოდა — კიდევ თუ გინდაო... მერე იგრძნო, როგორ მოხვიეს ბიჭებმა ხელი, მხრებზე მოუთათუნეს, სცადეს ქურთუკი მოესხათ. და ხელადვე დავიწყების წყვდიადმა შთანთქმა ყველაფერი.

მაგიდაზე მაღვიძარა საათი ტიკტიკებდა, მაგრამ ხელებში სახეჩარგულ მარტინ იდენს არ ესმოდა. საერთოდ აღარაფერი ესმოდა, აღარც ფიქრობდა. ისე ცოცხლად განიცადა ერთხელ თავსგადახდილი ამბავი, რომ თითქოს ახლაც გული შეუღონდა, როგორც მაშინ, მერვე ქუჩის ხიდზე. რამდენიმე წუთი ისე გავიდა, რომ მის თავზე წყვდიადი იყო ჩამოწოლილი. მერე კი თითქოს მკვდრეთით აღსდგა, ერთბაშად წამოხტა. თვალები წამონთებოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— ხომ დაგამარცხე, პირგაბრტყელებულო! — შესძახა მან, — თერთმეტ წელს მოვუნდი, მაგრამ მაინც დაგამარცხე!

მუხლები უკანკალებდა. სისუსტე იგრძნო და საწოლთან მილასლასდა, ძგიდეზე ჩამოჯდა. კვლავ წარსულს ჰყავდა შეპყრობილი. ოთახს მოავლო თვალი. არეულს, გაოგნებულსა და შეშინებულს ვეღარ გაეგო, სად იმყოფებოდა. მაგრამ უცებ კუთხეში დახვავებული ხელნაწერები დაინახა, მოგონებათა ბორბალი ერთბაშად დატრიალდა. ოთხი წელი ხელად გამოირბინა და კვლავ აწმყოში გადმოიყვანა, დაანახა წიგნები, რომლებიც მას წაეკითხა, სამყარო, რომელიც ამ წიგნებმა გადაუშალეს, ოცნებანი, ამაყი მისწრაფებანი, და სიყვარული იმ ფერმკრთალი, მგრძნობიარე, ჰაეროვანი გოგონასი, რომელსაც გულიც კი გაუსკდებოდა, თუნდაც ერთის წამით ეხილა ის საშინელება, რაც მარტინმა ახლა ხელახლა განიცადა, თუნდაც ერთხელ მოეკრა თვალი ცხოვრების იმ წუმპისათვის, რაც მარტინმა გამოსცურა.

ჭაბუკი წამოდგა და სარკესთან დადგა.

— მაგრამ შენ ამოხვედი იმ ტალახიდან, მარტინ იდენ, — გამარჯვებული კაცის ტონით წარმოთქვა მან, — კაშკაშა სინათლემ თვალებზე ლიბრი მოგაცილა, მხრებით ვარსკვლავებსა სწვდები, ნამდვილ ცხოვრებას ეზიარე და ბრძოლით ართმევ უზენაეს მემკვიდრეობას იმ ძალებს, რომელთაც იგი საუკუნეების განმავლობაში უპყრიათ.

კიდევ უფრო ახლო მიიტანა სარკესთან თავი და გაიცინა.

— ცოტაოდენი ისტერიკა და მელოდრამა, არა? — ჩაეკითხა თავს, — არა უშავს. პირგაბრტყელებული ხომ დაამარცხე ერთხელ, რედაქტორებსაც დაამარცხებ, თუნდაც ორჯერ თერთმეტი წელი დაგჭირდეს. შეჩერებით კი ვეღარ შეჩერდები. წინ უნდა იარო. ბრძოლა _ ბოლომდე!

თავი მეთექვსმეტე

მაღვიძარა საათმა ერთბაშად წამოახტუნა მარტინი; ასეთი ჯანის პატრონი არ ყოფილიყო, უეცარი გაღვიძებისაგან უსათუოდ თავი ასტკივდებოდა. მაგრად ეძინა, მაგრამ ხელად გამოფხიზლდა კატასავით. თავს მხნედ გრძნობდა და კმაყოფილი იყო, რომ უმოქმედობის ხუთმა საათმა უკვე გაიარა. სძულდა ძილის უმოქმედობა. რამდენი საქმე იყო გასაკეთებელი, რამდენი რამ მოსაგვარებელი ცხოვრებაში. მისტიროდა ყოველ წუთს, რასაც ძილი ართმევდა ხოლმე სიცოცხლეს. ჯერ არც კი მიმწყდარიყო მაღვიძარას წკრიალი, რომ თავი უკვე წყლით სავსე ტაშტში ჩაერგო მარტინს. ეამა ცივი წყალი, საამურ ჟრუანტელად დაუარა ტანში.

მაგრამ რეჟიმი დაერღვა დღეს. არც დაუმთავრებელი მოთხრობა ელოდა მაგიდაზე, არც ახალი ჰქონია ჩაფიქრებული. წუხელ გვიანამდე შეჰყვა მეცადინეობას და ახლა უკვე საუზმის დრო მოახლოვებულიყო. სცადა ერთი თავი წაეკითხა ფისკიდან, მაგრამ ტვინი არეული ჰქონდა და წიგნი დახურა. დღეს ახალი ბრძოლა უნდა დაეწყო ცხოვრებასთან და წერის თავი რამდენიმე ხანს აღარ ექნებოდა. სევდა მოსწოლოდა, რა სევდასაც სახლთან თუ შინაურებთან გამოთხოვებისას განიცდის ხოლმე ადამიანი. ხელნაწერებს გადახედა კუთხეში. ნამდვილად ასე იყო. უნდა გამოთხოვებოდა თავის საბრალო, გაწბილებულ შვილებს, რომლებიც არავინ არ ინდომა. მივიდა, გადაქექა და საყვარელი ადგილები გადაიკითხა, «ქოთანი» და «თავგადასავალი» ხმამაღლაც კი წაიკითხა. განსაკუთრებით მოეწონა «ხიხარული», მისი უკანასკნელი ნაშიერი, რომელიც წინა დღეს დაამთავრა, მაგრამ მარკა არა ჰქონდა და კუთხეში მიაგდო.

— არ მესმის, — ჩაიბუტბუტა მან, — თუმცა იქნებ რედაქტორებს არ ესმოდეთ! თითქოს არაფერი არ უნდა უშავდეს. ამაზე უარესებსაც ხშირად ბეჭდავენ... რასაც კი ბეჭდავენ, ვერც ერთი ვერ შეედრება ამას... თითქმის ვერც ერთი.

ნასაუზმევს საბეჭდი მანქანა ფუტლიარში ჩადო და ოუკლენდისკენ გააქანა.

— ერთი თვის ქირა არ გადამიხდია, — უთხრა მან კლერკს, — მოახსენეთ თქვენს უფროსს, რომ სამსახურს ვიწყებ და ერთ თვეში, ან უფრო ადრე გადავიხდი.

ბორანით სან-ფრანცისკოში გავიდა ბირჟას მიაკითხა.

— სამუშაო თუ გაქვთ რაიმე, რაც გინდა იყოს? — მიმართა მან ბირჟის აგენტს. მაგრამ ამ დროს ვიღაც ახალშემოსულმა შეუშალა ხელი. მდარე ბრწყინვალებით იყო ეს კაცი მორთული, როგორც კოხტად ჩაცმა-დახურვას მოყვარულ მუშებს სჩვევიათ ხოლმე. აგენტმა უიმედოდ გააქნია თავი.

— აჰ, არავინ გამოჩნდა? — იკითხა ახალშემოსულმა, — როგორმე დღესვე უნდა ვიშოვოთ ვინმე.

მობრუნდა და მარტინს მიაშტერდა, მარტინმაც ახედა. ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ გაცრეცილი და შეშუპებული, როგორც მოუსვენარი ღამის შემდეგ იცის ხოლმე.

— სამუშაოს ეძებ? — ჰკითხა მან, — რა ხელობა იცი?

— ყოველგვარ მძიმე სამუშაოს შევასრულებ, მეზღვაურობა ვიცი, საბეჭდ მანქანაზე ვიმუშავებ, სტენოგრაფია არ ვიცი... ცხენოსნობა ვიცი... ყველაფერი შემიძლია, ყველაფერს მოვახერხებ, — იყო პასუხი.

ახალმოსულმა თავი დააკანტურა.

— ეტყობა, გამომადგები. მე დოუსონი ვარ, ჯო დოუსონი. სამრეცხაოსთვის ვეძებ მუშას.

— მეტისმეტი არ იქნება?! — მარტინმა ერთბაშად წარმოიდგინა, როგორ აუთოვებდა ქალის ათასნაირ წვრილმან მორთულობას. მაგრამ ეს ბიჭი მოეწონა და სწრაფად დასძინა. — რეცხვა კი შემიძლია. გემზე შევეჩვიე.

ჯო დოუსონი ჩაფიქრდა.

— მაშ, მოვრიგდეთ, გითხრა, რა საქმე გვექნება?

მარტინმა თავი დაუქნია.

— პატარა სამრეცხაოა, აგარაკზე, სასტუმროსთან. «ცხელი წყარო» ხომ გაგიგონია, სასტუმრო? ორი კაცის სამუშაოა — უფროსი და თანაშემწე. მე უფროსი ვიქნები, ჩვენ-ჩვენი საქმე გვექნება, მაგრამ შენ მე დამემორჩილები. რას იტყვი, გინდა?

მარტინი ჩაფიქრდა. კარგი საქმე ჩანდა. რამდენიმე თვეს წაიმუშავებდა და ისევ ექნებოდა სწავლის დრო. არც მუშაობაში დაიზოგავდა თავს და არც სწავლაში.

— კვება კარგი, საკუთარი ოთახი, — განაგრძობდა ჯო.

ამან გადაწყვიტა საკითხი. საკუთარი ოთახი! კაცი ხმას არ გაგცემს, თუნდა მთელი ღამე გენთოს სინათლე.

— მუშაობა კი ჯოჯოხეთურია, — დასძინა ჯომ.

მარტინმა მკლავის გამობერილ კუნთებზე დაისვა ხელი.

— ეს მაგარი მუშაობისაგან მაქვს.

— მაშ, შევთანხმდეთ, — ჯომ შუბლზე მოისვა ხელი, — უჰ, ლამის გამისკდეს თავი. თვალში ვეღარ ვიხედები. მეტისმეტი მომივიდა წუხელ... ძალიან შევტოპე... მაშ, ასე, ას დოლარს გადაგვიხდიან ორივეს და ბინას მოგვცემენ. აქედან სამოცი ჩემი იყო, თანაშემწე ორმოცს იღებდა. მაგრამ იმ ძველმა თანაშემწემ იცოდა საქმე. შენ გამოუცდელი ხარ. პირველ ხანებში საქმის გაკეთებაც მომიწევს. ჯერ რომ ოცდაათი მოგცე და თანდათანობით ორმოცამდე შეგივსო? არ მოგატყუებ. შეეჩვევი თუ არა საქმეს, ორმოცს მიიღებ.

— ასე იყოს! — დაეთანხმა მარტინი და ხელი გაუწოდა, მეორემ ჩამოართვა. — წინასწარ ვერ მომცემ ცოტას?.. გზისთვის და სხვა ხარჯებისათვის?

— სულ წამივიდა, — უპასუხა ჯომ და კვლავ გახურებულ შუბლში იტაცა ხელი, — მარტო იქითობის ბილეთი შემრჩა, სხვა არაფერი.

— მეც აღარაფერი შემრჩება... ბინის ქირას რომ გადავიხდი.

— შენც მერე გადაიხადე, — ურჩია ჯომ.

— არ შეიძლება. ჩემი დისა მმართებს.

ჯომ დაუსტვინა, ჩაფიქრდა, იქნებ რამე მოვიგონოო.

— თითო ჭიქისა კიდევ შემრჩა. წავიდეთ, გადავკრათ, იქნებ რამე მოვიფიქროთ.

მარტინი არ დაეთანხმა.

— წყლის მუშტარი ხარ?

მარტინმა ამჯერად თავი დაუქნია და ჯო წუწუნს მოჰყვა.

— ნეტაი შენ! მე ვერა და ვერ გადავეჩვიე, — თავის მართლება სცადა, — მთელ კვირას რომ ჯოჯოხეთურად იმუშავებ, მერე გადაკვრა მოგინდება ხოლმე. თუ არ დავლიე, ან ყელს გამოვიჭრი, ან მთელ სამრეცხაოს გადავბუგავ. თუმცა შენ რომ არა სვამ, ეს კარგია, გამიხარდა, ნურც დალევ, მაგრად დადექი.

მარტინმა შენიშნა, რა უზარმაზარი უფსკრული იყო ამ კაცსა და მას შორის; წიგნებმა წარმოქმნეს ეს უფსკრული, მაგრამ მარტინს სულაც არ გასჭირვებია, უკანვე გადაელახა და დოუსონს გვერდში ამოსდგომოდა. მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა სამყაროში ტრიალებდა და შრომითი ამხანაგობა მის მეორე ბუნებას წარმოადგენდა. მთელი სიძნელეები, რაც გამგზავრებასთან იყო დაკავშირებული და რაც დოუსონის გაბურსალებული თავისათვის მოუგვარებელი ჩანდა, მარტინმა ადვილად მოაგვარა: თავის ჩემოდანს ჯოს ბილეთით გააფორმებდა და ბაგაჟით გაგზავნიდა, თვითონ კი ველოსიპედით ჩავიდოდა «ცხელ წყაროში». სამოცდაათი მილი იყო გასავლელი. ამ გზას კვირას გაივლიდა, ორშაბათს კი საქმეს შეუდგებოდა. ახლა შინ გაბრუნდება და ბარგს ჩაალაგებს. გამოსამშვიდობებელი არავინა ჰყავს — რუთი და მთელი მისი ოჯახი ზაფხულს სიერაში ატარებდნენ, ტაჰოს ტბაზე.

კვირა ღამეს ჩავიდა «ცხელ წყაროში», დაღლილი და მტვერში ამოგანგლილი. ჯო მხიარულად შეეგება. მთელი დღის ნამუშევარს, შუბლი სველი პირსახოცით ჰქონდა წაკრული.

— ერთი ნაწილი სარეცხისა იმ კვირიდან გადმომყვა, შენს ჩამოსაყვანად რომ ვიყავი წამოსული... შენი ჩემოდანი უკვე მივიღე. შენს ოთახშია. რამსიმძიმეა, კაცო! რა ოხრობა გაქვს შიგ? ოქროს ზოდები?

ჯო ლოგინზე ჩამოჯდა, მარტინი კი ნივთების ამოლაგებას შეუდგა. ჩემოდანი, ფაქტობრივად, სურსათ-სანოვაგის ყუთს წარმოადგენდა და მისტერ ჰიგინბოთამმა ნახევარ დოლარად დაუთმო. მარტინმა თოკის სახელური გამოაბა და ჩემოდანს დაამსგავსა. ჯომ თვალები გადმოკარკლა, როცა მარტინმა რამდენიმე ხელი საცვალი ამოიღო, და ქვეშ კი სულ წიგნები! წიგნებით იყო გამოტენილი მთელი ჩემოდანი.

— სულ წიგნებია? ფსკერამდე?

მარტინმა თავი დაუქნია და წიგნები სამზარეულოს მაგიდაზე დაალაგა, რაც პირსაბნის მაგივრობას სწევდა.

— ჰო-ო! ჰო-ო! — შესძახა ჯომ და გაჩუმდა, თავში რაღაც აზრის ჩამოყალიბებას დააცადა. როგორც იქნა, ჩამოუყალიბდა.

— ერთი ეს მითხარი, გოგოებზე რას იტყვი?.. ბევრს დასდევ?

— არა. უწინ დავდევდი, მანამ წიგნებს დავუწყებდი კირკიტს, ახლა დრო აღარ მყოფნის.

— აქ არც წიგნების დრო გექნება. მარტო მუშაობა და ძილი.

მარტინს ჩაეცინა, გაახსენდა, რომ ღამეში თვითონ ხუთი საათი ეძინა. მისი ოთახი ზედ სამრეცხაოს თავზე აღმოჩნდა, ამავე შენობაში იდგა ძრავაც, რომელიც წყალს ტუმბავდა, ელექტროენერგიას წარმოქმნიდა და სარეცხის მანქანებს ამუშავებდა. მექანიკოსი, რომელიც მეზობელ ოთახში ცხოვრობდა, ახალ მდგმურთან შევიდა, გაეცნო და ელექტრონათურის ზონარის დაგრძელება უშველა, რათა მაგიდიდან საწოლთან მიეტანა ხოლმე ნათურა, როცა დასჭირდებოდა.

მეორე დღეს, შვიდის თხუთმეტ წუთზე წამოხტა მარტინი, — შვიდს რომ თხუთმეტი დააკლდებოდა, საუზმე უნდა ყოფილიყო. სამრეცხაოში სააბაზანო აღმოჩნდა მოსამსახურეებისათვის და მარტინმა ცივ წყალში იბანავა, რითაც ძალიან გააკვირვა ჯო.

— იჰ, შენ რა ყოფილხარ, კაცო! — შესძახა ჯომ, როცა ისინი სამზარეულოს ერთ კუთხეში სასაუზმოდ დასხდნენ.

მათთან ერთად მოუსხდნენ საუზმეს მექანიკოსი, მებაღე, მებაღის თანაშემწე და ორი თუ სამი მეჯინიბე. ყლაპავდნენ საჭმელს და, მოღუშულები, კანტიკუნტად თუ წამოისროდნენ სიტყვას. მარტინი ჭამდა, ისმენდა და ფიქრობდა — რა შორს წავსულვარ ამ ხალხისგანო. მათი გონებრივი უბადრუკობა აუტანელი აღმოჩნდა მარტინისათვის, ნეტა ჩქარა მოვშორდეო, წუხდა. ასე რომ, ჩქარ-ჩქარა გადაყლაპა წყალწყალა, უგემური ფაფა და სამზარეულოდან რომ გამოვიდა, შვებით ამოისუნთქა.

კარგად მოწყობილი პატარა, ორთქლის სამრეცხაო აღმოჩნდა, უახლესი მანქანები ყოველგვარ შრომას ასრულებდნენ, რისი შესრულებაც კი მანქანებს შეუძლიათ. მარტინმა სათანადო დარიგება მიიღო და ერთად დახვავებული ჭუჭყიანი სარეცხის დახარისხებას შეუდგა, ჯომ მანქანები აამუშავა და საპნის სითხე მოამზადა, რაც მწვავე ქიმიური მასალებისაგან იყო შეზავებული, ასე რომ, იძულებული გახდა თვალები, პირი და ნესტოები აბანოს პირსახოცით შეეხვია და მუმიას დამსგავსებოდა. დახარისხებას რომ მორჩა, მარტინმა უკვე გარეცხილი თეთრეულის გაწურვას მიჰყო ხელი: ჩააგდებდა გამწურავ მანქანაში, რომელსაც საგანგებოდ მოწყობილი ღერძი ჰქონდა დატანებული. ეს ღერძი წუთში რამდენიმე ათას ბრუნვას ასრულებდა და ცენტრიდანული ძალების მეოხებით თეთრეულს სინესტეს აცლიდა. ამის შემდეგ წარამარა უხდებოდა მარტინს საშრობი მანქანიდან საწურავთან მირბენა, ზოგჯერ ჭუჭყიან სარეცხსაც მივარდებოდა და ქალისა და მამაკაცის წინდებს გადაარჩევდა. ნასადილევს, მანამ უთოები გახურდებოდა, წინდებს რეცხდნენ. ამასობაში უთოები გახურდა და ექვს საათამდე საცვლებს აუთოებდნენ. ექვსი რომ შესრულდა, ჯომ უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— ვერ მოვასწარით, — თქვა მან, — ნავახშმევსაც მოგვიწევს მუშაობა.

მართლაც, ღამის ათ საათამდე მუშაობდნენ ნავახშმევს, ელექტრონის თვალისმომჭრელ შუქზე, მანამ უკანასკნელი საცვალიც არ გააუთოეს და დასახარისხებელ ოთახში არ შეიტანეს გასაცემად. ნამდვილი კალიფორნიული ჩამოხუთული ღამე იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ფანჯრები დაღებული ჰქონდათ, ოთახში გავარვარებული უთოებისაგან თაკარა სიცხე იდგა. პერანგისამარა, მკლავებდაკაპიწებული, ოფლში გაღვრილი მარტინი და ჯო სიცხისაგან სულს ძლივს ითქვამდნენ.

— ტროპიკულ სადგურში გემის დატვირთვაც კი არ არის ამაზე მძიმე, — შენიშნა მარტინმა, როცა ისინი კიბეზე ადიოდნენ.

— შენ გამოგივა საქმე, — მიუგო ჯომ, — მარჯვე ბიჭი ყოფილხარ. ასე თუ იმუშავე, ერთ თვეზე მეტს არ გამყოფებ ოცდაათ დოლარზე, იქითა თვეში ორმოცს მიიღებ. ოღონდ ნუ მეტყვი, წინათ არ მიუთოებიაო. მე ხომ ვხედავ!

— სინდისს გეფიცები, ჩვარიც კი არ გამიუთოებია დღემდე.

ოთახში რომ შევიდა, მარტინი გაკვირვებული იყო, ასე რამ დამქანცაო. დაავიწყდა, რომ მთელი თოთხმეტი საათი მუხლისმოუკეცავად მუშაობდა. მაღვიძარა ექვსზე დააყენა და ხუთი საათი უკან გადმოთვალა, გადაწყვიტა პირველამდე ეკითხა. ფეხსაცმელი გაიხადა, რათა შეშუპებული ფეხები დაესვენებინა, მაგიდას მიუჯდა და წიგნები შემოიწყო. ფისკი გადაშალა იმ ადგილას, სადაც ორი დღის წინ შეჩერდა და კითხვა განაგრძო. მაგრამ თავი ისე დამძიმებოდა, რომ პირველივე პარაგრაფი ვერ გაიგო და ხელმეორედ მოუხდა წაკითხვა. მერე ერთბაშად გამოაფხიზლა გაშეშებული კუნთების ტკივილმა და მთის ნიავის სიგრილემ, რაც ღია ფანჯარაში შემოიჭრა. საათს შეხედა — ორი შესრულებულიყო. ოთხი საათი სძინებია. ტანსაცმელი გაიხადა და ლოგინში შეძვრა, ბალიშზე თავის დადება ვერც მოასწრო, რომ უკვე ეძინა.

სამშაბათმაც ასეთ დაძაბულ მუშაობაში ჩაიარა. ჯო აღფრთოვანებული იყო ამხანაგის სიმარდით, ჭინკასავით ბზრიალებდა. მთელი გრძელი დღე ისე იყო დაჭიმული, რომ წამიც არ გაუცდენია. დამაცადინებული იყო, ყურადღება იმაზე ჰქონდა გაფაციცებული, დრო მოეგო, მარტინსაც მიუთითა — ხუთი მოძრაობა არ მოენდომებია იმისათვის, რის გაკეთება სამით შეიძლებოდა, ანდა სამჯერ არ მიტრიალებულიყო ისეთ საქმეზე, რასაც ორი მიტრიალებით გააკეთებდა. «ზედმეტი მოძრაობის შეკვეცა», ასე მონათლა მარტინმა ეს მოვლენა, როცა ამხანაგს შეჰყურებდა და ცდილობდა მისთვის მიებაძა. თავად კარგი მუშა იყო — ყოჩაღი და მარჯვე, მუდამ საამაყოდ ჰქონდა, რომ მისი სამუშაოს შესრულება სხვას არავის უწევდა და ვერც ვერავინ სჯობდა მუშაობაში. ახლაც გადაწყვიტა მთელი ყურადღება დაეძაბა და ამხანაგის დარიგების მიხედვით ემუშავა. ისე კარგად ამოავლებდა ხოლმე სახამებელში საყელოსა და მანჟეტებს, ისე მარჯვედ გადასჭიმავდა, რომ გაუთოების დროს ერთხელაც არ წამობურცულა და ამით ჯოს ქება დაიმსახურა.

თავაუღებლივ მუშაობდნენ. მორჩებოდა თუ არა ერთ საქმეს ჯო, ხელად მეორეზე გადახტებოდა, არაფერს არ დაელოდებოდა, არაფერს არ დაგიდევდათ. ორასი თეთრი პერანგი გაახამეს. თვალის დახამხამებაში მოავლებდნენ ხოლმე მარჯვენა ხელს მანჟეტებს, საყელოს და გულისპირს და სახამებელში ჩაუშვებდნენ, მარცხენა ხელით კი პერანგის დანარჩენი ნაწილი ეჭირათ, რათა სახამებელი არ გაჰკარებოდა. სახამებელი ისეთი ცხელი იყო, რომ, რამდენს ჩაჰყოფდნენ შიგ მარჯვენა ხელს, იქვე ვედროთი ცივი წყალი ჰქონდათ მომარჯვებული და ხელადვე ამ ცივ წყალში უნდა ეტაკებინათ და გაეგრილებინათ. იმ საღამოს თერთმეტის ნახევრამდე მუშაობდნენ; ახამებდნენ და ახამებდნენ ქალების სიფრიფანა, ფურჩალებიან საცვლებსა და კაბებს.

— ოღონდ ამ კაბებს ნუ მარეცხინებ და ტროპიკულ ქვეყნებში მამუშავე, — გაიცინა მარტინმა.

— მე სამაგისოდ არ გამოვდგები, — სერიოზულად უპასუხა ჯომ, — რეცხვის მეტი არაფერი ვიცი.

— კარგად კი რეცხავ.

— ეგეც რომ არ ვიცოდე! თერთმეტისა ვიყავი, ოუკლენდის სამრეცხაოში რომ დავიწყე მუშაობა. აგერ თვრამეტი წელიწადი გადის მას შემდეგ, და სხვა საქმისთვის ხელი არ მიხლია. მაგრამ ამისთანა მძიმე მუშაობა არსად შემხვედრია. სულ ცოტა, კიდევ ერთი კაცი მაინც გვჭირდება. ხვალ ღამითაც მოგვიწევს მუშაობა. ოთხშაბათი საყელოებისა და მანჟეტების დღეა.

მარტინმა საათი დააყენა, მაგიდას მიუჯდა და ფისკი გაშალა. ერთი აბზაციც ვერ ჩაათავა. სტრიქონები ერთმანეთში აირია, თავი დაუმძიმდა. ბოლთის ცემას მოჰყვა, თავში მუშტებს იშენდა, მაგრამ ძილს მაინც ვერ მოერია. მერე ისევ მოიმარჯვა წიგნი,

ქუთუთოები ხელებით დაიჭირა და ასე თვალგახელილს ჩაეძინა. რაღა გზა ჰქონდა. დანებდა, ტანსაცმელი გაიხადა და ლოგინში შეწვა. შვიდი საათი გაგუდულივით ეძინა, მაღვიძარამ გამოაღვიძა, მაგრამ ისევ ართმევდა თავს ძილი.

— ბევრი იკითხე? — მიმართა ჯომ.

მარტინმა თავი გააქნია.

— არა უშავს. ამაღამ უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ხვალ ექვსზე მოვრჩებით. მოდექი და იკითხე.

მარტინი იმ დღეს დიდ ვარცლში რეცხავდა შალის ნაჭრებს, საგანგებო მოწყობილობა ჰქონდა, ვარცლზე ჯოხი იყო გადებული და ზედ დამაგრებული — ჩანჩახური და ბორბლის წკირი ტრიალებდა.

— ჩემი გამოგონებაა, — ამაყად უთხრა ჯომ, — აღარც წვალება გჭირდება ფიცარზე რეცხვით, ღონეც გეზოგება. თან თხუთმეტ წუთსაც ვზოგავთ ყოველ კვირეულად. თხუთმეტ წუთს ეხუმრები ამ სოროში?!

საყელოებისა და მანჟეტების ასეთ საჯანდრავში გატარებაც მისი გამოგონება იყო. საღამოთი, როცა დაბნელდა და ელექტრონის სინათლე აანთეს, ჯომ ასე განმარტა საქმე:

— სხვა სამრეცხაოში ჯერაც არ მოუგონებიათ ასეთი რამ. მე კი შაბათობით სამ საათზე უკვე თავისუფალი ვარ. ოღონდ საქმე უნდა იცოდე: განსაზღვრული ტემპერატურა, განსაზღვრული წნევა. თანაც, სამჯერ უნდა გაატარო. აბა, შეხედე. — მანჟეტი ამოიღო, — ხელით ასე რას გაახამებ!

ხუთშაბათს ჯო გააცეცხლეს: ნორმაზე მეტი გასახამებელი თეთრეული გამოგზავნეს.

— უნდა წავიდე! — განაცხადა მან, — მორჩა და გათავდა! რაღა გამოვიდა — მთელი კვირა პირუტყვივით ვიმუშავე, თითო წუთობით ვზოგავდი დროს და აგერ, უცებ, მთელი შეკვრა გასახამებელი თეთრეული არ მოგვაყენეს! მე თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობ, ასე კი არ არის საქმე. ავდგები და ყველაფერს პირში მივახლი იმ გასიებულ ჰოლანდიელს. ფრანგულად კი არ მოვყვები ტიტინს. ამერიკულსაც კარგად გავაგებინებ. ჰა, მთელი შეკვრა გასახამებელი თეთრეული!

— ამაღამაც მოგვიწევს მუშაობა, — თითქმის იმავე წუთში თქვა ბედსდამორჩილებულმა ჯომ, გაგულისება ერთბაშად გადაავიწყდა.

და იმ ღამესაც ვერ მოახერხა მარტინმა წაკითხვა. მთელი კვირა ისე გავიდა, გაზეთი არ გაუშლია და, თავისდა გასაკვირად, სურვილიც აღარ მოსვლია ამისა. აღარ აინტერესებდა ახალი ამბები. ისე დაიქანცა, რომ აღარაფრის თავი არა ჰქონდა, თუმცა ეს კი გადაწყვიტა: მართლა სამ საათზე თუ მორჩებოდნენ საქმეს შაბათს, ოუკლენდს წასულიყო ველოსიპედით. სამოცდაათი მილი იქით და ამდენივე უკან, კვირა საღამოს სულ გაუწყვეტდა ქანცს, ძალას ვეღარ მოიკრებდა იქითა კვირისათვის. მატარებელი გაცილებით უფრო მოხერხებული იქნებოდა, მაგრამ ორ-ნახევარი დოლარი დაეხარჯებოდა. მარტინმა კი გადაწყვიტა ფული დაეზოგა.

თავი მეჩვიდმეტე

ბევრი რამ შეისწავლა მარტინმა. ჯერ პირველი კვირაც არ გასულიყო, რომ ერთ ნაშუადღევს, ორი საათის განმავლობაში, ჯომ და მან ორასი თეთრი პერანგი გაუშვეს, ჯო ამუშავებდა მანქანას, რომელზედაც წნევის მარეგულირებელი ფოლადის ზამბარათი ცხელი უთო იყო გამობმული. ასე აუთოებდა იგი პერანგის საყელოს,

მანჟეტებსა და გულისპირს. შემდეგ მარტინს გადასცემდა და ისიც პერანგის გაუხამებელ ნაწილს აუთოებდა.

მომქანცველი სამუშაო იყო. სულ ერთი და იგივე, საათობით, გაუთავებლად, განუწყვეტელი ფაციფუცი. გარეთ ამ დროს, სასტუმროს ფართო აივნებზე, გრილ, ქათქათა ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები და მამაკაცები ჩაციებულ სასმელებს წრუპავდნენ და მერე ქუჩაში გაისეირნებდნენ ხოლმე. სამრეცხაოში კი სულისშემხუთავი სიცხე იდგა. უზარმაზარი გავარვარებული ღუმელი გუგუნებდა, წითლად და თეთრად ელავდა უთოები დანამულ თეთრეულზე სრიალებდა და ორთქლის ღრუბელს აყენებდა. ამ უთოების სიმხურვალე სულ სხვა იყო, დიასახლისების ჩვეულებრივი უთოები რას შეედრებოდა. ქალები რომ დანერწყვილი თითით გასინჯავენ უთოს, მარტინისა და ჯოსათვის ის ცივი გამოჩნდებოდა, ვერც გასინჯავდნენ ამნაირად, ლოყასთან ახლოს მიჰქონდათ ხოლმე და ისე ამოწმებდნენ ტემპერატურას, რაღაც იდუმალი ალღოთი, რითაც მარტინი აღფრთოვანებული იყო, თუმცა ვერ გაეგო, რა უნდა ყოფილიყო. მეტისმეტად ცხელი თუ აღმოჩნდებოდა უთო, ცივ წყალში ჩაუშვებდნენ. ესეც, თავისთავად, დიდ სიზუსტესა და მოქნილობას მოითხოვდა. საკმარისი იყო ერთი წამით დაეყოვნებიათ უთო წყალში, რომ გაცივდებოდა და კვლავ გახურება დასჭირდებოდა. და მარტინს თვითონვე უკვირდა თავისი მოქნილობისა და სიზუსტისა, იმ ავტომატური სიზუსტისა, რის საშუალებითაც იგი მანქანის შეუცთომლობით მუშაობდა.

მაგრამ გაკვირვებისათვის აღარ ყოფნიდა დრო, მთელი გულისყური სამუშაოსკენ ჰქონდა მიპყრობილი. ცოცხალ მანქანასავით მუშაობდა, თავითაც და ხელებითაც, შეუსვენებლივ, და რაც კი რამ ადამიანური იყო მის არსებაში, ყველაფერს ნთქავდა ეს მანქანა. სამყაროს პრობლემებზე ფიქრისათვის გონებაში ადგილი აღარ რჩებოდა. მისი გონების ფართო დარბაზები დაკეტილ-დალუქული აღმოჩნდა. შეგრძნება მოექცა პატარა, მოკუცულ ოთახში, გემის საბრძოლო ჯიხურში, საიდანაც ბრძანება მოსდიოდა მკლავებისა და მხრების კუნთებს, ათ მოქნილ თითს, როგორ გაეტარებინა ყოველ ნაკერზე უთო. რომელსაც ზოლად მიჰყვებოდა ბილიკი, როგორ მოზომილად, თანაბარი მოძრაობით, მსუბუქად და მარდად გაესვა ამ უთვალავ სახელოებზე, კალთებზე, გვერდებზე, ზურგზე... არც ერთი გოჯით გვერდზე არ მოსვლოდა, მერე კი ისე კოხტად გადაეგდო დაუთოებული პერანგი, რომ არ დაჭმუჭნილიყო. და ვერც კი ასწრებდა, ერთი პერანგისთვის მოეშორებინა დაძაბული გულისყური, რომ უცებ მეორე იპყრობდა. ასე მიდიოდა დრო, საათი საათს მისდევდა, გარეთ კალიფორნიის მცხუნვარე მზე ყველაფერს თანგავდა და თენთავდა, გახურებულ სამრეცხაოში კი ერთი წამითაც არ შეიძლებოდა მოთენთვა — აივნების სიგრილეს შეფარებული სტუმრები ტილოს სუფთა ჩასაცმელს საჭიროებდნენ.

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა მარტინს. გაუთავებლად სვამდა წყალს, მაგრამ ისეთი სიცხე იდგა, რომ სითხე სხეულში არ ჩერდებოდა და მაშინვე ფორებში მოჟონავდა. რა გინდ მძიმე მუშაობა შეხვედროდა გემზე, იმისი დრო მაინც რჩებოდა, რომ საკუთარ ფიქრებს მისცემოდა. გემის მეპატრონე მარტო მის სამუშაო დროსა ფლობდა, აქ კი სასტუმროს პატრონი მარტინის ფიქრების ბატონიც გამხდარიყო. ნერვების დამაგლეჯელ, სხეულის დამშლელ ფიქრის გარდა, არც მოსდიოდა სხვა რაიმე ფიქრი. ეს შეუძლებელი იყო. იმასაც კი ვერ იტყოდა — რუთი მიყვარს თუ არაო. რუთი აღარც არსებობდა, რადგან მარტინის გაწამებულ გონებას დრო აღარ ჰქონდა მის გასახსენებლად. მხოლოდ მაშინ თუ გამოეცხადებოდა ქალის სახე, და ისიც ბუნდოვნად, როცა მარტინი ლოგინში ჩაწვებოდა, ანდა დილით, საუზმის დროს.

— ჯოჯოხეთი არ არის, ჰა? — მიმართა ერთ დღეს ჯომ.

მარტინმა თავი დაუქნია, მაგრამ ერთბაშად გაღიზიანდა. ეგ ხომ ისედაც ცხადი იყო, რაღა თქმა სჭირდებოდა! მუშაობის დროს ხმას არ იღებდნენ ხოლმე, ლაპარაკი საერთო რიტმიდან ამოაგდებდა. ახლაც ასე მოხდა: ერთი ადგილი უთოგაუსმელი გამორჩა მარტინს და ორი ზედმეტი მოძრაობა დასჭირდა.

პარასკევ დილას სარეცხი მანქანა აამუშავეს. კვირაში ორჯერ სასტუმროს თეთრეული უნდა ერეცხათ — ზეწრები, ბალიშისპირები, ლოგინის გადასაფარებლები, სუფრები, ხელსახოცები. ამას რომ მორჩნენ, თხელ საცვლებს მიუბრუნდნენ. ეს უფრო ნელი სამუშაო იყო, მეტი სიფრთხილე და გულმოდგინება მართებდათ. მარტინი ჯერაც ვერ შესჩვეოდა რიგიანად. ალალბედზე მუშაობა აქ არ შეიძლებოდა, ყოველი შეცდომა დამღუპველი იყო.

— აქ უყურე, — უთხრა ჯომ და აბლაბუდასავით სიფრიფანა კორსეტი აჩვენა, მუჭაში დამალავდა კაცი, — ეს რომ დაგეწვას, ოც დოლარს დაგიქვითავენ.

მაგრამ მარტინს არაფერი დაუწვავს; რამდენადაც ნერვები დაეძაბა, იმდენად კუნთები მოეშვა. თვითონაც გულს იფხანდა, როცა ქალების ამ სიფრიფანა ჩასაცმელების ხილვაზე მეგობარი გინებას მოჰყვებოდა ხოლმე: რა ენაღვლებოდათ იმ ქალებს, მე შენ გეტყვი თვითონ რეცხავენ! თხელი საცვლები ჯოჯოხეთი გახდა მარტინისათვის და ჯოსთვისაც. ვაი-უშველებლით დაზოგილ წუთებს ეს საცვლები ართმევდა. მთელი დღე უტრიალებდნენ. საღამოს შვიდზე რეცხვას მორჩებოდნენ და სასტუმროს თეთრეულის გასახამებელ მანქანაში გატარებას იწყებდნენ. ათზე კი, როცა სასტუმროს ბინადრებს არხეინად ეძინათ, ორი მრეცხავი თხელი საცვლების რეცხვით ოფლში იღვრებოდა. შუაღამემდე შეჰყვებოდნენ ხოლმე, პირველამდე ორამდე!.. სამის ნახევარზე ანებებდნენ თავს.

შაბათ დილას ისევ თხელი საცვლები წამოვიდა, ამას მოჰყვა ათასნაირი წვრილ-წვრილი რაღაცა, ნაშუადღევს სამზე კი, როგორც იქნა, მორჩნენ მთელი კვირის სამუშაოს.

— არა მგონია. ახლა სამოცდაათი მილი გზა ველოსიპედით გაიარო ოუკლენდამდე, — მიმართა ჯომ, როცა ისინი კიბის საფეხურებზე ჩამოსხდნენ და შვებით გააბოლეს.

— მაინც წავალ, — მიუგო მარტინმა.

— რა ეშმაკი დაგრჩენია?.. გოგო გყავს?

— არა. წიგნები უნდა გამოვცვალო ბიბლიოთეკაში. ველოსიპედით იმიტომ მივდივარ, რომ ორ-ნახევარი დოლარი დავზოგო.

— ფოსტით რატომ არ გაგზავნი? მეოთხედი დოლარი დაგიჯდება.

მარტინს ჭკუაში დაუჯდა.

— ხვალ დაისვენე, — აღარ მოეშვა მეგობარი, — ხომ ხედავ, რას გავხარ. ჩემი გამოცდილებით გეუბნები. გასავათებული ვარ.

ეტყობოდა კიდეც, გასავათებული რომ იყო. ეს შეუპოვარი და მოუსვენარი კაცი, რომელიც მთელი კვირა წუთების დაზოგვაზე იყო გადამკვდარი, არავითარ დაბრკოლებას არ ეპუებოდა, დაყოვნებას ვერ გააგონებდი, ეს ენერგიის დაუშრეტელი წყარო, უკიდურესად დაძაბული ცოცხალი ძრავა, მუშაობაში ნამდვილი ცეცხლი და ეშმაკი — ახლა, მთელი კვირის სამუშაოს დამთავრების შემდეგ, განადგურებული ჩანდა. გასავათებული და მოჩვართული იჯდა. ლამაზი სახე უსიცოცხლოდ ჩამოგრძელებოდა. უხალისოდ აბოლებდა სიგარეტს. ხმა ჩაკვდომოდა, მონოტონურად დუდღუნებდა. რაც კი ცეცხლი და ენერგია ჰქონდა, სულ ჩაჰქრობოდა. მუშაობის დამთავრება და მოსვენებაც კი აღარ ახარებდა.

— ორშაბათს ყველაფერი თავიდან დაიწყება, — ნაღვლიანად განაგრძო მან, — რა ყრია ამაში, ნეტა ვიცოდე, ჰა? ნეტა, მაწანწალა ვიყო-მეთქი, ზოგჯერ ვინატრებ. დადიან არხეინად, ლუკმაპურს შოულობენ. იფ! მისწრება იქნებოდა ახლა ერთი ჭიქა ლუდი, მაგრამ ადგე უნდა და სოფელში ჩახვიდე... დარჩი, წიგნები ფოსტით გაგზავნე. რამ გაგასულელა, კაცო?!

— აქ რა უნდა ვაკეთო მღელი დღე? — ჰკითხა მარტინმა.

— დაისვენებ. შენ ჯერ ვერც კი გრძნობ, რა დაღლილი ხარ. რას ამბობ! ისე ვარ ხოლმე გასავათებული კვირაობით, რომ გაზეთის წაკითხვის თავიც აღარა მაქვს. ერთხელ ავად ვიყავი, ტიფი მჭირდა. მთელი ორთვენახევარი საავადმყოფოში ვეგდე. ხელიც არ გამინძრევია. დიდებული იყო!

— დიდებული იყო! — დანანებით გაიმეორა მან ერთი წუთის შემდეგ.

მარტინმა იბანავა და როცა სააბაზანოდან გამოვიდა, ჯო ვეღარსად ნახა. ალბათ ლუდის დასალევად წავიდოდაო, იფიქრა, მაგრამ ნახევარი მილის გავლა სოფლამდე დამქანცველად ეჩვენა. ლოგინზე წამოწვა, ფეხსაცმელი არც კი გაუხდია, სცადა ფიქრები მოეკრიბა. წიგნისკენ ხელიც არ გაუწევია. ისე იყო დაღლილი, რომ ძილიც არ ეკარებოდა, იწვა, ფიქრსაც ვერ ახერხებდა ხეირიანად, ბურანში იყო. ამასობაში ვახშმის დრომაც მოაწია. ჯო არც ახლა გამოჩენილა, და როცა მებაღემ შენიშნა, ახლა ალბათ იატაკს ტკეპნის დახლთან მიმდგარიო, მაშინღა მიხვდა. ხელად გაბრუნდა და ლოგინში ჩაწვა. დილით იგრძნო, რომ კარგად დაესვენა. ჯო მაინც არ ჩანდა. მარტინი ხეების ჩრდილში წამოწვა და საკვირაო გაზეთი გაშალა. დილა ისე გავიდა, არც გაუგია. არ დაუძინია, არავის შეუწუხებია, გაზეთის გადაკითხვაც ვერ მოასწრო. ნაშუადღევს ისევ მიუბრუნდა და კითხვაში ჩაეძინა.

ასე გავიდა კვირადღე. ხოლო ორშაბათ დილას ისევ სამრეცხაო. მარტინი თეთრეულს ახარისხებდა, პირსახოცით თავწაკრული ჯო კი კვნესოდა, იგინებოდა, მანქანას ამუშავებდა საპნის სითხეს ამზადებდა.

— რა ვქნა, ვერ მოვიშალე, — თავი იმართლა მან, — მოაწევს თუ არა შაბათი საღამო, უსათუოდ უნდა წავიდე და დავლიო.

მეორე კვირაც მიიწურა, ყოველ ღამე გააფთრებული მუშაობა ჰქონდათ ელექტრონის შუქზე, ხოლო შაბათს, სამ საათზე, ჯოს ხეირიანად ვერც კი მოესწრო სამუშაოს დამთავრების სიამოვნებით დატკბობა, რომ ისევ სოფლისკენ გაილალა, რათა თავდავიწყებას მისცემოდა. მარტინმა წინანდებურადვე გაატარა კვირა დღე. ხის ჩრდილში ეძინა, უხალისოდ ათვალიერებდა გაზეთს და იწვა პირაღმა, არც აკეთებდა რამეს, არც არაფერზე ფიქრობდა. ზიზღი მოაწვა საკუთარი თავის მიმართ, თითქოს ერთბაშად დამდაბლებულიყოს, დამცირებულიყოს. რაც კი ამაღლებული და ღვთაებრივი ჰქონდა, სადღაც გამქრალიყო. პატივმოყვარეობის გრძნობა დაჩლუნგებოდა. სიცოცხლის ხალისი დაჰკარგოდა. მკვდარი იყო. სული ჩაჰკვდომოდა. პირუტყვად ქცეულიყო. მუშა-პირუტყვად. შეჰყურებდა მზით დაფერილ მწვანე ფოთლებს და ძველებურად ვეღარ განიცდიდა სილამაზეს, აღარც ცის უძირო სილაჟვარდე ხიბლავდა, არ აღუძრავდა კოსმოსური სივრცეების საიდუმლოთა ამოხსნის ჟრუანტელისმომგვრელ სურვილს. სიცოცხლე გულისგამაწვრილებლად მოსაწყენი და უაზრო გახდა, გულს ურევდა. შინაგანი ხილვის ეკრანს შავი ფარდა ჩამოსწოლოდა, ოცნება წყვდიადით მოცულ ოთახში გამოკეტილიყო, სადაც სინათლის შუქი ვერ ატანდა. თავისი მეგობრისა შურდა. მიდიოდა ეს კაცი ყოველ შაბათს და თვრებოდა, სანეტარო ზმანებაში იძირებოდა, მომავალი ორშაბათისა და მთელი კვირის წამებას ივიწყებდა.

მესამე კვირა გავიდა. მარტინს საკუთარი თავიც შესძულდა. სიცოცხლეც შესძულდა. იმისი ფიქრი სტანჯავდა, რომ მარცხი განიცადა. რედაქტორები სამართლიანად უწუნებდნენ ნაწერებს. ამას ახლა აშკარად გრძნობდა და თვითონვე დასცინოდა თავს, დასცინოდა ოცნებებს, რასაც ასე ელოლიავებოდა ხოლმე. რუთმა ფოსტით დაუბრუნა «ზღვის სიმღერა». გულგრილად გადაიკითხა მარტინმა ქალის წერილი. ყოველნაირად ცდილა, რაც შეიძლებოდა შეექო და ედიდებინა. მაგრამ ტყუილი არ გამოსდიოდა, სიმართლეს კი როგორ დაუმალავდა საკუთარ თავს. რუთს არც «ზღვის სიმღერა» მოეწონა, და ეს მისი წერილის ყოველ სტრიქონში იგრძნობოდა, უხალისოდ შეთითხნილი ქების ყოველ სიტყვაში გამოსჭვიოდა. მართალიც იყო ქალი, მარტინი მტკიცედ დარწმუნდა ამაში, როცა კიდევ ერთხელ გადაიკითხა ლექსები. ვეღარავითარი სილამაზე ვეღარ აღმოაჩინა და გაკვირვებამ მოიცვა, ნეტა რას ვფიქრობდი, ამას რომ ვწერდიო. ფრაზის აგების სითამამე ახლა სისულელედ მოეჩვენა, ის ამაღლებული გამოთქმები და სიტყვები — სასაცილოდ, საერთოდ მთელი ნაწარმოები — აბსურდად, უაზროდ, დაუჯერებლად. ახლავე დაწვავდა «ზღვის სიმღერას», ცეცხლის გაჩენის უნარი რომ ჰქონოდა მის ძლიერ სურვილს, ხოლო სამანქანო განყოფილებაში ჩასვლას ძალა სჭირდებოდა, ძალა კი აღარ ჰქონდა მარტინს, მთელი მისი ძალ-ღონე სხვისი საცვლების რეცხვას ხმარდებოდა, საკუთარი სურვილების შესასრულებლად არა რჩებოდა.

გადაწყვიტა, კვირა დღეს ძალ-ღონე მოეკრიბა და რუთისათვის პასუხი მიეწერა. მაგრამ შაბათ საღამოს, მუშაობა რომ დაამთავრა და იბანავა, დაუძლეველმა სურვილმა წამოუარა, თავდავიწყებას მისცემოდა. «წავალ ერთი, ვნახავ, რას აკეთებს ჯო», გაიფიქრა მან და მაშინვე მიხვდა, რომ ტყუოდა. მაგრამ იმისი თავიც აღარ ჰქონდა, რომ ამ მოვლენას ჩაჰფიქრებოდა. სულ ერთია, მაინც არ გამოუტყდება თავს, ვტყუიო, იმდენად ძლიერი იყო სურვილი თავდავიწყებისა. დინჯად გაუყვა სოფლის გზას, მძიმე ნაბიჯებით, მაგრამ რაც უფრო მიუახლოვდა, უფრო და უფრო აუჩქარა ფეხს.

— მე მეგონა, მართლა წყლის მუშტარი იყავი! — ამ სიტყვებით შეეგება ჯო.

მარტინი თავის მართლებას აღარ მოჰყოლია, ვისკი მოითხოვა, ჭიქა გაიპიპინა და ბოთლი ჯოს გადააწოდა.

— აბა, მთელი ღამე ნუ მოუნდები ერთი ჭიქის გავსებას, — ტლანქად მიმართა მან.

მაგრამ რაკი ჯო აღარ ჩქარობდა, მარტინი აღარ დაელოდა, სულმოუთქმელად გამოსცალა და კიდევ შეივსო.

— ახლა უკვე შემიძლია დაგელოდო, — ქუშად უთხრა მან, — მაგრამ მაინც ნუ ზოზინებ.

ამჯერად ჯოსაც აღარ უწოწინია და ერთდროულად გადაჰკრეს.

— შენც ამ დღეში ჩაგაგდო, ხომ? — ჰკითხა ჯომ.

მარტინმა არ ისურვა ამაზე ლაპარაკი.

— ვიცი, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთია, — განაგრძო ჯომ, — მაგრამ მაინც არ მომწონს, მარტ, აქ რომ გხედავ. ჯანდაბას, რაც იყოს, იყოს, დავლიოთ.

მარტინი უხმოდ სვამდა და ხშირ-ხშირად უკვეთავდა ვისკის, შიშის ზარსა სცემდა ლურჯთვალა, შუაზე თმაგადავარცხნილ ახალგაზრდა მებუფეტე ბიჭს, რომელიც გოგოს უფრო ჰგავდა.

— საშინელებაა პირდაპირ, რა გულქვად გვექცევიან, როგორ გვამუშავებენ! — თქვა ჯომ, — ბედი მაგათი, რომ ვთვრები, თორემ აქამდე სულ გადავბუგავდი იმ ოხერ სამრეცხაოს. ჩემს ლოთობას უმადლონ, პირდაპირ გეტყვი.

მარტინს არც ახლა უპასუხია. კიდევ რამდენიმე ჭიქა და ტვინზე სასიამოვნო ბურუსი მოაწვა. უჰ! ცოცხალი ყოფილა. ამ სამი კვირის განმავლობაში პირველად ამოისუნთქა ადამიანურად. კვლავ დაუბრუნდა ძველი ოცნებანი. ფანტაზია ბნელი ოთახიდან გამოიჭრა. ელვარე ციმციმით უხმობდა თავისკენ. წარმოსახვის ეკრანი ისევ დაეწმინდა, ვერცხლისფერი გახდა, ზედ სხვადასხვაგვარი ხილვანი აელვარდა. კვლავ დაუბრუნდა სილამაზისა და საოცრების აღქმის უნარი, ხელიხელგაყრილი მიჰყვებოდა მათ, კვლავ დაუბრუნდა ძველი ძალა. სცადა, ჯოსთვისაც გაეგებინებინა ეს, მაგრამ ჯოს საკუთარი ოცნება ჰქონდა — როგორმე ამ მონურ შრომას გაჰქცეოდა და თვითონვე გამხდარიყო დიდი სამრეცხაო ქარხნის პატრონი.

— ბავშვებს ფეხსაც არ შემოვადგმევინებ ჩემს სამრეცხაოში, მარტ, პატიოსან სიტყვას გაძლევ... შენ არ მომიკვდე. ექვსი საათის შემდეგ კაციშვილს აღარ გავაჭაჭანებ, სულ გამოვკეტავ სამრეცხაოს. გესმის, რას გეუბნები? იმდენი მანქანა და ხალხი მეყოლება, ისედაც თავის დროზე მოასწრებენ ყველაფერს. ისე ღმერთი შემეწიოს, შენ დირექტორად დაგნიშნავ, მარტ! მთელი სამრეცხაოს გამგებელი იქნები. ასეთი გეგმა მაქვს. სასმელს სულაც აღარ გავეკარები. წვეთსაც არ ჩავიშვებ პირში. დავზოგავ ფულს, დავაგროვებ და ორ წელიწადში...

მაგრამ მარტინი ყურს აღარ უგდებდა, მებუფეტეს შეატოვა, მებუფეტეღა უსმენდა, მანამ ორი გლეხი შემოვიდოდა, რომელთათვისაც მარტინმა სასმელი მოატანინა. მეფური გულუხვობა გამოიჩინა მარტინმა, ყველა დაპატიჟა — გლეხებიც, მეჯინიბეც, სასტუმროს მებაღის თანაშემწეც, თვითონ მებუფეტე და ქუჩიდან შემოპარული მაწანწალაც, რომელიც აჩრდილივით შემოსულიყო და აჩრდილივითვე დაფარფატებდა სადღაც კუნჭულში.

თავი მეთვრამეტე

ორშაბათ დილას ჯომ კვნესა-ვიშვიშით ჩაყარა თეთრეულის პირველი პარტია სარეცხ მანქანაში.

— იცი, რა უნდა გითხრა... — დაიწყო მან.

— თავი დამანებე! — შეუღრინა მარტინმა.

— მაპატიე, ჯო, — უთხრა მან შუადღისას, როცა სადილის საჭმელად შეისვენეს.

ჯოს ცრემლები მოადგა თვალებზე.

— არა უშავს, — უპასუხა მან, — ჩვენ ხომ ჯოჯოხეთში ვართ, თავი ვეღარ შეგვიკავებია. ოღონდ, უნდა გითხრა, რომ, რაც ერთადა ვართ, ძალიან შემაყვარე თავი. იმიტომაც მეწყინა. როგორც კი დაგინახე, მომეწონე.

მარტინმა ხელი ჩამოართვა.

— მივანებოთ ყველაფერს თავი, — განაგრძო ჯომ, — წავიდეთ, ქუჩა-ქუჩა ვიაროთ მაწანწალებივით. ჩემს დღეში არ მიცდია, მაგრამ, ვატყობ, სულაც არ იქნება ძნელი. საქმე არაფერი გვექნება. გესმის — არაფერი არ გვექნება გასაკეთებელი! ერთხელ ავად ვიყავი — ტიფი მჭირდა — საავადმყოფოში ვიწექი. იცი, რა დიდებული იყო. ნეტა, კიდევ გავხდებოდე ავად.

ამ კვირამაც ზლაზვნით გაიარა. სასტუმრო გაჭედილი იყო. მოაყარეს და მოაყარეს თხელი საცვლები. საოცარი გმირობა გამოიჩინეს მარტინმა და ჯომ. ღამეებს ათენებდნენ, ელექტრონის შუქზე მუშაობდნენ, საჭმელიც კი ავიწყდებოდათ. დილით ჯერ საუზმე არ ეჭამათ, უკვე მუშაობდნენ. მარტინმა ცივ წყალში ბანაობასაც მიანება თავი. სულ დაძაბული იყო, საქმეში გართული, დაჭიმული. ჯო ერთგული მწყემსივით უფრთხილდებოდა და ზოგავდა წუთებს, ელოლიავებოდა, ერთ წუთსაც

არ გააცდენდა, როგორც ძუნწი ითვლის ხოლმე გადანახულ ოქროებს, ისე გულისფანცქალით ითვლიდა, მუშაობდა გააფთრებით, გიჟივით, მანქანას ჰგავდა, შეთანხმებით მუშაობდა მეორე მანქანასთან, რომელსაც ერთ დროს ადამიანი ერქვა, მარტინ იდენი.

ფიქრის დრო იშვიათად თუ რჩებოდა მარტინს. ფიქრების სავანე დაკეტილი იყო, ფანჯრები — მაგრად დახშული. თვითონ კი — ამ სავანის ჩრდილადქცეული გუშაგი. მართლაც რომ ჩრდილად იქცა. ჯო მართალი გამოდგა. ორივენი ჩრდილად ქცეულიყვნენ ამ საშინელ ჯოჯოხეთში. თუ სიზმარი იყო ესა? ზოგჯერ სულისშემხუთავ ორთქლში გახვეული, როცა მძიმე უთოს გამალებით ასრიალებდა ქათქათა საცვლებზე, უცებ გაიფიქრებდა ხოლმე, ეს სიზმარიაო. მალე, სულ რამდენიმე წუთში, ან იქნებ ათასი წლის შემდეგაც, გამოიღვიძებს, თავის პატარა ოთახში მიიხედ-მოიხედავს, მელნით გათხუპნილ მაგიდას მიუჯდება და წინ დღით შეწყვეტილი მოთხრობის წერას განაგრძობს. იქნებ ის წერაც სიზმარი იყო... და გემზე გამოეღვიძოს, გუშაგად მდგარს! გამოვარდება თავისი კაიუტიდან გემბანზე, ტროპიკულ ცაზე ვარსკვლავებს ახედავს, საჭეს მიუჯდება და ტანზე სასიამოვნოდ მოელამუნება გრილი ნიავი.

დადგა შაბათი და სამ საათზე თან მოიტანა დასვენების ფუჭი სიხარული.

— წავალ, ერთ ჭიქა ლუდს დავლევ. — ჩაიდუდუნა ჯომ უხალისოდ, რადგან უკვე კვირის მიწურულის ჩვეულებრივი მოთენთილობა დაეუფლა.

მარტინი თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა, ველოსიპედი გამოიტანა, გაზეთა, მოაწესრიგა. ჯო შუა გზაზე იყო, როცა მარტინმა ჩაუქროლა, საჭეზე დახრილიყო, თანაბარი სისწრაფით აჭერდა ფეხებს და პედალს ამუშავებდა, თვალები სამოცდაათ მილ მტვრიან გზისათვის გაეშტერებინა. იმ ღამეს ოუკლენდში ეძინა, კვირას კი უკანვე გაიარა სამოცდაათი მილი გზა. ორშაბათ დილას, ქანცგაწყვეტილმა, ახალი კვირის მუშაობა დაიწყო. სამაგიეროდ არ დამთვრალა, ფხიზელი იყო.

გაიარა ხუთმა კვირამ, მეექვსემაც. მარტინი კვლავ მანქანასავით ცხოვრობდა და მუშაობდა. მხოლოდ სულის სიღრმეში შემორჩენოდა ნაპერწკალი, რომელიც შიგადაშიგ გაიელვებდა და აიძულებდა შაბათ-კვირას ას ორმოცი მილი გზა გაევლო ველოსიპედით. მაგრამ ეს ხომ დასვენება არ იყო. ესეც მანქანის გადამეტებულ მუშაობასა ჰგავდა და, ბოლოს და ბოლოს, ის პატარა ელვარე ნაპერწკალიც ჩაუქრა სულში, რაც წინანდელი ცხოვრებისაგან შემორჩენოდა. მეშვიდე კვირის ბოლოს, თავისდა უნებურად, ჯოს გაჰყვა სოფელში; ქანცგაწყვეტილს, წინააღმდეგობის თავიც აღარ შერჩენოდა. ორშაბათ დილამდე კვლავ დაიბრუნა სიცოცხლის სუნთქვა.

შემდგომ შაბათ-კვირას ისევ გაიარა ას ორმოცი მილი გზა. საშინელი დაღლილობისაგან გაბურსალებული თავი ახალმა დაღლილობამ კიდევ უფრო დაუმძიმა. მესამე თვის მიწურულს უკვე მესამედ გაჰყვა ჯოს სოფელში. ისევ მიეცა თავდავიწყებას, ისევ იგრძნო სიცოცხლის სუნთქვა და, წუთიერად გაცოცხლებულმა, პირველად შეიცნო საკუთარი თავი: სმამ კი არ აქცია იგი პირუტყვად, მუშაობამ აქცია. დალევა შედეგი იყო, მიზეზი არ ყოფილა. შრომას მოჰყვა თან და ისევე გარდაუვალი იყო ეს მოვლენა, როგორც ღამე მოსდევს ხოლმე დღეს. პირუტყვული შრომით ვერავითარ სიმაღლეს ვერ მიაღწევ, თითქოს ვისკის გამოგზავნილმა შიკრიკმა ჩასჩურჩულა ეს და თანხმობის ნიშნად მარტინმა თავი დაუქნია. სიბრძნე აღმოაჩნდა ვისკის. ცხოვრების საიდუმლოს აზიარა.

ფანქარი და ქაღალდი მოითხოვა, ვინც იქ იყო, ყველასათვის მოატანინა ვისკი, და მანამ ისინი მარტინის სადღეგრძელოსა სვამდნენ, დახლთან მიდგა, რაღაცა დაწერა.

— აი, დეპეშა, ჯო, წაიკითხე, — უთხრა მან.

ჯომ გამოართვა. სახეზე მთვრალის სულელური ღიმილი აღბეჭდოდა. მაგრამ როცა ჩაიკითხა, თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა, საყვედურით გადახედა მეგობარს და თვალებზე ცრემლი მოადგა, ღაწვებზე ჩამოუგორდა.

— უკან აღარ გამომყვები, მარტ? — ჰკითხა იმედდაკარგულმა.

მარტინმა თავი დაუქნია და პატარა ბიჭს მოუხმო, დეპეშის გაგზავნა დაავალა.

— დაიცა! — ამოილუღლუღა ჯომ, — დაიცა, მოვიფიქრო.

ფეხი ეშლებოდა და დახლს მოეჭიდა, მარტინმა ხელი მოხვია, შეამაგრა, ფიქრის საშუალება მისცა.

— დაწერე, რომ ორივენი მივდივართ, — წამოიძახა მან, — მომეცი, ხელი მოვაწერო.

— შენ რისთვის მიდიხარ? — ჰკითხა მარტინმა.

— რისთვისაც შენ.

— მე ზღვაზე უნდა წავიდე. შენ ხომ არ შეგიძლია?!

— არა უშავს, — იყო პასუხი, — მაწანწალობა ხომ შემიძლია.

მარტინმა ერთი წუთით მიაშტერა თვალი და შესძახა:

— ღმერთმანი, მართალი ხარ! პირუტყვობას ისევ მაწანწალობა სჯობს. რას ამბობ, კაცო, ცოცხალი ადამიანი მაინც გერქმევა, აქამდე ხომ სიცოცხლე არ გიგრძვნია?!

— როგორ არა, ერთხელ საავადმყოფოში ვიწექი, — შეესიტყვა ჯო, — დიდებული იყო. ტიფი მჭირდა... შენთვის არ მითქვამს?

მანამ მარტინი დეპეშას გადაასწორებდა «ორივე მრეცხავს» ჩასწერდა, ჯომ განაგრძო:

— საავადმყოფოში რომ ვიწექი, ერთხელაც არ მომდომებია დალევა. უცნაური არ არის? მონასავით რომ დამაწყებინეს მუშაობა, მაშინ მომინდა სმა. ვის არ შეუნიშნავს, როგორა სვამენ მზარეულები... ხაბაზებიც... სამუშაო აქვთ ასეთი. უსათუოდ უნდა დალიონ. დამაცა, დეპეშის ფულს ნახევარს მე ვიხდი.

— მერე გავსწორდებით, — დაამშვიდა მარტინმა.

— მოდით, დალიეთ, დამეწვიეთ, — გასძახა ჯომ.

ორშაბათ დილას ჯოს ზედმეტი მღელვარებისაგან ვეღარ მოესვენებინა. თავის ტკივილი არც გახსენებია, არც სამუშაოთი დაინტერესებულა. წუთები დაუდევრად იფანტებოდა, მათი მწყემსი კი, თითქოს არაფერიაო, ფანჯარასთან მიმდგარიყო და მზით დაფარულ ხეებს გასცქეროდა.

— ერთი შეხედე! — წამოიძახა მან, — ეს ხომ ყველაფერი ჩემია! ეს ხომ თავისუფლებაა! წამოვწვები იმ ხეების ძირში არხეინად და, თუ მინდა, ათას წელიწადს ვიძინებ. წავიდეთ, მარტ, მივატოვოთ ყველაფერი: ნეტა რას ვუცდით?! მთელი ქვეყანა ჩვენია, იქითობის ბილეთს მე ავიღებ, უკან დაბრუნება კი არ დაგვჭირდება.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა მანქანაში ჭუჭყიან სარეცხსა ყრიდა, უცებ სასტუმროს მეპატრონის პერანგი შენიშნა ჯომ. ნიშანზე იცნო. თავისუფლების სიხარულით ატაცებულმა, პერანგი ფეხქვეშ ჩაიგდო და მოთელა.

— ნეტა შენც ამ პერანგში იყო გახვეული, ღორივით თავგასიებულო ჰოლანდიელო! — ყვიროდა იგი, — რას მოგთელავდი! აჰა, მიიღე, აბა, შენი იყოს! კიდევ მიიღე! აბა, მოვიდეს და შეაჩეროს ვინმემ, თუ ბიჭია! აბა, შეაჩეროს!

მარტინმა იცინა, ისევ გონს მოიყვანა მეგობარი. სამშაბათ საღამოს ახალი მრეცხავები ჩამოვიდნენ და შაბათამდე მათ სწავლებას მოუნდნენ მარტინი და ჯო. შორიახლოს ჩამოჯდებოდა ხოლმე ჯო და უხსნიდა. სამუშაოს კი აღარ გაჰკარებია.

— ხელსაც არ ვახლებ, — განაცხადა მან, — არ გავეკარები! ვადამდეც რომ დამითხოვონ, მაინც არ ვახლებ ხელს. მე თქვენთან აღარ ვმუშაობ, მადლობა მომიხსენებია! საბარგო ვაგონებით ვიმგზავრებ, ჩრდილში წამოვწვები. აბა, მოდით, მონებო! ასე! იმუშავეთ! ოფლში გაიღვარეთ! რომ მოვკვდებით, თქვენც ჩემსავით გაიხრწნებით, კაცი აღარ გკითხავს, როგორ გიცხოვრიაო!.. ჰა! თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით, რაღა აზრი აქვს რამეს?!

შაბათს გასამრჯელო მიიღეს და გზაჯვარედინამდე ერთად იარეს.

— რაღა აზრი აქვს, გეჩიჩინო, ჩემთან წამოდი-მეთქი, მაინც ვერ დაგიყოლიებ, — მიმართა იმედგადაწურულმა ჯომ.

მარტინმა თავი გააქნია. ველოსიპედი მოემარჯებინა, წასასვლელად გამზადებულიყო. ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ჯომ ცოტა ხანს გააჩერა მარტინის ხელი და უთხრა:

— კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, მარტ, მანამ არ მოვმკვდარვართ. გული ასე მეუბნება. ნახვამდის, მარტ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მიყვარხარ, ბიჭო, შენც ხომ იცი, რომ ჯოჯოხეთურად მიყვარხარ!

უმწეოდ იდგა შუა გზაზე და გაჰყურებდა, მანამ მოსახვევში თვალს არ მიეფარა მარტინი.

— კარგი ბიჭია, — ჩაიდუდუნა მან, — კარგი ბიჭი!

მერე თვითონაც დაიძრა, წყალსაქაჩავისაკენ წაჩლახუნდა, საცა ექვსი თუ შვიდი ცარიელი საბარგო ვაგონი იდგა, ჩამობმას ელოდა.

თავი მეცხრამეტე

რუთი და მისი ოჯახი უკვე ჩამოსულიყვნენ აგარაკიდან და ოუკლენდში დაბრუნებული მარტინი ახლა ხშირად ხვდებოდა მას. ქალს უკვე მიეღო დიპლომი და უნივერსიტეტში აღარ დადიოდა, არაადამიანური შრომით სულიერად და ფიზიკურად გამოფიტული მარტინიც აღარაფერს წერდა. ასე რომ, შარშანდელისაგან განსხვავებით, დრო ახლა ორივეს თავზე საყარი ჰქონდა, და დაუახლოვდნენ კიდევ ერთმანეთს.

პირველ ხანებში მარტინი არაფერს არ აკეთებდა, ისვენებდა მხოლოდ. ბევრი ეძინა, საათობით ფიქრობდა, ოცნებობდა, საქმეს კი არ გაჰკარებია. მძიმე ავადმყოფობაგამოვლილ ადამიანსა ჰგავდა. გამომჯობინების პირველი ნიშნები ის იყო, რომ გაზეთებს უფრო ინტერესით დაუწყო კითხვა. მერე მსუბუქ რომანებსა და ლექსებს მიუბრუნდა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ დიდი ხნის დავიწყებულ ფისკს ჩაუჯდა. მისმა იშვიათი ჯანის სხეულმა მალე დაიწყო გამოცოცხლება, ძველი ჭაბუკური სიმკვირცხლე და მოქნილობა კვლავ დაიბრუნა.

რუთს რომ უთხრა, ცოტას კიდევ დავისვენებ და მერე გემზე უნდა მოვეწყოო, ქალს გული დაწყდა და ეს შეეტყო კიდეც.

— რად უნდა წახვიდეთ? — ჩაეკითხა იგი.

— ფულისთვის, — მიუგო ჭაბუკმა, — ცოტა ფული უნდა ვიშოვო და ერთხელ კიდევ შევუტიო რედაქტორებს. ჩემს ბრძოლაში ფული და მოთმინებაა მთავარი ძალა.

— მარტო ფული თუ გაწუხებდათ, ბარემ სამრეცხაოში დარჩებოდით!

— სამრეცხაომ პირუტყვად მაქცია. ამისთანა არაადამიანური შრომა გაგალოთებს.

ქალმა შიშით შეხედა.

— გამოდის, რომ... — ხმა აუკანკალდა.

ძნელი არ იყო, თავი აერიდებინა პირდაპირი პასუხისათვის, მაგრამ ბუნებით ალალი კაცი იყო, თანაც თავისი ძველი აღთქმა მოაგონდა, რაც არ უნდა გამიჭირდეს, მუდამ სიმართლე ვთქვაო.

— დიახ, — მიუგო მან, — სწორედ ასეა. რამდენჯერმე.

ქალს ჟრუანტელმა დაუარა და უკან დაიწია.

— რამდენი ნაცნობი მყავს და არავის არ დამართნია ასეთი რამე, არასოდეს.

— ეტყობა, არც ერთ იმათგანს არ უმუშავნია «ცხელი წყაროების» სამრეცხაოში, — მწარედ გაეცინა მარტინს, — შრომა კარგი საქმეა, საჭიროც კია ჯანის სიმრთელისათვის. ქადაგებაშიაც სულ ამას გაიძახიან... ღმერთმა იცის, არასოდეს მშინებია შრომისა! მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს, სამრეცხაოში კი მოშლილი იყო საზღვარი. მიტომაც ვაპირებ ახლა ზღვაზე წასვლას. იმედი მაქვს, ეს იქნება უკანასკნელი გამგზავრება, როცა დავბრუნდები, უსათუოდ დამიბეჭდავენ რამეს. ეჭვიც არ მეპარება.

ქალი ხმას არ იღებდა. ეტყობოდა, არ თანაუგრძნობდა. ჭაბუკმა სევდიანად შეხედა — შეუძლებელია ის წარმოიდგინოს, რაც მე გამოვიარეო, ფიქრობდა.

— როცა იქნება, ამას დავწერ... «შრომის დაკნინებას» დავარქმევ, ან არადა «ლოთობის ფსიქოლოგია მუშათა კლასში», ან სხვა ამისთანა რამეს.

გაცნობის პირველი დღის შემდეგ არასოდეს ასე შორს არა მდგარან ერთმანეთისაგან. ჭაბუკის ალალმა აღსარებამ, რის მიღმაც ამბოხი სული იმალებოდა, ქალი შეაკრთო. მაგრამ ამ დაშორებამ უფრო შეაწუხა იგი, ვიდრე დაშორების მიზეზმა. ეს კი, თავისთავად, ცხადყოფდა, თუ როგორ დაახლოებოდნენ ერთმანეთს, ხოლო მომავალში კიდევ უფრო მეტი დაახლოება იყო მოსალოდნელი. ქალს სიბრალულიც აღეძრა და ჭაბუკის გარდაქმნის მიამიტი სურვილიც. უნდა იხსნას ეს ცხოვრებაში გამოუსვლელი ჭაბუკი, რომელმაც უკვე ამდენ რამეს მიაღწია. უნდა დაიხსნას იმ გარემოსაგანაც, სადაც ტრიალებს და თვით საკუთარი თავისგანაც, თუნდა გაუძალიანდეს ჭაბუკი. ეს სურვილი ქალმა თავის სათნო გულს მიაწერა. ერთი წუთითაც კი არ დაფიქრებულა, ამის მიღმა ეჭვი ან სიყვარულის სურვილი თუ იმალებოდა.

შემოდგომის მშვენიერ დღეებში გადაასხდებოდნენ თავიანთ ველოსიპედებს და მთებში ავიდოდნენ ხოლმე, ხმამაღლა კითხულობდნენ ლექსებს — ხან ამას, ხან იმას — სულიერად ამამაღლებელ გამაკეთილშობილებელ ლექსებს. თავგანწირვა, მოთმინება, შრომისმოყვარეობა და გულმოდგინება — აი, მთავარი საკითხები, რასაც რუთი შემოვლით, არაპირდაპირ უქადაგებდა ჭაბუკს. ასეთი ღირსებებით შემკულად მიაჩნდა მას მამა, მისტერ ბატლერი და ენდრიუკარნეგი, რომელიც ერთ დროს საწყალი ემიგრანტი ბიჭი იყო და ბოლოს მთელი ქვეყნიერებისათვის წიგნების მიმწოდებელი გახდა.

მარტინი ხედავდა და აფასებდა ქალის ასეთ მონდომებას, გულში უხაროდა. მისთვის უფრო გასაგები გამხდარიყო რუთის ფიქრები, ქალის სული უკვე აღარ იყო მაგრად დალუქული გამოუცნობი საოცრება. გონებრივად ისინი თანასწორები გამხდარიყვნენ. და ის უთანხმოებაც, რაც მათ შორის ჩამოვარდა, ჭაბუკის სიყვარულზე არავითარ გავლენას არ ახდენდა. ასე მგზნებარედ არასოდეს არ ჰყვარებია ქალი, და ფიზიკური სინაზეც მომხიბლაობას მატებდა რუთს ჭაბუკის თვალში. მარტინს წაეკითხა ელიზაბეტ ბარეტის თავგადასავალი, რომელსაც წლების განმავლობაში ფეხი არ დაეკარებინა მიწაზე, მანამ ერთ დღეს ბროუნინგთან ერთად არ გაიპარა და ღია ცის ქვეშ არ დადგა, პირდაპირ მიწაზე. რაც ბროუნინგმა იმ ქალისთვის მოიმოქმედა, იმას მეც გავაკეთებ რუთისთვისო, მტკიცედ გადაწყვიტა

მარტინმა. მაგრამ ჯერ ხომ უნდა შეეყვარებინა თავი. მერე ყველაფერი ადვილი იყო. თავის ძალ-ღონეს გადასცემდა. ხშირად წარმოუდგენია, როგორ იცხოვრებდნენ ერთად. საკუთარი შრომის წყალობით მშვენივრად მოწყობილან, ერთად კითხულობენ ლექსებს, მსჯელობენ, რუთი დახვავებულ ბალიშებზე წამომჯდარა და ხმამაღლა უკითხავს მარტინს. ეს იყო ერთგვარი სიმბოლო მათი მომავალი ცხოვრებისა და ხშირად წარმოუდგებოდა ეს სურათი. ხან მარტინს მიეყრდნობოდა რუთი და უსმენდა — ჭაბუკს ხელი მოუხვევია მისთვის და რაღაცას კითხულობს, ქალის თავი მხარზე აქვს მიხუტებული. ზოგჯერ რაიმე საინტერესო წიგნზე დახრილან და დაჰყურებენ. რუთს ბუნება უყვარდა და მარტინიც, თავისი მდიდარი წარმოსახვის წყალობით, ცვლის სურათს — ახლა უკვე ბუნების წიაღში გასულან და იქ კითხულობენ: ხან მაღალი კლდეებით გარშემორტყმულ ხევში, ხან მთის მწვერვალზე, ხანაც რუხი სილის დიუნებში, მოშორებით ტალღები ეხეთქება ნაპირებს, ან სადმე ვულკანურ კუნძულზე, ტროპიკულ ზონაში, სადაც ჩანჩქერი მოქუხს და შხეფები ირგვლივ ნისლივით იფანტება და ნიავს, ორთქლის საბურველივით, ზღვისაკენ მიაქვს. მაგრამ, როგორი სურათიც არ უნდა ყოფილიყო, პირველ პლანზე მუდამ ისა და რუთი ჩანდნენ, წიგნზე დახრილნი. ბუნების სიმშვენიერე ფონი იყო, ხოლო უფრო ღრმა ფონად, თითქოს ნისლსა და ბურუსში გახვეულაო, მოჩანდა მათი შრომა, წარმატება, შრომით მოპოვებული ფული, რაც საშუალებას იძლეოდა მთელი ამქვეყნიური კეთილდღეობით დამტკბარიყვნენ.

— მე ჩემს გოგონას მეტ სიფრთხილეს ვურჩევ, — გააფრთხილა დედამ ერთ დღეს.

— ვიცი, რისი თქმაც გინდა. მაგრამ ეს შეუძლებელია. მარტინი ხომ...

რუთი სახეზე წამოწითლდა, მაგრამ ეს იყო ქალწულებრივი მორცხვობის სიწითლე, რადგან პირველად ჩამოვარდა სიტყვა ცხოვრების წმიდა, იდუმალ საგანზე დედასთან, რომელიც მას ასევე წმიდად მიაჩნდა.

— შენი ტოლი არ არის, — დედამ დაამთავრა შვილის სათქმელი.

რუთმა თავი დაუქნია.

— მაგის თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ მაინც ხომ ასეა. ტლანქია, გაურანდავი, ძლიერი, ძალიან ძლიერი. არასოდეს არ ღირსებია...

რუთი შეყოყმანდა და ვეღარ დაამთავრა. უცხოდ და უცნაურად ეჩვენა დედასთან ამისთანა რამეებზე ლაპარაკი. და ახლაც დედა წამოეშველა, ამჯერადაც მან დაამთავრა შვილის სათქმელი.

— არ ღირსებია წესიერ ცხოვრებას, ხომ ამის თქმა გინდოდა?

რუთმა ისევ დაუქნია თავი და სახეზედაც ისევ წამოწითლდა.

— მართალია, — დაეთანხმა იგი, — რა მისი ბრალია, მაგრამ...

— მაგრამ ცხოვრების წუმპეშია?

— ჰო, წუმპეშია. და რომ დავფიქრდები, მეშინია ხოლმე. ზოგჯერ ნამდვილად მეშინია, არხეინად რომ მოყვება საშინელ ამბებს, რაც თავს გადახდომია... თითქოს არაფერიო. სინამდვილეში კი საშინელებაა!..

ისხდნენ ასე ხელმოხვეულები. შვილი რომ შეჩერდა, დედამ ბეჭებზე გადაუსვა ხელი და დაელოდა, განაგრძობსო.

— მაგრამ საინტერესო კაცია და დამაინტერესა, — განაგრძო რუთმა, — თავიდანვე მფარველობა ვიკისრე მისი. თანაც, ჩემი პირველი მეგობარია ვაჟთაგან... თუმცა ნამდვილი მეგობარი არც ეთქმის, პროტეჟე უფროა. ზოგჯერ, რომ შემაშინებს, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ბულდოგი გამომეყვანოს სათამაშოდ. თითქოს იწევს, კბილებს აღრჭიალებს და საცაა ჯაჭვს გაწყვეტს-მეთქი.

დედამ კვლავ დაიცადა.

— ისეთი ინტერესი აღმიძრა, როგორც, ვთქვათ, ბულდოგმა. ბევრი კარგი თვისება აქვს. მაგრამ ბევრი ისეთი რამა სჭირს, რაც სულ არ მომწონს და... სხვა რამეზე ვერც ვიფიქრებ. ხომ ხედავ, ყველაფერი ავწონ-დავწონე. ტლანქი ლაპარაკი იცის, პაპიროსს ეწევა, სვამს, საკუთარი ხელით უჩხუბნია. თვითონვე მიამბო, და უყვარს კიდეც ჩხუბი. ასე მითხრა. სულაც არ არის ისეთი კაცი, ვისაც მე... — ხმა თითქოს ჩაუწყდა და ძლივს გასაგონად დაამთავრა, — ქმრად ვისურვებდი. თან, მეტისმეტად ძლიერია. ჩემი საქმრო მაღალი უნდა იყოს, ჩამოსხმული, კოხტა, შავგვრემანი, მომხიბლავი პრინცი, არა, მაგისი ფიქრი ნუ გექნებათ. მარტინი არ შემიყვარდება. ღმერთმა დამიფაროს.

— მაგას არ გეუბნები, — ახლა მეორე მხრიდან შემოუარა დედამ, — საერთოდ თუ გიფიქრია ამაზე? ხომ ხედავ, არაფრით შენი შესაფერი არ არის. რომ შეუყვარდე უცებ?..

— უკვე ვუყვარვარ! — შესძახა ქალმა.

— ეგ მოსალოდნელიც იყო, — ალერსით უთხრა მისის მორზმა, — როგორ შეიძლება კაცს არ შეუყვარდე შენ, როცა გაგიცნობს.

— ოლნის ვძულვარ, მაგალითად! — მგზნებარედ შესძახა ქალმა, — მეცა მძულს ოლნი. რამდენს მომიახლოვდება, თავი კატად წარმომიდგენია. მინდა დავკაწრო. სულ ერთია, მე რომ არაფერი ცუდი გავიფიქრო, თვითონვეა ჩემს მიმართ ასე განწყობილი. მარტინ იდენთან რომ ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობ. არავის არ ვყვარებივარ ჯერ, არც ერთ მამაკაცს... ასეთი სიყვარულით, რაღა თქმა უნდა. ხომ გესმის ჩემი, დედა? ძალიან სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ ქალი ხარ, ნამდვილი ქალი, — თავი დედის კალთაში ჩარგო და ქვითინი აუვარდა, — ვიცი, საშინელი ვინმე გგონივართ, მაგრამ ტყუილს ხომ ვერ გეტყვი, რასაც ვგრძნობ, ის გითხარი.

მისის მორზს უცნაური გრძნობა დაეუფლა — გაეხარდა კიდევაც და გულიც დაწყდა. პატარა ბავშვი, რომელმაც ის იყო ხელოვნების ბაკალავრის დიპლომი დაიცვა, ერთბაშად გამქრალიყო და მის ადგილას დასრულებული ქალი გამოცხადებულიყო. ექსპერიმენტმა გაამართლა. რუთის ხასიათის უცნაური ნაკლი გამოსწორდა. გამოსწორდა ისე, რომ არც მომხდარა რამე და არც არაფერი საშინელება ემუქრებოდა. ამ ტლანქმა მეზღვაურმა სასარგებლო საქმე გააკეთა, რუთს არ შეჰყვარებია, მაგრამ ქალობა კი გაუღვიძა.

— ხელები უკანკალებს, — განაგრძო რუთმა, მაგრამ, დარცხვენილს, სახე კვლავ დედის კალთაში ჰქონდა ჩარგული, — ვიცი, რომ ახირებული გრძნობაა, სულელური, მაგრამ თან მებრალება. ძალიან რომ აუკანკალდება ხელები და თვალებიც აენთება, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე ლექციებს ვუკითხავ ხოლმე, მის ცხოვრებაზე ვმსჯელობ და ვარიგებ, როგორ მოიქცეს, როგორ გამოსწორდეს. ვგრძნობ, რომ მაღმერთებს, მისი თვალები და ხელები ტყუილს ვერ იტყვის. და მეც, თითქოს, უფრო გავიზარდე... ამ შეგრძნებამ გამზარდა, მარტო ამის ფიქრმა. თითქოს რაღაც გამიჩნდა, ჩემი საკუთარი რამ, რითაც მეც ვემსგავსები სხვა გოგონებს... და... ყმაწვილ ქალებს. ისიც ვიცი, რომ უწინ არა ვგავდი მათ, და ეს შენ გაწუხებდა. შენ გეგონა, ვერ ვამჩნევდი? ძალიან კარგადაც ვამჩნევდი, მინდოდა კიდეც... «გამოვსწორებულიყავი», როგორც მარტინ იდენი ამბობს ხოლმე.

ეს იყო წმიდა წუთები დედა-შვილის ცხოვრებაში, დანამული თვალები საღამოს ბინდბუნდში უბრწყინავდათ. რუთი — სპეტაკი უმანკოებისა და გულწრფელობის განსახიერება; დედამისი — მოსიყვარულე, გამგები და მშვიდი დამრიგებელი.

— ოთხი წლით შენზე უმცროსია, — ეუბნებოდა დედა, — არაფრის მქონებელი. არც მსახურობს, არც ქონება აბადია. ცხოვრება არ იცის. თუ უყვარხარ, ხელიც უნდა

გაანძრიოს, რამე საქმე გაიჩინოს, თავი შეიწუხოს, შენი შერთვის უფლება მოიპოვოს, ბალღურ ცნებებსა და მოთხრობების წერას თავი დაანებოს. ასეა ხოლმე მიღებული. თუმცა არა მგონია, მარტინ იდენმა რაიმეს მიაღწიოს. პასუხისმგებლობის გრძნობა არა აქვს, სულაც არა ჩანს მოწადინებული. კაცურ საქმეს მოჰკიდოს ხელი, როგორც ეს თავის დროზე მამაშენმა ქნა, ან მისმა მეგობრებმა, მარტო მისტერ ბატლერის მაგალითი რად ღირს. ტყუილია, მარტინ იდენი თავის დღეში ფულს ვერ გააკეთებს. ცხოვრება კი იმგვარად არის მოწყობილი, ბედნიერებას უფულოდ ვერ ეწევი... არა, დიდ სიმდიდრეს კი არ ვამბობ, მაგრამ იმდენი ხომ უნდა გქონდეს, რომ ადამიანურად იცხოვრო. ისე... ისე არაფერი უთქვამს?

— სიტყვაც არ დასცდენია. არც კი უცდია. ჯერ ერთი, მეც არ მივცემდი ამის ნებას, აკი გითხარი, არ მიყვარს-მეთქი.

— ძალიან გამახარე, გენაცვალე. ღმერთმა დამიფაროს, რომ ჩემმა შვილმა, ჩემმა ერთადერთმა ქალიშვილმა, ასე უმანკო და წმინდა გოგონამ, ამნაირი კაცი შეიყვაროს. კეთილშობილი ხალხი რამ გაწყვიტა ქვეყანაზე, სისპეტაკეც აქვთ, სიწმინდეც და კაცური კაცობაც. ასეთ ხალხს დაელოდე. შეხვდები ერთ მშვენიერ დღეს — შენც შეიყვარებ, ისიც შეგიყვარებს. ბედნიერები იქნებით, როგორც მე და მამაშენი. არის კიდევ ერთი რამ, რისი დავიწყებაც არასოდეს არ შეიძლება...

— რა, დედა?

მისის მორზს ხმა დაუტკბა და გაუნაზდა.

— შვილები.

— მეც... მეც მიფიქრია ამაზე, — გამოტყდა რუთი, მოაგონდა ის არეული ფიქრები, რომლებიც ერთ დროს ააფორიაქებდნენ ხოლმე: სახეზე ისევ მოაწვა ქალწულებრივი მორცხვობის სიწითლე, რომ ასეთ რამეებზე ასე აშკარად ლაპარაკობდა.

— სწორედ შვილების გამოა შეუძლებელი მისტენ იდენი შენი ქმარი გახდეს! — მისის მორზის ხმას სიმძაფრე შეერია, — ბავშვებს წმინდა შთამომავლობა უნდა ჰქონდეთ, ეს კაცი კი წმიდა მემკვიდრეობას ვერ გადასცემს. მამაშენს უამბნია ჩემთვის მეზღვაურების ცხოვრება და... და ხომ ყველაფერი გესმის?!

თანხმობის ნიშნად რუთმა დედას ხელი მოუჭირა, მოეჩვენა, რომ მართლა ესმოდა, თუმცა ბუნდოვანი შეხედულება ჰქონდა ამ საგანზე, რაღაც შორეული, ძნელად წარმოსადგენი და გასარჩევი.

— შენ თვითონ ხომ იცი, დედა, რომ მე არაფერს გიმალავ, — დაიწყო მან, — ოღონდ, ზოგი რამ შენ თვითონ უნდა მკითხო, როგორც ახლა, მაგალითად. ესეც მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ვიცი, რომ სულელური მორცხვობაა... განა არ ვიცი... მაგრამ შენ რომ შემეკითხები, უფრო გამიადვილდება. ზოგჯერ შენ თვითონ მკითხე, დღევანდელივით, საშუალება მომეცი, რომ გითხრა. ბოლოს და ბოლოს, შენც ხომ ქალი ხარ, დედა! — შესძახა გახარებულმა რუთმა, როცა ისინი წამოდგნენ, დედას ხელებში სტაცა ხელი და გაიმართა, პირდაპირ შეხედა, პირველად შეიგრძნო ისე უცნაურად სასიამოვნო თანაბარუფლებიანობა, რაც მათ შორის ჩამოვარდნილიყო. — შენ თვითონ რომ არ ჩამოგეგდო სიტყვა, დამოუკიდებლად არასოდეს თავში არ მომივიდოდა ეს. ჯერ მე თვითონ უნდა მეგრძნო თავი ქალად და მერეღა გავიგებდი, რომ შენც ქალი ხარ.

— ჩვენ ორივენი ქალები ვართ, — უთხრა დედამ, მკერდზე მიიკრა და აკოცა, — ჩვენ ორივენი ქალები ვართ, — კვლავ გაიმეორა, როცა ოთახიდან გავიდნენ, ხელი ერთმანეთისთვის ჰქონდათ წელზე შემოხვეული, გული მეგობრული სიყვარულით გავსებოდათ.

— ჩვენი პატარა გოგონა უკვე ქალი გახდა, — ამაყად უთხრა მისის მორზმა ქმარს ერთი საათის შემდეგ.

— შეუყვარდა ვინმე?! — ჩაეკითხა ქმარი და თვალი ცოლს მიაპყრო.

— არა, ეგ შეუყვარდათ, — ღიმილით უპასუხა ცოლმა, — ექსპერიმენტმა გაგვიმართლა. როგორც იქნა, ქალობა გაეღვიძა.

— მაშ, დროა თავიდან მოვიშოროთ იდენი, — მოკლედ, საქმიანად მოჭრა მისტერ მორზმა.

მაგრამ ცოლმა თავი გააქნია.

— ეგ არ იქნება საჭირო. რამდენიმე დღეში გემს გაჰყვება ზღვაზე, რუთმა მითხრა. როცა დაბრუნდება, რუთი არ დახვდება აქა. მამიდა კლარასთან გავგზავნი. მთელ წელიწადს გაატარებს აღმოსავლეთის შტატებში... კლიმატის გამოცვლა, სხვა ხალხი, სხვა პირობები... ესღა სჭირდება ახლა ჩვენს ქალს.

თავი მეოცე

კიდევ ერთხელ წამოუარა წერის სურვილმა მარტინს. თავისთავად, განუწყვეტლივ იბადებოდა თავში ახალ-ახალი მოთხრობები და ლექსები, მარტინი ინიშნავდა და მომავლისათვის დებდა. დაწერით კი არა წერდა. ეს იყო ერთგვარი მოკლე არდადეგები და, გადაწყვიტა, მთლიანად დასვენებისა და სიყვარულისთვის მიეძღვნა იგი — კარგადაც გაუმართლა. მალე აივსო სასიცოცხლო ენერგიით და რამდენს შეხვდებოდა რუთს, ქალი ძველებურადვე გრძნობდა ჭაბუკის ჯანისა და ძალის მოზღვავებას.

— ფრთხილად იყავი, — კიდევ ერთხელ გააფრთხილა დედამ, — რაღაც ძალიან ხშირად ხვდები მარტინ იდენს!

მაგრამ რუთს თავდაჯერებულად გაეცინა. საკუთარი თავის იმედი ჰქონდა, თანაც მარტინი რამდენიმე დღეში გემს უნდა გაჰყოლოდა. ხოლო, როცა ზღვიდან დაბრუნდებოდა, ქალი უკვე აღმოსავლეთ შტატებში იქნებოდა სტუმრად. მარტინის ჯანსა და ძალას მაინც მაგიური გავლენა ჰქონდა. ბიჭმა რომ გაიგო, დიდი ხნით უნდა წავიდეს რუთი აღმოსავლეთშიო, მიხვდა, რომ სიჩქარე იყო საჭირო. მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოტყდომოდა სიყვარულში რუთისთანა ქალს. სამიჯნურო გამოცდილება დიდი ჰქონდა, მაგრამ ახლა არ გამოადგებოდა, რუთი არაფრით არა ჰგავდა იმ გოგონებს და ქალებს. ისინი გამოწვრთნილ-გამოჯეკილები იყვნენ სიყვარულსა და არშიყობაში, ცხოვრება კარგად ესმოდათ, რუთს კი ამეებისა არაფერი გაეგებოდა. ქალის გასაოცარი უმანკოება ხელ-ფეხს უბორკავდა, გულიდან დაძრულ სიტყვებს ბაგეზე უყინავდა, უნებურად შთააგონებდა, მისი ღირსი არ ხარო. კიდევ ერთი გარემოება უშლიდა ხელს: თავის დღეში შეყვარებული არა ყოფილა მარტინი. მოსწონებია ქალები, გატაცებულიც ყოფილა, მაგრამ სიყვარული რა იყო, აქამდე არ განუცდია. ერთს დაუსტვენდა ბატონკაცურად, უდარდელად და ქალები თავისით მოდიოდნენ. შემთხვევითი იყო ხოლმე ეს მოვლენა, დროებითი, იმ თამაშის ერთი შემადგენელი ნაწილი, რაც მამაკაცებს ახასიათებთ, თანაც პატარა ნაწილი. ახლა კი, პირველად თავის სიცოცხლეში, დაფრთხა-დაიმორცხვა, მორჩილი და საკუთარ თავში დაეჭვებული გახდა. აღარ იცოდა, რა ექნა, სათაყვანებელი ქალის უმანკოებამ დააფრთხო.

ამ ჭრელ ქვეყანას რომ ეცნობოდა, მის ორომტრიალში რომ ეხვეოდა, მარტინმა თანდათანობით ერთი წესი გამოიტანა. უცხო თამაშში არასოდეს პირველი სვლა არ გაეკეთებინა. ათასჯერ გაუმართლა ამ წესმა, თანაც დაკვირვების უნარი გაუმახვილა.

შეეჩვია, როგორ უნდა ეთვალთვალებინა შორიდან უცხო მოვლენისათვის, კარგად აეწონ-დაეწონა ყველაფერი და დაეცადა, როცა მეტოქეს სუსტ ადგილს შენიშნავდა, მაშინ შეეტია, როგორც კრივის დროს არჩევდა ხოლმე დაუცველ ადგილს. ხოლო როცა ასეთ ადგილს შენიშნავდა, მერე უკვე გამოცდილებით იცოდა, რა სწრაფი და გადამწყვეტი იერიში უნდა მიეტანა.

ახლაც იცდიდა, ზომავდა, გულით ეწადა სასიყვარულო სიტყვები ეთქვა რუთისთვის, მაგრამ ვერ ბედავდა. თავის თავში არ იყო დაჯერებული, ეშინოდა, არ დავაფრთხოო. მაგრამ თავისდა უნებურად სწორ გზას კი ადგა. ჯერ ლაპარაკი სად იცოდა ადამიანმა, როცა სიყვარული გაჩნდა, და გაჩენისთანავე ისეთი ხერხები და ფანდები შეითვისა, რაც შემდეგ აღარასოდეს არ მისცემია დავიწყებას. სწორედ ამ პირველყოფილი ხერხებით ახერხებდა მარტინი რუთის გულის მონადირებას. ჯერ თავისდა უნებურად ხდებოდა ეს. ვერც კი გრძნობდა, რას აკეთებდა, და ბოლოსღა მიხვდა. ხელი ხელზე რომ მოუხვდებოდა, ამას გაცილებით უფრო დიდი ძალა ჰქონდა, ვიდრე რაიმე სიტყვას; მისი ძალის შეგრძნება გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო ქალისათვის, ვიდრე დაბეჭდილი ლექსები და შეყვარებულთა ათასი თაობების მგზნებარე აღსარებანი. სიტყვიერი აღსარება პირველად რუთის გონებას მოხვდებოდა, ხელის შეხება და უბრალოდ ერთმანეთთან ახლოს ყოფნა კი უშუალოდ მის ქალურ ინსტინქტებს აღვიძებდა; გონება ისეთივე ნორჩი იყო, როგორც თვითონ რუთი, ინსტინქტები კი — ხანდაზმული, როგორც ადამიანთა მოდგმა. უფრო ხანდაზმულიც. უხსოვარ დროში გაჩნდნენ ეს ინსტინქტები, სიყვარულს მოჰყვნენ თან, და უფრო მოგვიანებით გაჩენილი აზრი, ჩვეულებანი, სხვაც ბევრი რამ, ვერაფრით ვერ შეედრებოდნენ მის სიბრძნეს. რუთის გონება გაჩუმებული იყო. მას არავინ მიმართავდა და ამიტომ რუთს კარგად ვერ ჰქონდა გათვალისწინებული ის ძალა, რითაც მარტინი, უსიტყვოდ, დროდადრო მის სასიყვარულო ინსტინქტებს მოუწოდებდა. ის კი დღესავით ნათელი იყო, რომ უყვარდა ქალი, და რუთი ტკბებოდა ამ სიყვარულის გამოვლინებით — ჭაბუკის ალერსით ანთებული თვალებით, ხელების ათრთოლებით, სიწითლით, რაც ხშირად მოედებოდა ხოლმე ჭაბუკის მზით გარუჯულ ღაწვებს. რუთი თითქოს თვითონაც უღვივებდა სიყვარულს მარტინს, მაგრამ ეს ხდებოდა სანახევროდ თავისდა უნებურად, თანაც ისე უბრალოდ და მიამიტურად, რომ არათუ ჭაბუკი, თვითონაც ვერა გრძნობდა კარგად. მაგრამ თრთოდა ხოლმე იმის შეგნებით, რომ ქალური ზეგავლენის ძალა გამოამჟღავნა, ჭაბუკთან ასეთი თამაში და მისი წამება სიამოვნებასა ჰგვრიდა ევას დარად.

გამოუცდელობისა და მღელვარებისაგან ენადაბმული მარტინი კვლავ ესწრაფოდა ქალთან შეხვედრას და თვითონაც ვერა გრძნობდა ისე, უსიტყვოდ და მიამიტურად აგრძნობინებდა სიყვარულს. მისი ხელის შეხება სასიამოვნო გამხდარიყო ქალისათვის, უფრო მეტიც, ვიდრე უბრალო სიამოვნება. მარტინმა არ იცოდა ეს, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ ქალს არ ეზიზღებოდა მისი შეხება. მართალია, ხელს მარტო შეხვედრისას და გამომშვიდობების დროს თუ ჩამოართმევდნენ, მაგრამ როცა ველოსიპედებს უტრიალებდნენ, ან ქალაქგარეთ წაღებულ ლექსების კრებულს კითხულობდნენ, როცა ერთად ფურცლავდნენ წიგნს, მაშინაც ხშირად ეხებოდა მათი ხელები ერთმანეთს. წიგნზე რომ დაიხრებოდნენ, ქალის თმაც ხშირად მოხვედრია ჭაბუკის ღაწვებს. რუთს გაეღიმებოდა ხოლმე, როცა მოულოდნელად, თვითონაც არ იცოდა საიდან, დაუპატიჟებელი სურვილები ეწვეოდნენ და მოუწოდებდნენ ჭაბუკისათვის თმა აეწეწა. ბიჭს კი, თავის მხრივ, დაუოკებელი ჟინი მოუვლიდა, როცა კითხვით დაიღლებოდა, თავი ქალის კალთაში მიესვენებია და,

თვალდახუჭულს, თავიანთ მომავალზე ეოცნება. საკვირაო პიკნიკების დროს, წინათ, შელმუნდ პარკსა და შუსტონ პარკში, რამდენი ქალის კალთაზე მიუდვია თავი მარტინს. არხეინად დაიძინებდა ხოლმე, გოგო კი ამ დროს მზრუნველობით უჩრდილავდა მზეს და თვალებით ელაციცებოდა, უკვირდა, ასეთ დაუდეგარ გულგრილობას როგორ იჩენს სიყვარულის მიმართო. ქალის კალთაზე თავის მიდება აქამდე სულ უბრალო და უმნიშვნელო საქმედ მიაჩნდა, ახლა კი, რუთს რომ შეხედავდა, შეუძლებლად და წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. მაგრამ სწორედ ამ თავშეკავებაში იყო მისი სიყვარულის დიდი ზეგავლენის ძალა. სწორედ ამ თავშეკავების წყალობით მოხდა, რომ ქალი ერთხელაც არ დაუფრთხია. გამოუცდელი და მოკრძალებული რუთი ვერა გრძნობდა, რა საშიშ მიმართულებას ღებულობდა მათი ურთიერთობა. ანგარიშმიუცემლად, თავისდა უნებურად, ჭაბუკისაკენ მიუწევდა ქალს გული, მარტინი კი გრძნობდა, როგორ მტკიცდებოდა მათი სიახლოვე, ცდილობდა გამბედაობა გამოეჩინა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ერთხელ კი გაბედა. საღამო ხანი იყო, როცა მოვიდა და რუთი ფარდებჩამოშვებულ ოთახში დახვდა, თავის ტკივილი აწამებდა.

— ვერაფერმა ვერ მიშველა, — უპასუხა მან მარტინს, — თავის ტკივილის ფხვნილები კი ექიმმა ჰოლმა ამიკრძალა.

— იქნებ მე მოგარჩინოთ უწამლოდ, — უთხრა მარტინმა, — რა თქმა უნდა, ვერ დავიჟინებ, მაგრამ ვცდი მაინც. უბრალო მასაჟია. იაპონელებმა მასწავლეს. მასაჟი ხომ მაგათი მოგონილია. მერე ჰავანაშიაც ვნახე, როგორ აკეთებენ მასაჟს, თუმცა ცოტა უფრო სხვანაირად. «ლომი-ლომის» ეძახიან. ზოგჯერ წამალი ვერ მოარჩენს კაცს და ეს კი შველის.

შეეხო თუ არა ხელებით შუბლზე, ქალმა ამოიხვნეშა.

— რა კარგია.

ნახევარი საათის შემდეგ კიდევ გაიღო ხმა:

— არ დაიღალეთ?

სავსებით ზედმეტი იყო ეს შეკითხვა, წინასწარვე იცოდა, რა პასუხს მიიღებდა. დამამშვიდებლად იმოქმედა მარტინის სასიამოვნო ძალამ და ბურანში წავიდა. ჭაბუკის თითებიდან სიცოცხლის ენერგია გადმოდიოდა, ტკივილს დევნიდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ქალს, — ბოლოს სულაც დაუამდა და ჩაეძინა, მარტინი ფეხაკრეფით გამოვიდა.

საღამოზე ქალმა ტელეფონით დაურეკა და მადლობა უთხრა.

— ვახშმობამდე მეძინა, — უთხრა მან, — სულ მომარჩინეთ, მისტერ იდენ, აღარ ვიცი, როგორ გითხრათ მადლობა.

დიდი ბედნიერებისაგან მარტინი აირია, ენა დაება, რაღაცას ეუბნებოდა და თან თვალწინ ბროუნინგი და ელიზაბეტ ბარეტი ედგა. რაც ერთხელ მომხდარა, კიდევ შეიძლება განმეორდეს, მარტინ იდენსაც შეუძლია გააკეთოს ეს, გააკეთებს კიდეც აგერ რუთ მორზისათვის. თავის ოთახში რომ შებრუნდა, სპენსერის «სოციოლოგიას» დასწვდა ხელად, რომელიც საწოლზე იდო გადაშლილი. მაგრამ წაკითხვა ვერ მოახერხა. სიყვარული სტანჯავდა, მის სურვილებსა და ნებისყოფას განაგებდა, ასე რომ, ძველი გადაწყვეტილების მიუხედავად, იგი უცებ, თავისდა უნებურად, მელნით გასვრილ პატარა მაგიდასთან აღმოჩნდა. სონეტი, რომელიც იმ ღამეს შეთხზა, იყო პირველი იმ სამიჯნურო სონეტების ორმოცდაათიან ციკლიდან, რაც ორ თვეში დაიწერა. წერდა და თავში «ორტუგალიური სონეტები» უტრიალებდა. განწყობილება სწორედ დიდი შემოქმედებისა ჰქონდა — თვითონვე იყო სიყვარულით გზნებული და გათანგული.

მთელი თავისუფალი დრო, როცა იგი რუთთან არ იყო, მიუძღვნა ამ «სამიჯნურო ციკლსა» და წიგნის კითხვას. შინაც კითხულობდა და ბიბლიოთეკაშიაც, სადაც უფრო დაკვირვებით გაეცნო იმდროინდელ ჟურნალების შინაარსს და საერთოდ სარედაქციო პოლიტიკას. რუთთან როცა იყო, ხან იმედით ევსებოდა გული, ხან გაურკვევლობის ბურუსში იძირებოდა და ერთიცა და მეორე განცდაც ერთნაირად მტანჯველი გამოდგა. მას შემდეგ, რაც მარტინმა თავის ტკივილისაგან განკურნა რუთი, ერთი კვირა იქნებოდა გასული, როცა ნორმანმა სურვილი გამოთქვა — მთვარიან ღამეს ტბაზე გავიდეთ სასეირნოდო. ართურმა და ოლნიმ მოიწონეს ნორმანის წინადადება. მარტინის მეტს არავის შეეძლო აფრიანი ნავის მართვა, ასე რომ, კაპიტნობა მას შესთავაზეს. რუთი გვერდში მოუჯდა, კიჩოზე, სხვები კი შუაში ჩამოსხდნენ არხეინად და ხელად დავა გააჩაღეს უნივერსიტეტის საქმეზე.

ჯერ მთვარე არ ამოსულიყო, რუთი უხმოდ იჯდა, შეჰყურებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ერთბაშად მარტოობის გრძნობამ მოიცვა. მარტინს გადახედა. ქარმა ოდნავ წამოაფერდა ნავი, მარტინი ცალი ხელით რუმპელს გადასწვდა, მეორეთი — გროტს, სცადა სანაპირო ხაზისათვის აერიდებინა ნავი. რუთის მზერას ვერა გრძნობდა, ქალი კი არ აშორებდა თვალს, შეჰყურებდა და გაკვირვებით ფიქრობდა, რა ახირებული ჟინი სჭირს ამ კაცს, ასე ძლიერსა და ნიჭიერს, მთელი დრო ფლანგოს უღიმღამო ლექსებისა და მოთხრობების წერაზე, რასაც გამარჯვება არ უწერია, წინასწარვე განწირულიაო.

თვალებით ეალერსებოდა ქალი ჭაბუკის ღონიერ კისერს, რომელიც ღამის ბურუსში ბუნდოვნად მოჩანდა, კოხტად გამოყვანილ თავს... და კვლავ ნაცნობი სურვილი აღეძრა — ხელი მოეხვია ამ კისერზე. წინათ ხომ რაღაცნაირად ეზიზღებოდა ჭაბუკის ძალა, ახლა კი თითქოს იზიდავდა. მარტოობის განცდა კიდევ უფრო გაუძლიერდა და მოთენთილობა იგრძნო. წამოფერდებული ნავის რწევამ გააღიზიანა, გაახსენდა, როგორ დაუამა ამას წინათ მარტინმა თავის ტკივილი, რა დამამშვიდებელი ძალა ჰქონდა ჭაბუკს. ახლა გვერდში ეჯდა მარტინი, იქვე, სულ ახლოს, და რამდენს დაირწეოდა გადმოფერდებული ნავი, თითქოს სულ ჭაბუკისკენ აცურებდა ქალს. მოუნდა, მკერდზე მიყრდნობოდა, მის ძალას მინდობოდა — ეს იყო ბუნდოვანი გაურკვეველი სურვილი, მაგრამ როცა გაერკვა და მიხვდა, რაც იყო, მაინც მიეყრდნო ჭაბუკს. ან იქნებ ნავის რწევამ მიახალა? თვითონაც არ იცოდა ეგ. ვერც შემდეგ მიხვდა. ის იგრძნო მხოლოდ, რომ ჭაბუკს მიყრდნობოდა და საამურად დამამშვიდებელი იყო ეს სიახლოვე. ალბათ მართლაც ნავის ბრალი იყო, მაგრამ რუთი არც კი ცდილა, ისევ გაწეულიყო. ოდნავ მიეყრდნო ჭაბუკის მხარს, მაგრამ აღარ მოშორებია, ისევე დარჩა მაშინაც კი, როცა ჭაბუკმა მხარი შეაბრუნა, რათა უფრო მარჯვედ მიყრდნობოდა ქალი.

სიგიჟე იყო ეს, მაგრამ რუთს აღარც კი სურდა თავის საქციელს ჩაფიქრებოდა. რუთი აღარ იყო იგი, ქალად ქცეულიყო და ამიტომ დასაყრდენ ძალას საჭიროებდა. მართალია, ოდნავ მიეყრდნო, მაგრამ ეგეც საკმარისი აღმოჩნდა. ახლა უკვე აღარ გრძნობდა მოთენთილობას. მარტინი ხმას არ იღებდა, ეშინოდა, ნეტარება არ გაქრესო. მისი თავდაჭერილობის წყალობით ნეტარება კვლავ გრძელდებოდა. მაგრამ თავბრუ ესხმოდა, ტვინი ერეოდა. ვეღარ გაეგო, რა ხდებოდა. სიზმარს უფრო ჰგავდა, სინამდვილე არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ძლივს მოერია გიჟურ სურვილს, რუმპელისა და გროტისთვის ხელი ეშვა და ქალი მკერდში ჩაეკრა. ალღომ უკარნახა, ამით ყველაფერს გააფუჭებდა და გულში უხაროდა კიდეც, რომ ხელები თავისუფალი არა ჰქონდა და ამით ცთუნებას გადარჩა. ოღონდ განგებ შეანელა სვლა, სინდისის უქენჯნელად მოუშვა აფრა, რათა ნელა ევლოთ სანაპიროს გასწვრივ;

იცოდა, რომ გეზს თუ შეცვლიდა, მასაც ადგილი უნდა შეეცვალა, და ნეტარება დაირღვეოდა. მარჯვედ აკეთებდა ამას, მოკამათეებს არც კი შეუმჩნევიათ, თავის მძიმე ხელობას ლოცავდა, რომ ახლა ზღვა, ნავი და ქარი დაამორჩილებინა და შეაძლებინა ამ დიდებულ ღამეს რუთთან მხარმიყრდნობილს უფრო დიდხანს ეცურა.

როცა მთვარის პირველი სხივი აფრას მისწვდა და ნავი მარგალიტის ელვარებით გაანათა, რუთმა გვერდზე გაიწია. იგრძნო, რომ მარტინიც ასე მოიქცა. ორივეს ერთდროულად გაუჩნდა სურვილი, სხვებს არ შეემჩნიათ მათი სიახლოვე, ეს მათ საერთო საიდუმლოდ რჩებოდა. სახეანთებული რუთი ცალკე იჯდა, ახლაღა მიხვდა თავის საქციელს. ისეთი რაღაც ჩაიდინა, რისი გამხელა არც ძმებისთვის უნდოდა და არც ოლნისთვის! როგორ მოხდა ეს? თავის დღეში ასეთი არაფერი მოსვლია, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დროსაც უსეირნია ჭაბუკთან ერთად, მთვარიან ღამეში. ერთხელაც არ მოსვლია ასეთი სურვილი. რცხვენოდა, გაოგნებული იყო ამის გამო, რომ ქალური ინსტინქტები გაეღვიძა. შეპარვით გადახედა მარტინს, რომელიც ნავს ახლა მიმართულებას უცვლიდა; მზად იყო შეეძულებინა ვაჟი, რომელმაც ასეთი უსირცხვილო და უტიფარი საქმე ჩაადენინა. სწორედ მან — ამდენ მამაკაცთაგან მან ერთმა! დედა ალბათ მართალი იყო, ძალიან ხშირად ხვდებიან ერთმანეთს! გადაწყვიტა, მეტად აღარ მოსვლოდა ასეთი რამ. ასე ხშირად აღარც შეხვდებოდა მომავალში. სულელური აზრი მოუვიდა: ცალკე რომ შევხვდები მარტინს, მოვატყუებ, თითქოს სასხვათაშორისოდ ვეტყვი, რომ მთვარის ამოსვლის წინ გული ცუდად გამიხდაო. მაგრამ მაშინვე გაახსენდა, როგორ შეთანხმებულივით გაშორდნენ ერთმანეთს სწორედ მთვარის ამოსვლის წინ — მარტინი ხელად მიხვდებოდა, რომ ეს სიცრუე იყო.

მომდევნო დღეებში რუთი თითქოს საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა, უცნაური რაღაც მოუვიდა, აღარ უნდოდა თავის საქციელს ჩაფიქრებოდა, მომავალი გაეთვალისწინებინა, ჩაკვირვებოდა, თუ საით ეშვებოდა, რა მოელოდა! ესმოდა, როგორ რეკდა და მოუხმობდა ახალგაღვიძებული იდუმალი ინსტინქტები, რაც ხან ხიბლავდა, ხანაც აფრთხობდა; აღარ იცოდა, რა ეფიქრა, გაოგნებულიყო. მაგრამ ერთი მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და ამან რწმენაც განუმტკიცა: მარტინს სიყვარულზე ლაპარაკის ნებას არ მისცემდა და, ამდენად, საშიში აღარაფერი მოხდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჭაბუკი გემს გაჰყვებოდა. თუნდაც გაბედოს და უთხრას რამე, მაინც არაფერია. რა მნიშვნელობა აქვს, რუთს ხომ არ უყვარს! მართალია, ნახევარი საათით გულს ატკენს ჭაბუკს, თვითონაც აირევა ოციოდე წუთით, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს იქნება პირველი გამჟღავნება სიყვარულისა. ამის გაფიქრებაზეც კი რუთს საამო ჟრუანტელმა დაუარა. მაშ, დაქალებულა უკვე — მამაკაცს შეჰყვარებია, აგერ ხელსა სთხოვენ! ძალიან მაცთუნებელი გამოდგა ეს მისი ქალური ინსტინქტებისათვის. მთელი არსებით თრთოდა, ისე არ შორდებოდა ეს ფიქრი, ისე უტრიალებდა თავში, როგორც ფარვანა, დასტრიალებს ხოლმე სანთელს. ისიც კი წარმოიდგინა, როგორ მივიდა მარტინი და როგორა სთხოვა, ცოლად გამომყევიო, თავად შეთხზა მარტინის სიტყვები, თვითონ კი დაჟინებით იმეორებდა უარს, ოღონდ რბილად, ალერსიანად, მარტინის ჭეშმარიტ კეთილშობილებასა და ვაჟკაცობას იყო დანდობილი. პირველ ყოვლისა, მარტინმა პაპიროსს უნდა გაანებოს თავი. ეს აუცილებელი პირობაა. არა, სულაც არ მისცემს სიყვარულზე ლაპარაკის უფლებას. აკი დედასაც აღუთქვა და ძალაც შესწევს ამისა. ერთიანად წამოჭარხლებულმა და სახეანთებულმა, სინანულით მოიშორა შეუფერებელი ფიქრები. უნდა დაიცადოს, მანამ შესაფერი დრო დადგებოდეს და უფრო ღირსეული კაცი გამოჩნდებოდეს.

თავი ოცდამეერთე

დადგა მშვენიერი დღეები — თბილი, მყუდრო, წყნარი, ნამდვილი კალიფორნიული შემოდგომა, როცა მზე ნისლში გაეხვევა ხოლმე და სუსტი ნიავი მთვლემარე ჰაერსაც კი ვეღარ არხევს. წითლად დაფერილი სიფრიფანა ნისლი, რომელიც ორთქლს კი არა ჰგავს, ნაირფერადი ძაფების ქსოვილს უფრო მიამსგავსებ, გორაკების ღრუბლებში მიმალულა. სან-ფრანცისკო კვამლის ლაქასავით გადაჭიმულა. ხმელეთში შეჭრილი ყურე გამდნარი ლითონის მქრქალი ელვარებით მოჩანს, აფრიანი ნავები ზოგი უმოძრაოდ გაწოლილა, ზოგს ძლივს შესამჩნევად მიაცურებს ზანტი დინება. შორს, ვერცხლისფერ ნისლში გახვეული ტამალპაისი წამოჭიმულა, ოქროს ჭიშკრის ფონზე კიდევ უფრო ბუმბერაზი ჩანს, ხოლო თვით ჭიშკარი ჩამავალი მზის სხივებს მართლაც ოქროსფრად აუელვარებია. იმის მიღმა — წყნარი ოკეანის ვეება, მქრქალი სივრცე. ცის შესართავთან ღრუბლის მთები მოუხვავებია და ხმელეთს უმიზნებს, ეს არის მოახლოვებული ზამთრის პირველი ქარიშხლოვანი სუნთქვა.

მართლაც დამდგარა ზაფხულის ყავლი, მაგრამ ფეხს ითრევს, იხტიბარს არ იტეხს, დაძვრება მთებში ჩამომჭკნარი, ღონემილეული. ხევები წითლად ჩაუმუქებია, წამოუსხამს ნისლის გაცრეცილი სუდარა და, იმით კმაყოფილი, რომ თავის გემოზე მოჭამა ეს წუთისოფელი, სულს ღაფავს.

ამოჩემებულ გორაკის ფერდობზე მარტინი და რუთი ჩამომსხდარიყვნენ და წიგნებს ჩაჰყურებდნენ, მარტინი ხმამაღლა კითხულობდა სამიჯნურო სონეტებს, დაწერილს ქალის მიერ, რომელსაც ისე უყვარდა ბროუნინგი, რომ ბევრი მამაკაცი ვერ ეღირსება ასეთ შეყვარებას.

მაგრამ ხალისიანად ვერ აეწყო კითხვა. მეტისმეტად ძლიერი გამოდგა ჯადო ბუნების წარმავალი მშვენიერებისა. სიკვდილიც ისევე შვენოდა ბუნებას, როგორც სიცოცხლე, ისეთივე ლამაზი იყო. წარსული ავხორცობის გამო ოდნავადაც სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა, ჰაერიც კი, ირგვლივ, ტკბილი მოგონებების მოთენთილობით დამძიმებულიყო. ეს მოდუნება და მოთენთილობა გადასდებოდა რუთსა და მარტინსაც, მათი ნებისყოფა შეესუსტებინა, აზრებსა და გადაწყვეტილების სიმტკიცეზე დუნე ოცნების ვარდისფერი ნისლი შემოეხვია. მარტინი მინებდა ასეთ განწყობილებას, დროდადრო თითქოს თბილი ტალღა გადაევლებოდა სასიამოვნოდ. თავი სულ ახლოს მიეტანა რუთის თავთან და როცა ნიავი ქალის კულულებს შეარხევდა და ჭაბუკის სახეს შეახებდა, სტრიქონები წიგნში ცურვას იწყებდა ხოლმე.

— დარწმუნებული ვარ, ერთი სიტყვაც არ გაგიგიათ წაკითხულიდან, — უთხრა რუთმა, როცა მარტინს სტრიქონები აერია.

მარტინმა ანთებული თვალებით შეხედა და ლამის გაამჟღავნა საკუთარი განცდები, მაგრამ მალევე მოეგო გონს.

— მგონი, არც თქვენ მოგისმენიათ. აბა, რაზე იყო ბოლო სონეტი?

— არ ვიცი, — გამოტყდა რუთი და გაეცინა, — დამავიწყდა. ნუღარ ვკითხულობთ. ასეთი მშვენიერი დღეა.

— მორჩა, კარგა ხანს ვეღარ გამოვისეირნებთ ამ მთებში, — სერიოზულად განაცხადა მარტინმა, — ზღვას გახედეთ, ქარიშხლის ღრუბლები დაძრულა.

წიგნი ხელიდან დაუცურდა და მიწაზე დავარდა; ისხდნენ, ხმას არ იღებდნენ, ზანტად გაჰყურებდნენ მთვლემარე ყურეს, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ. რუთმა მარტინის კისერს გახედა ცერად. თავად არ განძრეულა, რაღაც გარეგანმა ძალამ,

მიზიდულობის ძალაზე უფრო ძლიერმა, მტკიცემ და გარდაუვალმა უბიძგა. ერთი გოჯიღა იყო საკმარისი, რომ მარტინს შეხებოდა და ეს მისდა უნებურად მოხდა. ისე ნაზად შეეხო მისი მხარი მარტინისას, როგორც პეპელა შეეხება ხოლმე ყვავილს. ასეთივე ნაზი იყო პასუხიც. ქალმა ხელადვე იგრძნო ისიც, თუ როგორ ნაზად მოაწვა მას მარტინის მხარი და ისიც, თუ როგორ დაუარა ჭაბუკს ტანში ჟრუანტელმა. წესით, ახლა რუთი უკანვე უნდა დახეულიყო. მაგრამ მისი მთელი მოქმედება ავტომატური გახდა, თავს ვეღარ იმორჩილებდა. ისე იყო შმაგი სიამით აღტყინებული, რომ ამაზე აღარც ფიქრობდა.

ჭაბუკის ხელი მძიმედ ჩაცურდა და წელზე შემოეხვია ქალს. რუთი ტანჯვის სიამით გრძნობდა ჭაბუკის ხელის ნელ მოძრაობას, გრძნობდა და ელოდა. ელოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რას; სუნთქვა გაუხშირდა, ტუჩები გაუშრა და აეწვა. გული ძალუმად აუძგერდა, სისხლში მოლოდინის თრთოლვამ დაუარა. წელზე მოხვეული მკლავი ზევით წამოვიდა და მეტი სიმტკიცე მიეცა, უფრო ახლოს მიიზიდა ქალი, ფრთხილად და ალერსიანად. მეტი ლოდინი უკვე აღარ შეეძლო ქალს. ერთი ამოიკვნესა ღონემიხდილმა და ანგარიშმიუცემლად, თავისდა უნებურად, ჭაბუკისაკენ გაიწია, მკერდზე მიასვენა თავი. ბიჭის თავი უფრო სწრაფად დაიძრა და როცა მოახლოებული ტუჩები იგრძნო ქალმა, თავისი ბაგე შეაგება.

ალბათ ეს არის სიყვარული, გაიფიქრა ქალმა, როცა ერთი წამით გონი დაუბრუნდა. თუ სიყვარული არ იყო ეს, დიდი სირცხვილი მოსვლია. არა, ნამდვილად სიყვარული იყო. რუთს უყვარდა ეს ჭაბუკი, რომელსაც ახლა ხელები მოეხვია მისთვის და ტუჩებით ტუჩებზე დაკვდომოდა. კიდევ უფრო მაგრად მიეკრა ჭაბუკს, მთელი ტანით ჩაეხუტა. წამიც და თითქოს ნახევრად დაუსხლტა, ზეაიწია და ორივე ხელი მზით გარუჯულ კისერზე შემოაჭდო მარტინ იდენს. ისეთი მწველი იყო ნანატრი სიყვარულის ეს უეცარი განცდა, რომ ქალს სუსტი კვნესა აღმოხდა, ხელები მოუდუნდა და თითქმის გონდაკარგული მიენდო ჭაბუკის მკლავებს.

ერთი სიტყვაც კი არ თქმულა. დიდხანს არ თქმულა სიტყვა. ორჯერ დაიხარა ჭაბუკი ქალის საკოცნელად ორჯერვე რუთის ტუჩები მორცხვად შეეგება მის ტუჩებს, ნეტარებით მოთენთილი სხეული სულ უფრო და უფრო ეკვროდა, ისე ტკბილად ჩაეხუტა, რომ ახლა მოშორება ეძნელებოდა. ჭაბუკი იჯდა, ქალი ხელში ეჭირა და დაბინდული თვალებით, ზღვის ყურეს იქით, ვეებერთელა სივრცეზე გადაჭიმულ ქალაქს მიშტერებოდა. ამჯერად არავითარი ხილვა არ გამოცხადებია. ხედავდა მხოლოდ ფერებს, მზის ნათელ სხივებს, ამ დღესავით მცხუნვარეს და მისი სიყვარულის დარად მხურვალეს. ისევ დაიხარა ქალისკენ.

— როდის შეგიყვარდი? — ამოიჩურჩულა ქალმა.

— პირველი დღიდანვე, როგორც კი დაგინახე, როგორც კი თვალი შეგავლე. მაშინვე დავკარგე ჭკუა და მას შემდეგ სულ ვგიჟდები და ვშმაგდები. ახლაც, აგერ, საშინლად გაშმაგებული ვარ, ჩემო საყვარელო. სიხარულით ჭკუა დამიკარგავს, მთვარეულსა ვგავარ.

რუთმა ამოიოხრა და კარგა ხნის შემდეგ თქვა:

— მიხარია, რომ ქალი ვარ, მარტინ... ჩემო ძვირფასო.

მარტინმა ისევ მაგრად მიიხუტა და ჰკითხა:

— შენ?.. შენ როდისღა მიხვდი პირველად?

— თავიდანვე. თითქმის პირველი დღიდანვე.

— ბრმა ვყოფილვარ ღამურასავით! — შესძახა მარტინმა, მის ხმაში წყენა გაისმა, — ვერც კი წარმოვიდგენდი. ახლაღა მივხვდი... როცა გაკოცე.

— არა, მაგას არ გეუბნები, — ოდნავ გვერდზე გაიწია და ჭაბუკს შეხედა, — შენ რომ გიყვარდი, ამას მივხვდი პირველ დღესვე.

— უცებ ვიგრძენი, ერთბაშად, — ძალიან ნელა ლაპარაკობდა ქალი, თვალებში სითბო ჩაეღვარა. თრთოლამ აიტანა, ღაწვები შეუფაკლდა და აღარც გადაუვლია სიწითლეს, — სულაც არ მიგრძვნია, მანამ... მანამ მკლავები არ მომხვიე. აქამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, შენი ცოლი თუ გავხდებოდი, მარტინ. როგორ შემაყვარე თავი?

— არ ვიცი. — გაეცინა ჭაბუკს, — ალბათ ჩემი სიყვარულის გავლენით. ქვასაც კი მოალბობდა ჩემი სიყვარული. მით უმეტეს შენისთანა ქალის გულს.

— სულ სხვანაირი მეგონა სიყვარული, — ჩაილაპარაკა ქალმა.

— მაინც როგორი?

— სულ სხვანაირი, — რუთიმ თვალებში ჩახედა მარტინს, მაგრამ ხელადვე დახარა თავი, — ვერც კი წარმომედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო.

ჭაბუკმა ისევ დააპირა მოხვეოდა ქალს, თუმცა ოდნავღა შეარხია წელზე შემოდებული ხელი, შეშინდა, მეტისმეტი არ მომივიდესო. მაგრამ იგრძნო, როგორ მინებდა ქალი, როგორ მიეკრა თვითონვე, და მათი ტუჩები კვლავ მიეწება ერთმანეთს.

— ნეტა ჩვენები რას იტყვიან? — ერთბაშად შეცბა რუთი.

— მე თვითონ ვეტყვი, — მამაცურად შესთავაზა მარტინმა, — არა მგონია, დედაშენს ვუყვარდე, მაგრამ როგორმე მოვიგებ მის გულს. შენი გულის მომნადირებელს რაღა დამიდგება. მაგრამ თუ ვერ მოვახერხე...

— მაშინ?

— მაინც ვერაფერი დაგვაშორებს. თუმცა არა მგონია, დედაშენმა უარი თქვას ჩვენს დაქორწინებაზე. ისე უყვარხარ!..

უნდოდა დაემშვიდებინა, დედებს ასე ადვილად არ უსკდებათ გულიო, მაგრამ სულ სხვა რამე თქვა:

— სიყვარული ყველაზე დიდებული რამ არის ცხოვრებაში.

— შენ ზოგჯერ მაშინებ ხოლმე, მარტინ. ახლაც მეშინია, როცა შენზე დავფიქრდები, როცა წარმოვიდგენ, ვინ იყავი. კარგად უნდა მომექცე, უნდა მომეფერო. მე ხომ სულ ბავშვი ვარ, ბოლოს და ბოლოს. ჩემს დღეში არავინ მყვარებია.

— არც მე. ჩვენ ორივენი ბავშვები ვართ. ბედმა გაგვიღიმა — პირველი სიყვარულით შეგვიყვარდა ერთმანეთი.

— დაუჯერებელია! — შესძახა ქალმა და ხელიდან დაუსხლტა, — დაუჯერებელია. შენ ხომ მეზღვაური იყავი. მეზღვაურებს კი... მეზღვაურებს…

ხმა გაუწყდა.

— ყველა ნავსადგურში თითო ცოლი ჰყავთ, არა? ეს გინდოდა გეთქვა?

— ჰო, — ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა.

— ეგ ხომ სიყვარული არ არის, — გულდამშვიდებით მიუგო ჭაბუკმა, — რამდენი ნავსადგური მომივლია, მაგრამ ერთხელაც არ მიგრძვნია სიყვარული, მანამ შენ არ შეგხვდი. შენგან რომ გამოვედი იმ პირველი შეხვედრის შემდეგ, ცოტას გაწყდა, არ დამიჭირეს.

— დაგიჭირეს!

— ჰო. მთვრალი ვეგონე პოლიციელს. მართლაც მთვრალი ვიყავი... შენი სიყვარულით.

— ჩემს კითხვაზე მაინც არ მიპასუხე: შენა თქვი, ორივენი ბავშვები ვართო, მე გითხარი — დაუჯერებელია-მეთქი!

— აკი გითხარი, შენ მეტი არავინ მყვარებია-მეთქი. შენა ხარ ჩემი პირველი, ნამდვილად პირველი სიყვარული.

— მაგრამ მეზღვაური რომ იყავი! — არა ტყდებოდა ქალი.

— სულ ერთია, ამას ხელი არ შეუშლია, რომ პირველი შენ შემყვარებოდი.

— სხვებიც ხომ იყვნენ... სხვა ქალებიც!.. ოჰ!

და მარტინის გასაკვირად, ქალს უცებ ცრემლი წასკდა. დასამშვიდებლად ბევრი კოცნა და ალერსი გახდა საჭირო. მარტინს კიპლინგის ერთი სტრიქონი მოაგონდა: «პოლკოვნიკის ცოლი და ჯუდი ო'გრეიდი თითქოს დები ყოფილიყვნენ, ისე ჰგავდნენ ყველაფერში ერთმანეთს»! ნამდვილად ასეაო, გადაწყვიტა, თუმცა რომანებში სულ სხვაგვარად იყო საქმე. ამ რომანების მიხედვით, მარტინს ისეთი აზრი ჰქონდა ჩამოყალიბებული, თითქოს მაღალ კლასებში ქალის გულის მოსაპოვებლად მხოლოდ ოფიციალური ხელის თხოვნა ყოფილიყოს მიღებული. დაბალ წრეებში, საიდანაც თვითონ იყო გამოსული, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შორის სიყვარულის გამოვლინება სულ უბრალოდ ხდებოდა — ხელის მოხვევითა და კოცნით. მაღალ წრეებში კი ასეთი რამ წარმოუდგენელი ჩანდა. მაგრამ გამოირკვა, რომ რომანები ტყუოდნენ. ეს აგერ დამტკცდა, ახლა. უსიტყვო მოხვევნა და ალერსი თურმე მაღალი წრიდან გამოსულ ქალიშვილებზედაც ისე მოქმედებენ, როგორც მუშა გოგონებზე. ერთი სისხლი და ხორცი ყოფილან ორივენი, «თითქოს დები ყოფილიყვნენ» ერთმანეთისა. ისედაც მივიდოდა ამ დასკვნამდე, თავისი სპენსერი რომ გახსენებოდა. ხელი მოეხვია რუთისთვის, ეფერებოდა და სიამოვნებდა, რომ «პოლკოვნიკის ცოლი და ჯუდი ო'გრეიდი, თითქოს დები ყოფილიყვნენ, ისე ჰგავდნენ ყველაფერში ერთმანეთს». ასეთმა ფიქრმა კიდევ უფრო დააახლოვა რუთი, უფრო მისაწვდომი გახდა. ეს სანატრელი სხეული სხვებისას ჰგვანებია. მათ ქორწინებას აღარაფერი შეუშლის ხელს. კლასობრივი განსხვავება ერთადერთი განსხვავება ყოფილა მათ შორის, და ეგეც გარეგნული ნიშნებით გამოვლენილი. ამასაც მოევლება. აკი წაიკითხა ერთი მონის ამბავი, რომელიც ისე ამაღლდა, რომ კეთილშობილი რომაელის მეწამული ტოგა მოისხა. მაშ, მარტინსაც შეუძლია რუთამდე ამაღლდეს. თავისი სისპეტაკის, სიწმინდის, კულტურისა და სულიერი მომხიბლაობის მიუხედავად, ისიც ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა, ლიზი ქონოლის, ლიზი ქონოლების მსგავსი ქალი. მასაც შეძლებია სიყვარული და სიძულვილი, იქნებ ისტერიკაც მოსდის, იქნებ ეჭვიანობაც იცოდეს, აკი იეჭვიანა, როცა გულამოსკვნილი ტიროდა მარტინის მკლავებში მოქცეული.

— ჯერ ერთი, შენზე უფროსიც ვარ, — წარმოთქვა ქალმა უეცრად და ჭაბუკს შეხედა, — ოთხი წლით უფროსი.

— მაინც ბავშვი ხარ! ცხოვრებისეული გამოცდილებით მე ვარ შენზე უფროსი, მთელი ორმოცი წლით, — უპასუხა მარტინმა.

სინამდვილეში ორივენი ბავშვები იყვნენ ამ საქმეში, ბავშვებივით უშუალოდ და გულუბრყვილოდ გამოხატავდნენ თავიანთ სასიყვარულო განცდებს, მიუხედავად იმისა, რომ ქალს უნივერსიტეტი დაემთავრებინა, ხოლო ჭაბუკს, მწარე ცხოვრებისეული გამოცდილების გარდა, თავი ფილოსოფიური მოძღვრებით ჰქონდა გამოტენილი.

ისხდნენ ჩამავალი მზის სხივებით გასხივოსნებული და ნამდვილი შეყვარებულებივით ტიტინებდნენ, უკვირდათ და შეჰხაროდნენ სიყვარულის სასწაულებრივ ძალას, ბედისწერას, რამაც ისინი ასე უცნაურად შეჰყარა, და მტკიცედ სწამდათ, რომ ასე ჯერ არავის არ ჰყვარებია ერთმანეთი. იგონებდნენ და იგონებდნენ

პირველ შეხვედრას, ამაოდ ცდილობდნენ, ზედმიწევნით სისწორით აღედგინათ პირველი შთაბეჭდილებანი, რაც მათ ერთმანეთზე შეექმნათ.

დასავლეთით მოჯარულმა ღრუბლებმა ჩამავალი მზე შთანთქეს, ჰორიზონტის რკალი გავარდისფრდა, ვარდისფერში გაეხვია ყველაფერი და რუთმა წამოიმღერა: «მშვიდობით, ტკბილო დღეო». ნაზად მღეროდა, ჭაბუკის მკერდს მისვენებული, ხელები ერთმანეთისათვის გადაეჭდოთ და ერთმანეთის გული ეპყრათ ხელში.

თავი ოცდამეორე

დედის ალღო არც კი დასჭირდებოდა მისის მორზს, რომ რუთის სახეზე მთელი თავსგადახდენილი ამბავი ამოეკითხა. შეფაკლებული ღაწვები თავისთავად მეტყველებდნენ ყველაფერზე, მაგრამ გაცილებით უფრო გამომეტყველი იყო რუთის დიდი, ანთებული თვალები, რომლებიც შეუმცდარად გამოხატავდნენ შინაგან სიხარულსა და ზეიმის დიდებას.

— რა მოგივიდა? — დედამ დაიცადა, მანამ რუთი დასაძინებლად დაწვებოდა.

— შენც მიხვდი? — რუთს ტუჩები აუთრთოლდა.

პასუხის ნაცვლად დედამ მკლავი მოხვია და ხელი ალერსით გადაუსვა თმაზე.

— სიტყვაც არ უთქვამს! — წამოიძახა რუთმა, — სულაც არ ვფიქრობდი, ეს თუ მოხდებოდა, და არც მივცემდი ამაზე ლაპარაკის უფლებას... მაგრამ არც უთქვამს რამე.

— თუკი არაფერი უთქვამს, არც არაფერი მოხდებოდა.

— არა, თავისთავად მოხდა.

— ნეტა რას ტიტინებ, შვილო, გამაგებინე, თუ ღმერთი გწამს, — მისის მორზი გაოგნდა, — ვეღარაფერი გამიგია. რა მოხდა მაინც?

რუთმა გაკვირვებით შეხედა დედას.

— მე მეგონა, მართლა მიხვდი. ჩვენ დავინიშნეთ ერთმანეთზე. მე და მარტინი.

მისის მორზს გაეცინა. — ამ სიცილში გაღიზიანება და წყენა გამოკრთოდა.

— არა, თქმით კი არაფერი უთქვამს, — განუმარტა რუთმა, — ისე ვუყვარდი, მეტი არაფერი. ჩემთვისაც ასევე მოულოდნელი იყო. ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, უბრალოდ ხელი მომხვია. და... და თითქოს რაღაც მომივიდა. მერე მაკოცა. მეც ვაკოცე. ვეღარ შევიკავე თავი. უსათუოდ უნდა მეკოცნა. და მაშინ მივხვდი, რომ მეც მიყვარდა.

გაჩუმდა, დედის გულმოწყალე კოცნის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ მისის მორზი პირქუშად დუმდა.

— მეც ვგრძნობ, რომ საშინელება მოხდა, — ხმა ჩაუწყდა რუთს, — არ ვიცი, როგორ უნდა მაპატიო. მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. იმ წუთამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მიყვარდა. ოღონდ მამას შენ უთხარი ჩემ მაგივრად.

— იქნებ სულაც არ გავაგებინოთ მამას, ჰა? მე თვითონ ვნახავ მარტინ იდენს, მოველაპარაკები, ავუხსნი. დარწმუნებული ვარ, გამიგებს და თავად ჩამოგცილდება.

— აჰ, არა, რას ამბობ! — შესძახა რუთმა და წამოხტა, — სულაც არ მინდა, რომ ჩამომცილდეს. მე მიყვარს იგი... ისეთი ტკბილი ყოფილა სიყვარული. გავყვები კიდეც ცოლად... ნებას თუ დამრთავ, რაღა თქმა უნდა.

— მე და მამაშენს სულ სხვა გეგმა გვაქვს, რუთ, გენაცვალე... არა, არა, მაგას არ გეუბნები. განა გაძალებთ, ვინმეს გაჰყვე. ჩვენი გეგმა ის არის, რომ შენივე შესაფერს გაჰყვე, შენი წრის კაცს, პატიოსანსა და კეთილშობილ ადამიანს, ვისაც შენ თვითონ ამოირჩევ და შეიყვარებ.

— მე უკვე მიყვარს მარტინი, — საწყლად შეესიტყვა რუთი.

— ჩვენ სულაც არ გვინდა, ძალათი მოგახვიოთ ვინმე თავს. მაგრამ ჩვენი შვილი ხარ და რა გული მოგვცემს, ამისთანა კაცს მიგათხოვოთ. რისი მქონებელია, სიტლანქისა და გაუთლელობის მეტი რა უნდა შემოგთავაზოს შენი სიფაქიზისა და კეთილშობილების სანაცვლოდ. არაფრით არ არის შენი შესაფერი. რჩენაც კი არ შეუძლია შენი. მართალია, სიმდიდრეზე არა ვკარგავთ ჭკუას, მაგრამ რაღაც პირობები ხომ უნდა შეგიქმნას! როგორ უნდა გავატანოთ ქალი ჯიბეგახვრეტილ ავანტიურისტს, მეზღვაურს, კოვბოის, კონტრაბანდისტსა და ღმერთმა იცის, კიდევ რა... ყველაფერ სიკეთესთან ერთად, თავქარიანი ჩანს, უპასუხისმგებლო.

რუთი ხმას არ იღებდა. ყოველი სიტყვა ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

— ჯღაბნაზე ფლანგავს ამდენ დროს, იმისთანა რამეს ეპოტინება, რისთვისაც ნასწავლსა და განსაკუთრებული ნიჭის ხალხსაც კი ვერ მიუღწევია. ცოლის შერთვას როცა აპირებს კაცი, ცოტა ხელიც უნდა გაანძრიოს, მოემზადოს. გამიგონია! აკი გითხარი — ვიცი, რომ შენც მეთანხმები — ყოვლად უპასუხისმგებლო კაცია. ანკი რა გასაკვირია? ყველა მეზღვაური ასეთია. არც მომჭირნეობასაა შეჩვეული და არც მოთმინებას. თავიდანვე შეეჩვია ბედოვლათობას და ახლა რაღას მოიშლის. მისი ბრალი არ არის, მართალია, მაგრამ ეს სულაც არ შველის საქმეს! იმაზე თუ იფიქრე მაინც, რა თავაშვებული ცხოვრება ექნებოდა აქამდე? ჰა, ამაზე იფიქრე, შვილო? გათხოვება რას ნიშნავს, ხომ იცი?

რუთს ერთბაშად შეაჟრჟოლა და დედას მიეკრა.

— მეც ვიფიქრე, — რუთი კარგა ხანს შეჩერდა, რათა სათქმელი ჩამოეყალიბებინა, — საშინელებაა. ტვინს მიხვრეტს ამაზე ფიქრი. აკი გითხარი, საშინელება მოხდა-მეთქი. მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია! განა შენ შეგეძლო, მამაჩემი გადაგეყვარებინა?! მეც ამ დღეში ვარ. რაღაცა გვაქვს ალბათ ისეთი, მეც, მასაც — მხოლოდ დღეს ჩავხვდი ამას — მაგრამ გვაქვს კი ნამდვილად, რაც მაიძულებს, შემიყვარდეს. ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი, თუ შემიყვარდებოდა, მაგრამ ხომ ხედავ, შემიყვარდა, — მის ხმაში კვლავ სიხარულის ზეიმი გაისმა.

დიდხანს ილაპარაკეს, მაგრამ უნაყოფოდ, ბოლოს ისღა გადაწყვიტეს, კიდევ დაეცადათ, არაფერი ნაბიჯი არ გადაედგათ.

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს იმავე ღამეს მისის მორზმა და მისმა ქმარმა, როცა ცოლი იძულებული გახდა გამოტყდომოდა მისტერ მორზს, ჩემმა გეგმებმა არასწორი შედეგები გამოიღო.

— სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, — თქვა მისტერ მორზმა, — ეს მეზღვაური ფაქტიურად ერთადერთი მამაკაცი იყო, ვისაც რუთი დაუახლოვდა. ადრე იქნებოდა თუ გვიან, ხომ უნდა გაღვიძებოდა ქალობა?! და აჰა, გაეღვიძა! ხელში ეს მეზღვაური შერჩა, სხვა არავინ ისეთი, ვისი შეყვარებაც შესაძლებელი ყოფილიყოს. რაღა გასაკვირია, რომ შეუყვარდა, ყოველ შემთხვევაში, მას ასე მოეჩვენა, ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს.

მისის მორზმა თავისი გეგმა წამოაყენა, ნელ-ნელა ემოქმედნა რუთზე, პირდაპირ კი არ დაეშალა. დრო ბევრი გვექნება, რადგან მარტინს ახლა იმისი თავი არა აქვს, ცოლის შერთვაზე იფიქროსო.

— ნუ დაუშლი, შეხვდეს, როცა მოისურვებს, — ურჩია მისტერ მორზმა, — რაც უფრო ახლოს გაიცნობს, მით უფრო ნაკლებად შეუყვარდება. ოღონდ შედარებისა და ამორჩევის საშუალება მიეცი რუთს. ისე ქენი, რომ სახლში სულ ახალგაზრდებმა იტრიალონ, გოგონებმაც და ბიჭებმაც. ყოველნაირმა ჭაბუკებმა: ჭკვიანებმა და მცოდნეებმა, ვისაც უკვე მიუღწევია რამისათვის, ვინც ახლა იღვწის... ყველა მოიწვიე,

ოღონდ ჩვენივე წრის ხალხი, ჯენტლმენები. მაშინ რუთს უფრო გაუადვილდება შედარება, თვალი აეხილება. ბოლოს და ბოლოს, ოცდაერთი წლის ლაწირაკია ეს თქვენი მარტინი, რუთიც ბავშვია ჯერ. ეს ბავშვური სიყვარულია და გაივლის.

ასე გადაწყდა. შინაობაში ცნობილი გახდა, რომ რუთი და მარტინი დანიშნულები იყვნენ, მაგრამ საქვეყნოდ არ გაუხმაურებიათ. ეს არც გახდება საჭიროო, იმედოვნებდნენ. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ნიშნობა დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო. მარტინისთვის არავის მოუთხოვნია, რამე საქმეს მოჰკიდე ხელი, წერას თავი დაანებეო. სულაც არ აინტერესებდათ მისი წარმატება და წახალისება. მარტინი კი უნებურად თავის არაკეთილისმსურველებს უწყობდა ხელს — სამსახურის შოვნა ფიქრადაც არ მოსვლია.

— არ ვიცი, როგორ მომიწონებ, — უთხრა მან რუთს რამდენიმე დღის შემდეგ, — დის სახლში ცხოვრება ძალიან ძვირი მიჯდება, გადავწყვიტე ცალკე ვიცხოვრო. პატარა ოთახი დავიჭირე ჩრდილო ოუკლენდში, ჩემთვის ვიქნები, მყუდროდ... ნავთქურაც ვიყიდე, მე თვითონ მოვიმზადებ საჭმელს.

რუთი სიხარულით გაიბადრა. განსაკუთრებით ნავთქურა მოეწონა.

— მისტერ ბატლერმაც ხომ ასე დაიწყო, — შესძახა მან.

ამ ღირსეული ვაჟბატონის ხსენებაზე მარტინმა კოპები შეკრა, და განაგრძო:

— ჩემს ხელნაწერებს ისევ დავაკარი მარკები და რედაქციებს დავუგზავნე, დღეს ახალ ბინაში გადავალ და ხვალ უკვე მუშაობას დავიწყებ.

— სამსახურში მოეწყვე?! — შესძახა რუთმა და მთელი არსებით გაიხარა, მარტინს მიეკრა მკერდზე, ხელი ჩასჭიდა, გაუღიმა, — რატომ არ მითხარი? რა სამსახურია?

მარტინმა თავი გააქნია.

— სამსახური არ მიგულისხმია, წერას განვაგრძობ, — რუთი ერთბაშად მოეშვა და მარტინმა სწრაფად განაგრძო, — ცუდად კი ნუ გამიგებ. ფუჭი იმედებით არ ვიტყუებ თავს ამჯერად. წმინდა პრაქტიკული მიზნები მამოძრავებს. გემზე მუშაობა იმდენს აღარაფერს მომცემს, დარწმუნებული ვარ, იმაზე მეტ ფულსაც გავაკეთებ, ვიდრე უბრალო ოუკლენდელი სამსახურის კაცი აკეთებს. ამ დასვენების დროს ბევრი ვიფიქრე და გეგმები დავაწყვე. აქამდე რაც ვიმუშავე, რაც დავწერე, დასაბეჭდად არც ყოფილა გამიზნული. შენი სიყვარულით ვწერდი, ათას რამეს ვფიქრობდი, აზრებს ვაყალიბებდი, ვკითხულობდი კიდეც, მაგრამ ეს ჩემს ფიქრებთან იყო დაკავშირებული. უმთავრესად ჟურნალებს ვკითხულობდი. ვფიქრობდი საკუთარ თავზე, ცხოვრებაზე, იმაზე, თუ მე თვითონ რა ადგილი მიჭირავს ცხოვრებაში, რას შემიძლია მივაღწიო ისეთს, რომ შენი ღირსი გავხდე. წავიკითხე სპენსერის «სტილის ფილოსოფია» და ბევრი რამ ჩემთვის საინტერესო გავიგე... წერაში დამეხმარება. მთელმა ამ ფიქრებმა, კითხვამ, შენმა სიყვარულმა, აი, რა გადაწყვეტილებამდე მიმიყვანა: პროფესიონალი ჟურნალისტი უნდა გავხდე. შედევრებზე ცოტა ხანს არც კი ვიფიქრებ, უბრალო რამეებს მივყოფ ხელს — ფელეტონებს, ანეგდოტებს, პატარ-პატარა ნარკვევებს, იუმორისტულ ლექსებს და ათასნაირ სისულელეს, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა ახლა. სხვადასხვაგვარი საგაზეთო სააგენტოები არსებობს — მასალებს აწვდიან ხოლმე საკვირაო დამატებებს, იუმორისტულ ფურცლებს... მეც ავდგები და რაც იმათ სჭირდება, იმას დავწერ, კარგა ბლომად ფულს გავაკეთებ. ჟურნალისტები, ვიცი, ოთხას-ხუთას დოლარს აკეთებენ თვეში. მე მაგდენს არ გამოვუდგები, მაგრამ იმას მაინც მოვახერხებ, რომ ვიცხოვრო და ნამდვილი საქმისთვისაც დავზოგო დრო, რასაც სხვა პირობებში ვერ მოვახერხებ. მოვდგები მერე და თავისუფალ დროს სწავლას მოვახმარ. ვიკითხავ, ჩემს ნამდვილ საქმეს გავაკეთებ. თანდათანობით შედევრების შექმნასაც ვცდი. მე თვითონ მიკვირს, ამ

ცოტა ხანში რას მივაღწიე! პირველად რომ მოვკიდე კალამს ხელი, დასაწერიც არაფერი მქონდა, გარდა რამდენიმე უბადრუკი თემისა, რაც ხეირიანად არც მესმოდა და ვერ გამეაზრებინა. არავითარი კონცეფცია მე არ გამაჩნდა, ნამდვილად. სიტყვებიც არა მყოფნიდა, რომ აზრი ჩამომეყალიბებინა. ყოველი თავსგადახდილი ეპიზოდი ბუნდოვან აზრსმოკლებულ სურათად წარმომიდგებოდა. მაგრამ ცოდნა რომ შემემატა, სიტყვების მარაგი რომ გამიჩნდა, იმ ჩემს სურათებს აზრიც მიეცა და გამოსახულებაც. სწორედ მაშინ დავწერე კარგი რამეები: «თავგადასავალი», «სიხარული», «ქოთანი», «ცხოვრების ზედაშე», «მხიარული ქუჩა», «სატრფიალო ლექსები», «ზღვის სიმღერა». კიდევ დავწერ ამისთანებს, უკეთესებსაც. მაგრამ დროა საჭირო. ახლა უკვე ცაში აღარ დავფფრინავ, მიწაზე მიდგას ფეხი. ჯერ უბრალო სამუშაო, თავის სარჩენი ფული — მერე კი ნამდვილი შედევრები! ამაში რომ დაგარწმუნო, წუხელ, მაგალითად, დავჯექი და თორმეტი სახუმარო მოთხრობა დავწერე ყოველკვირეული იუმორისტული გაზეთისათვის. როცა ვწვებოდი, უცებ ტრიოლეტის დაწერა მომინდა — სახუმარო ტრიოლეტისა — და ერთ საათში ოთხი ცალი გამოვაცხვე. თითოში თითო დოლარს მაინც მომცემენ. ოთხ დოლარს ასე სახელდახელოდ, დაწოლის წინ, ეხუმრები! ვიცი, რომ ამას თავისთავად არაფერი ფასი არ ექნება — მოსაწყენი ხომ მაინც არ იქნება, რაშიც ყოველთვიურად სამოცი დოლარი უნდა მივიღო, ამას დაუმატე უაზრო ციფრები და ტაბულები, კაცი შეიძლება მოკვდეს კიდეც. თან ამ წვრილი საჟურნალო საქმიანობით ლიტერატურასთანაც უფრო ახლოს ვიქნები და საშუალება მომეცემა, უფრო დიდი და კარგი რამე გავაკეთო.

— მაგრამ რისი მაქნისია ეს «დიდი» რაღაცეები, ეს შედევრები? მაინც ვერ გაყიდი!

— როგორ ვერ... — დაიწყო მარტინმა, მაგრამ რუთმა შეაწყვეტინა.

— რაც ახლა შენ ჩამოთვალე და კარგ ნაწარმოებებად მიგაჩნია, აკი ვერც ერთი ვერ გაასაღე! დაუბეჭდავი შედევრებით ჩვენი დაქორწინება არ მოხერხდება.

— ჩვენ დაბეჭდილი ტრიოლეტებით ვიქორწინოთ, — არ გატყდა მარტინი. ალერსიანად მოხვია რუთს ხელი, მაგრამ ასეთივე ალერსით აღარ უპასუხეს, — აბა, მომისმინე, — ნაძალადევი მხიარულებით თქვა მან, — ხელოვნება არ არის ეს, მაგრამ სამაგიეროდ დოლარია.

ის შინ მომადგა
მე შინ არ ვიყავ,
ფულის სესხება
უნდოდა თურმე;
ის შინ მომადგა,
მე შინ არ ვიყავ,
და ამის გამო
ვეღარ ვისტუმრე.

ამ სახუმარო ლექსის ლაღი რიტმი სულაც არ ეგუებოდა შეწუხებულ გამომეტყველებას, რაც მარტინს თანდათანობით გამოეხატა სახეზე. რუთს არც კი გაუღიმია. სერიოზული და შეწუხებული თვალებით შეჰყურებდა ჭაბუკს:

— იქნებ მართლაც მოგცენ დოლარი, — უთხრა მან, — მაგრამ ეს ხომ ცირკის მასხარას დოლარი იქნება. ნუთუ ვერა გრძნობ, მარტინ, რომ ეს დამამცირებელია?! ვერაფერი სასიამოვნოა, რომ კაცმა, რომელიც მე მიყვარს და პატივსა ვცემ, უბადრუკი ანეგდოტები და შაირები თხზას და უფრო წესიერსა და ღირსეულ საქმეს არ მოჰკიდოს ხელი.

— შენ გინდა, რომ ეს კაცი... მისტერ ბატლერს ჰგავდეს? — ჰკითხა მარტინმა.

— ვიცი, რომ მისტერ ბატლერი არ გიყვარს... — დაიწყო რუთმა.

— მისტერ ბატლერი დიდებული კაცია, — შეაწყვეტინა მარტინმა, — მთელი უბედურება ისაა, რომ კუჭი აქვს მოშლილი. თანაც, მე თუ მკითხავ, დიდი განსხვავება არ უნდა იყოს ანეგდოტებისა თუ სახუმარო ლექსების თხზვასა და საბეჭდი მანქანის ჩხაკუნს ან სტენოგრამის წერის, თუნდაც დავთრების ქექვას შორის. ბოლოს და ბოლოს, ერთიც და მეორეც სხვა რამისთვის გვჭირდება. შენ გინდა, რომ დავთრების ქექვით დავიწყო და ვექილი გავხდე ან საქმოსანი. მე კი მსურს, უბრალო ჟურნალისტობით დავიწყო და მწერლობას მივაღწიო.

— მაგაში განსხვავებაა, — ჯიუტობა რუთი.

— მაინც რა?

— შენ შედევრებს — თვითონ რომ ეძახი შედევრებს — კაცმა არ შეხედა. რამდენი არ სცადე — ამას ხომ ვერ უარყოფ, — მაგრამ არც ერთმა რედაქტორმა არ ინდომა.

— დროც მომეცი, ჩემო ძვირფასო, — შეემუდარა მარტინი, — ეს წვრილი ლიტერატურული საქმიანობა დროებითი იქნება, სერიოზულად კი ნუ მიიღებ. ორი წელიწადი მადროვე. ამ ორ წელიწადში ყველაფერს მივაღწევ. რედაქტორები აქეთ დამიწყებენ ხვეწნას. ვიცი, რასაც ვამბობ. საკუთარი თავის რწმენა მაქვს. ჩემი ძალის ფასი ვიცი. ვიცი, რას ნიშნავს ნამდვილი ლიტერატურა. ვიცი, რა უნიჭო სისულელეებით ანაგვიანებენ ლიტერატურას მომრავლებული უბადრუკი მწერლუკები. დანამდვილებით მჯერა, რომ ორი წლის თავზე მე გამარჯვების გზაზე ვიქნები დამდგარი. საქმოსნობას რომ გამოვუდგე, ვერასოდეს ვერ გავიმარჯვებ. გული არ მიმიწევს. მოსაწყენ სისულელედ, უბადრუკობად და გაიძვერულ ვაჭრუკანობად მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, მე არა ვარ ამისათვის გაჩენილი. უბრალო კლერკობას ვერ გავცდები და როგორღა მივაღწიოთ ბედნიერებას ან შენ, ან მე კლერკის უბადრუკი ჯამაგირით? რაც კი რამ კარგი არის ქვეყანაზე, სულ შენთვის მინდა და მოვიპოვებ კიდეც. თავს არ დავზოგავ და მოვიპოვებ. კარგი მწერლის შემოსავალზე მისტერ ბატლერი ვერც კი იოცნებებს. საქვეყნოდ გახმაურებული წიგნი ორმოცდაათ — ასი ათას დოლარს აძლევს ავტორს. ზოგჯერ მეტს, ზოგჯერ იქნებ ცოტა ნაკლებს, მაგრამ დაახლოებით ასეა.

რუთი ხმას არ იღებდა. აშკარა იმედგაცრუება ეტყობოდა.

— რას იტყვი? — ჰკითხა მარტინმა.

— მე სულ სხვა გეგმები და იმედები მქონდა. ასე ვფიქრობდი, და ახლაც ვფიქრობ, რომ ყველაფერს აჯობებს სტენოგრაფია ისწავლო — მანქანაზე ბეჭდვა უკვე იცი — და მამაჩემის კანტორაში მოეწყვე. ჭკვიანი კაცი ხარ და იმედი მაქვს ვექილობას ადვილად შეისწავლი.

თავი ოცდამესამე

არც გული გასციებია მარტინს, არც შეხედულება შეცვლია რუთზე იმის გამო, რომ ქალს მისი მწერლობა არა სწამდა და არა სჯეროდა. არდადეგების დღეებში ბევრსა ფიქრობდა საკუთარ თავზე, ანალიზს უკეთებდა თავის საქციელს და უფრო კარგადაც შეისწავლა თავი. დარწმუნდა, რომ სილამაზე უფრო ჰყვარებია, ვიდრე სახელი, და თუ მაინც იღვწოდა სახელის მოსახვეჭად, მხოლოდ რუთის გულისთვის. უნდოდა საქვეყნოდ ცნობილი გამხდარიყო, რათა ქალს, რომელიც მას უყვარდა, მისით ეამაყნა, ღირსეულად ჩაეთვალა.

ისე მხურვალედ უყვარდა სილამაზე, რომ მისთვის სამსახური თავისთავად საკმაო გასამრჯელო იყო. ხოლო სილამაზეზე კიდევ უფრო მეტად რუთი უყვარდა. სიყვარული ყველაზე მშვენიერ რამედ მიაჩნდა ქვეყნად. სწორედ სიყვარულმა გარდაქმნა იგი, ტლანქი მეზღვაური მოაზროვნედ და მხატვრად აქცია. ამიტომაც სამი უმშვენიერესი საგნისაგან მეცნიერებასა და ხელოვნებაზე მაღლა სიყვარულს აყენებდა. თვითონვე ამჩნევდა, რომ უკვე ახლავე რუთზე კარგად და საღად აზროვნებდა, მის ძმებსა და მამასაც გაუსწრო გონებრივი განვითარებით. უნივერსიტეტში იმდენი ხნის სწავლისა და ხელოვნების ბაკალავრობის მიუხედავად, მისი ინტელექტი აშკარად ჩრდილავდა რუთისას, ერთი წლის თვითგანვითარებამ ისე აღჭურვა ხელოვნების, ცხოვრების, სამყაროს იდუმალებათა შეცნობის ცოდნით, რუთი ამას ვერასოდეს ვერ მიაღწევდა და ვერც კი იოცნებებდა.

ამას ყველაფერს კარგად გრძნობდა, მაგრამ არც მის სიყვარულზე, არც რუთის სიყვარულზე ოდნავადაც არ უმოქმედნია. სიყვარული იმდენად კეთილშობილი და მშვენიერი იყო, თვითონ კი ისე ერთგული სიყვარულისა, რომ კრიტიკული დამოკიდებულებით არ შებღალავდა. სიყვარულს რა ესაქმებოდა რუთის შეხედულებებთან ხელოვნებასა ქცევის წესებსა, საფრანგეთის რევოლუციასა თუ საყოველთაო არჩევნებზე?! ეს ყველაფერი გონების სფეროს განეკუთვნება, სიყვარული კი გონებაზე მაღლა დგას. სიყვარულს ვერ დაამცირებდა მარტინი, იმიტომ რომ აღმერთებდა მას. სიყვარული მაღალი მთის მწვერვალზე ბინადრობდა და ზემოდან გადმოჰყურებდა გონების მდელოს. იგი არსებობის სული და გული იყო, სიცოცხლის უზენაესი არსი და ადამიანებს იშვიათად ეწვეოდა ხოლმე. მეცნიერული ფილოსოფიის წყალობით მარტინმა სიყვარულის ბიოლოგიური ნიშნები გახსნა და შეიცნო; და როცა უფრო ღრმად ჩასწვდა საგნის არსს, მიხვდა, რომ ადამიანის ორგანიზმი სწორედ სიყვარულში ახორციელებს თავის უმაღლეს დანიშნულებას, ამიტომ სიყვარულს კბილის გასინჯვა და კირკიტი არა სჭირდება, იგი მიღებული უნდა იქნას, როგორც სიცოცხლის უმაღლესი ჯილდო. შეყვარებული მას წარმოედგინა ყველაზე უფრო კურთხეულ ქმნილებად ყველა ქმნილებათა შორის, სიამოვნებასა ჰგვრიდა ამ გამოთქმის გახსენება: «და ხელადქმნილი მიჯნური», რომელიც ყოველგვარ მიწიერზე მაღლა აჭრილა, სიმდიდრეს, ცოდნას, ქვეყნის აზრს, ხალხის ხოტბას ზემოდან გადმოჰყურებს, თვით სიცოცხლეზე უფრო ამაღლებულა «და კოცნისათვის სწირავს სიცოცხლეს».

წინათაც ბევრჯერ მოსვლია ამისთანა აზრი თავში, ზოგს კი ახლაღა დაუკვირდა. იგი განუწყვეტლივ მუშაობდა, სპარტელივით ცხოვრობდა და როცა რუთი ჰყავდა მოსანახულებელი, მხოლოდ მაშინ თუ შეწყვეტდა მუშაობას. თავის დიასახლისს — პორტუგალიელ მარია სილვას — იმ პატარა ოთახის ქირად ორ დოლარ-ნახევარს უხდიდა თვეში. ანჩხლი დედაკაცი იყო მარია სილვა, ქვრივი, დღედაღამ მუშაობდა, წელებზე ფეხს იდგამდა, რათა მრავალრიცხოვანი ბავშვები დაეპურებინა, ზოგჯერ ქანცგაწყვეტილი ქალი თავის გაჭირვებასა და მწუხარებას თითო გალონ წყალ-წყალა, დაძმარებულ ღვინოში ახრჩობდა, რასაც თხუთმეტ ცენტად ყიდულობდა ხოლმე კუთხის სარდაფში. პირველ ხანებში დასანახავად ვერ იტანდა ამ ქალს მარტინი, მისი ლაპარაკი ყურში ეკალივით ესობოდა, მერე კი, როცა ნახა, რა მამაცურად იბრძოდა იგი არსებობისათვის, თანდათანობით პატივისცემით განიმსჭვალა. ეს პატარა სახლი ოთხთვალა იყო და მარტინს ერთი ოთახი ჰქონდა დაქირავებული, მეორე — სასტუმრო ოთახად ჰქონდათ; იატაკზე გაფენილი ნოხი ხალისიან ელფერს აძლევდა ოთახს, ხოლო მრავალრიცხოვან შვილთაგან ერთ-ერთი გარდაცვლილი, კუბოში ჩასვენებული ბავშვის ფოტოსურათი მწუხარების განწყობილებასა ქმნიდა. ეს ოთახი

სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. ფარდები მუდამ ჩამოშვებული ჰქონდათ აქა და, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, დიასახლისის ფეხშიშველა შთამომავლობას შიგ შესვლა ეკრძალებოდა. ქალი სამზარეულოში ამზადებდა საჭმელს და ყველანი იქვე ჭამდნენ ხოლმე; სამზარეულოშივე რეცხავდა, აუთოებდა და, კვირა დღის გარდა, არც გამოდიოდა იქიდან. შემოსავლის მთავარი წყარო მრეცხაობა იყო — მეზობლებს ურეცხავდა თეთრეულს. საწოლი ოთახი მარტინის ოთახივით მოცუცქნული იყო და აქ ეძინათ დედასა და მის შვიდ პატარა შვილს. მარტინს სულ ის უკვირდა, ვერ მიმხვდარიყო, როგორ ეტეოდა ამდენი ხალხი ამ სოროში; სიფრიფანა კედელი უბრალო ფაჩუნსაც კარგად ატარებდა და მარტინი ყოველ საღამოს ისმენდა წივილს, კივილს, ბუტბუტსა და ძილმორეული ბალღების ჩიტებივით ჟღურტულს. შემოსავლის მეორე წყარო ორი ძროხა იყო, რომელთაც მარია დილა-საღამოს წველიდა ხოლმე. ძროხები ქალაქის განაპირას, უშენ ადგილებში წიწკნიდნენ ბალახს, ზოგჯერ შიგ ქალაქშიაც აძოვებდნენ, ქუჩის გაყოლებაზე, მწყემსად კიკო, ხან კი ორ-ორი ჩამოძონძილი ბალღი ედგა, და ძროხებს კი არ შეჰყურებდნენ, აქეთ-იქით იცქირებოდნენ, პოლიციელს უთვალთვალებდნენ.

თავის პატარა ოთახში მარტინს ეძინა, მეცადინეობდა, წერდა და საჭმელს იმზადებდა. ერთადერთ ფანჯარასთან, რომელიც პაწაწინა პარმაღს გადაჰყურებდა, სამზარეულო მაგიდა ჰქონდა მიდგმული. ამას საწერ მაგიდადაც იყენებდა, ბიბლიოთეკადაც და ზედ საბეჭდი მანქანაც ედო. საწოლს, რომელიც უკანა კედელთან ედგა, მთელი სივრცის ორი მესამედი ეჭირა. მაგიდას ერთი ულაზათო ტანსაცმლის კარადა ემიჯნებოდა; ეტყობოდა, დურგალს თავის დროზე ფულის აღებისათვის მეტი ეზრუნა, ვიდრე კარადის მარჯვედ შეკვრაზე. გარედან მიწებებული სიფრიფანა ფანერი ყოველდღიურად ძვრებოდა და იშლებოდა. კარადა ერთ კუთხეში იდგა, ხოლო მოპირდაპირე კუთხეში, მაგიდის მეორე მხარეს, სამზარეულო ჰქონდა მარტინს მოწყობილი: მშრალი სანოვაგის ყუთზე ზემოდან ნავთქურა დაედო, შიგ კი თეფშები და ქვაბები შეელაგებინა; იქვე კედელზე თარო ჰქონდა მიჭედებული და ზედ სანოვაგე ეწყო, წყლის ვედრო კი პირდაპირ იატაკზე იდგა. ონკანი ოთახში არა ჰქონია, წყალი სამზარეულოდან გამოჰქონდა. საჭმლის მომზადების დღეებში, როცა ოთახი ცხელი ორთქლით გაიჟღინთებოდა, კარადას უფრო ბლომად ცვიოდა ხოლმე თხელი ფანერის ნაჭრები. საწოლის თავზე ველოსიპედი ეკიდა. პირველად პირდაპირ იატაკზე ეგდო ეს ველოსიპედი, მაგრამ მარიას ბალღები მიესიენ, ჭანჭიკები დააძვრეს, კამერა დაჩხვლიტეს და მარტინი იძულებული გახდა პაწაწინა პარმაღზე გაეტანა, მაგრამ წვიმაში ველოსიპედი სველდებოდა და, ბოლოს, ისევ ოთახში შეიტანა. კედელზე დაჰკიდა, მომაღლოდ.

კედლის კარადაში ტანსაცმელი ეკიდა მარტინს, აქვე ეყარა წიგნებიც, რაც მაგიდაზე და მაგიდის ქვეშ ვერ დასტია. კითხვის დროს, თანდათანობით, შენიშვნების ამოწერასაც მიეჩვია, და იმდენი ჩანაწერი დაუგროვდა, ოთახის გასწვრივ კანაფები რომ არ გაეჭიმა და ზედ შენიშვნები არ ჩამოეკიდა, იმ მოცუცქნულ სოროში გასანძრევი ადგილიც კი არ იქნებოდა. მაინც ჭირდა გავლა. ოთახის კარს ისე ვერ გამოაღებდა, წინასწარ კედლის კარადა რომ არ მიეხურა, და პირიქით, ოთახის კარი თუ იყო მიხურული, მხოლოდ მაშინ შეეძლო კარადის გამოღება. ოთახში რომ შევიდოდა, საწოლთან მისვლამდე ათასჯერ უნდა მიეხვ-მოეხვია, და სიბნელეში ხან რას ეჯახებოდა და ხან რას. კარადის კარს თუ როგორმე მშვიდობიანად გასცილდებოდა, ერთბაშად მარჯვნივ უნდა გადახრილიყო კარგა მაგრად, თორემ «სამზარეულოს» დაეჯახებოდა, მერე ისევ მარცხნივ უნდა გაეხვია, რათა საწოლის ფეხს არ წამოსდებოდა. მაგრამ აქაც, გამოზომილად თუ არ გადაუხვევდა და ზომაზე

ოდნავ მეტი მოუვიდოდა, მაგიდის ძგიდეს დაეჯახებოდა. ასე გამოზომილი მიხრა-მოხრით ერთგვარ არხში მოხვდებოდა, რომლის ერთ ნაპირს საწოლი წარმოადგენდა, მეორეს კი — მაგიდა. ამასთან, თუ ერთადერთი სკამი თავის ჩვეულებრივ ადგილზე იქნებოდა, მაგიდასთან, არხში გავლა ყოვლად შეუძლებელი იყო. როცა არა სჭირდებოდა სკამი, საწოლზე შედგამდა ხოლმე, თუმცა ზოგჯერ მზარეულობის დროსაც იჯდა სკამზე. მანამ წყალი ადუღდებოდა ან ხორცი შეიწვებოდა, დროს უქმად არა კარგავდა და ერთ-ორ პარაგრაფს წაიკითხავდა. ისე პატარა იყო სამზარეულო კუთხე, რომ ფეხზე აუდგომლად შეეძლო გადასწვდომოდა ყველაფერს, რაც კი დასჭირდებოდა. უფრო მოხერხებულიც იყო ასე ჯდომელა მზარეულობა; ფეხზე რომ დადგებოდა, თვითონვე იჩრდილავდა სინათლეს.

ნოყიერი კერძების დამზადებაც იცოდა მარტინმა და თან იაფიც უჯდებოდა; ამასთან კუჭი ისეთი მაგარი ჰქონდა, რომ ყველაფერს ადვილად ინელებდა. მუხუდოს სუპი ყოველდღიური კერძი იყო, აგრეთვე კარტოფილი და ლობიო, მსხვილი, წითელი ლობიო, რასაც მექსიკურად კმაზავდა. ბრინჯი, — ისე ჩაშუშული, რომ ვერც ერთი ამერიკელი დიასახლისი ვერ მოახერხებს ასე ჩაშუშვას, — დღეში ერთჯერ მაინც გაჩნდებოდა მის სუფრაზე. ნედლ ხილზე იაფი ჩირი ჯდებოდა, და მარტინი მუდამ ხარშავდა, კარაქის მაგივრად ამას ატანდა პურს. ზოგჯერ ხორცითა და ძვლის სუპითაც დაამშვენებდა ხოლმე სუფრას. ყავა, ურძეოდ და უნაღებოდ ორჯერ ჰქონდა დღეში, საღამოთი კი ჩაით ცვლიდა. ყავასაც და ჩაისაც იშვიათი ხელოვნებით ამზადებდა.

იძულებული იყო, მომჭირნეობა გაეწია. რაც კი სამრეცხაოში დააგროვა, თითქმის სულ დაეხარჯა არდადეგების დროს, ხოლო მსუბუქი ფელეტონები ისე შორს ჰქონდა დაგზავნილი, რომ რამდენიმე კვირა მაინც დასჭირდებოდა პასუხის მოსვლას. ერთთავად შინ იყო გამოკეტილი, განდეგილივით, გარდა იმ დროისა, როცა რუთს მოინახულებდა ან გერტრუდასთან შეივლიდა. თავაუღებლივ მუშაობდა, სამი კაცის საქმეს აკეთებდა ყოველდღიურად, ხუთი საათიღა ეძინა დღე-ღამეში და რკინის აგებულება რომ არ ჰქონოდა, ასე გადაბმულად ცხრამეტი საათის მძიმე მუშაობას ვერ გაუძლებდა. წუთსაც კი არა კარგავდა. სარკეზე უცხო სიტყვები და გამოთქმები ჰქონდა მიმაგრებული: თმის დავარცხნისა და წვერის პარსვის დროს ან როცა პერანგს იცვამდა, ცალი თვალით ამ სიტყვებში იყურებოდა და იზეპირებდა. ასეთივე ჩანაწერები ჰქონდა გაკრული კედელზე, ნავთქურის უკან — ამზადებდა კერძს, ან თეფშებს რეცხავდა და თან ჩანაწერებს უყურებდა. ძველ ჩანაწერებს სისტემატურად ცვლიდა ახლებით. შეხვდებოდა თუ არა კითხვის დროს უცხო, გაუგებარ სიტყვებს, ხელადვე ამოიწერდა, ხოლო როცა მთელი ფურცელი გაივსებოდა, გადაბეჭდავდა და სარკეზე ან კედელზე ჩამოჰკიდებდა. ჯიბითაც დაატარებდა ასეთ ფურცლებს: ქუჩაში ან მაღაზიაში რიგში დგომის დროს ამოიღებდა და იმეორებდა.

მარტო სიტყვების ამოწერასაც არ სჯერდებოდა. წაიკითხავდა სახელმოხვეჭილი ავტორის ნაწარმოებს და აკვირდებოდა ყველა ელემენტს, რითაც ამ მწერალს წარმატებისთვის მიეღწია — თხრობის მანერას, სტილს, ექსპოზიციას, შედარებებს, ცალკეულ გამოთქმებს, მახვილსიტყვაობას, — ამოიწერდა და მერე სწავლობდა. განა ბრმად ბაძავდა! არა, საერთო პრინციპებსა და განზოგადებას ეძებდა. სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებიდან ამოწერდა ხოლმე იმ ლიტერატურული ხერხების სიას, რაც განსაკუთრებით მოეწონებოდა, ერთმანეთს შეადარებდა, ასწონ-დასწონიდა, საერთო პრინციპებს გამოიტანდა და, სათანადო ცოდნით აღჭურვილი, ამის მიხედვით თავის საკუთარს შეიმუშავებდა, მათ ზომიერ და მარჯვე გამოყენებას სწავლობდა. ამგვარივე მეთოდით ცოცხალი სალაპარაკო ენიდან ძარღვიან

გამოთქმებს შეარჩევდა, ისეთ გამოთქმებს, რომლებიც ცეცხლივით მწველი იყო ან საამურად ელამუნებოდა სმენას. ყველგან, ყველაფერში მთავარსა და განზოგადებულს ეძებდა, სიღრმეში იქექებოდა, ფესვებს უსინჯავდა, ეს კი საშუალებას აძლევდა, დამოუკიდებლად შეექმნა მსგავსი რაიმე. სილამაზის გარეგანი გამოსახულების ჭვრეტით არ კმაყოფილდებოდა; მისი პაწაწინა ოთახი ლაბორატორიასავით იყო, სადაც სამზარეულოს არეულ სუნსა და მარია სილვას ბალღების გიჟურ ღრიანცელში, იგი საფუძვლიან ანალიზს უკეთებდა სილამაზის მთავარ არსს, მის აღნაგობასა და აგებულებას სწავლობდა და ოსტატდებოდა, რათა თვითონვე შეექმნა ასეთი სილამაზე.

ბუნებით იყო ასეთი კაცი — შეგნებულად უნდა გაეკეთებინა ყველაფერი. ბრმად, წინასწარმოუფიქრებლად, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა უნდა გამოსვლოდა, შემთხვევასა და თავისი ნიჭის ვარსკვლავს მინდობით ვერ იმუშავებდა. შემთხვევითი წარმატებანი არ აკმაყოფილებდა. თავიდანვე უნდა სცოდნოდა — როგორ და რატომ. ჭკუადამჯდარი კაცი იყო, და მანამ მოთხრობის ან ლექსის წერას დაიწყებდა, მთელი სურათი ცოცხლად აესახებოდა გონებაში, ნაწარმოების მთავარი მიზანდასახულებაცა და ის მხატვრული ხერხიც, რითაც უნდა განეხორციელებინა. ამ ჩვეულებას თუ უღალატებდა, წინასწარვე განწირული იყო, მარცხს იგემებდა. ამასთან, იმ შემთხვევით აზრსა და სიტყვებსაც ხალისით გამოიყენებდა, რაც მოულოდნელად ეწვეოდა მის გონებას და მერე ორგანულად ერწყმოდა ნაწარმოებს, ლაზათსა და მომხიბლაობას მატებდა. ქედს იხრიდა ხოლმე ასეთი მოვლენის წინაშე, იცოდა, რომ ეს ზეშთაგონება იყო. უკვირდებოდა სილამაზეს, ანალიზს უკეთებდა, ცდილობდა მისი კანონზომიერება დაენახა, მაგრამ იმასაც მშვენივრად გრძნობდა, რომ სილამაზეს თავის არსში ჰქონდა რაღაც ისეთი იდუმალება, რასაც ვერასოდეს ვერ ჩასწვდებოდა, საერთოდ არც ერთი ძე-ხორციელი არ ჩასწვდომოდა მას. სპენსერისაგან იცოდა, რომ რისიმე ამომწურავად და აბსოლუტური სრულყოფილებით შესწავლა ადამიანის ძალას აღემატებოდა, ხოლო მშვენიერების იდუმალების ამოცნობა ისეთივე მიუწვდომელი იყო, როგორც თვით სიცოცხლის იდუმალებისა — უფრო ძნელიც; სიცოცხლე და მშვენიერება სხვადასხვა ძაფებისაგან ნაქსოვი ერთი ქსოვილია, ადამიანი კი მხოლოდღა ნაწილია მისი — მზის სხივების, ვარსკვლავების მტვრისა და საოცრებების გამოუცნობ, მიუწვდომელ ქსოვილისა.

ამ აზრების გავლენით დაწერა მან სტატია — «ვარსკვლავის მტვერი», რომლითაც თავს ესხმოდა არა კრიტიკის მთავარ საკითხებს, არამედ მთავარ კრიტიკოსებს. ეს იყო ბრწყინვალე, ღრმა ფილოსოფიური აზრებით გამსჭვალული, ლაღი იუმორით დამშვენებული ნაწარმოები. ეგეც დაუწუნეს, ყველგან, ყველა რედაქციაში, საცა კი გაგზავნა. მაგრამ მარტინმა, მოიშორა თუ არა თავიდან თემა, ჯიუტად განაგრძო საქმე. ჩვეულებად გადაექცა — ჯერ კარგად მოამწიფებდა, გამოაშუშებდა აზრს რაიმე კონკრეტულ საგანზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდა წერას. ხოლო ის ამბავი, რომ ვერც ერთი მისი ნაწარმოები დაბეჭდვას ვერ ეღირსა, დიდად არ აწუხებდა. წერა დიდი გონებრივი დაძაბვის დამაგვირგვინებელი აქტი იყო, გაფანტული ფიქრების შემაკავშირებელი კვანძი, განმაზოგადებელი და შემაჯამებელი ფინალი. ამისთანა სტატიის დაწერა იმას ნიშნავდა, რომ ტვინი მომწიფებული აზრებისაგან თავისუფლდებოდა და ახალი ფიქრებისა და პრობლემების მისაღებად იყო გამზადებული. სხვათა შორის, ეს იმ ჩვეულებასა ჰგავს, როცა მრავალი ადამიანი, ქალი თუ კაცი, დიდხანს უხმოდ იტანჯება ნამდვილი თუ მოჩვენებითი მწუხარებით და პერიოდულად ამოიდგამს ხოლმე ენას, ერთბაშად «ოიფხანს გულს» და სათქმელს აღარაფერს დაიტოვებს.

თავი ოცდამეოთხე

გადიოდა კვირეები, ფული ილეოდა, ხოლო ჩეკები რედაქციებისგან არა და არ ჩანდა. სერიოზული მოთხრობები ხომ ადრევე დაუბრუნდა და ხელახლა დაგზავნა, არც ჟურნალისტურ ფელეტონებს დასდგომიათ უკეთესი დღე. მარტინის პატარა სუფრას უკვე ვეღარ ამშვენებდა მრავალფეროვანი კერძები, — ცოტაოდენი ბრინჯი და ჭერმის ჩირიღა შერჩა; დღეში სამჯერ ბრინჯითა და ჭერმით იკვებებოდა. ხუთი დღე ასე გაატარა. მერე ნისიად გამოტანა დაიწყო. მაგრამ მიაღწია თუ არა ნისიის თანხამ სამ დოლარსა და ოთხმოცდახუთ ცენტს, მეზაყლე პორტუგალიელმა ნისია შეუწყვიტა.

— იმიტომ, რომ, — განუმარტა პორტუგალიელმა — შენ სამუშაო ვერ იშოვა, მე ფული დაკარგა.

მარტინს აღარაფერი უპასუხნია, ან კი რა ეთქმოდა. მართლაც რა წესი იყო, ჯან-ღონით სავსე ჭაბუკისათვის ნისია ეძლია კაცს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჭაბუკი ზარმაცობდა და საქმეს ხელს არ ჰკიდებდა.

— იშოვა რამ საქმე — საჭმელიც იშოვა, — არწმუნებდა პორტუგალიელი, — საქმე არა — საჭმელიც არა. ასეა ცხოვრებამ... — და რომ დაემტკიცებინა მარტინისათვის, ეს ჩემი პირადი ახირება არ არისო, სწრაფად დასძინა: — მოდი, ცოტა დალია, ოჯახი დალოცა — ჩვენი კარქი მეგობარი ვართ, შენ და მე.

მარტინმაც დალია, რათა დაემტკიცებინა ერთგული მეგობრობა ოჯახის მიმართ, და უვახშმოდ დაიძინა.

ბოსტნეულს ამერიკელი მედუქნისაგან ყიდულობდა მარტინი. ამ კაცის სავაჭრო პრინციპები იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ერთხანს კიდევ აძლია ნისიად საქონელი, ხუთ დოლარზე აიყვანა; ხაბაზმა ორ დოლარზე შეუწყვიტა, ყასაბმა — ოთხზე. მარტინმა დაიანგარიშა მთელი ვალი და სულ თოთხმეტი დოლარი და ორმოცდახუთი ცენტი გამოუვიდა. ამასობაში საბეჭდი მანქანის ქირის დროც მოვიდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, ორ თვეს კიდევ მადროვებსო. ასე რომ, რვა დოლარი კიდევ დაემატებოდა იმ თანხას. ამით კი ამოიწურებოდა მთელი შესაძლებელი კრედიტი.

ბოსტნეულის დუქნიდან უკანასკნელად ერთი ტომარა კარტოფილი გამოიტანა და მთელი კვირა ცარიელა კარტოფილზე გადადიოდა, დღეში სამჯერ კარტოფილსა ჭამდა. შემთხვევითი სადილები რუთის სახლში ხელს უწყობდა ჯანის სიმრთელე შეენარჩუნებინა, ტანტალუსის წამებას განიცდიდა ხოლმე, როცა სუფრაზე მორთმეულ ამდენ საჭმელ-სასმელს ხედავდა, და ეს გამგელებული კაცი იძულებული იყო თავი შეეკავებინა. ხანდახან დასთანაც შეივლიდა ხოლმე სადილობის დროს, თუმცა სირცხვილით ფეხი უკან რჩებოდა, და აქ კი რამდენსაც გაბედავდა, ჭამდა. თუმცა უფრო მეტს, ვიდრე მორზების სახლში.

მუშაობდა ყოველდღიურად და ფოსტალიონსაც ყოველდღიურად მოჰქონდა დაწუნებული ხელნაწერები. უკვე აღარა ჰქონდა მარკების ფული და მაგიდის ქვეშ დახვავდა ხელნაწერები. დადგა ისეთი დღეც, როცა მთელი ორმოცი საათი პირში ერთი ნაწილიც არ ჩაეშვა. ვეღარც მორზებთან მივიდოდა — რუთი სან-რაფაელში წასულიყო ორი კვირით, და სირცხვილით დასთანაც აღარ მიესვლებოდა. უბედურების ფიალა იმით გაივსო, რომ საღამო ხანს ფოსტალიონმა ხუთი დაწუნებული ხელნაწერი მოუტანა. მარტინი იძულებული იყო, პალტო წაეღო ოუკლენდს, იქიდან უპალტოოდ დაბრუნდა, მაგრამ სამაგიეროდ ჯიბეში ხუთი

დოლარი უჩხრიალებდა. თითო მედუქნეს თითო დოლარი ჩამოურიგა და მის სამზარეულოში კვლავ აშიშხინდა ხორცი და ხახვი, კვლავ ადუღდა ყავა და მოზრდილი ქილით შავი ქლიავის მურაბაც გაჩნდა. ისადილა, მაგიდას მიუჯდა და შუაღამისთვის ახალი სტატია გამოაცხო, სათაურად ჰქონდა «მევახშეობის ღირსება». გადაბეჭდა და მაგიდის ქვეშ ჩაუძახა, რადგან იმ ხუთი დოლარიდან მარკის ფულიც აღარ დარჩენოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ საათიც დააგირავა, მერე — ველოსიპედიც, აღებული ფული დაზოგა და მარკები იყიდა, რაც კი ხელნაწერები ჰქონდა, სულ დაგზავნა. მსუბუქმა ფელეტონებმა ვერ გაუმართლა. ზედაც არ შეხედეს. დაჯდებოდა და დაბეჭდილ ფელეტონებს შეადარებდა ხოლმე — გაზეთებში, საკვირაო დამატებებში, ჟურნალებში; გადაწყვიტა, რომ მისი ფელეტონები უკეთესი იყო, გაცილებით უკეთესი. რად გინდა — მაინც ვერ ასაღებდა! ბოლოს შენიშნა, რომ გაზეთების უმრავლესობა ე. წ. «სტერეოტიპულ» მასალებს ბეჭდავდა. ამ მასალების მიმწოდებელ ასოციაციათა მისამართები გაიგო და მათაც დაუგზავნა ფელეტონები. მაგრამ უკანვე დაუბრუნეს, თან სტანდარტულად დაბეჭდილი ცნობა მოჰყვა, იუწყებოდნენ, ასოციაციები თვითონვე გაართმევენ თავს ამ საქმესო.

ერთ დიდ საყმაწვილო ჟურნალში მთელი განყოფილება აღმოაჩინა, სადაც ანეგდოტები და სხვადასხვაგვარი შემთხვევები იყო აღწერილი. აქაც სცადა ბედი. ხელადვე დაუბრუნეს, მაინც არ მოეშვა და კიდევ გაუგზავნა ზედიზედ, მაგრამ ვერა და ვერ ეღირსა დაბეჭდვას. მერეღა გაიგო, როცა უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რომ ასეთ მასალებს თვითონ რედაქციის თანამშრომლები წერდნენ ხოლმე, რათა პირადი შემოსავალი გაედიდებინათ. ყოველკვირეულმა იუმორისტულმა ჟურნალებმა ანეგდოტები და სახუმარო შაირები დაუბრუნეს; ვერც ლექსად დაწერილმა ფელეტონებმა გაიმარჯვეს. რომლებიც მარტინმა დიდ ჟურნალებს გაუგზავნა. ჯერი საგაზეთო მოთხრობებზე მიდგა. მარტინი გრძნობდა, რომ გაცილებით იმაზე უკეთესს დაწერდა, რაც მას გაზეთებში წაეკითხა. ორი საგაზეთო სინდიკატის მისამართი გაიგო და მიაყარა და მიაყარა პატარა მოთხრობები. ოცი ასეთი მოთხრობა დაწერა, მაგრამ რაკი არც ერთს არ ეღირსა დაბეჭდვა, ამაზედაც ხელი აიღო, თუმცა დღე ისე არ გავიდოდა, ათობით ამისთანა მოთხრობა არ წაეკითხა, ჟურნალებსა თუ გაზეთებში, და ვერც ერთი ეს მოთხრობა მისას ვერ შეედრებოდა. ბოლოს, სასოწარკვეთილმა, გადაწყვიტა, რომ, საკუთარი ნაწერებით ჰიპნოტიზებულს, განსჯის უნარი დაკარგული ჰქონდა და უსაფუძვლოდ იქაჩებოდა.

უსულგულო საგამომცემლო მანქანა თავის საქმეს განაგრძობდა. მარტინი ხელნაწერს, უკან გასაგზავნ მარკასთან ერთად, კონვერტში ჩადებდა საფოსტო ყუთში ჩააგდებდა, გავიდოდა ამის შემდეგ სამი კვირა თუ ერთი თვე და ფოსტალიონს უკანვე მოჰქონდა ხელნაწერი. აშკარად ჩანდა, რომ იმ მეორე მხარეს, რედაქციებში, სულიერი არავინ იყო, კარგად გაზეთილი ჭკვიანი ავტომატები მუშაობდნენ. სასოწარკვეთილებამ იქამდე მიიყვანა, რომ უკვე ეჭვი ეპარებოდა, იქნებ სულაც არ არსებობენ რედაქტორებიო. ნიშანწყალიც არა ჩანდა მათი არსებობისა. ერთხელ არ მიუღია დასაბუთებული უარი — ამისა და ამის გამო არა ვბეჭდავთ თქვენ ნაწარმოებებსო; ეს, თავისთავად, კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმ აზრს, რომ რედაქტორები არ არსებობდნენ, ეს მითი იყო — ასოთამწყობების, მეტრანპაჟებისა და სტამბის შიკრიკების მიერ შეთითხნილი.

რუთთან ერთად გატარებული დრო ერთადერთი ბედნიერება იყო მარტინის ცხოვრებაში და ისიც ყოველთვის არა. მღელვარება, რასაც იგი ადრევე მოეცვა, ახლა უფრო მტანჯველი შეიქნა; რადგან მას შემდეგ, რაც მარტინმა რუთის სიყვარული

მოიპოვა, ქალი კიდევ უფრო მიუწვდომელი გახდა. ორი წელი მადროვეო, მარტინმა სთხოვა მაშინ. დრო მიქროდა, შედეგი კი არაფერი ჩანდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ რუთი ამრეზით უყურებდა ჭაბუკის მუშაობას. თქმით კი არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ისე აშკარად და მოურიდებლად აგრძნობინებდა, რომ სიტყვები რაღა საჭირო იყო. აღშფოთება არასოდეს არ გამოუხატავს რუთს, უბრალოდ გული უტყდებოდა, თუმცა ცოტა უფრო ნაკლები სინაზე და სათნოება რომ ჰქონოდა, გულდაწყვეტას არ დაჯერდებოდა. გული უტყდებოდა, რომ კაცი, ვისი გაწვრთნა და გამოძერწვა მან განიზრახა, არაფრით არ იძერწებოდა. ჯერ რბილ, ადვილად გამოსაძერწ თიხად მოეჩვენა, მაგრამ თანდათანობით ისეთი სიჯიუტე გამოამჟღავნა, რომ არც მისტერ მორზს ემსგავსებოდა და არც მისტერ ბატლერს.

ყველაზე უფრო დიდსა და ძლიერს, რაც მარტინის არსებაში იყო, ქალი ვერ ამჩნევდა, ან, კიდევ უფრო უარესი — არ ესმოდა. ეს კაცი, რომელიც ასეთი რბილი თიხისაგან იყო ნაძერწი, შეეძლო ადამიანური არსებობის ყოველგვარ ფორმას შეჰგუებოდა, ქალს საშინელ თავნებად და ჯიუტად ეჩვენებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის სასურველ ყალიბში ვერ გაატარა — ერთადერთ ყალიბში, რაც მისთვის იყო ცნობილი. ჭაბუკის ფიქრთა კამარას თვითონ ვერა სწვდებოდა და როცა ისეთ სიმაღლეებს მიაღწევდა, სადამდეც ქალს გონების თვალი არ მიუწვდებოდა, დაბნეული და გზასაცდენილი ეგონა. აქამდე ყველას აზრებსა სწვდებოდა — მამისას, დედისას, ძმებისას, ოლნისას... და სწორედ ამიტომ, რაკი მარტინის აზროვნებას ვეღარ მისწვდა, მასვე დააბრალა. ეს იყო ძველი ტრაგედია მარტოდშთენილი ადამიანისა, რომელიც ამაოდ ცდილობს, ჭეშმარიტება უქადაგოს კაცობრიობას.

— შენ მხოლოდ იმასა სცემ თაყვანს, რაც საქვეყნოდ მიღებული და აღიარებულია, — უთხრა მარტინმა ერთ დღეს რუთს, როცა ისინი პრეპსსა და ვადერუოტერზე მსჯელობდნენ, — ვიცი, რომ ესენი ყველაზე უფრო ცნობილი კრიტიკოსები არიან მთელ შეერთებულ შტატებში, ამათ ავტორიტეტულ აზრებს მუდამ იმოწმებენ ხოლმე. ჩვენი მასწავლებლები ისე შეჰყურებენ ვანდერუოტერს, როგორც ამერიკული კრიტიკის მოძღვარს. მაგრამ წავიკითხე მისი წიგნები და, მე თუ მკითხავ, იშვიათი ნიმუშია ლამაზი სიტყვების ბრახაბრუხისა. გულისამრევი ბანალობა და მეტი არაფერი! არც პრეპსია უკეთესი. მშვენივრად არის დაწერილი, მაგალითად, მისი «ტყის ხავსი». მძიმე რაა, მძიმესაც კი უადგილოდ ვერ უნახავ. ახლა ტონი — რა ამაღლებული, რა ზეაწეული! მაგისთანა ჰონორარს არც ერთი ამერიკელი კრიტიკოსი არ ღებულობს. თუმცა — ღმერთო, შეგცოდე! — სულაც არ არის კრიტიკოსი. ინგლისში უფრო მაღალი დონეა კრიტიკისა. საქმე ის არის, რომ კრიტიკოსები ცნობილ ჰანგებს უკრავენ, თანაც ჩინებულად, მაღალი ზნეობის შეგრძნებით, ღირსეულად. მათი მიმოხილვები ინგლისურ საკვირაო ქადაგებებს მაგონებს. ინგლისური ფილოლოგიის პროფესორებს უჭერენ მხარს, პროფესორები კი, თავის მხრივ, ამათ უმაგრებენ ზურგს. თავში კი არც ამათ და არც იმათ არავითარი ორიგინალური აზრი არ უდევთ. მხოლოდ ის იციან, რაც საქვეყნოდ აღიარებულია, და თვითონაც საქვეყნოდ აღიარებულები არიან. ჭკუათხელი ხალხია. გაცვეთილ აზრებს ისევე ადვილად მიიწებებენ შუბლზე, როგორც ეტიკეტებს დააწებებენ ხოლმე ლუდის ბოთლებს. მათი დანიშნულებაა, უნივერსიტეტში შესული ყოველი ახალგაზრდა გამოიჭირონ, თუკი რამე ორიგინალური აზრი უბრწყინავთ, თავიდან გამოუბერტყონ და სანაცვლოდ თავში შაბლონური აზრები ჩაუდონ.

— ჩემის აზრით, მე უფრო ახლო ვდგავარ ჭეშმარიტებასთან, — მიუგო რუთმა, — მე საქვეყნოდ აღიარებულ შეხედულებებს ვიცავ, შენ კი ისე ესხმი თავს ავტორიტეტებს, როგორც ველურები — კერპებს.

— კერპებს ველურები კი არა, მისიონერები ამსხვრევდნენ, — გაეცინა მარტინს, — საუბედუროდ, მისიონერები სულ წარმართების ქვეყნებს მოედვნენ, შინ აღარავინ დარჩა, რომ ეს ძველი კერპები — ვანდერუოტერი და პრეპსი დაამხონ.

— და უნივერსიტეტის პროფესორებიც მათ მიაყოლონ, — დასძინა რუთმა.

მარტინმა მგზნებარედ გააქნია თავი.

— არა, ზუსტ მეცნიერებათა პროფესორებმა დე იცოცხლონ. ისინი მართლაც დიდ საქმეს აკეთებენ. მაგრამ ინგლისური ფილოლოგიის პროფესორებს — ამ ნამცეცატვინიან თუთიყუშებს — ცხრა მეათედს მაინც თუ გაუჭყლეტენ თავს, დიდებული იქნება.

პროფესორების მიმართ ასეთი სისასტიკე რუთის თვალში დიდი მკრეხელობა იყო. თავისდა უნებურად შეადარა გონებაში ეს პროფესორები — ეს ღირსეულად ჩაცმული, ფაქიზი, ტკბილად და თავაზიანად მოუბარი ხალხი, თავად კულტურის განსახიერებანი — ამ თითქმის აუტანელ ახალგაზრდა კაცს, რუთს რომ შეჰყვარებია; ამ კაცს, რომელსაც ვერავითარი ტანსაცმელი ტანზე ვერ მოურგია, ვისი დაჯეჯგილი კუნთებიც ჯოჯოხეთურ შრომას მოაგონებს ადამიანს, ლაპარაკის დროს რომ წამოენთება ხოლმე. დამშვიდებული მსჯელობის ნაცვლად უშვერ სიტყვებს ისვრის და წყნარი თავისდაჭერის მაგივრად ერთბაშად გახელდება. ის ხალხი რიგიან ხელფასს მაინც იღებს და — დიახ, რუთი იძულებული იყო, ეს ეღიარებინა — ნამდვილი ჯენტლმენები არიან; ამას კი ერთი ცენტიც ვერ უშოვია და იმათი არაფერი სცხია.

არც კი დაფიქრებულა მარტინის სიტყვებზე, არც კი აუწონია გონებაში. მისი საბოლოო დასკვნა, — რომ მარტინის მოსაზრება მცდარი იყო, — თავისდა უნებურადვე გარეგნულ შედარებებს ემყარებოდა. პროფესორები, რა თქმა უნდა, მართალი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთ ლიტერატურულ მსჯელობაში, აბა ისე ხომ ვერ გახდებოდნენ პროფესორები! მარტინის ლიტერატურული შეხედულებანი მცდარი იყო, რადგან მან ერთი მოთხრობის გასაღებაც ვერ მოახერხა. მარტინისავე სიტყვებით რომ ითქვას, იმათ გაუმართლა, ამას კი არ გაუმართლა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება მართალი იყოს კაცი, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინათ, ამავე სასტუმრო ოთახში აწურულ-გაჭარხლებული იდგა, ხელებისათვის რა მოეხერხებინა არ იცოდა, დაფეთებული თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა, რაიმე ნივთს უხერხულად მოქანავე მხარი არ წამოვდოო, სუინბერნი როდის მოკვდაო, კითხულობდა და დიდის ამბით იკვეხნიდა, «სიცოცხლის ფსალმუნი» და «სულ მაღლა» მაქვს წაკითხულიო.

ამრიგად, რუთი თავისდა უნებურად ადასტურებდა მარტინის შეხედულებას — მხოლოდ იმას სცემ თაყვანს, რაც საქვეყნოდ მიღებულიაო. მარტინი გონებით მიჰყვებოდა მის ფიქრთა დენას, მაგრამ შორს გაყოლას მოერიდა. განა იმის მიხედვით უყვარდა რუთი — პრეპსზე, ვანდერუოტერზე ან ინგლისური ფილოლოგიის პროფესორებზე რა აზრისაო; თუმცა სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ცოდნისა და აზროვნების ისეთ სფეროებში შეიჭრა, რაზედაც რუთს წარმოდგენაც არა ჰქონია.

მუსიკაში, თავის მხრივ, რუთს არაფრისმცოდნედ მიაჩნდა მარტინი, ხოლო კერძოდ ოპერის დარგში არა უბრალო არაფრისმცოდნედ, არამედ გაჯიუტებულ უვიცად.

— მოგეწონა? — ჰკითხა რუთმა ერთ საღამოს, როცა ოპერიდან შინ ბრუნდებოდნენ.

მთელი თვე იშიმშილა მარტინმა, რათა ბილეთის ფული დაეზოგა და რუთი იმ საღამოს ოპერაში წაეყვანა. ერთ ხანს უცადა ქალმა, რა აზრს გამოთქვამს მარტინიო, თავად ისე მოეწონა ნანახი და მოსმენილი, რომ სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა. რაკი მარტინმა თვითონ არ მოისურვა აზრის გამოთქმა, ის იყო რუთი შეეკითხა.

— უვერტიურა მომეწონა, — უპასუხა მარტინმა, — ბრწყინვალე უვერტიურაა.

— თვითონ ოპერა?

— ისიც ბრწყინვალეა... ორკესტრი, რა თქმა უნდა. თუმცა უკეთესი იქნებოდა, ის ტაკი-მასხარები წყნარად მდგარიყვნენ, ან სულაც გასულიყვნენ სცენიდან.

რუთს თავზარი დაეცა.

— ბარილოსა და ტეტრალინიზე ამბობ მაგას?

— ყველაზე — მაგათზედაც და სხვებზედაც.

— ეგენი ხომ დიდი არტისტები არიან!

— სულ ერთია, თავიანთი მანჭვა-გრეხითა და ფახიფუხით მუსიკაც გააფუჭეს.

— ნუთუ მართლა არ მოგეწონა ბარილოს ხმა? — აღარ მოეშვა რუთი. — კარუზოს შემდეგ ეგ მიაჩნიათ ყველაზე დიდ მომღერლად.

— მოწონებით როგორ არ მომეწონა. ტეტრალინი კიდევ უფრო მომეწონა... დიდებული ხმა აქვს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა.

— თუ ასეა... თუ ასეა, — ენა დაება რუთს, — რაღა უნდა ვიფიქრო — ხმებით აღფრთოვანებული ხარ და მაინც იმას იძახი, მუსიკა გააფუჭესო?!

— ნამდვილად. მერჩივნა კონცერტზე მომესმინა მათი სიმღერა ან არადა, როცა ორკესტრი უკრავდა, ჯობდა სულაც გაჩუმებულიყვნენ. ეტყობა, გამოუსწორებელი რეალისტი ვარ. დიდი მომღერლები დიდი აქტიორები არ არიან. მართლაც დიდებულია, ნამდვილად დიდებული, როცა ბარილო სატრფიალო სიმღერას მღერის ანგელოზის ხმით, ტეტრალინი კი ასეთივე ანგელოზის ხმით გამოეხმაურება, ეს ლაღად მომდინარე, თავისებური მუსიკაც კარგად ეხამება. ამას ვინ უარყოფს. არათუ ვაღიარებ ამას, ვადასტურებ კიდეც, მაგრამ როცა მათ შევყურებ, ყოველგვარი შთბეჭდილება ქარწყლდება: შეხედავ ტეტრალინის, და ეს ახმახი ქალი ძლივს დაგორავს სცენაზე, ას ოთხმოცდაათ გირვანქას იწონის. ბარილო საცოდავად დატყაპულა, სახეზე ზეთი ჩამოსდის, მკერდი ისე გამოუგდია, დაგვაჯული მჭედელი გეგონება. გამოჭიმულან სცენაზე ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ცალი ხელით მკერდი უჭირავთ და მეორეს ისე იქნევენ ჰაერში, გიჟები გეგონება. ჩემგან კი მოითხოვენ, ისე აღვიქვა ეს სურათი, თითქოს ერთმანეთზე შეყვარებული კოპწია, მომხიბლავი პრინცესისა და მოხდენილი პრინცის შეხვედრის სცენას ვუყურებდე! როგორ უნდა ვირწმუნო! ეს ხომ წარმოუდგენელია. აბა, გამოვიდეს და მითხრას ვინმემ, სიყვარულის სცენა ასეთიაო. ასე რომ გამოგტყდომოდი სიყვარულში, სილას არ გამაწნიდი?!

— რატომ არ გინდა გაიგო, რომ ხელოვნების ყოველი დარგი გამოსახვის ფორმებში თავისებურად შეზღუდულია, — არა ტყდებოდა რუთი (ცდილობდა მოეგონებინა უნივერსიტეტში მოსმენილი ლექცია ხელოვნების პირობითობის შესახებ). — მხატვრის ტილოზე, მაგალითად, ორი განზომილებაა, მაგრამ შენ ისეთი ილუზია გექმნება, თითქოს სამი განზომილება იყოს; ამ ილუზიის შექმნას მხატვარი ახერხებს თავისი ხელოვნებით. მწერლობაშიც ავტორი ყოვლისშემძლეა. ხომ ბუნებრივად ღებულობენ, მაგალითად, როცა ავტორი თავისი გმირების იდუმალ ფიქრებს გაცნობს, ამავე დროს იცი, რომ ესა თუ ის გმირი მარტო იყო, თავისთვის ფიქრობდა, ვერც ავტორი და ვერც ვერავინ ქვეყანაზე მის გულისნადებს ვერ

გაიგონებდა. ასეთივეა სცენა, ქანდაკება, ოპერა, ხელოვნების ყოველი დარგი. გარკვეულ წინააღმდეგობებსა და უხერხულობას თვალი უნდა დავუხუჭოთ.

— მესმის, განა არა, — უპასუხა მარტინმა, — ხელოვნების ყოველ დარგს თავისი პირობითობა აქვს. — (რუთი სახტად დარჩა, როცა მარტინისაგან ეს ტერმინი მოისმინა: ასე გეგონებოდა უნივერსიტეტში განსწავლული კაცი ყოფილიყოს და არა ბიბლიოთეკებში უსისტემოდ და უხეიროდ თვითნასწავლი ადამიანი) — მაგრამ პირობითობა რეალობას კი არ გამორიცხავს. მუყაოს დიდ ფურცლებზე დახატულ ხეებს, რომლებიც სცენის აქეთ-იქით დგას, ჩვენ ტყედ აღვიქვამთ. ეს საკმაოდ დამაჯერებელი პირობითობაა. მაგრამ ზღვის გამოსახულებას ხომ ვერ აღვიქვამთ ტყედ? ეს შეუძლებელია. ეს ჩვენი გრძნობების შებღალვა იქნებოდა. ასევე ვერ მიიღებ, — უფრო სწორად რომ ითქვას, არ მიიღებ, — სიყვარულის გამოვლინებად იმ ორი გიჟის ჭყანვასა და მანჭვა-გრეხას, რაც ამ საღამოს სცენაზე ნახე.

— კი, მაგრამ შენ ხომ მუსიკის ყველაზე ავტორიტეტულ კრიტიკოსად არ მიგაჩნია თავი?! — არ მოეშვა რუთი.

— არა, რა ბრძანებაა... არც ერთი წუთით. მე, უბრალოდ, ჩემს საკუთარ აზრს გამოვთქვამ. აკი გითხარი, ქალბატონ ტეტრალინის სპილოსებურმა მიხრა-მოხრამ ისე გააფუჭა ყველაფერი, რომ მუსიკაც გემრიელად ვერ მოვისმინე-მეთქი. იქნებ მთელი ქვეყნის მუსიკათმცოდნეები მართალი იყვნენ, მაგრამ მე ჩემი საკუთარი აზრი მაქვს და სულაც არ მსურს ჩემი გემოვნება თუნდაც მთელი ქვეყნიერების კრიტიკოსთა საერთო აზრს დავუმორჩილო. როცა არ მომწონს რაიმე, არ მომწონს — მორჩა და გათავდა, მაიმუნობას რად უნდა მოვყვე და, რაკი ადამიანების უმრავლესობას მოსწონს, ანდა ისე გვარწმუნებს, მოგვწონსო, მეც რად უნდა ვიძახო, მომწონს-მეთქი?! მოწონება-არმოწონების საქმეში მოდას ვერ ავყვები.

— მაგრამ მუსიკა ხომ საგანგებო წვრთნასა და ყურის მიჩვევას მოითხოვს, — განაგრძობდა რუთი, — ოპერას კი განსაკუთრებული წვრთნა სჭირდება. ხომ შეიძლება, რომ ჯერ...

— სათანადოდ გაწვრთნილი არ ვიყო ოპერის მოსასმენად? — დაასწრო მარტინმა.

რუთმა თავი დაუქნია.

— ეს ხომ ასეც არის, — დაეთანხმა მარტინი, — მადლობა ღმერთს, ბავშვობიდანვე არ გამწვრთნეს საამისოდ. ასე რომ მომხდარიყო, ამაღამ ალბათ რამდენ თანაგრძნობის ცრემლს დავღვრიდი, იმ მშვენიერი წყვილის მანჭვა-გრეხა და ტაკიმასხარობა მათი ხმისა და მუსიკის მომხიბლაობის შთაბეჭდილებასაც გააძლიერებდა. მაგრამ შენ მართალი ხარ ამას საგანგებო გაწვრთნა სჭირდება. ჩემთვის უკვე მეტისმეტად დაგვიანებულია. მე ან ნამდვილად რეალური რაიმე მჭირდება, ან არაფერი. ილუზია, რომელიც ვერ დამარწმუნებს, მტკნარ სიცრუეს წარმოადგენს, ჩემთვის ასეთია,მაგალითად, ოპერა, როცა ქონდარა ბარილოს სიშმაგე წამოუვლის და ასევე გაშმაგებული ზონზრობა ტეტრალინის მივარდება, ხელს შემოაჭდობს და უმტკიცებს, შენზე ჭკუას ვკარგავო.

მაგრამ რუთი კვლავ გარეგნული ნიშნებით წონიდა მარტინის აზრებს, თავის საკუთარ რწმენას ადარებდა, რაც მას საქვეყნოდ აღიარებული შეხედულებების მიმართ ჰქონდა ჩამოყალიბებული. ვინ არის მარტინი, რომ მარტო საკუთარი თავი ჰგონია მართალი და მთელ კულტურულ მსოფლიოს კი მცდარად თვლის?! მისი სიტყვები და აზრები არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ რუთზე. ისე ჰქონდა გაძვალრბილებული რუთს საქვეყნოდ აღიარებული შეხედულებანი, რომ ამბოხ ფიქრებსა და აზრებს სულაც არ თანაუგრძნობდა. ბავშვობიდანვე სწავლობდა მუსიკას, ბავშვობიდანვე უყვარდა ოპერა — მასაც და მისი წრის ადამიანებსაც. რა

უფლება აქვს მარტინ იდენს, ამ რეგტაიმებიდან და მუშური სიმღერებიდან ახლახან მოსულ კაცს, რომ მსოფლიოს მუსიკის საგანძურზე იწყებს მსჯელობას? რუთი ააღელვა ასეთმა ფიქრმა, მიჰყვებოდა მარტინს და თან გულში ბუნდოვან წყენას განიცდიდა. უკეთეს შემთხვევაში მარტინის მსჯელობა უბრალო ახირებად ან შეუფერებელ ხუმრობად შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული. მაგრამ, როცა სახლის კართან გამოთხოვების დროს მარტინმა ხელი მოხვია და სიყვარულით აკოცა, რუთი ერთბაშად მოიცვა სიყვარულმა და ყველაფერი გადაავიწყდა. უფრო მოგვიანებით, თავის ძილგამკრთალ ბალიშზე იგი განსაკუთრებით ფიქრობდა, ეს ახირებული კაცი რამ შემაყვარაო. მით უმეტეს, რომ ახლობლები, არ თანაუგრძნობდნენ ამ სიყვარულს.

მეორე დღეს მარტინ იდენმა გვერდზე გადასდო საჟურნალო ფელეტონები და ერთი სუნთქვით დაწერა ახალი სტატია, რომელსაც სათაურად «ლუზიის ფილოსოფია» შეარქვა. მარკადაკრული სტატია სამოგზაუროდ გაემართა, მაგრამ ამ სტატიასაც ბევრი მარკის გამოცვლა და ბევრჯერ გამგზავრება ხვდა წილად მომდევნო თვეებში.

თავი ოცდამეხუთე

მარია სილვა თავად ღარიბი ქალი იყო და სიღარიბის მთელი სიმწარე კარგად იცოდა. რუთისთვის «სიღარიბე» უბრალოდ არასახარბიელო ცხოვრებას ნიშნავდა. ამით იფარგლებოდა მისი ცოდნა ამ საგანზე. იცოდა, რომ მარტინი ღარიბი იყო და მის მდგომარეობას გონებაში აბრაამ ლინკოლნის, მისტერ ბატლერის ან სხვა ისეთი ადამიანის ბავშვობას ადარებდა, რომელთაც შემდეგ წარმატებას მიაღწიეს. რაღა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ სიღარიბე ვერაფერი სასიამოვნო იქნებოდა. მაგრამ თავისივე კლასის საერთო შეხედულებას იზიარებდა და ფიქრობდა, რომ სიღარიბე ამასთან სასარგებლოც კია, თუ მთლად გადაგვარებული და წყალწაღებული არაა კაცი: აქეზებს ხოლმე ადამიანს, აფხიზლებს, წარმატების სტიმულს აძლევს. ასე რომ, დიდად არ შეწუხებულა, როცა გაიგო, მარტინმა გაჭირვების გამო საათი და პალტო დააგირავაო. კარგადაც კი ენიშნა, იმედი მიეცა — სწორედ ეს აიძულებს მდგომარეობას ჩაუფიქრდეს და, ადრე იქნება თუ გვიან, წერას თავს დაანებებსო.

მარტინი გახდა, ლოყები ჩაუცვივდა, მაგრამ რუთი მის სახეზე შიმშილს ვერ კითხულობდა, ერთხელაც არ მოსვლია ასეთი აზრი თავში. გაეხარდა კიდეც, ასეთი ცვლილება რომ შენიშნა. სახე დაეხვეწაო, ფიქრობდა, ხორცი დაჰყარა, ის ცხოველური ენერგია დაკარგა, რაც ერთსა და იმავე დროს სძულდა კიდევაც რუთს და იზიდავდა კიდეც. რუთმა შენიშნა, რომ მარტინს ზოგჯერ უჩვეულოდ აენთებოდა თვალები და ეს უხაროდა, რადგან ამ დროს პოეტს ან მეცნიერს ემსგავსებოდა ჭაბუკი, ხოლო ეს ერთნაირად სასურველი იყო თვით მარტინისთვისაც და რუთისთვისაც. მარია სილვა კი ამ ჩაცვივნულ ლოყებსა და წამონთებულ თვალებში სულ სხვა რამეს კითხულობდა, ხედავდა, როგორ დღითი დღე იცვლებოდა ჭაბუკი, და ამისდა მიხედვით მის საერთო მდგომარეობასა გრძნობდა. შენიშნა, როგორ გავიდა ერთ დღეს შინიდან პალტოთი და უკან კი უპალტოოდ დაბრუნდა, თუმცა ცივი და ნესტიანი ღამე იყო. ამას ის მოჰყვა, რომ ცოტა ხანში ლოყები ოდნავ ამოევსო მარტინს და თვალებიც ისე აღარ წამონთებია. ასევე შენიშნა, როგორ გაქრა სახლიდან ველოსიპედი და საათი, და ისევ როგორ მოემატა ჭაბუკს სასიცოცხლო ენერგია.

იმასაც კარგად ხედავდა მარია, თუ როგორ შრომობდა მარტინი, ჯერ მარტო იმ ნავთის მიხედვით შეიძლებოდა ამის გაზომვა, რასაც იგი ღამით ხარჯავდა. მუშაობა! გრძნობდა, რომ მასზე მეტსაც მუშაობდა მარტინი, თუმცა ეს სამუშაო სულ სხვანაირი

ჩანდა. ქალი გაკვირვებული იყო: რაც უფრო ნაკლებს ჭამდა ჭაბუკი, მით უფრო მაგრად მუშაობდა. ზოგჯერ, როცა იგრძნობდა, ძალიან შიმშილობსო, ახალ გამომცხვარ პურს გაუგზავნიდა ბავშვის ხელით და ვითომ ხურობით შეუთვლიდა — ამისთანა გემრიელ პურს შენ ვერ გამოაცხობო, თუმცა ამ მოქმედების ნამდვილი არსი ორივესთვის გასაგები იყო. ხანდახან ჯამით ცხელ სუპსაც შეუგზავნიდა და თან გული ეთანაღრებოდა — კარგად კი ვიქცევი, რომ ჩემს საკუთარ ბალღებს ლუკმას პირიდან ვაცლიო! მარტინი მადლიერი იყო, რადგან კარგად იცნობდა ღარიბ ხალხს და იცოდა, რომ ქვეყნად არავის არა აქვს მათსავით მოწყალე გული.

ერთ დღეს, როცა მარიამ ბალღები შემონახული სანოვაგის ნარჩენებით დაანაყრა, უკანასკნელი თხუთმეტი ცენტით ერთი გალონი წყალ-წყალა ღვინო იყიდა. მარტინი წყლისთვის შევიდა სამზარეულოში და დიასახლისმა ღვინოზე მიიწვია. მარტინმა ჯანის სიმრთელე უსურვა მარიას და, თავის მხრივ, ქალმაც ადღეგრძელა იგი. მერე საქმეში წარმატება უსურვა ქალმა და მარტინმაც დალოცა — ჯეიმს გრანტი გამოჩენილიყოს და სარეცხის ფული გადაეხადოსო. ჯეიმსი დღიურად მომუშავე დურგალი იყო და ვალის დროზე გადახდა არ უყვარდა, ახლაც სამი დოლარი ემართა მარიასი.

მარიაცა და მარტინიც ცარიელ კუჭზე სვამდნენ მჟავე ღვინოს და მალე შეუჯდათ თავში. არაფრით არა ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ორივე ერთნაირად უთვისტომო და ღატაკი იყო; კრინტსაც არა სძრავდნენ თავიანთ სიღატაკეზე, მაგრამ ფაქტიურად სწორედ ეს აერთიანებდა მათ. მარიამ რომ გაიგო, მარტინი აზორის კუნძულებზეა ნამყოფიო, სახტად დარჩა, მას თვითონ ბავშვობა, თერთმეტ წლამდე, იქ გაეტარებინა. ხოლო როცა ისიც შეიტყო, ჰავაის კუნძულებიც მოუვლიაო, განცვიფრებისაგან თვალები დააჭყიტა: აზორიდან მარიას ოჯახი ჰავაის კუნძულებზე გადასულიყო. მაგრამ მისი გაკვირვება და სიხარული მაშინ უნდა გენახათ, როცა მარტინმა უთხრა, მაუის კუნძულზეც ვყოფილვარო: სწორედ ამ კუნძულზე დაქალდა და გათხოვდა მარია. კუჰალუიზე, სადაც იგი თავის საქმროს შეხვდა პირველად, მარტინი ორჯერ ყოფილიყო! როგორ არა, მარიას ახლაც კარგად ახსოვდა შაქრის გემები!.. იმ გემებზე იყო მარტინი? ჰო, ჰო, ჰო, რა პატარაა ეს ქვეყანა! ვაილუკუ? იქაც? პლანტაციის ზედამხედველს ხომ არ იცნობდა? როგორ არა, ჭიქაც კი აუწევია მასთან ერთად!

ისხდნენ, იგონებდნენ და შიმშილს აძმარებული ღვინით იკლავდნენ. ხვალინდელი დღე არც ისე ბურუსით მოცული ეჩვენებოდა მარტინს. წარმატება სადღაც ახლოს იყო. ცოტაც და ხელს წაავლებდა. დაღარულ სახეში ჩააშტერდა ქანცგაწყვეტილ ქალს, გაახსენდა მისი გამოგზავნილი სუპი და ახალგამომცხვარი პური, გული მადლიერებითა და თანაგრძნობით გაევსო.

— მარია, — წამოიძახა მან უცებ, — რას ინატრებდი?

ქალმა გაკვირვებით შეხედა.

— რას ინატრებდი-მეთქი, ახლა, ამ წუთში?

— შვიდი ცქვილა ფეხსაცმელს, ბავშვობისათვის... შვიდი ცქვილა.

— აგიხდება ეგ ნატვრა, — განუცხადა მარტინმა. ქალმა მძიმედ გადააქნია თავი, — მაგრამ მე უფრო დიდ რამეს გეუბნები, დიდს რას ინატრებ?

ქალს სიკეთით გაუბრწყინდა თვალები. მარტინი ხუმრობასაც არ თაკილობს ამ დედაკაცთან, მარიასთან რომელსაც კარგა ხანია აღარავინ გახუმრებია.

— კარგად მოიფიქრე, — გააფრთხილა მარტინმა, როცა ქალმა, ის იყო, თქმა დააპირა.

— კარქი, — მიუგო ქალმა, — მოვიფიქრა. ეს საქლი რომ ჩემი ქენა... სულ ჩემი. არც ქირა, არც შვითი დოლარი თვე.

— მაგასაც მიიღებ, — აღუთქვა მარტინმა, — სულ მალე. ახლა უფრო დიდი რამე ინატრე. ვითომ ღმერთი ვარ და მთხოვე, რაც გინდა. აბა, გისმენ.

მარია ერთ ხანს ჩაფიქრდა.

— არა შეგეშინა? — ჰკითხა მან.

— არა, არა, — გაეცინა მარტინს, — არ შემეშინდება. თქვი.

— სალიან დიდი რამა, — კვლავ გააფრთხილა ქალმა.

— იყოს, თქვი.

— მაშა კარქი... — ღრმად ამოისუნთქა პატარა ბავშვივით და სასიცოცხლო, სანუკვარი ნატვრისათვის მოემზადა, — ერთი რზის ფერმა მომესა — კარქი რზის ფერმა. ფევრი ზროხა, ფევრი მიცა, ფევრი ბალაჰი. სან-ლეანის აქლოს იკას. ჩემი და სქოვრობ იქა. რზე ოუქლენდში გავქიდო. ფული ბევრი გააქეთო. ჯო და ნიქი ზროხეფი არა მცქემსო, სქოლაში სავიდე. ბიმბი კარქი ინჟინერი ქნა, რქინისგზა გააქეთო... ეჰ, რზის ფერმა მომესა.

გაჩუმდა და აციმციმებული თვალები მარტინს მიანათა.

— მიიღებ! — მოკლედ მოუჭრა მარტინმა.

ქალმა თავი დააქნია და ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, ამდენი რამის მბოძებელი ადღეგრძელა. თუმცა კარგად იცოდა, რომ ეს კაცი ვერასოდეს ვერაფერს უბოძებდა. მაგრამ მარტინი ალალი გულით ეუბნებოდა, და ამიტომ ისეთი მადლიერებით მიიღო ქალმა, თითქოს დანაპირები ნამდვილი საჩუქარი ყოფილიყოს.

— არა, მარია, — განაგრძო მარტინმა, — ნიკსა და ჯოს რძის დღვება არ დასჭირდებათ, სკოლაში ივლიან... ეგენიც და სხვებიც. მთელი წელიწაადი ფეხზე წაღები ეცმებათ. საუკეთესო ფერმა გექნება, ყოველგვარი მოწყობილობით. საცხოვრებელი სახლი, თავლა... ბოსელიც, რაღა თქმა უნდა. ქათმებისა და ღორების სათვალავს ვერ წაუხვალთ... ბოსტნეული, ხილის ბაღი და რა ვიცი... იმდენი ძროხა გეყოლება და ისეთი შემოსავალი გექნება, რომ მწყემსს ერთს კი არა, ორს დაიქირავებ. შენ ბავშვების მოვლის მეტი საქმე არაფერი გექნება. ისე, შესაფერს თუ გადაეყრები ვინმეს, გათხოვდები კიდეც. ის ფერმას მოუვლის, შენ კი იქნები არხეინად.

ასე გულუხვად დაასაჩუქრა თავისი მომავალი შემოსავლიდან, თვითონ კი ადგა და ერთადერთი ხეირიანი კოსტიუმი დასაგირავებლად წაიღო. ეს იყო თავგანწირული მოქმედება, რადგან რუთთან მისასვლელ გზას იჭრიდა ამითი. მეორე ხელი რიგიანი კოსტიუმი არა ჰქონია. ხაბაზთან და ყასაბთან, ზოგჯერ დასთანაც კი, ძველი ქურთუკით წავიდოდა, მაგრამ მორზებთან ასე სამარცხვინოდ გამოწყობილი ვერ მიბედავდა.

კვლავ განაგრძობდა მუშაობას, სევდის მომგვრელს, თითქმის უიმედოს. სულ უფრო და უფრო ხშირად ეწვეოდა ფიქრი, რომ მეორე ბრძოლაც წაგებული იყო და რაიმე სამუშაოსთვის უნდა მოეკიდა ხელი. ყველა კმაყოფილი დარჩებოდა ამით — ბაყალიც, დაც, რუთიც და მარიაც კი, რომლისაც მარტინს მთელი თვის ქირა ემართა. საბეჭდი მანქანის ქირა ორი თვეა არ გადაეხადა და სააგენტო დაჟინებით მოითხოვდა, ან ფული შემოიტანე, ან მანქანა დააბრუნეო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მარტინმა გადაწყვიტა შერიგებოდა ხვედრს, ბედს დამორჩილებოდა, მანამ ხელახალი შეტევისათვის მომზადდებოდა ნიადაგი, გადაწყვიტა რკინიგზის ფოსტის მოხელეობაზე დაეჭირა გამოცდა. თავისდა გასაკვირად, პირველი გავიდა. სამსახური გარანტირებული იყო, მაგრამ როდის გათავისუფლდებოდა ადგილი და როდის გამოუძახებდნენ, არავინ იცოდა.

და სწორედ იმ განწირულების დროს სულ ერთნაირად მომუშავე სარედაქციო მანქანა მოიშალა. ან რაიმე კბილანა მოატყდა, ან ზეთი დააკლდა: საქმე ის იყო, რომ

ერთ დილას ფოსტალიონმა თხელი კონვერტი მოიტანა. მარტინმა მარჯვენა ზემოთა კუთხეში დახედა კონვერტს — «ტრანსკონტინენტურ ყოველთვიურიდან» იყო. გული შეუთამაშდა, ერთბაშად მოუსავათდა, მუხლებმა კანკალი დაუწყეს. ძლივს შებარბაცდა ოთახში და ლოგინზე ჩამოჯდა. გაუხსნელი კონვერტი ისევ ხელში ეჭირა და პირველად მაშინ მიხვდა, როგორ უსკდებოდა ხალხს გული უეცარი სიხარულის გამო.

სასიხარულო რომ იყო ეს ამბავი, აშკარად ეტყობოდა. ამ თხელ კონვერტში ხელნაწერი ვერ ჩაეტეოდა. მაშ, მიუღიათ! გაახსენდა რა მოთხრობა ჰქონდა გაგზავნილი ტრანსკონტინენტურში». ეს იყო ზარების ძახილი», ერთ-ერთი მოთხრობა საშინელი მოთხრობების ციკლიდან, ხუთი ათასამდე სიტყვა იქნებოდა. პირველხარისხოვანი ჟურნალები ხელნაწერის მიღებისთანავე იხდიდნენ ჰონორარს, ასე რომ, ჩეკიც კონვერტში უნდა ყოფილიყო. სიტყვაში — ორი ცენტი, ათასი სიტყვა — ოცი დოლარი... ასი დოლარის ჩეკი იქნებოდა. ასი დოლარი! ჯერ კონვერტი არც კი გაეხსნა, რომ გონებაში მთელი ვალები დაიანგარიშა. 3 დოლარი და 85 ცენტი — ბაყალს; 4 დოლარი — ყასაბს; 2 დოლარი — ხაბაზს; 5 დოლარი — ბოსტნეულის მაღაზიას. სულ — 14 დოლარი და 85 ცენტი. ახლა ოთახის ქირა — 2 დოლარი და 50 ცენტი; იმ თვისაც წინასწარ — 2 დოლარი და 50 ცენტი; საბეჭდი მანქანის ორი თვის ვალი — 8 დოლარი; ერთი თვისაც წინასწარ — 4 დოლარი. სულ — 31 დოლარი და 85 ცენტი. ამას დაემატება დაგირავებული ნივთების გამოსასყიდი ფულიც, თავის სარგებლით: საათი — 5 დოლარი და 50 ცენტი; პალტო — 5 დოლარი და 50 ცენტი; ველოსიპედი — 7 დოლარი და 75 ცენტი; კოსტიუმი — 5 დოლარი და 50 ცენტი (60 ცენტი სარგებელიც, მაგრამ ეს რა სათვალავში ჩასაგდებია). ასე რომ, მთელი თანხა 56 დოლარსა და 10 ცენტს შეადგენს. თითქოს აშკარად დაინახა, ჰაერში დაკიდებული, ილუმინაციით განათებული ეს ციფრები. ვალების გადახდის შემდეგ 43 დოლარი და 90 ცენტი რჩებოდა ჯიბეში საჩხრიალებლად, და თანაც ოთახის ქირაც და საბეჭდი მანქანისაც მთელი თვისა წინასწარ ექნებოდა გადახდილი.

ამასობაში კონვერტიც გახსნა და ცალფა ფურცელი გამოიღო, მანქანაზე გადაბეჭდილი. ჩეკი არ ჩანდა. კონვერტში ჩაიჭვრიტა, სინათლეზე გახედა, თვალებს არ უჯერებდა, აკანკალებული ხელებით დაფხრიწა კონვერტი. ჩეკი არ იყო და არა. გადაიკითხა წერილი, რედაქტორის ქება ჩქარა ჩაათავა, მთავარის გაგება ეჩქარებოდა — რატომ ჩეკი არ გამოუგზავნეს. ამისი ახსნა ვერც წერილში ნახა, მაგრამ ისეთი რამე ამოიკითხა, რომ ერთბაშად გაშრა. წერილი ხელიდან გაუვარდა, თვალთ დაუბნელდა, ბალიშზე გადაწვა, საბანს ჩააფრინდა და ნიკაპთან მიიტანა.

ხუთი დოლარი — «ზარის ძახილში», ხუთი დოლარი — ხუთი ათას სიტყვაში! ნაცვლად იმისა, რომ სიტყვაში ათი ცენტი მიეცათ, ათ სიტყვაში ერთი ცენტი მისცეს. თანაც, რა ხოტბას ასხამდა რედაქტორი. ჰონორარის ჩეკს კი, როცა მოთხრობა დაიბეჭდებოდა, მაშინ გამოუგზავნიდნენ. მაშ, თვალის ახვევა ყოფილა — სულ ცოტა, ორი ცენტი სიტყვაში და ჰონორარიც მიღებისთანავეო! ტყუილი ყოფილა, გააცურეს მარტინი! ეს რომ სცოდნოდა, თავის დღეში არ მოჰკიდებდა ხელს კალამს. რამე სამსახურს დაიწყებდა — რუთის გულისთვის. ის დღე გაახსენდა, როცა პირველად მოჰკიდა კალამს ხელი მოთხრობების საწერად, და როცა წარმოიდგინა, რა დრო გაუფლანგავს უქმად, თავზარი დაეცა! რისთვის მერე? მხოლოდ იმისთვის, რომ ათ სიტყვაში ერთი ცენტი მიიღოს? სხვა კეთილდღეობანიც, რასაც ავტორებს ჰპირდებოდნენ, ასევე თვალის ახვევა იქნება. სულ მცდარი გამოდგა ყველაფერი, რაც მას მწერლების შესახებ გაეგონა — ამაზე მეტი დამამტკიცებელი საბუთი რაღა გინდა?! «ტრანსკონტინენტურის» ყოველი ნომერი ოცდახუთი ცენტი ღირს, მისი

გემოვნებით გაფორმებული ყდაც აშკარად მიუთითებს, რომ ჟურნალი პირველხარისხოვანია. დარბაისლური, სერიოზული ჟურნალია. მარტინი ჯერ დაბადებული სად იყო, როცა ეს ჟურნალი გამოდიოდა. ყოველი ნომრის ყდაზე ერთი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მწერლის სიტყვები იბეჭდებოდა, ქება-დიდებას მიუძღვნიდა შთამაგონებელ მისიას ტრანსკონტინენტურისას», რომლის ფურცლებზედაც პირველად თვით ეს მნათობი დაბეჭდილიყო. და ეს მაღალი, მიუწვდომელი, სიწმინდის შთამაგონებელი ჟურნალი ხუთი ათას სიტყვაში ხუთ დოლარს უხდიდა თავის ავტორებს! მარტინს გაახსენდა, რომ ის დიდი მწერალი ამას წინათ მოკვდა, სადღაც უცხოეთში გადაკარგულს სიღარიბეში ამოხდა სული. გასაკვირი არაფერი ყოფილა, თუკი ჰონორარის სიუხვეს გავითვალისწინებთ.

ასეა. ანკესზე წამოეგო მარტინი. რას არ ჩმახავდნენ გაზეთებში მწერლებზე, მათ შემოსავალზე. ორი წელიწადი შესწირა მარტინმა ამას, ორი წელიწადი ამ ტყუილებით იკვებებოდა. მორჩა, პირიდან გამოაგდებს ახლა ამ ანკესს და მეტად აღარ წამოეგება. სტრიქონსაც აღარ დაწერს. რამე სამსახურში მოეწყობა — რუთსაც ხომ ესა სურს, ყველა ამას ჩასჩიჩინებს. სამსახურზე ფიქრმა უცებ ჯო გაახსენა, ჯო, რომელიც ახლა სადღაც დაწანწალებს, ამ უსაქმურობის სამყაროში. მარტინმა შურით ამოიხვნეშა. დღე-ღამეში ცხრამეტსაათიანმა განუწყვეტელმა მუშაობამ თავისი ქნა. მაგრამ ჯო შეყვარებული არ ყოფილა, არავის წინაშე პასუხისმგებლობას არა გრძნობდა და შეეძლო არხეინად ეყიალა. მარტინი კი ვალდებულია იმუშაოს, რაიმე საქმეს მოჰკიდოს ხელი. ხვალ დილაადრიან ადგება და სამუშაოს დაუწყებს ძებნას. რუთსაც შეატყობინებს, აზრი შევიცვალე და მამაშენის კანტორაში ვიწყებ მუშაობასო.

— ხუთი ათასი სიტყვა — ხუთი დოლარი, ათი სიტყვა — ერთი ცენტი, აი ხელოვნების საბაზრო ფასი! იმედის გაცრუება, ტყუილი, უსინდისობა, რაც ამ საქმეში იმალებოდა, მოსვენებას არ აძლევდა მარტინს. თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ მაინც თვალსაჩინოდ ხედავდა ცეცხლით გამოყვანილ ციფრებს — 3 დოლარი და 85 ცენტი. ეს ემართა ბაყლისა. ჟრუანტელმა აიტანა, გრძნობდა, რომ ძვლები ტეხდა. განსაკუთრებით წელის ტკივილმა წამოუარა. თავიც ატკივდა — კეფა უსკდებოდა, თხემი უსკდებოდა, შიგნითაც ტვინი უსკდებოდა, თითქოს გაუსივდა კიდეც, შუბლის ტკივილი აუტანელი შეიქნა. შუბლს ქვემოთ კი, დახუჭულ თვალებში უმოწყალოდ გაედგა ფესვები 3 დოლარსა და 85 ცენტს. გაახილა თვალი, იქნებ ახლა მაინც აღარ დავინახოო, მაგრამ ოთახის სინათლემ გუგები აუწვა; ისევ დახუჭა და ის 3 დოლარი და 85 ცენტი აუელვარდა.

ხუთი ათას სიტყვაში — ხუთი დოლარი, ათ სიტყვაში ერთი ცენტი! — ეს ფიქრი თავში დაუბუდდა და ისევე ვერ მოიშორა, როგორც იმ ცეცხლის ასოებით დაწერილი ციფრის მოშორება არ მოხერხდა. თუმცა გაქრობით არ გამქრალა ციფრი, მაგრამ შეიცვალა: გაკვირვებით დააკვირდა მარტინი და «3.85-ის» ნაცვლად «2 დოლარი» წაიკითხა. ეს ხომ ხაბაზის ვალია, გაიფიქრა მან! შემდეგ «2 დოლარი და 50 ცენტი» გაჩნდა. ისე გააოგნა ამ ციფრმა, თითქოს მის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს ესა წყვეტდა. ვიღაცასი მართებია ორ-ნახევარი დოლარი, მაგრამ ვისი? უსათუოდ უნდა გამოეცნო ეს ამოცანა, აუცილებლად... და მარტინი დაჩოჩავდა თავისი მეხსიერების გრძელ დერეფნებში, სულ დაჩხრიკა ცოდნისა და მახსოვრობის ათასნაირი საჭირო თუ უსარგებლო ხარახურით გაჭედილი ოთახები და საკუჭნაოები, მაგრამ პასუხი, ვერ იქნა, ვერ იპოვა. გავიდა რამდენიმე საუკუნე და უცებ, როცა ბედს შეგუებული აღარაფერს ელოდა, გაახსენდა, რომ ეს მარიას ვალი იყო. შვებით ამოისუნთქა, ამოცანა გადაწყვეტილი იყო. ახლა უკვე შეიძლებოდა მოსვენება. მაგრამ არა! 2 დოლარი და 50 ცენტი თანდათანობით გაუჩინარდა და მისი ადგილი 8 დოლარმა

დაიჭირა. ეს ვიღასია? ისევ უნდა დაეჩხრიკა მოღლილი გონების ხვეულები და პასუხი ეპოვა.

დანამდვილებით ვერ იტყოდა, რამდენი ხანი მოანდომა ძებნას, ისე კი მოეჩვენა, თითქოს ძალიან დიდი დრო გასულიყოს. უცებ კარზე დაკაკუნებამ გამოაფხიზლა: ავად ხომ არა ხარო, მარია კითხულობდა. ცოტა წავთვლიმეო, მარტინმა უპასუხა, მაგრამ ისეთი ყრუ ხმით, რომ თვითონაც ვერ იცნო. საშინლად გაუკვირდა, როცა მიიხედ-მოიხედა და ოთახში ღამის სიბნელე შენიშნა. წერილი დღის ორ საათზე მიიღო. ნამდვილად ავად ვარო, გადაწყვიტა.

ისევ აენთო თვალწინ «8 დოლარი» და კვლავ მძიმე ფიქრებს მიეცა. მაგრამ ახლა ეშმაკობა გამოიჩინა. რა საჭირო იყო მოგონების ხვეულებში ცოცვა. რა სისულელე მოუვიდა! ალალბედზე უნდა გადაატრიალოს მოგონებათა ვეებერთელა ბორბალი. მართლაც დაატრიალა, სულ უფრო და უფრო გამალებით, თვითონაც აჰყვა ბორბალს და შავ ქაოსში მოექცა.

სავსებით ბუნებრივია, რომ პირველად სამრეცხაოში აღმოჩნდა, საჯანდრავთან, მანჟეტებს ახამებდა. უცებ მანჟეტზე ციფრები შენიშნა ამოტვიფრული. ახლებურად დაუწყიათ თეთრეულზე ნიშნების გაკეთებაო, გაიფიქრა. მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, ერთ-ერთ სამაჯურზე გაარჩია «3 დოლარი და 85 ცენტი». მაშინვე გაახსენდა, რომ ეს ბაყალის ვალი იყო. სხვა ანგარიშებიც იქვე ირეოდა, საჯანდრავში უნდა გაეტარებინა მარტინს. თავში ვერაგულმა აზრმა გაჰკრა — იატაკზე მოფანტავს ამ ანგარიშებს და აღარც გადაიხდის. ასეც მოიქცა. გაიზარდა, ანგარიშები გამრავლდა, თითო ვალის ანგარიში — ათასად იქცა; ერთადერთი ვალი დარჩა გაუმრავლებელი — ეს იყო ორდოლარნახევრიანი ანგარიში მარიასი. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ მარია სულს არა ხდიდა, ჩქარა გადამიხადეო. და მარტინმაც დიდსულოვნად გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ამ ვალს გადაიხდიდა. ადგა და ქაღალდების ვეებერთელა გროვაში იმ ანგარიშს დაუწყო ძებნა. მთელი საუკუნეები გამწარებით ეძება და ისევ ძებნაში იყო გართული, როცა კარი გაიღო და სასტუმროს პატრონი შემოვიდა, გასიებული ჰოლანდიელი. სახე ბრაზით ანთებოდა, ისე იბღავლა, რომ ექომ მთელი სამყარო შეაზანზარა: «ხელფასიდან დაგიქვითავ ამ მანჟეტების ფასს!» ამასობაში სამრეცხაოში მანჟეტების მთა დადგა, და მარტინი მიხვდა, რომ მთელი საუკუნეები უნდა ემუშავა, მანამ ამის საფასურს გადაიხდიდა. სხვა გზა არ იყო, უნდა მოეკლა ჰოლანდიელი და სამრეცხაო გადაეწვა. მაგრამ ზორზოხა ჰოლანდიელი ქეჩოში სწვდა, მაღლა ასწია და ჰაერში დაუწყო კონწიალი. გადააკონწიალა საუთოებლებზე, ღუმელზე, საჯანდრავზე, საწურავ მანქანაზე. იმდენი ათრია, რომ მარტინს კბილების კაწკაწი დააწყებინა, თავი ატკივდა, გაკვირვებული იყო — ამ ჰოლანდიელს ამდენი ძალა ვინ მისცაო.

მერე ისევ საჯანდრავ მანქანასთან აღმოჩნდა — ამჯერად მანჟეტებს ღებულობდა და მანქანაში ატარებდა. მანქანის იქითა მხარეს ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორი იდგა, მანჟეტებს ახამებდა. ყოველი მანჟეტი ჩეკად იქცეოდა ხოლმე, მარტინი მოუსვენრად ათვალიერებდა, მაგრამ ჩეკები შეუვსებელი იყო. მილიონობით წელი გავიდა, მარტინი კი იდგა ასე და სუფთა ბლანკებს იღებდა, დამაცადინებული იყო, ერთიც არ გამორჩენოდა — ვაითუ სწორედ ის აღმოჩნდეს შევსებულიო. ბოლოს, როგორც იქნა, აღმოაჩინა. აკანკალებული ხელებით მოიტანა სინათლესთან. ხუთი დოლარის ჩეკი იყო. «ჰა, ჰა, ჰა!» გაიცინა რედაქტორმა მანქანის გადაღმა. «მე შენ მოგკლავ!» შესძახა მარტინმა. სააბაზანოში შევარდა ნაჯახის გამოსატანად და ნახა, რომ ჯო ხელნაწერებს სახამებელში ატარებდა. არ დავანებებო იფიქრა, და ნაჯახი მოუქნია, მაგრამ ნაჯახი ჰაერში გაშეშდა. ისევ სამრეცხაოში შევარდა და ნახა, რომ იქ

ნამქერი დატრიალებულიყო. არა, თოვლის ფანტელები არა ცვიოდა ციდან, ეს იყო უთვალავი ჩეკები, ყველაზე პატარა — არანაკლებ ათასი დოლარისა. მარტინმა მოხვეტა და დაახარისხა, დასტებად დააწყო, თითო დასტაში ას-ასი ცალი, მერე კანაფით კრავდა ხოლმე ყოველ დასტას.

თავი რომ აიღო, უცებ ჯო დაინახა — იქვე იდგა და ჟონგლიორობდა, ხან უთოებს ისროდა ჰაერში, ხანაც გახამებულ პერანგებსა და ხელნაწერებს. ზოგჯერ ჩეკების შეკვრასაც დასწვდებოდა და აიქნევდა — გააპობდა სახურავს ეს შეკვრა, ვეებერთელა წრეს შემოხაზავდა და თვალს მიეფარებოდა. მარტინი ჯოს ეცა, მაგრამ იმან დაასწრო, ნაჯახი ხელიდან გამოსტაცა და გაფრენილ ჩეკების შეკვრას მიაყოლა. მერე მარტინსაც დაავლო ხელი და ისიც ჰაერში მოიქნია. მარტინი სახურავში გავარდა და კარგა ბლომად ხელნაწერები გადაარჩინა, ხელით იჭერდა ჰაერში; ასე რომ, როცა მიწაზე დაბრუნდა, ხელნაწერები ჩამოიტანა ამოღლიავებული. მაგრამ დაშვება ვერ მოასწრო, რომ ისევ ჰაერში აღმოჩნდა. ასე განმეორდა ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ, უთვალავჯერ — აიჭრებოდა და ფრენით წრეს შემოხაზავდა. შორიდან ბავშვის წკრიალა ხმა ესმოდა: «ჩემთან ერთად დაუარე, შენებურად, ჩემო ვილი, დაუარე, დაუარე»...

ნაჯახი ცაში იშოვა — ჩეკების, გახამებული პერანგებისა და ხელნაწერების გადათეთრებულ კორიანტელში, და გადაწყვიტა, როცა ძირს დაეშვებოდა, მაშინვე მოეკლა ჯო. მაგრამ ძირს დაშვებას ვეღარ მოესწრო. სამაგიეროდ, ნაშუაღამევის ორ საათზე მარიას მარტინის კვნესა შემოესმა თხელი ტიხრიდან. შევიდა, ტანზე ცხელი უთოები შემოუწყო და გახურებულ თვალებზე სველი საფენები დაადო.

თავი ოცდამეექვსე

მარტინ იდენი მეორე დილას სამუშაოს საძებნელად აღარ წასულა. საღამო ხანი იყო, როცა ბურანიდან გამოერკვა და ანთებული თვალები ოთახში მოატარა. მერი, სილვას რვა წლის გოგონა, მეთვალყურედ ეჯდა სასთუმალთან; როგორც კი შენიშნა, თვალი გაახილაო, ყვირილით გავარდა დედასთან, მარია სამზარეულოში იყო და სწრაფად შეირბინა ოთახში, მუშაობით დაკოჟრებული ხელი გახურებულ შუბლზე დაადო მარტინს და მაჯა გაუსინჯა.

— საჩმელი არა მინდა? — ჰკითხა მან.

მარტინმა თავი გააქნია. საჭმლის გახსენებაც არ უნდოდა და გაუკვირდა, ნეტა როგორა ვგრძნობდი უწინ შიმშილსაო.

— ავადა ვარ, მარია, — მიკნავებული ხმით უთხრა მან, — ნეტა რა მჭირს? შენ როგორა გგონია?

— გრიპი, — უპასუხა მარიამ, — ორი-სამი დგე და ქარგად იქნება. საჩმელი აქლა არ მინდა. მერე ფევრი შეჩამა, იქნებ ქვალაც შეჩამა.

მარტინი დაჩვეული არ ყოფილა ავადმყოფობას და როცა მარია და მისი პატარა გოგონა გავიდნენ, წამოდგომა და ჩაცმა სცადა. ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით ძლივს მოახერხა გაბურსალებული თავის წამოწევა, თვალები ისე ეწვოდა, რომ გახელაც ვერ მოახერხა, დიდის ვაი-ვაგლახით ადგა და მაგიდასთან ძლივს მიჩოჩდა. მაგრამ ერთბაშად უმტყუნა ძალამ და თავი მაგიდაზე დაუვარდა. ნახევარი საათის შემდეგ ისევ მოახერხა ლოგინთან მიბრუნება, დაწვა, თვალები დახუჭა და სცადა გარკვეულიყო — რა ტკიოდა, რა აწუხებდა. მარია ხშირ-ხშირად მოაკითხავდა და შუბლზე ცივ ტილოს უცვლიდა. ხელადვე გაბრუნდებოდა. ჭკუა იხმარა: არ გამოლაპარაკებია და არ შეუწუხებია. მარტინი მიუხვდა და, მადლიერი, თავისთვის ბუტბუტს მოჰყვა:

— მარია, შენი რზის ფერმა იქნები, ნამდვილად იქნები, ნამდვილად!

მერე გუშინდელი დღე გაიხსენა, როგორც შორეული მოგონება. თითქოს მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც «ტრანსკონტინენტურიდან» წერილი მიიღო, რაც საბოლოოდ შეიცვალა აზრი და ცხოვრების ახალი ფურცელი გადაშალა. ძალიან მაგრად დასჭიმა მშვილდის ლარი, ძლიერად მოზიდა და ახლა გულაღმა გაშოტილი წევს. რომ არ ეშიმშილა, გრიპი რას მოერეოდა! ერთბაშად დავარდა და ძალა აღარ ეყო, რომ ავადმოყოფობის მიკრობი მოეშორებინა, რომელიც აგერ სხეულში შეეჭრა.

«თუნდა მთელი ბიბლიოთეკა დაწეროს კაცმა, რაღა აზრი აქვს, თუკი სიცოცხლეს შესწირავს?» — ხმამაღლა ამოილაპარაკა მან, — «არ ყოფილა ჩემი საქმე. აღარც გავეკარები მწერლობას. ჩემთვის კანტორა და საბუღალტრო დავთარი ყოფილა გაჩენილი, ყოველთვიური ჯამაგირი და პატარა ოჯახი, რუთთან ერთად».

გავიდა კიდევ ორი დღე, მარტინმა კვერცხი და პურის ორი თხელი ნაჭერი შეჭამა, ჩაი დააყოლა. მერე ფოსტა მოიკითხა, მაგრამ თვალები ისე ეწვოდა, რომ წაკითხვა ვეღარ მოახერხა.

— შენ წამიკითხე, მარია, — უთხრა მან, — დიდ, მსხვილ კონვერტებს ნუ გახსნი. მაგიდის ქვეშ შეჰყარე. პატარა წერილები წამიკითხე.

— არ ვისი, — უპასუხა მარიამ, — ტერესა ვისი, ტერესა სქოლაში დადიქარ.

ამრიგად, ცხრა წლის ტერეზა სილვამ გახსნა კონვერტები და წაუკითხა. მარტინი უგულისყუროდ უსმენდა სააგენტოს დაჟინებულ მოთხოვნას — საბეჭდი მანქანის ქირა გადაგვიხადეო, მისი გონება ახლა სამუშაოს ძებნაში იყო გართული. მაგრამ ერთბაშად გამოფხიზლდა.

«გთავაზობთ ორმოც დოლარს თქვენი მოთხრობის დაბეჭდვის შეუზღუდავი უფლებისათვის, — დამარცვლით წაიკითხა ტერეზამ, — თუკი თანახმა გახდებით ყოველი სახის შესწორებებზე, რასაც ჩვენ მოვახდენთ».

— რომელი ჟურნალიდან არის? — შესძახა მარტინმა, — აქ მომეცი!

სულ გადაავიწყდა თვალის ტკივილი, ერთბაშად დაუბრუნდა კითხვის უნარი. «თეთრი თაგვი» სთავაზობდა ორმოც დოლარს, მოთხრობა კი იყო «მორევი», ადრეული «საშინელი» მოთხრობების ციკლიდან. ზედიზედ რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი. რედაქტორი პირდაპირ უცხადებდა: ჩანაფიქრი ბოლომდე არა გაქვს დამუშავებული, მაგრამ თავისთავად საინტერესოა და მიტომაც ვიძენთო. თუ ნებას დაგვრთავთ, ერთი მესამედით შევკვეცოთ მოთხრობა, მივიღებთ და ორმოც დოლარს თქვენი პასუხის მოსვლისთანავე გამოგიგზავნითო.

მარტინმა კალამი და მელანი მოითხოვა და რედაქტორს მისწერა, თუ გინდათ სამი მეოთხედით შეამცირეთ, თანახმა ვარ, ოღონდ ფული ახლავე გადმომიგზავნეთო. წერილი მაშინვე ჩაუშვა ტერეზამ საფოსტო ყუთში. მარტინი გულაღმა იწვა და ფიქრობდა, მაშ, ტყუილი არა ყოფილა. «თეთრი თაგვი» ხელნაწერის მიღებისთანავე იხდის ჰონორარს. «მორევში» სამი ათასი სიტყვა იყო. მესამედს თუ ჩამოვაცლით, ორი ათასი დარჩება. ორმოცი დოლარიდან თითო სიტყვაზე ორი ცენტი მოდის. ხელნაწერის მიღებისთანავე უხდიან და თანაც სიტყვაში — ორ ცენტს. გაზეთიც ხომ ამას წერდა. მართალი ყოფილა. მარტინი კი მესამე ხარისხოვან ჟურნალად თვლიდა «თეთრ თაგვს!» გამოირკვა, რომ ჟურნალების ასავალ-დასავლისა არაფერი გაეგება მარტინს. «ტრანსკონტინენტური» მიაჩნდა პირველხარისხოვან ჟურნალად და იმან ათ სიტყვაში ერთი ცენტი მისცა. «თეთრ თაგვს»— სათვალავშიაც არ აგდებდა და, აგერ, სწორედ ის უხდის ოცჯერ მეტს, თანაც ხელნაწერის მიღებისთანავე.

ერთი რამ აშკარა გახდა: როცა მორჩება, სამუშაოს აღარ დაუწყებს ძებნას. «მორევზე» კარგი მოთხრობა რამდენი აქვს მოფიქრებული, ორმოც-ორმოც დოლარად

თუ გაჰყიდა თითო, რაღად უნდა სამსახური, რომელი სამსახური მისცემს ამდენ შემოსავალს. როცა ეგონა, ბრძოლა წავაგეო, სწორედ მაშინ მოუგია. მაშ, გაუმართლა საბოლოოდ. მისი მომავალი ახლა ნათელია. «თეთრი თაგვის» შემდეგ მისი მფარველი ჟურნალების სია სულ გაიზრდება და გაიზრდება. საჟურნალისტო სამუშაოს გვერდზე გადასდებს. ტყუილი დროს დაკარგვა გამოდის, ერთი დოლარიც არ მოუტანია. ახლა უკვე ნამდვილ საქმეს შესწირავს მთელ დროს, ნამდვილ კარგ საქმეს, და რაც ნიჭი აქვს, შიგ ჩააქსოვს. ინატრა, ნეტა რუთი აქ იყოს და ჩემი სიხარული გაიზიაროსო. მერე, როცა ლოგინზე მიმოფანტული წერილები გასინჯა. ერთი რუთისა აღმოჩნდა. ალერსიანად საყვედურობდა, რა მოგივიდა, ამდენ ხანს სად დაიკარგეო. რამდენჯერმე აღფრთოვანებით გადაიკითხა წერილი, ხელწერას აკვირდებოდა, მის დაწერილ ყოველ სტრიქონს ეალერსებოდა, ბოლოს კი ხელნაწერს აკოცა.

პასუხს რომ სწერდა, აღარ მოერიდა, პირდაპირ გამოუტყდა — კარგი კოსტიუმი დავაგირავე და იმიტომ ვერ მოვდიოდი. ავად ვიყავი, მაგრამ ახლა თითქმის გამიარა, ათ დღეში ან ორ კვირაში (როგორც კი წერილი ნიუ-იორკს ჩააღწევს და უკანვე დაბრუნდება) კოსტიუმს გამოვიხსნი და მაშინვე შენთან გავჩნდებიო.

მაგრამ რუთს რა დააცდევინებდა ათ დღეს და ორ კვირას. მით უმეტეს, შეყვარებული ჰყავდა ავად. მეორე დღესვე ართური გაიყოლა და მორზების კარეტით მიადგა, რითაც წარმოუდგენელი სიხარული მიანიჭა სილვას მთელ შთამომავლობასა და საერთოდ იმ უბნელ ბალღებს, თვითონ მარია კი საშინლად ააფორიაქა. იგი დაერია ბაშვებს, რომლებიც სტუმრებს შემოხვეოდნენ პაწაწინა პარმაღზე, სათითაოდ სილა უთავაზა ყველას და ყურისგამხვრეტი ინგლისურით სცადა ბოდიში მოეხადა, ასე ჩამობრანძულს მომისწარითო. მკლავებზე საპონი მიხმობოდა. ხოლო სველი ჯვალოს ნაჭერი, რომელიც წინსაფრის მაგივრად შემოერტყა წელზე, აშკარად მიუთითებდა, თუ რა საქმით იყო იგი გართული. ისე ააფორიაქა ორი დიდებული ახალგაზრდის მოსვლამ, რომლებიც მის მდგმურსა კითხულობდნენ, რომ ისიც ვეღარ მოისაზრა, თავის მოცუცქნულ სასტუმრო ოთახში მაინც შეეყვანა. მანამ მარტინის ოთახში შეაღწევდნენ, სტუმრებმა ჯერ სამზარეულო გაიარეს, სადაც სარეცხის წყალობით, ორთქლის ბუღი იდგა. მარია ისე იყო აღელვებული, რომ ოთახის კარსა და კარადას ვერაფერი მოუხერხა, ხუთ წუთს ეჯაჯგურა, ასე რომ, ნახევრად შეღებულ კარში ორთქლთან ერთად ჭუჭყიანი სარეცხისა და საპნის სუნი შეიჭრა.

რუთმა მარჯვედ შეუხვია გვერდულად ჯერ მარჯვნივ, მერე — მარცხნივ, მერე ისევ მარჯვნივ. ფრთხილად გაიარა ვიწრო გასასვლელი მაგიდასა და საწოლს შორის. ართური კი მხარბეჭგაშლილი წამოვიდა და გრუხუნ-გრუხუნით წამოხვეტა ქვაბები და ტაფები მარტინის სამზარეულოდან. დიდხანს აღარ დარჩენილა ართური. ერთადერთი სკამი რუთმა დაისაკუთრა, ართურმა კი თავისი მოვალეობა შეასრულა და უკანვე გაბრუნდა, ჭიშკართან გაჩერდა, საცა ხელად შემოერტყა წრედ შვიდი გაკვირვებული სილვა, პირდაღებულები შეჰყურებდნენ, თითქოს თეატრში არიანო. კარეტას კი მთელი უბნის ბავშვები მოსწყდომოდა, სულგანაბული ელოდნენ, როდის დატრიალდებოდა რაიმე საშინელება. ეტლი იმათ უბანში მარტო ქორწილის ან დაკრძალვის დროს თუ გამოჩნდებოდა; ახლა არც ქორწილი იყო და არც დაკრძალვა, ამიტომაც ელოდნენ გამწარებით, ისეთი რამე მოხდება, რომ ნახვად ეღირებაო.

მთელი ეს დღეები ისე ენატრებოდა რუთი მარტინს, რომ ჭკუას კარგავდა. მხურვალე, მოსიყვარულე გულის პატრონი იყო და კაცთაგან ისე არავინ საჭიროებდა თანაგრძნობას, როგორც ის. საარსებო მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული, მაგრამ არა გარეგნული თანაგრძნობა, არამედ გულითადი, როცა ადამიანისა ყველაფერი

გესმის. ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ რუთის თანაგრძნობას საფუძვლად ედო არა ასეთი გაგება, არამედ მისივე სანტიმენტალური ბუნება და მგრძნობიარე გული. სწორედ ასეთი თანაგრძნობისაგან იყო, რომ, როცა მარტინმა ქალის ხელი აიღო თავის ხელში და გახარებულმა ლაპარაკი დაიწყო, რუთმაც, სიყვარულის კარნახით, ხელი მოუჭირა; მარტინის გატანჯული სახის დანახვამ და ასეთი უმწეობის ხილვამ თვალები ცრემლით აუციმციმა.

მაგრამ, როცა მარტინმა იმ ორი წერილის ამბავი უამბო – ჯერ როგორ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო «ტრანსკონტინენტურის» წერილმა, ხოლო შემდეგ რა სიხარული მოჰგვარა «თეთრი თაგვის» ცნობამ, რუთი მის განცდებს არ აჰყოლია. მოისმინა მისი სიტყვები, ჩასწვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ არც მისი სასოწარკვეთა გაუზიარებია და არც სიხარული. ახლაც ვერ უღალატა თავის ბუნებას. სულაც არ დააინტერესა ჟურნალებისათვის მოთხრობის მიყიდვის ამბავმა. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო დაქორწინების საქმე. თუმცა თვითონ არა ჰქონდა ეს შეგნებული; ასევე არა ჰქონდა შეგნებული ისიც, რომ მარტინს სამსახურში მოწყობას სწორედ ამის გამო ურჩევდა. დედობის ინსტინქტი უკარნახებდა. ეს რომ ეთქვა მისთვის ვინმეს პირდაპირ, სირცხვილით ლოყა აეწვოდა, იქნებ გულიც კი მოსვლოდა, მტკიცებას მოჰყვებოდა, საყვარელი ადამიანის კეთილდღეობისთვის ვზრუნავ და იმიტომ ჩავჩიჩინებ ამასო. ერთი სიტყვით, თავის არჩეულ საქმეში პირველი წარმატებით აღელვებულმა მარტინმა გული გადაუშალა, რუთი კი უგულოდ ისმენდა, აქეთ-იქით იყურებოდა, და, რასაც ირგვლივ ხედავდა, იმითი სწუხდა.

რუთმა პირველად ჩახედა სიღარიბეს ჭუჭყიან სახეში. დამშეული შეყვარებულები მუდამ რომანტიკულად ჰყავდა წარმოდგენილი, მაგრამ თავის დღეში არ წარმოედგინა, როგორ ცხოვრობდნენ ეს დამშეული შეყვარებულები. რას იფიქრებდა, ასეთი ცხოვრება თუ ექნებოდათ. ხან ოთახს მოავლებდა თვალს, ხან მარტინს დახედავდა, ისევ და ისევ. ჭუჭყიანი სარეცხის სუნი, რომელიც სამზარეულოდან შემოიჭრა, გულს ურევდა. ალბათ ამ სუნით არის მარტინი გაჟღენთილი, თუ ეს საშინელი დედაკაცი მრეცხაობით ირჩენს თავსო, დაასკვნა მან. ღატაკთა ბედი გადამდებია. კიდევ რომ გადახედა მარტინს, მოეჩვენა, თითქოს ასეთი გარემოცვისაგან მასაც ლაქა მოსცხებოდეს. თავის დღეში გაუპარსავი არ ენახა მარტინი და ახლა სამი დღის წამოზრდილმა წვერმა უსიამოვნოდ იმოქმედა. გაუპარსაობა, ჯერ ერთი, სილვას მთელი სახლის ჭუჭყისა და სიბინძურის იერს აძლევდა მარტინს, თან კი იმ ცხოველური ძალის გრძნობას აძლიერებდა, რაც ასე სძულდა რუთს. იმ ორი მოთხრობის დასაბეჭდად მიღების ამბავს ისეთი სიამაყით ყვებოდა მარტინი, რომ აშკარა იყო, კიდევ უფრო განუმტკიცებდა თავისი გიჟური გეგმების რწმენას. გამოჯდება ახლა ამ საშინელ სახლში და აღარ მოიშლის წერას, რამდენიმე თვეს კიდევ იშიმშილებს!

— რის სუნი მოდის? — იკითხა რუთმა მოულოდნელად.

— მარიას სარეცხის სუნი იქნება, — მიუგო მარტინმა.

— არა, არა. სხვა არის რაღაც. რაღაცნაირი სინოტივის სუნი.

მანამ უპასუხებდა, მარტინმა ჰაერი შეიყნოსა.

— სხვას მე ვერაფერსა ვგრძნობ, გარდა დამდგარი თუთუნის სუნისა, — თქვა მან.

— მართალი ხარ. პირდაპირ საშინელებაა. ამდენს რადა სწევ, მარტინ?

— მე თვითონ არ ვიცი. მარტო რომ დავრჩები, ჩვეულებრივზე მეტსა ვწევ ხოლმე. თავიდანვე დავეჩვიე. ბავშვი ვიყავი, პაპიროსის წევა რომ დავიწყე.

— ცუდი ჩვეულებაა, — დატუქსა რუთმა, — კვამლით არის ოთახი გაჟღენთილი.

— თუთუნის ბრალია. ყველაზე იაფფასიანსა ვწევ. დამაცადე, ის ორმოცი დოლარი მივიღო! ისეთ თუთუნს მოვწევ, ანგელოზებსაც კი არ შეაწუხებს. ჰა, რას იტყვი, ხომ კარგი საქმეა — ორი მოთხრობა სამი დღის განმავლობაში?! ეს ორმოცდახუთი დოლარი თითქმის მთელ ვალებს გამისტუმრებს.

— ორი წლის ნამუშევარი, არა? — ჩაეკითხა რუთი.

— რატომ, ერთი კვირა არც კი მომინდომებია. აბა, ერთი ის რვეული მომაწოდე, იმაში მიწერია. ეგერ, ნაცრისფერყდიანი, — მარტინმა სწრაფად დაუწყო რვეულს ფურცვლა, — ჰო, არ შევმცდარვარ. ოთხი დღე «ზარის ძახილი» და ორი დღე — «მორევი». ერთ კვირაში — ორმოცდახუთი დოლარი. თვეში — ას ოთხმოცი. ამისთანა ხელფასს ვინ მომცემს. თანაც, ეს მხოლოდ დასაწყისია. ყოველთვიური ათასი დოლარიც კი მეცოტავება იმის საყიდლად, რაც შენთვისა მსურს. ხუთასი დოლარი თვეში ნამდვილად არ მეყოფა. ამ ორმოცდახუთი დოლარით იწყება მხოლოდ საქმე. ჯერ მადროვე, წელი მოვიმაგრო. მერე მიყურე, როგორ გავაბოლო.

რუთმა ჟარგონი ვერ გაიგო, იფიქრა პაპიროსზე ლაპარაკობსო.

— შენ ახლაც საკმაოზე მეტსა სწევ, კარგი თუთუნი რას უშველის საქმეს! მთავარია, არ მოსწიო, რა თუთუნიც არ უნდა გქონდეს, საკვამური მილი ხარ, პირდაპირ! ვულკანი! ბუხარი! აბა, რა საკადრისია, მარტინ, ძვირფასო! შენ თვითონაც ხომ იცი, რომ არ არის საკადრისი.

მარტინისკენ დაიხარა, თვალებში მუდარა გამოუკრთოდა. მარტინმა შეხედა ამ ნაზ სახეს, წმინდა, ცისფერ თვალებს და კვლავ ის ძველი განცდა დაეუფლა — რა ამისი ღირსი ვარო.

— მე მინდა, რომ პაპიროსს თავი დაანებო, — ჩურჩულით უთხრა ქალმა, — გთხოვ, თუნდაც... ჩემი ხათრით.

— კარგი, დავანებებ, — შესძახა ჭაბუკმა, — რაც არ უნდა დამავალო, ყველაფერს შეგისრულებ, ჩემო ძვირფასო... ყველაფერს... შენ ხომ იცი.

რუთს დიდმა ცთუნებამ წამოუარა. რაკი შენიშნა, დამთმობი ხასიათი აქვსო, ერთი პირობა გაიფიქრა, — მოდი, ვთხოვ, წერასაც გაანებოს თავი, ნამდვილად შემისრულებსო. ენაზე მოადგა სიტყვები, მაგრამ თავი შეიკავა და აღარ უთხრა. გამბედაობა არ ეყო. სამაგიეროდ, კიდევ დაიხარა და მარტინის ხელებში მოექცა.

— ხომ იცი, რომ შენთვისვე გთხოვე, მარტინ, შენი სიკეთისთვის, — წაიდუდუნა მან, — პაპიროსი გწყენს. თანაც რატომ უნდა გაუხდე მონა რაიმეს... რაიმე ჩვეულებას!

— მე შენი მონა ვიქნები მუდამ, — გაუღიმა მარტინმა.

— მაშინ ელოდე ჩემს ბრძანებებს.

რუთმა ეშმაკურად შეხედა, გულში სინანული იგრძნო, მთავარი სათხოვარი რად არ ვუთხარიო.

— მანამ სული მიდგას, თქვენი აღმატებულების მორჩილი ვიქნები!

— მაშ, ჩემი პირველი ბრძანება მოისმინე: ერთ დღესაც ნუ გამოტოვებ, რომ წვერი არ გაიპარსო. შეხედე, როგორ დამიკაწრე სახე.

ერთი სიტყვით, ალერსითა და ტკბილი სიცილით დამთავრდა ყველაფერი. რუთმა ერთ რასმე უკვე მიაღწია, ხოლო ერთდროულად ორი საკითხის მოგვარება არ შეიძლებოდა. გული ქალური სიამაყით აევსო, რომ პაპიროსის წევას თავი დაანებებინა. ამის შემდეგ სამსახურის დაწყებასაც მოსთხოვს. აკი შეჰპირდა, რასაცა მთხოვ, ყველაფერს შეგისრულებო.

რუთი წამოდგა და ოთახის დათვალიერებას მოჰყვა. ნახა კანაფზე ჩამოკიდებული შენიშვნები; გაეცნო საიდუმლო მოწყობილობას, რაც ველოსიპედის დასამაგრებლად მოიგონა მარტინმა; მაგიდის ქვეშ ხელნაწერებს რომ მოჰკრა თვალი, შეცბა — ამდენი

დროის ფუჭად დაკარგვამ შეაწუხა; ნავთქურამ აღაფრთოვანა, მაგრამ იქვე სურსათის თაროები რომ გასინჯა, სულ ცარიელი აღმოჩნდა.

— საჭმელი არაფერი გაქვს, ჩემო საწყალო ბიჭო! — თანაგრძნობით წარმოთქვა მან, — შიმშილობ ალბათ.

— სანოვაგე მარიასთან მაქვს საკუჭნაოში, — იცრუა მარტინმა, — იქ უფრო კარგად ინახება. ჩემი დამშევისა ნუ გეფიქრება. აბა, შემხედე!

რუთი მარტინთან მიბრუნდა, ჭაბუკმა იდაყვში მოხარა მკლავი, ქვასავით მაგარმა კუნთებმა პერანგის სახელო გამობერა. ამ სანახაობამ ქალს ზიზღი მოჰგვარა. მისი სანტიმენტალური ბუნება ვერ იტანდა ასეთ რამეს. მაგრამ გული, სისხლი, ყოველი ნერვი, მთელი არსება უთრთოდა, მისკენ მიიწევდა... ძველებურადვე მინებდა ამ გამოუცნობ გრძნობას, ჭაბუკისკენ დაიხარა. მიუახლოვდა. და როცა მარტინმა მკლავებში მოიქცია, ქალის გონება, რომელიც ზერელედ იცნობდა ცხოვრების საიდუმლოებას, აღშფოთდა, ხოლო გული, მისი ქალური ბუნება, რომელიც ცხოვრებისეული იყო, სიხარულით თრთოდა. ასეთ წუთებში რუთი აშკარად გრძნობდა, რა ძლიერად უყვარდა მარტინი; რადგან გულში რომ ჩაიხუტებდა ვნებით გზნებული ჭაბუკი და მკლავებს ისე მაგრად შემოაჭდობდა, რომ მთელ სხეულს ატკენდა, ქალი ამ დროს გაითანგებოდა და თავბრუ დაესხმოდა. ასეთ წუთებში იგი ამართლებდა თავის საქციელს: თავიდანვე ჩამოყალიბებული პრინციპებისა და მაღალი იდეალების ღალატსაც და იმ უხმო ურჩობასაც, რასაც დედ-მამის მიმართ იჩენდა. დედ-მამას არა სურდა, ამ კაცს გაჰყოლოდა რუთი. ეს სიყვარული მათთვის ელდა იყო. ზოგჯერ მისთვისაც კი სამარცხვინო ჩანდა, როცა მარტინისაგან მოშორებული კვლავ ცივი გონებით სჯიდა ყველაფერს. მაგრამ როცა მარტინთან ერთად იყო, უყვარდა იგი; ზოგჯერ იქნებ წყენა და წუხილიც გარეოდა ამ გრძნობას, მაგრამ მაინც სიყვარული იყო, სიყვარული, რომელიც რუთზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

— ეს გრიპი არაფერია, გაივლის, — ამბობდა მარტინი, — ცოტას კი შეგაწუხებს, თავს აგატკივებს, მაგრამ ტროპიკულ ხურვებასთან რას მოვა!

— ტროპიკული ხურვებაც გამოგიცდია? — გონებაგაფანტულად ჰკითხა მარტინის მკლავებში განაბულმა, ციურ სიამოვნებას მინებებულმა ქალმა.

ასევე გონებაგაფანტული უსმენდა პასუხს, მანამ ერთმა ფრაზამ არ შეაკრთო.

ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე შეჰყროდა ეს ხურვება, როცა იგი ოცდაათი კეთროვანის საიდუმლო კოლონიაში მოხვდა.

— იქ რა გინდოდა? — ჰკითხა ქალმა.

ასეთი მეფური დაუდევრობა საკუთარი თავის მიმართ დანაშაულად ეჩვენა.

— შემთხვევით. მე თვითონ არ ვიცოდი, — უპასუხა ჭაბუკმა, — კეთროვანებზე არც კი მიფიქრია. ერთხელ გემიდან გავიპარე, ნაპირთან მივცურე და კუნძულის სიღრმეში შევედი, დასამალავ ადგილს ვეძებდი. მთელი სამი დღე გუავას ნაყოფით, პანტითა და ბანანით ვიკვებებოდი; ერთი სიტყვით, რაც კი შემხვდებოდა იმ დაბურულ ტყეში. მეოთხე დღეს ბილიკს წავაწყდი, ადამიანის ნაკვალევს. გორაკს მიჰყვებოდა ეს ბილიკი, კუნძულის სიღრმისკენ. მეც ეგ მინდოდა. ეტყობოდა, ახალი გაკვალული იყო. ერთ ადგილას მთის ვიწრო თხემი გადასჭრა ბილიკმა, დანის პირივით ვიწრო იყო. ბილიკი აქ სამი ფუტის სიფართისა არც კი იქნებოდა, თხემი თითქოს უფსკრულიდან იყო ამოზიდული, ორივე მხრიდან ასობით ფუტის სიღრმე უფსკრული ერტყა. აქ ერთი თოფიანი კაცი ასიათასიან ჯარს შეაკავებდა. ეს იყო ერთადერთი გზა კუნძულის გულისაკენ. სამი საათი ვიარე და ერთბაშად მოვხვდი პატარა ხევში, რომელიც გაციებული ლავის გორაკებს შორის ჯიბესავით იდო.

ხეხილის ბაღი იყო აქ გაშენებული და ათამდე ისლის ქოხი იდგა. მაგრამ იქაური ბინადარი რომ დავინახე, ხელადვე მივხვდი, სად ვიყავი. ერთი თვალის შევლება კმაროდა.

— მერე? რა ქენი? — ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა რუთმა. დეზდემონასავით უსმენდა — შეშინებული და მოჯადოებული.

— რას ვიზამდი, რა უნდა მექნა? მამასახლისად ერთი კეთილი ბერიკაცი ჰყავდათ, კეთრით შეჭმული, მაგრამ მეფის უფლებებით მოსილი. სწორედ მას აღმოეჩინა ეს ხეობა და კოლონია დაეარსებინა, თუმცა ეს იყო კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. თოფები ჰქონდათ, ბლომად ტყვია-წამალი, ისე გაწაფულიყვნენ ეს კანაკები ნადირისა და გარეული ღორების ხოცვაში, რომ შენი მოწონებული. ერთი ბეწოთაც კი ნიშანს არ ააცდენდნენ. რა ბრძანებაა, მარტინ იდენი გაქცევას რას მოახერხებდა, მთელი სამი თვე იყურყუტა იქა.

— მერე როგორღა გამოიპარე?

— ახლაც იქ იქნებოდა, ერთ გოგოს რომ არ ეშველა. ნახევრად ჩინელი იყო ეს გოგო, მეოთხედი — თეთრი და მეთხედიც — ჰავაიელი. ლამაზი გოგონა იყო საწყალი, განათლებული. დედამისი ჰონოლულუში მილიონის პატრონი ყოფილა. და სწორედ იმ გოგომ გამომაპარა ბოლოს. ამ ახალშენს თურმე დედამისი ინახავდა და ამიტომ დასჯისა არ ეშინოდა გოგონას. ოღონდ წინასწარ დამაფიცა, მათი სამყოფელი ადგილი არ გამეცა, და არც გამიცია. პირველად შენთან ვამბობ ახლა. გოგონას, ის იყო, გამოსჩენოდა კეთრის პირველი ნიშნები. მარჯვენა ხელის თითები ოდნავ დაკრუნჩხოდა და მკლავზედაც პატარა ლაქა აჩნდა. ეს იყო და ეს. ახლა ალბათ ცოცხალი აღარ იქნება.

— არ გეშინოდა მაინც? როგორ გადაურჩი იმ საშინელ სენს?

— პირველად კარგა მაგრად შევფუცხუნდი, — გამოტყდა ჭაბუკი, — მერე კი თანდათანობით შევეჩვიე. იმ უბედური გოგოს საცოდაობამ შიშიც გადამავიწყა. ისეთი მშვენიერი იყო — სულითაც გარეგნობითაც... სენი, ის იყო, შეპარვოდა, მაგრამ თავიდანვე განწირული იყო, მთელი სიცოცხლე იქ გაეტარებინა, პირველყოფილი ველურის ცხოვრებით ეცხოვრა და ცოცხლად გახრწნილიყო. შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა საშინელებაა კეთრი.

— საბრალო! — ნაზად აღმოხდა რუთს, — საოცარია, როგორ გამოგიშვა!

— ვითომ რატომ? — რუთის სიტყვების შინაარსს ვერ ჩახვდა მარტინი.

— იმიტომ, რომ ალბათ უყვარდი, — კვლავ ნაზად უპასუხა რუთმა, — ხომ მართლა უყვარდი? ნუ დამიმალავ.

სამრეცხაოში მუშაობამ და გამუდმებულმა შინ ჯდომამ მზის სიდამწვრე თანდათანობით ჩამოაცილა მარტინს; ის კი არადა, შიმშილითა და ავადმყოფობით სახე გაეცრიცა კიდეც... და ახლა, ამ გაცრეცილ სახეზე სიწითლის სუსტი ტალღა მოაწვა. პასუხის გასაცემად ბაგე გახსნა, მაგრამ რუთმა შეაჩერა.

— არ გინდა, ნუ მიპასუხებ. რა საჭიროა, — სიცილით უთხრა მან.

მაგრამ მარტინმა შენიშნა, რომ მის სიცილში ფოლადი გარეულიყო და თვალებიც ყინულის სიცივით უელავდა. ამან უცებ ის საშინელი ქარიშხალი მოაგონა, რაც ერთხელ წყნარი ოკეანის ჩრდილო ნაწილში გამოსცადა. წამით თვალწინ წარმოუდგა მოწმენდილი ღამე, კრიალა ცა, სავსე მთვარე, დაბლა კი მთვარის ცივი სხივებით განათებული, მთებივით წამოფოფრილი ტალღები. ამას სხვა ზმანება მოჰყვა — ახალგაზრდა გოგონა, კეთროვანთა შორის... გაახსენდა, რომ გოგონას უყვარდა მარტინი და სწორედ იმიტომ გამოაპარა.

— კეთილშობილი გოგო იყო, — ჩაილაპარაკა მარტინმა, — სიცოცხლე მაჩუქა.

ეს იყო და ეს, მეტი არაფერი თქმულა, მაგრამ მარტინმა გაიგონა, როგორ მოაწვა ყრუ ქვითინი ყელში ქალს, შენიშნა, როგორ სწრაფად მოატრიალა თავი და ფანჯარაში ყურება დაიწყო. ხოლო როცა ისევ მოაბრუნა სახე, მარტინმა შენიშნა, რომ უკვე დამშვიდებულიყო და თვალებშიაც ქარიშხალი დაცხრომოდა.

— ვგრძნობ, რომ სულელი ვარ, — შესჩივლა რუთმა, — მაგრამ რა ვქნა. იცი, როგორ მიყვარხარ, მარტინ... მიყვარხარ, მიყვარხარ. მერე თანდათანობით მოვერევი თავს, მაგრამ ახლა არ შემიძლია, შენს წარსულს რომ გავიხსენებ, ეჭვი მახელებს. შენი წარსული კი ძალიან ბუნდოვანია... ბუნებრივიცაა, — აღარ დაანება მარტინს თავის მართლება, — საწყალი ართური მანიშნებს, წამოდიო. ჩამოწყდა ლოდინით. ნახვამდის, ჩემო ძვირფასო.

— რაღაც წამალი აქვთ აფთიაქებში, პაპიროსის გადასაჩვევად ხმარობენ, — კარებიდან გამოსძახა მან, — ვიშოვი და გამოგიგზავნი.

კარი დაიხურა, მაგრამ ისევ მალე გაიღო.

— მიყვარხარ, მიყვარხარ, — ჩურჩულით გამოსძახა რუთმა და ამჯერად კი ნამდვილად წავიდა.

მარიამ მოწიწებით მიაცილა რუთი კარეტამდე, თან დროს არ კარგავდა და გულმოდგინედ ათვალიერებდა მის ტანსაცმელს, შეკერილობას (პირველად ხედავდა ასეთ ფასონს და ძალიან ლამაზი ეჩვენა). იმედგაცრუებული ბალღები იდგნენ და გაჰყურებდნენ, მანამ ეტლი თვალს არ მიეფარა, მერე მზერა მარიაზე გადაიტანეს, რომელიც ერთბაშად ყველაზე პატივსაცემი ქალი გახდა მთელ უბანში. მაგრამ მარიას რეპუტაცია მისმავე ერთ-ერთმა ნაშიერმა დასცა, როცა გაამხილა, რომ ღირსეული სტუმრები მას კი არ სწვეოდნენ, არამედ მის მდგმურს. ამის შემდეგ მარია ისევ არარაობად იქცა, ხოლო მარტინისათვის აშკარა შესამჩნევი გახდა, რა მოწიწებით დაუწყო ყურება იმ უბნის წვრილფეხობამ. მარიას თვალშიაც ერთიორად ამაღლდა იგი, ის კი არადა, პორტუგალიელ ბაყალს რომ დაენახა მის კარზე მიმდგარი კარეტა, სამი დოლარისა და ოთხმოცდახუთი ცენტის კრედიტს კიდევ გაუხსნიდა.

თავი ოცდამეშვიდე

მარტინს ბედმა გაუღიმა. რუთის სტუმრობის მეორე დღეს ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბულვარული ჟურნალისაგან სამი დოლარის ჩეკი მიიღო, სამი ტრიოლეტის ჰონორარი. ამის შემდეგ ორი დღე კიდევ გავიდა და ჩიკაგოს ერთ-ერთი გაზეთიდან ცნობა მოუვიდა — «განძის მაძიებლები» მიეღოთ დასაბეჭდად და გამოქვეყნების შემდეგ ათ დოლარს ჰპირდებოდნენ. ჰონორარი დიდი არ ყოფილა, მაგრამ ეს მარტინის პირველი სტატია იყო, პირველი ცდა, საქვეყნოდ გამოეთქვა თავისი აზრები. ამეების დაგვირგვინება ის იყო, რომ კვირის მიწურულში ყოველთვიურმა საყმაწვილო ჟურნალმა — «სიჭაბუკე და სიბერე» — ცნობა გამოუგზავნა: კიდევ ერთი მისი სათავგადასავლო მოთხრობა დასაბეჭდად მიეღოთ. მართალია, მოთხრობა ოცდაერთი ათას სიტყვას შეიცავდა, ჰონორარს კი სულ თექვსმეტ დოლარს ჰკირდებოდნენ, ისიც დაბეჭდვის შემდეგ, ესე იგი, ყოველ ათას სიტყვაზე სამოცდათხუთმეტი ცენტი მოდიოდა, მაგრამ ეს სათავგადასავლო მოთხრობა ფაქტობრივად მისი მეორე ლიტერატურული ცდა იყო და ახლა უკვე თვითონვე კარგადხედავდა მათში სიტლანქესა და უფერულობას.

თუმცა ისეთი სიტლანქე და მოუქნელობა, რაც მწერლობის საშუალო დონეს შეეფერება, სულაც არ ყოფილა დამახასიათებელი მარტინის ადრეული ნაწარმოებებისათვის. არა, ეს იყო ახალბედასათვის დამახასიათებელი მეტისმეტად

დიდი ძალისმიერი სიტლანქე და მოუქნელობა, ისეთი მოვლენა, როცა ზარბაზანს გამოიტანენ და ბეღურებს დაუშენენ ხოლმე. და მარტინი გახარებული იყო, რომ, როგორც იქნა, გაასაღა თავისი ადრინდელი ნაწარმოებები, თუმცაღა ძალიან იაფად. იცოდა მათი ფასი, დიდი დრო არ დასჭირვებია ამ ცოდნის შესაძენად. მთელ თავის იმედებს ბოლოდროინდელ ნაწარმოებებზე ამყარებდა. ისწრაფოდა, უბრალო საჟურნალო მოთხრობების ავტორებზე უფრო დიდი რამისათვის მიეღწია. ცდილობდა, ჭეშმარიტი მხატვრის ხერხებით აღჭურვილიყო და, ამასთან, ძალა არ მიეტანა მსხვერპლად. მისი საზრუნავი გახდა მეტი ძლიერებისათვის მიეღწია, ოღონდ ძალის დაზოგვით. არც რეალიზმის სიყვარული დაუკარგავს. რეალისტური იყო ყველა მისი ნაწარმოები, ოღონდ ცდილობდა ფანტაზიის სილამაზე შეერწყა მასში. ცდილობდა შთაგონებული რეალიზმისათვის მიეღწია, რომელიც ადამიანური აღმაფრენითა და რწმენით იქნებოდა გამსჭვალული.

წიგნების კითხვამ დაარწმუნა, რომ ორი ლიტერატურული სკოლა არსებობდა. ერთს ადამიანი რაღაც ღვთაებად წარმოედგინა, ხოლო მის მიწიერებას, ნამდვილ ადამიანურ ბუნებას, სავსებით უგულებელყოფდა; მეორეს, პირიქით, მიწას მიკრულ პირუტყვად წარმოედგინა და მის ციურ აღმაფრენას, ღვთაებრივ ნიჭსა და უნარს სავსებით უარყოფდა. მარტინის აზრით, ორივე სკოლა ცდებოდა, ერთის თვალსაზრისიც და მეორისაც ძალიან ცალმხრივი ეჩვენებოდა. ჭეშმარიტება სადღაც შუაში იყო. თავის მოთხრობაში, რომელსაც მარტინმა «თავგადასავალი» უწოდა და რომელსაც გულგრილად შეხვდა რუთი, მან სცადა მხატვრული სიმართლის იდეალისთვის მიეღწია, და დარწმუნებულიც იყო, რომ მიაღწია; ხოლო სტატიაში «ღმერთი და პირუტყვი» მან ჩამოაყალიბა თეორიული შეხედულებანი ამ საკითხზე.

მაგრამ «თავგადასავალიცა» და სხვა ნაწარმოებებიც, რაც მას თავის საუკეთესო ქმნილებებად მიაჩნდა, კვლავ კარდაკარ დადიოდა — რედაქციიდან რედაქციაში. ადრეული ნაწერები კი დიდად არ ეპიტნავებოდა, ერთადერთი სიკეთე ის იყო, რომ ფული მოუტანა. არც ის «საშინელი» მოთხრობები მიაჩნდა დიდ რამედ, რომელთაგან ორი უკვე გაყიდა. ეს იყო პირწმინდად გამოგონილი მოთხრობები, ოღონდ რეალიზმის შარავანდში გახვეული, და თუ რამე ძალა ჰქონდათ, სწორედ ამითი. დაუჯერებელისა და შეუძლებელის რეალურ სამოსელში გახვევა მას ჯამბაზურ ტრიუკად ეჩვენებოდა — უკეთეს შემთხვევაში, მარჯვე ტრიუკად. დიდი ლიტერატურა ასეთ ჩარჩოებში ვერ მოთავსდებოდა. მხატვრული ოსტატობის მხრივ ეს ნაწარმოებებიც მაღალ დონეზე იდგა, მაგრამ ოსტატობას სულაც არ დაგიდევდათ მარტინი, თუკი ნაწარმოები ცხოვრებისეულ სიმართლეს იყო დაშორებული. ჯამბაზური ტრიუკი იმაში მდგომარეობდა, რომ გამონაგონი ამბავი ცხოვრებისეული სიმართლის ნიღბით დაეფარა, ექვსამდე ასეთი მოთხრობა დაწერა მან, ვიდრე ისეთ ნაწარმოებებს შექმნიდა, როგორიც იყო «ხიხარული», «ქოთანი» და «იცოცხლის ზედაშე».

იმ სამი დოლარით, რაც მან ტრიოლეტების გასამრჯელოდ მიიღო, როგორმე გაიტანდა თავს «თეთრი თაგვის» რედაქციიდან ჩეკის მოსვლამდე. ადგა და ეს სამდოლარიანი ჩეკი დაეჭვებულ პორტუგალიელ ბაყალთან გადაახურდავა, ერთი დოლარი მასვე დაუტოვა ვალის ანგარიშში, დანარჩენი ორი დოლარი კი ხაბაზსა და ხილის მედუქნეს გაუნაწილა. ისეთი სიმდიდრის პატრონი არ გამხდარა, რომ ხორცი ეყიდა, და მანამ «თეთრი თაგვიდან» მიიღებდა ჩეკს, ძალიან ხელმოჭერილად ცხოვრობდა. ხოლო როცა ეს მეორე ჩეკიც მიიღო, აღარ იცოდა, რა ექნა. თავის დღეში ბანკში არ შეუდგამს ფეხი და ახლა ბავშვურმა სურვილმა წამოუარა, ოუკლენდის რომელიმე დიდ ბანკში შესულიყო და დაუდევრად მიეგდო გასანაღდებლად თავისი

ორმოცდოლარიანი ჩეკი. არადა, პრაქტიკული მოსაზრება უკარნახებდა, ბაყალთან მიეტანა ჩეკი გადასახურდავებლად — ამით შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე, მომავალში ნისიას უფრო ადვილად ენდობოდა. ფეხი უკან რჩებოდა, ბაყალთან რომ მიდიოდა. გადაახურდავა ფული, ბაყალს მთელი ვალი გაუსტუმრა და ჯიბეში მონეტების ჩხრიალით გამობრუნდა. სხვა მევალეებიც გაისტუმრა, კოსტიუმი და ველოსიპედი გამოისყიდა, საბეჭდი მანქანის ფული შეიტანა და მარიას მომავალი თვის ქირაც გადაუხადა. ამის შემდეგ სამიოდე დოლარი კიდევ დარჩა ჯიბეში.

მაგრამ მარტინს ესეც დიდ სიმდიდრედ ეჩვენებოდა. გამოისყიდა თუ არა კოსტიუმი, მაშინვე რუთისკენ გაქანდა. მიდიოდა და თან ხელი თავისით მიცურავდა ჯიბისკენ, რათა ვერცხლის მონეტები ეჩხრიალებინა. როგორც დამშეული ადამიანი ვერ მოაშორებს ხოლმე თვალს საჭმელს, ისე მარტინიც, რომელიც რამდენი ხანია ფულს არ ღირსებია, ვეღარ აშორებდა ხელს ვერცხლის მონეტებს. განა ძუნწი იყო ან ხარბი — არა, ფული ახლა მისთვის მეტს რასმეს ნიშნავდა, ვიდრე უბრალო დოლარებსა და ცენტებს; გამარჯვებას ნიშნავდა, და თითოეულ მონეტაზე ამოტვიფრული არწივი მისთვის ახლა გამარჯვების მაუწყებელი ფრთოსანი მაცნე გამხდარიყო.

ვერც კი შენიშნა, ისე გამოუკეთდა გუნება-განწყობილება, რა კარგია ცხოვრებაო, ფიქრობდა. მართლაც, გაცილებით უფრო მომხიბლავი ჩანდა ახლა: აქამდე, მთელი კვირეების განმავლობაში, საშინლად პირქუში და მოსაწყენი იყო ცხოვრება, ახლა კი, როცა თითქმის სულ გაისტუმრა ვალები, ჯიბეშიაც სამი დოლარი უჩხრიალებდა და გული გამარჯვების სიხარულით გავსებოდა, მზე გაცილებით უფრო ბრწყინვალე და სასიამოვნოდ თბილი მოეჩვენა და მოულოდნელად მოვარდნილმა წვიმამაც კი, ერთიანად რომ გალუმპა ქუჩაში უქოლგოდ გამოსული ხალხი, მარტინი უზომოდ გაახარა. როცა თვითონაც შიმშილობდა, მისი ფიქრები მთელ ქვეყანაზე გაფანტულ ათასობით დამშეულს დასტრიალებდა თავს, მაგრამ ახლა, როცა გახალისდა და მოილხინა, ათასობით დამშეულებზე ფიქრი სულაც აღარ აწუხებდა, ერთიანად გადაავიწყდა. ახლა უკვე, როგორც შეყვარებული, მთელ ქვეყანაზე მცხოვრებ უთვალავ შეყვარებულზე ფიქრობდა. თავში სატრფიალო ლირიკის მოტივები აღეძრა და ისე გაიტაცა შემოქმედებითმა გზნებამ, რომ ტრამვაიდან დროზე ჩამოსვლა გადაავიწყდა და ორი გაჩერება ზედმეტი გაიარა.

მორზებთან სტუმრები დაუხვდა. სან-რაფაელიდან ბიძაშვილები ჩამოსვლოდა რუთს, ორი გოგონა; მისის მორზმა საბაბად გამოიყენა ეს და გასართობად ხალხი დაუპატიჟა, ამით თავის გეგმას ახორციელებდა — რუთის ირგვლივ ყმაწვილ კაცებს უყრიდა თავს. კამპანია მარტინის უნებლიე არყოფნის დროს დაწყებულიყო და ახლა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. მისის მორზის განზრახვა იყო, საქმიანი ხალხი მოეზიდა სახლში. ასე რომ, რუთის ბიძაშვილების (დოროთისა და ფლორენსის) გარდა, მარტინს აქ დაუხვდა უნივერსიტეტის ორი პროფესორი: ერთი ლათინურის, ხოლო მეორე ინგლისური ფილოლოგიის განხრით; რუთის სკოლის ამხანაგი, ამჟამად სამხედრო პირი, რომელიც ახლახან დაბრუნებულიყო ფილიპინებიდან; კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი, გვარად მელვილი, სან-ფრანცისკოს საკრედიტო საზოგადოების უფროსის ჯოზეფ პერკინის პირადი მდივანი; დაბოლოს, ერთ-ერთი ბანკის მთავარი ბუხჰალტერი, ოცდათხუთმეტამდე წლის ახალგაზრდა კაცი ჩარლზ ჰეპგუდი, რომელსაც თავის დროზე სტენფორდის უნივერსიტეტი დაემთავრებინა, ნილოსისა და გაერთიანებული კლუბების წევრი, რესპუბლიკური პარტიის ნაფიცი ორატორი არჩევნების დროს, ერთი სიტყვით, წარმატების გზაზე დამდგარი და ყოველ მხრივ კარგი მომავლის ახალგაზრდა კაცი. ეს მამაკაცთაგან.

ახლა ქალები: აქ იყო პორტრეტისტი მხატვარი ქალი; პროფესიონალი მუსიკოსი; სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, რომელსაც სან-ფრანცისკოს ღატაკთა უბნებში ორგანიზაციული მუშაობით გაეთქვა სახელი. თუმცა მისის მორზის გეგმაში ქალებს დიდი როლი არ ეკისრებოდათ. დიდი-დიდი, სავალდებულო აქსესუარებად თუ ჩაითვლებოდნენ ისინი: ბოლოს და ბოლოს, საქმიანი მამაკაცები ხომ უნდა მიეზიდათ სახლში.

— ლაპარაკის დროს ნუ აღეგზნები ხოლმე, — გააფრთხილა რუთმა მარტინი, ვინემ სტუმრებს წარუდგენდა.

თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობდა მარტინი თავს, კვლავ იმ შიშმა გაუხსენა — უგერგილო ვარო, ეშინოდა მხრებით არაფერს წამოსდებოდა. ამდენმა ხალხმაც კარგა მაგრად დააფრთხო: პირველად მოხვდა ამისთანა მაღალ საზოგადოებაში... თანაც, რამდენი იყო ერთად! განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ბანკის ბუხჰალტერმა ჰეპგუდმა, და გადაწყვიტა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, კარგად გაეცნო იგი. მაგრამ გარეგნული შიშის ქვეშ მისი ამაყი «ე» იმალებოდა და ერთი სული ჰქონდა, მანამ ამ ხალხს დაეზმანებოდა და გაიგებდა, რა შეესწავლათ მათ წიგნებიდან და ცხოვრებიდან ისეთი, რისი შესწავლაც მარტინს ჯერ ვერ მოესწრო.

რუთი ხშირად გადახედავდა ხოლმე, აკვირდებოდა, თავი როგორ უჭირავსო, და გაკვირვებული და გახარებული დარჩა იმ ძალდაუტანებელი უბრალოებით, რაც ჭაბუკმა რუთის ბიძაშვილების გაცნობის დროს გამოიჩინა. სულაც არ აღელვებულა, მანამ იჯდა და იმისი შიში არ აწუხებდა, მხრებით არაფერს წამოვედოო. რუთმა იცოდა, რომ მისი ბიძაშვილები ჭკვიანი გოგონები იყვნენ, და გაკვირვებული დარჩა, როცა იმავე ღამეს, დასაძინებლად რომ წვებოდნენ, ქებით მოიხსენიეს ჭაბუკი. მარტინმაც — რომელიც თავის წრეში ჭკვიან, ენამახვილ ბიჭად ითვლებოდა, კარგად ცეკვავდა — შენიშნა, რომ ენამახვილობის გამოჩენა არც ამ საზოგადოებაში ყოფილა ძნელი. წარმატება ზურგს უკან ედგა იმ საღამოს, შექების ნიშნად მხრებზე ხელს უთათუნებდა, ყოჩაღო, ეუბნებოდა; აიმტომაც იყო, რომ სულ არ დაბნეულა, თვითონაც იცინოდა და სხვასაც ბევრს აცინებდა.

ბოლოს მაინც საუძვლიანი გამოდგა რუთის შიში. მარტინსა და პროფესორ კოლდუელს შორის საუბარი გაჩაღდა, და თუმცა მარტინი ხელებს აღარ იქნევდა ძველებურად, რუთის მოდარაჯე თვალს არ გამოჰპარვია, რა ხშირად აენთებოდა ხოლმე თვალები, რა გაცხარებით და მგზნებარედ ლაპარაკობდა, როგორ დაიძაბა და რა ძალუმად მოაწვა სისხლი სახეზე. თავშეკავება და თავდაჭერა აკლდა და არაფრით არა ჰგავდა ინგლისური ფილოლოგიის ახალგაზრდა პროფესორს, ვისთანაც ახლა ლაპარაკობდა.

მაგრამ ეს სულაც არ აწუხებდა ამჟამად მარტინს. მან ხელად შენიშნა თანამოსაუბრის დიდი ერუდიცია და განათლება. თანაც, პროფესორი კოლდუელი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი კაცი, როგორიც მარტინს წარმოედგინა ინგლისური ფილოლოგიის ყველა პროფესორი. მარტინმა გადაწყვიტა, თავის საკუთარ პროფესიაზე აელაპარაკებინა პროფესორი და თუმცა პირველად წინააღმდეგობას წააწყდა, ბოლოს მაინც მოახერხა ეს. ვერ მიმხვდარიყო, რატომ უნდა მორიდებოდა ადამიანი საკუთარ პროფესიაზე ლაპარაკს.

— ეს ხომ სისულელეა, გაუგებრობაა, — ჯერ კიდევ რამდენი ხნის წინათ უთქვამს მარტინს რუთისათვის, — რატომ უნდა გაურბოდეს კაცი თავის საკუთარ პროფესიაზე ლაპარაკს? მაშ, რატომღა იკრიბებიან, თავს რად იყრიან, თუკი იმ ფიქრებს არ გაუზიარებენ ერთმანეთს, რასაც გულში ატარებენ? გულში კი რას

ატარებენ: რითაც ცხოვრობენ, რითაც სულდგმულობენ, რასაც ემსახურებიან, რის ფიქრშიაც დღე და ღამეს ასწორებენ, ძილშიაც კი ესიზმრებათ. აბა, ერთი წარმოიდგინე, რა მოსასმენი იქნება — საერთო ეტიკეტს აყოლილმა მისტერ ბატლერმა უცებ პოლ ვერლენის პოეზიასა, გერმანულ დრამასა და დანუნციოს რომანებზე რომ დაიწყოს ლაპარაკი? ხომ დაიხოცა ხალხი მოწყენილობით! თუკი აუცილებელი იქნებოდა მისტერ ბატლერის მოსმენა, მე პირადად ვარჩევდი თავის სავექილო საქმეებზე ელაპარაკნა. ეს საქმე უყვარს, კარგადაც იცის, ხოლო ცხოვრება ისე მოკლეა, რომ გინდა, ვინც კი შეგხვდება, თავის საყვარელ საქმეზე გელაპარაკოს.

— ჰო, მაგრამ, — შეესიტყვა რუთი, — ხომ არის ისეთი თემები, რაც ყველას ერთნაირად აინტერესებს.

— ამაში კი ცდები, — არ შეარჩინა მარტინმა. — ყოველი ადამიანი, საზოგადოების ყველა ფენა ან თითქმის ყველა, იმას ჰბაძავს, ვინც მასზე უფრო მაღლა დგას საზოგადოებაში. ყველაზე მაღლა კი ვინა დგას? უსაქმურები, მდიდარი უსაქმურები. მათ, როგორც წესი, არაფერი გაეგებათ იმ საქმისა, რასაც მცოდნე ხალხი აკეთებს. იმათთვის, რაღა თქმა უნდა, მოსაწყენი იქნება ამისთანა რამეზე საუბარი, ამიტომაც არჩევენ უბოდიშოდ განაცხადონ, საკუთარ პროფესიაზე ლაპარაკი საზოგადოებაში მიუღებელიაო. თვითონვე აწესებენ, რაზე შეიძლება საუბარი. ეს არის უახლესი ოპერა, უახლესი რომანი, ბანქო, ბილიარდი, კოქტეილი, ავტომობილი, დოღი, ცხენების გამოფენა, თევზაობა, ნადირობა, ნავით სეირნობა, და ამისთანა რაღაცები... ხომ დააკვირდი, ისეთი რამეები, რაც უსაქმურებისთვისაც ცნობილია. სინამდვილეში, ეს უსაქმურთა პროფესიული ლაპარაკი გამოდის. სასაცილო კი ის არის, რომ ჭკვიანი ხალხი ან ისეთები, ვისაც ჭკვიანად მოააქვს თავი ამ უსაქმურთა კაპრიზებს აჰყოლიან. მე პირადად, მინდა ის მოვისმინო ადამიანისაგან, რაც მან ყველაზე კარგად იცის. რაცა გნებავდეთ, ის უწოდეთ ამას — გინდა პროფესიული საუბარი, გინდა ვულგარობა და რა ვიცი!..

მაგრამ რუთმა მაინც ვერ გაუგო. დაკანონებულ შეხედულებებზე მარტინის თავდასხმა მას მუდამ ჯიუტ ახირებად მიაჩნდა.

ასე რომ, მარტინმა თავისი სერიოზული ტონი პროფესორ კოლდუელსაც გადასდო და აიძულა ისეთ რამეზე ელაპარაკნა, რაც მისთვის ყველაფერზე უფრო ახლობელი იყო.

— არა მგონია, კალიფორნიის უნივერსიტეტში წამოგცდეთ ამისთანა ერესი!

პროფესორმა კოლდუელმა მხრები აიჩეჩა.

— არსებობენ გადასახადების კეთილსინდისიერი გადამხდელები და არსებობს პოლიტიკა. საკრამენტო გვნიშნავს ჩვენ და ჩვენც მდაბლად ვუხრით თავს საკრამენტოს, შტატის მმართველობას, პარტიის პრესას, უფრო სწორად — ორივე პარტიის პრესას.

— ეს კი გასაგებია. მაგრამ თქვენ? — არ მოეშვა მარტინი, — თქვენ ალბათ ისე გრძნობთ თავს, როგორც წყლიდან ამოვარდნილი თევზი.

— ჩემისთანა ალბათ ბევრი არ მოიძებნება უნივერსიტეტის გუბეში. ზოგჯერ მართლაც წყლიდან ამოვარდნილი თევზი მგონია თავი და მირჩევნია, პარიზში ვიყო, ან გრაბ-სტრიტზე, ან განდეგილის სენაკში სადმე, ან არადა ლათინურ უბანში კლარეტსა ვსვამდე, — აქ, სან-ფრანცისკოში წყალ-წყალა ღვინოს რომ ეძახიან ხოლმე, — რომელიმე იაფფასიან რესტორანში ვსადილობდე და დიდის რიხით რადიკალურ შეხედულებებს ვაფრქვევდე. ხანდახან მჯერა კიდეც, ნამდვილად რადიკალი ვარ-მეთქი. მაგრამ იმდენი საკითხი წამოიჭრება, რომ ხეირიანად ვერც ვერკვევი. რწმენას ვკარგავ ხოლმე, ჩემს ადამიანურ უმწეობას რომ წარმოვიდგენ, რაც საშუალებას არ

მაძლევს მთელი სიგრძე-სიგანით აღვიქვა რაიმე პრობლემა — ადამიანური, ცხოვრებისეული პრობლემა.

მარტინი უსმენდა და უნებურად «პასატის სიმღერა» აგონდებოდა:

«ამოვვარდები
დღისით თუ ღამით,
დავუქროლებ და აფრებს გავბერავ».

ცოტას გაწყდა, ღიღინით არ წარმოთქვა ეს სიტყვები. ერთბაშად მიხვდა, რომ თანამოსაუბრემ მოაგონა პასატი — ჩრდილო-აღმოსავლეთის პასატი, ცივი, ძლიერი და შეუპოვარი. ესეც ისეთივე შეუპოვარი და მტკიცე ჩანდა, ოღონდ თან ისეთი რამ ჰქონდა, რაც ადამიანს მოსვენებას დაუკარგავდა ხოლმე. მარტინს მოეჩვენა, რომ ეს კაცი სათქმელს ბოლომდე თავის დღეში არ იტყოდა, ისევე როგორც პასატებისთვისაც შეენიშნა — მთელი ძალით ერთხელაც არ დაუბერავდნენ, მუდამ იზოგავდნენ ძალას, რასაც არასოდეს არ იყენებდნენ. მარტინს კვლავ აუმუშავდა წარმოსახვის ეკრანი. მისი ტვინი თითქოს მოგონებებისა და ფანტაზიის ვეებერთელა საწყობი იყო, რომლის კარი მუდამ ღია ჰქონდა დატოვებული, რაც არ უნდა მომხდარიყო, მარტინი იმწუთშივე ამ მოვლენის მსგავსს ან რადიკალურად საპირისპიროს წარმოიდგენდა და თვალნათლივ შეხედავდა. თავისდა უნებურად ხდებოდა ეს და ყოველგვარ ცხოვრებისეულ მოვლენას უსათუოდ შინაგანი ხილვაც თან ახლდა. როგორც ერთხელ რუთის თვალებში წამიერად ჩამდგარმა ეჭვმა ქარიშხალი მოაგონა და წარმოუსახა მთვარიან ღამეს, ისევე ახლაც პროფესორმა კოლდუელმა პასატის ცოცხალი ხილვა მოუვლინა — ქრის და მზის სხივებით შეწითლებული ტალღები თეთრად წამოუქოჩრავს, მოერეკება. ასე წამიერად მოევლინებოდა სხვადასხვაგვარი ხილვა და ხელს კი არ უშლიდა მის ფიქრთა დენას, პირიქით, ეხმარებოდა უფრო თვალსაჩინოდ გაეანალიზებინა. ასეთი ხილვა წარსულ მოგონებათა გამოძახილი იყო, ან გუშინდელი, იმ კვირანდელი განცდილი და წაკითხული, რაც ძილში თუ ცხადში თავიდან არ შორდებოდა ხოლმე.

ახლაც ასე მოხდა. ისმენდა ამ ჭკვიანი და განათლებული პროფესორის ლაღად მომდინარე საუბარს და გონების თვალით წარსულის სურათებს შეჰყურებდა. აჰა, მისი ადრეული ყმაწვილკაცობა — ნამდვილი ხულიგანი, თავზე მაგარფარფლიანი სტეტსონური ქუდი დაუკოსებია, ორბორტიანი ქურთუკი აცვია და არხეინად დააბოტებს, არაფერს ერიდება, რასაც უნდა აკეთებს, ოღონდ იმას კი ცდილობს, რომ პოლიციას არ მოხვდეს თვალში. მარტინი სულაც არ ცდილა, რაიმე შეერბილებინა ან მიეფუჩეჩებინა თავის მოგონებაში. ერთი პირობა, ნამდვილი ხულიგანი იყო, ბანდის თავი, არც პოლიციას ჰქონდა მათგან მოსვენება და არც მუშათა კვარტალის პატიოსან ბინადართ. მაშინ ეს მიაჩნდა იდეალად, ახლა კი შეიცვალა. დგას აგერ და შეჰყურებს კარგად ჩაცმულ, წესიერად აღზრდილ ქალებსა და კაცებს, მაღალი კულტურისა და დახვეწილი გემოვნების ატმოსფეროში სუნთქავს... მაგრამ წარსულის აჩრდილი აქაც ეწვია — ორბორტიან ქურთუკში ჩაცმული ბიჭი, რომელსაც თავზე მაგარფარფლიანი ქუდი წამოუკოსებია, უდარდელი რხევით მიდი-მოდის ოთახში. ეს ქუჩის ხულიგანი ხომ მისი ორეულია, მარტინ იდენისა, რომელიც ზის ახლა დარბაისლურად და უნივერსიტეტის პროფესორს ესაუბრება.

თავისი მყარი ადგილი ჯერაც ვერ ეპოვნა მარტინს ცხოვრებაში. საცა არ უნდა მოხვედრილიყო, ადვილად შეეგუებოდა ხოლმე ყოველგვარ გარემოს, ხელად გახდებოდა ყველასათვის სასურველი, ყველას საყვარელი, რადგან არც მუშაობაში

დაუდებდა ვინმეს ტოლს, არც თამაშში, თავს არავის დააჩაგვრინებდა და აიძულებდა ხალხს პატივისცემით მოპყრობოდნენ. მაგრამ ფესვი არსად გაუდგამს. ყველას კმაყოფილებას ანიჭებდა, მაგრამ თავად არასოდეს კმაყოფილი არ ყოფილა. არსად გული არ უდგებოდა, ვერსად ვერ მოესვენა, მუდამ რაღაც ძახილი ჩაესმოდა, სადღაც მოუწოდებდნენ... და იყო ასე აწრიალებული, ვიდრე, ბოლოს, წიგნებს, ხელოვნებასა და სიყვარულს არ შეეყარა. ახლა კი ზის აგერ, ამისთანა ხალხში, თავისი წრის ადამიანებისაგან ერთადერთი, რომელსაც უფლება მოუპოვებია, მორზებს ესტუმროს.

მაგრამ ასეთი ფიქრები და ხილვანი სულაც არ უშლიდა მარტინს ხელს გულისყურით მოესმინა პროფესორ კოლდუელის ლაპარაკი. გაფაციცებით უსმენდა, მუშტრის თვალით ზომავდა, მაგრამ პატარა ბზარიც კი ვერ შენიშნა თანამოსაუბრის ცოდნა-განათლებაში. რაც შეეხება საკუთარ ცოდნასა და განათლებას, ამ საუბარმა მარტინი დაარწმუნა, რომ ბევრი ნაპრალი და ბზარი ჰქონია, ბევრი რამ სავსებით გაუგებარი ყოფილა მისთვის. თუმცა, იგი იმაშიაც დარწმუნდა, რომ, სპენსერის წყალობით, ცოდნის საერთო საფუძველი მაინც ჰქონდა. ახლა დროღა იყო საჭირო, რომ ის ნაპრალები და ბზარები ამოევსო. მერე ნახეთ, მერე მიფრთხილდით!.. ფიქრობდა იგი. ახლა კი თითქოს პროფესორის ფერხთით იჯდა, გულისყურად გადაქცეული, მოწიწებით თვალებში შესციცინებდა. მაგრამ თანდათანობით სუსტი ადგილებიც შენიშნა თანამოსაუბრის მსჯელობაში, თუმცა გადაჭრით ვერ იტყოდა, რაში მდგომარეობდა ეს სისუსტე. ბოლოს კი, როცა მიხვდა და გაარკვია, ერთბაშად პროფესორის დონემდე ამაღლდა.

რუთი მეორედ მიუახლოვდა მათ, სწორედ იმ დროს, როცა მარტინმა დაიწყო ლაპარაკი.

— პირდაპირ გეტყვით, რაში ცდებით, ან უფრო სწორად, რაში გამოიხატება თქვენი მსჯელობის სისუსტე, — ამბობდა იგი. — თქვენ ბიოლოგიის ცოდნა გაკლიათ. სულაც არ ითვალისწინებთ ამ საგანს თქვენი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დროს. მე აქ მეცნიერულ ბიოლოგიას ვგულისხმობ, არაორგანული ქსოვილების ლაბორატორიული ხერხებით გაცოცხლებიდან მოკიდებული — უფრო ფართო, სოციოლოგიურ და ესთეტიკურ განზოგადებამდე.

რუთი გაშრა. მთელი ორი წელიწადი ისმენდა იგი პროფესორ კოლდუელის ლექციებს და ისე შეჰყურებდა ამ კაცს, როგორც სიბრძნის წყაროს.

— მე თქვენ კარგად ვერ გაგიგეთ! — შეჭოჭმანდა პროფესორი.

— შევეცდები აგიხსნათ, — მიუგო მან, — ეგვიპტის ისტორიას რომ ვკითხულობდი, მახსოვს, იქ წავიკითხე: ისე ვერ გაიგებ ეგვიპტის ხელოვნებას, თუ წინასწარ ამ ქვეყნის ისტორია არ შეისწავლეო.

— ნამდვილად ასეა, — დაეთანხმა პროფესორი.

— მე ასე ვფიქრობ, — განაგრძო მარტინმა, — რომ, თავის მხრივ, ქვეყნის ისტორიასაც ვერ ჩასწვდები, წინასწარ ის თუ არ შეისწავლე, როგორ და რა პირობებში გაჩნდა სიცოცხლე. როგორ უნდა გავიგოთ კანონები, საერთო წყობილება, რელიგია, ადათ-ჩვეულებანი, თუ წინასწარ მათი შემქმნელი ხალხის ხასიათს არ გავეცანით, მაგრამ არც ეგ კმარა: თუ ამ ხალხის ბუნებას და აგებულებას არ გავეცანით?! თუკი ეგვიპტურ არქიტექტურას და ქანდაკებას ადამიანის ქმნილებადა ვთვლით, ლიტერატურამ რაღა დააშავა? ნუთუ სამყაროში არსებობს ისეთი რაიმე, რაც ევოლუციის კანონებს არ ემორჩილებოდეს? ვიცი, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგის ევოლუციის ისტორია დამუშავებულია, მაგრამ, მე მგონი, მექანიკურად არის დამუშავებული. ადამიანი გამოთიშულია. დიდებულად არის დამუშავებული ინსტრუმენტების, ქნარის, მუსიკის, სიმღერის, ცეკვის ევოლუცია. მაგრამ თვით

ადამიანის ევოლუციაზე რაღას იტყვით — მისი ცალკეული ორგანოების ევოლუციაზე ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი პირველ ინსტრუმენტს შექმნიდა, ან პირველ სიმღერას ამოიღიღინებდა?! აი, ამას არ ითვალისწინებთ თქვენ. ამას ვეძახი მე ბიოლოგიას. სწორედ ეს არის ბიოლოგია; ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით. ვგრძნობ, დაბნეულად ვლაპარაკობ, მაგრამ მე მინდოდა როგორმე აზრი ჩამომეყალიბებინა. თქვენი ლაპარაკის დროს მომივიდა ეს აზრი და გამოთქმა გამიძნელდა. თქვენ ადამიანური უმწეობა ახსენეთ, რაც ხელს გვიშლის მთელი სიგრძე-სიგანით აღვიქვათ პრობლემები. და აჰა, მართლაც არ ითვალისწინებთ — ან იქნებ მე მეჩვენება ასე — ბიოლოგიურ საწყისებს, სწორედ იმას, რაზედაც თვით ხელოვნებაა აღმოცენებული, ადამიანური საქმიანობისა და მოღვაწეობის საფუძველს.

რუთისდა გასაკვირად, მარტინი ერთი ხელის მოსმით არ გაუნადგურებიათ. პროფესორი ყურადღებითაც კი მოეკიდა მის სიტყვებს. ეტყობოდა, მის ყმაწვილკაცობას უწევდა ანგარიშს. რუთს ასე მოეჩვენა. მთელი ერთი წუთი ჩაფიქრებული იჯდა პროფესორი კოლდუელი, საათის ძეწკვს ათამაშებდა.

— უნდა გამოგიტყდეთ, — დაიწყო ბოლოს მან, — ასეთი შენიშვნა ერთხელ უკვე მომცა ერთმა დიდმა მეცნიერმა ევოლუციონისტმა ჟოზეფ ლეკონტმა. მაგრამ ის ცოცხალი აღარ არის და არ მეგონა, კიდევ თუ მამხელდა ვინმე. მაგრამ, აგერ, თქვენ გამოჩნდით, თქვენ მისაყვედურებთ. უნდა გამოვტყდე, რომ თქვენს სიტყვებში მართლაც არის რაღაც დამაფიქრებელი და ბლომადაც. მე კლასიკაში გადავიჭერი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას თვალი ვეღარ მივადევნე. იქნებ დრო და ენერგია არ მეყო ამისთვის. ალბათ არც დამიჯერებთ, ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებში ერთხელაც არ შემიდგამს ფეხი. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. ლეკონტი მართალი იყო. თქვენც, მისტერ იდენ... ნაწილობრივ მაინც... თუმცა ვერ ვიტყვი, რამდენად.

რუთმა რაღაც მოიმიზეზა და მარტინი გვერდზე გაიხმო.

— ასე არ შეიძლება, — წასჩურჩულა მან, — აღარავინ გააკარე პროფესორ კოლდუელს. იქნებ სხვებსაც უნდოდეთ მასთან საუბარი.

— ეს კი ვეღარ მოვიფიქრე, — მოინანია მარტინმა, — მაგრამ ძლივს აღვაგზნე და ისე საინტერესო გამოდგა მასთან საუბარი, რომ სხვა აღარაფერი მიფიქრია. ამისთანა გონებაგახსნილ და განათლებულ კაცს ჯერ არ შევხვედრივარ. მართალი თუ გინდა, იყო დრო, რომ ყველა უნივერსიტეტდამთავრებული, ვისაც მაღალი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, ასეთივე გონებაგახსნილი და განათლებული მეგონა.

— ეს გამონაკლისია, — მიუგო რუთმა.

— ალბათ. ახლა ვის გამოველაპარაკო, შენ როგორა გსურს? აჰ, ერთი იმ ბანკის ბუხჰალტერთან მიმიყვანე.

თხუთმეტიოდ წუთს ელაპარაკა მარტინი მთავარ ბუხჰალტერს, და რუთი უკეთეს მოქცევას ვერც ინატრებდა თავისი მიჯნურისაგან: ერთხელაც არ წამონთებია თვალები, არც ღაწვები წამოწითლებია; პირიქით, მისმა სიმშვიდემ და თავდაჭერილობამ რუთი გააოცა. სამაგიეროდ, მარტინის თვალში ერთბაშად გაცამტვერდა ბანკის მოღვაწეთა მთელი ჯილაგი; უფრო მოგვიანებით კი, იმავე საღამოს, შთაბეჭდილება შეექმნა: ბანკის ბუხჰალტერი და გარეწარი სინონიმები არიანო. არმიის ოფიცერი უბრალო, სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი გამოდგა, ჯანსაღი, გულითადი, იმითი კმაყოფილი, რაც ცხოვრებაში ბედმა და შთამომავლობამ არგუნა. როცა მარტინმა გაიგო, მთელი ორი წელიწადი უნივერსიტეტში გაეტარებინა ამ ყმაწვილს, გაკვირვებული დარჩა, ცოდნა სად წაიღო. და მაინც გარეწარ ბანკის ბუხჰალტერზე უფრო ეს კაცი მოეწონა.

— მაგისი გარეწრობა მე რაში მენაღვლება, — უთხრა რუთს მოგვიანებით, — მაგრამ ცხვირი რომ აუბზუებია და გაფხორილი დადის, თავისი თავით დიდად კმაყოფილი, ისე იბეკნება და დაზოგვით აფრქვევს ამ სისაძაგლეს, თითქოს წყალობას არიგებდეს. რას ამბობთ, მანამ იმას მეტყოდა, მუშათა პარტია დემოკრატებს შეუერთდაო, მე მთელი რეფორმაციის ისტორიის მოყოლას მოვასწრებდი. პოკერის მოთამაშეებმა რომ იციან ხოლმე კარტის გაჩითვა, ისე ჩითავს სიტყვებს. როდესმე გაჩვენებ, როგორ ხდება ეს.

— სამწუხაროა, რომ არ მოგეწონა, — უპასუხა რუთმა, — მისტერ ბატლერი გიჟდება მაგ კაცისთვის. ყოვლად პატიოსანი და სანდო კაციაო, ამბობს, სალ კლდეს ემახის, რომელი ბანკი არ დაფუძნდება მაგისთანა საძირკველზეო.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება, თუმცა პირველად ვხედავ და სულ რამდენიმე სიტყვა მოვისმინე მისგან. მაგრამ ბანკებზე უკვე დიდი წარმოდგენისა აღარა ვარ. კი ნუ მიწყენ, ჩემო ძვირფასო, რომ ასე პირდაპირ ვლაპარაკობ.

— არა, რას ამბობ. პირიქით, ძალიან საინტერესოა.

— ასეა, — გულითადად განაგრძო მარტინმა, — მე ხომ ბარბაროსი ვარ, პირველ შთაბეჭდილებებს ახლაღა ვიღებ ცივილიზაციისაგან. განათლებული ადამიანისათვის ასეთი შთაბეჭდილებები ალბათ საინტერესო იქნება.

— ჩემს ბიძაშვილებზე რაღას იტყვი? — ჩაეკითხა რუთი.

— სხვა ქალებზე უფრო ეგენი მომეწონა. ხალისიანი ხალხია, თავმდაბალი და უპრეტენზიო.

— მაშ, სხვა ქალებიც მოგწონებია.

მარტინმა თავი გააქნია.

— ეს სოციალურ პრობლემებზე მოლაქლაქე ქალი თუთიყუშია და მეტი არაფერი. თავის ქალა რომ გადაუხსნა და ტვინი გადაუჩხრიკო, ერთ დამოუკიდებელ აზრს ვერ უპოვი. მხატვარი ქალი — მთქნარებას მოგგვრის. სწორედ მაგ ბუხჰალტერისთვის იქნებოდა ზედგამოჭრილი ცოლად. ახლა ეს მუსიკოსიც! ვერ გეტყვი, როგორი მოქნილი თითები აქვს, რა ტექნიკა, რა გამომსახველობა — ერთი კი ცხადია: მუსიკისა არაფერი გაეგება.

— დიდებულად უკრავს — არ დაეთანხმა რუთი.

— მართალი ხარ, ერთი შეხედვით ალბათ ვირტუოზული დამკვრელი იქნება, მაგრამ მის სულსა და გულს სულაც არ ეკარება მუსიკა. ვკითხე კიდეც, მუსიკა თქვენთვის რას ნიშნავს-მეთქი — ხომ იცი, მაინტერესებს ხოლმე ასეთი საკითხები — ვერ მიპასუხა. ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკს მოჰყვა — ვაღმერთებ, ხელოვნების ყველა დარგს შორის მუსიკა ყველაზე მაღლა დგას, ჩემთვის ეს სიცოცხლეზედაც მეტს ნიშნავსო.

— შენ მაინც თავ-თავიანთ პროფესიაზე ალაპარაკე ყველანი! — საყვედურით უთხრა რუთმა.

— უნდა გამოვტყდე!.. მაგრამ თუკი თავიანთ ხელობაზე ვერაფერი სანუგეშო დავაცდენინე, შენ ჩემი ტანჯვა წარმოიდგინე, საერთო თემებზე რომ ჩამომეგდო სიტყვა. მუდამ ასე მეგონა, რომ აქ, თქვენთან, საცა ხალხი კულტურის ყოველგვარი უპირატესობით სარგებლობს... — ერთი წუთით შედგა, კვლავ სტეტსონის ქუდწამოკოსებულ, ორბორტიან ქურთუკში გამოწკეპილ თავისივე ორეულის აჩრდილს მოჰკრა თვალი, რომელიც რწევით შემოვიდა ოთახში, — ჰო, ვინც არ უნდა მენახა-მეთქი ამ სახლში — ქალი იქნებოდა თუ კაცი, — გონებაგაცისკროვნებული მეგონა ყველა. მაგრამ ამ ერთი მოკლე შეხვედრითაც კი დავრწმუნდი, რომ უმრავლესობა მათგანი ბრიყვი ყოფილა, ხოლო იმ დარჩენილთაგან ოთხმოცდაათი

პროცენტი — საშინლად მოსაწყენი. პროფესორი კოლდუელი სულ სხვაა, მაგასთან ვერავინ მოვა. ნამდვილი კაცური კაცია.

რუთი გაიბადრა.

— მითხარი პროფესორზე რამე, — არ მოეშვა იგი, — ოღონდ ის კი არა, რაც კარგი და ბრწყინვალე აქვს, ეგ ისედაც ვიცი: შენ ის მითხარი, რა არ მოგეწონა. ძალიან მაინტერესებს.

— ვაითუ ცუდ საქმეში გამაბა, — გაეხუმრა მარტინი, — იქნებ შენ თვითონ მითხრა პირველად! თუ ვერავითარ ნაკლს ვერ ამჩნევ, მარტო საუკეთესო თვისებებით დაჯილდოებული გგონია?!

— მე მაგისი ლექციების მთელი ორი კურსი მაქვს მოსმენილი. აგერ, მესამე წელიწადი დაიწყო, რაც ვიცნობ. შენი პირველი შთაბეჭდილება მაინტერესებს.

— პირველი ცუდი შთაბეჭდილებები, არა? კარგი, გეტყვი. ვიცი, კარგი შეხედულებისა ხარ მასზე და მეც ასე მეჩვენება, რომ ყოველგვარი სიკეთით დაჯილდოებული ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, ამისთანა ჭკვიანსა და განათლებულ კაცს მე ჯერ არ შევხვედრივარ. ოღონდ, ეს არის რომ, იდუმალ სინდისის ქენჯნას ჰყავს შეპყრობილი... აჰ, არა, რა ბრძანებაა, — სწრაფად დასძინა მან, — ცუდს რასმე კი არა ვგულისხმობ. არა, მე იგი წარმომიდგენია ისეთ ადამიანად, რომელიც ღრმად ჩასწვდომია საგნებსა და მოვლენებს და ისე დამფრთხალა, რომ ახლა თავს არწმუნებს, არაფერი დამინახავსო. ვგრძნობ, კარგად ვერ გამოვთქვი. სხვაგვარად ვცდი: კაცი, რომელიც ტყეში დაფარული ტაძრის ბილიკს წააწყდა, მაგრამ მერე გზა აებნა. იქნებ თვალიც კი მოჰკრა ამ ტაძარს, მაგრამ თავი დაარწმუნა, ეს უბრალოდ მირაჟი იყოო. ან არადა, ვთქვათ, კაცს შეუძლია რამე კეთილი საქმე გააკეთოს, მაგრამ არ აკეთებს, დიდ მნიშვნელობას არ აძლევს ამ საქმეს, და ამის შემდეგ თავის დღე და მოსწრება სულ სინანულშია, რატომ არ გავაკეთეო. ჩუმჩუმად დასცინის იმ ჯილდოს, რაც ამ საქმისათვის უნდა მიეღო, მაგრამ კიდევ უფრო ჩუმად, სადღაც გულის სიღრმეში მისტირის ჯილდოს და იმ სიხარულს, რასაც ამ საქმის გაკეთება მიანიჭებდა.

— ასე არც კი მიფიქრია მაგ კაცზე, — უთხრა რუთმა, — და, მართალი თუ გინდა, ვერც გავიგე, რას ამბობ.

— ჩემთვისაც ბუნდოვანია ეს და იმიტომ, — დასთმო მარტინმა, — არავითარი საფუძველი არა მაქვს, უბრალო შთაბეჭდილებაა, ალბათ მცდარი. რაღა თქმა უნდა, შენ ჩემზე კარგად იცნობ.

იმ საღამოს რუთიდან წამოსულ მარტინს რაღაც უცნაურად არეული და ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობა გამოჰყვა. იმედი გაუცრუა იმ ადამიანებმა, ვის დონემდე ამაღლებასაც ცდილობდა, თავისივე მიზნებზე გაუტყდა გული. მეორეს მხრივ, წარმატებამ წაახალისა. მაღლა ასვლა იმაზე უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე მას ეგონა. გაასწრო კიდეც (ყალბი მორიდებით თავი არ მოუტყუებია), იმათ გაასწრო, ვისთან გატოლებასან ესწრაფოდა. პროფესორ კოლდუელის გამოკლებით, რაღა თქმა უნდა. წიგნებიცა და ცხოვრებაც მას უფრო კარგად სცოდნია, გაკვირვებული იყო — რა უყვეს მაინც ამ თავიანთ ცოდნას, სად გადამალესო! ის კი აღარ უფიქრია, რომ თვითონ განსაკუთრებული ტვინის პატრონი იყო, არც ის უფიქრია, რომ მოაზროვნე და მოვლენებზე ღრმად ჩაფიქრებული ხალხი მორზების სამყაროში არ უნდა ეძებნა. მაშინ არ იცოდა, რომ ასეთი ხალხი, არწივების დარად, განმარტოებით დასრიალებენ ცის ლაჟვარდებში — მაღლა, სულ მაღლა, ჯოგ-ჯოგად მოფუსფუსე ხალხისაგან დაშორებით.

თავი ოცდამერვე

ბედმა ისევ დაივიწყა მარტინის მისამართი, მისი შიკრიკები უკვე აღარ უკაკუნებდნენ კარზე. მთელი ოცდახუთი დღე თავაუღებლივ, ისე რომ კვირა და უქმე დღეებიც არ გაუცდენია, «მზის სირცხვილზე» მუშაობდა. ეს იყო დიდი სტატია, ოცდაათი ათასამდე სიტყვისაგან შემდგარი, და წარმოადგენდა კარგად მოფიქრებულ იერიშს მეტერლინკის სკოლის მისტიციზმის წინააღმდეგ. ჭეშმარიტი მეცნიერების ციტადელიდან წამოწყებულ იერიშს — ფუჭ სასწაულებზე მეოცნებეთა წინააღმდეგ. მართალია, თვით სტატიაც შეიცავდა ლამაზ სასწაულებზე ოცნების მრავალ ელემენტს, მაგრამ ისე, რომ ფაქტებს არ ეწინააღმდეგებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ იერიშს მოჰყვა კიდევ ორი პატარა სტატია — «სასწაულებზე მეოცნებენი» და «საკუთარი ®ე»-ს საზომი». და სამივე სტატიამ — დიდმაც და პატარამაც — მოგზაურობა დაიწყეს ჟურნალიდან ჟურნალში.

იმ ოცდახუთი დღის განმავლობაში, რაც «მზის სირცხვილს» მოანდომა, მარტინმა მოახერხა გაეყიდა რამდენიმე მსუბუქი საგაზეთო ფელეტონი ექვს-ნახევარი დოლარისა. ერთმა ანეგდოტმა ორმოცდაათი ცენტი მოუტანა, მეორემ, რომელიც ყოველკვირეულ იუმორისტულ გაზეთში დაიბეჭდა, ერთი დოლარი. კიდევ ორმა სახუმარო ლექსმა გაუმართლა: ერთში ორი დოლარი მიიღო, მეორეში — სამი. ბოლოს და ბოლოს, როცა ისევ მიაღწია მედუქნეებთან ნისიის ზღვარმა (თუმცა ბაყალმა ხუთ დოლარამდე გაუზარდა ნისია), ველოსიპედი და კოსტიუმი კვლავ დაგირავებული აღმოჩნდა. საბეჭდი მანქანის სააგენტოდან ისევ არ ასვენებდნენ ქირისათვის, უკვე მერამდენედ მიუთითებდნენ, რომ ხელშეკრულების მიხედვით ქირის გადახდა წინასწარ იყო საჭირო.

წვრილ-წვრილი ფელეტონების გასაღებით გამხნევებული მარტინი ისევ მსუბუქ სამუშაოს მიუბრუნდა. ამით იქნებ თავი მაინც გაეტანა. მაგიდის ქვეშ ოცამდე პატარა მოთხრობა დახვავდა, საგაზეთო სინდიკატების მიერ დაწუნებული. მოდგა და ხელახლა გადაიკითხა, რათა მიმხვდარიყო — რა აინტერესებდათ გაზეთებს, როგორ არ უნდა ეწერა, და, ამრიგად, მტკიცე ფორმულა ჩამოაყალიბა: საგაზეთო მოთხრობა ტრაგიკული არ უნდა იყოს, ცუდად არ უნდა მთავრდებოდეს და არც ენის სილამაზით გამოირჩეოდეს, არც აზრის დახვეწილობით და არც გრძნობის სიფაქიზით. გრძნობები კი უნდა იყოს, — და უხვადაც, — მაგრამ პათეტიკური გრძნობები, რასაც ყმაწვილკაცობაში თვითონვე უკრავდა ტაშს ქანდარიდან: «მზად ვარ თავი დავდო ღმერთისა, სამშობლოსა და მეფისათვის», ან «ღარიბი კი ვარ, მაგრამ პატიოსანი ვარ».

როცა ეს საკითხები გაარკვია, მარტინი ჩამოყალიბებული ფორმულის მიხედვით შეუდგა წერას. ფორმულა სამი ნაწილისაგან შედგებოდა: 1) ორი შეყვარებული ერთმანეთს უნდა გაშორდეს; 2) რაღაც შემთხვევისა თუ საქმის წყალობით ისინი კვლავ შეერთდებიან; 3) საქორწინო ზარები. მესამე ნაწილი ყველა მოთხრობაში ერთი ზომისა უნდა ყოფილიყო, პირველი და მეორე კი შეიძლებოდა ათასნაირად შეცვლილიყო. შეყვარებულები ერთმანეთს განშორდებოდნენ ან გაუგებრობის გამო, ან რაიმე შემთხვევის გავლენით, ეჭვიანი მეტოქეების მოხერხებით, მშობლების სისასტიკით, მეურვეების გაიძვერობით, ნათესავების ინტრიგებით და ასე შემდეგ, დაუსრულებლად. შერიგება შეიძლებოდა მომხდარიყო შეყვარებული ვაჟის რაიმე გმირული საქმითა თუ მოქმედებით, ან ქალის ასეთივე გმირობით, გაიძვერა მეურვის, ინტრიგანი ნათესავის და ეჭვიანი მეტოქის აღიარების წყალობით, თვით შეყვარებულთა ნებაყოფლობითი აღიარებით, რაიმე საიდუმლოს გახსნით, ვაჟის

დაჟინებით, შეყვარებულის კეთილშობილური თავგანწირვით და ასე შემდეგ. ძალიან ეფექტური გამოდგა შერიგებისათვის პირველი ნაბიჯის გადადგმა ქალის მიერ. მარტინმა სხვაც ბევრი რამ აღმოაჩინა ეფექტური და პიკანტური. საქორწინო ზარებს კი ვერაფერი მოუხერხა, ხელიც ვერ ახლო: მთელი ცა რომ ჩამოქცეულიყო თავის ვარსკვლავებიანად, სულ ერთია, საქორწინო ზარები დასასრულს მაინც უნდა აეგუგუნებინა. ზომაც, დაახლოებით, განსაზღვრული იყო — მინიმუმ თორმეტი ათასი სიტყვა, მაქსიმუმ თხუთმეტი ათასი.

მანამ ასეთი მოთხრობების წერაში გაიწაფებოდა, მარტინმა ექვსამდე სქემა შეიმუშავა და შემდეგ წერის დროს რომელიმე მათგანს იყენებდა ხოლმე. ეს საქმეები მათემატიკურ ცხრილებსა ჰგავდა, რომელთაც ზემოდანაც წაიკითხავ, ქვემოდანაც, მარჯვნიდანაც, მარცხნიდანაც და რომელთა საშუალებითაც ათასნაირ ამოცანას ამოხსნი, სწორად და შეუმცდარად, თან ისე რომ დიდი დაფიქრება და ჭკუისათვის ძალის დატანება არ დაგჭირდება. ისე რომ, ნახევარ საათში მარტინს მთელი დუჟინი ამისთანა მოთხრობის სიუჟეტის მოხაზვა შეეძლო, რომელთაც გვერდზე გადადებდა და თავისუფალ დროს დაამუშავებდა. ჩვეულებრივ, მთელი დღის სერიოზული მუშაობის შემდეგ აკეთებდა ამას, ძილის წინ. კარგა ხნის შემდეგ რუთს გამოუტყდა, ძილშიაც კი შემიძლია ამისთანა მოთხრობების დაწერაო. მთავარი მაინც სქემის შედგენა იყო, სქემას კი მექანიკურად ადგენდა.

ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი თავისი სქემის სისწორეში, ისე გაგზავნა რედაქციებში პირველი ორი მოთხრობა, რომ დარწმუნებული იყო, ჩეკებს მიიღებდა. მართლაც, მეთორმეტე დღეს თითოეულმა მათგანმა ოთხ-ოთხი დოლარის ჩეკი მოიტანა.

ამასობაში მან ახალი ამაღელვებელი აღმოჩენა მოახდინა ჟურნალების შესახებ. «ტრანსკონტინენტურმა» მისი «ზარის ძახილი» დაბეჭდა, მაგრამ არავითარი ჩეკი არ გამოუგზავნია. სული კბილით ეჭირა, ამ ფულის იმედით, და ადგა და მისწერა. მიკიბულ-მოკიბული პასუხი მიიღო, თანაც ახალ ნაწარმოებებსა სთხოვდნენ. ორი დღე მშიერი დადიოდა ჰონორარის მოლოდინში და, ის იყო, ხელახლა დააგირავა ველოსიპედი. კვირაში ორჯერ, რეგულარულად, შეახსენებდა ხოლმე ჟურნალის რედაქციას თავის ხუთ დოლარს, მაგრამ, ეტყობა, ის პირველი პასუხი შემთხვევით მოუვიდა. რას იფიქრებდა, რომ ეს ჟურნალი, აგერ რამდენიმე წელიწადია, სულს ღაფავდა, მეოთხე თუ მეათეხარისხოვანი ჟურნალი იყო, არც მყიდველი ჰყავდა, არც ხელისმომწერი და უბადრუკი შეწირულებებით, ზოგჯერ კი იმ სარეკლამო განცხადებებით გაჰქონდა თავი, რასაც წყალობად მიუგდებდნენ ხოლმე. ან ის საიდან ეცოდინებოდა მარტინს, რომ არც რედაქტორსა და არც გამომცემელს «ტრანსკონტინენტურის» შემოსავალს გარდა არავითარი საარსებო სახსარი არ გააჩნდათ, და ამ შემოსავალსაც იმითი აკოწიწებდნენ, რომ, თუკი როგორმე გაუვიდოდათ, არც ბინის ქირას იხდიდნენ და არც ჰონორარს უგზავნიდნენ ავტორებს. რას იფიქრებდა, რომ მისი ხუთი დოლარით გამომცემელმა სახლი შეიღება ალამედაში, თანაც თვითონ შეღება, საკუთარი ხელით, რადგან მღებავთა პროფკავშირების მიერ დაწესებულ თანხას ვერ გადაიხდიდა, ხოლო იმ შტრაიკბრეხერ მღებავს, რომელმაც ამხანაგებს უღალატა და მცირე გასამრჯელოს დათანხმდა, პირველივე დღეს უბიძგეს, კიბიდან გადმოაგდეს და საავადმყოფოში წასაყვანი გახდა ლავიწგატეხილი.

არც «ზანძის მაძიებელთა» ჰონორარი მიუღია, ათი დოლარი. ეს სტატია ჩიკაგოს გაზეთმა დაბეჭდა. მარტინმა საკუთარი თვალით ნახა დაბეჭდილი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, მაგრამ რედაქტორის პასუხს ვერ ეღირსა. მარტინის წერილები

უყურადღებოდ დატოვეს. რომ დამშვიდებულიყო, ნამდვილად ღებულობენ ჩემს წერილებსო, დაზღვეულის გზავნა დაიწყო. ეს ხომ ძარცვა-გლეჯაა, დაასკვნა მან. აშკარა და უბოდიშო ქურდობა. თავად შიმშილით კვდება, და ამ დროს ნაშრომს, საქონელს, სხვა სტაცებს, მაშინ როდესაც სწორედ ამ საქონლით უნდა მოიპოვოს მან ლუკმაპური.

«სიჭაბუკე და სიბერე» ყოველკვირეული ჟურნალი იყო, აქ ორი მესამედი დაიბეჭდა მისი მოთხრობებისა, რომელიც ოცდაერთი ათას სიტყვას შეიცავდა და ჟურნალიც დაიხურა. მას გაჰყვა მთელი იმედებიც თექვსმეტი დოლარის მიღებისა.

საქმე იმით დაგვირგვინდა, რომ «ქოთანი», რომელიც მარტინს თავის საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნდა, სულაც დაკარგა. მრავალი ჟურნალისაგან დაწუნებული მოთხრობა, ბოლოს იმედგადაწურულმა მარტინმა «ტალღას» გაუგზავნა, სან-ფრანცისკოს ყოველკვირეულ ჟურნალს. ეგონა, პასუხს მალე მივიღებო: რედაქცია იქვე იყო, უბნის მეორე მხარეს. ორი კვირის შემდეგ სიხარულით ცას ეწია, როცა თავისი მოთხრობა მთლიანად დაბეჭდილი ნახა, საპატიო ადგილზე და თან დასურათებული. შინ რომ ბრუნდებოდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, გონებაში ვარაუდობდა, ამ ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მოთხრობაში რამდენს გადამიხდიანო. უხაროდა, გული სიამით ევსებოდა, რომ ასე ხელად დაუბეჭდეს. მართალია, რედაქტორს წინასწარ არაფერი უცნობებია, მაგრამ ეს უფრო სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა. უცადა ერთი კვირა, ორი კვირა, ორკვირანახევარი, განწირულებამ ადვილად დააძლევინა მორცხვობა და რედაქტორისათვის წერილი მიაწერინა, რედაქციის საქმეთა მმართველს, მოუცლელობის გამო, ჩემი მცირე გასამრჯელო ალბათ გადაავიწყდაო.

«ხუთი დოლარიც რომ გამოიმეტონ, — ფიქრობდა მარტინი, — ცოტაოდენ მუხუდოსა და ცერცვს ხომ მიყიდის და ექვს ამისთანა მოთხრობას დამაწერინებს».

პასუხმა ცივი წყალი გადაასხა მარტინს.

«თქვენი დიდებული მოთხრობისათვის მადლობას მოგახსენებთ — სწერდნენ ისინი, — მთელმა რედაქციამ დიდად ვისიამოვნეთ, და, როგორც ნახეთ, ხელადვე დავბეჭდეთ, საპატიო ადგილიც დავუთმეთ. სულით და გულით ვიმედოვნებთ, ილუსტრაციებიც მოგეწონებოდათ. თქვენი წერილიდან ჩანს, რომ დაუკვეთავ მოთხრობაში ჰონორარს ელით. მაგრამ ჩვენ ასეთი წესი არა გვაქვს, ეგ მოთხრობა ხომ რედაქციას არ დაუკვეთია. თქვენს მოთხრობას რომ ვბეჭდავდით, დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს მდგომარეობა გათვალისწინებული გექნებოდათ. სამწუხარო გაუგებრობა მომხდარა და ახლა ისღა დაგვრჩენია ღრმა სინანული გამოვთქვათ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩვენს დიდ პატივისცემაში. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით მოთხრობისათვის, იმედს არ ვკარგავთ, რომ ამ მოკლე მომავალში კიდევ გამოგვიგზავნით. მარად თქვენი და ა. შ.»

პოსტსკრიპტუმში ნათქვამი იყო, უფასოდ არავის ვუგზავნით ჩვენს ჟურნალს და დიდად სასიამოვნო დარჩება ჩვენთვის, საგაისოდ ხელისმომწერთა სიაში შეგიტანოთო.

ამ მწარე გამოცდილებამ მარტინი აიძულა, რედაქციებში გასაგზავნად გამზადებული ხელნაწერის სატიტულო გვერდზე მიებეჭდა: «გეთმობათ თქვენივე დაწესებული ჰონორარის მიხედვით».

«იმ დღესაც მოვესწრები, — ინუგეშებდა იგი თავს, — რომ ჩემი დაწესებული ჰონორარის მიხედვით დავუთმობ».

ამ პერიოდში მარტინს თავისი ძველი ნაწერების სრულყოფისა და შესწორების ჟინმა წამოუარა. მოდგა და ხელახლა გადაწერა, გააშალაშინა «ხიარული ქუჩა»,

«სიცოცხლის ზედაშე», «სიხარული», «ზღვის სიმღერა» და სხვა ადრეული ნაწარმოებები. ცხრამეტსაათიანი სამუშაო დღე ძველებურადვე არა ჰყოფნიდა. თავგამოდებით წერდა და თავგამოდებით კითხულობდა. თავაუღებელმა შრომამ ის მტანჯველი ტკივილიც კი გადაავიწყა, რასაც პაპიროსის მწეველები განიცდიან ხოლმე, როცა წევას თავს ანებებენ. რუთის მიცემული წითელეტიკეტიანი, წევისათვის თავისდასანებებელი წამალი, უჯრის კუნჭულში მიმალა. განსაკუთრებით ძნელი გადასატანი იყო უპაპიროსობა შიმშილის დღეებში. რამდენს არ ცდილობდა პაპიროსის სურვილი ჩაეკლა, სულ ამაოდ! მაინც გამწარებით უნდოდა. მარტინი პაპიროსის გადაგდებას უდიდეს გმირობადა თვლიდა; მაგრამ რუთი ასეთ დიდ შეფასებას არ აძლევდა ამ მოვლენას — მართებული მოქმედებააო, ამბობდა, და მეტი არაფერი. თამბაქოს საწინააღმდეგო წამალი ჯიბის ფულით უყიდა მარტინს და რამდენიმე დღეში სულ გადაავიწყდა.

სქემებით დაწერილი მოთხრობები მარტინს სძულდა, დასცინოდა კიდეც, მაგრამ სწორედ ამათ გაუმართლეს. ამათი წყალობით გამოისყიდა დაგირავებული ნივთები და ველოსიპედის საბურავებიც კი იყიდა. ეს მოთხრობები აჭმევდა ლუკმაპურს და საშუალებას აძლევდა, სერიოზულ რამეებზე ემუშავა. სულიერ მხნეობას კი კვლავ ის ორმოცი დოლარი უნარჩუნებდა, «თეთრი თაგვიდან» მიღებული. ამაზე ამყარებდა იმედებს, იქნებ სხვა პირველხარისხოვანი ჟურნალებიც ასეთივე ჰონორარს უხდიან უცნობ ავტორებს, იქნებ მეტსაც კი აძლევენო, ფიქრობდა. მაგრამ პირველხარისხოვან ჟურნალებში მოხვედრა არ გინდოდა! მისი საუკეთესო მოთხრობები, სტატიები, ლექსები მათხოვრებივით დაძრწოდნენ ამ რედაქციებში, მარტინი კი, იმავე ჟურნალების ფურცლებზე, ყოველთვიურად კითხულობდა ყოველგვარ მწერლურ ოსტატობას მოკლებულ უგემურსა და მდარე ლექსებსა და მოთხრობებს.

«ერთმა რედაქტორმა მაინც მოიცალოს, — ფიქრობდა ზოგჯერ მარტინი, — სიამაყის მაღალი ტახტიდან ცოტა ხნით ძირს დაეშვას და გამამხნევებელი სიტყვა მაღირსოს! იქნებ მართლაც უჩვეულო იყოს მათთვის ჩემი ნაწარმოებები, იქნებ სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ვერ დაბეჭდონ, მაგრამ ნუთუ მათში ვერავითარი ნაპერწკალი ვერ აღმოაჩინეს, რომ ცოტათი მაინც გაუთბოს გული და პასუხის ღირსად გამხადონ!» ასეთი ფიქრის შემდეგ გადმოიღებდა ხოლმე რომელიმე ხელნაწერს, «თავგადასავლის» მსგავსს და მერამდენედ გადაიკითხავდა, ცდილობდა რედაქტორების დუმილის მიზეზს ჩასწვდომოდა.

დადგა კალიფორნიის საამური გაზაფხული და მარტინის კეთილდღეობასაც ბოლო მოეღო. რამდენიმე კვირა ისე გავიდა, რომ არაფერი მიუღია, უკვირდა და აწუხებდა საგაზეთო სინდიკატების უცნაური დუმილი. ბოლოს, სქემების მიხედვით დაწერილი ათი პატარა მოთხრობა ერთბაშად დაუბრუნდა ერთ დღეს. თან მოკლედ აცნობებდნენ, რომ სინდიკატები მასალებს ვეღარ აუდიოდა და რამდენიმე თვეს მაინც ახალს ვერაფერს მიიღებდა. მარტინმა კი, ამ ათი მოთხრობის იმედით, გვარიანი ხელგაშლილობა გამოიჩინა. აქამდე თითო მოთხრობაში ხუთ დოლარს უხდიდა სინდიკატი და ერთხელაც არ მომხდარა, რამე დაეწუნებინათ. ამიტომაც იყო გულარხეინად მარტინი, თითქოს ეს მოთხრობები უკვე გასაღებული ჰქონოდეს და ორმოცდაათი დოლარი ბანკში სდებოდეს. და ისევ ერთბაშად დაიწყო შიმშილის პერიოდი. მოდგა და ხელახლა დაუწყო გზავნა ადრეულ ხელნაწერებს იმ გაზეთებში, რომლებიც ბეჭდავდნენ და არაფერს უხდიდნენ, ხოლო ბოლოდროინდელ ნაწერებს — ჟურნალებში, რომლებიც არც ბეჭდავდნენ და არც ყიდულობდნენ. ისევ განახლდა ოუკლენდის მევახშეებთან წანწალი. რამდენიმე ანეგდოტი და სახუმარო ლექსი როგორღაც კიდევ მიჰყიდა ნიუ-იორკის ყოველკვირეულ გაზეთს და ახლა ამითი

გაჰქონდა სული. ადგა და ყოველთვიურ დიდ ჟურნალებსა და კვარტალურ ალმანახებს წერილები დაუგზავნა — რატომ არ მიბეჭდავთო, პასუხად მოსწერეს, რომ თვითდინებით შესულ ხელნაწერებს იშვიათად თუ განიხილავდნენ, გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა დაკვეთით იყო დაწერილი და მხოლოდ სახელმოხვეჭილსა და ცნობილ სპეციალისტებს უკვეთავდნენ.

თავი ოცდამეცხრე

ეს ზაფხული მძიმე გამოდგა მარტინისათვის. რეცენზენტები და რედაქტორები დასასვენებლად გაკრეფილიყვნენ და თუ აქამდე ხელნაწერებს სამ კვირაში აბრუნებდნენ პასუხთან ერთად, ახლა მთელი სამ-სამი თვე და ზოგჯერ უფრო მეტიც რედაქციებში ეყარა. ერთადერთი ნუგეში ისღა დარჩენოდა, რომ მარკებისათვის აღარ ეხარჯებოდა ფული. ეტყობოდა, მხოლოდ მძარცველი გამომცემლები განაგრძობდნენ აქტიურ საქმიანობას და მარტინმა ახლა მათ დაუგზავნა თავისი ადრეული ნაწერები — «მარგალიტების მაძიებელნი», «მეზღვაურის პროფესია», «კუზე მონადირენი» და «ჩრდილო-აღმოსავლეთის პასატი». ამ ხელნაწერებში ერთი პენიც კი არ აუღია. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ექვსი თვის წერილობითი მოლაპარაკების შემდეგ მაინც მიაღწია რაღაცას: «კუზე მონადირეებში» სამართებელი მიიღო გასამრჯელოდ, «ჩრდილო-აღმოსავლეთ პასატის» ჰონორარად კი «კროპოლისმა» ხუთი დოლარი ფულად და ხუთი წლიური ხელმოწერა აღუთქვა, მაგრამ საბოლოოდ პირობის მხოლოდ მეორე მუხლი შეასრულა.

იმდენი მოახერხა, რომ სტივენსონისადმი მიძღვნილ სონეტში ერთ ბოსტონელ გამომცემელს, რომელსაც გემოვნება კი კარგი ჰქონდა, მაგრამ ქისა დაჩუტვოდა, ორი დოლარი წაგლიჯა. ორასსტრიქონიანი მახვილი სატირული პოემა «ფერია და მარგალიტი» ძალიან მოეწონა სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორს. ამ ჟურნალს რკინიგზის დიდი კომპანია აფინანსებდა. რედაქტორმა ჰონორარად რკინიგზის უფასო ბილეთი შესთავაზა. საპასუხო წერილში მარტინი შეკითხვას აძლევდა — ბილეთის სხვა პირისთვის გადაცემა თუ შეიძლებაო. რაკი არ შეიძლებოდა და ამდენად, ფულს ვეღარ გააკეთებდა, უკანვე გამოითხოვა. დაუბრუნეს კიდეც, და რედაქტორმა სინანულის წერილი მოსწერა. მარტინი ადგა და ისევ სან-ფრანცისკოში გაგზავნა პოემა, ოღონდ ამჯერად «ვრაზანას» გაუგზავნა. ეს ყოველთვიური ჟურნალი თავის დროზე ერთ-ერთ ბრწყინვალე ჟურნალისტს დაეარსებინა. მაგრამ, მარტინი რომ დაიბადა, «ვრაზანას» მზე დიდი ხნის ჩასვენებული იყო. რედაქტორმა თხუთმეტი დოლარი აღუთქვა მარტინს, მაგრამ დაბეჭდვის შემდეგ, ეტყობა, დაავიწყდა თავისი პირობა. მარტინის რამდენიმე წერილს პასუხიც არ აღირსეს, ადგა და აღშფოთების წერილი გაუგზავნა, რასაც მალევე მოჰყვა პასუხი. ახალი რედაქტორი ჯიქურ აცნობებდა: ჯერ ერთი, წინანდელი რედაქტორის შეცდომებისათვის პასუხს არ ვაგებო; და, მეორეც, ეს თქვენი პოემა ბევრი ვერაფერი შვილიაო.

მაგრამ ყველაზე ცუდად ჩიკაგოს ჟურნალი «გლობუსი» მოექცა მარტინს. «ზღვის სიმღერის» დაბეჭდვისაგან მარტინი დიდხანს იკავებდა თავს, მაგრამ ბოლოს შიმშილმა აიძულა გაეგზავნა. რამდენიმე ჟურნალმა ზედიზედ დაუწუნა და, ბოლოს, როგორც იქნა, «გლობუსმა» შეიფარა. სულ ოცდაათი ლექსი იყო ამ ციკლში და თითოში თითო დოლარს შეჰპირდნენ. პირველად ოთხი ლექსი დაიბეჭდა და მარტინმა მაშინვე მიიღო ოთხი დოლარის ჩეკი. მაგრამ ჟურნალს რომ გადაავლო თვალი, ელდა ეცა. სათაურები დაემახინჯებინათ: «Finis»-ის ნაცვლად ერთი

ლექსისათვის «Finish» ეწოდებინათ, ნაცვლად «სიმღერა ამოშვერილი რიფისა» — «სიმღერა მარჯნის რიფისა». ერთისთვის სულ სხვა რამ დაერქმიათ, სავსებით განსხვავებული და შეუფერებელი. რედაქტორს გადაეშალა «მედუზას ნათელი» და «დაბრუნება» დაეწერა. მაგრამ განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო თვით ტექსტები ლექსებისა. სიმწრის ოფლი დაასხა, კვნესა აღმოხდა, ხელები თმაში იტაცა. ფრაზები, მთელი სტრიქონები, სტროფები შეეკვეცათ, გადაეადგილებინათ, საშინლად დაემახინჯებინათ. ზოგიერთი სტრიქონი და სტროფი სულ ამოეღოთ და სხვა რაღაცით შეეცვალათ. მარტინს ვერ წარმოედგინა, ჭკუათამყოფელ რედაქტორს თუ შეეძლო ამისთანა სისაძაგლის ჩადენა, ალბათ სტამბის მუშამ ან გადამწერმა გამიფუჭაო. მაშინვე დაჯდა და წერილი მისწერა რედაქტორს, სთხოვდა ბეჭდვა შეეწყვიტათ და დანარჩენი ლექსები ახლავე უკან დამიბრუნეთო. მეორედაც მისწერა, მესამედაც... სთხოვდა, ემუდარებოდა, ემუქრებოდა, მაგრამ ყურიც არავის გაუბარტყუნებია. თვე თვეს მისდევდა და ლექსების ჩეხვა კვლავ შეუბრალებლად გრძელდებოდა, მანამ სულ არ ჩათავდა ოცდაათი ლექსი. ასევე ყოველთვიურად იგი დაბეჭდილი ლექსების ჩეკებს ღებულობდა.

ამდენი უბედურების მიუხედავად, მარტინს კვლავ იმ «თეთრი თაგვის» ორმოცი დოლარის მოგონება ასულდგმულებდა, თუმცა, ბოლო ხანებში, სულ უფრო და უფრო მეტ დროს მსუბუქ საგაზეთო ფელეტონებს უთმობდა. აგრონომიულ და სავაჭრო ჟურნალებშიაც სცადა ბედი და ლუკმაპურის ფული გაიჩინა, რელიგიური ჟურნალების მოსინჯვაც დააპირა, მაგრამ მიხვდა, რომ აქ ვერაფერს გახდებოდა და შიმშილით გაძვრებოდა სული. უკიდურესი გაჭირვების დროს, როცა მისი შავი კოსტიუმი მევახშესთან იდო, ერთბაშად გაუღიმა ბედმა — ყოველ შემთხვევაში, მას ასე მოეჩვენა: რესპუბლიკური პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე გაიმარჯვა. ფაქტობრივად სამი კონკურსი იყო და სამივეში გაუმართლა. მერე საკუთარ თავს დასცინოდა მწარედ, რადგან ლუკმა-პურის მოსაპოვებლად იძულებული იყო ამნაირი საქმისთვის მოეკიდა ხელი. ლექსებში პირველი ჯილდო მიიღო — ათი დოლარი; სააგიტაციო სიმღერაში — მეორე ჯილდო, ხუთი დოლარი; სტატიაში რესპუბლიკური პარტიის ამოცანებზე, პირველი პრემია მიიღო — ოცდახუთი დოლარი. მანამ ჯილდოების აღების დრო მოვიდოდა, ძალიან გახარებული იყო. ეტყობოდა, ცუდი რაღაც დაემართა კომიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ მის შემადგენლობაში ერთი მდიდარი ბანკირი და ერთი სენატორი იყო, ჯილდოების ფული მაინც არ აღმოაჩნდათ. ვიდრე საქმის გარკვევასა და გაწამაწიაში იყვნენ, მარტინმა დაამტკიცა, რომ არც დემოკრატიული პარტიის ამოცანებს იცნობდა ნაკლებ — იმგვარსავე კონკურსში აქაც პირველი ჯილდო მოიპოვა. და, რაც მთავარია, მიიღო კიდეც ფული, ოცდახუთი დოლარი, ხოლო პირველ კონკურსში მოპოვებული ორმოცი დოლარის მიღებას არასოდეს ღირსებია.

რამე უნდა ეღონა, რათა რუთის ნახვა მოეხერხებინა. ჩრდილო ოუკლენდიდან მორზების სახლამდე ფეხით მისვლა და მერე უკან დაბრუნება დიდ დროს წაართმევდა, ამიტომ გადაწყვიტა შავი კოსტიუმი დაეგირავებინა და სამაგიეროდ ველოსიპედი გამოეხსნა. ველოსიპედის წყალობით დროსაც ზოგავდა, კუნთებსაც ავარჯიშებდა და რუთსაც დროულად ნახულობდა. ამასთან, მოკლე ტილოს შარვალი და ძველი სვიტერი სწორედ რომ საველოსიპედო კოსტიუმსა ჰგავდა და შეეძლო საღამოობით რუთთან ერთად ქალაქგარეთაც გაესეირნა. სულერთია, სახლში მაინც ვერ ახერხებდა ქალთან მარტოდ ყოფნასა და ლაპარაკს — მისის მორზი მტკიცედ ასრულებდა დასახულ გეგმას, სულ სტუმრიანობა და თავშექცევა ჰქონდა. გამორჩეული ხალხი, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ მარტინი ქვემოდან

შეჰყურებდა, ახლა მისთვის მოსაბეზრებელი გამხდარიყო. რჩეულისა აღარაფერი ეცხოთ მარტინის თვალში. დუხჭირმა ცხოვრებამ, გულის გატეხამ, დაძაბულმა მუშაობამ ისე გააღიზიანა და გაანერვულა მარტინი, რომ ამისთანა ხალხთან ლაპარაკი უკვე ჭკუიდან შლიდა. გადამეტებულად თავდაჯერებული არასოდეს ყოფილა იგი. ამ ხალხის ჭკუისა და გონების შეზღუდულობას იგი იმ ავტორთა ფართო აზროვნებითა და ფიქრებით ზომავდა, რომელთა წიგნების წაკითხვა უკვე მოესწრო. რუთის სახლში ერთ ჭკვიან კაცსაც არ გადაყრია, გარდა პროფესორ კოლდუელისა, რომელიც ერთის მეტად აღარც გამოჩენილა იქ. დანარჩენები სულ ყეყეჩები, რეგვნები, ცერცეტები, ჭკუადახშულები და უვიცები იყვნენ. სწორედ მათი უვიცობა ანცვიფრებდა მარტინს. რა მოუვიდათ? რა უყვეს თავიანთ ცოდნას? აკი ამათაც ის წიგნები წაუკითხავთ, რაც მარტინმა წაიკითხა! ნუთუ ვერაფერი გამოიტანეს წიგნებიდან?! რანაირად მოხდა ეს?

მარტინმა იცოდა, რომ არსებობდნენ დიდი გენიოსები, ღრმად და საფუძვლიანად მოაზროვნე ხალხი. ამის დადასტურება იყო წიგნები, რომელთა წყლობითაც იგი მორზების დონეზე მაღლა ავიდა. დიდ გენიოსებსაც რომ დავეხსნათ, ჩვეულებრივ ხალხშიაც გაცილებით უფრო მცოდნე და განათლებულ ადამიანებს ნახავდი, ვიდრე მორზებთან შეხვედრია მარტინს. ეს მან იცოდა, ბევრი წაეკითხა ინგლისური რომანები, რომელთა გმირი მამაკაცები და ქალები პოლიტიკასა და ფილოსოფიაზე მსჯელობენ. წაეკითხა და იცოდა დიდ ქალაქებში სალონების არსებობის ამბავი, თვით ამერიკის ქალაქებშიაც კი, სადაც ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. უწინ გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ყველა კარგად გამოწყობილი ადამიანი, თუკი იგი ამავე დროს მუშათა წრეს არ ეკუთვნოდა, დიდად განათლებული და ხელოვნების ღრმად აღმქმელი იყო. გახამებული საყელო და კულტურა გაიგივებული ჰქონდა; სასწავლებლის დამთავრება იმის უტყუარ ნიშნად მიაჩნდა, რომ ადამიანი ყოველმხრივ განათლებულად მიეჩნია, და ამაშიაც ტყუვდებოდა.

მორჩა! იგი გზას გაიკვლევს, სულ მაღლა და მაღლა ავა და რუთსაც თან გაიყოლებს. მთელი არსებით უყვარდა ქალი და დარწმუნებული იყო, რომ, საცა არ უნდა მოხვედრილიყო იგი, ყველგან გაიბრწყინებდა. ნათელი გახდა, რომ წრე, რომელშიაც რუთი ტრიალებდა, ხელს უშლიდა მას უფრო დიდი წარმატებისათვის მიეღწია, ისევე როგორც თავის დროზე მარტინსაც ბორკავდა საკუთარი წრე. აქამდე რუთს საშუალება არ ჰქონია ჭეშმარიტად გაეშალა ნიჭი. მამის თაროებზე დალაგებული წიგნები, კედლებზე ჩამოკიდებული სურათები, როიალზე დახვავებული ნოტები — სულ მოჩვენებითი იყო, თვალის ასახვევი. ჭეშმარიტი მწერლობის, ჭეშმარიტი მუსიკის მიმართ მორზები და მთელი მათი ავან-ჩავანი, ბრმანი და ყრუნი იყვნენ. ამეებზე უფრო მაღლა — თვით ცხოვრება იდგა, ცხოვრებისა კი იმათ სულაც არაფერი გაეგებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ თავს უნიტარული მიდრეკილების ხალხად თვლიდნენ და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ნიღაბს ატარებდნენ, სინამდვილეში მთელი ორი თაობით ჩამორჩებოდნენ პოზიტიურ მეცნიერებას. აზროვნება შუასაუკუნეობრივი ჰქონდათ, ხოლო შეხედულებანი სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობაზე — წმინდა წყლის მეტაფიზიკური, ისეთივე ძველი, როგორც გამოქვაბულის ადამიანი, და კიდევ უფრო ძველიც; ასეთი აზროვნების დონეზე იდგა პლეისტოცენის დროინდელი ადამიანის მსგავსი მაიმუნი, რომელსაც სიბნელისა ეშინოდა; ასეთმა აზროვნებამ მიიყვანა ძველისძველი ებრაელები იმ დასკვნამდე, რომ ევა ადამის ნეკნიდან შექმნილად ერწმუნათ; დეკარტეს მთელი იდეალისტური სისტემა შეაქმნევინა, რომლის

მიხედვითაც სამყარო მისი უბადრუკი «ეს» პროექციას წარმოადგენს; ცნობილ ინგლისელ მღვდელს ევოლუციის თეორია სასაცილოდ ააგდებინა და მაშინვე დიდი ქებაც დაიმსახურა, თავისი სახელი სამარადისოდ უკვდავჰყო.

ბევრსა ფიქრობდა ამაზე მარტინი, განუწყვეტლივ ფიქრობდა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ განსხვავება ერთის მხრივ ამ ვექილებსა, ოფიცრებსა, საქმოსნებსა, ბანკის ბუხჰალტრებსა, რომელთაც იგი ახლახან გაეცნო, და მეორეს მხრივ მუშებს შორის, რომელთაც თავიდანვე იცნობდა, მხოლოდ ის იყო, რომ სულ სხვადასხვა საჭმელს ჭამდნენ, სხვადასხვანაირად იცვამდნენ, მეზობლებიც სულ სხვა ჰყავდათ... ერთ მხარესაც და მეორესაც ის მთავარი რაღაც აკლდა, რაც მან წიგნებსა და თავის თავში იპოვა. მორზებმა მას აჩვენეს თავისი წრის ყველაზე წარჩინებული წარმომადგენლები, მაგრამ მარტინს აღფრთოვანებისაგან თავგზა არ დაუკარგავს. თვითონ ხომ მათხოვარი იყო, მევახშის მონად ქცეული, მაინც ყველა იმათზე მაღლა გრძნობდა თავს, ვისაც მორზებთან შეხვედროდა. როცა ერთადერთი ხეირიანი კოსტიუმი გამოისყიდა და მათ წრეში გაერია, საკუთარი ღირსების დამცირება იგრძნო, ისევე როგორც პრნიცი იგრძნობს დამცირებულად თავს თხის მწყემსთა შორის.

— თქვენ გძულთ და თან გეშინიათ სოციალისტებისა, — უთხრა მან ერთხელ მისტერ მორზს, სადილის დროს, — მაგრამ რატომ? არც პირადად იცნობთ მათ და არც მათი მსოფლმხედველობა იცით.

საუბარმა ასეთი მიმართულება მას შემდეგ მიიღო, რაც მისის მორზმა გამომწვევი ტონით დაიწყო მისტერ ჰეპგუდისათვის დითირამბების შესხმა. მარტინი ვერ იტანდა ამ გარეწარს და ყოველთვის მოთმინებას ჰკარგავდა ხოლმე, როცა მასზე ჩამოაგდებდნენ სიტყვას.

— დიახ, — თქვა მარტინმა, — ჩარლი ჰეპგუდი მაღლა-მაღლა მიიწევს, როგორც იტყვიან ხოლმე. ასე მითხრეს და მართალიც არის. ვინ იცის, იქნებ გუბერნატორის სკამსაც ეღირსოს, მანამ მოკვდებოდეს... იქნებ შეერთებული შტატების სენატორებსაც მიაღწიოს.

— რატომ გგონიათ? — ჩაეკითხა მისის მორზი.

— მაგისი წინასაარჩევნო სიტყვა მაქვს მოსმენილი. იმდენი სისულელე ილაპარაკა, მაგრამ ისე ჭკვიანურად, ისეთი გაცვეთილი ფრაზები აფრქვია და ისეთი დამაჯერებელი ტონი ჰქონდა, რომ ლიდერები უსათუოდ თავის კაცად მიიჩნევდნენ. სისაძაგლე კი... რაც ყველა ამომრჩეველს სისაძაგლე აქვს, ეგეც შორს ვერ გაექცევა... რა ბრძანებაა, ვის არ ესიამოვნება, ტრიბუნიდან მოისმინოს თავისი საკუთარი აზრები, შელამაზებული და შეფერადებული!

— ნამდვილად გშურს მისტერ ჰეპგუდისა, — საყვედურით შენიშნა რუთმა.

— ღმერთმა დამიფაროს!

შეძრწუნებამ, რაც ამ დროს მარტინს გამოეხატა სახეზე, მისის მორზი საომრად განაწყო.

— იმასაც ხომ არ იტყვით, მისტერ ჰეპგუდი სულელიაო? — გაყინული ხმით ჰკითხა მან.

— რიგით რესპუბლიკელზე, თუნდაც რიგით დემოკრატზე სულელი არც ეგ არის, — იყო პასუხი, — ან გაიძვერები არიან ეგენი ან სულელები, თანაც გაიძვერები ნაკლები ჰყავთ. ერთადერთი ჭკვიანი რესპუბლიკელები — მილიონერები და მათი მსახურები არიან. კარგად იციან, სად არის გამოსარჩენი, და არც ის შეეშლებათ, როგორ და რანაირად.

— მეც ხომ რესპუბლიკელი ვარ, — ღიმილით ჩაურთო მისტერ მორზმა, — იქნებ მითხრათ, რომელ წრეს მიმაკუთვნებთ!

— ო, თქვენ შეუგნებელი მსახური ხართ.

— მსახური?

— რა თქმა უნდა. მთელი საქმე კორპორაციისა თქვენ გაწევთ. სისხლის სამართლის საქმეს თქვენ არ აწარმოებთ და არც მუშათა შორის გყავთ კლიენტები. თქვენი შემოსავალი არც ჯიბგირებზეა დამოკიდებული, არც ცოლების მიმბეგვავ ქმრებზე. ცხოვრების სახსარს იმ ადამიანებისაგან იღებთ, ვინც საზოგადოების ბატონ-პატრონნი არიან, ხოლო როცა კაცი ვინმეს პურს აჭმევს, მის ბატონადაც ითვლება. თქვენ ნამდვილი მსახური ხართ. დაინტერესებული ხართ დაიცვათ ის კაპიტალისტური ორგანიზაციები, რომელთაც ემსახურებით.

მისტერ მორზს სახე წამოუწითლდა.

— პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, სერ, რომ მოწამლული სოციალისტივით ლაპარაკობთ, — უთხრა მან.

და სწორედ ამ დროს უთხრა მარტინმა:

— თქვენ გმულთ და თან გეშინიათ სოციალისტებისა... მაგრამ რატომ? არც პირადად იცნობთ მათ და არც მათი მსოფლმხედველობა იცით.

— თქვენი მსოფლმხედველობა კი ნამდვილად სოციალისტურია, — უპასუხა მისტერ მორზმა. რუთი ხან ერთს შეხედავდა დამფრთხალი თვალებით, ხან მეორეს, მისის მორზი ბედნიერებისაგან გაიბადრა: ოჯახის თავი ასე მტრულად განეწყო მარტინის მიმართ.

— მე რომ რესპუბლიკელებს სულელებს ვუწოდებ, «თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა» საპნის დამსკდარი ბუშტებია-მეთქი, რომ ვამბობ, ეს განა იმას ნიშნავს, თითქოს სოციალისტი ვიყო, — ღიმილით თქვა მარტინმა. — მე თუ ჯეფერსონს არ ვეთანხმები, ან იმ ფანტაზიორ ფრანგებს, რომელთაც მასზე მოახდინეს გავლენა, განა იმიტომ, თითქოს სოციალისტი ვიყო. დამერწმუნეთ, მისტერ მორზ, თქვენ ჩემზე უფრო ახლო დგახართ სოციალიზმთან, მე მისი აშკარა მტერი ვარ.

— თქვენ ალბათ ხუმრობთ! — სხვა ვეღარაფრის თქმა მოახერხა მისტერ მორზმა.

— სულაც არა. მთელი სერიოზულობით ვლაპარაკობ. თქვენ ისევე გჯერათ თანასწორობა, ხოლო ამასთან კაპიტალისტურ კორპორაციებს ემსახურებით, კორპორაციები კი, რაც დღე გადის, სულ იმას ცდილობს, როგორმე დაასამაროს ეს თანასწორობა. ახლა, აგერ, მე მიწოდებთ სოციალისტს, რადგან თანასწორობისა არა მჯერა და იმას ვამტკიცებ, რასაც თქვენ მთელი ცხოვრებით ემსახურებით. რესპუბლიკელები თანასწორობის მტრები არიან, ოღონდ ისე ებრძვიან მას, რომ პირზე, ლოზუნგად, სწორედ თანასწორობა აკერიათ. თანასწორობის სახელით აცამტვერებენ თვით წონასწორობას. ამიტომაც ვეძახი მათ სულელებს. მე, ჩემდათავად, ინდივიდუალისტი ვარ. მჯერა, რომ სირბილში სწრაფი იმარჯვებს, ბრძოლაში — ძლიერი. ბიოლოგიამ მასწავლა ეს მე, ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, მასწავლა-მეთქი. კიდევ ვიმეორებ, მე ინდივიდუალისტი ვარ, ინდივიდუალიზმი კი სოციალიზმის დაუძინებელი მტერია.

— ხშირ-ხშირად კი ესწრებით სოციალისტების მიტინგებს! — გადაჰკრა მისტერ მორზმა.

— მართალია. ისევე, როგორც მზვერავები მოინახულებენ ხოლმე მოწინააღმდეგეების ბანაკს. მაშ, როგორღა გინდა მტერი შეისწავლო?! ეგეც რომ არ იყოს, ვერთობი ხოლმე იმათ მიტინგებზე. დიდებული მებრძოლები არიან და, ავად თუ კარგად, ბევრი წაუკითხავთ. რომელ მათგანსაც არ უნდა დაადო ხელი,

გაცილებით უფრო კარგად იცის სოციოლოგია და, საერთოდ ყოველგვარი «ოლოგია», ვიდრე რომელიმე კაპიტალისტმა. დიახ, ბარე ექვსჯერ დავსწრებივარ იმათ მიტინგს, მაგრამ ამას ისევე არ გავუხდივარ სოციალისტად, როგორც ჩარლ ჰეპგუდის მჭევრმეტყველებამ ვერ მაქცია რესპუბლიკელად.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ თქვენ მაინც სოციალიზმისკენ იხრებით.

«ღმერთო შენ მიშველე! — გაიფიქრა მარტინმა, — სულ ვერ გაუგია ჩემი ლაპარაკი. ერთ სიტყვასაც ვერ მიმხვდარა. ნეტა რას უშვრებიან თავიანთ ცოდნას?!»

ამრიგად, თავისი განვითარების გზაზე, მარტინი პირისპირ შეეჯახა ეკონომიკის საფუძვლებზე აღმოცენებულ მორალს, კლასობრივ მორალს; და მალე ეს მისთვის შიშისმომგვრელ ურჩხულად იქცა. მისი პირადი მორალი ინტელექტზე იყო დაფუძნებული და გარშემო მყოფ ადამიანთა მორალური კოდექსი იმაზე მეტადაც ურევდა გულს, ვიდრე მათივე გაბერილი არამზადობა, რადგან ეს იყო რაღაც უცნაური დომხალი ეკონომიკისა, მეტაფიზიკისა, სანტიმენტალობისა და მიმბაძველობისა.

ასეთი ბინძური დომხალის ნიმუში მან თავისივე ახლობლების წრეშიაც აღმოაჩინა. მისი და, მერიენი, ვიღაც შრომისმოყვარე ახალგაზრდა მექანიკოსს დაუახლოვდა, წარმოშობით გერმანელს, რომელსაც კარგად შეესწავლა საქმე და ველოსიპედების შემკეთებელი სახელოსნო გაეხსნა. მერე უფრო მდარე ველოსიპედების გასაღების აგენტობაც იკისრა და კარგა გვარიანად მოითბო ხელი. მერიენი მარტინს ესტუმრა, მის პატარა ოთახში, და თავისი ნიშნობის ამბავი შეატყობინა. მერე ხუმრობით ძმის ხელი აიღო და ნებზე ბედისწერის კითხვას მოჰყვა. მეორე სტუმრობაზე ჰერმან ფონ შმიდტიც მიიყვანა და მარტინმა ახალდანიშნულებს ბედნიერება მიულოცა, მაგრამ ისეთი ლაღი და მოქარგული სიტყვებით, რომ გონებაშეზღუდულ სასიძოს დიდად არ ეჭაშნიკა. ისედაც ცუდი შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაუფუჭდა, როცა მარტინმა მერიენის პირველი სტუმრობის შემდეგ შეთხზული ლექსები წაუკითხა მათ. მშვენიერი ლექსები იყო — მსუბუქი, ლაღი, სათაურად ჰქონდა — «მარჩიელი». კითხვა რომ გაათავა და დის სახეზე სიხარული ვერ შენიშნა, გაუკვირდა. სიხარული რა სათქმელია — იგი დამფრთხალი თვალებით შეჰყურებდა საქმროს დაბღვერილ, მონგრეულ სიფათს. მაგრამ თქმით არაფერი თქმულა, სტუმრები ამის შემდეგ მალე წავიდნენ და მარტინს გადაავიწყდა კიდეც ეს შემთხვევა, თუმცა მაშინ ერთბაშად გაუკვირდა: როგორ შეიძლება, რომ ქალს, თუნდაც მუშათა წრიდან გამოსულს, მიძღვნილი ლექსი არ ესიამოვნოს და არ გაეხარდეს!

რამდენიმე დღის შემდეგ მერიენი კვლავ ესტუმრა ძმას, ოღონდ ამჯერად მარტო. არც დაუხანებია, შევიდა თუ არა ოთახში, საყვედურებს მოხსნა პირი, ეს რა მიყავიო.

— რა მოგივიდა, მერიენ? — უსაყვედურა მარტინმა, — ისე ლაპარაკობ, თითქოს ნათესავების გერცხვინებოდეს, ყოველ შემთხვევაში შენი ძმისა.

— მართლაც რომ მერცხვინება, — მიახალა მერიენმა.

წყენის ცრემლებიც რომ შენიშნა დას თვალებში, მარტინი გაშრა. თუმცა, რაც არ უნდა ყოფილიყო, ეს წყენა გულწრფელი ჩანდა.

— ვერ გამიგია, ჰერმანმა რად უნდა იეჭვიანოს, მე რომ ჩემ ღვიძლ დას ლექსები მივუძღვნა.

— სულაც არ ეჭვიანობს, — ამოიზლუქუნა მერიენმა, — სირცხვილიაო, თქვა, თა... თავის მოჭრაო.

მარტინმა უნდობლად დაუსტვინა, «მარჩიელის»— ერთი ეგზემპლარი მოძებნა და გადაიკითხა.

— ვერაფერი გამიგია, — თქვა მან ბოლოს და ხელნაწერი დას გადააწოდა, — შენ თვითონ წაიკითხე და მაჩვენე ერთი, რა არის მანდ თავმოსაჭრელი... თავმოსაჭრელიო, ასე სთქვი, არა?

— რაკი ჰერმანი ამბობს, ალბათ ასეა, — უთხრა დამ, ხელნაწერი გადააგდო და ზიზღით გააყოლა თვალი, — ახლავე დახიოსო, დამაბარა. ამნაირი ცოლი რად მინდა, ასეთ ლექსებს რომ უწერენ და ისიც ქვეყნის წასაკითხად. ეს შერცხვენაოო... ვერ მოვითმენო.

— კარგი ერთი, მერიენ, ნეტა რა სისულელეს ლაპარაკობ... — დაიწყო მარტინმა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა.

მის წინ უბედური გოგო იდგა; ამაო იყო ან მისი გადარწმუნება, ან მისი საქმროსი, რაღა უნდა ექნა, დამორჩილდა, თუმცა მთელი სისულელე ამ ამბისა აშკარა იყო.

— ასე იყოს, — უთხრა მან და ხელნაწერი ნაკუწ-ნაკუწად აქცია, ნაგვის კალათში ჩაჰყარა.

თან კი გულს იმით იმშვიდებდა, რომ ლექსების ორიგინალი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ჟურნალში ჰქონდა გაგზავნილი. მერიენი და მისი ქმარი თავის დღეში ვერ გაიგებენ ამას, და კაციშვილი არ იზარალებს — არც ის, არც არავინ ქვეყნად — ეს მოხდენილი, უვნებელი ლექსები თუ დაიბეჭდება.

მერიენი ნაგვის კალათისკენ გადაიხარა და შედგა.

— შეიძლება? — შეემუდარა იგი.

მარტინმა თავი დაუქნია და უხმოდ გააყოლა თვალი, როგორ ამოკრიფა მერიენმა კალათიდან ქაღალდის ნახევები და როგორ შეინახა ჟაკეტის ჯიბეში. ეს იყო ნივთიერი დადასტურება დავალების შესრულებისა. დამ რატომღაც ლიზი ქონოლი მოაგონა, თუმცა ამას ოდნავადაც არა ჰქონია ის ცეცხლი და სასიცოცხლო ენერგია, რაც იმ მუშა გოგონას შენიშნა მარტინმა, მიუხედავად იმისა, სულ ორჯერ შეხვდა. მაგრამ მაინც ბევრი ჰქონდათ საერთო — ჩაცმულობა, მანერები... უცებ მისის მორზის სასტუმროში წარმოიდგინა ეს ორი გოგონა და უნებურად გაეღიმა. მაგრამ ეს თავშესაქცევი სურათი მალე გაქრა და მარტინს მარტოობის მძიმე სევდა მოაწვა, თავისი დაცა და მორზებიც სასტუმრო ოთახის სანიშნო სვეტები იყო იმ გზაზე, რაც მარტინს გაევლო. ისიცა და ისიც უკან ჩამოეტოვებინა მას. წიგნებს გახედა სიყვარულით. ესენი იყვნენ ახლა მისი მეგობრები, ესენი შერჩენოდნენ.

— ჰა? რა მითხარი? — ჰკითხა გაკვირვებულმა მარტინმა.

მერიენმა შეკითხვა გაიმეორა.

— რატომ არ ვმუშაობ? — ცალყბად გაეღიმა მარტინს, — ჰერმანმა დაგავალა ამისი გაგება, არა?

მერიენმა თავი გააქნია.

— ნუ ტყუი! — მკაცრად უთხრა მან და გოგონამ თავი დახარა.

— იმ შენს ჰერმანს მოახსენე, თავის საქმეს მიხედოს. მის საცოლეზე თუ დავწერე ლექსები, შეუძლია ამიკრძალოს, სხვა რამე კი არ ეკითხება. გასაგებია, მაშ, შენ ეჭვი გეპარება, რომ მე მწერალი ვერ გამოვალ, არა? — განაგრძო მან, — გზა ამებნა, არა? ოჯახს ვარცხვენ?

— მე მგონი, გაცილებით უკეთესი იქნება, სადმე მუშაობა დაიწყო, — მტკიცედ უთხრა დამ და მარტინი მიხვდა, რომ მისი სიტყვები გულწრფელი იყო, — ჰერმანიც...

— ჯანდაბას ის შენი ჰერმანი! — ხუმრობით უთხრა მარტინმა, — შენ ის მითხარი, დაქორწინებას როდის აპირებ? თან ისიც ჰკითხე იმ შენს ჰერმანს, საქორწინო საჩუქარი რომ მოგართვა, ნებას მომცემს?

მერიენი წავიდა, მარტინი კი ისევ ამ შემთხვევაზე ფიქრობდა, ერთჯერ თუ ორჯერ მწარედ ჩაეცინა: ასეა, ყველა ერთნაირია — დაც, სასიძოც, მთელი ის ხალხი, ვინც მუშათა წრეში ითვლება, რუთის კლასის წევრებიც... თავიანთი პაწაწინა ცხოვრება ერთნაირ პაწაწინა ყალიბებში აქვთ მოქცეული და ყველაფერში ერთნაირად იქცევიან... საწყლები, უბადრუკები, ერთად შეხორხლილან, ერთმანეთს თვალებში შეჰყურებენ, რომ სხვის ჭკუაზე იარონ, ისე მოიქცნენ, როგორც სხვას ესიამოვნება, საკუთარი სახე დაუკარგავთ, ნამდვილი ცხოვრება დაუთმიათ, რათა იმ სულელურ ნორმებს მისდიონ, რის მონებადაც გადაქცეულან. მარტინმა მოუხმო და ხელად თვალწინ გამოეწკაპა ნაცნობი სახეები ბერნარდ ჰიგინბოთამი, რომელსაც მისტერ ბატლერისათვის გამოედო ხელი, ჰერმან ფონ შმიდტი, რომელიც ჩარლი ჰეპგუდს გადახვეოდა. შეჰყურებდა მარტინი ამ ხალხს, ხან დაწყვილებულს, ხანაც ცალ-ცალკე, გონების თვალით ზომავდა, წონიდა, მორალისა და ინტელექტის იმ საზომით ზომავდა, რაც მას წიგნებიდან გამოეტანა. ამაოდ კითხულობდა: დიდი სულის, დიდი გონების ადამიანები სადღა არიან? არსად სჩანდნენ იმ ტლანქ, დაუდევარ და სულელი ხალხის ჯგროში, რომელსაც მისი პატარა ოთახი გაევსო. ისეთივე ზიზღი იგრძნო, რასაც ალბათ ცირცეოსი იგრძნობდა თავისი ღირსების მიმართ. როცა უკანასკნელი მოჩვენებაც გაქრა და მარტინი ფიქრებში ჩაიძირა, უცებ, მოუხმობლად და მოულოდნელად, დაგვიანებული აჩრდილი გამოეცხადა. მარტინმა ახედა და დაინახა ხულიგანი ბიჭი, რომელსაც ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, ორბორტიანი ქურთუკი ეცვა, რწევით მოდიოდა.

«შენც ასეთი ბრძანდები, ვაჟბატონო, — ჩაიქირქილა მარტინმა, — ასეთივე მორალური შეხედულებანი გქონდა, არც ცოდნა გქონია ამათზე მეტი. დამოუკიდებლად არ ფიქრობდი და არ მოქმედებდი. ტანსაცმლის მსგავსად, შეხედულებანიც მზამზარეული გეძლეოდა. იმას აკეთებდი, რაც სხვას მოეწონებოდა. შენი ბანდის ყოჩი გახდი, იმიტომ რომ ყველაზე შესაფერად შენ მიგიჩნიეს. ჩხუბობდი ხოლმე, ბანდას მეთაურობდი, განა იმიტომ, რომ ჩხუბი გიყვარდა, — არა, შენ თვითონვე ხომ იცი, რომ გძულდა კიდეც, — სხვები გაქეზებდნენ, მხარზე გითათუნებდნენ ხელს და იმიტომ, პირგაბრტყელებული იმიტომ გალახე, რომ არ გინდოდა დაგეთმო, ხოლო დათმობა იმიტომ არ გინდოდა, ჯერ ერთი, საშინელი მხეცი იყავი, და მეორეც — შენ თვითონ გჯეროდა, სხვებიც ამას ჩაგჩიჩინებდნენ: ნამდვილი ვაჟკაცი შეუბრალებელი და სისხლისმსმელი უნდა იყოსო, ცემა, გვემა და ხალხის დასახიჩრება მამაცობის ნიშანი არისო. ახლა მაინც გამოტყდი, ლეკვო, გოგონებს რად ართმევდი შენივე მეგობრებს? განა მოგწონდა ის გოგონები! არა, მხოლოდ იმიტომ, შენს მორალს სხვათა შეხედულება აყალიბებდა, იმათი ინსტინქტები კი ველური იყო, მოზვერისა, ულაყისა. ის დრო უკვე წავიდა და ნეტა ახლა რას ფიქრობ?!

თითქოს ამის პასუხადო, ზმანება ერთბაშად შეიცვალა. ფართოფარფლებიანი ქუდი და ტლანქი ქურთუკი სადა კოსტიუმმა შეცვალა. მძვინვარე და ულმობელი გამომეტყველება მოშორდა, შინაგანი სილამაზითა და ცოდნით გასხივოსნებული სინაზე და სიფაქიზე ჩაუდგა თვალებში. მარტინმა შეხედა და თავისი ახლანდელი გამომეტყველება შეიცნო: იდგა მაგიდასთან და ლამპის შუქით განათებულ წიგნს ჩასცქეროდა. სახელწოდებას დააკვირდა და «ესთეტიკის მეცნიერება» ამოიკითხა. უცებ თვითონვე შეერია ზმანებას, მაგიდას მიუჯდა და «ესთეტიკის» კითხვა დაიწყო.

თავი ოცდამეათე

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, — ისეთივე მშვენიერ დღეს, როცა ერთი წლის წინათ ისინი ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდნენ, — მარტინი რუთს თავის «სატრფიალო სონეტებს» უკითხავდა. საღამოს ხანი იყო და ისევე, როგორც მაშინ, ახლაც ამოჩემებულ გორაკზე მოეკალათებინათ. რუთი დროდადრო აღფრთოვანებული შეძახილებით შეაწყვეტინებდა ხოლმე კითხვას, ხოლო როცა ხელნაწერის უკანასკნელი ფურცელიც გადასდო მარტინმა, გაჩუმდა, რუთს დააცადა, რას იტყვისო.

რუთი კარგა ხანს სდუმდა, მერე კი ჭოჭმანით, ბორძიკით დაიწყო, გაუძნელდა მკაცრი განაჩენის სიტყვებში ჩამოყალიბება.

— მშვენიერი ლექსებია... ძალიან კარგი... მაგრამ რომ ვერ გაყიდი! ხომ მართლა ვერ გაასაღებ? მიმიხვდი, რასაც გეუბნები? — უთხრა ქალმა, თითქმის მუდარით, — შენი მწერლობა პრაქტიკული არ არის, ცხოვრებაში არ გამოგვადგება. არ მესმის რატომ, — ალბათ ხალხის მოთხოვნილება არ არის, — მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამითი საარსებო სახსარს ვერ მოიპოვებ. ცუდად კი ნუ გამიგებ, შენი ჭირიმე. გული სიხარულითა და სიამაყით მევსება — ბოლოს და ბოლოს, მეც ქალი ვარ, — როცა წარმოვიდგენ, რომ მე მომიძღვენი ესენი. მაგრამ ლექსები ხომ ვერ დაგვაქორწინებენ? გესმის, მარტინ? ხარბი და ანგარებიანი არ გეგონო, სიყვარული მალაპარაკებს, ჩვენს მომავალზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს. მთელი წელიწადი გავიდა, რაც ერთმანეთს გამოვუტყდით სიყვარულში, მაგრამ მას შემდეგ ჩვენი ქორწინება ერთი დღითაც არ მოახლოებულა. ასე პირდაპირ რომ ვლაპარაკობ, არ იფიქრო, რიდი და მოკრძალება დაუკარგავსო — რა ვქნა, გული არ მასვენებს. თუკი მართლა ვერ გაგინებებია წერისთვის თავი, ადექი და გაზეთის რედაქციაში მოეწყვე! რა მოხდება, რომ რეპორტიორი გახდე?.. თუნდაც ცოტა ხნით!

— სტილს გამიფუჭებს, — უპასუხა მარტინმა ჩავარდნილი ხმით, — შენ ვერც კი წარმოიდგენ, რამდენი ენერგია დამეხარჯა სტილის გამომუშავებაზე.

— ეს საგაზეთო ფელეტონები! — არ მოეშვა ქალი, — შენ რომ შავ სამუშაოს უწოდებ! რამდენი ფელეტონი დაგიწერია! რატომ იმათ არ გაგიფუჭეს სტილი?

— ეგ სულ სხვა საქმეა. მაგ ფელეტონებს მთელი დღის ნამდვილი მუშაობის შემდეგ წავჯღაბნი ხოლმე. რეპორტიორობა რომ დავიწყო, — დილიდან საღამომდე მაგისთანა ფელეტონებს უნდა გადავყვე, ცხოვრების მთავარ დანიშნულებად გავიხადო, მთელი დღე და მოსწრება ციბრუტივით უნდა ვიტრიალო. რეპორტიორისთვის არც წარსული არსებობს და არც მომავალი, მისი ცხოვრება წუთიერია, სტილზე ფიქრის თავი ვინ მისცა, თავისი სტილი აქვს, რეპორტიორული სტილი, რასაც ლიტერატურისა არაფერი სცხია. ჩემი სტილი ახლაღა ყალიბდება, ახლა იხვეწება და იწმინდება. ავდგე და რეპორტიორობა დავიწყო? ეს ხომ ლიტერატურულ თვითმკვლელობას დაემსგავსება! მართალი თუ გინდა, ყოველ ფელეტონს, იმ ფელეტონის ყოველ სიტყვას ნაძალადევად ვწერ, თავს ძალას ვატან, მშვენიერების განცდას შეურაცხვყოფ. გული მერევა ხოლმე. თავი ცოდვილი მგონია. და როცა უკანვე მიბრუნებენ, გულის სიღრმეში მიხარია კიდეც, თუნდაც ტანსაცმელი ამ დროს დაგირავებული მქონდეს. ახლა ამ «სატრფიალო სონეტების» წერის დროს რა ნეტარებასა ვგრძნობდი! ეს იყო შემოქმედების უკეთილშობილესი სიხარული და ნეტარება, რაც ყველაფერს ანაზღაურებს ქვეყნად.

რას წარმოიდგენდა მარტინი, რომ რუთისთვის «შემოქმედების სიხარული» ფუჭი სიტყვები იყო. თქმით, ხშირად იმეორებდა ხოლმე ამ გამოთქმას, მარტინსაც პირველად მისგან გაეგონა. ბევრი წაეკითხა ამაზე, უნივერსიტეტში ესწავლა, როცა ხელოვნების ბაკალავრის წოდებას იცავდა, მაშინაც ეხსენებინა... მაგრამ თავად არა ჰქონია დამოუკიდებელი აზრი, შემოქმედების ფანტაზია... სხვისი განმეორება შეეძლო მხოლოდ, სხვის ქნარზე თამაში.

— იქნებ რედაქტორი მართალიც იყო, «ზღვის სიმღერა» რომ გაგისწორა, — უთხრა რუთმა, — იმ კაცმა ალბათ იცის თავისი საქმე, აბა რის რედაქტორია!

— აჰა, ჯიუტი მტკიცება იმისა, რომ დაკანონებული აზრი ყოველთვის მართალია, — მგზნებარედ შესძახა მარტინმა, იგი გააფიცხა რედაქტორთა ჯილაგის გახსენებამ, — რაც უკვე დაკანონებულია, ის არა მარტო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, არამედ საუკეთესოდაც. ფაქტი რისიმე არსებობისა, და რაც მთავარია, ამას კარგად დაუკვირდი, არა მარტო განსაზღვრულ მომენტსა და პირობებში, არამედ ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში. ასე მიაჩნია ჩვეულებრივ ადამიანს. და ეს მისი უვიცობის წყალობით; ეს, არც მეტი და არც ნაკლები, ზუსტად ის გონებრივი პროცესია, რაც ვაინინგერმა აღწერა: ისინი დარწმუნებულები არიან, ვაზროვნებთო, და ეს აზროვნების უნარს მოკლებული ხალხი იმ მცირერიცხოვანი ადამიანების ბედს განაგებს, ვინც ნამდვილად აზროვნებს.

მარტინი უცებ შეჩერდა, ერთბაშად გაჰკრა — ისეთ რამეებზე ვლაპარაკობ, რასაც რუთის გონება ვერ მისწვდებაო.

— მე არ ვიცი, ვინ არის ეს ვაინინგერი, — შეესიტყვა რუთი, — ისე საშინლად ანზოგადებ ხოლმე მოვლენებს, რომ შენს აზრებსაც ვეღარ ვწვდები. მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ რედაქტორი...

— მე კიდე გეუბნები, — შეაწყვეტინა მარტინმა, — რომ რედაქტორების დიდი უმრავლესობა, მთელი ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი, ხელმოცარულები არიან. თავის დროზე მწერლობა უცდიათ და არაფერი გამოსვლიათ. არ გეგონოს, თითქოს შემოქმედების დიდ სიხარულს თავისივე ნებით ამჯობინეს გულგამაწვრილებელი სარედაქციო მუშაობა და გამუდმებით მონურ შიშში ყოფნა — როგორ გავრცელდება ეს ჩვენი გამოცემა ან გაქნილ გამომცემლებს რა მოვუხერხოო. არა, სცადეს უკვე წერა და ჩაფლავდნენ. საშინელი პარადოქსიც ეგ არის სწორედ. მწერლური დიდებისაკენ მიმავალ ყველა გზას ეს ქოფაკები გუშაგობენ, მწერლობაში ხელმოცარულები. რედაქტორები, რედაქტორის მოადგილეები და თანაშემწეები, რეცენზენტები, გამომცემლები... უმრავლესობა მათგანი... არა, თითქმის ყველა — ხელმოცარული მწერლები არიან. ერთ დროს უცდიათ წერა, მაგრამ ჩაფლავებულან. საცა სამართალია, ქვეყნად ყველაზე უფრო შეუფერებელნი ამ საქმისათვის ეგენი უნდა იყვნენ, მაგრამ სწორედ ეგენი წყვეტენ ნაწარმოების ბედს, რა დაიბეჭდოს და რა არ დაიბეჭდოს, — ეგენი, ეს უნიჭო და საკუთარ აზრს მოკლებული ხალხი სხვათა ნიჭისა და აზრის შემფასებლად გვევლინებიან. ამათ მოჰყვება კრიტიკოსთა არმია — ისეთივე ხელმოცარულები. ნუ მეტყვით, თითქოს თავის დღეში არ ეოცნებოთ და არ ეცადოთ წერა — სცადეს, მაგრამ ჩაფლავდნენ. თევზის ქონი ისე არ აგირევს გულს, როგორც მაგათი კრიტიკული წერილი. მაგრამ შენ ხომ იცი ჩემი შეხედულება ვაი-კრიტიკოსებსა და რეცენზენტებზე. დიდი კრიტიკოსიც გამოერევა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ისევე იშვიათად, როგორც კომეტა. მწერლობამ თუ არ გამიმართლა, მეც რედაქტორობას მოვკიდებ ხელს. კარაქიანი პური და ტკბილი ჩაი მაინც არ მომაკლდება.

მაგრამ რუთის მკვირცხლი გონება ხელად ჩაწვდა წინააღმდეგობასა და უხერხულობას თავისი შეყვარებულის მსჯელობაში.

— თუკი მართლა ასეა საქმე, თუკი ყველა კარი დახშულია, როგორღა მოხდა, მარტინ, რომ დიდი მწერლები მაინც გამოჩნდნენ?

— შეუძლებელი გააკეთეს, — მიუგო მარტინმა, ისეთი ელვარე და მოგიზგიზე— ნაწარმოებები შექმნეს, რომ მოწინააღმდეგეები ფერფლად აქციეს. სასწაულმა უშველათ, რაც ათასში ერთს თუ ხვდება წილად. კარლაილის გოლიათებსა ჰგავდნენ და მათი დამარცხება შეუძლებელი გამოდგა. მეც უნდა მივაღწიო ამას, მეც უნდა გავაკეთო შეუძლებელი.

— მაგრამ თუ დამარცხდი? ჩემზე რატომ აღარ ფიქრობ, მარტინ?

— თუ დავმარცხდი? — ისე შეხედა რუთს, თითქოს იმას ყოვლად წარმოუდგენელი რამ ეთქვას. მერე ეშმაკურად გაუბრწყინდა თვალები, — თუ დავმარცხდი, რედაქტორი გავხდები, შენ კი რედაქტორის ცოლი იქნები.

ამ ხუმრობაზე რუთმა მომხიბლავად გამობუსხა ტუჩები და კოპი შეიკრა, მარტინმა სწრაფად მოხვია ხელი და კოცნით გაუხსნა შუბლი.

— კარგი, გეყოფა, — გაუწყრა ქალი და ნებისყოფის დაძაბვით სცადა დასხლტომოდა, მისი ძალის მომხიბვლელი ცთუნებისაგან გათავისუფლებულიყო, — დედასა და მამასთანაც მქონდა ლაპარაკი. ჩემს დღეში ამისთანა ურჩობა არ გამიწევია. ვაიძულე, რომ მოესმინათ ჩემთვის. თავხედობა გამოვიჩინე. შენი წინააღმდეგნი არიან. მაგრამ იმდენი ვარწმუნე, იმდენს ვეჩიჩინე, უიმისობა არ შემიძლია-მეთქი, რომ ბოლოს მამა დავითანხმე — შენი სურვილიც თუ იქნება, შეგიძლია მასთან დაიწყო კანტორაში მუშაობა. ის კი არადა, თავისით შემომთავაზა, ახლავე დავუნიშნავ იმდენ ჯამაგირს, რომ იქორწინოთ და სადმე პატარა კოტეჯში იცხოვროთო. ხომ დიდი სულგრძელობა გამოიჩინა, ჰა, რას იტყვი?

იმედის გაცრუების ყრუ ტკივილი იგრძნო მარტინმა გულში, უნებურად წაუვიდა ხელი ჯიბისაკენ თუთუნისა და გასახვევი ქაღალდის ამოსაღებად (რასაც იგი უკვე აღარ ატარებდა) და რაღაც გაურკვევლად წაიდუდუნა.

რუთი კი განაგრძობდა:

— მართალი თუ გინდა, და საწყენად ნურც მიიღებ, დაუფარავად უნდა გითხრა, რა აზრის არის შენზე მამაჩემი, — შენი რადიკალური შეხედულებებიც არ მოსდის ჭკუაში, თან ზარმაციც ჰგონიხარ. მე ხომ ვიცი, რომ ეს ასე არ არის, მე ხომ ვიცი, რამდენს მუშაობ...

არა, ამანაც არ იცის, მე რამდენს ვმუშაობ, გაიფიქრა მარტინმა.

— შენ როგორღა ფიქრობ? — შეეკითხა იგი, — მართლა რადიკალურია ჩემი შეხედულებები?

თვალი თვალში გაუყარა და პასუხს დაელოდა.

— მე თუ მკითხავ... ძალიან არეულია, — უპასუხა რუთმა.

ამით ყველაფერი ითქვა მარტინისათვის და ცხოვრების უფერულებამ ისე ერთბაშად ჩასწყვიტა გული, რომ ფრთხილად შეპარული წინადადება სამსახურში მოწყობის თაობაზე სულ გადაავიწყდა. ქალი კი, რაკიღა ერთხელ გაბედა და უთხრა, მარჯვე შემთხვევას დაელოდა, რათა კიდევ ჩამოეგდო სიტყვა ამ საგანზე.

დიდი ლოდინი არ დაჭირვებია. თავის მხრივ მარტინსაც ჰქონდა შეკითხვა რუთთან. სურდა გამოეცადა, რამდენად მტკიცე რწმენა ჰქონდა რუთს მის მიმართ. ერთ კვირაში ორივემ მიიღო პასუხი თავთავის შეკითხვაზე. მარტინმა «ზის სირცხვილი» წაუკითხა რუთს და ამით დააჩქარა პასუხის მიღება.

— რატომ არ გინდა, რეპორტიორი გახდე? — ჰკითხა რუთმა, როცა მარტინმა კითხვა დაამთავრა, — ისე გიყვარს წერა, რომ დარწმუნებული ვარ, გაგიმართლებს: კარგი ჟურნალისტი გახდები, სახელს მოიხვეჭ. რამდენი სპეციალური კორესპონდენტია. ფულსაც ბლომად აკეთებენ და მთელი ქვეყანა მათი ასპარეზია. სად არ აგზავნიან. აფრიკის გულში, მაგალითად, სტენლის მსგავსად, რომის პაპთან ინტერვიუს ჩამოსართმევად, ტიბეტის მიუვალი კუთხეების გამოსაკვლევად.

— მაშ, ჩემი სტატია არ მოგეწონა? — ჰკითხა მარტინმა, — შენ დარწმუნებული ხარ, რომ ჟურნალისტობას შევძლებ, მწერლობა კი ჩემი საქმე არ არის!

— არა, არა. ძალიან მომწონს, მშვენივრად იკითხება, მაგრამ ვაითუ შენი მკითხველებისათვის გაუგებარი აღმოჩნდეს. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, გაუგებარია, დიდებულად ჟღერს, მაგრამ გაგებით ვერ გავიგე. შენი მეცნიერული ტერმინები ჩემთვის მიუწვდომელია. უკიდურესობა გიყვარს, ძვირფასო, და რაც შენთვის გასაგებია, ჩემთვის იქნებ მიუწვდომელი აღმოჩნდეს.

— ალბათ ფილოსოფიურმა ტერმინებმა გაგაწვალა, — ამის თქმაღა მოახერხა მარტინმა.

კითხვა, ის იყო, დაამთავრა და ჯერ აგზნება არ დაცხრომოდა, ასეთმა მსჯელობამ კი გააოგნა.

— იქნებ ცუდად იყოს დაწერილი, მაგას მნიშვნელობა არა აქვს, — არ ეშვებოდა იგი, — სხვა არაფერი მოგეწონა?.. აზრი არ მოგეწონა?

— არა. ისე არა ჰგავს იმას, რაც მე წამიკითხავს... მეტერლინგი წავიკითხე და გავიგე კიდეც...

— მისი მისტიციზმი... გაიგე? — წამოენთო მარტინი.

— გავიგე... ამ შენს სტატიას კი, რაც მის წინააღმდეგ არის მიმართული, ვერაფერი გავუგე. ორიგინალობა, რაღა თქმა უნდა...

მარტინი მოუთმენლად შეიშმუშნა და სათქმელი შეაწყვეტინა რუთს, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. ახლაღა ჩაწვდა უცებ რუთის სიტყვების შინაარსს.

— მწერლობა ხომ, ბოლოს და ბოლოს, თავის შექცევასავით იყო შენთვის, — განაგრძობდა რუთი, — კარგა დიდ ხანს გაგრძელდა ეს თავშექცევა. დროა, სერიოზულად მოეკიდო ცხოვრებას — ჩვენს ცხოვრებას, მარტინ! აქამდე მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობდი.

— შენა გსურს, სამსახური დავიწყო?

— ჰო. მამაჩემი გთავაზობს...

— ვიცი, გავიგე, — შეაწყვეტინა მარტინმა, — მე ახლა ის მინდა გავიგო, — კიდევა გაქვს ჩემი რწმენა თუ დაკარგე?

რუთმა ხმისამოუღებლად მოუჭირა ხელზე ხელი, თვალები დაებინდა.

— მხოლოდ შენი მწერლობის რწმენა დავკარგე, ძვირფასო, — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა რუთმა.

— რამდენი რამე წაგიკითხავს ჩემი, — ულმობელი შეუპოვრობით განაგრძობდა ჭაბუკი, — რა აზრისა ხარ? სულ უიმედოა? სხვებისას ვერაფრით ვერ შეედრება?

— სხვები ჰყიდიან თავიანთ ნაწერებს, შენ კი... ვერ ჰყიდი.

— ეს მიკიბულ-მოკიბული პასუხია. პირდაპირ მიპასუხე — როგორა გგონია, მწერლობა ჩემი მოწოდება არ არის?

— რახან ასეა, გიპასუხებ, — თავს ძალა დაატანა რუთმა, — არა მგონია, მწერლობაში რამე გამოგივიდეს. მაპატიე, ძვირფასო. თვითონვე მაიძულე ამისი თქმა. შენც ხომ იცი, ლიტერატურისა მე ცოტა უფრო მეტი გამეგება.

— ვიცი, შენ ხელოვნების ბაკალავრი ხარ, — ჩაფიქრებით წარმოთქვა მარტინმა, — მეტი უნდა იცოდე... მაგრამ სათქმელი კიდევ დარჩა, — განაგრძო მან ორივესათვის მტანჯველი პაუზის შემდეგ, — მე ვიცი, რა ძალაცა მაქვს. ჩემსავით კაციშვილმა არ იცის ეს. ვგრძნობ, რომ გავიმარჯვებ. არ დავმარცხდები. გულში მინთია სათქმელი, რაც ლექსებში, მოთხრობებში და სტატიებში ჰპოვებს გამოსახულებას. მაგრამ შენ არ გავალებ, უსაბუთოდ იწამე-მეთქი. ნურც ჩემი გჯერა, ნურც ჩემი მწერლობისა. იმასღა გთხოვ, რომ გიყვარდე და ჩემი სიყვარულისა გჯეროდეს. ერთი წლის წინ გთხოვე, ორი წელიწადი მადროვე-მეთქი. ერთი წელიწადი უკვე გავიდა, და ღრმად მჯერა, ჩემს სულსა და სინდისს დავდებ საწინდრად, რომ მეორე წლის გასვლამდე უსათუოდ გამიმართლებს. თუ გახსოვს, შენვე მითხარი ერთხელ — მწერლობა თუ გინდა, ჯერ კარგად უნდა ჩაუჯდე და ისწავლოო. მეც ხომ ვისწავლე. ვჩქარობდი, მივისწრაფოდი. ფინიშთან შენ მეგულებოდი და ერთხელაც არ შევმკრთალვარ. დამშვიდებული ძილის გემოც კი გადამავიწყდა. მილიონი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მშვიდად მეძინა და კარგად გამოძინებული ვიღვიძებდი ხოლმე. ახლა მაღვიძარა საათი მაღვიძებს. წინასწარვე ვაყენებ ხოლმე საათის ზარს, იმის მიხედვით, თუ რა დროს ვიძინებ. უკანასკნელი ჩემი შეგნებული მოქმედება ესღაა, და ლამპის ჩაქრობა. ძილი რომ მომერევა, მძიმედ საკითხავ წიგნს უფრო მსუბუქით შევცვლი ხოლმე. მაინც თუ ჩამომეძინა, თავში მუშტებს წავიშენ, ძილს ვიკრთობ. ერთხელ წავიკითხე — როგორ ეშინოდა კაცს ძილისა. კიპლინგის მოთხრობაა. დეზები მოიწყო ამ კაცმა ლოგინში — ძილი რომ წაართმევდა თავს, უჩხვლეტდა და გააღვიძებდა. მეც ასე გავაკეთე. გადავწყვიტე, შუაღამემდე არ დამეძინა, პირველ საათამდე, ორამდე, სამამდე. დეზები არ მაძინებდა. რამდენიმე თვეს ლოგინიდან არ ვიშორებდი ამ დეზებს. იმას მივაღწიე, რომ ხუთნახევარი საათის ძილი ფუფუნება მგონია. ოთხი საათიღა მძინავს. ძილი მენატრება. ზოგჯერ ისე მომერევა ძილი, რომ ტვინი მილაყდება. ლამის სამუდამო ძილი და მოსვენება ვინატრო. ზოგჯერ ლონგფელოს სტრიქონები მომაგონდება.

საამოდ ისმის ზღვის მძიმე ფშვინვა —
დაწყნარებულა და მშვიდად ძინავს.
ერთი ნაბიჯიც გადადგი წინა —
ცის ნათელს მეტად ვეღარ იხილავ.

ეს სისულელეა, რაღა თქმა უნდა, ნერვულობისა და გადაღლილობის ბრალია. მაგრამ ერთი კითხვა მაინც უნდა დაისვას: რისთვის ვიღვწოდი ამდენს? შენთვის. რათა შემემოკლებინა სწავლის დრო. წარმატება მომეახლოებინა. ახლა სწავლის პერიოდი დამთავრებულია. მე უკვე ვიცი, რა იარაღის პატრონი ვარ. მზადა ვარ დავიფიცო, რომ ყოველთვიურად იმაზე მეტს ვსწავლობ, რასაც სტუდენტი მთელი წლის განმავლობაში მოახერხებს. ეს ასეა, მოურიდებლად გეუბნები. არც გეტყოდი, დაუოკებელი სურვილი რომ არა მქონდეს, გამიგო. კვეხნაში ნუ ჩამომართმევ. წაკითხული წიგნების მიხედვით ვზომავ ყველაფერს. შენი ძმები ჩემთან შედარებით უვიცი ბარბაროსები არიან, არც კი მოელანდებათ ის ცოდნა, რაც მე იმათი ტკბილი ძილის დროს შევიძინე. იყო დრო, სახელის მოხვეჭაზე ვოცნებობდი, ახლა სახელი აღარაფრად მეპიტნავება. ჩემი ერთადერთი სურვილი შენა ხარ. არც საჭმელს დავეძებ, არც ჩასაცმელს, არც სახელს, ოღონდ შენა მყავდე. საოცნებოდა მაქვს გამხდარი, თავი მკერდზე მოგასვენო და დავიძინო. ერთი წელიც და ეს ოცნება ამისრულდება.

მარტინის ძალის მომხიბლავი ცთუნება კვლავ ტალღასავით მოასკდა რუთს და რაც უფრო მეტად ცდილობდა ამ ცთუნებისაგან თავის დაღწევას, მით უფრო ძლიერად იზიდავდა იგი. ეს მაცთუნებელი ძალა, რომელიც ყოველთვის მოსჩქეფდა ხოლმე მარტინის სხეულიდან, ახლა მის მღელვარე ხმაშიაც ჩაღვრილიყო, მის ანთებულ თვალებში, სიცოცხლის დიდი ნერგია გონების დიდ სიძლიერეს გადაწნოდა და ზვირთებივით შემოხვეოდა და უცებ, მხოლოდ ერთი წამით, რუთის შეხედულებათა ჯიუტი სიმტკიცე გაიბზარა და ამ ბზარში მან თვალი ჰკიდა ნამდვილ მარტინ იდენს, დიდებულსა და უძლეველს. და როგორც მხეცების მწვრთნელებს გაჰკენწლავთ ხოლმე წამიერი ეჭვი, მასაც ერთი წამით მოეჩვენა, რომ ძალა არ ეყოფოდა ამ უდრეკი სულის მოსათვინიერებლად.

— ახლა სხვა კუთხით შევხედოთ საქმეს, — განაგრძობდა მარტინი, — შენ მე გიყვარვარ. მაგრამ რად გიყვარვარ? სწორედ ის უხილავი ჯადო, რაც მე წერას მაიძულებს, შენც ჩემს სიყვარულს აღგიძრავს. იმიტომ გიყვარვარ, რომ რაღაცნაირად სხვებისაგან განვსხვავდები, სხვა მამაკაცებისაგან, რომელთაც შენ იცნობ, და რომლებიც შეიძლებოდა შეგყვარებოდა კიდეც. მე კანტორისათვის, ბუხჰალტერიისათვის და საქმოსნური გაძრომა-გამოძრომისათვის არა ვარ გაჩენილი. მაინც თუ მაიძულებ ამას, სხვებივით მაფუსფუსებ, რასაც ისინი აკეთებენ, იმასვე გამაკეთებინებ, იმავე ჰაერით მასუნთქებ, რითაც ისინი სუნთქავენ, მათივე შეხედულებებს ჩამიდებ თავში, ამით ხომ განსხვავებასაც მოშლი და გაანადგურებ, მე გამანადგურებ, იმას გაანადგურებ, რაც შენ გიყვარს. მე მწერლობით ვსუნთქავ და ვსულდგმულობ. ჩვეულებრივი ბრიყვი რომ ვიყო, მწერლობას არც ვინდომებდი, არც შენ ინდომებდი ჩემს ცოლობას.

— რატომ გავიწყდება, — შეაწყვეტინა რუთმა, რომლის ზერელე, მაგრამ მკვირცხლმა გონებამ მაშინვე პარალელი გაავლო, — აკი არსებობდნენ ექსცენტრული გამომგონებლები, რომლებიც მთელი თავისი დღე და მოსწრება რაღაც მარადიულ ძრავას უკირკიტებდნენ და ამასობაში ცოლ-შვილს შიმშილით ჰკლავდნენ. ალბათ, ცოლებსაც უყვარდათ ეს ხალხი, მათ ტანჯვას იზიარებდნენ, მაგრამ არა გიჟურად აკვიატებული მარადიული ძრავის გამო, არამედ იმ ძრავის მიუხედავად.

— მართალია, — მიუგო მარტინმა, — მაგრამ ისეთი გამომგონებლებიც ხომ იყვნენ, რომელთაც არავითარი გიჟური აკვიატება არა ჰქონიათ, პრაქტიკულ და სასარგებლო გამოგონებას უკირკიტებდნენ და შიმშილობდნენ! ზოგჯერ, როგორც გადმოგვცემენ, წარმატებისთვისაც მიუღწევიათ. მე ხომ შეუძლებელს არაფერს...

— აკი სთქვი, შეუძლებელი უნდა გავაკეთოო, — ჩაურთო რუთმა.

— ეგ ხომ ხატოვანი გამოთქმა იყო. მე მხოლოდ იმას ვცდილობ, რაც ჩემამდე ბევრს გაუკეთებია — ვწერო და წერით ვირჩინო თავი.

რუთის დუმილმა მარტინი გააღიზიანა.

— მაშ, ჩემი ოცნებაც ისეთივე ქიმერაა, როგორც ის მარადიული ძრავა?

პასუხი რუთის ხელმა აგრძნობინა — დედა რომ შეიცოდებს ხოლმე გაკერპებულ შვილს და მიუალერსებს, რუთმაც ისე ნაზად მოუჭირა ხელი. მისთვის მარტინი ახლა მართლაც გაკერპებული ბავშვი იყო, რომელსაც გიჟური რაღაც აეკვიატებინა და შეუძლებლის გაკეთებას ლამობდა.

დასასრულ, რუთმა ერთხელ კიდევ მოაგონა მარტინს, როგორ ამრეზით უცქერდნენ მისტერ და მისის მორზები მას.

— მაგრამ შენ ხომ გიყვარვარ?

— მიყვარხარ! მიყვარხარ! — შესძახა ქალმა.

— მეც მიყვარხარ, იმათ რას დავეძებ, რას დამაკლებენ! — მის ხმას გამარჯვების რწმენა მიეცა, — როცა შენი სიყვარულისა მჯერა, იმათი მტრობა აღარ მაშინებს. ყველაფერი მოირყევა ამ ქვეყანაზე, სიყვარული კი არა. სიყვარულს გზას ვერ აუბნევ, თუკი ჭეშმარიტი სიყვარულია ეს და არა უდღეური, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბორძიკობს და სულს ღაფავს ხოლმე.

თავი ოცდამეთერთმეტე

მარტინი ბროდვეიზე შემთხვევით გერტრუდას შეხვდა, თავის დას, — მერე გამოირკვა, რომ ეს იყო ძალიან ბედნიერი შემთხვევა, თუმცა საკმაოდ უხერხული. კუთხეში იდგა, ტრამვაის ელოდებოდა, როცა ძმა დაინახა; მაშინვე თვალში მოხვდა მისი ჩამომხმარ-გაწამებული სახე და განწირული, შეწუხებული თვალები. მართლაც განწირული და შეწუხებული იყო. დამგირავებელთან ყოფილიყო — იქნებ ველოსიპედში დამატებითი სესხი მომცევო, და ამაო ღიჭინის შემდეგ გაწბილებული ბრუნდებოდა. უკვე შემოდგომის წვიმები დაიწყო და მარტინს ველოსიპედი დაეგირავებინა, შავი კოსტიუმი კი ჯერჯერობით შენარჩუნებული ჰქონდა.

— შავი კოსტიუმი ხომ გაქვს?! — მიმართა მევახშემ, რომელმაც საკუთარი ხუთი თითივით იცოდა მარტინის მთელი ავლა-დიდება, — იქნებ იმ ურიასთან დააგირავე, ლიპკასთან?.. თუ ასეა...

მუქარით შეხედა, და მარტინმაც დააშურა პასუხი:

— აჰ, არა, არა, არ დამიგირავებია, მაგრამ ისეთი საქმე მაქვს, რომ უიმკოსტიუმოდ არ შემიძლია.

— კარგი, — მოლბა მევახშე, — მაგრამ მეც უიმისოდ ფულს ვეღარ მოგცემ. კი არ ვთამაშობ!

— ეგ ველოსიპედი, სულ ცოტა, ორმოცი დოლარი მაინც ღირს, — არ მოეშვა მარტინი, — შენ კი შვიდი დოლარის მეტი ვერ გამოიმეტე. თუმცა არა, შვიდიც არა — ექვსი დოლარი და ხუთი პენი. პროცენტებს ხომ წინასწარ იღებ!

— კიდევ თუ გინდა ფული, კოსტიუმი უნდა მოიტანო! — მოკლედ მოუჭრა მევახშემ და მარტინიც იძულებული გახდა სწრაფად გამომძვრალიყო იმ პატარა სოროდან და, ის იყო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ჭაბუკი დამ დაინახა. გული მოეწურა.

შეხვედრა ძლივს მოასწრეს, რომ ტელეგრაფ-ავენიუსკენ მიმავალი ტრამვაიც ჩამოდგა და მაღაზიებიდან გამოსული ხალხი მიაწყდა. მარტინმა ხელი მიაშველა მისის ჰიგინბოთამს და ისიც მიხვდა, რომ ძმა ტრამვაით წასვლას არ აპირებდა. დამ საფეხურიდან გადმოხედა და გამოღამებული თვალების დანახვაზე კვლავ მოეწურა გული.

— შენ არ მოდიხარ?

და თვითონაც ჩამოვიდა, გვერდში ამოუდგა ძმას.

— მე ფეხით დავდივარ ხოლმე... უფრო სასარგებლოა, — განუმარტა ძმამ.

— ცოტაზე გამოგაცილებ, — უთხრა გერტრუდამ, — იქნებ მომიხდეს. რაღაც ვერა ვარ კარგად ამ ბოლო დროს.

მარტინმა დას გადახედა — ერთიანად ჩამობრანძულიყო, ბეჭებში მოკუზულიყო, ავადმყოფურად გასიებულიყო, გაწამებული სახე ნაოჭებს დაეფარა, ფეხებს მძიმედ მოაფრატუნებდა — ლაღად მოსიარულე ქალის კარიკატურა გეგონებოდა.

— ბარემ აქვე დაუცადე ტრამვაის, — უთხრა მარტინმა, როცა შემდეგ გაჩერებას მიადგნენ.

— ვაი, მართლაც დავიღალე! — თქვა სუნთქვაშეკრულმა გერტრუდამ, — მაგრამ მაგ შენს ფეხსაცმელებს ისე გათხელებია ლანჩები, რომ ჩრდილო ოუკლენდამდე ვერც კი ჩაგიყვანს, ჯობს შენც ტრამვაით წამოხვიდე.

— ამაზე უკეთესი ფეხსაცმელებიც მაქვს, — იყო პასუხი.

— ხვალ გამოიარე, ერთად ვისადილოთ, — ერთბაშად შეცვალა საუბრის თემა ქალმა, — ბერნარდი შინ არ იქნება. სან ლეანდროში მიდის საქმეზე.

მარტინმა თავი გააქნია, მაგრამ სიხარბის ნაპერწკალი, რამაც სადილის ხსენებაზე გაიკვესა თვალებში, მაინც ვერ დამალა.

— შენ პენიანიც არა გაქვს ჯიბეში, მარტ, და ფეხით იმიტომ დადიხარ... სასარგებლოა — ზიზღით ჩაქირქილება მოინდომა, მაგრამ წაჩიფჩიფებაღა გამოუვიდა. — დამაცა ერთი...

ჩანთაში ჩაჰყო ხელი და ხუთდოლარიანი ამოიღო, მარტინს ჩასჩარა მუჭში.

— შენი დაბადების დღე სულ გადამავიწყდა, მარტ, — ძლივს წამოიკნავლა მან.

მარტინმა თავისდაუნებურად ჩაბღუჯა ოქროს მონეტა და მაშინვე გაჰკრა თავში, რომ არ უნდა მიეღო, მტანჯველმა ყოყმანმა მოიცვა. ეს ოქროს მონეტა საჭმელს, სიცოცხლეს, სხეულისა და ტვინის გადახალისებას ნიშნავდა, წერისათვის ძალის მოკრებას... ვინ იცის — იქნებ ისეთი რამე დააწერინოს, რაც თავისთავად ბევრ ამისთანა ოქროს მოაპოვებინებს. უცებ თვალწინ წარმოუდგა ორი ახალი ხელნაწერი, ორი სტატია, რომლებიც მაგიდის ქვეშ ეყარა; მარკის ფული არა ჰქონდა, რომ გაეგზავნა. სახელწოდებები ნათლად წარმოუდგა გონებაში: «იდუმალებათა დიდი ქურუმები» და «ცილამაზის აკვანი». ჯერ არსად გაეგზავნა ეს სტატიები, მაგრამ ყველაზე უკეთესები იყო, რაც კი აქამდე დაეწერა. მარკები რომ ჰქონოდა! კვლავ განუმტკიცდა გამარჯვების რწმენა და უფრო თამამად მიაღებინა ის გადაწყვეტილება, რაც შიმშილით დაიწყო: ფული ჯიბეში ჩააცურა.

— გადაგიხდი, გერტრუდა, ასწილად გადაგიხდი, — სხაპასხუპით წარმოთქვა და ყელში მტკივნეულად გაეჩხირა რაღაც, თვალებში ცრემლი მოადგა, — დაიხსომე ჩემი სიტყვები! — შესძახა მან მტკიცედ, — ერთი წელი არც კი დამჭირდება, რომ ასი ამისთანა ოქრო მოგიტანო. თუ გინდა, ნუ დაიჯერებ. მოვა დრო და თვითონვე დაინახავ.

არც დაუჯერებია გერტრუდას. და ამ უნდობლობის გამო თავი უხერხულად იგრძნო, სწრაფადვე სცადა მდგომარეობის გამოსწორება და უთხრა:

— ვიცი, რომ შიმშილობ, მარტ. ზედვე გეტყობა. ჩემთან გამოიარე ხოლმე საჭმელად. ბავშვს გამოგიგზავნი, შეგატყობინებ, როდის არ იქნება შინ ბერნარდი. ისე კი, მარტ...

მარტინმა დააცადა, თუმცა წინასწარვე იცოდა, რა უნდა ეთქვა, კარგად ხედავდა დის ფიქრთა დენას.

— აღარ არის დრო, მუშაობა დაიწყო?

— იმედი არა გაქვს, რომ მივაღწევ რამეს, არა?

გერტრუდამ თავი გააქნია.

— აღარავის შერჩა, გერტრუდა, ჩემი რწმენა, ჩემს გარდა, — მგზნებარე შეუპოვრობით თქვა მან, — მაგრამ იცოდე, რომ კარგი რამეები დავწერე და ბლომადაც. ადრე თუ გვიან, გავყიდი.

— რატომ გგონია, რომ კარგი რამე დაწერე?

— იმიტომ, რომ... — სათქმელი გაუწყდა, ერთბაშად გაუცოცხლდა ტვინში, რაც კი რამ იცოდა ლიტერატურაზე, ლიტერატურის ისტორიაზე, იგრძნო, რომ მაინც ვერ

გააგებინებდა, რას ემყარებოდა მისი რწმენა, — იმიტომ, რომ, რაც კი რამ ჟურნალებში იბეჭდება, ორმოცდაათ პროცენტს სჯობს ჩემი ნაწერები.

— ნეტა, ჭკუას დაუხმობდე, მარტ, — რბილად შეაპარა გერტრუდამ, — თუმცა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რა სენიცა სჭირდა ძმას, — ნეტა, ჭკუას დაუხმობდე, — გაიმეორა, — ხვალ სადილად გამოიარე.

დას ტრამვაიში ასვლა უშველა, სასწრაფოდ გამობრუნდა, ფოსტაში შევიდა და იმ ხუთი დოლარიდან სამი დოლარის მარკები იყიდა. უფრო მოგვიანებით, როცა მორზებთან მიდიოდა, კვლავ შეიარა ფოსტაში და კარგა მძიმე კონვერტები დაგზავნა, სამი ორ-ორ ცენტიანი მარკაღა დარჩა.

ეს საღამო ღირსშესანიშნავი გამოდგა მარტინისათვის, რადგან ნასადილევს აქ როს ბრისენდენს შეხვდა. როგორ მოხვდა ეს კაცი მორზებთან, ვისი მეგობარი იყო, რა ნაცნობობამ მოიყვანა, მარტინმა არ იცოდა. არც დაინტერესებულა, რუთისთვის ეკითხა: ქარაფშუტა, უნდილი ადამიანი ეჩვენა. ერთი საათის შემდეგ კი გადაწყვიტა, რომ ყველა სიკეთესთან ერთად, ხეპრეც ყოფილაო. უბოდიშოდ დააბოტებდა ოთახიდან ოთახში, სურათებს შეჰყურებდა და ყველა წიგნსა თუ ჟურნალში, რასაც მაგიდაზე თუ თაროზე ნახავდა, ცხვირს ჩრიდა ხოლმე. ბოლოს, მოურიდებლად გაემიჯნა ყველას ეს უცხო კაცი, არხეინად მოკალათდა სავარძელში, ჯიბიდან რაღაც წიგნი ამოიღო და თავი შიგ ჩარგო. თან კითხულობდა, თან, დროდადრო, თითებს თმაში შეაცურებდა და მოუალერსებდა ხოლმე. მარტინს აღარც მიუქცევია იმ საღამოს მისთვის ყურადღება, ის შენიშნა მხოლოდ, რომ რაღაცას ლაყბობდა ახალგაზრდა ქალებთან, რომლებიც აშკარად ეტყობოდა, გატაცებით უსმენდნენ.

შინ რომ ბრუნდებოდა მარტინი, გზაში შემთხვევით ბრისენდენს წამოეწია.

— აჰ, თქვენა ხართ! — შესძახა მან.

ბრისენდენს დიდი თავაზიანობა არ გამოუჩენია, რაღაც უხალისოდ ამოიდუდღუნა, თუმცა გვერდით მაინც გაჰყვა. მარტინს მეტად აღარ უცდია საუბრის გაბმა და რამდენიმე კვარტალი უხმოდ გაიარეს.

— გაბღენძილი ბებერი ვირი!

ისე მოულოდნელი იყო ეს ღვარძლით წარმოთქმული სიტყვები, რომ მარტინი სახტად დარჩა. ცოტათი გაართო კიდეც, მაგრამ თან კიდევ უფრო მეტი ანტიპატია იგრძნო თანამოსაუბრის მიმართ.

— ნეტა, რას დადიხართ მაგისთანა ადგილებში? — ისევ მოულოდნელად წამოისროლა ბრისენდენმა, როცა ერთი კვარტალი კიდევ გაიარეს უხმოდ.

— თქვენ რატომღა დადიხართ?

— ეშმაკმა დალახვროს, მე თვითონ არ ვიცი! — იყო პასუხი, — ყოველ შემთხვევაში, ეს ერთი სისულელე მომივიდა. დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია, სადმე ხომ უნდა გავატარო. წავიდეთ, დავლიოთ.

— წავიდეთ, — მიუგო მარტინმა.

და იმავე წუთში შეწუხდა, ასე ხელად როგორ დავეთანხმეო. შინ რამდენიმე საათის «შავი» სამუშაო ელოდა, საგაზეთო ფელეტონები უნდა გამოეცხო, მანამ დაწვებოდა, ხოლო როცა დაწვებოდა, ვაისმანი უნდა ეკითხა, რომ არაფერი ითქვას ჰერბერტ სპენსერის ავტობიოგრაფიაზე, რასაც იგი ყოველგვარ გულისამათრთოლებელ რომანზე მეტი გატაცებით კითხულობდა. რად უნდა გაეფლანგა ამდენი დრო კაცთან, რომელიც მან პირველი თვალისშევლებიდანვე აითვალწუნა?! მაგრამ მაცთუნებელი ამ შემთხვევაში თვითონ ის კაცი კი არ ყოფილა, ვინც დალევა შესთავაზა, არც ღვინის სმა, არამედ ის, რაც ამ ღვინის სმას ახლდა თან — გაჩახჩახებული დარბაზი, თვალისმომჭრელად მოელვარე სარკეები,

გაბრწყინებული სახეები, და ერთმანეთში მოლაპარაკე ხალხის ზუზუნი. დიახ, ნამდვილად ეს ხალხის ხმაური, გულარხეინი ხალხის ჟრიამული, ხალხისა, რომელთაც წარმატებისათვის მიეღწიათ და დამშვიდებით ხარჯავდნენ ფულს ღვინოში, ისე როგორც ნამდვილ ვაჟკაცებს შეჰფერის. მარტინი ეული იყო — და ყველაფერი აქედან გამომდინარეობდა. მიტომაც გაჰყვა ხელად ბრისენდენს, როგორც სულელი თევზი წამოეგება ხოლმე ანკესს. მას შემდეგ, რაც ჯოსთან ერთად იყო «ცხელ წყაროში», ღვინო აღარ დაელია რესტორანში, და ერთხელ პორტუგალიელმა ბაყალმაც დაალევინა. გონებრივი გადაქანცულობა ისე არ აღძრავს ღვინის წყურვილს, როგორც ფიზიკური, და ამიტომ არც მონდომებია დალევა. ახლა კი მოუნდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ღვინის დალევა კი არა იმდენად, რამდენადაც რესტორნის ატმოსფერო, საცა სვამენ, ილხენენ და დროს ატარებენ. სწორედ ასეთი ადგილი იყო «ღვიმე». ბრისენდენი და მარტინი ხალვათად ჩასხდნენ ტყავის სავარძლებში და სოდიანი ვისკის სმა დაიწყეს.

ისხდნენ და საუბრობდნენ, რაზე არ ილაპარაკეს, თან კი ხან მარტინი დაუკვეთავდა ვისკის, ხან ბრისენდენი. მარტინი თვითონ საოცრად მაგარი თავის პატრონი იყო და ბრისენდენის ასეთი ამტანობა უკვირდა. კიდევ უფრო მეტად გააკვირვა იგი თანამოსაუბრის წარმოთქმულმა აზრებმა. მალე დარწმუნდა, რომ ბრისენდენმა ყველაფერი იცოდა, ეს იყო მეორე ჭეშმარიტი ინტელიგენტი, რომელიც ცხოვრებაში შეხვედროდა, ასე გადაწყვიტა მან. მაგრამ მალე შენიშნა, რომ ბრისენდენს ისიც ჰქონდა, რაც პროფესორ კოლდუელს აკლდა— ცეცხლი, შინაგანი გზნება, აღქმის განსაკუთრებული უნარი, ლაღი და თავისუფალი აზროვნება. თან საოცარი ენამჭევრი გამოდგა. მისი თხელი ტუჩებიდან მახვილი, თითქოს დაზგაზე გამოჩარხული სიტყვები, კამათლებივით ცვიოდა, ჩხვლეტდა, სერავდა. ამას ხელადვე შესცვლიდა ხოლმე ნაზად მონარნარე სიტყვები, იგივე თხელი ტუჩები ახლა უკვე უცხო ნათელით გაცისკროვნებულ, ხავერდივით რბილ ფრაზებს გამოსცემდა, თითქოს რაღაც დაფარულ სილამაზეს თანდათან ეხდებოდა ფარდა, ცხოვრების მიუწვდომელ იდუმალებას წვდებოდა და არეკლავდა. ზოგჯერ საყვირივით შეიმართებოდა ეს თხელი ტუჩები და კოსმოსური ბრძოლის შემარყეველი ზრიალით რეკდა, ცალკეული ფრაზები ვერცხლივით წკრიალებდა, ვარსკვლავებად გადაჭედილ სივრცეებივით ელვარებდა, მეცნიერების უკანასკნელ მონაპოვართა შეჯამებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს იყო ამავე დროს პოეტის სიტყვა, ტრანსცენდენტალური ჭეშმარიტება, მიუწვდომელის წვდომა, რასაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ და რისი აღქმაც მხოლოდ იმ ბუნდოვანი და მკრთალად გამოკვეთილი ასოციაციებით შეიძლება, რასაც, თავისთავად, ჩვეულებრივი სიტყვები ქმნიან. იგი, თითქოს რაღაც საწაულებრივი შინაგანი ხილვით ჭვრეტდა შორეულს, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელს, რისი გადმოცემაც კი ჩვეულებრივი ენით შეუძლებელია, მაგრამ ეს კაცი, თავისი სასწაულებრივი ოქროპირობით, გასაგებ სიტყვებში გაუგებარ აზრსა ხვევდა და მარტინის შემეცნებამდე ისეთი პრობლემები მიჰქონდა, რაც ჩვეულებრივი გონებისათვის აუხსნელია.

მარტინს პირველი ანტიპატიის გრძნობა სულ გადაავიწყდა. აჰა, მის წინ გაცოცხლდა, ფრთები შეესხა იმას, რასაც აქამდე მხოლოდ წიგნებით იცნობდა. მის წინ დიდი მოაზროვნე ადამიანი იყო, თაყვანისცემის ღირსი. «მე რა ვარ, მის ფეხთა მტვერიღა ვარ», იმეორებდა და იმეორებდა თავისთვის.

— თქვენ ალბათ ბიოლოგიასაც შეისწავლიდით, — დიდი სასოებით მიმართა მარტინმა.

მისდა გასაკვირად ბრისენდენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მაგრამ თქვენ ხომ ისეთ რამეებს ამტკიცებთ, რასაც ბიოლოგიის შეუსწავლელად ვერ ჩაწვდება კაცი, — არ მოეშვა მარტინი და შენიშნა, როგორ გაკვირვებით შეხედა ბრისენდენმა, —

თქვენი აზრები ზედმიწევნით ემთხვევა დიდ ბიოლოგთა წიგნებს.

— ძალიან გამახარეთ, — უპასუხა მან, — მიხარია, რომ ჩემმა ზერელე ცოდნამ ასე მოკლე გზით მიმიყვანა ჭეშმარიტებასთან. თუმცა, სულაც არ მაწუხებს — მართალი ვარ თუ არა ვარ მართალი, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სულ ერთია, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მაინც ვერ ჩაწვდება ადამიანი.

— თქვენ სპენსერის მიმდევარი ხართ! — შესძახა გახარებულმა მარტინმა.

— რაც ჭაბუკობის საზღვარს გადმოვცდი, სპენსერისათვის ხელიც არ მიხლია. და მაშინაც მხოლოდ «აღზრდა» წავიკითხე.

— ნეტა მეც შემეძლოს ასე იოლად ცოდნის შეძენა, — თქვა მარტინმა ნახევარი საათის შემდეგ, როცა ბრისენდენის გონებრივი ავლა-დიდება გააანალიზა, — თქვენ წმინდა წყლის დოგმატიკოსი ხართ, და ეს არის სწორედ გასაკვირი. თქვენ დოგმატიკური მეთოდით აყალიბებთ ხოლმე ისეთ ფაქტებს, რაც მეცნიერებას მხოლოდ a posterior შეუძლია დაადგინოს. თქვენ უნარი შეგწევთ, ერთბაშად მიადგეთ სწორ დასკვნებს. რაღაც ზეგონებრივი ძალა გაქვთ და სინათლის სისწრაფით მიდიხართ ჭეშმარიტებასთან.

— ჰო, მუდამ ეს აწუხებდა ხოლმე ჩემს მასწავლებლებს — მამა იოსებსა და ძმა დატონს, — მიუგო ბრისენდენმა, — სინამდვილეში რას წარმოვადგენ! — განაგრძო მან, — ბედი ჩემი, რომ კათოლიკურ კოლეჯში მიმაბარეს განათლების მისაღებად. თქვენ სადღა მიიღეთ განათლება?

მარტინი თავგადასავალს ყვებოდა და თან გაფაციცებით აკვირდებოდა ბრისენდენს — მის მოგრძო, არისტოკრატულ სახეს, მოხრილ ბეჭებს, წიგნებით გამოტენილ პალტოს, რომელიც იქვე მეზობელ სკამზე მიეგდო... სახე და გრძელი, ჩამოქნილი ხელები მზით დაწვოდა, საოცრად გარუჯოდა. ამან შეაფიქრიანა მარტინი: ქუჩაში დიდი ხნობით მოყიალე კაცს აშკარად არა ჰგავდა. მაშ ასე, სად დაიწვა? რაღაც ავადმყოფური და განსაკუთრებული იყო ამაში, და მარტინი კვლავ ყურადღებით დააკვირდა მის წვრილ, გამხდარ სახეს, ჩაცვივნულ ღაწვებს, კოხტა, არწივისებურ ცხვირს. ასეთი ლამაზი ცხვირი ჯერაც არ ენახა მარტინს. თვალის ჭრილი თითქოს ჩვეულებრივი ჰქონდა, არც ფართო ეთქმოდა, არც ვიწრო, ფერიც რაღაც გაურკვეველი მოწაბლისფრო. მაგრამ ფარული ცეცხლი უელავდა. მათ გაორებული და უცნაური წინააღმდეგობის შემცველი გამომეტყველება ჰქონდა. ჯიუტად, გამომწვევად უკვესავდნენ თვალები, სიტლანქის ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ თან სიბრალულსაც აღძრავდა. მარტინმა ერთბაშად იგრძნო, რომ ებრალებოდა ეს კაცი, თვითონვე ვერ მიმხვდარიყო რატომ, თუმცა მალე გაიგო.

— ეჰ, მე ხომ ჭლექი მჭირს, — უთხრა ბრისენდენმა ცოტა უფრო მოგვიანებით, ახლახან არიზონადან ჩამოვედიო, თქვა და ამას მოაყოლა — მთელი ორი წელიწადი გავატარე იქ, იქაური კლიმატი გამომიწერეს.

— მერე, არ გეშინიათ, ისევ ამ კლიმატს რომ დაუბრუნდით?

— მეშინია?

უბრალოდ გაიმეორა ეს სიტყვა, განსაკუთრებულად არ გამოუთქვამს, მაგრამ მის ასკეტურ სახეზე მარტინმა მაინც ამოიკითხა, რომ ამ კაცს არაფრისა არ ეშინოდა. თვალები დაუვიწროვდა, თუმცა არწივის გამომეტყველება მაინც შერჩა, და მარტინს სიხარულით ლამის სუნთქვა შეეკრა, როცა დაბერილ ნესტოებშიაც არწივის ნისკარტი

შეიცნო — გამომწვევი, ამაყი და შეუპოვარი: «დიდებულია», გაიფიქრა მან და გული აუძგერდა. ხმამაღლა აღმოხდა ეს სტრიქონები:

დე, ბედისწერამ მცემოს და მგვემოს,
მაინც არ დავხრი თავს სისხლით მოთხვრილს.

— გიყვართ ჰენლი? — ჰკითხა ბრისენდენმა და გამომეტყველება ერთბაშად დაურბილდა, ალერსიანი გაუხდა, — თუმცა რა, როგორ შეიძლება არ გიყვარდეთ თქვენ. აჰ, ჰენლი! აი, ჭეშმარიტად დიდი სულის ადამიანი! ისე მოსჩანს ჩვენს დღევანდელ საჟურნალო მოლექსეებში, როგორც გლადიატორი საჭურისებს შორის.

— ჟურნალები არ გყვარებიათ, — საყვედურივით შეაპარა მარტინმა.

— თქვენ კი გიყვართ? — ისე გაშმაგებით შეიღრინა ბრისენდენმა, რომ მარტინი შეკრთა.

— მე... მე ხომ ვწერ... უფრო სწორი იქნება, ვცდილობ ვწერო... ჟურნალებისათვის, — ამოიდუდღუნა მარტინმა.

— ეს უფრო მოსათმენია, — ხმა დაურბილდა ბრისენდენს, — ცდილობთ, მაგრამ არ გიმართლებთ. მზადა ვარ მაგ მარცხისათვის გცეთ პატივი. ვიცი, რასაცა წერთ, თვალდახუჭული ვხედავ. ერთი რაღაცა გაქვთ მაგ ნაწერებში ისეთი, რის გამოც ყველა ჟურნალის კარს გიკეტავენ. სიღრმე აქვს თქვენს ნაწერებს, სიღრმეს კი ჟურნალები რა თავში იხლიან. მაგათ ყოველგვარი აბდაუბდა და დომხალი უნდათ და, ღმერთმა ხომ იცის, ღებულობენ კიდეც, ოღონდ თქვენგან არა.

— საჟურნალო ფელეტონებსაც არ ვთაკილობ, — შეესიტყვა მარტინი.

— პირიქით... — ბრისენდენი ცოტა ხნით შეჩერდა, მოურიდებლად შეათვალიერა მარტინის თვალშისაცემი სიღარიბე — გადაქექილი ყელსახვევი, დაძენძილი საყელო, ასევე ჩამოძენძილი მანჟეტი, პიჯაკის გამოპრიალებული იდაყვები, მერე ჩაცვივნულ ღაწვებზეც დააკვირდა, — პირიქით, იმ ფელეტონებს ეთაკილება თქვენი, და ისე მაგრადაც, რომ მაგარ საქმეში წარმატება არ გიწერიათ. დამაცა, კაცო, რამე ვჭამოთ-მეთქი რომ შემომეთავაზებინა თქვენთვის, ალბათ მიწყენდით!

მარტინს უცებ სისხლი მოაწვა სახეში, ბრისენდენმა გამარჯვებული ადამიანის სიხარულით გადაიხარხარა.

— გამაძღარი კაცი სულაც არ მიიღებდა შეურაცხყოფად ასეთ დაპატიჟებას.

— თქვენ დემონი ხართ! — შესძახა გაღიზიანებულმა მარტინმა.

— ხომ არ შემომითავაზებია!

— ვერც გამიბედავდით.

— ო, მაგდენი კი აღარ მესმის! ახლა გთავაზობთ.

თქვა და წამოიწია, თითქოს წასვლას აპირებსო.

მარტინს უნებურად შეეკრა მუშტები, სისხლი ძალუმად სცემდა საფეთქლებზე.

— გველების მჭამელი! ცოცხლადა სჭამს, ცოცხლად ყლაპავს! — შესძახა ბრისენდენმა, ადგილობრივ საბაზრო ჯამბაზებივით მოუქცია.

— მართლაც ცოცხლად შემიძლია შეგჭამოთ! — შესძახა მარტინმა და ახლა მან შეათვალიერა ბრისენდენის სენით დაუძლურებული სხეული.

— მე რომ მაგათ არა ვღირვარ.

— პირიქით, მიზეზი არ ღირს ამად, — გულიანად გადაიხარხარა მარტინმა, — უნდა ვაღიარო, რომ გამასულელეთ, ბრისენდენ. მე რომ მშიერი ვარ და თქვენც რომ მიხვდით ამას, ჩვეულებრივი მოვლენაა, სამარცხვინო რა უნდა იყოს ამაში. მე

თვითონვე დავცინი ბრბოს ცრუ მორალსა და კუდაბზიკობას, ახლა კი, ხომ ხედავთ, სიმართლე მითხარით და მაშინვე წამოვეგე, იმავე კუდაბზიკობის მონა შევიქენი.

— მართლაც გეწყინათ, — დაუდასტურა ბრისენდენმა.

— ეს იყო ერთი წუთის წინ. ყმაწვილური კუდაბზიკობა გამომყვა. მას შემდეგ ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ზოგჯერ ის ძველი მაინც მიფუჭებს საქმეს. ეგ სისუსტე მჭირს.

— რაკი აღიარებ, ამ წუთში განკურნებული ხარ.

— ასე გამოდის.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

— მაშ, წავიდეთ, ვივახშმოთ.

— წავიდეთ.

მარტინმა თვითონ დააპირა ვისკის ფულის გადახდა, უკანასკნელი ორი დოლარის ნარჩენები ამოიღო, მაგრამ ბრისენდენმა ოფიციანტს შეუბღვირა და ფული უკანვე დაადებინა.

მარტინი უსიამოვნოდ დაიჯღანა, მაგრამ ბრისენდენმა მეგობრულად დაადო მხარზე ხელი.

თავი ოცდამეთორმეტე

მეორე დღეს მარია კვლავ ააფორიაქა მარტინის ახალმა სტუმარმა. მაგრამ ამჯერად აღარ არევია თავგზა, მალევე მოეგო გონს და ბრისენდენი ღირსეულად მიიპატიჟა სასტუმრო ოთახში.

— იმედი მაქვს, არ გეწყინებოდათ ჩემი მოსვლა! — მიმართა ბრისენდენმა.

— აჰ, არა, რა ბრძანებაა! — მიუგო მარტინმა და ხელი ჩამოართვა, ერთადერთ სკამზე დასვა, თვითონ კი ლოგინზე ჩამოჯდა, — მაგრამ ჩემი სამყოფელი როგორ გაიგეთ?

— მორზებთან დავრეკე. მისს მორზი შემხვდა ტელეფონზე და, აჰა, უკვე თქვენთანა ვარ, — ხელი პალტოს ჯიბეში ჩაიყო და პატარა წიგნი ამოიღო, — აჰა, ერთი პოეტის ლექსები. წაიკითხეთ და თქვენი იყოს, — მარტინმა უარი დააპირა, მაგრამ ბრისენდენმა სწრაფად შეაჩერა, — მე რაში მჭირდება წიგნები?! დღეს მეორედ წამომახველა სისხლი. ვისკი არა გაქვთ? რა თქმა უნდა, არ გექნებათ. ცოტა დამიცადეთ.

წამოხტა და გავარდა. მარტინმა თვალი გააყოლა ამ აჩონჩხილ კაცს, როგორ ჩაიარა კიბე; ჭიშკრის მისაკეტად რომ მობრუნდა, გულისტკივილით შენიშნა, ოდესღაც ფართო მხრები როგორ მოხროდა და ჩავარდნილ მკერდზე გადმოზნექოდა. მარტინმა ორი ჭიქა გამოიტანა და ლექსების წიგნი გაშალა: ჰენრი ვოგჰან მარლოუს უკანასკნელი კრებული გამოდგა.

— შოტლანდიური ვისკი ვერ ვიშოვე, — თქვა ბრისენდენმა, როცა დაბრუნდა, — ამერიკული ვისკის მეტი არაფერი აქვს მაგ მათხოვარს. ერთი ბოთლი მაინც წამოვიღე.

— ბავშვს გავაგზავნი და ლიმონს მოვატანინებ, ტოდი მოვამზადოთ, — უთხრა მარტინმა, — ნეტა გამაგებინა, რამდენს უხდიან მარლოუს ამისთანა წიგნში.

— ალბათ, ორმოცდაათამდე დოლარს. — იყო პასუხი. — მადლობა თქვას, მაგდენი თუ მისცეს, თუკი აცდუნა ვინმე გამომცემელი და ასეთი რისკი გააწევინა.

— მაშ, ვეღარ უცხოვრია კაცს პოეზიით.

ხმაშიაც და სახეზედაც წუხილი აღებეჭდა.

— არა, რაღა თქმა უნდა. ვინ იქნება ისეთი სულელი, რომ მაგის იმედით იყოს?! აბა ბრუსი, ვირჯინია სპრინგი და სეჯვიკი, გაგიხარია, ფულს აკეთებენ. მაგრამ ლექსებისა რა მოგახსენოთ... და იცით, რითი შოულობს ლუკმა-პურს მარლოუ? ჩამორჩენილ ბავშვებს ასწავლის პენსილვანიაში, რეპეტიტორობს. ამისთანა საშინელ ჯოჯოხეთს კი ვერაფერს წარმოიდგენს კაცი. ორმოცდაათი წლის სიცოცხლეს რომ შემპირდეს, მის ადგილს მაინც არ ვისურვებდი, არადა, ისე გამორჩეულად ბრწყინავს მისი პოეზია თანამედროვე მოლექსეთა შორის, როგორც ლალი მინის ნატეხებში. ახლა კრიტიკოსები რასა სწერენ, აღარ იკითხავთ? ღმერთმა შეაჩვენოს ეს გულნამცეცა მაიმუნები!

— ეგ ხომ წესად იქცა — ვისაც მწერლობაში მოეცარა ხელი, მოდგნენ და ნამდვილ მწერლებზე წერენ, — დასძინა მარტინმა, — ჯერ მარტო სტივენსონზე რამდენი დაუწერიათ!.. გავგიჟდი, როცა ვნახე.

— აჰ, ეს წურბელები, სისხლისმსმელები! — კბილებში გამოსცრა ბრისენდენმა. — ვიცნობ მაგათ ჯილაგს... ჯვარზე აცვეს მამა დამიენის დასაცავად დაწერილი სტატიისათვის, როგორ არ დაჩხრიკეს, რანაირად არ აწონეს...

— თავიანთი უბადრუკი «მე»-თი ზომავდნენ, — ჩაურთო მარტინმა.

— დიახ, მართალს ბრძანებთ, სწორედ ასეა. რაც რამ მშვენიერი, ჭეშმარიტი და კეთილი იყო მასში, სულ დაწეწეს და დაჯიჯგნეს, მერე კი ბეჭებზე დაუწყეს ხელის თათუნი. ფუჰ! «კაცთა მოდგმის უბადრუკი კაჭკაჭები!» ასე შეარქვა მაგათ რიჩარდ რილფმა სწორედ იმ ღამეს, როცა კვდებოდა.

ვარსკვლავის მტვრის კენკვა გადაუწყვეტიათ, — მგზნებარედ ჩამოართვა სიტყვა მარტინმა, — მეტეორულ გაელვებაში სურთ გენიოსების აზრებს ჩასწვდნენ. პამფლეტი მაქვს დაწერილი მაგათზე, მაგ ვაიკრიტიკოსებზე.

— წამიკითხეთ, — მხურვალედ სთხოვა ბრისენდენმა.

მარტინმა ხელნაწერებში გამოქექა «ვარსკვლავის მტვერის» ერთი ეგზემპლარი, ბრისენდენი კითხულობდა, ხშირ-ხშირად ჩაახველებდა ხოლმე, ხელებს იფშვნეტდა და თავისი ტოდის დალევაც კი დაავიწყდა.

— ვატყობ, თქვენც ვარსკვლავის მტვერი უნდა იყოთ, ბრმა გნომების ქვეყანაში მოხვედრილი, — თქვა ბრისენდენმა, როცა კითხვა დაამთავრა, — დარწმუნებული ვარ, პირველი ჟურნალი ჩააფრინდებოდა ამ სტატიას.

მარტინმა თავის დავთარში ჩაიხედა.

— ოცდაშვიდმა ჟურნალმა დამიწუნა და დამიბრუნა.

ბრისენდენს გულიანი სიცილი წასკდა, მაგრამ მაშინვე ხველა აუტყდა.

— ლექსებიც გექნებათ, — უთხრა მან ბოლოს, — წამიკითხეთ.

— ახლა ნუ წაიკითხავთ, — შეემუდარა მარტინი, — თქვენთან ლაპარაკი მირჩევნია ახლა, შეგიხვევთ და შინ გაგატანთ.

ბრისენდენმა «სატრფიალო ლირიკა» და «ფერია და მარგალიტი» წაიღო. როცა მეორე დღეს მოვიდა, მისი პირველი სიტყვები იყო:

— კიდევ წამაკითხეთ.

ჭეშმარიტი პოეტი ხარო, მარტინს განუცხადა. გამოირკვა, რომ თვითონაც წერდა ლექსებს. ამ ლექსებმა გააოგნა მარტინი, და კიდევ უფრო დიდი იყო მისი გაოცება, როცა გაიგო, ბრისენდენი ერთხელაც არ ცდილიყო მათ დაბეჭდვას.

— ჭირი მაგათ რედაქციებს! — უპასუხა ბრისენდენმა, როცა მარტინმა ურჩია, რედაქციებს დაუგზავნე ეს ლექსებიო, — სილამაზე სილამაზისვე გულისთვის უნდა შეიყვარო, — ურჩია თავის მხრივ ბრისენდენმა, — მოეშვით ერთი მაგ ჟურნალებს.

ისევ გემებსა და ზღვას დაუბრუნდით, ჩემი რჩევა ასეთი იქნება, მარტინ იდენ. ნეტა რა დაგრჩენიათ ამ ქალაქებში. ამ სნებისა და სიდამპლის ბუდეში! ვეღარა გრძნობთ, რომ ყოველდღიურად ყელს იჭრით ხოლმე, როცა თქვენივე შექმნილი სილამაზის პროსტიტუციას ეწევით, ჟურნალების გემოვნებას გინდათ მოარგოთ. იმ დღეს როგორ მეუბნებოდით?.. ჰო, ადამიანი უკანასკნელი ეფემერაარ! მაშ, რაღას ეძებთ დიდებას, უკანასკნელო ეფემერავ?! კიდეც რომ მოიხვეჭოთ, ეგ ხომ საწამლავი იქნება თქვენთვის. თქვენ მე ისე უბრალო, თვითმყოფადი და გონიერი მეჩვენებით, რომ არა მგონია, ამისთანა ფლავმა მიგიზიდოთ და შეგაცდინოთ. იმედი მაქვს, ერთ სტრიქონსაც არ მიჰყიდით ჟურნალებს. მხოლოდ სილამაზეს უნდა ემსახუროთ, ბრბოს კისერიც უტეხია! წარმატება? ნეტა რა წარმატებას გამოსდგომიხართ, როცა თქვენი სონეტი სტივენსონზე უკვე თავისთავად წარმატებაა, ჰენლის «მოჩვენებაზე» მაღლა დგას! ასეთივე წარმატების საწინდარი არ არის განა თქვენი სატრფიალო ლირიკა, ზღვის სიმღერები? პოეტს თვით შემოქმედება უნდა ანიჭებდეს სიხარულს და არა წარმატება. ვერ გადამარწმუნებთ. ეს მე კარგად ვიცი. თქვენც იცით. თქვენ სილამაზეს გაურბიხართ. ეს მოუშორებელი ტკივილია, განუკურნებელი ჭრილობა, გულში გარჭობილი გავარვარებული დანა. ნეტა რას ეკუკუმელავებით მაგ ჟურნალებს? არ გირჩევნიათ, სილამაზე დაისახოთ ცხოვრების მიზნად? რატომ ცდილობთ, ოქროდ აქციოდ იგი? მაინც არაფერი გამოგივათ. მეც ტყუილუბრალოდ ვღელავ. რომ მისდგეთ და ათასი წელიწადი იკითხოთ ეს ჟურნალები, კიტსის ერთი სტრიქონის ფასსაც კი ვერაფერს წააწყდებით. მოეშვით დიდებას და ფულს და ხვალვე გაემგზავრეთ, გემზე მოეწყვეთ.

— მე დიდებისათვის კი არ ვიღვწი, სიყვარულისთვის ვიღვწი, სიცილით უთხრა მარტინმა, — თქვენს კოსმოსში სიყვარულს, ეტყობა, სულაც არა აქვს ადგილი დათმობილი, ჩემსაში კი სილამაზე სიყვარულს ემსახურება.

ბრისენდენმა ერთსა და იმავე დროს სიბრალულითაც შეხედა მარტინს და აღფრთოვანებითაც.

— ჯერ თქვენ სავსებით ახალგაზრდა ხართ, მარტინ, სავსებით ახალგაზრდა! მაღლა აფრინდებით, მაგრამ სუსტი ფრთები გაქვთ, მეშინია არ დაგეწვათ. თუმცა, უკვე შეტრუსული გაქვთ. მაშ, კაბას ეძღვნება ეს თქვენი სატრფიალო ლირიკა?.. სამარცხვინოა!

— კაბასაც ეძღვნება და სიყვარულსაც, — კვლავ გაეცინა მარტინს.

— ეგ ხომ სიგიჟის ფილოსოფიაა! — აღარ მოეშვა ბრისენდენი, — ამაში მე ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, როცა ჰაშიშის გავლენით თავი ზმანებებით მიბრუოდა. ფრთხილად, მარტინ! ეს ბურჟუაზიული ქალაქები მოგკლავთ თქვენ. ჯერ მარტო ის ვაჭრუკანების ბუნაგი გაიხსენეთ, საცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. ნაგვის ორმოსაც კი ვერ შევარქმევ, უფრო ბინძურია. ამისთანა ატმოსფეროში როგორ შეიძლება სიწმინდე შეინარჩუნო. ეს ხომ ხრწნის ადამიანს. ერთსაც ვერ შეხვდები იქ, გახრწნილი არ იყოს, ქალი იქნება თუ კაცი, მოარული სტომაქები არიან და მეტი არაფერი...

ერთბაშად შედგა და მარტინს შეხედა. უცებ მიხვდა ყველაფერს, სახეზე განცვიფრება და შეძრწუნება გამოეხატა.

— მაშ, ეს მშვენიერი სატრფიალო ლირიკა იმ ყვიციან, დამჭკნარ გომბიოს დაუწერეთ?

იმავე წუთში მარტინი ყელში წვდა ბრისენდენს მარჯვენა ხელით და ისე შეაჯანჯღარა, რომ კბილმა კაწკაწი დაუწყო, მაგრამ ვერავითარი შიში ვერ შენიშნა —

თვალებში თითქოს გაკვირვებული და დამცინავი დემონი ჩასჯდომოდეს. ახლაღა მოეგო გონს, თითები მოადუნა და ბრისენდენი ლოგინზე მიაგდო.

ერთხანს გაჭირვებით ქოშინებდა სუნთქვაშეკრული ბრისენდენი, მერე კი ქირქილი დაიწყო.

— სამუდამო ვალში დაგრჩებოდით, ბარემ რომ ჩაგექროთ ჩემი სიცოცხლის ალი, — უთხრა მან.

— ამ ბოლო დროს სულ დამეჭიმა ნერვები, — თავი იმართლა მარტინმა, — ხომ არაფერი გატკინეთ? ახლავე მოვამზადებ ტოდის.

— აი, თქვე ჭაბუკო ელადელო! — განაგრძო ბრისენდენმა, — არც კი იცით თქვენი სხეულის ფასი. ჯოჯოხეთური ძალა გაქვთ! ვეფხვის ბოკვერი ხართ, ლომის ლეკვი! მაგრამ დაიცადეთ, ძვირად დაგიჯდებათ ეს თქვენი ძალ-ღონე.

— მაინც როგორ? — ჩაეკითხა გაკვირვებული მარტინი და ჭიქა მიაწოდა, — აჰა, დალიეთ და ნუ გამიბრაზდებით.

— როგორ და, — ბრისენდენმა ტოდი მოსვა და მოწონების ნიშნად გაუღიმა, — ქალების გამო. მანამ პირში სული გიდგას, აღარ მოგასვენებენ... ალბათ არც ახლა გაძლევენ მოსვენებას, თორემ არაფერი მცოდნია და ეგ არის. ჩემს წახრჩობას ნურც კი იფიქრებთ — სულერთია, სათქმელს მაინც გეტყვით, ვგრძნობ, რომ ეს თქვენი პირველი სიყვარულია, მაგრამ სილამაზის ხათრით ახლა მაინც გამოიჩინეთ მეტი გემოვნება. ნეტა რას გადაკიდებიხართ ბურჟუას ქალიშვილს! მოეშვით ერთი. სხვა აირჩიეთ ისეთი ვინმე, ვისაც ცეცხლი უკიდია, სიცოცხლეს შეჰხარის, სიკვდილს დასცინის, და მანამ სიყვარული გაუცივდებოდეს, მთელი არსებით უყვარს. არიან ქვეყნად ამგვარი ქალები და შეგიყვარებენ კიდეც ისეთივე ხალისით, როგორც რომელიმე ბურჟუას რბილ საბუდარში გამოჩეკილი სულმოკლე გომბიო.

— სულმოკლე?! — არ მოეწონა მარტინს.

— დიახ, სწორედ სულმოკლე. მოჰყვება უბადრუკი მორალის ტიტინს. — რაც მას ბავშვობიდანვე ასეთივე ტიტინით შეასწავლეს და აღარ გაათავებს, ნამდვილი სიცოცხლით თავის დღეში ვერ იცხოვრებს, მუდამ მისი შიში ექნება. შეგიყვარებთ, კიდეც, მარტინ, მაგრამ თავისი უბადრუკი მორალი უფრო მეტად ეყვარება. თქვენ ნამდვილ სიცოცხლეს ელტვით, დიდი, თავისუფალი სულები გიზიდავთ, თვალისმომჭრელი პეპლები გჭირდებათ და არა მყიე ქინქლები. ო, თავს მოგაბეზრებენ ისინი, მარტინ, ის დედაკაცები, ისეთი უბედური თუ აღმოჩნდით, რომ დიდხანს იცოცხლეთ. მაგრამ რა გაცოცხლებთ?! ზღვას ხომ აღარ დაუბრუნდებით. უნდა იყანყალოთ ამ დამპალ ქუჩებში, მანამ თქვენ თვითონვე არ დაგილპებათ ძვლები და სული არ გაგძვრებათ.

— რამდენიც უნდა მეჩიჩინოთ, სულ ერთია, ვერ გადამარწმუნებთ, — უთხრა მარტინმა, — ბოლოს და ბოლოს, თქვენ თქვენი შეხედულება გაქვთ, მე — ჩემი; ჩემებურად მეც მართალი ვარ და თქვენც.

განსხვავებული შეხედულებანი აღმოაჩნდათ სიყვარულზე, ჟურნალებზე, ბევრ სხვა რამეზეც, მაგრამ მაინც მოსწონდათ ერთმანეთი, და მარტინი გრძნობდა, რომ ეს არ იყო უბრალო მოწონება. ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა მარტინის დახუთულ ოთახში ერთ საათზე მეტს ვერა ძლებდა ბრისენდენი. ისე არ მოვიდოდა, თითო ბოთლი ვისკი არ მოეტანა, ხოლო როცა სადილისთვის გავიდოდნენ რესტორანში, ბრისენდენი განუწყვეტლივ სვამდა სოდიან ვისკის. ორივეს ფულს მუდამ თვითონვე იხდიდა, მისი წყალობით მარტინმა გემო გაუსინჯა ნაირ-ნაირ ნუგბარ საჭმელებს, პირველად იგემა შამპანური და რაინის ღვინოც დააჭაშნიკა.

ხომ ასე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ბრისენდენი მაინც გამოცანად დარჩა. გარეგნულად ასკეტსა ჰგავდა, სისხლი თანდათანობით უშრებოდა, მაგრამ ცხოვრების სიამტკბილობას მაინც ხალისით ეწაფებოდა. სიკვდილისა სულაც არ ეშინოდა, ადამიანური ცხოვრების ყველა წვრილმანს მწარედ დასცინოდა, და მიუხედავად ამისა, ეს მომაკვდავი კაცი მაინც ხალისით ეწაფებოდა სიცოცხლეს, მის ყოველ ატომს. გაგიჟებით უყვარდა სიცოცხლე, ცხოვრებისეული თრთოლვა. სმას მიჰყო ხელი, რა უცნაურ რამეს არ გამოიგონებდა ხოლმე, რათა ახალი თრთოლვა, ახალი განცდა გამოეწვია. მარტინსაც უამბო, როგორ აიკრძალა ერთხელ წყალი, მთელი სამი დღე პირიც არ დააკარა, რათა შემდეგ ერთბაშად ეგრძნო არაადამიანური წყურვილის მოკვლის განუზომელი სიამოვნება. ვინ იყო, რას წარმოადგენდა, ვერა და ვერ გაიგო. წარსული არ გააჩნდა, ხვალინდელი დღე — სამარე იყო, ხოლო დღეს სიცოცხლის ნეტარებით თრთოდა და იწვოდა.

თავი ოცდამეცამეტე

ზედიზედ აგებდა ბრძოლას მარტინი. რა მომჭირნეობით ცხოვრობდა, მაგრამ საგაზეთო ფელეტონებიდან შემოსული ფული მაინც ვერ ფარავდა ხარჯებს. მოსავლისა და მადლიერების ეროვნულმა დღესასწაულმა ისე მოუსწრო, რომ შავი კოსტიუმი დაგირავებული აღმოჩნდა. ასე რომ მორზებთან ვეღარ წავიდოდა სადღესასწაულო სადილზე. მისი მიუსვლელობის მიზეზი რომ გაიგო, რუთს გული ჩაწყდა, და ამით შეწუხებულმა მარტინმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, უსათუოდ მოვალო. რუთსაც გაანდო. «ტრანსკონტინენტურის» რედაქციას ჩავაკითხავ სან-ფრანცისკოში, ჩემს ხუთ დოლარს წამოვიღებ, კოსტიუმს გამოვიხსნიო.

დილით მარიას დაესესხა ათ ცენტს. ბრისენდენს უფრო ხალისით თხოვდა, მაგრამ ეს ახირებული კაცი უცებ გაუჩინარდა, მთელი ორი კვირა აღარ გამოჩენილა, და მარტინი თავს იმტვრევდა, ხომ არაფერი ვაწყენინეო. ათი ცენტი მებორნეს მოუნდა, ხოლო როცა უბე გასცურა და მარკეტ-სტრიტზე გავიდა, ფიქრმა შეიპყრო — ფული თუ არ მომცეს, მაშინ რა მეშველებაო. ოუკლენდში დაბრუნებასაც კი ვეღარ მოახერხებდა, რადგან სან-ფრაცისკოში ისეთი არავინ ჰყავდა, ბორნის ათ ცენტს დასესხებოდა.

«ტრანსკონტინენტურის» კარი შეღებილი დაუხვდა და მარტინი იძულებული გახდა შემდგარიყო, რადგან ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი გამოდიოდა.

— მე მაგას არ გეკითხებით, მისტერ ფორდ, — მარტინმა იცოდა, რომ ფორდი რედაქტორი იყო, — პირდაპირ მითხარით, შეგიძლიათ თუ არა, გადამიხადოთ ჰონორარი, ნაღდად, რაღა თქმა უნდა. თქვენი ჟურნალის გეგმები რაში მეკითხება, არც ის მაინტერესებს, გაისად რას აპირებთ. მე ჩემი ფული მინდა და პირდაპირ გიცხადებთ, თუ ახლავე არ გადამიხდით, საშობაო ნომერს მანქანაზე ვერ გაუშვებთ. ნახვამდის, ფული რომ გაგიჩნდეთ, მომაკითხეთ.

კარი ყურთამდე გაიღო, ოთახიდან გაბრაზებული კაცი გამოვარდა, მარტინს ჩაუარა და დერეფანს დაუყვა, მუშტებს კუმშავდა და იგინებოდა. მარტინმა გადაწყვიტა, რომ ამის შემდეგ ერთბაშად შესვლა არ ივარგებდა, მთელი თხუთმეტი წუთი იქვე იდგა და იცდიდა. მერე კი შეაღო კარი და შევიდა. უცნობი განცდა დაეუფლა — პირველად იყო რედაქციაში. აშკარად ეტყობოდა, სადარბაზო ბარათები საჭირო არა ყოფილა აქა: პატარა ბიჭი შევიდა შიდა ოთახში და ამბავი მიიტანა — ვიღაც კაცი მისტერ ფორდს კითხულობსო. მერე ისევ მობრუნდა და მარტინს გაუძღვა, რედაქტორის კაბინეტში შეიყვანა. პირველი, რაც მარტინს თვალში მოხვდა,

საერთო უწესრიგობა და არევდარევა იყო. მერე ბაკენბარდებიანი ახალგაზრდა კაცი შენიშნა, მაგიდასთან იჯდა და მარტინს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. ამ კაცის დამშვიდებულმა სახემ მარტინი გააოცა. აშკარა იყო, მბეჭდავის უსიამოვნო ლაპარაკს ოდნავადაც ვერ დაერღვია მისი სიმშვიდე.

— მე... მე მარტინ იდენი გახლავართ, — დაიწყო მარტინმა («ჩემი ხუთი დოლარის მისაღებად მოვედიო», უნდოდა ეთქვა), მაგრამ ეს ხომ პირველი რედაქტორი იყო, რომელიც მარტინს საკუთარი თვალით ენახა, არავითარი სურვილი არა ჰქონდა ასეთი სიტლანქით დაეწყო მათთან ურთიერთობა. მისდა გასაკვირად, მისტერ ფორდი სკამიდან წამოხტა და შესძახა:

— ნუთუ მართლა?! — იმავე წუთს თავის ორივე ხელში მოიქცია მარტინის ხელი და მაგრად დასწია, — ენით ვერ გამომითქვამს, როგორ გამეხარდა თქვენი ნახვა, მისტერ იდენ. რამდენჯერ მინატრია, ნეტა ერთი თვალი შემავლებინა, მანახა, როგორი კაცია-მეთქი. უკან დაიწია მკლავის სიგრძეზე და აციმციმებული თვალებით შეათვალიერა მარტინის სამუშაო კოსტიუმი — ამჟამად მისი ერთადერთი ჩასაცმელი — რომელიც ისე გაცვეთილ-გაცრეცილიყო, რომ ვერავითარი ამოკემსვა ვეღარ უშველიდა, თუმცა შარვალი დიდი გულმოდგინებით გაეუთოვებინა მარტინს.

— უნდა გამოგიტყდეთ, გაცილებით უფრო დიდიხნისა მეგონეთ. რასა ბრძანებთ — აზრის ისეთი სიღრმე და სიმწიფე იგრძნობა თქვენს მოთხრობაში, ისეთი ძალა და სუნთქვა... ნამდვილი შედევრია. წავიკითხე თუ არა პირველი ექვსი სტრიქონი, მაშინვე მივხვდი. ახლავე უნდა გიამბოთ, როგორ წავიკითხე პირველად თქვენი მოთხრობა. თუმცა არა — ჩვენს თანამშრომლებს გაგაცნობთ.

ენა არც გაუჩერებია, ისე გაიყვანა მეორე ოთახში და თავის მოადგილეს მისტერ უაიტს წარუდგინა — ჩია კაცი იყო, სუსტი, საოცრად ცივი ხელი ჰქონდა, ციების შეტევას წამოუვლიაო, იტყოდით, ბაკენბარდები მეტისმეტად შეთხელებოდა.

— ესეც მისტერ ენდსი, მისტერ იდენ, ჩვენი საქმეთა მმართველი გახლავთ.

მარტინმა მელოტ კაცს ჩამოართვა ხელი, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, თუმცა თვალების მეტი თითქმის არაფერი უჩანდა, მთელი სახე დაეფარა თოვლივით წვერს, რასაც კვირაობით ცოლი საგულდაგულოდ კრეჭდა და უსწორებდა ხოლმე.

შემოესივნენ სამივენი და ენა აღარ გაუჩერებიათ, ქება-დიდებით აავსეს, იმდენი იტარტალეს, რომ ბოლოს მარტინს მოეჩვენა, სანაძლეო აქვთ დადებული და ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

— სულ გვიკვირდა. რატომ ერთს არ შემოივლისო, — თქვა მისტერ უაიტმა.

— გზის ფული არა მქონდა. გაღმა ვცხოვრობ, — პირდაპირ მიახალა მარტინმა, იფიქრა, ბარემ გავაგებინებ, რა დღეში ვარ და ფული როგორ მჭირდებაო.

«თუმცა, — გაიფიქრა მან, — ეს ჩვრებიც მშვენივრად მეტყველებენ ჩემს გასაჭირზე».

შიგადაშიგ, როგორც კი ოდნავი საშუალება მიეცემოდა, ჩაურთავდა და ჩაურთავდა ხოლმე მოსვლის მიზეზს. მაგრამ ხოტბისშემსხმელების ყურები დახშული აღმოჩნდა. ისინი კვლავ ქება-დიდებას განაგრძობდნენ — ეუბნებოდნენ, პირველი წაკითხვის დროს რასა ფიქრობდნენ მის მოთხრობაზე, შემდეგ რა ფიქრები მოუვიდათ, რას ფიქრობდნენ მათი ცოლები და საერთოდ ჯალაბობა, ჰონორარის გადახდაზე კი გაკვრითაც არაფერი დასცდენიათ.

— მაინც ვერ გიამბეთ, როგორ წავიკითხე პირველად თქვენი მოთხრობა, — უთხრა მისტერ ფორდმა. — ნიუ-იორკიდან მოვდიოდი და ოგდენში რომ გაჩერდა

მატარებელი, ვაგონში მეგაზეთე ბიჭმა ტრანსკონტინენტურის» ახალი ნომერი შემოიტანა.

«ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა მარტინმა, — ეს პულმანის ვაგონებით დასეირნობს აქეთ-იქით, მე კი ჩემს ხუთ დოლარსაც არ მიხდის, ლამის შიმშილით მოვკვდე».

გაგულისებამ წამოუარა. «ტრანსკონტინენტურის» ცოდვები გაიბერა და გაიზარდა. გაახსენდა ფუჭი ლოდინის საშინელი თვეები, შიმშილი და გაჭირვება, ახლაც მოეძალა შიმშილი, გაახსენდა, რომ გუშინაც თითქმის მთელი დღე იშიმშილა, დღეს კი ერთი ნაწილიც არ ჩასვლია პირში. სახეზე სისხლი მოაწვა. ყაჩაღებიც კი არ ეთქმით ამათ, ჯიბგირები არიან! ტყუილითა და ცრუ დაპირებებით წაართვეს მოთხრობა. გადაუხდის სამაგიეროს, სეირს აყურებინებს. ერთბაშად გადაწყვიტა, მანამ ფულს არ მისცემდნენ, რედაქციიდან არ გამოსულიყო. მოაგონდა, რომ ისე ოუკლენდშიაც ვერ დაბრუნდებოდა. ცდილობდა თავი შეეკავებინა, სახე ისე გაუბოროტდა, რომ თანამოსაუბრეები დაფრთხნენ.

ამის შემდეგ მთლად ენად გაიკრიფნენ. მისტერ ფორდმა კიდევ ერთხელ გაიხსენა, როგორ წაიკითხა პირველად «ზარის ძახილი», მისტერ ენდსი დაქიჩმაჩდა და ისევ გაიმეორა, რა აღფრთოვანებული დარჩა ამ მოთხრობით მისი ძმისწული, არც ის დავიწყებია ეთქვა, ჩემი ძმისწული მასწავლებელია ალამედაშიო.

— ახლა კი გეტყვით, რისთვისაც მოვედი, — განუცხადა ბოლოს მარტინმა, — იმ მოთხრობის ჰონორარი უნდა მომცეთ, რომელიც ასე მოგწონებიათ. შეპირების მიხედვით, ხუთი დოლარი უნდა გადამიხადოთ.

მისტერ ფორდს ისეთი გამომეტყველება გამოესახა თავის მოძრავ სახეზე, თითქოს კმაყოფილებით შეხვდა ამ მოთხოვნას, ხელად ჯიბეში იტაცა ხელი და მოიჩხრიკა, მერე უცებ მისტერ ენდსს მიუბრუნდა და უთხრა, ფული შინ დამრჩენიაო. მისტერ ენდსს აშკარად შეეტყო წყენა. მაგრამ უნებურად შარვლის ჯიბეზე დაიფარა ხელი და მარტინი მიხვდა, რომ შიგ ფული იდო.

— ძალიან ვწუხვარ, — მიუგო მისტერ ენდსმა, — მაგრამ რაც კი რამ ფული მქონდა, ამ ნახევარი საათის წინ მბეჭდავს მივეცი. დაუდევრობა გამოვიჩინე, მეტი რომ არ წამოვიღე, მაგრამ რას ვიფიქრებდი, მოულოდნელად მომადგა მბეჭდავი და ავანსი მთხოვა.

ახლა მისტერ უაიტს გადახედა ორივემ, მაგრამ ამ კაცს გაეცინა მხოლოდ და მხრები აიჩეჩა. სინდისი დამშვიდებული ჰქონდა, საჟურნალო საქმის შესასწავლად მოსულიყო ამ რედაქციაში და ნაცვლად საფინანსო საქმეს ასწავლიდნენ. მეოთხე თვეა ჯამაგირი არ მიეღო, მაგრამ იცოდა, რომ მბეჭდავის დაშოშმინება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რედაქტორის მოადგილის დაკმაყოფილება.

— ცუდ დროს მოგვისწარით, მისტერ იდენ, სასაცილო მდგომარეობაში ვართ. — ვითომც არაფერიო, არხეინად უთხრა მისტერ ფორდმა, — სულ დაუდევრობის ბრალია, დამერწმუნეთ. მაგრამ იცი რას ვიზამთ: ხვალ დილით, მოვალთ თუ არა რედაქციაში, მაშინვე ფოსტით გამოგიგზავნით ჩეკს. მისტერ იდენის მისამართი ხომ გაქვთ, მისტერ ენდს?

დიახ, რაღა თქმა უნდა, ჰქონდა და ხვალ დილით, რედაქციაში მოსვლისთანავე გაუგზავნიდნენ ჩეკს. მარტინს ბევრი არაფერი გაეგებოდა ჩეკებისა და ბანკებისა, მაგრამ მაინც დაეჭვდა — რაღა ხვალისთვის მიდებენ, რატომ ახლავე არ მაძლევენ ჩეკსაო.

— მაშ, ასე, მისტერ იდენ, ხვალ დილით ჩეკს გამოგიგზავნით, — უთხრა მისტერ ფორდმა.

— მე დღეს მჭირდება ფული, — ისე მიუგო მარტინმა, თითქოს ამათი ლაპარაკი არ მოუსმენიაო.

— ისე უბედურად დატრიალდა საქმე... რა დროსაც არ უნდა მობრძანებულიყავით სხვა დღეს... — თავაზიანად დაიწყო მისტერ ფორდმა, მაგრამ ხელადვე შეაწყვეტინა მისტერ ენდსმა, რომელსაც მოუსვენარ თვალებზე ეტყობოდა ნაკლები მოთმინების პატრონი იყო.

— მისტერ ფორდმა უკვე აგიხსნათ საქმის ვითარება, — მკვახედ უთხრა მან, — მეც აგიხსენით. ჩეკს ფოსტით...

მეც ხომ აგიხსენით, — აღარ დაამთავრებინა მარტინმა, — აკი გითხარით, ფული დღესვე მჭირდება-მეთქი.

საქმეთა მმართველის უკმეხობამ მარტინი გააცეცხლა. ახლა ამას დაასო თვალი, რადგან «კონტინენტურის» მთელი სალარო სწორედ მის ჯიბეში ეგულებოდა.

— ცუდად კი დატრიალდა საქმე, მაგრამ... — დაიწყო მისტერ ფორდმა.

მაგრამ ამ დროს მისტერ ენდსი მოუთმენლად შებრუნდა და ოთახიდან გასვლა დააპირა. მარტინი ხელადვე სწვდა და ცალი ხელი ყელში წაუჭირა, ისე რომ მისტერ ენდსის თოვლივით ქათქათა წვერი, რასაც კვლავ შერჩენოდა სიკოხტავე, ჭერისკენ დაიძრა და მთელი ორმოცდახუთი გრადუსით მაღლა აიწია. დაფეთებული მისტერ ფორდი და მისტერ უაიტი შიშითღა შეჰყურებდნენ თავიანთ საქმეთა მმართველს, რომელსაც მათივე თვალწინ ასტრახანის ხალიჩასავით ბერტყავდნენ.

— აბა, ამოყაჭე, ახალგაზრდა ტალანტების პატივცემულო მომსპობო, — უბრძანა მარტინმა, — ამოყაჭე, თორემ მე თვითონ ამოგიბერტყავ ჯიბეს, — მერე იმ ორ დაფეთებულ მეთვალყურეს მიუბრუნდა, — არ მომეკაროთ! ფეხი არ წამოდგათ, თორემ ცუდად წაგივათ საქმე.

მისტერ ენდსი იხრჩობოდა და მარტინმა მოადუნა თითები, საშუალება მისცა ფულის ამოყაჭვის თანხმობა ენიშნებინა. რამდენიმეჯერ ჩაიყო ჯიბეში ხელი და სულ ოთხი დოლარი და თხუთმეტი ცენტი ამოიღო.

— ამოაბრუნე ჯიბე! — უბრძანა მარტინმა.

კიდევ ამოვარდა ათი ცენტი. მარტინმა მეორედ დათვალა ნადავლი.

— ახლა თქვენ ჩამოდით! — უყვირა მარტინმა მისტერ ფორდს, — სამოცდახუთი ცენტი მაკლია.

მისტერ ფორდს აღარ უყოყმანია, ჯიბეები მოიჩხრიკა და სამოცი ცენტი მოაგროვა.

— ვითომ მეტი არა გაქვთ? — მუქარით ჩაეკითხა მარტინი და ის სამოცი ცენტი გამოართვა. — ჟილეტის ჯიბეებში რა მოგიჩანთ?

თავისი პატიოსნების დასამტკიცებლად მისტერ ფორდმა ორივე ჯიბე ამოაბრუნა. ერთ-ერთი ჯიბიდან მუყაოს ნაჭერი გადმოუვარდა. მისტერ ფორდი მაშინვე დასწვდა და ისევ ჯიბისკენ დაუპირა გაქანება, მაგრამ მარტინმა უყვირა:

— ეს რა არის? ბორანის ბილეთი? აქ მომეცით. ათი ცენტი ღირს. მაგასაც დაგყაბულდებით. ახლა უკვე ოთხი დოლარი და ოთხმოცდათხუთმეტი ცენტი მაქვს მიღებული, ბილეთიანად. ხუთი ცენტი კიდევ მეკუთვნის.

ახლა მისტერ უაიტს გადაუბღვირა და ამ ჩია კაცმაც ხელად ამოიღო მონეტა.

— გმადლობთ, — სამივეს ერთად მიმართა მარტინმა, — კარგად იყავით.

— ყაჩაღო! — მიაბღავლა მისტერ ენდსმა.

— ქურდო! — დაუბრუნა მარტინმა და კარი გაიჯახუნა.

ამ გამარჯვებამ გაამხნევა მარტინი, ისე გაამხნევა, რომ გადაწყვიტა «ფრაზანას» რედაქციაშიც შეევლო, «ფერიასა და მარგალიტის» ჰონორარი მოეთხოვა, თხუთმეტი დოლარი. მაგრამ აქ სუფთად წვერგაპარსული, ჩასკვნილი ბიჭები დაუხვდნენ,

ნამდვილი ყაჩაღები, რომლებიც ყველაფერს და ყველას ძარცვავდნენ, მათ შორის ერთმანეთსაც. რედაქციის ავეჯის მიმსხვრევ-მომსხვრევა კი მოახერხა მარტინმა, მაგრამ საბოლოოდ რედაქტორმა (რომელსაც სტუდენტობისას პრიზიც კი მიეღო ათლეტიკაში), საქმეთა მმართველის, განცხადებათა განყოფილების აგენტისა და შვეიცარის დახმარებით, გარეთ გამოსვა მარტინი და კიბეზე სწრაფად დაშვებაშიაც დაეხმარა.

— შემოიარეთ ხოლმე, მისტერ იდენ. თქვენი ნახვა ყოველთვის გვესიამოვნება. — სიცილით გადმოსძახეს ზემოდან.

მარტინი წამოდგა და თვითონაც გაეღიმა.

— ფუ! — წაიბუტბუტა მან, — ყოჩაღ, ბიჭებო! სად «კონტინენტურის» თხები და სად ესენი!

ზემოდან ისევ სიცილით შეეხმიანენ:

— სიმართლეს ვერ დაგიკარგავთ, მისტერ იდენ, — გაისმა «ჭრაზანას» რედაქტორის ხმა, — პოეტის პირობაზე კარგა მაგრად იბრძვი. იქნებ ეს მაინც გვითხრა, ნოკაუტი სად გისწავლია?

— საცა შენ ნოკდაუნი გასწავლეს, — მიუგო მარტინმა, — ყოველ შემთხვევაში, დალილავებული თვალი კარგა ხანს გაგყვება!

— შენც კარგა ხანს გაგყვება მგელივით გაშეშებული კისერი, — გულიანად ჩამოსძახა რედაქტორმა, — რას იტყვი, ამის აღსანიშნავად არ დაგველია? კისერზე კი არ გეუბნები — ჩვენი გაცნობის აღსანიშნავად.

— რაღა მეთქმის, რაკი ბრძოლა წავაგე, უნდა დაგთანხმდეთ, — დაეთანხმა მარტინი.

მძარცველებმა და გაძარცულმა ერთად გადაჰკრეს, თავაზიანად შეთანხმდნენ, რომ, რაკი ბრძოლა უძლიერესმა მოიგო, ის თხუთმეტი დოლარიც მას ეკუთვნოდა — «კრაზანას» რედაქციას.

თავი ოცდამეთოთხმეტე

ართური ჭიშკართან დარჩა, რუთმა კი კიბე აიარა და მარიას პარმაღზე ავიდა. პარმაღზევე შემოესმა საბეჭდი მანქანის აჩქარებული ჩხაკუნი, ხოლო როცა ოთახში შევიდა, ნახა, რომ მარტინი რაღაც ხელნაწერის უკანასკნელ გვერდს ამთავრებდა. ქალი იმის გასაგებად მოსულიყო — სადღესასწაულო სუფრაზე მოვიდოდა თუ არა მათთან მარტინი. მაგრამ მანამ იგი რისამე თქმას მოასწრებდა, მარტინმა იმაზე დაუწყო ლაპარაკი, რითაც ახლა მისი გონება იყო მოცული.

— უნდა წაგიკითხო, — შესძახა მან და გადაბეჭდილი მასალის ასლები ცალკე დაუწყო, — ეს ჩემი ბოლო ნაწარმოებია, ყველასაგან განსხვავებული, რაც კი ოდესმე დამიწერია. იმდენად განსხვავებული, რომ ცოტა არ იყოს მეშინია კიდეც, თუმცა გულის სიღრმეში მაინც მგონია, რომ კარგი იქნება. ამის მსაჯული შენ იყავი. ჰავაიური მოთხრობაა. «ვიკი-ვიკი» დავარქვი.

სახე შემოქმედის ცეცხლით გაბრწყინებოდა, თუმცა რუთს ამ ცივ ოთახში კანკალი დააწყებინა და ხელი რომ ჩამოართვა მარტინს, ჭაბუკის გაყინულმა ხელმა ერთბაშად ჟრუანტელი მოჰგვარა.

გულისყურით უსმენდა, და თუმცა მარტინი სახეზე უკმაყოფილებას ამჩნევდა, ბოლოს მაინც ჰკითხა:

— პირდაპირ მითხარი, რას ფიქრობ?

— ა — არ ვიცი, — მიუგო ქალმა, — ვითომ... როგორ გგონია, გასაღდება?

— არა მგონია, — აღიარა მარტინმა, — ჟურნალები ამას ვერ მოერევა. მაგრამ ისე კი სინამდვილეა, სრული სინამდვილე.

— რაღა სულ იმისთანა რამეებს წერ, რაც ვერ გასაღდება? — აღარ მოლბა რუთი, — შენ ხომ იმისთვის წერ, რომ იცხოვრო ამით?

— მართალია... მაგრამ თვითონ ამბავი მომერია. არ შემეძლო არ დამეწერა. ძალათი დამაწერინა თავი.

— თანაც, ეს ვიკი-ვიკი... რატომ ალაპარაკებ ასე ტლანქად? რაღა თქმა უნდა, არავის მოეწონება... რედაქტორებიც არა ტყუიან, როცა ამისთანა რამეებს უკან გიბრუნებენ.

— ნამდვილი ვიკი-ვიკი სწორედ ასე ლაპარაკობდა.

— ცხოვრება ასეთია! — არ დაუთმო მარტინმა, — ეს ხომ სინამდვილეა, ჭეშმარიტებაა. როგორც ვხედავ ცხოვრებას, ისეთი უნდა აღვწერო.

რუთს აღარაფერი უპასუხნია და რამდენიმე წუთს ასე უხერხულად ისხდნენ, ხმა არ გაუღიათ. ისე გაგიჟებით უყვარდა ჭაბუკს ქალი, რომ მისი არ ესმოდა, ქალს კი, თავის მხრივ, იმიტომ არ ესმოდა ჭაბუკისა, რომ იგი მეტისმეტად დიდი იყო და გონების ჰორიზონტს უბნელებდა.

— ჰო, მართლა, «ტრანსკონტინენტურიდან» ჰონორარი მივიღე, — მარტინმა სცადა უფრო სასიამოვნო საგანზე გადაეტანა საუბარი. როცა გაიხსენა, თუ როგორ დასცინცლა ბაკენბარდებიან ტრიოს ოთხი დოლარი, ოთხმოცდაათი ცენტი და ბორნის ბილეთი, გულიანად გაიცინა.

— მაშ, მოხვალ! — შესძახა გახარებულმა რუთმა, — სწორედ ამის გასაგებად მოვედი.

— მოვალ? — ჩაეკითხა გაკვირვებული მარტინი, — სად?

— როგორ თუ სად — ჩვენთან სადილად. აკი ამბობდი, ფული თუ ავიღე, კოსტიუმს გამოვიხსნიო.

— სულ დამავიწყდა, — დარცხვენით ჩაილაპარაკა მარტინმა, — დღეს მარიას ორი ძროხა და ხბო დაუჭერია პოლიციელს... გამოსახსნელი ფული არა ჰქონდა... რაღა უნდა მექნა, მე გამოვუხსენი «ტრანსკონტინენტურის» ხუთი დოლარი ამას მოუნდა... «ზარის ძახილის» მთელი ჰონორარი პოლიციელის ჯიბეში ჩავიდა.

— მაშ, აღარ მოხვალ?

მარტინმა ტანსაცმელზე დაიხედა.

— როგორღა მოვალ!

რუთს იმედის გაცრუებისა და სიბრაზის ცრემლები მოადგა ლურჯ თვალებში, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— გაისად ერთად შევხვდებით ამ დღესასწაულს დელმონაკოში, — მხიარულად უთხრა მარტინმა, — გინდა ლონდონში ან პარიზში, საცა მოგესურვება. ეგ დანამდვილებით ვიცი.

— ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, — თქვა ქალმა, — რკინიგზის საფოსტო უწყებაში რამდენიმე ადგილია თავისუფალი. შენ ხომ პირველი იყავი რიგში?

მარტინი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მიიღო კიდეც უწყება, მაგრამ არ წავიდა.

— ისე ვიყავი... ისე ვარ დარწმუნებული გამარჯვებაში... — დასძინა მან, — გაისად ამ დროს იმაზე მეტი შემოსავალი მექნება, რასაც მთელი დუჟინი ფოსტის მოხელე ვერ აიღებს. აგერ ნახავ.

— ოჰ! — ესღა აღმოხდა ქალს. წამოდგა და ხელთათმანების ჩაცმა დაიწყო, — უნდა წავიდე მარტინ, ართური მელოდება.

მარტინმა ხელი მოხვია და აკოცა, მაგრამ რუთი ცივად შეხვდა ვაჟის ალერსს: ჟრუანტელი არ დაუვლია მისთვის ტანში, ხელები არ დაძრულა მარტინის კისერზე მოსახვევნად და ტუჩებიც ჩვეული გზნებით არ შეხებია ჭაბუკის ტუჩებს.

გამიბრაზდა, დაასკვნა მარტინმა, როცა ჭიშკრიდან მობრუნდა. მაგრამ რატომ? რაღაც უბედურად პოლიციელმა ძროხები დაუჭირა მარიას. რას იზამ — უბედური შემთხვევაა. ვისი რა ბრალია. აზრადაც კი არ მოსვლია მარტინს, სხვაგვარად თუ შეიძლებოდა მოქცეულიყო. არა, ცოტა კი დავაშავე, გადაწყვიტა მან ბოლოს, საფოსტო უწყებაში რომ არ წავედი. არც ეს «ვიკი-ვიკი» მოეწონა.

კიბე რომ აიარა, მობრუნდა და ფოსტალიონი დაინახა. მოლოდინის ჩვეულმა მღელვარებამ მოიცვა, როცა გრძელ-გრძელი კონვერტები ჩამოართვა. ერთი პატარაც აღმოჩნდა. მოკლე და თხელი კონვერტი იყო «ნიუ-იორკის მიმომხილველი» ეწერა გარედან. მანამ გახსნიდა, ერთხანს შეიცადა. მოთხრობის მიღების მაუწყებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან იქ არაფერი გაუგზავნია. ალბათ — ამის გაფიქრებაზე ლამის გული გაეყინა — ალბათ რაიმე სტატიას მიკვეთენ. მაგრამ ეს ყოვლად წარმოუდგენელი ვარაუდი მაშინვე უარჰყო.

რედაქტორის მოკლე, ოფიციალური წერილი იყო, ანონიმური ბარათი შემოვიდაო, ატყობინებდა, და იქვე ამშვიდებდა მარტინს — ჩვენი რედაქცია ანონიმურ ბარათებს არავითარ ყურადღებას არ აქცევსო.

აქვე იყო ანონიმური ბარათიც, მსხვილი ასოებით დაწერილი. იგი წარმოადგენდა უვიცი ადამიანის მიერ შედგენილ სალანძღავი სიტყვების დომხალს და იუწყებოდა, რომ «გგრეთ წოდებული მარტინ იდენი», რომელიც ჟურნალებში გასასყიდად გზავნის მოთხრობებს, სულაც არ არის მწერალი, სინამდვილეში იგი ძველი ჟურნალებიდან იპარავს მოთხრობებს, საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავს, თავისად ასაღებს და რედაქციებს უგზავნის. კონვერტს ფოსტის ბეჭედი აჩნდა — «სან ლეანდრო». მარტინს დიდი თავისმტვრევა არ დასჭირვებია. მაშინვე გამოიცნო წერილის ავტორი. ჰიგინბოთამის გრამატიკა, ჰიგინბოთამის გამოთქმები, ჰიგინბოთამის აზროვნება მეტისმეტად თვალსაჩინო იყო. ასოების ლამაზად გამოყვანას არცა ცდილა, ავტორი, ეს იყო ბაყალის ნაცოდვილარი და მარტინმა მაშინვე თავისი სიძის ნაჯღაბნი შეიცნო.

მაგრამ რატომ? ეკითხებოდა საკუთარ თავს მარტინი და პასუხი ვერ გაეცა. რა დაუშავა ბერნარდ ჰიგინბოთამს? ეს უგუნურება იყო, გაუგებრობა. ვერაფრით ვერ გაამართლებდი. იმ კვირაში ბარე ერთი დუჟინი ასეთი წერილი მიიღო აღმოსავლეთ შტატების სხვადასხვა ჟურნალებიდან. რედაქტორებს დიდი კეთილშობილება გამოუჩენიათ, დაასკვნა მარტინმა. თვალითაც არ ენახათ მარტინი, მაგრამ მაინც თანაგრძნობა გამოიჩინეს. ეტყობოდათ, თვითონვე სძულდათ ანონიმური წერილები. ბოროტებამ ვერ იხარა. კაცმა რომ თქვას, იქნებ დახმარებოდა კიდეც ეს მარტინს — გაიგებდნენ მაინც მის სახელს, რედაქტორები ყურადღებას მიაქცევდნენ. ზოგი მათგანი მარტინის მოთხრობას რომ წაიკითხავს ახლა, იმ ანონიმურ წერილს გაიხსენებს. და ვინ იცის, იქნებ მარტინისკენ გადმოიხაროს სასწორი.

ამავე ხანებში მოხდა ისეთი რამ, რამაც მარტინი ერთიანად დასცა მარიას თვალში. ერთ დილას სამზარეულოში შესულ მარტინს მარია ღაპაღუპით ცრემლჩამომდინარე დაუხვდა, ქალი ტკივილებისაგან კვნესოდა და დიდი უთოსათვის ძვრაც ვერ ეყო, ძალა არ ჰყოფნიდა. ხელად დაასკვნა, რომ მარიას გრიპი ჰქონდა, მაშინვე ვისკი გამოუტანა (ბრისენდენის მოტანილ ბოთლებში ჩარჩენილიყო), და ლოგინში ჩაწექიო ურჩია. მარია ჯიუტობდა, იმავე დღეს უნდა მოეთავებინა საუთოებელი და საღამოზე პატრონისათვის ჩაებარებინა, თორემ დილისთვის შვიდ პატარა მშიერ სილვას ლუკმა პური არ მოეძევებოდა.

მისდა გასაკვირად (და ამას, მანამ პირში სული ედგა, მუდამ იგონებდა ხოლმე მარია), მარტინმა ღუმელიდან დიდი უთო დაითრია და საუთოებელზე სიფრიფანა კოფთა გაშალა. ეს იყო კეიტ ფლენაგენის საუკეთესო საკვირაო კოფთა. ფლენაგენი კი ამ არე-მარეში ყველაზე კოპწია და კოკობზიკა ქალად ითვლებოდა. თანაც მისს ვლენაგენმა საგანგებოდ შემოთვალა, კოფთა ამაღამვე მჭირდებაო. ქვეყანამ იცოდა, რომ იგი მჭედელ ჯონ კოლინზს ეკურკურებოდა; მარიასათვის კი საიდუმლოდ ისიც იყო ცნობილი, რომ ხვალ შეყვარებულები ოქროს ჭიშკრის პარკში აპირებდნენ გასეირნებას. მარიას ყოველგვარი ცდა, როგორმე ეხსნა კოფთა, ამაო გამოდგა. მარტინმა ძალათი დასვა იგი სკამზე, საიდანაც თვალდაჭყეტილი შეჰყურებდა ჭაბუკის საქმიანობას. იმის მეოთხედ დროში, რასაც თვითონ მოანდომებდა გაუთოებას, მარიამ გამზადებული კოფთა ჩაიბარა — ასე კარგად და კოხტად თვითონ თავის დღეში ვერ გააუთოებდა. ეს აღიარა ქალმა.

— ამაზე ცხელი უთო რომ მქონოდა, უფრო მალე მოვრჩებოდი, — უთხრა მარტინმა.

არადა, მარია თავის დღეში ვერ გაბედავდა ასეთი ცხელი უთოს გასმას.

— თქვენ ცუდად ნამავთ. — განუმარტა მარტინმა, — თუ გინდათ, გასწავლით, როგორ უნდა დანამვა. დანამული თეთრეული კარგად უნდა დაიტკეპნოს და ხელად გაუთოვდება.

საკუჭნაოდან ყუთი გამოარბენინა, ხუფი მოაბა და ზედ რკინის ნატეხები დაამაგრა, რასაც მარიას ნაშიერები უტილისათვის აგროვებდნენ. დანამული თეთრეული ყუთში ჩააწყო და ზემოდან დამძიმებული ხუფი დაახურა.

— ახლა კი მიყურეთ, — უთხრა მან მარიას. წელზეით გატიტვლდა და გავარვარებულ უთოს დასტაცა ხელი.

— უთოობა როცა მორჩი, შალის დარეცხა გასწავლა, — ყვებოდა შემდეგ მარია, — მარია, შენ დიდი სულელი ქალი ხარ, — ასე გითხრა, — მე შენ გასწავლე, როგორ უნდა შალის გარეცხვა, და მართალია გასწავლა. ათი წუთი აკეთა მანქანა. ერთი კასრა, ბორბალა და ორი ჯოხი, აი ასე.

ეს მოწყობილობა «ცხელი წყაროდან» ახსოვდა მარტინს, ჯომ ასწავლა. ჯოხზე დამაგრებული ბორბლის მორგვი დგუშად გამოიყენა. სამზარეულოს სახურავიდან თოკი ჩამოუშვა და ბოლოში მიამაგრა დგუშს. ახლა უკვე ცალი ხელით შეეძლო დგუშის ტრიალი. შალის სარეცხი ყუთი ტრიალებდა და ირეცხებოდა.

— მერე მე აღარც ვიწვალე შალის სარეცხზე, — დაამთავრებდა ხოლმე ამბავს მარია, — ბალღები დავაყენო, თოკი ვატრიალებია და სარეცხი თავისით გაირეცხა. დიდი ჭკვიანი კაცი მისტერ იდენი.

ასე შეუმსუბუქა მარტინმა შრომა მარიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალის თვალში ძალიან დამცირდა, როცა გაიგო, მრეცხავი ყოფილაო, ის რომანტიკული შარავანდი, რაც მისი წარმოდგენით ადგა მარტინს, ერთბაშად გაქრა. ხელად დაკარგა ფასი ამდენმა წიგნმა, კარეტით სტუმრად მოსულმა ხალხმა და ვისკის ბოთლებმა. უბრალო მუშა ყოფილა, ბოლოს და ბოლოს, ისეთივე, როგორც თვითონ მარია იყო. ამის შემდეგ უფრო ახლობელი შეიქნა მარტინი მისთვის, მისი მდგომარეობა უფრო გასაგები გახდა, მაგრამ იმ შარავანდის იდუმალება კი სამუდამოდ გაქრა.

თავისიანებს სულ უფრო და უფრო ჩამოშორდა მარტინი. მისტერ ჰიგინბოთამის წარუმატებელი შეტევის შემდეგ მისტერ ჰერმან ფონ შმიდტმა გამოიღო ხელი. მარტინს ერთი პირობა ბედმა გაუღიმა — რამდენიმე ფელეტონისა და სახუმარო ლექსის გასაღება მოახერხა და ცოტათი მოითქვა სული. ვალის ნაწილი გაისტუმრა და ველოსიპედი გამოიხსნა. ველოსიპედს შეკეთება სჭირდებოდა და მარტინმა ფონ

შმიდტის სახელოსნოში გაგზავნა — ამით თავის მომავალ სიძეს სცა პატივი, მეგობრული გრძნობები გამოიჩინა.

იმავე დღეს, საღამო ხანს, პატარა ბიჭმა ველოსიპედი უკანვე მოუტანა მარტინს და ძალიანაც გაახარა. ეტყობოდა, ფონ შმიდტსაც გადაეწყვიტა მეგობრული განწყობილების გამოჩენა. შეკეთებულ ველოსიპედს, როგორც წესი, თვითონ კი არ აგზავნიდა სახელოსნო, პატრონს უნდა მიეკითხა. მაგრამ როცა კარგად დახედა მარტინმა, ნახა, რომ ხელიც კი არ ეხლოთ. ცოტა უფრო მოგვიანებით ტელეფონით დაურეკა სახელოსნოში სასიძოს და მაშინ პირდაპირ მოახსენეს — სულაც არ მსურს თქვენთან რაიმე საერთო მქონდეს, არც საქმიანი ურთიერთობა და არც არაფერიო.

— ჰერმან ფონ შმიდტ, — მხიარულად უპასუხა მარტინმა, — როცა იქნება შემოგივლით და მაგ ჰოლანდიურ სიფათს გაგიბრტყელებთ.

— ჩემს სახელოსნოში თუ გაგიბედავს მოსვლა, — იყო პასუხი, მაშინვე პოლიციას გამოვუძახებ. გაყურებინებ სეირს. გიცნობ, რა შვილიც ბრძანდები, ჩხუბს არ გაგაბედინებ. შენისთანებთან არაფერი მესაქმება, მუქთახორა ხარ და მეტი არაფერი. მერე რა, რომ შენს დას ვირთავ, გინდა კისერზე ჩამომეკიდო? ვერ მოგართვეს, თავს არ გაგაყვლეფინებ. ადექი და ხელი გაანძრიე. რატომ არ გინდა, რომ პატიოსანი ლუკმა მოიპოვო? ჰა, მიპასუხე!

მარტინმა თავი შეიკავა, გაგულისება დაიცხრო, ყურმილი დაკიდა და სტვენას მოჰყვა. ჯერ კი გაართო ამ ამბავმა, მაგრამ თანდათანობით მოერია მარტოობის განცდა და გული ატკინა. ვერავინ ვერ გაუგო, ყველას უქნარად მიაჩნია, გარდა ბრისენდენისა და ბრისენდენიც სადღაც გაქრა. ღმერთმა უწყის სად!

ბინდი წვებოდა, როცა მარტინი ბოსტნეულის დუქნიდან გამოვიდა. ხელში ნავაჭრი ეჭირა. მოსახვევში ტრამვაი გაჩერდა და ნაცნობი, აწოწილი ფიგურა გამოჩნდა. გული სიხარულით აუძგერდა მარტინს. ეს ბრისენდენი იყო, და ტრამვაის სარკმელებიდან გამოჭრილ სინათლეზე მარტინმა პალტოს გამობერილი ჯიბეები შენიშნა — ერთი წიგნებით გამოეტენა, მეორეში ვისკის ბოთლი ედო.

თავი ოცდამეთხუთმეტე

ბრისენდენს თავად არ უთქვამს, სად დაიკარგა ამდენ ხანს და არც მარტინს უკითხავს რამე. იგი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მეგობრის გადაფითრებულ სახეს შეჰყურებდა, ტოდის ტოლჩიდან ამდგარ ორთქლში გახვეულს.

— არც მე ვმჯდარვარ უქმად, — განაცხადა ბრისენდენმა, როცა მარტინს მოუსმინა. მარტინმა უამბო, თუ რა დაწერა ამ დღეებში.

პიჯაკის ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო ბრისენდენმა და მარტინს გადააწოდა. მარტინმა სათაურს დახედა და გაკვირვებით შეხედა მეგობარს.

— ჰა, რას იტყვი? — გაეცინა ბრისენდენს, — ხომ კარგი სათაურია? «ეფემერა» — მოკლე სათაურია, სულ ერთი სიტყვა. და ისიც შენ შთამაგონე. ხომ გახსოვს, რომ მეუბნებოდი — ადამიანი უკანასკნელი ეფემერიდია, გაცოცხლებული მატერია, ტემპერატურის წყალობით შექმნილი, რომელიც თერმომეტრის სკალაზე მიცოცავს და თავის პაწაწინა ადგილს ეძებსო. ისე ჩამეჭდო ეს თავში, რომ, მანამ არ დავწერე, ვეღარ მოვისვენე. წაიკითხე, შენი აზრი მითხარი.

ჯერ წამოაჭარხალა სახეზე მარტინს, კითხვა რომ დაიწყო, მერე სულ დაკარგა ფერი. ეს იყო სრულყოფილი ხელოვნება. აქ ფორმა შინაარსზე გამარჯვებას ზეიმობდა, თუკი შეიძლება ზეიმი ეწოდოს იმას, როცა ყოველი უმცირესი ნიუანსი შინაარსისა თავის სიტყვიერ გამოსახულებას პოულობდა, და თანაც ისეთ

სრულყოფილს, რომ მარტინს სიხარულის ცრემლები მოადგა თვალზე, ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ეს იყო ექვსას-შვიდას სტრიქონიანი მოგრძო პოემა — რაღაც ფანტასტიკური, საოცარი, არაამქვეყნიური ქმნილება; ძრწოლის მომგვრელი, დაუჯერებელი რამ... მაგრამ ახლა ხელში ეჭირა მარტინს ეს პოემა, შავით თეთრზე დაწერილი. აქ დახატული იყო ადამიანის დაუცხრომელი სული, მისი მარადიული სწრაფვა უსაზღვრო სივრცეების დაპყრობისა და შორეულ მზეებთან მიახლოებისა. ეს იყო გიჟური ორგია წარმოსახვისა, მომაკვდავი ადამიანის წარმოსახვისა, რომელიც ძლივსღა სუნთქავდა, სულს ღაფავდა. პოემის ამაღლებულ რიტმში ისმოდა ყრუ ზრიალი, მეტეორთა შეჯახებანი... წყვდიადით მოცულ, დანისლულ სივრცეებში დროდადრო ცეცხლოვანი გაელვება... და ამ კოსმოსურ აურზაურში, პლანეტების ზრიალსა და ნგრევაში ძლივს გაისმის ადამიანის სუსტი, გაუთავებელი კნავილი და წუწუნი.

— ამის მსგავსს ვერაფერს შეხვდები ლიტერატურაში, — წარმოთქვა მარტინმა კარგა ხნის შემდეგ, როცა ლაპარაკი მოახერხა, — დიდებულია! დიდებული! ტვინში გამიჯდა. დამათრო. ისე ჩამეჭდო თავში ეს უდიდესი, მარადიული საკითხი, რომ აღარ მშორდება. ახლაც ყურში მიწივის ეს გაუთავებელი, სუსტი, საცოდავი კნავილი ადამიანისა, რომელიც რაღაცას ეძებს და ვერ მიწვდომია. მომაკვდავი კოღოს წივილსა ჰგავს, სპილოებისა და ლომების ღრიალში არეულს. მაგრამ ამ წივილში დაუცხრომელი ვნება გამოსჭვივის. ვგრძნობ, რომ სისულელეს ვროშავ, მაგრამ ამ პოემამ ერთიანად დამიპყრო და გამიტაცა. შენ... არ ვიცი, როგორ გითხრა... საოცრება ხარ! მაგრამ როგორ დაწერე, როგორ გამოგივიდა ამისთანა რამე.

მარტინმა ერთი წუთით დაიღო სული, რათა კვლავ ხოტბისათვის მოეხსნა პირი.

«— მორჩა, ხელი უნდა ავიღო წერაზე. ან კი რა მწერალი ვარ — მჯღაბნელი ვყოფილვარ. ჭეშმარიტი ხელოვნება შენ მაჩვენე. გენიოსი ხარ! გენიოსობა ცოტაა — რაღაც უფრო მეტი ხარ. ეს სიგიჟეში გადასული ჭეშმარიტებაა. ეს ხომ სიმართლეა, კაცო, ყოველი სტრიქონი სიმართლეს ღაღადებს. ნეტა, შენ თვითონ თუ გრძნობ ამას, დოგმატიკოსო?! მეცნიერებამაც რომ უკირკიტოს, ისეთს ვერაფერს იპოვის, ჭეშმარიტებას ღალატობდეს. ეს წინასწარმეტყველის ჭეშმარიტებაა. კოსმოსის რკინისაგან გამოკვერილი და ლექსის ძლიერი რიტმით სილამაზისა და ბრწყინვალების ქსოვილში ჩაწნული. მეტს ვეღარაფერს ვიტყვი. გაოგნებული და განადგურებული ვარ. არა, კიდევ გეტყვი რაღაცას: ნება მომეცი, ეს პოემა რომელიმე ჟურნალში დავაბეჭდინო.

ბრისენდენს ჩაეცინა.

— ერთ ჟურნალს ვერ ნახავ მთელ საქრისტიანოში, ამის დაბეჭდვა რომ გაბედოს. ეს შენც ხომ იცი.

— არაფერიც არ ვიცი. მე ის ვიცი, რომ მთელ საქრისტიანოში ერთი ჟურნალიც არ აღმოჩნდება, მაშინვე არ სტაცოს ამას ხელი. ამისთანა რამეს ყოველდღიურად ხომ ვერ მიიღებენ! ეს ხომ ჩვეულებრივი პოემა არ არის, რასაც ყოველწლიურად წერენ ხოლმე! ეს საუკუნის მოვლენაა.

— ახლავე გამოგიჭერ — შენ შენივე თავს ეწინააღმდეგები.

— მოეშვი მაგ ცინიზმს, — უთხრა მარტინმა, — განა მთლად ასე წყალწაღებული შტერები არიან რედაქტორები. მე ხომ ვიცი. სანაძლეოს ჩამოვალ, რაზედაც გინდა, რომ ამ შენს «ეფემერას» თუ პირველივე ჟურნალი არა, მეორე ჟურნალი მაინც, საცა მე გავგზავნი, მიიღებს და დაბეჭდავს.

— არის ერთი გარემოება, რაც ხელს მიშლის, შენი სანაძლეო მივიღო, — ბრისენდენმა ერთი წუთით შეიცადა, — ვიცი, რომ ეს დიდი ნაწარმოებია, ამაზე

უკეთესი არაფერი დამიწერია. ეს ჩემი გედის სიმღერაა. მეამაყება კიდეც. ვაღმერთებ. ყოველგვარ ვისკის მირჩევნია. მართლაც დიდი და სრულყოფილი ნაწარმოებია. ჩემს ყმაწვილკაცობაში, როცა სპეტაკი იდეალები და ტკბილი ზმანებანი მქონდა, ბევრი მიოცნებია ასეთი რამის დაწერაზე. და ახლაღა მოვახერხე, უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ. შენ კი მირჩევ, რომ ავდგე და ღორებს მივუგდო საჯიჯგნად. არა. მაგ სანაძლეოს მე არ მივიღებ. ეს ჩემია. მე დავწერე და არც მინდა შენს მეტს ვინმეს წავაკითხო.

— სხვაზე რატომ არაფერს ფიქრობ, მთელ სამყაროზე, — შეესიტყვა მარტინი, — სილამაზის დანიშნულება ხომ ის არის, ხალხს მოჰგვაროს სიამოვნება და სიხარული.

— ეს ხომ ჩემი შექმნილი სილამაზეა — რასაც მინდა, იმას ვუზამ.

— ნუ ხარ ეგოისტი.

— ეგოისტი სულაც არა ვარ, — ბრისენდენს ჩაეცინა, თითქოს წინასწარ ხარობს იმ სიტყვებით, რაც, ეს არის, მისმა თხელმა ტუჩებმა უნდა წარმოთქვასო, — როგორც მშიერ ღორს ვერ დასწამებ ეგოისტობას, ვერც მე.

ამაოდ ცდილობდა მარტინი ბრისენდენის დაყოლიებას. ტყუილ-უბრალოდ ხარ გახელებული ჟურნალებზეო, ეუბნებოდა, შენი სიძულვილი ფანატიკურიაო. იმ კაცზე ათასჯერ უფრო უგუნურად იქცევი, რომელმაც დიანა ეფესელის ტაძარი დაწვაო. ბრისენდენი მოთმინებით ისმენდა მარტინის გაკიცხვასა და საყვედურებს, დინჯად წრუპავდა სასმელს და უპასუხებდა — ყველაფერს მართალს ამბობ, მაგრამ რედაქტორების საკითხში ვერ დაგეთანხმებიო. რედაქტორების მიმართ მის სიძულვილს საზღვარი არ ჰქონდა, მარტინზე მეტი გამწარებით აგინებდა ხოლმე მათ.

— მანქანაზე თუ გადამიბეჭდავ, მადლობელი ვიქნები, — უთხრა მან, — შენსავით ამას გამოცდილი მბეჭდავიც ვერ მოახერხებს. ახლა კი რჩევა მინდა მოგცე, — ჯიბიდან კარგა დიდი ხელნაწერი ამოიღო, — ეს შენი «მზის სირცხვილია». ერთჯერ კი არ წამიკითხავს — სამჯერ წავიკითხე. ამაზე უფრო დიდ ქათინაურს მე ვერაფერს გეტყვი. რაც შენ «ეფემერაზე» მითხარი, იმის შემდეგ იძულებული ვარ გავჩუმდე. ერთ რამეს კი გეტყვი: «მზის სირცხვილი» საშინელ ალიაქოთს გამოიწვევს, როცა დაიბეჭდება, ატყდება დიდი დავა და კამათი, რაც ყოველგვარ რეკლამას გერჩივნოს.

მარტინს გაეცინა.

— შენი მეორე რჩევა ის ხომ არ იქნება, რომელიმე ჟურნალში გავგზავნო?

— არაფრის დიდებით... თუკი მართლა გინდა, დაბეჭდილი იხილო, რომელიმე დიდ გამომცემლობას შესთავაზე. იქნებ გიჟი აღმოჩნდეს რეცენზენტი ან მთვრალი და კარგი დასკვნა დაწეროს. შენ ბევრი წიგნი წაგიკითხავს. ეს წიგნები მარტინ იდენის ტვინში გადახარშულა და «მზის სირცხვილი» შეუქმნია... ერთ მშვენიერ დღეს მარტინ იდენი სახელგანთქმული მწერალი გახდება და სახელის მოხვეჭაში ამ ნაწარმოებსაც დიდი როლი ექნება შესრულებული. ასე რომ გამომცემელი მოძებნე — რაც უფრო მალე იზამ ამას, მით უკეთესი.

იმ ღამეს გვიანობამდე დარჩა ბრისენდენი მარტინთან, ხოლო როცა ტრამვაის საფეხურზე შედგა ფეხი, უცებ მობრუნდა და მარტინს დაჭმუჭნილი ქაღალდი ჩასჩარა ხელში.

— გამომართვი, — უთხრა მან, — დღეს დოღზე ვიყავი და სანაძლეომ გამიმართლა.

ზარმა გაიწკრიალა და ტრამვაი ადგილიდან დაიძრა. გაოგნებული მარტინი იქვე დარჩა — ხელში გაზინთულ, დაჭმუჭნილ ქაღალდს ატრიალებდა. შინ რომ მობრუნდა, გაშალა და ასდოლარიანი აღმოჩნდა.

მარტინს დიდი ყოყმანი და სინდისის ქენჯნა არ განუცდია, როცა ამ ფულს ხარჯავდა. იცოდა, რომ მის მეგობარს ფული მუდამ ბლომად ჰქონდა; იმაშიაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მალე გაუმართლებდა და მაშინ გადაუხდიდა. დილით, რაც კი რამ ვალი ჰქონდა, სულ გაისტუმრა, მარიას წინასწარ გადაუხადა ოთახის ქირა მთელი სამი თვისა და დაგირავებული ნივთებიც გამოისყიდა. მერე მერიენს საქორწინო საჩუქარი უყიდა და სხვა უბრალო საშობაო საჩუქრებიც შეიძინა რუთისა და გერტრუდასათვის. დაბოლოს, სილვების მთელი ჯილაგი შეჰყარა და ოუკლენდში წაასხა, ერთი წლით დააგვიანა დაპირების შესრულება — მარიასაც და მის ბალღებსაც თითო წყვილი ფეხსაცმელი ჩააცვა. არც ამას დააყაბულა: მოდგა და ბალღებს სალამურები, ტიკინები, ათასნაირი სათამაშოები, აგრეთვე ყოველგვარი საცუცქნავი — ნამცხვრებიო, კამფეტებიო, თხილი უყიდა, ბალღებს ძლივს მოჰქონდათ ამდენი რამე.

საკონდიტრო მაღაზიაში რომ შედიოდა ეს ყოვლად ახირებული პროცესია, რაღაც უშველებელი ნამცხვრის საყიდლად, რუთი და დედამისი შეხვდათ. მისის მორზს ელდა ეცა. რუთსაც ეტკინა გული. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა გარეგნობას, ახლა კი მარიას გვერდში რომ დაინახა თავისი მიჯნური, ხოლო მათ უკან ჩამობრანძული პორტუგალიელი ბალღების მთელი ხროვა შენიშნა, არ ეჭაშნიკა, ვერაფერი სანახავი იყო. ფაქტი თავისთავად იმდენი არაფერი, მაგრამ მაშინვე ის გაიფიქრა, სიამაყე და თავმოყვარეობა აკლიაო. ყველაზე უფრო გულდასაწვავი კი ის იყო, რომ ამ ინციდენტმა რუთს აშკარად დაანახვა — მარტინი ვერასოდეს ვერ ამაღლდებოდა, თავის გარემოს ვერ გასცდებოდა. თავისთავად ხომ სამარცხვინო იყო ეს ამბავი, მაგრამ საქვეყნოდ გამომზეურება და რუთის წრის დასანახად გამოტანა, უკვე მეტისმეტი გამოდიოდა. მართალია, საიდუმლოდ ინახავდნენ ნიშნობის ამბავს, მაგრამ მათი სიახლოვე შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენია ჭორების მოყვარულ ხალხს. საკონდიტროშიაც აღმოჩნდნენ ნაცნობები, რომლებიც ჩუმჩუმად უთვალთვალებდნენ მისს მორზის საქმროსა და მის ახირებულ მხლებლებს. რუთი ნამდვილი შვილი იყო თავისი წრისა და მარტინის ხელგაშლილობა და დარდიმანდული ბუნება მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. მისმა მგრძნობიარე გულმა ეს ამბავი მეტისმეტად სათაკილოდ მიიღო, ძალიან შეწუხდა. ისე შეწუხდა, რომ მარტინმა იმ საღამოს საჩუქრის ამოღება ვეღარც კი გაბედა ჯიბიდან, სხვა დროისათვის გადასდო. რუთი საშინლად აღელვებული დახვდა, სიმწრის ცრემლებს აფრქვევდა და ამან გააოგნა მარტინი. ქალის ასეთმა ტანჯვამ იგი დაარწმუნა, ნამდვილი პირუტყვი ვარო, თუმცა გულის სიღრმეში მაინც ვერ მიმხვდარიყო, რა დააშავა. ვერანაირად ვერ წარმოედგინა, რატომ უნდა ყოფილიყო სათაკილო ნაცნობებთან ურთიერთობა, რატომ უნდა სწყენოდა რუთს, რომ იგი სილვების ოჯახთან ერთად გავიდა ქუჩაში საშობაო საჩუქრების საყიდლად. მაგრამ მაინც სცადა ჩასწვდომოდა რუთის საყვედურებს, მიეწერა იგი ქალური სისუსტისათვის, რაც, ეტყობა, ქვეყნად საუკეთესო ქალისთვისაც კი უცხო არ ყოფილა.

თავი ოცდამეთექვსმეტე

— წამოდი, ნამდვილი ცხოვრება გაჩვენო, — უთხრა იანვრის ერთ საღამოს ბრისენდენმა.

სან-ფრანცისკოში ისადილეს და, ის იყო, ბორნით უკანვე უნდა გამობრუნებულიყვნენ, ოუკლენდისკენ, რომ ბრისენდენს უცებ მოეხუშტურა, «ნამდვილი ცხოვრება» ეჩვენებინა მეგობრისათვის. ხელადვე შებრუნდა და გაემართა,

აჩონჩხილ მოჩვენებასა ჰგავდა ფართხუნა პალტოში გახვეული. ისე გაუტია, რომ მარტინი ვეღარ ეწეოდა. სასმელების მაღაზიაში ორი ძველი პორტვეინი იყიდა, დაწნული ბოთლები, და მიშიონ სტრიტისკენ მიმავალ ტრამვაიში ავიდა, ვისკის ბოთლებით დატვირთული მარტინი მას მიჰყვა.

«ახლა რომ რუთმა დამინახოს», გაჰკრა უცებ თავში, თუმცა მთელი მისი გონება იმის ვარაუდებს მოეცვა — ნეტა ეს «ნამდვილი ცხოვრება» რა უნდა იყოსო.

— იქნებ უკვე აღარავინ დაგვხვდეს, — თქვა ბრისენდენმა, როცა ისინი ტრამვაიდან ჩამოვიდნენ და მუშათა უბნის ერთ-ერთ ბნელ შესახვევში შთაინთქნენ, მარკეტ სტრიტის სამხრეთით, — მაშინ ვეღარ იხილავ იმას, რასაც ამდენი ხანია დაეძებ.

— რა ჯანდაბაა ასეთი? — ჰკითხა მარტინმა.

— ხალხი, განათლებული ხალხი... ისეთი ენაგატლეკილი არარაობანი კი არა, იმ ვაჭრუკანას ბუნაგში რომ ირეოდნენ. შენ წიგნებს კითხულობდი და მუდამ მარტოობას განიცდიდი. დღეს მე გაჩვენებ ხალხს, რომლებიც შენსავით კითხულობენ წიგნებს... და ამიერიდან ეულად აღარ იგრძნობ თავს.

— მე პირადად მაინცდამაინც არ ვიწუხებ თავს მაგათი გაუთავებელი დავის მოსმენით, — დასძინა მან, როცა ერთი კვარტალი გაიარეს, — წიგნის ფილოსოფია სულაც არ მაინტერესებს. მაგრამ შენ თვითონვე ნახავ, რომ ესენი ნამდვილი ინტელიგენტები არიან, იმ ბურჟუა-ღორებს არა ჰგვანან. ოღონდ უფრთხილდი — რაზედაც არ უნდა ჩამოაგდო სიტყვა, ტოლს არაფერში დაგიდებენ.

— იმედი მაქვს, ნორტონიც დაგვხვდება, — განაგრძო მან ცოტა ხნის შემდეგ. უკვე სუნთქვა შეკვროდა და სულს ძლივს იბრუნებდა. მარტინმა სცადა ბოთლები გამოერთმია, მაგრამ არ დაანება, — ნორტონი იდეალისტია, ჰარვარდის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. იშვიათი მეხსიერების პატრონია. იდეალიზმმა ფილოსოფიურ ანარქიზმამდე მიიყვანა და ოჯახმა გარეთ გამოაგდო. მამამისი რკინიგზის კომპანიის პრეზიდენტია, მილიონერი, შვილი კი ფრისკოში დაეხეტება, მშიერი, ყოველთვიურ ოცდახუთი დოლარის შემყურე, რასაც იგი ანარქისტული ჟურნალის რედაქტორობისათვის იღებს.

მარტინი ხეირიანად არ იცნობდა სან-ფრანცისკოს, მარკეტ სტრიტის სამხრეთით კი ერთხელაც არ გასულიყო. ასე რომ, წარმოდგენაც არა ჰქონდა, საით მიდიოდა.

— კიდევ მითხარი რამე, — უთხრა მან ბრისენდენს, — წინასწარვე გამაცანი ის ხალხი. რას წარმოადგენენ, თავს რითი ირჩენენ? აქ საიდან მოხვდნენ.

— ნეტა ჰამილტონიც დაგვხვდებოდეს, — ბრისენდენი შედგა და ხელი შეასვენა, — ორმაგი გვარი აქვს — სტროუნ-ჰამილტონი. ძველებური სამხრეთული გვარიშვილია. სულ აქეთ-იქით დაწანწალობს, მაგისთანა ზარმაცს მეორეს არ შევხვედრივარ, თუმცა მსახურობს, ყოველ შემთხვევაში ცდილობს იმსახუროს, სოციალისტების ერთ-ერთ კოოპერატივში, ექვს დოლარს იღებს ყოველკვირეულად. ნამდვილი მაწანწალაა. ქალაქ-ქალაქ დაეხეტება. ერთხელ როგორღაც დილიდან დაღამებამდე გაუნძრევლად იჯდა ბაღში, ერთი ნაწილიც არ ჩაეშვა პირში. საღამოხანს დავპატიჟე, რესტორანში ვივახშმოთ-მეთქი, ვუთხარი — იქვე, ორი კვარტალის მოშორებით იყო რესტორანი. «თავის შეწუხებად არ ღირს, ჩემო ძმაო, მითხრა. მაგას ისა სჯობს ერთი კოლოფი სიგარეტი მიყიდოო». ეგეც სპენსერის მიმდევრად ითვლებოდა, შენი არ იყოს, მანამ კრეისმა არ მოაქცია მატერიალისტ-მონისტად. ავალაპარაკებ კიდეც მონიზმზე, თუ მოვახერხე. ნორტონიც მონისტია, ოღონდ იდეალიზმისკენ უფრო იხრება. გამუდმებული დავა აქვს კრეისსა და ჰამილტონთან.

— კრეისი ვინღაა? — ჰკითხა მარტინმა.

— მასთან მივდივართ სწორედ. ყოფილი პროფესორი გახლავს — უნივერსიტეტიდან გამოგდებული. ჩვეულებრივი ამბავია. ჭკუა დანასავით მახვილი აქვს. ლუკმა-პურის მოსაპოვებლად რას არ აკეთებს. ერთი პირობა, ქუჩის ჯამბაზობაც კი დაიწყო. არაფერს არ თაკილობს. ისე გადააძრობს მკვდარს სუდარას და წაიღებს, ხელიც არ აუკანკალდება. მაგას და ბურჟუებს შორის ის განსხვავებაა, რომ ეს ძარცვავს და ამავე დროს ილუზიაც არაფრისა აქვს. ნიცშეზეც დაგიწყებს ლაპარაკს, შოპენჰაუერზეც, კანტზეც, რაზედაც გინდა, მაგრამ ყველაფერზე უფრო, საკუთარ მერიზე უფრო მეტადაც, თავისი მონიზმი უყვარს. ჰაკელი მისთვის პატარა ღმერთს წარმოადგენს. აჰა, მოვედით კიდეც.

ბრისენდენი კიბესთან შედგა, ბოთლები დააწყო და მანამ კიბის საფეხურებს შეუდგებოდა, სული მოიბრუნა. ორსართულიანი კუთხის სახლი იყო. პირველ სართულზე საბაყლო დუქანი და სალუდე ბარი ჰქონდათ მოწყობილი.

— აქა ცხოვრობენ, მთელი მაგათი ბანდა აქა ცხოვრობს. ზემო სართული სულ მაგათ უჭირავთ. ოღონდ ორი ოთახი მარტო კრეისსა აქვს. ავიდეთ!

ზემო სართულის დერეფნები ჩაბნელებული იყო, მაგრამ ბრისენდენი ისე მარჯვედ მიიკვლევდა გზას, გეგონებოდა, შინაურიაო. უცებ შედგა და მარტინს მიუბრუნდა.

— ერთი კაცი ჰყავთ — სტივენსი — თეოსოფია. უნდა ნახო, როგორ მიჰყრი-მოჰყრის ხოლმე ხალხს, ერთი თუ დაიქოქა. ახლახან ჭურჭლების მრეცხავად მოეწყო რესტორანში. კარგი სიგარების მოყვარულია. რამდენჯერ შევსწრებივარ, ათ ცენტიან წყალ-წყალა სუპს შეხვრეპს სადმე ჭუჭყიან სასადილოში და მერე ორმოცდაათ ცენტიან სიგარას გააბოლებს. მომაქვს კიდეც მაგისთვის ორი სიგარა, თუ გამოჩნდა დღეს.

— ერთი ავსტრალიელი ჰყავთ, გვარად ჰარი, — განაგრძო ბრისენდენმა, — სტატისტიკოსი და სპორტული ენციკლოპედია. ჰკითხე, ხორბლის როგორი მოსავალი იყო პარაგვაიში 1903 წელს, რამდენი ტილო გაიტანეს ინგლისიდან ჩინეთში 1890 წელს, ან ჯიმი ბრიტი რამდენს იწონიდა, როცა ბატლინგ ნელსონი დაამარცხა, ვინ იყო ამერიკის ჩემპიონი საშუალო წონაში 1868 წელს — ავტომატური მანქანის სისწრაფითა და სიზუსტით გიპასუხებს. არის კიდევ ერთი ენდი, ხელობით ქვისმთლელი, რაც არ უნდა ჰკითხო, ყველაფერზე თავისი შეხედულება აქვს, ჭადრაკის კარგი მოთამაშეა. ხაბაზი ჰარი — გადაქიჩმაჩებული სოციალისტური და პროფკავშირული მოღვაწე. ჰო, მზარეულებისა და ოფიციანტების გაფიცვა თუ გახსოვს? სულ ჰამილტონის საქმე იყო. მაგათი კავშირიც იმან ჩამოაყალიბა და მერე გაფიცვის პირობებიც შეუდგინა, აგერ, კრეისის ოთახში. თავის შესაქცევად გააკეთა ეს, იმისთანა ზარმაცია, რომ მერე აღარც მიუღია მონაწილეობა პროფკავშირის მუშაობაში. ისე, რომ მოენდომებინა, წინ წავიდოდა. დიდი ნიჭისა და უნარის პატრონია, ამისთანა უსაშველო ზარმაცი რომ არ იყოს.

ბრისენდენი სიბნელეში გუმანით მიდიოდა, მანამ კარის ზღურბლიდან გამოჭრილი სინათლის ზოლი არ მოხვდათ თვალში. დაკაკუნება, ოთახიდან მიწვევა — შემოდითო, და მარტინი უკვე ხელს ართმევდა კრეისს, კოხტა, შავგვრემან კაცს, რომელსაც შავი, გადმოშვებული ულვაშები ჰქონდა, კბილები თეთრად უელავდა, დიდრონი, შავი თვალები ცეცხლს აკვესებდა. მერი, დარბაისელი ქერა ქალი, უკანა ოთახში თეფშებსა რეცხავდა — ეს იყო მათი სასადილო ოთახიცა და სამზარეულოც. წინა ოთახი კი საწოლად ჰქონდათ და სტუმრებსაც აქ ღებულობდნენ. მთელი კვირის სარეცხი გირლიანდებივით ჩამოეკიდებინათ ოთახში, ასე რომ, მარტინმა პირველად

ვერც კი შენიშნა კუთხეში მოლაპარაკე ორი კაცი. ბრისენდენსა და მის ორ ბოთლ პორტვეინს დიდის ამბით შეხვდნენ. მერე მარტინიც გაიცვნეს — ენდი და პერი აღმოჩნდნენ. მარტინი მოსაუბრეებს შეუერთდა, ინტერესით უსმენდა პერის წინაღამინდელი ბოქსის ამბავს, ბრისენდენი კი ტოდისა და სოდიანი ვისკის მომზადებას შეუდგა. ბოლოს ბრძანა — ყველას მოუხმეთო, და ენდიმაც სწრაფად ჩამოუარა ოთახებს.

— კარგ ფეხზე მოვედით, თითქმის ყველანი შინ არიან, — გადაუჩურჩულა ბრისენდენმა მარტინს, — აგერ ნორტონი და ჰამილტონი. მოდი, გაგაცნო. სტეფანი, მგონი, არ უნდა იყოს, როგორც ყური მოვკარი. როგორმე მონიზმზე უნდა ავალაპარაკო. დამაცა, ცოტა შევუკეთო. მთავარია, კარგად გახურდნენ.

კარგა ხანს ვერ აეწყო ლაპარაკი, მაგრამ მარტინმა მაშინვე შენიშნა მათი გონების სიმკვირცხლე. საკუთარი შეხედულებანი ჰქონდათ საგნებსა და მოვლენებზე, თუმცა ეს შეხედულებანი ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ენამახვილი ხალხი იყო, ხუმარა, მაგრამ ზერელობა სულაც არ ეტყობოდათ. მარტინი მალე დარწმუნდა, რომ რაზედაც უნდა ჩამოვარდნილიყო სიტყვა, საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებდა ყველა, სამყაროსა და ცხოვრებაზე მტკიცე და ჩამოყალიბებული აზრები ჰქონდათ. სხვებს არ ბაძავდნენ, სხვათა გავლენის ქვეშ არ ექცეოდნენ, მეამბოხე სულის პატრონები იყვნენ, უხამსი და შეუფერებელი არაფერი დასცდენიათ. ერთხელაც არ შესწრებია მარტინი მორზებთან ასეთ საინტერესო მსჯელობას სულ სხვადასხვა საკითხზე. დროით რომ არ ყოფილიყვნენ შეზღუდულნი, თითქოს დაუსრულებლად შეეძლოთ ემსჯელათ ამა თუ იმ მოვლენაზე. ქალბატონ ჰამფრი უორდის ახალი წიგნიდან მსჯელობა ერთბაშად შოუს უკანასკნელ პიესაზე გადავიდოდა ხოლმე; დრამის პერსპექტივებიდან — ნათ გუდვინის მოგონებებზე; აქებდნენ ან დასცინოდნენ დილის გაზეთებს, ახალ ზელანდიელ მუშათა მდგომარეობაზე მსჯელობიდან, უცებ ჰენრი ჯეიმსსა ან ბრანდერ მეთიუსზე გადახტებოდნენ; მსჯელობდნენ გერმანიის პოლიტიკაზე შორეულ აღმოსავლეთში და ხელად ყვითელი საფრთხის ეკონომიურ საფუძვლებსაც გადასწვდებოდნენ; დავობდნენ გერმანიაში ჩატარებული არჩევნების თაობაზე და იქვე ბებელის უკანასკნელ სიტყვასაც განიხილავდნენ; არც ადგილობრივ პოლიტიკურ მოვლენებს გამოტოვებდნენ — სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში მომხდარ განხეთქილებისა და ამ პარტიის უახლესი ამოცანების საკითხებს გააშუქებდნენ და იქვე იმ უშუალო მიზეზებსაც ჩამოთვლიდნენ, რამაც ნავსადგურის მუშათა გაფიცვა გამოიწვია. მარტინი გაკვირვებული იყო ამ ხალხის ასეთი მრავალმხრივი ცოდნით. ისეთი რამეებიც კი იცოდნენ, რაც არასოდეს გაზეთებში არ ყოფილა გამოქვეყნებული, ხედავდნენ ყველა ძაფსა და უხილავ ხელებს, რითაც მარიონეტებს ამოძრავებდნენ და აცეკვებდნენ ხოლმე. კიდევ უფრო დიდი იყო მარტინის გაკვირვება, როცა მსჯელობაში მერიც ჩაება და ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რაც აქამდე არც ერთი ნაცნობი ქალისთვის არ შეემჩნია. მათ ილაპარაკეს სუინბერნსა და როსეიტზე, მერე ქალი ფრანგულ ლიტერატურასაც გადასწვდა და ისეთი რამეები თქვა, რომ მარტინი პირდაღებული დატოვა. მაგრამ მარტინსაც დაუდგა შურისძიების დრო, როცა ქალმა მეტერლინკის დაცვა მოინდომა, მარტინმა კი ხელად დააყარა წინასწარ დამუშავებული თეზისები, რაც მას «ზის სირცხვილში» ჰქონდა ჩამოყალიბებული.

რამდენიმე კაცი კიდევ შემოემატათ და როცა ჰაერი ერთიანად გაიჟღინთა თამბაქოს კვამლით, ბრისენდენმა შეტევა წამოიწყო.

— რატომ თქვენს ნაჯახს არ დაატრიალებთ, კრეის, — უთხრა მან, — ეს ვარდის კოკორივით ქორფა ყმაწვილი კაცი ჰერბერტ სპენსერის მოტრფიალეა. აბა, სცადეთ და ჰეკელის მხარეზე გადაიბირეთ.

კრეისი ერთბაშად შეხტა, თითქოს ელექტრონით დაიმუხტაო, ნორტონმა კი მოწიწებით გადახედა მარტინს, ნაზად, ალერსით გაუღიმა, თითქოს მხარის დაჭერას ჰპირდებაო.

კრეისმა ჯერ მარტინს შეუტია, მაგრამ თანდათანობით ნორტონიც ჩაითრია, და ბოლოს მათ შორის გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მარტინი თვალდაჭყეტილი უსმენდა, თითქოს ყურს არ უჯერებდა, რომ ეს მუშათა უბანში ხდებოდა, მარკეტ სტრიტის სამხრეთით. ამ ხალხმა ერთბაშად გააცოცხლა ყველა წიგნი, რაც მარტინს წაეკითხა. ცეცხლით, მგზნებარებით ლაპარაკობდნენ, აზრები ისე აღაგზნებდა ამ ხალხს, როგორც სხვებს ბრაზი ან ღვინო აღაგზნებს ხოლმე. რასაც ახლა იგი ისმენდა, ეს არ ყოფილა მშრალი ფილოსოფია, დაბეჭდილი უსიცოცხლო სიტყვა, შექმნილი კანტისა და სპენსერის მსგავს ნახევრად მითიური ღმერთების მიერ. ეს ცოცხალი ფილოსოფია იყო, სისხლმომჩქეფარე, ამ ანთებული ადამიანების სისხლსა და ხორცში გამჯდარი. დროდადრო სხვებიც ჩაერეოდნენ ხოლმე კამათში, გაფაციცებით ისმენდნენ მათ მსჯელობას, სულგანაბულები, დაძაბულები, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდნენ.

მარტინი არასოდეს არ ყოფილა გატაცებული იდეალიზმით; მაგრამ ახლა ისე ჩამოაყალიბა მისი არსი ნორტონმა, რომ ახალ აღმოჩენასავით გამოდგა. მაგრამ რაც მარტინისათვის ასე სარწმუნო გახდა, იმას ლოგიკური დამაჯერებლობა აკლდა კრეისისა და ჰამილტონის თვალში, რომლებიც გესლიანად დასცინოდნენ ნორტონს, მეტაფიზიკოსს უწოდებდნენ, ნორტონი კი, თავის მხრივ, ამათ დასცინოდა, ამათ უწოდებდა მეტაფიზიკოსებს. პირში სწვდნენ ერთმანეთს, განუწყვეტლივ ისმოდა «ფენომენებისა» და «ნოუმენების» ძახილი. კრეისი და ჰამილტონი ბრალსა სდებდნენ ნორტონს — შენ ცდილობ ცნობიერება ცნობიერებითვე ახსნაო. ნორტონი, თავის მხრივ, იმათ სდებდა ბრალს — თქვენს მსჯელობაში სიტყვებიდან მიდიხართ თეორიამდე, ნაცვლად იმისა, რომ თეორიას ფაქტებიდან მიადგეთო. ეს ბრალდება თავზარდამცემი იყო მათთვის. მთავარი პრინციპი და ამოსავალი მათი მსჯელობისა ის იყო, რომ ფაქტებიდან დაეწყოთ და ფაქტებისათვის დაერქმიათ ნამდვილი სახელი.

როცა ნორტონმა ღრმად შესტოპა კანტის ფილოსოფიის ლაბირინთებში, კრეისმა მოაგონა — ყველა გერმანელი ფილოსოფოსი სიკვდილის შემდეგ ოქსფორდში აღმოჩნდებაო. ცოტა ხნის შემდეგ ნორტონმა მოაგონა თავის მოწინააღმდეგეებს პირობითობის კანონი ჰამილტონისა, იმათ კი მაშინვე განაცხადეს, მთელი ჩვენი მსოფლმხედველობა სწორედ ამ კანონზეა დაფუძნებულიო. მარტინს სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა. მაგრამ ნორტონი არა ყოფილა სპენსერის მიმდევარი, ამიტომ იგი მარტინის ფილოსოფიურ მრწამსსაც უტევდა, და იმ ორ მოწინააღმდეგეზე ნაკლები გაშმაგებით როდი ედავებოდა მას.

— იცით თუ არა თქვენ, რომ ბერკლისთვის ჯერ არავის გაუცია პასუხი, — თქვა მან და მარტინს გაუშტერა თვალი, — ჰერბერტ სპენსერი სხვებზე უფრო მიუახლოვდა, მაგრამ ამომწურავი პასუხი არც იმას მიუცია. მისი ყველაზე უფრო ერთგული მიმდევრებიც კი უფრო ახლოს ვერ მივლენ. იმ დღეს სალიბის სტატიასა ვკითხულობდი და ის სალიბიც კი იძულებულია აღიაროს, ჰერბერტ სპენსერმა თითქოს მოახერხა ბერკლისათვის პასუხის გაცემაო.

— ჰიუმის სიტყვები თუ გახსოვთ? — ჰკითხა ჰამილტონმა. ნორტონმა თავი დაუქნია, მაგრამ ჰამილტონმა მაინც თქვა სხვების გასაგონად, — ჰიუმმა პირდაპირ განაცხადა: ბერკლის არგუმენტაცია ყოველგვარ პასუხს გამორიცხავს და ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულიაო.

— ჰიუმისათვის იყო დამაჯერებლობას მოკლებული, — შეესიტყვა ნორტონი, — და თქვენც ჰიუმს ჰგავხართ, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმას ჭკუა ჰყოფნიდა ეღიარებინა, ბერკლისათვის პასუხის გაცემა შეუძლებელიაო.

ნორტონი მეტისმეტად ფიცხი და მღელვარე იყო, თუმცა თაშეკავების უნარი არასოდეს არ ღალატობდა, კრეისი და ჰამილტონი კი ცივსისხლიან ველურებსა ჰგავდნენ: რბილ და სუსტ ადგილს ეძებდნენ, რომ მაშინვე კბილი ჩაესოთ. ბოლოს, როცა აღარ მოეშვნენ ნორტონს და მეტაფიზიკოსი უძახეს, იგი ორივე ხელით ჩააფრინდა სკამს, რათა არ წამომხტარიყო, თვალები წამოენთო. მისმა ქალურმა სახემ მეტი სიმტკიცე და შეუპოვარი იერი მიიღო და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეუტია მოწინააღმდეგეებს.

— კეთილი, ბატონო ჰაკელის მიდევარო. მე, ვთქვათ, მართლაც ექიმბაშივით ვმსჯელობ, მაგრამ იქნებ ეს მითხრათ, თქვენი მსჯელობა რაღას ჰგავს? თქვენ ხომ სულაც არ გაგაჩნიათ საფუძველი, უვიცო დოგმატიკოსებო, ყველგან რომ იმ თქვენს პოზიტიურ მეცნიერებასა ჩრით, არის თუ არ არის საჭირო?! ჯერ მატერიალისტური მონიზმის სკოლა სად იყო, რომ ნიადაგი სულ გადაითხარა, არავითარი საძირკველის ადგილი აღარ დარჩა. ლოკმა ქნა ეს — ჯონ ლოკმა. მთელი ორასი წლის წინათ, უფრო იქითაც, მან დაწერა «ესეი ადამიანის გონების შესახებ» და დაამტკიცა თანდაყოლილ იდეათა არსებობის შეუძლებლობა. თქვენ კი მომდგარხართ და ახლაც ამას გაიძახით. აგერ მთელი ღამე იმას მიჩიჩინებთ, თანდაყოლილ იდეათა არსებობა შეუძლებელიაო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ცარიელი თავით იბადება. ცნობიერება, ფენომენები, შემდეგ შეიძინება, ხუთი გრძნობის საშუალებით: ნოუმენი, რომელიც დაბადების დროს არა გქონია თავში, არც შემდგომ მოხვდება იქ.

— მე უარვყოფ... — შეწყვეტინება სცადა კრეისმა.

— დამაცა, დამამთავრებინე, — უყვირა ნორტონმა, — შენ მხოლოდ იმისი აღქმა შეგიძლია, ძალისა თუ მატერიის იმ გამოვლინებისა, რაც რაიმე გზით შენს გრძნობებს აღიზიანებს. ხომ ხედავთ, მსჯელობის სწორად წარმართვისათვის მატერიის არსებობაც კი ვაღიარე. ახლა კი მოვდგები და თქვენი საკუთარი არგუმენტებით გაგანადგურებთ. სხვაგვარად ვერც მოვახერხებ ამას, რადგან არც ერთსა და არც მეორეს ფილოსოფიური განზოგადებისა და აბსტრაქტული აზროვნების უნარი არა გაქვთ. ახლა ის ვიკითხოთ, იმ თქვენი პოზიტიური მეცნიერების მიხედვით, რა იცით თქვენ მატერიის შესახებ? მხოლოდ ის, რასაც აღიქვამთ, ანუ იგივე ფენომენა. თქვენ მარტო ცვლილებებს ამჩნევთ მატერიისას, ანუ იმას, რაც ცვლილებად გეჩვენებათ. პოზიტიურ მეცნიერებას მარტო ფენომენა აინტერესებს, თქვენ კი ისეთი მიამიტები ხართ, თავი ონტოლოგებად წარმოგიდგენიათ და ნოუმენებისადმი ინტერესს იჩენთ. მაგრამ პოზიტიური მეცნიერება ხომ მხოლოდ მოვლენებს ემყარება. ვიღაცამ უკვე თქვა ერთხელ — მეცნიერება ფენომენების შესახებ არ შეიძლება ფენომენებზე მაღლა დადგესო. თქვენ ბერკლის მაინც ვერ მოუძებნით პასუხს, თუნდაც კანტის განადგურება მოახერხოთ. თუმცა მაინც გაიძახით, ბერკლი შემცდარიაო, რადგან თქვენი მეცნიერება ღმერთის არსებობას უარყოფს და მატერიის არსებობა სწამს... მატერიის არსებობა დღეს მე მხოლოდ იმიტომ ვირწმუნე, რომ ჩემი აზრები და მსჯელობა თქვენთვის გასაგები გამეხადა. იყავით პოზიტიური მეცნიერების მომხრენი, ეს თქვენი ნებაა, ოღონდ იცოდეთ, რომ ონტოლოგებს პოზიტიურ

მეცნიერებასთან არაფერი ესაქმებათ და ტყუილუბრალოდ ნუ შეიწუხებთ თავს. სპენსერი, როგორც აგნოსტიცისტი, მართალია, მაგრამ თუ იგივე სპენსერი...

მაგრამ ოუკლენდისაკენ უკანასკნელი ბორანის დრო დადგა. ბრისენდენი და მარტინი ჩუმად გამოიძურწნენ ოთახიდან, ნორტონი ისევ მგზნებარედ ლაპარაკობდა, კრეისი და ჰამილტონი კი, წყვილი მწევრებივით, განაბულები უცდიდნენ — დაამთავრებდა თუ არა, მაშინვე ეცემოდნენ.

— შენ მე ზღაპრული ქვეყანა დამანახვე, — უთხრა მარტინმა ბრისენდენს, როცა ბორანზე ავიდნენ, — ამისთანა ხალხს რომ შეხვდები, სიცოცხლის რწმენა გიმტკიცდება. სულ ამიფორიაქდა თავი. იდეალიზმის აზრი აქამდე ვერ შემეგნო. ახლა კი ჩემთვის ნამდვილად მიუღებელია. ვიცი, რომ ბოლომდე რეალისტი დავრჩები. ვგრძნობ, ასეთი გავეჩნილვარ. მაგრამ კრეისსა და ჰამილტონს სიამოვნებით მოვახსენებდი შესაფერ პასუხს; მე მგონი, ნორტონისთვისაც გამოვძებნიდი ორიოდ სიტყვას. სპენსერს მაგათ რა უნდა დააკლონ! ისე ვარ აღგზნებული, როგორც პირველად ცირკში მოხვედრილი ბავშვი. ახლა მივხვდი, რომ კიდევ ბევრი უნდა ვიკითხო. სალიბი უნდა ვიშოვო სადმე. მე მაინც ვფიქრობ, რომ სპენსერი შეუვალია... მეორედ რომ მივალთ, მეც ჩავებმები მაგათ კამათში.

მაგრამ ბრისენდენს უკვე თვალები ებლიტებოდა. თავი ჩავარდნილ მკერდზე დაეშვა, ნიკაპი კაშნეში ჩაერგო და მძიმედ სუნთქავდა, ფართხუნა პალტოში გახვეული სხეული ძრავის ყოველ შეტოკებაზე ირხეოდა.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

მარტინმა ბრისენდენის რჩევასა და თხოვნას ყური არ ათხოვა: მეორე დილასვე, გათენდა თუ არა, «მზის სირცხვილი» კონვერტში ჩადო და «აკროპოლისს» გაუგზავნა. დარწმუნებული იყო, რომ რაიმე ჟურნალში მოახერხებდა მის დაბჭდვას, მერე კი, ჟურნალის მიერ აღიარებული, გამომცემლობაში უფრო ადვილად გაიკვლევდა გზას. «ეფემერაც» ჩადო კონვერტში და ისიც რომელიღაც ჟურნალს გაუგზავნა. მიუხედავად აკვიატებული სიძულვილისა, რასაც ბრისენდენი ჟურნალების მიმართ ამჟღავნებდა, მარტინს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მისი პოემა უსათუოდ იხილავდა დღის სინათლეს. ავტორის უნებართვოდ დაბეჭდვა არც უფიქრია მარტინს: ჯერ მიიღოს დასაბეჭდად ჟურნალმა, მერე კი ადვილად გავტეხ ბრისენდენს და დავიყოლიებო.

იმავე დილას მარტინმა მოთხრობის წერაც დაიწყო, რამდენიმე კვირის წინათ ჰქონდა ჩაფიქრებული და მას შემდეგ სულ აწვალებდა, ხელი დასაწერად გაურბოდა. საზღვაო მოთხრობა უნდა ყოფილიყო, მეოცე საუკუნის რომანტიკული თავგადასავალი — ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი ხასიათები და სიტუაციები. მაგრამ ამ ხალისიანი სიუჟეტის მიღმა კიდევ უნდა ყოფილიყო რაღაც, ისეთი რამ, რასაც გამოუცდელი მკითხველი ვერც კი შენიშნავდა და რაც ხელს სულაც არ შეუშლიდა ასეთ მკითხველს, კითხვის ხალისსა და ინტერესს არ წაართმევდა. მარტინს სწორედ ეს იზიდავდა საწერად და არა ის ხალისიანი სიუჟეტი. საერთოდ, მუდამ ეს მთავარი მოტივი იზიდავდა ხოლმე მას წერის დროს. მოტივს რომ მიაგნებდა, მერე ისეთ ხასიათებსა და სიტუაციებს გამოუძებნიდა, ისეთ სივრცესა და დროს შეურჩევდა, რომელშიც ეს მოტივი უფრო კარგად გაიშლებოდა. მოთხრობის სათაური «დაგვიანებული» უნდა ყოფილიყო, მოცულობით — სამოციათას სიტყვას ვარაუდობდა, მეტს არა. ასეთი ენერგიული და შრომისმოყვარე ადამიანისათვის ეგ ბევრს არაფერს წარმოადგენდა. პირველივე დღეს, როცა მოთხრობის წერას შეუდგა, ოსტატის ჩვეული სიამოვნება იგრძნო. უკვე აღარ ეშინოდა იმისა, რომ ფორმის

მოუქნელობა და სიტლანქე მთავარ აზრს დაუმახინჯებდა. დიდი ხნის თავაუღებელმა სწავლამ და მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო. ახლა უკვე შეეძლო თავდაჯერებულად მისცემოდა საქმეს, უფრო გაბედულად შებმოდა დიდ თემას. და რაც დრო გადიოდა, ყოველ საათობრივადაც კი, ისე როგორც არასდროს, სულ უფრო და უფრო მეტ რწმენას გრძნობდა, კოსმოსური მასშტაბით ჭვრეტდა და აღიქვამდა ცხოვრებას, მოვლენებს. «დაგვიანებულში» მას უნდოდა გადმოეცა მართალი ამბავი, კონკრეტული სახეები და კონკრეტული მოვლენები; მაგრამ მასშივე უნდა ყოფილიყო მოცემული განუზომლად დიდი ცხოვრებისეული მოვლენები, ერთნაირად მართალი ყველა დროისა და ხალხისათვის. «და ამას სულ ჰერბერტ სპენსერის წყალობით მოვახერხებ, — გაიფიქრა მან და ერთი წუთით თავი აიღო, სკამს გადააწვა, — იმ გასაღების წყალობით, რაც მან ხელში მომცა და ცხოვრების იდუმალებანი გამახსნევინა, ევოლუციის წყალობით».

თვითონვე გრძნობდა, რომ ამჟამად განსაკუთრებით დიდ საქმეს შეეჭიდა. «დავწერ! გამიმართლებს!» გამუდმებით ჩაესმოდა მას ყურში ეს სიტყვები. რა თქმა უნდა, გაუმართლებდა. ბოლოს და ბოლოს, ისეთ თემას მოჰკიდა ხელი, რასაც ყველა ჟურნალი სიხარულით მიიღებდა. მთელი მოთხრობა, თავიდანვე, თვალსაჩინოდ წარმოედგინა, ანთებული და შარავანდმოსილი. ჯერ ისევ ახალდაწყებული ჰქონდა მოთხრობის წერა, როცა უცებ უბის წიგნაკი ამოიღო და ერთი პარაგრაფი ჩაინიშნა. ეს იქნებოდა «დაგვიანებულის» უკანასკნელი აკორდი; მაგრამ ისე ზუსტად ჰქონდა თავში ჩამოყალიბებული მთელი მოთხრობა, რომ დამთავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე შეეძლო დასასრული დაეწერა. გონებაში შეადარა თავისი მოთხრობა სხვა მწერალთა საზღვაო მოთხრობებს და იგრძნო, რომ «დაგვიანებული» განუზომლად მაღლა იდგა.

— მხოლოდ ერთი კაცი თუ მოახერხებდა ისეთი მოთხრობის დაწერას, — ხმამაღლა წარმოთქვა მან, — მხოლოდ კონრადი. და ისიც ალბათ ხელს ჩამომართმევდა და მეტყოდა: კარგად დაგიწერია, მარტინ. ყოჩაღ, ბიჭო!

მთელი დღე თავაუღებლივ იმუშავა და უკანასკნელ წუთში გაახსენდა, რომ სადილად მორზებთან იყო დაპატიჟებული. ბრისენდენის წყალობით შავი კოსტიუმი გამოხსნილი ჰქონდა, ისევ შეეძლო ხალხში გამოჩენა. გზად ბიბლიოთეკაში შეირბინა და სალიბი მოითხოვა. წამოიღო მისი «ცხოვრების ციკლი» და ტრამვაიშივე გადაშალა ესეი სპენსერზე, რომელიც ნორტონმა ახსენა. ბრაზი მოერია. სახეზე წამოაჭარხლა, ყბა წინ გამოეწია, ხელები უნებურად მომჯიღა, გაშალა, ისევ მომჯიღა. ტრამვაიდან რომ ჩამოვიდა, ისე გახელებული ადამიანის სისწრაფით გაემართა, ისე გამწარებით დარეკა ზარი მორზების კარზე, რომ ხელადვე მოეგო გონს და თვითონვე გაეცინა. მაგრამ შედგა თუ არა სახლში ფეხი, გული ერთბაშად ჩაწყდა და მოეწურა. თითქოს უცებ დავარდა იმ სიმაღლიდან, სადაც მთელი დღე ფრთაშესხმული დანავარდობდა. «ბურჟუა! ვაჭრუკანას სორო» — ყურში რეკდა ბრისენდენის სიტყვები. მერე რა?! გაბრაზებით გაიფიქრა მან. ის რუთს ირთავს ცოლად, მის ოჯახს კი არა.

თითქოს თავის დღეში არ ენახა რუთი ასეთი მშვენიერი, ასეთი ნაზი და ჰაეროვანი და ამავე დროს ასეთი ჯანმრთელი. ღაწვები შევარდისფრებოდა, თვალები თავისკენ იზიდავდა, თვალები, რომლებშიაც მან პირველად ამოიკითხა უკვდავება. მართალია, ბოლო დროს ისე გაიტაცა მეცნიერული წიგნების კითხვამ, რომ უკვდავება სულ გადაავიწყდა, მაგრამ რუთის თვალებში იგი კვლავ ხედავდა უსიტყვო არგუმენტს, რასაც ვერავითარი სიტყვიერი არგუმენტი ვერ შეედრებოდა. იგი ამ თვალებში სიყვარულს ხედავდა, რის წინაშეც ყველაფერი გაქარწყლებოდა და

უკან იხევდა. საკუთარ თვალებშიაც სიყვარული ჩასდგომოდა, სიყვარულთან კამათი კი წარმოუდგენელია. ასეთი იყო მისი მხურვალე რწმენა.

იმ ნახევარ საათში, რაც რუთთან ერთად გაატარა, სადილად დასხდომამდე, მარტინი კვლავ უზომოდ ბედნიერი და ცხოვრებით კმაყოფილი გახდა. მაგრამ სუფრასთან ერთბაშად უწია მთელი დღის თავაუღებელმა მუშაობამ და უცებ მოითენთა. თვითონვე გრძნობდა, როგორ ებლიტებოდა თვალები, უბრალო რამეც კი როგორ აღიზიანებდა. მოაგონდა, რომ ამავე სუფრასთან, — სადაც ახლა იგი ხშირად ირონიულად ჩაიქირქილებდა ხოლმე და მოწყენილობის მთქნარებაც აუტყდებოდა, — პირველად მოხვდა ცივილიზებული ადამიანების გარემოში და მოეჩვენა, უმაღლესი, დახვეწილი კულტურის ატმოსფეროში ვიმყოფებიო. უცებ საკუთარი თავი წარმოიდგინა — ეს უკვე დიდი ხნის ამბავი იყო: ზის დაფეთებული ველური და სიმწრის ოფლი სდის, დანა-ჩანგალი და ათასნაირი ჭურჭელი თავგზას უკარგავს, ლაქიის სიდიადე აწამებს, გამწარებით ცდილობს არ შერცხვეს და ეს თავბრუდამხვევი მდგომარეობა ღირსეულად შეიფეროს; ბოლოს კი ხელს ჩაიქნევს და გადაწყვეტს, რაც არის, იმადვე დარჩეს, ნურც დიდ ცოდნაზე გამოიდებს თავს და ნურც კულტურულობაზე, რაკი არც ერთი გააჩნია და არც მეორე.

საკუთარი რწმენის გასამტკიცებლად რუთს გადახედა — ასეთი თვალებით გადახედავს ხოლმე რეზინის რგოლს მგზავრი, რომელსაც ყური მოუკრავს, გემს დაღუპვა ემუქრებაო. ჰო, ესღა დარჩა უცვლელი — სიყვარული და რუთი. სხვა ყველაფერი გაქრა, წიგნების გამოცდას ვეღარ გაუძლო. რუთმა და სიყვარულმა გაუძლეს გამოცდას. ამათ არსებობას ბიოლოგიური გამართლება მოუძებნა მარტინმა. სიყვარული სიცოცხლის უმაღლესი გამოვლინება გამოდგა. ბუნებამ უკარნახა სიყვარული, მანვე მოამზადა სასიყვარულოდ იგი, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი. მთელი ათასი საუკუნე, — ამ საქმეს ემსახურება ბუნება, რათა სრულყოფილი გახადოს ადამიანი და სიყვარული შეაძლებინოს. და მიაღწია კიდეც, სიყვარული უმაღლესი და უძლიერესი ნიჭია ადამიანისა. იგი ამაღლებს მას, ძალასა და მხნეობას მატებს. მარტინიც აამაღლა, უჩვეულო ძალა მისცა, ფანტაზია გაუცოცხლა, სამყაროს მოუვლინა, რათა გამუდმებით თრთოდეს, დნებოდეს, სიყვარულით იფერფლებოდეს. მაგიდის ქვეშ მისმა ხელმა რუთის ხელი მოძებნა და მოუჭირა. პასუხიც ასეთივე მხურვალე იყო. რუთმა წამიერად შეხედა მას — გაბრწყინებულ თვალებში ნაზი ალერსი ჩაღვროდა. მარტინსაც ასევე უბრწყინავდა თვალები, მაგრამ რას იფიქრებდა, რომ რუთის თვალების ელვარება სინამდვილეში მის თვალებში მოგიზგიზე ცეცხლის ანარეკლი იყო.

მის მოპირდაპირე მხარეს, მისტერ მორზის ხელმარჯვნით მოსამართლე ბლაუნტი იჯდა, შტატის უზენაესი სასმართლოს წევრი. მარტინი ბევრჯერ შეხვედროდა ამ კაცს და თვალში არ მოსდიოდა. მოსამართლე და რუთის მამა მუშათა კავშირებზე, ადგილობრივ პოლიტიკასა და სოციალიზმზე მსჯელობდნენ. სოციალიზმზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, მისტერ მორზმა დაცინვით შენიშნა, მარტინიც სოციალისტების მიმდევარიაო. მოსამართლე ბლაუნტმა მამობრივი გულმოწყალებით და თანაგრძნობით გადმოხედა ჭაბუკს. მარტინს თავისთვის ჩაეცინა.

— არა უშავს, თანდათანობით გადაგივლით, ჭაბუკო, — დაამშვიდა მან, — დრო ყველაზე კარგი მკურნალია ამისთანა ჭაბუკური სენისათვის. — მერე მისტერ მორზს მიუბრუნდა მოსამართლე, — დისკუსიები არაფრის მაქნისი არ არის ამისთანა შემთხვევაში — უფრო აძლიერებს პაციენტის ჯიუტობას.

— მართალი ბრძანდებით, — მთელი სერიოზულობით დაეთანხმა მორზი, — მაგრამ მაინც კარგია, დროზე გააფრთხილო პაციენტი, უთხრა, რა მოელის.

მარტინმა გაიცინა, თუმცა თავს ძალა დაატანა. ძალიან დიდმა დღემ ჩაიარა, დილიდანვე დაძაბულად მუშაობდა და ნერვებმა მაინც უღალატა.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ორივენი შესანიშნავი ექიმები ხართ, — მიუგო მან, — მაგრამ პაციენტის აზრიც თუ რადმე მიგაჩნიათ, პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერაფერი შვილი დიაგნოსცისტები ბრძანებულხართ: მართალი თუ გნებავთ, თქვენ თვითონვე ხართ დაავადებული იმ სენით, რასაც მე მომაწერთ. მე იმუნიტეტი მშველის. სოციალისტური ფილოსოფია, რაც თქვენ ასე გაღელვებთ, მე სულაც არ გამკარებია.

— ჭკვიანური ფანდია, — წაიდუდუნა მოსამართლემ, — დიდებული ფანდია: გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო.

— თქვენივე სიტყვების მიხედვით ვმსჯელობ, — თვალები წამოენთო მარტინს, მაგრამ ჯერ მაინც ახერხებდა თავის შეკავებას, — მე თქვენი წინასაარჩევნო სიტყვა მაქვს მოსმენილი, ბატონო მოსამართლე. აზროვნების ჰენისტური ფორმის წყალობით, — ეს ჩემი საყვარელი გამოთქმაა, თუმცა კაციშვილს არ ესმის, — თქვენი საკუთარი თავი დაარწმუნოთ იმაში, თითქოს კონკურენციის სისტემისა და უძლიერესთა გამარჯვებისა გწამდეთ, მაგრამ ამავე დროს ძალ-ღონეს არ ზოგავთ, რათა როგორმე დაასუსტოთ ძლიერი.

— ჩემო ძვირფასო ჭაბუკო...

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე თქვენი წინასაარჩევნო სიტყვა მაქვს მოსმენილი, — გააფრთხილა მარტინმა, — ცნობილია, რომ თქვენი პოზიცია შტატებს შორის ვაჭრობის რეგლამენტაციის შესახებ, «სტანდარდ ოილისა» და რკინიგზის ტრესტის რეგულირების საკითხის, ტყეების კონსერვაციისა და ათასობით ამისთანა რამეების მოთხოვნა, სხვა არა არის რა, თუ არა სოციალიზმი.

— იმის თქმას ხომ არ აპირებთ, თითქოს ძალაუფლების ასე ბოროტად გამოყენების შეზღუდვა საჭირო არ...

— ეგ სულ სხვა საკითხია. მე უბრალოდ ის მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ვერაფერი შვილი დიაგნოსციტი ბრძანდებით. ის მინდოდა შემეხსენებინა, რომ სოციალიზმის მიკრობი ოდნავადაც კი არ გამკარებია. ის მინდოდა მეთქვა, რომ არაქათგამოცლილი მიკრობებით სწორედ თქვენა ხართ დაავადებული. მე პირადად კი სოციალიზმის ისეთივე თავგამოდებული მოწინააღმდეგე ვარ, როგორც იმ თქვენი უბადრუკი დემოკრატიისა, რაც ფაქტიურად, სხვა არა არის რა, თუ არ ფსევდო სოციალიზმი, ოღონდ ლექსიკონებიდანაც გამოტოვებული სიტყვების სამოსელით შენიღბული. მე რეაქციონერი ვარ, წმინდა წყლის რეაქციონერი, მაგრამ თქვენისთანა ხალხი, ყალბი საზოგადოებრივი ურთიერთობის ცრუ საბურველში გახვეული ხალხი, ამას ვერ ამჩნევთ, ისეთი მახვილი თვალი არა გაქვთ, რომ ეს საბურველი გაარღვიოს და რაიმე დაინახოს. თქვენ თავს ისე აჩვენებთ, თითქოს ძლიერის გამარჯვებისა გჯეროდეთ, მე კი ნამდვილად მჯერა. განსხვავება ეს არის. ცოტა უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, სულ რამდენიმე თვის წინათ, მეც თქვენსავით მეგონა. თქვენმა შეხედულებებმა მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. მაგრამ ვაჭრები და მედუქნეები ლაჩარი მმართველები გამოდგენ. თავიანთი დღე და მოსწრება ფულის კეთებას არიან გადაყოლილნი, და მეც არისტოკრატიისაკენ გადავიხარე. ამ დარბაზში ახლა ინდივიდუალისტი ჩემს მეტი არავინ არის. სახელმწიფოსაგან არაფერს გამოველი. მხოლოდ ძლიერი ადამიანი, ცხენზე ამხედრებული ადამიანი თუ იხსნის ქვეყანას გახრწნისაგან. ნიცშე მართალი იყო — დროს აღარ გავაცდენ და არ მოვყვები, ნიცშე ვინ არის-მეთქი — მაგრამ მართალი იყო. ქვეყანა ძლიერთ ეკუთვნით, ძლიერთ და კეთილშობილთ, ისეთ ხალხს,

რომლებიც ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის წუმპეში არ ეფლობიან. ქვეყანა ჭეშმარიტ კეთილშობილთ ეკუთვნის, ქერა მხეცებს, რომელთაც კომპრომისს ვერ გააგონებ და მუდამ «ჰოს» გაიძახიან. ისინი მოგიღებენ ბოლოს თქვენ, სოციალისტებს, რომელთაც სოციალიზმისა გეშინიათ და თავი ინდივიდუალისტები გგონიათ. თქვენი ნელთბილი მორალი, მონური მორალი, ვერ გიხსნით. მაგრამ ეს თქვენთვის ჩინური ანბანია, ნეტა რას გაწვალებთ! ოღონდ ერთ რამეს ნუ დაივიწყებთ — მთელს ოუკლენდში ექვს ინდივიდუალისტს ვერ შეხვდები, მარტინ იდენი კი ერთ-ერთი მათგანია.

ესა თქვა და რუთს მიუბრუნდა, ამით ანიშნა — კამათი დამთავრებულიაო.

— დღეს მე გადავიქანცე, — ჩუმად ჩაილაპარაკა მან, — სიყვარული მინდა, ლაყბობისათვის არა მცხელა.

მისტერ მორზის შენიშვნა უყურადღებოდ დატოვა:

— თქვენ მაინც ვერ დამარწმუნეთ. სოციალისტები იეზუიტები არიან, უკლებლივ. არც უნდა მოერიდო — პირში უნდა უთხრა ეს.

— ჯერ გვიან არ არის — რესპუბლიკელად უნდა მოგაქციოთ, — თქვა მოსამართლე ბლაუნტმა.

— მანამ ეგ მოხდებოდეს, ცხენზე ამხედრებული კაცი მოგისწრებს, — მხიარულად მიუგო მარტინმა და ისევ რუთს მიუბრუნდა.

მაგრამ მისტერ მორზი კმაყოფილი ვერ დარჩა. არ მოსწონდა სასიძოს სიზარმაცე, მისი აგდებული დამოკიდებულება ნორმალურ, საყოველთაოდ მიღებულ საქმიანობისადმი, საერთოდ არ ესმოდა მისი ბუნება და საქციელი, მის აზრებს პატივს არა სცემდა. ასე რომ, ჰერბერტ სპენსერზე გადაიტანა საუბარი. მისტერ ბლაუნტმა ხელადვე აუბა მხარი; მარტინმა ყურები ცქვიტა, როცა ფილოსოფოსის სახელი და გვარი გაიგონა. თავის თავის დიდად კმაყოფილი მოსამართლე მედიდურად აკრიტიკებდა სპენსერს. მისტერ მორზი ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე მარტინს, თითქოს ეუბნებოდა: «აჰა, ესეც შენ, ვაჟბატონო».

— ენაგაჭარტალებული კაჭკაჭები! — კბილებში გამოსცრა მარტინმა და რუთთან და ართურთან საუბარი განაგრძო.

მაგრამ მთელი დღის დამქანცველმა შრომამ და წუხანდელმა „ამდვილი ცხოვრების» ნახვამ თავისი ქნეს; თან ბრაზი, რაც ტრამვაიში წაკითხულმა სტატიამ მოჰგვარა, ჯერაც არ გადაყროდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა უცებ, შეწუხებულმა რუთმა, როცა შენიშნა, რა ძლივძლივობით ახერხებდა მარტინი თავის შეკავებას.

«არა არს ღმერთი, თვინიერ შეუცნობლისა და ჰერბერტ სპენსერია მისი წინასწარმეტყველი!» — ჩაესმა ამ დროს მისტერ ბლაუნტის ხმა.

მარტინი მას მიუბრუნდა.

— იაფი ოხუნჯობაა, — მშვიდად მიმართა მან, — ეს სიტყვები პირველად სიტი-ჰოლ-პარკში მოვისმინე, ვიღაც მუშამ წარმოთქვა, რომელსაც მეტი ჭკუა მართებდა. მას შემდეგაც ბევრჯერ მომისმენია და მუდამ გულს მირევს ხოლმე ეს უხამსობა. სირცხვილით უნდა იწვოდეთ. ამ დიდი და კეთილშობილი ადამიანის სახელი თქვენს ტუჩებზე ისეა, წუმპეში რომ ანკარა ცვარი ჩააგდო. თქვენ მე გულს მირევთ.

თითქოს მეხი გავარდა. მოსამართლე ბლაუნტმა დამბლადაცემულივით მიაშტერა თვალი. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. მისტერ მორზს გულის სიღრმეში უხაროდა. შენიშნა, რა ელდა ეცა მის ქალიშვილს. მასაც ხომ ეს უნდოდა — ამ კაცის გაუთლელობის გამომჟღავნება.

რუთის ხელი მაგიდის ქვეშ მუდარით მისწვდა მარტინის ხელს, მაგრამ ჭაბუკს უკვე სისხლი უდუღდა. მაღალ წრეებში მოკალათებული ხალხის ყოყოჩობა და კუდაბზიკობა აცოფებდა. უზენაესი სასამართლოს მსაჯული! სულ ორიოდე წლის წინათ ამისთანა ხალხს თითქოს აღტაცებით შეჰყურებდა ქვემოდან და ღმერთებად სახავდა.

მოსამართლე ბლაუნტი მალე მოეგო გონს, ის კი არადა საუბრის გაგრძელებაც სცადა, მოჩვენებითი თავაზიანობით მიმართა მარტინს, მაგრამ ჭაბუკი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ქალების ხათრით ხდებოდა. ამან კიდევ უფრო გააცეცხლა. ნუთუ სულ გაქრა ქვეყნად პატიოსნება?!

— ნეტა, რა უფლებით მეკამათებით სპენსერზე! — შესძახა მან, — რაღა თქვენ და რაღა მისი თანამემამულეები — არც ერთს არაფერი გაგეგებათ სპენსერისა. თუმცა რა თქვენი ბრალია! დღევანდელი საერთო გულისამრევი უვიცობაა ყველაფერში დამნაშავე. ამ უვიცობის ნიმუშს გზაშიაც კი წავაწყდი, როცა აქეთკენ მოვდიოდა ამ საღამოს. სალიბის სტატია გადავათვალიერე სპენსერზე. ნეტა თქვენც წაიკითხოთ, ადვილი მისაწვდომია, რომელ წიგნის მაღაზიაშიც არ უნდა შეხვიდეთ, იშოვით, ან ბიბლიოთეკიდან გამოიტანთ. ისე უტიფრად არის გალანძღული ეს კეთილშობილი ადამიანი, თანაც ისეთი უვიცობით, რომ თქვენც კი შეგრცხვებათ. უტიფრობის რეკორდია დამყარებული ამ სტატიაში, თქვენს უტიფრობასაც კი ჩრდილავს. აკადემიის ერთმა ფილოსოფოსმა, რომელიც იმის ღირსიც კი არ არის სპენსერთან ერთად ისუნთქოს და მისი საზიარო ჰაერი წაბილწოს, «ნახევრადნასწავლი ფილოსოფოსი» უწოდა! არა მგონია, ათი გვერდიც წაგეკითხოთ სპენსერის თხზულებებისა, მაგრამ გამოჩნდნენ თქვენზე აშკარად უფრო განათლებული კრიტიკოსები, და თუმცა არც იმათ წაუკითხავთ მეტი, მაინც პირში სწვდნენ სპენსერის მიმდევრებს, საქვეყნოდ უკიჟინეს მის მსოფლმხედველობის მცდარობაზე — ჰერბერტ სპენსერის მცდარობაზე, რომლის დიდმა გენიამ წარუშლელი კვალი დაასვა მთელ თანამედროვე მეცნიერებასა და აზროვნებას, რომელიც ფსიქოლოგიის მამად მოგვევლინა, რომელმაც მთელი რევოლუცია მოახდინა პედაგოგიკაში, ისე რომ ამჟამად რომელიმე ფრანგი გლეხის ბალღი მისი მეთოდით სწავლობს წერა-კითხვას. საბრალო კოღოები კი უსირცხვილოდ კბენენ მის ხსოვნას და თან მისი იდეების პრაქტიკული გამოყენებით ლუკმა-პურს შოულობენ. თუკი რაიმე საინტერესო აზრი მოეპოვებათ თავიანთ პაწაწინა ტვინში, ისიც სპენსერის წყალობით. სპენსერი რომ არ ყოფილიყო, ცხადია, იმ უბადრუკ ცოდნასაც მოკლებული იქნებოდნენ, თუთიყუშებივით რომ იმეორებენ ხოლმე. ამ დროს გამოტყვრება ვიღაც ფრენბენსკი, ოქსფორდის უნივერსიტეტის რექტორი, რომელსაც საზოგადოებაში თქვენზე უფრო მაღალი ადგილი უჭირავს, ბატონო ბლაუნტ, და, ვითომც არაფერიო, არხეინად განაცხადებს: შთამომავლობა პოეტად და მეოცნებედ უფრო შერაცხავს სპენსერს, ვიდრე მოაზროვნედო. ყბედები, ენაგატლეკილები! სულ ყბედები არიან, მთელი ჯილაგი. «ძირითადი საწყისები» სავსებით მოკლებული როდია ლიტერატურულ ღირსებას», გაიძახის ერთ-ერთი მათგანი. მეორენი ღაღადებენ: გამწარებული შრომისმოყვარეობით უფროა ცნობილი ეს თქვენი სპენსერი, ვიდრე ორიგინალური აზროვნებითო. ყბედები, ენაგატლეკილები!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო. რუთის ოჯახში ყველა მოწიწებით შეჰყურებდა მოსამართლე ბლაუნტს, ღირსეულ და დამსახურებულ კაცად მიაჩნდათ, და მარტინის გამოხდომამ ყველას თავზარი დასცა. სადილი პანაშვიდად იქცა. მოსამართლე და მისტერ მორზი ჩუმად თუ გადაულაპარაკებდნენ

ერთმანეთს, დანარჩენებს კი სულაც ვერ მოეხერხებინათ ხმის ამოღება. ხოლო როცა რუთი და მარტინი მარტონი დარჩნენ, მათ შორის ნამდვილი სცენა გაიმართა.

— აუტანელი ხარ! — ტიროდა რუთი.

მარტინს ჯერაც არ გადავლოდა ბრაზი და კბილებში სცრიდა:

— მხეცები! პირუტყვები!

რატომ შეურაცხყავიო, არ ეშვებოდა ქალი.

— რითი, სიმართლის თქმით შეურაცხვყავი? — შეესიტყვა მარტინი.

— სიმართლეა თუ არ არის სიმართლე, ეგ მე არ მეკითხება, — არა ცხრებოდა ქალი, — ეთიკის წესები ხომ არსებობს! რა უფლება გაქვს, რომ ადამიანს შეურაცხყოფ?!

— ბლაუნტს რაღა უფლება აქვს, ჭეშმარიტებას რომ შეურაცხყოფს?! — სიტყვა შეუბრუნა მარტინმა, — ჭეშმარაიტების შეურაცხყოფა გაცილებით უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ბლაუნტისნაირ კაცუნასი. მაგან კიდევ უარესი დანაშაული ჩაიდინა — დიდი, კეთილშობილი ადამიანის სახელი შებღალა, გარდაცვლილი ადამიანის სახელი. მხეცები! პირუტყვები!

ისევ ძალუმად მოერია ბრაზი და რუთს შეეშინდა კიდეც. პირველად ხედავდა მარტინს ასე გაცეცხლებულს და თავშეუკავებლობის მიზეზისათვის ვერ მიეგნო. მაგრამ ასეთი შიშის მიუხედავად, ჭაბუკი მაინც იზიდავდა მას და ისეთი ძლიერი იყო ეს მიზიდულობის ძალა, რომ უკიდურესი დაძაბულობის დროს ქალმა უცებ ხელები შემოხვია კისერზე. რუთი შეურაცხყოფილი და აღშფოთებული იყო იმითი, რაც მოხდა, მაგრამ მაინც ჭაბუკის მკლავებს მინდობოდა და ცახცახებდა. მარტინი კი მაინც არა ცხრებოდა:

— მხეცები, პირუტყვები!

და ისევ მკერდზე იყო მიხუტებული, როცა მარტინმა თქვა:

— მორჩა, მეტად აღარ აგიფორიაქებთ სუფრას და სტუმრებს, ჩემო ძვირფასო: ეგენი ვერ მიტანენ — რატომღა უნდა ვეჩხირო თვალში?! მეც ვერ ვიტან მაგათ! ფუჰ! რა გულისამრევი ხალხია! როგორი გულუბრყვილო ვიყავი — ვისაც მაღალი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, კარგ სახლებში ცხოვრობს, უნივერსიტეტდამთავრებულია და ბანკში ანგარიში აქვს, ყველა ღირსეული ადამიანი მეგონა!

თავი ოცდამეთვარემეტე

— წამოდი, ადგილობრივ კლუბში წავიდეთ, — მიკნავებული ხმით უთხრა ბრისენდენმა, რომელსაც სულ ნახევარი საათის წინ ამოეღო სისხლი: ამ სამი დღის განმავლობაში უკვე მეოთხედ ამოახველა სისხლი. აკანკალებულ ხელებში განუშორებელი ვისკი ეჭირა და წრუპავდა.

— სოციალისტებთან რა მესაქმება? — ჰკითხა მარტინმა.

— გარეშე ხალხს ხუთ წუთიან სიტყვას აძლევენ, — არ ეშვებოდა სენმორეული, — გამოდი და ილაპარაკე. თქვი, რატომ ხარ სოციალიზმის წინააღმდეგი. პირდაპირ უთხარი, რას ფიქრობ მათზე, მათ ეთიკაზე. ნიცშე სთხლიშე სახეში, ტარაბუა დაასხი. ატყდეს, ერთი, დაკა-დაკა. მოუხდებათ. დისკუსია შენთვისაც საჭიროა და მაგათთვისაც! მანამ ამ ქვეყნიდან წავსულვარ, მინდა ერთი სოციალისტად გიხილო. ეს თუ გიხსნის. ესღა იქნება ერთადერთი ხსნა, როცა იმედის გაცრუება და სასოწარკვეთილება გეწვევა.

— თავს ვიმტვრევ და ვერ მივმხვდარვარ, როგორ შეიძლება შენ სოციალისტი იყო — სწორედ შენ! — უთხრა მარტინმა, — აკი ბრბოს დასანახად ვერ იტან! მართალიც

ხარ — შენისთანა ესთეტ ადამიანს მაგათთან რა ესაქმება! — თითით ვისკის ჭიქა აჩვენა, რომელსაც კვლავ ივსებდა ბრისენდენი, — ეტყობა, ვერ გიხსნის სოციალიზმი.

— ჩემი დღეები დათვლილია, — იყო პასუხი, — მე რას მედრები. ჯანმრთელი კაცი ხარ. სიცოცხლე წინა გაქვს. უნდა ეცადო, როგორმე არსებობის აზრი გაგიჩნდეს. შენ ჩემი გიკვირს — სოციალისტი რატომ ხარო. გეტყვი. იმიტომ რომ სოციალიზმი გარდუვალია; იმიტომ რომ არსებული სისტემა დალპა, აზრი დაკარგა და დიდხან ვეღარ გასტანს; იმიტომ რომ იმ შენი ცხენზე ამხედრებული კაცის ყავლი გავიდა. მონებს ვეღარ გაიყოლიებს. მონები მეტისმეტად მომრავლდა, და მანამ იგი უზანგში ფეხის შედგმას მოასწრებდეს, ჩამოითრევენ, მიწაზე დაანარცხებენ. ვეღარ ჩამოცილდები მონებს, მათთან უნდა დარჩე, მათი მონური მორალი ყლაპო. გემოს მაინცდამაინც ვერ ჩაატან, მაგრამ რას იზამ, უნდა ყლაპო. შენი ნიცშეანური იდეებით ადამისჟამინდელ კაცად გამოჩნდები. წარსულს ვეღარ დაიბრუნებ, და ვინც იმას გაიძახის, ისტორია მეორდებაო, ტყუის. ბრბო, რაღა თქმა უნდა, არ მიყვარს, მაგრამ რა უნდა ვქნა?! ცხენზე ამხედრებულ კაცს ვეღარ ეღირსები, ხოლო ახლანდელ ლაჩარ და ღორ მმართველებს, ყველა მირჩევნია, ვინც არ უნდა მოვიდეს. ასე რომ, წავიდეთ! აქ თუ დავრჩი, ნამდვილად გავილეშები. იცი, მერე, რას ამბობს ექიმი?.. ჯანდაბას ექიმის თავი. ნახე, როგორ გავაცურო.

კვირა საღამო იყო და კლუბის პატარა დარბაზი ოუკლენდელ სოციალისტებს გამოეტენათ, მეტწილად მუშები იყვნენ. ორატორი ჭკვიანი ებრაელი გამოდგა და მაშინვე მოეწონა მარტინს, თუმცა მისმა სიტყვებმა ანტაგონისტური განწყობილება შეუქმნა. მისი ვიწრო, მოხრილი მხრები, ჩავარდნილი მკერდი აშკარად ამბობდა, რომ ეს კაცი გეტოს ჭეშმარიტი შვილი იყო, და მარტინს აშკარად წარმოუდგა ის განუწყვეტელი ბრძოლა, რასაც სუსტი, გაუბედურებული მონები აწარმოებენ ერთი მუჭა ბატონების წინააღმდეგ, რომლებიც დასაბამითვე მათ მბრძანებლობენ და ქვეყნის აღსასრულამდე მბრძანებლებადვე დარჩებიან. ეს დაუძლურებული კაცი მარტინს სიმბოლოდ წარმოუდგა. ეს იყო საცოდავი წარმომადგენელი უმწეოთა და გაუბედურებულთა მთელი მასისა, იმ ხალხისა, რომლებიც ბიოლოგიური კანონების და ცხოვრების უკუღმართობის წყალობით პანტაპუნტით იღუპებოდნენ. ცხოვრებას შეუგუებელნი იყვნენ. ეშმაკური ფილოსოფიისა და ერთად ცხოვრებისადმი ჭიანჭველისებური მიდრეკილების მიუხედავად, ბუნებამ ისინი გასწირა, ძლიერნი და საუკეთესონი გამოარჩია და მათ დაუჭირა მხარი. ხალხიც ამ მეფოდს გაჰყვა, ბრმად მიბაძა ბუნებას — ჯიშიანი ცხენებისა და ჯიშიანი კიტრების გამოყვანას შეუდგა. ქვეყნის შემქმნელს, რაღა თქმა უნდა, უკეთესი მეთოდის გამოგონებაც შეეძლო. მაგრამ რაკი ეს არჩია, ხალხიც ამას უნდა დაყაბულდეს. ცხადია, სიკვდილის წინ კრუნჩხვას მოჰყვებიან, როგორც სოციალისტები იკრუნჩხებიან, რომლებიც ერთად შეყრილან, რათა ცხოვრების ტანჯვის შესამსუბუქებლად და ბუნების კანონების გასაცურებლად რამე იღონონ.

ასეთ ფიქრებს მოეცვა მარტინის თავი, ასევე ილაპარაკა, როცა ბრისენდენმა საშველი არ მისცა — გამოდი და ჯოჯოხეთი დაატრიალეო. დაემორჩილა, წესისამებრ ტრიბუნაზე გავიდა და თავმჯდომარეს მიმართა. ჯერ ხმადაბლა დაიწყო, ბორძიკით, ცდილობდა კარგად ჩამოეყალიბებინა ის აზრები, რაც ებრაელის გამოსვლის დროს მოუვიდა თავში. ამისთანა კრებებზე ორატორს ხუთ წუთს აძლევდნენ. მაგრამ ხუთი წუთი რომ გაუთავდა მარტინს, სწორედ მაშინ შედიოდა ეშხში, ახლაღა იწყებდა სოციალისტურ დოქტრინებზე თავდასხმას. ისე დაიპყრო მსმენელი, რომ თავმჯდომარეს მოსთხოვეს — დრო გაუგრძელეო. ღირსეულ მოწინააღმდეგედ მიიჩნიეს, გულისყურით უსმენდნენ, ერთი სიტყვაც არ გამოპარვიათ. დიდი

მგზნებარებითა და თავდაჯერებით ლაპარაკობდა მარტინი, არც კი ცდილა გამოთქმები შეერბილებინა, როცა მონებს, მათ მორალსა და ტაქტიკას ესხმოდა თავს, გულახდილად განუცხადა მსმენელებს, მონებში თქვენა გგულისხმობთო. სპენსერისა და მალთუსის ციტატები მოიტანა და განვითარების ბიოლოგიური კანონი აღიარა.

— ამრიგად, — მოკლედ შეაჯამა მან თავისი სიტყვა, — მონებისაგან შემდგარი სახელმწიფო ვერ იარსებებს. განვითარების ძველისძველი კანონი კვლავ უცვლელია. არსებობისათვის ბრძოლაში, როგორც უკვე დაგიმტკიცეთ, ძლიერი და ძლიერის შთამომავლობა იმარჯვებს, სუსტი და მისი შთამომავლობა კი ისპობა და ნადგურდება. ხოლო ამ ბრძოლაში, რაც დრო გადის, ძლიერთა ახალ და ახალ თაობას სულ უფრო და უფრო ემატება ძალა. ასეთია განვითარების ბუნება. თქვენ კი მონები — მესმის, რომ ძალიან ცუდია მონობა — თქვენ-მეთქი, მონები, ისეთ საზოგადოებაზე ოცნებობთ, საცა განვითარების კანონი გაუქმებული იქნება, საცა სუსტი და უნიათო ხალხი არ დაიღუპება, ყველა უნიათო იმდენს შეჭამს, რამდენიც მოუნდება, იმდენჯერ დღეში, რამდენჯერაც მოესურვება, საცა ყველა იქორწინებს — სუსტიცა და ძლიერიც — და შთამომავლობას გააჩენს. ამას რა მოჰყვება? თაობიდან თაობამდე კაცობრიობას ძალა და სასიცოცხლო ენერგია აღარ მოემატება. პირიქით, თანდათანობით დაკნინდება. აჰა, თქვენი მონური ფილოსოფიის ნემეზიდა. თქვენი საზოგადოება — მონებისაგან შემდგარი და მონებისათვის მზრუნველი — თანდათანობით დასუსტდება და დაირღვევა. ნუ დაივიწყებთ, რომ მე ბიოლოგიური კანონების მიხედვით ვმსჯელობ და არა სანტიმენტალური ეთიკისა. მონების სახელმწიფო ვერ იარსებებს, ვერ...

— შეერთებულ შტატებზე რაღას იტყვით? — დაიღრიალა ვიღაცამ დარბაზში.

— შეერთებული შტატები? — გამოეხმაურა მარტინი, — ცამეტმა კოლონიამ განდევნა თავიანთი მმართველები, ეგრეთ წოდებული რესპუბლიკა შექმნეს. მონები თავისივე თავის ბატონები გახდნენ. ხმლის ძალას დაყრდნობილი ბატონები აღარ დარჩა. მაგრამ მონებს არ შეგეძლოთ უბატონოთ ცხოვრება და ახალი ბატონები გამოიგონეთ — კეთილშობილი და კაცური ხალხი კი არა, არამედ ღვარძლიანი და ობობასავით მსხვერპლის მომლოდინე ვაჭრები და მევახშეები. ადგნენ ეს ახალი ბატონები და კვლავ დაგიმონეს, მაგრამ არა აშკარად და ვაჟკაცურად, როგორც საკუთარ მკლავს მინდობილ ჭეშმარიტ კეთილშობილს შეეფერება, არამედ ფარულად, ათასნაირი ხრიკებით, ლაქუცით და გაიძვერობით. თქვენი მონური სულის მოსამართლეები მოისყიდეს, კანონები გაგითახსირეს, თქვენს შვილებს ჩვეულებრივი მონობის ტანჯვა არ აკმარეს და უფრო საშინელი განსაცდელის შიშით აძრწუნებენ. თქვენი შვილები — ორი მილიონი ადამიანი — შეერთებული შტატების სავაჭრო ოლიგარქიას ემსახურება, ათ მილიონ მონას ლუკმაპური და თავშესაფარი არ გააჩნია. ისევ ჩემს აღძრულ საკითხს დავუბრუნდეთ. მე უკვე გაჩვენეთ, რომ მონების სახელმწიფო ვერ იარსებებს, მისი ბუნება არ ეგუება განვითარების საერთო კანონს. ჩასახვასაც კი ვერ მოასწრებს მონების საზოგადოება, რომ მაშინვე ხრწნასა და გადაგვარებას დაიწყებს. ლიტონი სიტყვებით უარყოფა განვითარების კანონისა ადვილი საქმეა, მაგრამ რა კანონს უნდა დაეყრდნოთ? განვითარების ახალი კანონი სადღაა? ჩამოაყალიბეთ! უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ? მაშ, გვიჩვენეთ!

დარბაზის საშინელ ღრიანცელში მარტინი თავის ადგილზე დაჯდა. ოცამდე კაცი ფეხზე წამოიჭრა, სიტყვას თხოულობდნენ. და თანდათანობით, ტაშითა და მოწონების შეძახილებით გულმოცემულებმა, ხელების გამწარებული ქნევით, მგზნებარედ მოიგერიეს მარტინის იერიში. ნამდვილი ველური ღამე იყო, აზრთა ჭიდილი და შეჯახება. ზოგმა გადაუხვია მსჯელობის თემას, მაგრამ გამოსულთა

უმრავლესობამ პირდაპირი პასუხი გასცა მარტინს. სულ ახალ-ახალი აზრები გადმოულაგეს, ბიოლოგიის ახალი კანონები არ ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ ძველი გააშუქეს ახლებურად და სულ სხვა თვალით შეხედეს. ისეთი გაფიცხებით ლაპარაკობდნენ ორატორები, რომ ზოგჯერ თავაზიანობაც კი ავიწყდებოდათ, თავმჯდომარე ერთი-ორჯერ იძულებული გახდა წესრიგისაკენ მოეწოდებინა.

შემთხვევით კრებას ესწრებოდა ვიღაც ახალგამოჩეკილი რეპორტიორი. სენსაციურ მასალას ეძებდა და მთელი დღე ვერაფერი ეშოვნა. ჭკუით ვერ დაიტრაბახებდა ეს ახალგამოჩეკილი რეპორტიორი. ცერცეტა და თავხედი იყო. გონება მეტისმეტად ჩლუნგი ჰქონდა და ორატორების მსჯელობის არსი არ ესმოდა. ისე კი ცხვირსა ბზეკდა, თავი მოჰქონდა — ამ მუშებზე, ამ ყბედ მანიაკებზე მაღლა ვდგავარო. თან, უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული იმ ხალხის მიმართ, რომელთაც საზოგადოების ზედა ფენებში მოეკალათნათ და თავიანთ პოლიტიკას უკარნახებდნენ ერებსაც და გაზეთებსაც. გარდა ამისა, თავისი იდეალიც ჰქონდა ამ ყმაწვილს — ოცნებობდა დიდი რეპორტიორი გამხდარიყო, რომელიც მოახერხებდა არაფრისაგან რაიმე — და დიდი რაიმეც — შეექმნა.

რასაც აქ ლაპარაკობდნენ, ვერაფერი გაიგო. ანკი რა საჭირო იყო. ცალკეულ სიტყვებს რომ მოჰკრავდა ყურს, — მაგალითად რევოლუციას. — ისედაც ყველაფერი გასაგები ხდებოდა. პალეონტოლოგის მსგავსად, რომელიც ნაპოვნი ძვლისაგან ჩონჩხს აღადგენს ხოლმე, ეს ყმაწვილიც სიტყვა «რევოლუციისაგან» ორატორის მთელ გამოსვლას აღადგენდა. იმავე ღამეს აღადგინა, და კარგადაც აღადგინა. ხოლო რაკი მარტინის გამოსვლამ ყველაზე მეტი შეხლა-შემოხლა გამოიწვია, გადაწყვიტა მთლიანად მისთვის მიეწერა ეს შეკოწიწებული გამოსვლა, უდიდეს ანარქისტად გამოიყვანა, მისი რეაქციონური ინდივიდუალიზმი — გაშანშალებულ სოციალიზმად აქცია. ამ ახალგამოჩეკილ რეპორტიორს საკმაო საღებავები გამოაჩნდა, რომ მხატვრულად დაეხატა თვალამღვრეული, ველურებივით თმაჩამოზრდილი, ნევრასტენიკი და დეგენერატი ხალხი, რომელთაც ზედმეტი გაფიცხებისაგან ხმა უკანკალებდათ, მუშტებს აქეთ-იქით იქნევდნენ და გახელებული ბრბოს ღრიალში უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ.

თავი ოცდამეცხრამეტე

მეორე დღეს თავის პატარა ოთახში მარტინი ყავას შეექცეოდა და დილის გაზეთს კითხულობდა. პირველად სიცოცხლეში თვალი მოჰკრა თავის სახელსა და გვარს, გაზეთის პირველსავე გვერდზე მსხვილი ასოებით დაბეჭდილს. სახტად დარჩა, როცა შეიტყო — თურმე ოუკლენდელი სოციალისტების ბელადი ყოფილიყო. გადაიკითხა ახალგამოჩეკილი რეპორტიორის მიერ მისი სახელით შეკოწიწებული მგზნებარე სიტყვა და თუმცა პირველად ბრაზი მოერია ასეთ სიყალბეზე, მერე გაზეთი გადააგდო და გაეცინა.

— ან მთვრალის დაწერილია ან რაღაც საშინელ ბოროტმოქმედებას მიმზადებენ, — უთხრა მან იმავე საღამოს ბრისენდენს, რომელიც მოვიდა და მოწყვეტით დაეშვა ერთადერთ სკამზე.

— ნეტა, რაში გენაღვლება? — ჰკითხა ბრისენდენმა. — არა მგონია, იმ ღორი ბურჟუების აზრი გაინტერესებდეს, ვინც ამ გაზეთს კითხულობს.

მარტინი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— არა, რაღა თქმა უნდა. იმათი აზრი რაში მენაღვლება. ერთი ბეწოთაც არა. თუმცა მოსალოდნელია, რომ ეს ჩემს ურთიერთობას გაართულებს რუთის ოჯახთან.

მამამისი მუდამ დარწმუნებული იყო ჩემს სოციალისტობაში, ეს უბადრუკი წერილი კიდევ უფრო განუმტკიცებს რწმენას. მისი აზრი სულაც არ მეპიტნავება... თუმცა სულერთია. მინდა წაგიკითხო, რაც დღეს დავწერე... «დაგვიანებული», რა თქმა უნდა. უკვე შუაზე ვარ მისული.

დაიწყო თუ არა კითხვა, მარიამ კარი შემოაღო და კოხტად გამოწკეპილ ახალგაზრდა კაცს შემოუძღვა, რომელმაც სწრაფად მოატარა ოთახში თვალი, ჯერ ნავთქურას შეხედა, მერე სამზარეულო შეათვალიერა კუთხეში და ბოლოს მარტინზე შეაჩერა მზერა.

— დაბრძანდით, — მიმართა ბრისენდენმა.

მარტინი გვერდზე მიიწია, ჩამოსაჯდომი ადგილი გაუთავისუფლა ლოგინზე და დაადა, რას იტყვისო.

— მე თქვენი წუხანდელი სიტყვა მოვისმინე, მისტერ იდენ, და ინტერვიუსთვის მოვედი, — დაიწყო მან.

ბრისენდენს გულიანი სიცილი აუვარდა.

— თანამოაზრე სოციალისტია? — ჰკითხა რეპორტიორმა და ერთბაშად ბრისენდენისკენ მიბრუნდა, შეათვალიერა, რათა ამ მომაკვდავი კაცის დასახატავად ფერები შეერჩია.

— ნუთუ ამან დაწერა? — ჩაილაპარაკა მარტინმა, — ეს ხომ ჯერ სულ ბალღია!

— რატომ არ მიაკერებ?! — უთხრა ბრისენდენმა, — ათას დოლარს არ დავიშურებდი, ხუთი წუთით ჯანმრთელი ფილტვები რომ მომცა.

ახალგამოჩეკილი რეპორტიორი ცოტა არ იყოს შეცბა — ეს სიტყვები მას შეეხებოდა, მოურიდებლად პირში ეუბნებოდნენ. მაგრამ რედაქტორის შექება სოციალისტების მიტინგის ბრწყინვალედ აღწერისათვის ახალმოსმენილი ჰქონდა, თანაც შემდგომი დავალება მიეღო — ინტერვიუ გაემართა მარტინ იდენთან — არსებული წესწყობილების ორგანიზებული მტრების ბელადთან.

— საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, სურათი რომ გადაგიღოთ, მისტერ იდენ? — მიმართა მან, — ფოტორეპორტიორი გარეთ მელოდება. ახლავე რომ გადავიღოთ სჯობსო, ამბობს, მზის ჩასვლამდე. ინტერვიუს მერეც მოვესწრებით.

— ფოტორეპორტიორი! — გაწელა ბრისენდენმა, — რაღას უცდი, მარტინ, ვერ მიაკერებ.

— ვბერდები, ეტყობა, — მიუგო მარტინმა, — ხომ ვიცი, რომ მისატყეპია, მაგრამ რაღაცნაირად მეზარება.

— დედამისი მაინც შეიცოდე, — არ ეშვებოდა ბრისენდენი.

— მაგას კი მართალს ამბობ. — უპასუხა მარტინმა, — მაგრამ იმხელა საბაბი მაინც არ არის, რომ საჩხუბრად აღმძრას. ხომ ყველაფერს სჭირდება ერთგვარი გაღიზიანება. თანაც რა აზრი აქვს.

— ნამდვილად... ნამდვილად არა აქვს აზრი, — შესძახა გახარებულმა რეპორტიორმა, თუმცა იმდენად შეცბუნებულიყო, რომ ცალ თვალს მაინც არ აშორებდა კარს.

— თუმცა ერთი სიტყვაც კი, რაც ამას დაუჯღაბნია, მართალი არ არის, — განაგრძო მარტინმა და ბრისენდენს შეხედა.

— ეს საერთო ანგარიშს წარმოადგენს, უნდა გამიგოთ, — გაბედულება მოიკრიბა რეპორტიორმა, — თანაც მშვენიერი რეკლამაა. მარტო ეს რად ღირს. მადლობელიც უნდა იყოთ.

— ხომ გაიგე, მარტინ. მშვენიერი რეკლამაა, ძმობილო! — დიდის ამბით გაიმეორა ბრისენდენმა.

— თანაც მადლობელი უნდა ვიყო, თურმე... კარგად დაუფიქრდი! — გამოეხმაურა მარტინი.

— ერთი ეს მიბრძანეთ, სად დაიბადეთ, მისტერ იდენ? — ჰკითხა რეპორტიორმა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს დიდი გულისყურით უსმენსო.

— ხომ ხედავ, არც კი იწერს, — შესძახა ბრისენდენმა, — ზეპირად იმახსოვრებს.

— ჩემთვის ეგეც საკმარისია, — ყმაწვილი ყოველნაირად ცდილობდა, შიში არ შეტყობოდა, — კარგმა რეპორტიორმა ჩაწერით რატომ უნდა შეიწუხოს თავი!

— წუხანდელ ანგარიშს ეტყობა, რა საკმარისიც იყო, — მაგრამ ბრისენდენი სულაც არ ყოფილა კვიეტისტური მიმართულების მიმდევარი, ასე რომ ხელადვე შეცვალა ხმა და მარტინს შესძახა, — მარტინ, ამ ვაჟბატონს თუ არ მიაკერე, იცოდე მე გამოვიღებ ხელს, თუნდა იმავე წუთში მკვდარი დავვარდე ძირს.

— რომ მივტყეპო? — ჰკითხა მარტინმა.

ბრისენდენი ჩაფიქრდა და თავი დაუქნია.

იმავე წუთში მარტინი საწოლის ძგიდეზე ჩამოცურებულიყო და ახალგამოჩეკილი რეპორტიორის თავი მუხლებში მოექცია, პირჩაღმა.

— ოღონდ კბენა არ იყოს, — გააფრთხილა მარტინმა, — თორემ ცხვირპირსაც გაგიბრტყელებ და მერე სანანებელი გამიხდება, მშვენიერი სიფათი გაქვს.

ასწევდა მარჯვენა ხელს და დაუშვებდა, კიდევ და კიდევ, სწრაფად. თანაბარი მოძრაობით. ახალგამოჩეკილი რეპორტიორი სხმარტალებდა, იგინებოდა, იწმახნებოდა, მაგრამ კბენა არც უფიქრია. ბრისენდენი დინჯად შეჰყურებდა, თუმცა ერთი პირობა ისიც აფეთქდა, ვისკის ბოთლს სტაცა ხელი და შესძახა, — მეც მიმიშვი, ერთი მეც ჩავარტყა.

— ბედი შენი, რომ ხელი დამეღალა, — თქვა ბოლოს მარტინმა და გაჩერდა, — სულ დამიბუჟდა.

რეპორტიორი ქეჩოთი წამოაყენა და ლოგინზე დასვა.

— ახლავე დავაჭერინებ თქვენს თავს, — ამოიღმუვლა ბიჭმა, რომელსაც ბავშვური გაგულისების ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ალეწილ სახეზე, — ამას არ შეგარჩენთ, თორემ თქვენ თვითონ ნახავთ!

— შე საწყალო ტიკინა!! — უთხრა მარტინმა. — კიდევ ვერ შეიგნე, რომ მოლიპულ გზაზე ეშვები. რა ნამუსია, რა პატიოსნება, რა კაცობა, ამდენი ტყუილის მოჭორვა ადამიანზე. რომ არც ესმის!

— აქ მაგისთვის მოვიდა სწორედ, რომ გაეგო, — თქვა ბრისენდენმა.

— მაშ... ჯერ შემარცხვინა, თავი მომჭრა და მერე მობრძანდა. მორჩა, მედუქნე ნისიას დამიხურავს. მაგრამ ყველაზე დასანანი ის არის, რომ ეს საბრალო ვაჟბატონი აღარ მოიშლის, სულ ამ გზით ივლის, მანამ პირველხარისხოვან ჟურნალისტად და პირველხარისხოვან არამზადად არ იქცევა.

— დრო ჯერ ბევრია, — უთხრა ბრისენდენმა, — ვინ იცის, იქნებ სწორედ შენ გიწერია, მაგის წესიერ ადამიანად მოქცევა. რატომ მეც არ ამომარტყმევინე, მეც ვიქნებოდი გარეული კეთილ საქმეში.

— ციხეში გამოვალპობინებ თქვენს თავს, ორივეს ერთად, თ-თქვე მხეცებო! — ზლუქუნებდა გზასაცდენილი ყმაწვილი.

— არა. მეტისმეტად ლამაზი და ნაზი სახე აქვს. — ნაღვლიანად გადააქნია თავი მარტინმა, — მოვტყუვდი, სულ ტყუილუბრალოდ დავიბეჟე ხელი. ამ ვაჟბატონს ვეღარაფერი გამოასწორებს. ნამდვილად დიდი და სვებედნიერი ჟურნალისტი გახდება. სინდისის ნატამალიც არა სცხია. მარტო ეს რად ღირს!

ამასობაში ბიჭმა მოახელთა და გაშპა, საშინლად დაფეთებული იყო, ბრისენდენმა ზურგში არ მომაყოლოს ბოთლიო, რომელიც ისევ ხელში ეჭირა.

მეორე დილას მარტინმა კიდევ ბევრი ისეთი რამ შეიტყო გაზეთებიდან საკუთარი თავის შესახებ, რაზედაც აქამდე წარმოდგენაც არა ჰქონია. «დიახ, ჩვენ საზოგადოების შეურიგებელი მტრები ვართ, — განუცხადებია მას ინტერვიუს დროს, — არა, ანარქისტები არა ვართ, სოციალისტები ვართ». როცა რეპორტიორს შეუნიშნავს — ამ ორ სკოლას შორის დიდი განსხვავება არ უნდა იყოსო. მარტინმა თურმე მხრები აიჩეჩა და აღარაფერი თქვა, დაეთანხმა. სახე ყოველნაირად ასიმეტრიული ჰქონიყო, დეგრადაციის ბევრი სხვა აშკარა ნიშანიც აღმოსჩენოდა. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო თურმე მისი სისხლიანი, ანთებული თვალები და ნამდვილი მკვლელის ხელები.

ისიც გაიგო მარტინმა, რომ იგი თურმე ყოველ საღამოს გამოდის სიტყვებით სიტი-ჰოლ-პარკში, მუშების წინაშე და ანარქისტებსა და აგიტატორებში, რომლებიც იქ ხალხს აღელვებს და რევს, ყველაზე მეტად პოპულარულია, ყველაზე უფრო რევოლუციონურ სიტყვებსაც წარმოთქვამს. ახალგამოჩეკილ რეპორტიორს საღებავები არ დაეშურებინა მარტინის მოცუცქნული ოთახის დასახატავად. არ გამორჩენოდა არც ნავთქურა, არც ის ერთადერთი სკამი, რომელზედაც სამარიდან ამოღებული მკვდარი იჯდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონიყო ამ მაწანწალას, თითქოს ოცი წელი ციხეში ყოფილიყოს გამოკეტილი, განმარტოებულ საკანში და ახლახან გამოეშვათ.

საერთოდ, დიდი სიბეჯითე გამოეჩინა ახალგამოჩეკილ რეპორტიორს. ყველგან დაეყნოსა, ყველგან მიმძვრალ-მომძვრალიყო, მარტინის მთელი საგვარეულო ისტორია გამოეჩხრიკა, ჰიგინბოთამის დუქნის გეშიც აეღო, სურათიც კი გადაეღო ამ დუქნისა, რომლის წინა პლანზე თვითონ ბერნარდ ჰიგინბოთამი იყო გამოსახული. ეს ვაჟბატონი ისე იყო აღწერილი, როგორც ყოვლად განათლებული და საპატივცემულო საქმოსანი, რომელსაც ცოლისძმის სოციალისტური შეხედულებანი გულზე ხეთქავდა და საერთოდ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა მასთან; ცოლისძმას ახასიათებდა, როგორც ნაცარქექიას, უქნარას, ყოველგვარი საქმისათვის თავის ამრიდებელს, რომელიც, ადრე თუ გვიან, უსათუოდ ციხეში ამოჰყოფდა თავს. მერიენის ქმრისთვისაც ჩამოერთმიათ ინტერვიუ, ჰერმან ფონ შმიდტისათვის. მან ოჯახის თავისმომჭრელი უწოდა თურმე მარტინს, სამუდამოდ გაემიჯნა მას. «გაყვლეფა მომინდომა, — უთხრა თურმე ფონ შმიდტმა რეპორტიორს, — მაგრამ მაშინვე მოვუკეტე ყოველგვარი გზა. მეტად ვეღარც მოსუნავს ჩემთან. უსაქმური კაცისაგან კარგს არაფერს უნდა ელოდე, არაფერ ხეირს დაგაყრის».

ახლა კი მართლაც გაცეცხლდა მარტინი. ბრისენდენი ყველაფერ ამას როგორც კარგ თავისშესაქცევ ხუმრობას, ისე უყურებდა, მაგრამ მეგობრის დამშვიდება მაინც ვერ მოახერხა, რადგან მარტინმა იცოდა, რომ ამეების ახსნა რუთისთვის ძნელი იქნებოდა. ქალის მამას, რაღა თქმა უნდა, დიდად გაახარებდა ეს ამბავი, ახლა იგი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა ქორწინების საქმე ჩაეშალა. მალევე დარწმუნდა თავისი ვარაუდის სისწორეში. საღამოს ფოსტამ რუთის წერილი მოუტანა. ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილმა მარტინმა კონვერტი გახსნა და ოთახში არც შესულა, იქვე წაიკითხა წერილი, კარებშივე, საცა ფოსტალიონმა მიაწოდა. კითხულობდა და ხელი უნებურად ჯიბეში თამბაქოსა და თამბაქოს გასახვევ ყავისფერ ქაღალდს ეძებდა. აღარც კი გახსენებია, რომ ჯიბე ცარიელი ჰქონდა, თამბაქოსა და გასახვევ ქაღალდს დიდი ხანია აღარ ატარებდა.

წერილი საკმაოდ მშვიდი იყო. გაბრაზების ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა. მაგრამ პირველივე სიტყვიდან ბოლომდე მთელ წერილში დიდი იმედგაცრუება და გულისტკივილი გამოსჭვიოდა. მეტს მოველოდი შენგანო, სწერდა ქალი. მეგონა, დაივიწყე შენი ჭაბუკური თავქარიანობა, ჩვენი სიყვარული საკმაო საწინდარი მეგონა იმისა, რომ სერიოზული და ღირსეული ცხოვრება დაგეწყოო. ახლა დედაჩემი და მამაჩემი სასტიკი წინააღმდეგი არიან ჩვენი ქორწინებისო. მეც რაღა მქონდა სათქმელი, როცა ცამდე მართლები არიანო. ჩვენ ერთად ბედნიერები ვერ ვიქნებით. თავიდანვე უკუღმართად დაიწყო ყველაფერი. ერთადერთი სინანული იყო გამოთქმული მთელს წერილში და იმანაც მწარედ უკბინა მარტინს. «რამე საქმისთვის რომ მოგეკიდა ხელი, სადმე სამსახურში მოწყობას რომ ცდილიყავი! — სწერდა ქალი, — მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. არეულ და ველურ ცხოვრებას იყავი მიჩვეული. ვიცი, რომ შენი ბრალი არ არის. სულ შენი ბუნებისა და აღზრდის საქმეა. განა გამტყუნებ. ამას ნუ დაივიწყებ. შეცდომა მოხდა. მამაჩემი და დედაჩემი მართალი აღმოჩნდნენ. ჩვენ ერთმანეთისათვის არა ვართ გაჩენილი. და ბედი ჩვენი, რომ ეს, ასე თუ ისე, დროზე გამოირკვა... ჩემს ნახვას ნუღარ ეცდები, — სწერდა იგი ბოლოს, — ეს იქნებოდა უბედური შეხვედრა ჩვენთვისაც და დედაჩემისთვისაც. ისედაც დიდი ტკივილი და მწუხარება მივაყენე. რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლო, რომ ეს ცოდვა გამოვისყიდო!»

მეორედაც გადაიკითხა წერილი, მერე დაჯდა და პასუხი დაწერა. ჩამოუყალიბა ყველაფერი, რაც კი სოციალისტების მიტინგზე ილაპარაკა; მისწერა — გაზეთში სულ საწინააღმდეგო ეწერა იმისა, რაც სინამდვილეში ვთქვიო. წერილის დასასრულს იგი მხურვალედ ეფიცებოდა სიყვარულს. «მიპასუხე, — ემუდარებოდა იგი, — მხოლოდ ერთი რამ მიპასუხე: გიყვარვარ? სხვა არაფერს გთხოვ — ამ კითხვაზე მიპასუხე».

მაგრამ გავიდა მეორე დღე, მესამეც, პასუხი კი არ ჩანდა. «დაგვიანებულისთვის» ხელიც აღარ უხლია, მაგიდაზე ეგდო, მაგიდის ქვეშ დაბრუნებული ხელნაწერების გროვა სულ უფრო იზრდებოდა და იზრდებოდა. პირველად თავის სიცოცხლეში მარტინს მშვიდი ძილი დაუფრთხა და უძილობამ შეაწუხა, მთელი ღამეები მოუსვენრად წრიალებდა. სამჯერ მივიდა მორზებთან, მაგრამ სამივეჯერ კარი მსახურმა გაუღო და არ შეუშვა. ბრისენდენი ლოგინად ჩავარდნილიყო, სასტუმროში იწვა და ვერ ინძრეოდა, მარტინი ხშირად მიდიოდა მეგობართან, მაგრამ არ უნდოდა თავისი გასაჭირით შეეწუხებინა.

გასაჭირი კი ბევრი ჰქონდა. ახალგამოჩეკილი რეპორტიორის მოქმედების შედეგები უფრო ფართო აღმოჩნდა, ვიდრე მარტინი წარმოიდგენდა, პორტუგალიელმა ბაყალმა ნისია დაუხურა. მემწვანილემ, რომელსაც თავი ამერიკელობით მოჰქონდა, სამშობლოს მოღალატე უწოდა და ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა მასთან — იმ ზომამდე მოერია პატრიოტული გრძნობა, რომ საერთოდ მოსპო მარტინის ანგარიში, ძველი ვალის გადახდაც კი აუკრძალა. ასეთივე განწყობილება დაეუფლა მეზობლებსაც, მათი გულისწყრომა თანდათანობით იზრდებოდა. მოღალატე სოციალისტთან ურთიერთობა არავის არ სურდა. საბრალო მარიას ეჭვი და შიში სტანჯავდა, მაგრამ მაინც ერთგული დარჩა. მეზობელ ბავშვებს უკვე გაქრობოდათ ის თავზარდამცემი შთაბეჭდილება, რაც ერთხელ მარტინთან მისულმა დიდებულმა კარეტამ გამოიწვია და ახლა შორიდან (ხლოს მისვლისა ეშინოდათ) ეძახდნენ «უქნარასა» და «მაწანწალას». მარიას ბალღები კი ერთგულებას ინარჩუნებდნენ, თავგამოდებით იცავდნენ მარტინის ინტერესებს, მისი გულისთვის არაერთჯერ გაუმართავთ ბრძოლა, დალილავებული თვალები და

გასისხლიანებული ცხვირი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და ამან კიდევ უფრო გაამძაფრა მარიას შეშფოთება და სასოწარკვეთილება.

ერთ დღეს გერტრუდას შეხვდა მარტინი ოუკლენდში და გაიგო ის, რასაც ისედაც ელოდა — ბერნარდ ბიგინბოთამი სულ ცოფებსა ყრიდა თურმე, მთელი ოჯახი შეგვარცხვინა და საქვეყნოდ გამოგვაჭენაო, ჩემს სახლში მაგისი ფეხი არ ვნახოო.

— რატომ არსად არ წახვალ, მარტინ? — შეემუდარა გერტრუდა, — წადი სადმე, რამე ხეირიან საქმეს მოეკიდე. მანამდე აქაც გაივლის ყველაფერი და უკანვე დაბრუნდები.

მარტინმა თავი გააქნია, თქმით კი არაფერი უთქვამს. ანკი რა უნდა ეთქვა? მასა და მისიანებს შორის უზარმაზარი გონებრივი უფსკრული გაჩენილიყო. ამ უფსერულის დანახვაც კი ზარავდა მარტინს, როგორღა უნდა გადაელახა და აეხსნა მათთვის თავისი პოზიცია — ნიცშეანელის დამოკიდებულება სოციალიზმთან. ისეთი სიტყვები, რითაც იგი თავისიანებს გააგებინებდა თავის პოზიციას, საერთოდ არ არსებობდა, არც ინგლისურ ენაში, არც სხვა რომელიმე ენაში. ერთს რასმე მოითხოვდნენ — მუშაობა დაიწყეო! სხვა არაფერს. ეს იყო მათი პირველი სიტყვაც და უკანასკნელიც. მათი აზროვნების ლექსიკონი ამ ერთი სიტყვით განისაზღვრებოდა. სამსახური დაიწყე! სამსახური იშოვე! საწყალი, გამოთაყვანებული მონები, ფიქრობდა მარტინი და გერტრუდას უსმენდა. რაღა გასაკვირია, რომ ქვეყანა ძლიერებმა ჩაიგდეს ხელთ. მონები თავიანთივე მონური სულისკვეთებისაგან ვერ განთავისუფლებულან. სამსახური მათთვის ოქროს კერპად ქცეულიყო და პირქვედამხობილები სცემდნენ თაყვანს.

გერტრუდამ ფული შესთავაზა, მაგრამ მარტინმა უარის ნიშნად კვლავ გააქნია თავი, თუმცა იცოდა, რომ ცოტა ხანში ისევ მევახშეს უნდა მისდგომოდა.

— ბერნარდს ნუღარ გაეკარები, — ურჩია დამ, — რამდენიმე თვეში ეს ბრაზი გადაუვლის და იქნებ მეფურგონედაც კი აგიყვანოს, შენც თუ ინდომებ. მანამდე რამე თუ დაგჭირდება, შემატყობინე და მე თვითონ მოვალ. არ დაგავიწყდეს.

ტირილი წასკდა და გაშორდა, წავიდა. მარტინმა თვალი გააყოლა და გული ჩაწყდა, როცა შენიშნა, როგორ ძლივს მიაბიჯებდა სხეულით დამძიმებული ქალი. შეჰყურებდა დას და უცებ, თითქოს, ნიცშეანური შენობა ხუხულასავით შეირყა და შეტორტმანდა. მონების კლასზე მსჯელობა აბსტრაქტულად ძნელი საქმე არ იყო, მაგრამ როცა ეს საკუთარ ოჯახს შეეხო, არც ადვილი გამოდგა. ხოლო გერტრუდაზე კარგი მაგალითი ძალმომრეობით დაჩაგრული მონისა, ალბათ არც მოიძებნებოდა. ამ პარადოქსზე მარტინს მწარედ გაეღიმა. კაი ნიცშეანელი კი ყოფილა, გულის პირველსავე აჩქროლებაზე თუ შეერყა რწმენა და მსოფლმხედველობა! განა იმავე მონურმა მორალმა არ შეაცბუნა ახლა, აბა სხვა რა იყო დის შებრალება?! ძლიერი ადამიანი ყოველგვარ სიბრალულსა და თანაგრძნობაზე მაღლა უნდა იდგეს. სიბრალული და თანაგრძნობა მონათა უბადრუკ სოროებში იშვა, საცა სიმწრის ოფლჩამომდინარე გაუბედურებული ხალხი ბინადრობს.

თავი მეორმოცე

«დაგვიანებული» აღარც გახსენებია. მაგიდაზე ეგდო. რაც კი ხელნაწერები ჰქონდა დაგზავნილი, ახლა მაგიდის ქვეშ ეყარა ყველა. მხოლოდ ერთ ხელნაწერს არ შეეშვა — ისევ აგზავნიდა რედაქციიდან რედაქციაში. ეს იყო ბრისენდენის «ფფემერა». ველოსიპედი და შავი კოსტიუმი ისევ მევახშესთან ჰქონდა დაგირავებული, საბეჭდი მანქანის ბიუროდან ისევ და ისევ დაჟინებით მოითხოვდნენ ქირას. მაგრამ ამისთანა

რამეები უკვე აღარ აწუხებდა მარტინს. იგი ახალი გზის ძიებაში იყო და მანამ ამ გზას მიაგნებდა, ცხოვრება თითქოს სულ გაჩერებულიყო.

გავიდა რამდენიმე კვირა და უცებ მოხდა ის, რასაც მარტინი მთელი ამ ხნის განმავლობაში მოელოდა. რუთს შეხვდა მოულოდნელად ქუჩაში. თავისივე ძმა მოჰყვებოდა, ნორმანი, და ისე დაიჭირეს თავი, თითქოს მარტინი ვერ შეენიშნათ. მერე ნორმანმა მისი ჩამოშორებაც სცადა.

— თუ არ მოეშვებით ჩემს დას, იცოდეთ, პოლიციელს დავუძახებ, — დაემუქრა ნორმანი, — სულაც არა სურს თქვენთან ლაპარაკი და თქვენი ასეთი ჩაციება შეურაცხმყოფელია.

— ძალიან ნუ იჩქარებთ, თორემ მართლაც პოლიცია გახდება გამოსაძახებელი და გაზეთებში გამოგაჭენებენ, — შეუბღვირა მარტინმა, — ახლა ჩამომეცალეთ... თუ გნებავთ, წადით და პოლიციელს დაუძახეთ. რუთს უნდა მოველაპარაკო.

— მე შენგან უნდა მოვისმინო ყველაფერი, — უთხრა მან რუთს.

ქალი გადაფითრებულიყო, კანკალებდა, მაგრამ მაინც შედგა და მარტინს შეხედა, თითქოს ვერ გაეგო, რას სთხოვდნენ.

— იმაზე მიპასუხე, წერილში რომ შეგეკითხე, — შეახსენა მარტინმა.

ნორმანი კვლავ მოუთმენლად აწრიალდა, მაგრამ მარტინმა გადახედა და ადგილზე გააქვავა.

ქალმა თავი გააქნია.

— შენ თვითონ დაწერე ის წერილი, შენი სურვილით? — ჩაეკითხა მარტინი.

— დიახ, — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ უპასუხა ქალმა, — ჩემი სურვილით. ისე მომჭერი თავი, რომ მეგობრებთან შეხვედრა მრცხვენია. ჩემს მეტი სალაპარაკო აღარაფერი აქვთ. მეტი რა უნდა გითხრა. შენ მე გამაუბედურე და აღარც მინდა მეტად გნახო.

— მეგობრები! ჭორიკანები! გაზეთის ცილისწამება!.. სიყვარულზე მაღლა აყენებ ამისთანა რამეებს? ახლა კი ვხედავ, რომ არასოდეს არ გყვარებივარ.

ქალს ერთბაშად შეუფაკლდა გაფითრებული სახე.

— მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა, შენ მაინც ამას ამბობ? — ძლივს გასაგონად ამოილაპარაკა რუთმა, — შენ თვითონვე არ იცი, რას ამბობ, მარტინ. მეც სხვებთან გამათანაბრე?!

— ხომ ხედავთ, რომ თქვენთან შეხვედრა არ სიამოვნებს, მიახალა ნორმანმა, დას ხელი გამოსდო და წავიდნენ.

მარტინი გვერდზე გადგა, გაატარა ისინი, თან კი ხელი უნებურად ჯიბეში ჩააცურა, თამბაქოსა და ყავისფერ ქაღალდს დაუწყო ძებნა, რაც სინამდვილეში არ არსებულა.

ჩრდილო ოუკლენდამდე კარგა დიდი მანძილი იყო გასავლელი, მაგრამ როცა კიბე აიარა და თავის ოთახში შევიდა, მაშინღა მიხვდა, რომ ეს გზა უკვე გაევლო. საწოლის ძგიდეზე ჩამომჯდარიყო და ახალგამოფხიზლებული მთვარეულივით თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მაგიდაზე «დაგვიანებული» შენიშნა. სკამი მოსწია, გადაჯდა და კალმისტარს დასწვდა. ისეთი ბუნება ჰქონდა, რომ მანამ დაწყებულ საქმეს არ დაამთავრებდა, ვერ მოისვენებდა. და, აგერ, დაუმთავრებელი სამუშაო ედო მაგიდაზე. სხვა საქმე ჰქონდა დასასრულებელი და იმიტომ გადასდო ეს. ახლა ის სხვა საქმე დამთავრებული იყო და შეეძლო ისევ მას მობრუნებოდა. მერე რას მოჰკიდებდა ხელს, ეს უკვე აღარ იცოდა. ისღა იცოდა მხოლოდ, რომ მის ცხოვრებაში დადგა რაღაც კრიტიკული მომენტი, რაღაც ახალი პერიოდი, რაც ისევე უნდა დაესრულებინა, როგორც პატიოსანი მუშა დაამთავრებს ხოლმე დაწყებულ საქმეს.

მომავალში რა მოხდებოდა, ეგ უკვე აღარ აინტერესებდა. ალბათ, ამას მალე გაიგებდა. აღარ ენაღვლებოდა, რაც არ უნდა მომხდარიყო. საერთოდ, აღარაფერი ენაღვლებოდა.

ხუთი დღე იმუშავა «დაგვიანებულზე». არსად გასულა, არავის შეხვედრია, საჭმელს ცოტას ციცქნიდა. მეექვსე დილას ფოსტალიონმა თხელი კონვერტი მოუტანა — «პართენონიდან» იყო. გადაჰკრა თუ არა თვალი, ხელად მიხვდა, რომ «ეფემერა» მიეღოთ.

«მისტერ კარტრაიტ ბრიუსს წავაკითხეთ პოემა, — წერდა რედაქტორი, — და ისეთი კარგი დასკვნა მოგვცა, რომ გადავწყვიტეთ დასაბეჭდად მივიღოთ. თუ რა სიამოვნებით მივიღეთ თქვენი პოემა, ამის დასტურად ისიც იკმარებს გითხრათ, რომ აგვისტოს ნომერშივე ვაპირებთ გამოქვეყნებას, ივლისის ნომერი უკვე აწყობილია, თორემ ივლისშიაც მივცემდით. გთხოვთ გადასცეთ მისტერ ბრისენდენს ჩვენი დიდი მადლობა და აღტაცება. იქნებ როგორმე გამოგვიგზავნოთ მისი ფოტოსურათი და ბიოგრაფიული ცნობები. თუ ჩვენი შემოთავაზებული ჰონორარი არ დაგაკმაყოფილებთ, გთხოვთ ახლავე გვიდეპეშოთ და გვაცნობოთ, თქვენ რა ჰონორარს ინებებდით».

რაკი სამასორმოცდაათ დოლარს სთავაზობდნენ, მარტინმა საჭიროდ აღარ ჩათვალა დეპეშის გაგზავნა. ახლა ბრისენდენის თანხმობა უნდა მიეღო. რაც არ უნდა იყოს, მარტინი მართალი გამოდგა. ბოლოს და ბოლოს, ხომ აღმოჩნდა ისეთი რედაქტორი, რომელმაც ჭეშმარიტი პოეზია გაიგო და დააფასა. ჰონორარიც დიდებული იყო, თუნდაც «საუკუნის პოემა» ეწოდებინათ ნაწარმოებისათვის. რაც შეეხება კარტრაიტ ბრიუსს, ეს იყო ერთადერთი კრიტიკოსი, რომლის შეხედულებებსაც ბრისენდენი პატივსა სცემდა.

მარტინი ტრამვაიში ჩაჯდა, გაჰყურებდა ქუჩებს, სახლებს და გულისტკივილით ფიქრობდა, თუ რა უსიხარულოდ შეხვდა მეგობრის წარმატებას და თავის საკუთარ გამარჯვებასაც. ამერიკის ყველაზე კარგმა კრიტიკოსმა ბრწყინვალე შეფასება მისცა პოემას, და მარტინიც აკი ამბობდა — კარგი ნაწარმოები უსათუოდ გაიკვლევს გზას ჟურნალებშიო; ხომ გამართლდა მისი ვარაუდი! მაგრამ ძველი ენთუზიაზმი გაუნელდა და ახლა გრძნობდა, რომ ბრისენდენის ნახვას უფრო ეშურებოდა, ვიდრე მისთვის სასიხარულო ამბის მიტანას. ახლაღა გაახსენდა, მთელი ხუთი დღე, რაც «დაგვიანებულზე» მუშაობდა, ბრისენდენისა არაფერი გაუგია, არც კი მოჰგონებია. ერთიანად გამოვთაყვანდიო, გაიფიქრა, მეგობრისა შერცხვა, ასე როგორ დავივიწყეო. მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ დიდად არც სირცხვილს შეუწუხებია. ყოველგვარი მგრძნობელობა დაუჩლუნგდა, გარდა შემოქმედებითი გზნებისა, რითაც იგი «დაგვიანებულს» წერდა. ყველაფერი დანარჩენის მიმართ სრულ აპათიას განიცდიდა, აღარაფერი არ აინტერესებდა. მთელი ეს ცხოვრების ფუსფუსი, ტრამვაის ზუზუნი, ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავდა, შორეული და არარეალური გამხდარიყო. ასეთივე გულგრილი დარჩებოდა, უცებ ეგერ ეკლესიის მაღალი სამრეკლო რომ მორღვეულიყო და თავზე დაფშვნოდა.

სასტუმროს კიბე სწრაფად აირბინა და სწრაფადვე დაეშვა დაბლა. ბრისენდენის ოთახი ცარიელი დაუხვდა. ბარგი სულ გაეკრიფათ.

— მისამართიც არ დაუტოვებია მისტერ ბრისენდენს? — ჰკითხა მან მორიგეს, რომელმაც მარტინს გაკვირვებული თვალები მიაშტერა.

— არაფერი გაგიგიათ? — ჰკითხა მან.

მარტინმა თავი გააქნია.

— გაზეთები სულ მაგ ამბით არის გადაჭრელებული. მკვდარი ნახეს ლოგინში. თავი მოუკლავს. ტყვია დაუხლია თავში.

— უკვე დამარხეს? — თითქოს ვიღაც სხვისი შეკითხვა გაეგონოს მარტინს, შორიდან მოჭრილი ხმა.

— არა. გაკვეთის შემდეგ ცხედარი აღმოსავლეთში წაასვენეს. თავისიანების დაქირავებულმა ვექილებმა მოაგვარეს ყოველგვარი საქმე.

— რა ეჩქარებოდათ?!

— რასა ბრძანებთ, ხუთი დღის წინ მოკვდა.

— ხუთი დღის წინ?

— დიახ, ხუთი დღის წინ.

— ოჰ, — ესღა აღმოხდა მარტინს, მობრუნდა და წამოვიდა.

გზად ფოსტაში შეიარა და «პართენონს» დეპეშა გაუგზავნა, პოემის დაბეჭდვის ნებართვა მისცა. ჯიბეში ხუთი ცენტიღა ჰქონდა, უკან დასაბრუნებელი ფული, ამიტომ დეპეშა ფასდადებით გაგზავნა.

დაბრუნდა თუ არა თავის ოთახში, წერა განაგრძო. დღეები ღამეებს ცვლიდნენ, ეს კი იჯდა და წერდა. არსად არ გასულა, მევახშესთან მივიდა მხოლოდ: როცა მოშივდებოდა, ცოტას მოციცქნიდა, თუკი ექნებოდა იმ დროს რამე საჭმელი, არადა ისედაც იოლას გადიოდა, უჭმელი იჯდა. მოთხრობა თავიდანვე ჰქონდა მოფიქრებული თავების მიხედვით, მაგრამ წერის დროს ბევრი რამ შეცვალა, რათა მეტი შთამბეჭდავი ძალა ჰქონოდა, ამან კი ოცი ათასი სიტყვით გაზარდა ნაწარმოები. განსაკუთრებული მიზეზები არა ყოფილა თითქოს, რომ ასე გულმოდგინედ დაემუშავებინა ეს მოთხრობა, მაგრამ სხვაგვარი მუშაობა უკვე აღარ შეეძლო. იჯდა გაოგნებული, გარე სამყაროდან სრულიად მოწყვეტილი, უკვე გამომუშავებულ ლიტერატურულ ხერხებს მექანიკურად იყენებდა, როგორც აჩრდილი დაფარფატებს ხოლმე შეჩვეულ ადგილებში. გაახსენდა ვიღაცის ნათქვამი — აჩრდილი გარდაცვლილი ადამიანის სულია, მაგრამ თვითონ ვერა ხვდება ამასო. უცებ შეჩერდა — იქნებ მეც მკვდარი ვარ და ვერა ვგრძნობო, გაიფიქრა.

დადგა ის დღეც, როცა მოთხრობა უკვე დამთავრებული იყო. გამქირავებელი კანტორის აგენტი მოსულიყო და იქვე ელოდა, საბეჭდ მანაქანას ელოდა, ლოგინზე ჩამომჯდარიყო, მარტინი კი თავის ერთადერთ სკამზე იჯდა და უკანასკნელი თავის ბოლო გვერდებს ბეჭდავდა. «დასასრული» — მიაბეჭდა მან დიდი ასოებით, და ეს მისთვის მართლაც დასასრული იყო. თვალი გააყოლა აგენტს, როგორ გაჰქონდა მანქანა, შვებით ამოისუნთქა, მერე მობრუნდა და ლოგინზე დაწვა. შიმშილისაგან ძალა გამოლეოდა. ოცდათექვსმეტი საათი შესრულებულიყო, რაც ნაწილი არ ჩასვლოდა პირში, მაგრამ ამაზე ახლა არ ფიქრობდა. იწვა გულაღმა, თვალები დაეხუჭა და საერთოდ არაფერზედაც არა ფიქრობდა. სრული აპათიის ბურუსი ნელ-ნელა მოცოცავდა მის გონებაში და საბურველივით ეხვეოდა. სანახევროდ ბურანში წასული იმ ანონიმური ლექსების სტრიქონებს ბუტბუტებდა, რასაც ბრისენდენი იმეორებდა ხოლმე ხშირად. ეს მონოტონური ბუტბუტი მეორე ოთახშიაც აღწევდა და მარია შეშფოთებული წრიალებდა. ლექსის სიტყვები მისთვის არაფრის მთქმელი იყო, მაგრამ ეს გაბმული ბუტბუტი აფიქრებდა. «მე მოვრჩი ყველაფერს», ასეთი იყო მთავარი აზრი ლექსისა:

მე მოვრჩი მღერას —
გადავდე ჩანგი.
წამოეპარა ჩრდილები მინდორს
და საბოლოოდ მიწყდა სიმღერა.

მე მოვრჩი მღერას —
გადავდე ჩანგი.
დრო იყო, როცა შაშვების დარად,
დანამულ ბუჩქებს მეც ვუმღეროდი.
ახლა დავმუნჯდი,
ხმა აღარ მომდევს,
გამომელია სიმღერის ძალა.
ქანცგაწყვეტილი ფრინველის მსგავსად
სულს ძლივს ვიბრუნებ და ძლივს ვჭყლოპინებ.
მე მოვრჩი მღერას —
გადავდე ჩანგი.

მეტი ვეღარ მოითმინა მარიამ, ღუმელთან მივარდა. ჯამში სუპი ამოიღო, კარგად ამოუსვა ქვაბში ჩამჩა და რაც კი ხორცი და ბოსტნეული მოჰყვა, თითქმის ისიც შიგ ჩაუძახა. მარტინი წამოჯდა, თეფში ჩამოართვა, თან სუპსა ხვრეპდა და თან მარიას ამშვიდებდა — ნუ გეშინია, არ მაბოდებს, სიცხე სულაც არ მაქვსო.

მარია რომ გავიდა, იგი უხალისოდ ჩამოჯდა ლოგინზე მოჩვარული, მხრებჩამოშვებული, ჩამქრალი თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. მერე ჟურნალი შენიშნა, დილის ფოსტას მოეტანა, გაუხსნელი ეგდო. ბურუსით ჩაბნელებულ თავში რაღაცამ ელვასავით გაჰკრა. «პართენონია», გაიფიქრა მან, აგვისტოს ნომერი. ალბათ, «ეფემერა» იქნება დაბეჭდილი. ეჰ, ბრისენდენი რომ ცოცხალი იყოს!

ჟურნალის ფურცვლას მოჰყვა და უცებ გაუშეშდა ხელი: «ეფემერასათვის» მხატვრულად გაფორმებული სათაური მიეცათ და ტექსტიც რაღაცნაირი სამკაულებით იყო მოხატული, ბერდსლის სტილზე. სათაურის ერთ მხარეს ბრისენდენის ფოტოსურათი მოეთავსებინათ, მეორე მხარეს კი ინგლისელი ელჩის სერ ჯონ ვალიუს სურათი. იქვე რედაქციის შენიშვნა იყო წამძღვარებული: სერ ჯონ ვალიუს საქვეყნოდ განეცხადებინა, ამერიკაში პოეტები აღარ არიანო, და ახლა, «ეფემერას» დაბეჭდვით, «პართენონი» თითქოს ელჩს უპასუხებდა — «ესეც თქვენ, სერ ჯონ ვალიუს!» კარტრაიტ ბრიუსი უდიდეს ამერიკელ კრიტიკოსად იყო მოხსენებული და იქვე მისი სიტყვებიც დაებეჭდათ: «ეფემერა» უდიდესი პოემაა, ასეთი პოემა ამერიკაში ჯერ არ დაწერილაო. რედაქციის შენიშვნა ასე მთავრდებოდა: «ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არა გვაქვს შეგნებული «ეფემერას» სიდიადე. ამას, ალბათ, ვერც ვერასოდეს მოვახერხებთ. მაგრამ ვკითხულობთ და ვკითხულობთ ამ პოემას და გვიკვირს — რა სიტყვებია შერჩეული, როგორ არის განლაგებული ეს სიტყვები, საიდან ამოკრიბა ასეთი სიტყვები მისტერ ბრისენდენმა, როგორ მოახერხა ასე მოხდენილად მათი ერთმანეთთან შერწყმა». ამ წამძღვარებულ შენიშვნას პოემის ტექსტი მოჰყვებოდა.

— კიდევ კარგი, რომ ცოცხალი აღარა ხარ, ბრის, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — წამოიბუტბუტა მარტინმა, ჟურნალი მუხლებში ჩაცურდა და იატაკზე დავარდა.

ისე უგემოვნოდ და უხამსოდ იყო ყველაფერი ეს გაკეთებული, რომ კაცს გულს აურევდა, მაგრამ მარტინი აპათიურად იყო განწყობილი, გული არ არევია. გულის სიღრმეში სურდა, გაბრაზებულიყო, მაგრამ გაბრაზების ძალაც არ შერჩენოდა. ერთნაირად გახევებულიყო. სისხლი ისე გაჰყინოდა, რომ გაგულისებისაგან აღარ უჩქროლავდა. რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? ასეთია ბურჟუაზიული საზოგადოება, რაც ბრისენდენს სძულდა და ეზიზღებოდა.

— საბრალო ბრის! — ჩაიბუტბუტა მარტინმა, — ამას არასოდეს არ მაპატიებდა.

ძლივს წამოითრია წელი, ყუთი გამოსწია, რომელშიაც აქამდე საბეჭდ მანქანას ინახავდა. მოჩხრიკა შიგ და მისი მეგობრის დაწერილი თერთმეტი ლექსი ამოიღო. გარდიგარდმო გადაფხრიწა სათითაოდ და კალათაში ჩაჰყარა. არ აჩქარებულა, დინჯად გააკეთა ეს. მერე მობრუნდა და ისევ საწოლის ძგიდეზე ჩამოჯდა, თვალი სივრცეს გაუშტერა.

თვითონაც ვერ იტყოდა, რამდენ ხანს იჯდა ასე, ბოლოს მისი თვალთახედვის ჩაბნელებულ ჰორიზონტზე რაღაც თეთრი ზოლი გაჩნდა. უცნაური იყო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, ერთ-ერთი წყალგამკვეთი მარჯნის რიფი აღმოჩნდა, წყნარ ოკეანეში. მერე ამ ზოლში პატარა ნავი გამოიკვეთა. კიჩოზე ახალგაზრდა, ბრინჯაოსფერი ღმერთი იჯდა, წელზე წითელი ქსოვილი მოეხვია და ელვარე ნიჩბით ტალღებსა ჰკვეთდა. მაშინვე იცნო. მოტი იყო, ტომის ბელადის ტატის უმცროსი ვაჟიშვილი. ეტყობოდა, ტაიტის მახლობლად უნდა ყოფილიყო, და ამ რიფს გადაღმა ზღაპრული ქვეყანა პაპარა იქნებოდა, სადაც, მდინარის შესართავთან, ბელადის ისლის ქოხი იდგა. საღამო ხანი იყო და მოტი თევზაობიდან შინ ბრუნდებოდა. ახალი დიდი ზვირთების მოხეთქებას ელოდებოდა მოტი, რათა რიფს თავზე გადავლებოდა და გასულიყო. მერე უცებ საკუთარი თავიც შენიშნა მარტინმა ნავში, ქიმზე იჯდა, როგორც ბევრჯერ მჯდარა ხოლმე წინათ, ნიჩბები მოემარჯვებინა და მოტის ნიშანსღა ელოდა, რათა ცოფიანივით მოესვა, როცა დიდი, ფირუზისფერი ტალღა გადმოევლებოდა. ერთი წუთიც და ის უკვე შორიდან მჭვრეტელი აღარ იყო, მართლაც ნავში იჯდა. მოტი ღრიალებდა, ორივენი გამწარებით უსვამდნენ ნიჩბებს, წამოქოჩრილ ტალღებსა ჰკვეთდნენ. წყლის კვეთას ისეთი შიშინი გაჰქონდა, როგორც გემიდან გამოშვებულ ორთქლს; ჰაერში წყლის შხეფები იდგა. რამდენიმე გამწარებული მოსმა, ზვირთის მოხეთქება, ყურის წამღები ღრიალი და ნავი უცებ წყნარ დინებაში მოექცა. მოტი იცინოდა, თვალიდან მლაშე წყალს იწმენდდა, უკვე წყნარად უსვამდნენ ნიჩბებს, მარჯნის ნაპირისაკენ მიცურავდნენ, საცა ქოქოსების პალმებში ჩადგმული, ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფრად აელვარებული ისლის ქოხი მოჩანდა.

ისევ ბურუსი ჩამოეფარა ამ სურათს, მარტინს თავისი მოცუცქნული არეულ-დარეული ოთახი გამოეკვეთა. ამაოდ ცდილობდა კვლავ ტაიტის ხილვას. იცოდა, რომ ახლა აქ, ხეებქვეშ, გახურებული სიმღერა ჰქონდათ, გოგონები მარდად ცეკვავდნენ მთვარის სინათლეზე, მაგრამ მარტინი ვეღარ ხედავდა. იგი ახლა თავის არეულ-დარეულ მაგიდასღა ხედავდა, იმ ცარიელ ადგილს, საცა საბეჭდი მანქანა ედგა ხოლმე, და გაურეცხავ ფანჯრის მინებს. კვნესა აღმოხდა, თვალები დახუჭა და ჩაეძინა.

თავი ორმოცდამეერთე.

მთელი ღამე მაგრად ეძინა და დილით ფოსტალიონმა გააღვიძა. მოთენთილი იყო, მოჩვართული და წერილებს უხალისოდ დაუწყო თვალიერება. ერთ თხელ კონვერტში, რომელიც ე. წ. «მეკობრეთა» ჟურნალიდან მიიღო, ოცდაორი დოლარის ჩეკი აღმოჩნდა. თითქმის წელიწად-ნახევარი ელოდა იგი ამ ფულს. ახლა კი გულგრილად დახედა. ის თრთოლვა, რასაც ჟურნალიდან ჩეკის მიღების დროს განიცდიდა ხოლმე, წარსულს ჩაბარებოდა. ძველი ჩეკებისაგან განსხვავებით, ეს გულში მომავლის იმედს უკვე აღარ უსახავდა. უბრალოდ, ოცდაორი დოლარის ჩეკი იყო და მეტი აღარაფერი — რამე სანოვაგეს იყიდდა და მორჩა!

ამავე ფოსტამ მეორე ჩეკიც მოუტანა ნიუ-იორკის ყოველკვირეული ჟურნალიდან, რაღაც სახუმარო ლექსებისათვის, რაც რამდენიმე თვის წინათ მიეღოთ. ათი დოლარის ჩეკი გამოეგზავნათ. რაღაც აზრი მოუვიდა და დინჯად ასწონ-დასწონა. აღარ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და ამიტომ არც ეჩქარებოდა. მაგრამ, ამასთან, ხომ უნდა ეცხოვრა! ათასნაირი ვალები ხომ უნდა გადაეხადა! ხომ არ აჯობებდა, ამ ათი დოლარით მარკები ეყიდა და მაგიდის ქვეშ დახვავებული ხელნაწერები ერთხელ კიდევ დაეგზავნა? იქნებ ერთი-ორი მაინც მიეღოთ. ამით ცოტათი სულს მოითქვამდა. გონივრული ეჩვენა ეს აზრი, გადაახურდავა ჩეკები ოუკლენდის ბანკში და ათი დოლარის მარკები იყიდა. მაგრამ შინ დაბრუნდა და თავის პატარა სოროში საჭმლის მომზადება უკვე აუტანელი შეიქნა. პირველად თავის ცხოვრებაში ვალებს აღარ გაუწია ანგარიში. იცოდა, რომ შინ თხუთმეტ-ოც ცენტად კაი ყუათიან საუზმეს მოიმზადებდა. ამის ნაცვლად ადგა და კაფე «ფორუმში» შევიდა, მთელი ორი დოლარი დაუჯდა საუზმე. ოცდახუთი ცენტი ოფიციანტს აჩუქა და ერთი კოლოფი ეგვიპტური სიგარეტიც იყიდა ორმოცდაათ ცენტად. მას შემდეგ, რაც რუთმა სთხოვა თამბაქოს თავი დაანებეო, პირველად გააბოლა პაპიროსი. რატომ არ უნდა მოვწიოო, ფიქრობდა, თანაც ძალიან მოუნდა. ანკი რიღას მაქნისი იყო ფული?! ხუთ ცენტად ორმოც შეხვევა თუთუნსა და ქაღალდს იყიდდა, მაგრამ რისთვის? ფულმა ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა: იმ წუთში თუ იყიდდა რამეს, თორემ მორჩა. აღარც საჭე შერჩა მარტინს და აღარც კომპასი, არც ნავსადგური ჰქონდა, საითაც წავიდოდა. დინებას მინდობოდა და ალალბედზე მიცურავდა, ასე ნაკლებად განიცდიდა ცხოვრების შეგრძნებას, ცხოვრების შეგრძნება კი ყოველთვის ტკივილს აყენებდა.

დრო გადიოდა, მარტინს უკვე რვა-რვა საათი ეძინა ღამეში. ახალი ჩეკების მოლოდინში, იგი ახლა იაპონურ რესტორნებში სადილობდა ათ-ათ ცენტად, მაგრამ მაინც მოსუქდა, ჩავარდნილი ლოყები ამოევსო. უძილობითა და ზედმეტი სწავლით და მუშაობით აღარ იწუხებდა თავს. აღარაფერს წერდა, წიგნები დახურული ეწყო მაგიდაზე. ბევრს დადიოდა, ქალაქგარეთ გორაკებს მოივლიდა, საათობით იჯდა ხოლმე ბაღში, განმარტოებით. ნაცნობ-მეგობრები არა ჰყოლია, არცა ცდილა ვინმესთან დაახლოებას. სულაც არ ეხალისებოდა. რაღაც ბიძგს ელოდა — თავად არ იცოდა, საიდან — რაც მის შეჩერებულ სიცოცხლეს კვლავ აამოძრავებდა. მანამდე კი უმიზნოდ, უხალისოდ, უქმად, ფუჭად მიაჩანჩალებდა სიცოცხლის დღეებს.

ერთხელ სან-ფრანცისკოში გავიდა, რათა «ნამდვილი ცხოვრება» ეხილა. მაგრამ უკანასკნელ წუთს, როცა კიბე აიარა და, ის იყო, დერეფანში უნდა შეედგა ფეხი, გამობრუნდა და გეტოს აჩოჩქოლებულ ქუჩებს შეერია. უცებ რომ წარმოიდგინა ფილოსოფიურ საკითხებზე კამათი, დაფრთხა და ჩუმად გამოიპარა. შეეშინდა, იგივე ხალხი დამხვდება და მიცნობსო.

ზოგჯერ ჟურნალებსა და გაზეთებს გადაათვალიერებდა, უნდოდა გაეგო, როგორ შეხვდნენ «ფემერას». პოემამ აურზაური გამოიწვია. თანაც როგორი! ყველას წაეკითხა და ყველა კამათობდა — ეს ნამდვილი პოეზიაა თუ არაო. ადგილობრივი გაზეთები გადაჭრელებული იყო მეცნიერული ანალიზებით, დამცინავი ნაკვესებით, მკითხველთა ამაღელვებელი წერილებით. ელენ დელა დელმარმა (რომელიც დაფითა და ნაღარით ამერიკის უდიდეს პოეტესად იყო გამოცხადებული) უარი განაცხადა, პეგასზე ბრისენდენისათვის დაეთმო ადგილი, ბეჭდავდა და ბეჭდავდა ვრცელ-ვრცელ წერილებს, ხალხს ჩასჩიჩინებდა — ბრისენდენი სულაც არ არის პოეტიო.

«პართენონი» მორიგ ნომერშივე კმაყოფილებით იმკიდა თავისივე ატეხილ აურზაურის ნაყოფს, გესლიანად დასცინოდა სერ ჯონ ვალიუს, და ბრისენდენის სიკვდილს ულმობელი კომერციული მიზნებით თავის საკეთილდღეოდ იყენებდა. ერთმა გაზეთმა, რომელიც ირწმუნებოდა ნახევარი მილიონი ხელმომწერი მყავსო, ელენ დელა დელმარის პოემა გამოაქვეყნა, სადაც მასხრად და სასაცილოდ იგდებდა ბრისენდენს. მასვე ეკუთვნოდა მეორე პოემაც — ბრისენდენის პოემის პაროდია.

რამდენჯერ გაუფიქრია მარტინს — კიდევ კარგი, ბრისენდენი ცოცხალი აღარ არისო. როგორ სძულდა მას ბრბო! ახლა კი, თითქოს განგებო, მისი წმიდათა წმიდა და ყველაზე უფრო სანუკვარი რამ სწორედ ბრბოს ჩაუვარდა საჯიჯგნად. ამ ლამაზი ხელოვნების ნიმუშს ყოველდღიურად ფატრავდნენ და შიგ ხელს აფათურებდნენ. ყოველი შტერი მჯღაბნელი ცდილობდა ხელსაყრელი შემთხვევა არ გაეშვა და ბრისენდენის დიდების სარბიელზე თავისი დამჭკნარ-დაკნინებული «მე» გამოეფინა. ერთი გაზეთი წერდა: «ერთი პიროვნება გვწერს, რომ სწორედ ასეთი პოემა, ოღონდ უკეთესი, რამდენიმე ხნის წინათ მე დავწერეო». მეორე გაზეთი მთელი სერიოზულობით უსაყვედურებდა ელენ დელა დელმარს თავისი პაროდიის გამო და წერდა: «ეჭვი არ არის, მისს დელმარი ხუმრობის გუნებაზე იყო, როცა ამ პოემას წერდა და იმ მოკრძალებას სულაც არა გრძნობდა, რაც ერთ დიდ პოეტს მუდამ უნდა ჰქონდეს მეორის, კიდევ უფრო დიდი პოეტის მიმართ. მაგრამ, მართლაც შურით განიმსჭვალა იგი «ეფემერას» ავტორის მიმართ, თუ ოდნავადაც არა ჰქონია შური, ეგ სულერთია, ისიც ათასობით სხვების მსგავსად, მოხიბლულია ამ ნაწარმოებით, და დადგება დრო, თვითონაც შეეცდება, ასეთი ნაწარმოები შექმნას».

მღვდლებმა ქადაგებანი დაიწყეს «ეფემერას» წინააღმდეგ, ხოლო ერთ მათგანს, რომელმაც პოემის დაცვა სცადა, ერესი დასწამეს. ეს დიდებული პოემა ქვეყნის თავშესაქცევი გახდა. სახუმარო ლექსების ავტორები და კარიკატურისტები გამწარებით ცდილობდნენ თემა გამოეყენებინათ და ხალხი ეცინებინათ, არც ფელეტონისტები ჩამორჩებოდნენ, ისინიც აცხობდნენ ახალ-ახალ ხუმრობებს, ეგერ ვიღაც ჩარლი ფრენშამმა არჩი ჯენინგს გაანდო საიდუმლოდ: «ეფემერადან» ხუთი სტრიქონის წაკითხვა საკმარისია, რომ ხეიბარს მივარდე და სცემო, ხოლო ათი სტრიქონი თუ წაიკითხე, პირდაპირ წყალში გადავარდეო.

მარტინს არ ეცინებოდა, მაგრამ არც კბილებს აღრჭიალებდა სიბრაზისაგან. ეს არის, რომ მთელმა ამ ამბავმა მძიმე ნაღველი მოჰგვარა. მას შემდეგ, რაც სიყვარულით დამშვიდებული და გალამაზებული საკუთარი სამყარო თავზე ჩამოენგრა, ხალხისა და გაზეთების რწმენის დაკარგვა ბევრს აღარაფერს ნიშნავდა. რასაც ჟურნალების მიმართ ამბობდა ბრისენდენი, სულ მართალი გამოდგა, მარტინმა კი რამდენიმე მძიმე წელი ფუჭად დახარჯა, რათა იგივე ჭეშმარიტება ერწმუნა. ბრისენდენის შეხედულება კიდევ რბილი იყო, ჟურნალები თურმე მეტ ლანძღვას იმსახურებდნენ. მაგრამ სულერთია, ხომ ყველაფერი მორჩა, თავს ინუგეშებდა და უცებ მყრალ ჭაობში კი ჩავარდა. სულ უფრო და უფრო ხშირად ეზმანებოდა ტაიტი — სუფთა, საამური მომხიბლავი ტაიტი. აგერ ზღვაზე გაკრული პაუმოტის არქიპელაგი, იქით — მომაღლოდ წამოშვერილი მარკიზის კუნძულები. ხშირად ხედავდა ხოლმე საკუთარ თავს სავაჭრო შხუნის ბანზე, ან პატარა კარჭაპზე, განთიადისას პაპიტის რიფს ჩაუქროლებს და გეზს ნუკა-ჰივასკენ ან ტაიოჰეს ყურესკენ აიღებს; იცის, რომ იქ ტამარი ელოდება, გოჭს დაუკლავს სტუმარს, ტამარის ყვავილწნულებით თავშემკული გოგონები კი ხელს ჩასჭიდებენ და სიმღერითა და სიცილ-კისკისით მასაც ასეთივე ყვავილებით შეამკობენ. წყნარი ოკეანე თავისკენ ეძახდა და მარტინიც გრძნობდა, რომ, ადრე თუ გვიან, უსათუოდ გასწევდა იქითკენ.

ახლა კი, ცოდნის სამყაროში დიდი და დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, დინებას მინდობია და ისვენებს, ძალას იკრებს. «პართენონიდან» სამას ორმოცდაათი დოლარის ჩეკი მიიღო და მაშინვე ვექილს ჩააბარა, რომელიც ბრისენდენის საქმეებს განაგებდა ოჯახის დავალებით. ხელწერილი ჩამოართვა ვექილს და თვითონაც მისცა ასი დოლარის ხელწერილი, რაც მას ბრისენდინისაგან ჰქონდა ნასესხები.

იაპონურ რესტორნებში სიარულს ყავლი გაუვიდა. სწორედ იმ დროს, როცა მარტინმა ბრძოლას თავი მიანება, ბედმა გაუღიმა, მაგრამ გვიანღა იყო. არავითარი თრთოლვა არ განუცდია, ისე გახსნა «მილენიუმის» თხელი კონვერტი, საიდანაც სამასი დოლარის ჩეკი გადმოვარდა, უხალისოდ დახედა და გაიგო, რომ ეს იყო «თავგადასავალის» ჰონორარი. რაც კი რამ ვალები ჰქონდა, დაგირავებული ნივთების გამოსასყიდი ფულისა და მევახშის სარგებლის ჩათვლით, ასი დოლარით გაისტუმრებდა, ამდენი არც კი მოუნდებოდა. გადაიხადა ეს ვალები, ბრისენდინის ვექილსაც ჩააბარა ის ასი დოლარი და ჯიბეში ას დოლარზე მეტი კიდევ დარჩა. თერძს ახალი კოსტიუმი დაუკვეთა და ქალაქის საუკეთესო კაფეებში დაიწყო სიარული. ძილით, მარიას პატარა ოთახში იძინებდა წინანდებურადვე, მაგრამ ახალმა კოსტიუმმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მეზობლის ბავშვებზე, რომ უკვე «უქნარასა» და «მაწანწალას» აღარ ეძახდნენ სახურავებიდან და ღობეებიდან.

«ვიკი-ვიკი», ჰავაიური ნოველა, «უორენის ყოველთვიურმა» მიიღო და ორასორმოცდაათი დოლარი გადაუხადა. «ჩრდილოეთის მიმომხილველმა» მისი სტატია დაბეჭდა — «სილამაზის აკვანი», ხოლო «მაკინტოშმა» — «მარჩიელი», ლექსი, რომელიც მარტინმა მერიენს მიუძღვნა. რედაქტორ-რეცენზენტები საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულიყვნენ და ხელნაწერებს სწრაფად კითხულობდნენ. მარტინი გაოგნებული იყო, ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა — ხელნაწერებს, რომელთაც მთელი ორი წლის განმავლობაში მკაცრი სიჯიუტით უწუნებდნენ, ახლა რატომ ასე ხელაღებით ღებულობდა ყველა! წინათ არც ერთი მისი ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა, ოუკლენდს გარდა არსად არ იცნობდნენ, და ოუკლენდშიაც, თუკი ვინმე იცნობდა, ყველას წითელ სოციალისტად მიაჩნდა. ასე რომ, ერთბაშად ასეთი შემობრუნება და მისი ნაწარმოებების ხელაღებით მიღება ვერაფრით ვერ აიხსნებოდა. უბრალოდ ბედის ოინბაზობის საქმე იყო.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე ჟურნალმა ზედიზედ უკან დაუბრუნა «ზის სირცხვილი», მარტინს ბრისენდენის რჩევა გაახსენდა და გადაწყვიტა, რომელიმე გამომცემლობისათვის შეეთავაზებინა. ჯერ აქაც დაუწუნეს, რამდენიმე გამომცემლობამ უკანვე დაუბრუნა, მაგრამ ბოლოს «სინგლტრის, დარნლეისა და K°-ს» გამომცემლობამ მიიღო და სრული ტექსტის გამოცემა აღუთქვა. მარტინმა ჰონორარის ავანსი სთხოვა გამომცემლობას, მაგრამ უარი მიიღო, ასეთი წესი არა გვაქვსო. თანაც ამ სახის წიგნები იშვიათად თუ აანაზღაურებს გაწეულ ხარჯებსო. ეჭვი გამოთქვეს — თქვენი წიგნები იქნება ათასი ცალიც ვერ გავასაღოთო. მარტინმა გამოიანგარიშა — თითო დოლარად თუ გაჰყიდდნენ წიგნს, მაშინ მას, კუთვნილი თხუთმეტი პროცენტი, ასორმოცდაათი დოლარი შეხვდებოდა!.. გადაწყვიტა, რომ თუ ოდესმე კიდევ მოჰკიდებდა კალამს ხელს, მხოლოდ ბელეტრისტიკას დაწერდა. «თავგადასავალი» მოცულობით მეოთხედიღა იყო «ზის სირცხვილისა» და ორჯერ იმაზე მეტი ჰონორარი მიიღო. ცნობები ჰონორარის შესახებ, რაც მას დიდი ხნის წინათ ამოეკითხა გაზეთებში, ბოლოს და ბოლოს, მართალი გამოდგა. პირველხარისხოვანი ჟურნალები ხელნაწერის მიღებისთანავე ისტუმრებდნენ ავტორს და კარგა ბლომად ჰონორარსაც უხდიდნენ. «მილენიუმმა», მაგალითად, ორი ცენტი კი არ აკმარა სიტყვაში, ოთხ-ოთხი ცენტი გადაუხადა. თან, გამოირკვა, რომ

კარგ ლიტერატურასაც ჰქონია გასავალი. აკი მიიღეს მისი ნაწარმოებები. ამის გაფიქრებაზე მარტინს მწარედ ჩაეცინა.

თანხმობის წერილი გაუგზავნა ‰ინგლტრის, დარნლეისა და K°»-ს. «მზის სირცხვილს» სთავაზობდა ას დოლარად, მაგრამ ამჯერად ჟურნალმა რისკი აღარ გასწია. ფული უკვე აღარ უჭირდა მარტინს — ბოლო მოთხრობები გაყიდა. ბანკში ანგარიში გახსნა, რამდენიმე ასეული დოლარი დაუგროვდა, ვალი კი ერთი ცენტიც არა ჰქონია. «დაგვიანებული» რამდენიმე ჟურნალში დაიწუნეს და ბოლოს მერედიტლოუელის გამომცემლობაში ჰპოვა ნავსაყუდელი. მარტინს მოაგონდა ის ხუთი დოლარი, გერტრუდამ რომ მისცა ერთხელ, თავისი გადაწყვეტილებაც გაახსენდა — ასწილად გადავუხდიო. ადგა და გამომცემლობას წერილი გაუგზავნა — ავანსად ხუთას დოლარსა სთხოვდა. მისდა გასაკვირად, მართლაც მიიღო ამ თანხის ჩეკი და ხელშეკრულება. ჩეკი ოქროს ხუთდოლარიან მონეტებად გადაახურდავა და გერტრუდას ტელეფონით დაურეკა — შენი ნახვა მინდაო.

გერტრუდა ისე აფუცხუნებული გამოქცეულიყო, რომ ქოშინებდა, ძლივსღა სუნთქავდა, როცა მარტინთან მივიდა. შეშინებოდა, რაღაც უჭირსო და, შევიდა თუ არა ოთახში, ძმას გულზე მიეკრა ქვითინით, თან ჩანთიდან რამდენიმე დოლარი ამოიღო და ხელში სჩრიდა.

— მე თვითონ მოვიდოდი, — უთხრა მარტინმა, — მაგრამ შენს ქმართან ჩხუბს მოვერიდე. უჩხუბრად კი ალბათ ვერ გადავრჩებოდით.

— არა უშავს, გაივლის დრო და დამშვიდდება, — არწმუნებდა და, თან კი ცდილობდა გამოეცნო, რა გასაჭირი დასტყდომოდა მარტინს, — ოღონდ ჩქარა მოეწყვე სამსახურში. ბერნარდს უყვარს, პატიოსან საქმეს რომ მოჰკიდებს კაცი ხელს, გაზეთში რომ რაღაც ეწერა, სულ გადარია იმან. ჩემს დღეში არ მინახავს ისე გაცოფებული.

— სამსახურს სულაც არ ვაპირებ, — ღიმილით უთხრა მარტინმა, — ასევე გადაეცი შენს ქმარს. არც მჭირდება სამსახური. ახლავე დაგიმტკიცებ, რატომ.

აიღო და ის ასი ბრჭყვიალა ოქრო ერთბაშად ჩაუჩხრიალა კალთაში.

— გახსოვს, შენ რომ ხუთდოლარიანი მომეცი, ტრამვაის ფულიც რომ არა მქონდა? აჰა, ოთხმოცდაცხრამეტი ძმა გაიჩინა იმ ხუთდოლარიანმა, სულ სხვადასხვა ხნისანი არიან, მაგრამ ზომით ყველა ერთნაირია.

პირველად გაურკვეველი შიშით იყო მოცული გერტრუდა, როცა მოვიდა, ახლა კი ერთბაშად თავზარი დაეცა. საეჭვო აღარაფერი ჩანდა აქა, ყველაფერი ნათელი იყო. შიშით გაფართოებული თვალები მიაშტერა მარტინს, ცახცახმა აიტანა, თითქოს ეს ოქროს ნიაღვარი სწვავსო.

— სულ შენია, — გაუცინა მარტინმა.

გერტრუდას ცრემლები წასკდა და მოთქმას მოჰყვა:

— ჩემი საბრალო ბიჭი, ჩემი საცოდავი ბიჭი!

მარტინი ერთი წუთით გახევდა. მერე უცებ ჩახვდა დის აღელვების მიზეზს და გამომცემლობიდან მიღებული წერილი გადასცა, რომელიც მან ჩეკთან ერთად მიიღო. გერტრუდამ ბორძიკით წაიკითხა, ხშირად შედგებოდა ხოლმე და ცრემლებს ამოიწმენდდა, როცა დაამთავრა, ძმას მიმართა:

— მაშ, პატიოსანი შრომით იშოვე ეს ფული?

— შრომით მოპოვებულია. ლატარიაში რომ მომეგოს, იმაზე უფრო პატიოსანი ნაშოვნია.

გერტრუდა ნელ-ნელა დამშვიდდა და მეტი ყურადღებით გადაიკითხა წერილი. დიდხანს ვერ გააგებინა მარტინმა, თუ რაში მიიღო ამდენი ფული, და კიდევ უფრო

მეტი დრო დასჭირდა, მანამ დააჯერებდა, რომ ეს სულ მას, გეტრუდას ეკუთვნოდა, რომ მარტინს ახლა არა სჭირდებოდა ფული.

— ბანკში შევიტან და შეგინახავ, — უთხრა ბოლოს გერტრუდამ.

— არც ბანკში შეინახავ და არც არაფერი. ეს ფული შენ გეკუთვნის, რაშიაც გინდა დახარჯე. თუ არ აიღებ, მარიას მივცემ. ის უპოვის გზას. ისე კი აჯობებს, მოსამსახურე აიყვანო მაგ ფულით და ადამიანურად დაისვენო.

— წავალ, ბერნარდს ვეტყვი, — თქვა გერტრუდამ და წამოდგა.

მარტინი ჯერ დაიჭყანა, მერე გაეცინა.

— წადი, უთხარი, — დაეთანხმა იგი. — ვინ იცის, იქნებ სადილზედაც დამპატიჟოს, ძველებურად.

— დაგპატიჟებს... ნამდვილად დაგპატიჟებს, — მხურვალედ შესძახა მან, ხელები კისერზე მოხვია და აკოცა.

თავი ორმოცდამეორე

ერთ დღეს უცებ მარტოობის ნაღველი შემოაწვა მარტინს. ჯანიანი კაცი იყო, ღონიერი, საქმე კი არაფერი ჰქონია. მას შემდეგ, რაც წერას თავი მიანება, ბრისენდენი მოკვდა, რუთს ჩამოშორდა — მის ცხოვრებაში დიდი სიცარიელე გაჩნდა. ამაოდ ცდილობდა ამ სიცარიელის ამოვსებას კაფეებში სიარულითა და ეგვიპტური სიგარეტებით. ისევ და ისევ ეძახდა ოკეანე, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ აქ, შეერთებულ შტატებში, თამაში ჯერ დამთავრებული არ იყო. ორი წიგნი მალე უნდა დაბეჭდილიყო და იქნებ სხვა წიგნების დაბეჭდვაც მოეხერხებინა. წიგნებში ფულს მისცემდნენ, დაიცდიდა, გაივსებდა პარკს ფულით და სამხრეთისაკენ გაემგზავრებოდა. მარკიზის კუნძულებზე ერთი მშვენიერი ხეობა ეგულებოდა, რომელსაც ზედ ყურე ერტყა. ცხენის ნალისებურად იყო შეჭრილი ხმელეთში, აქ იწყებოდა ხეობა და მაღლა-მაღლა მიიწევდა, თავბრუდამხვევ, ღრუბლებში აჭრილ მწვერვალამდე აღწევდა, ათასამდე აკრი იქნებოდა, ალბათ. აქ უხვად იყო ტროპიკული ხილი, ბუჩქებში გარეულ ქათმებს ნახავდი, ტყეებში გარეული ღორები დაშლიგინებდნენ, ბლომად იყო ნადირი, ხოლო ზემოთ, მწვერვალებისკენ, ქურციკები დახტოდნენ, რომელთაც გარეული ძაღლების ხროვა დასდევდა. საერთოდ, ველური იყო იქაურობა, კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავდი. და მთელ ადგილს, თავისი ყურეთი, ათას ჩილიურ დოლარად იყიდდა!

რამდენადაც მარტინს ახსოვდა, დიდებული ყურე იყო, წყალი ღრმა — დიდი გემებიც კი მიადგებოდა, თანაც მყუდრო და ქარებისაგან დაცული; წყნარი ოკეანის სამარშრუტო ცნობარი რეკომენდაციას აძლევდა ამ ყურეს, როგორც ყველაზე უფრო მყუდრო ნავსაყუდელს მთელ იმ არემარეში. იყიდის პატარა გემს, იახტისნაირ სპილენშემოვლებულ კარჭაპს, რომლებიც ალქაჯებივით დაჰქრიან ხოლმე ზღვებზე, იქროლებს კუნძულებს შორის, მარგალიტითა და კოპრათი ივაჭრებს. იქ დასახლდება, იმ ხეობაში, ყურესთან ახლოს. ისლის ქოხს დაიდგამს, ტატის მსგავსად, შავკანიან მოსამსახურეებს გაიჩენს. იქ მიიღებს ტაიოხელ ფაქტორებს, სავაჭრო გემების კაპიტნებს და წყნარ ოკეანეში მოწანწალე ყველა ჯურის ვაჟბატონებს. სახლის კარი ყველასათვის ღია ექნება, პრინციპით იცხოვრებს. რაც კი წიგნებში წაუკითხავს, სულ დაივიწყებს და აღარც იმ ქვეყანას გაიხსენებს, რაც მხოლოდ ილუზია გამოდგა.

მაგრამ ამის მისაღწევად საჭიროა ჯერ კალიფორნიაში იჯდეს და პარკი ფულით გაივსოს. უკვე იწყო ფულმა დენა. ერთმა წიგნმაც რომ გაუმართლოს, ამ დახავსებულ ხელნაწერებს მაშინ სულ გაასაღებს. მოთხრობებისა და ლექსების კრებულებსაც

შეადგენს, რათა უფრო ნაღდი გახდეს ის ხეობაც, ყურეცა და კარჭაპიც. წერით კი მეტს აღარ დაწერს. ეს მტკიცედ გადაწყვიტა. მაგრამ, მანამ წიგნები დაიბეჭდებოდეს, რაიმე საქმე მაინც უნდა გაიჩინოს, ასე გახევებული და გამოლენჩებული, ყოველგვარ ხალისდაკარგული ხომ არ იჯდება.

გაიგო, რომ ერთ კვირა დილას კალატოზები პიკნიკს აწყობდნენ შელმონდ-პარკში, ადგა და თვითონაც წავიდა. წინათ ბევრჯერ დასწრებია მუშათა პიკნიკებს და კარგად იცოდა, რას წარმოადგენდა ეს. ამიტომ, შედგა თუ არა პარკში ფეხი, კვლავ გაეღვიძა ძველი გრძნობები. ბოლოს და ბოლოს, თავისიანები იყვნენ ეს მუშები, თავისი კლასის შვილები. მათ წიაღში დაიბადა, მათთან ერთად ცხოვრობდა, რამდენიმე ხნით გაუდგა და გაშორდა, მაგრამ მით უფრო სასიამოვნო იყო ახლა მათთან დაბრუნება.

— ნახე, თუ ეს მარტი არ იყოს! — მოესმა ვიღაცის ხმა და მაშინვე მეგობრული ხელი იგრძნო მხარზე, — სადა ხარ, სად დაიკარგე? ზღვაზე იყავი? მოდი, დავლიოთ.

ძველი ამხანაგები აღმოჩნდნენ, ძველი ბიჭები, სულ რამდენიმე კაცი აკლდა იმ ძველ კომპანიას და აქა-იქ უცნობი სახეებიც გამორეოდა. კალატოზი ერთიც არ ერია ამათში, მაგრამ, ძველებურადვე, ერთ პიკნიკს არ გამოტოვებდნენ, ცეკვავდნენ, ლაზღანდარობდნენ და კრივშიაც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მარტინმა მათთან ერთად გადაკრა და კვლავ ადამიანად იგრძნო თავი. რა სულელი ვიყავი, რომ ამათ ჩამოვშორდიო, გაიფიქრა. ახლაღა დარწმუნდა: გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა ამათთან, სულაც რომ არ გაჰკარებოდა წიგნებს და მაღალი საზოგადოების ხალხსაც არ გადაჰყროდა. ოღონდ ლუდი ისეთი სასიამოვნო აღარ მოეჩვენა, წინათ გაცილებით უკეთესი გემო ჰქონდა. ბრისენდენმა გადააჩვია უბრალო ლუდს. უცებ გაჰკრა თავში: ნეტა წიგნებმა ყმაწვილობის მეგობრებთან ურთიერთობა ხომ არ გამიფუჭესო. არაო, თვითონვე გადაწყვიტა, და ამის დასამტკიცებლად საცეკვაო პავილიონისაკენ გაემართა. აქ უცებ ჯიმის გადაეყარა, მრჩილავს, რომელსაც მაღალი ქერა გოგო ახლდა. ამ გოგომ არც აცია, არც აცხელა, ჯიმი მიატოვა და მარტინს აეტორღიალა.

— სულ ასე არ იყო! — მიუგო ჯიმიმ ამხანაგებს, რომელთაც დაცინვა დაუწყეს: მარტინმა ქერა გოგო საცეკვაო წრეში შეიყვანა და დააბზრიალა, ვალსს ცეკვავდნენ, — არცა მწყინს, გამიხარდა კიდეც, ჩვენთან მობრუნებული რომ ვნახე. შეხედეთ ერთი, როგორ სრიალებს! გოგოს როგორ გაამტყუნებ?!

მაგრამ მარტინმა უკანვე დაუბრუნა ჯიმის თავისი ქერა გოგო, და შეიქნა ერთი სიცილი და ღრიანცელი. ყველას უხაროდა მარტინის დაბრუნება. ჯერ ერთი წიგნიც არ გამოსულიყო მისი და ამხანაგების თვალში ამითი არ მოემატებოდა ცრუ დიდება. კარგი ბიჭი იყო და უყვარდათ, ეს იყო და ეს. თავს ისე გრძნობდა, როგორც განდევნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული პრინცი, ამ მხიარულებაში მისი ეული გული კვლავ გაიშალა და გაიფურჩქნა. აიწყვიტა იმ დღეს, ძველ მარტინს დაემსგავსა. ჯიბეში ფულიც ჰქონდა და როგორც ძველად, მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, მოსდგა და ხელგაშლილად ფანტა აქეთ-იქით ეს ფული.

უცებ საცეკვაო დარბაზში თვალი მოჰკრა ლიზი ქონოლის, ვიღაც ახალგაზრდას მოეხვია ხელები და ცეკვავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კაფეში შეიარა და იქ ნახა, მაგიდას უჯდა. მარტინი რომ დაინახა, გაუკვირდა და გაუხარდა. მარტინმა ბაღში გაიყვანა, აქ სიწყნარე იყო, ყვირილი აღარ დასჭირდებოდათ მუსიკის ჩასახშობად. გამოელაპარაკა თუ არა, პირველივე სიტყვიდან მიხვდა, რომ ქალი მისი იყო. ეს აშკარად ჩანდა ქალის ამაყი თვალების მინაბულ გამომეტყველებაში, მისი სხეულის ყველა მოძრაობაში, იმაშიც, თუ როგორ გაფაციცებით უგდებდა ყურს მარტინის

ლაპარაკს. ლიზი ახლა უკვე ის პატარა გოგონა აღარ იყო, ერთხელ თეატრში რომ ნახა. დაქალებულიყო. შენიშნა, მის ველურსა და გამომწვევ სილამაზეს, რა ეშხი მიმატებოდა, ოღონდ უფრო დაწმენდილიყო, განაზებულიყო «მშვენიერებაა, უზადო მშვენიერება!» აღტაცებით ჩაილაპარაკა მარტინმა. გრძნობდა, რომ ქალი მთელი არსებით მას ეკუთვნოდა. საკმარისი იყო ეთქვა, წამოდიო, და თუნდაც ქვეყნის კიდეს გაჰყვებოდა.

ვერც კი მოასწრო ამის გაფიქრება, რომ ისე მოარტყეს თავში, ლამის წააქციეს. ვიღაც კაცმა გაარტყა, მაგრამ ზედმეტი გაგულისებისაგან ისე კანკალებდა ეს კაცი, რომ ვეღარ მოზომა და ყბის ნაცვლად თავში მოახვედრა. მარტინი შემობრუნდა და შეხედა, გამეტებით მოქნეული მუშტი მეორედ მოდიოდა მისკენ. მყისვე დაღუნა თავი და გადარჩა, მუშტმა გვერდზე ჩაუქროლა, კაცი შეტორტმანდა. მარტინმა მარცხენა მუშტი შემართა და მთელი ძალით ამოარტყა წონასწორობადაკარგულ უცნობს. იგი დავარდა, მაგრამ ხელადვე წამოხტა და გაცოფებით გამოქანდა. ჯიმი და სხვა ბიჭები მოსაშველებლად გამორბოდნენ.

მარტინი კანკალმა აიტანა. ძველი დღეები დაბრუნებულა: შურისძიების, ცეკვების, ჩხუბისა და მხიარულების დღეები! განაბული უთვალთვალებდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მაინც მოახერხა და ცალი თვალი ლიზისაც გადაჰკრა. ბიჭები რომ ჩხუბს დაიწყებენ, გოგონები, ჩვეულებრივად, კივილს მორთავენ ხოლმე, მაგრამ ლიზის კივილი არ დაუწყია. მკერდი ოდნავ წინ გადმოეხარა და სუნთქვაშეკრული იყურებოდა, ცალი ხელი გულზე მიედო, სახე შეფაკლოდა, თვალები გაკვირვებითა და აღფრთოვანებით უბრწყინავდა.

ამასობაში უცნობი ფეხზე მომაგრებულიყო და გამწარებით იწევდა, ბიჭებისაგან თავის დასხლეტას ლამობდა.

— ეს გოგო მე მელოდებოდა, ცოტა ხნით დავტოვე! — ყველას გასაგონად განაცხადა მან, — მე მელოდებოდა, ცოტა ხნით დავტოვე. ეს თავხედი საიდან გამოტყვრა?! გამიშვით! გაჩენის დღე უნდა დავავიწყო!

— ჭკუიდან შეიშალე?! — ეუბნებოდა ჯიმი და თან ჭაბუკს აკავებდა, — ეს ბიჭი მარტინ იდენია. გირჩევნია ჩამოშორდე, თორემ, ხელი თუ გამოიღო, ცოცხლად შეგჭამს.

— მაშ, გოგო რატომ წამართვა? — არა ცხრებოდა უცნობი.

— მაგან მფრინავი ჰოლანდიელი მიასულმკვდარა, ჰოლანდიელი არ გახსოვს? — ჩასჩიჩინებდა ჯიმი, — ხუთი რაუნდი არც კი დასჭირვებია. შენ ერთ წუთსაც ვერ გაუძლებ.

ამ ცნობამ, ეტყობოდა, ცოტათი მოათვინიერა გაცეცხლებული ჭაბუკი, უფრო მეტი დაკვირვებით შეათვალიერა მარტინი.

— მაგისთანა კაცს რა უგავს, — ჩაიქირქილა მან, მაგრამ ხმაში უკვე ის ცეცხლი აღარ ეტყობოდა.

— ჰოლანდიელსაც მასე ეგონა, — არწმუნებდა ჯიმი, — წამო, წავიდეთ, აქაურობას გავშორდეთ. გოგონები რამ გააწყო! წამოდი!

ჭაბუკი დაემორჩილა, აღარ დაქიჩმაჩებულა, როცა ბიჭებმა შეატრიალეს და პავილიონისაკენ გააქანეს.

— ვინ არის? — ჰკითხა მარტინმა ლიზის, — ასე რამ გადარია?

თვითონვე იგრძნო, რომ ხელადვე გაუნელდა ჩხუბის ჟინი, წინანდებურად აღარ მოსვლია, იგრძნო რომ მოჭარბებულმა თვითანალიზმა ის ძველი უშუალობა და სილაღე ერთიანად ჩაუკლა.

ლიზიმ თავი გაიქნია.

— ო, არავინ, — უპასუხა მან, — ჩემთან დადიოდა... მომწყინდა მარტო ყოფნა, — განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ, — მაგრამ ჩემს დღეში არ დამავიწყდება, — ხმა გაუწყდა, თვალი სივრცეს გაუშტერა, — სულაც არ გავეკარები შენი გულისთვის.

მარტინი შეჰყურებდა და გრძნობდა, რომ საკმარისი იყო ხელი მოეხვია მისთვის... მაგრამ უცებ, ქალის დაუხვეწავი ლაპარაკი რომ მოისმინა, ფიქრმა მოიცვა — რამდენად აუცილებელია კაცმა დახვეწილი ენით ილაპარაკოსო, და პასუხის გაცემა სულაც გადაავიწყდა.

— კაი დღე კი დააყარე! — გამომწვევად უთხრა ქალმა და გაიცინა.

— მაინც მაგარი ბიჭია, — დიდსულოვნად უპასუხა მარტინმა, — რომ არ წაეყვანათ, ასე ადვილად ვერ გადავურჩებოდი.

— ის ქალი ვინ იყო, იმ ღამეს რომ გნახეთ ერთად? — ჰკითხა მოულოდნელად ლიზიმ.

— ერთი ქალია, ჩემი მეგობარი, — მიუგო მარტინმა.

— დიდი ხნის წინათ იყო, — წყნარად ჩაილაპარაკა ლიზიმ, — ასე მგონია, ათასი წელი გავიდა-მეთქი.

მაგრამ მარტინს ამაზე აღარაფერი უთქვამს. სულ სხვა რამეზე გადაიტანა საუბარი. იქიდან რესტორანში წავიდნენ, მარტინმა მოატანინა ღვინო და მდიდრული საუზმე. მერე საცეკვაოდ გაიწვია, მარტო მასთან ცეკვავდა, სხვასთან არავისთან, მანამ ქალი არ დაიღალა. მარტინი კარგი მოცეკვავე იყო და ნეტარებით დამტკბარი გოგონა ისე ბზრიალებდა მასთან, თითქოს ცაში დასრიალებსო, თავი ჭაბუკის მკერდზე მიეყრდნო, ნატრობდა, ნეტა სულ ასე გაგრძელდეს, აღარ გათავდესო. საღამო ხანს ისევ ბაღში გავიდნენ, სადაც ძველი, კარგი ჩვეულების მიხედვით, ქალი ჩამოჯდა, მარტინი კი გულაღმა გაწვა და თავი კალთაზე დაუდო. მარტინს ჩასთვლიმა, ქალი კი თმაში უცურებდა ხელს, დახუჭულ თვალებზე დაჰყურებდა და განუზომელ სიყვარულსა გრძნობდა, მთელი არსებით მისი იყო, მას ეკუთვნოდა. უცებ მარტინმა გაახილა თვალი და ქალის სახეზე ნაზი სიყვარული ამოიკითხა. ლიზი თითქოს შეკრთა ერთბაშად, თვალი მოარიდა, მაგრამ ისევ ალერსიანად და გამომწვევად შეხედა.

— სულ შენ გელოდი, ეს წლები, — თითქმის ჩურჩულით უთხრა ქალმა.

მარტინმა იგრძნო, რომ ეს იყო საოცარი სიმართლე. ძლიერმა ცთუნებამ წამოუარა. მის ხელთ იყო — შეეძლო ახლავე გაებედნიერებინა ქალი. თვითონ, კარგი, მოკლებული იყო ყოველგვარ ბედნიერებას, სხვისთვის რატომღა უნდა წაერთმია ეს ბედნიერება? შეეძლო ახლავე შეერთო ეს ქალი და ისლის კოშკში წაეყვანა, მარკიზის კუნძულებზე. ცთუნება და სურვილი ამისი ძლიერი იყო, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი გამოდგა შინაგანი ხმა, რომელიც მტკიცედ მოუწოდებდა, არ გადაედგა ასეთი ნაბიჯი. ყველაფრის მიუხედავად, იგი ერთგული დარჩა თავისი სიყვარულისა. ძველი დღეები სილაღისა და თავისუფლებისა უკვე წასულიყო, ვეღარ დაიბრუნებდა, ვერც თვითონ დაბრუნდებოდა მათთან. სულ შეცვლილიყო მარტინი, აქამდე ვერც კი გრძნობდა, როგორ შეცვლილიყო.

— მე საცოლე კაცი არა ვარ, ლიზი, — უბრალოდ უთხრა მან.

თმაში საალერსოდ შეცურებული ხელი ერთბაშად შედგა, მაგრამ ისევ სწრაფად განაგრძო ფერება. მარტინმა შენიშნა, რომ ქალის გამომეტყველებას სიმკაცრის იერი მიეცა, ეს იყო მტკიცე გადაწყვეტილების ნიშანწყალი, მაგრამ ხელადვე მოლბა, ღაწვები ისევ შეუფაკლდა და თვალები ალერსით გაუბრწყინდა.

— ეს არც მიფიქრია... — ბორძიკით დაიწყო მან, — ყოველ შემთხვევაში, ეგ არაფერს ნიშნავს! არაფერს! — გაიმეორა ქალმა, — მე შენი მეგობრობა მეამაყება. მზადა ვარ, შენთვის ყველაფერი გავაკეთო. ღმერთს ასეთი გავუჩენივარ.

მარტინი წამოჯდა. ქალის ხელი აიღო. უშუალობა, სითბო იგრძნობოდა ამ მოძრაობაში და არა ვნება, ამიტომაც ამ სითბომ ცივად დაუარა ტანში.

— ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე — თქვა მან.

— დიდებული გოგო ხარ, კეთილშობილი, — უთხრა მარტინმა, — მე თვითონ უნდა ვამაყობდე შენი მეგობრობით. ვამაყობ კიდეც! ნამდვილად ვამაყობ. სინათლის სხივი ხარ ჩემთვის ამ წყვდიადით მოცულ ქვეყანაზე, ამიტომ ისეთივე მართალი უნდა ვიყო შენთან, რასაც შენ ჩემს მიმართ იჩენ.

— მაგას სულაც არ მოვითხოვ შენგან — სულერთია, როგორც გინდოდეს, ისე მომექეცი. თუ გინდა ტალახში ჩამაგდე და ზედ ფეხით შემდექი. ოღონდ მარტო შენა გაქვს ამის უფლება ქვეყნად, — დასძინა მან და თვალები გამომწვევად აუელვარდა, — რაც თავი მახსოვს, სულ ჩემს ნებაზე ვარ, სხვას ყურსაც არ ვუგდებ.

— მიტომაც არ შემიძლია სხვანაირად მოქცევა, — ალერსიანად უთხრა მარტინმა. — შენ ისეთი კარგი და დიდსულოვანი ხარ, რომ მეც მაიძულებს დიდსულოვანი ვიყო. ცოლის შერთვას არ ვაპირებ, და არც... და არც ისე შემიძლია სიყვარული, თუმცა წინათ სულერთი იყო ჩემთვის, ახლა ვგრძნობ, რომ დღეს აქ მოვედი და შენ შეგხვდი. მაგრამ ამას რაღა ეშველება, ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი, ასე თუ დატრიალდებოდა საქმე. მაგრამ იცი რა, ლიზი — ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მომწონხარ. მოწონება ცოტაა. გაღმერთებ, თაყვანსა გცემ. დიდებული გოგონა ხარ, ძალიან კარგი. თუმცა სიტყვებს რა ფასი აქვს! ისე კი მინდა რამე გავაკეთო შენთვის. ვიცი, რა მძიმე ცხოვრება გამოგივლია — ნება მომეცი შეგიმსუბუქო ქალის თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა გაიელვა, მაგრამ მალევე ჩაქრა). მალე ფულს მივიღებ, კარგა ბლომად.

ერთბაშად გადაავიწყდა ის ხეობაც, ყურეც, ისლის კოშკიცა და თეთრი კარჭაპიც. რის მაქნისია, ბოლოს და ბოლოს? ადგება და ძველებურად რომელიმე გემს გაჰყვება!

— მინდა, რომ შენ გადმოგცე ეს ფული. გამოგადგება — ან სკოლაში შეხვალ, ან რაიმე ხელობას ისწავლი. რა იქნება, რომ სტენოგრაფისტი გახდე! მე თვითონ მოგაწყობ. დედ-მამა თუ გყავს ცოცხალი — საბაყლო მაღაზიას გავახსნევინებ, ან ამისთანა რამეს. ერთი სიტყვით, რასაც კი მოისურვებ. შენ ოღონდ დამისახელე, უსათუოდ შეგისრულებ.

ქალს არაფერი უპასუხნია. იჯდა და სივრცეს მიშტერებოდა, თვალები ამოშრობოდა, არც განძრეულა, ყელში მოსწოლოდა რაღაც და ახრჩობდა. მარტინი ხელადვე მიხვდა და თითქოს მასაც მოაწვა ყელში რაღაც. ინანა, ასეთი ლაპარაკი რას წამოვიწყეო. რაც მან ქალს შესთავაზა, უბადრუკობა იყო იმასთან შედარებით, რასაც ქალი სთავაზობდა. ეს იმისთანა რამეს სთავაზობდა, რაც სულაც არა სჭირდებოდა, ადვილად შეელეოდა, სულაც არ ეპიტნავებოდა; ქალმა კი საკუთარი თავი შესთავაზა, არც ცოდვას მორიდებია, არც შერცხვენას, არც გაწბილებას, არც ჯოჯოხეთის წამებას.

— ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, — უთხრა ქალმა და ხმა გაებზარა, მაგრამ სწრაფად ჩაახველა, არ შემამჩნიოსო. წამოდგა. — წავიდეთ, დავიღალე.

სეირნობა დამთავრდა, ხალხი თითქმის დაშლილიყო. მაგრამ როცა მარტინი და ლიზი ბუჩქებიდან გამოვიდნენ, ბიჭები იქვე დახვდნენ. მარტინი მაშინვე მიხვდა ყველაფერს. ჩხუბი მზადდებოდა. ეს ბიჭები მისი მცველები იყვნენ. ნელი ნაბიჯით გასცდნენ ჭიშკარს, ცოტა მოშორებით კი მეორე ჯგუფი მიყიალობდა — ესენი ლიზის მოარშიყე ჭაბუკს შეექუჩებინა. შურისსაძიებლად. პოლიციელებმა მაშინვე აიღეს

ჩხუბის სუნი და უკან გაჰყვნენ, სან-ფრანცისკოს მატარებლამდე მიაცილეს. მარტინმა ჯიმი გააფრთხილა, მეთექვსმეტე ქუჩასთან ჩამოვალ და ოუკლენდისკენ მიმავალ ტრამვაიში გადავჯდებიო. ლიზი ხმას არ იღებდა, თითქოს სულაც არ აინტერესებდა, რაც ირგვლივ მზადდებოდა. მატარებელი მეთექვსმეტე ქუჩას მიადგა, გამოჩნდა მათი მომლოდინე ტრამვაი, კონდუქტორი მოუთმენლად აბრახუნებდა გონგს.

— აბა, ჩქარა! — ურჩია ჯიმიმ, — გაიქეცით, ტრამვაიში ჩასხედით. ჩვენ ამათ შევაჩერებთ. რაღას უცდი!

მოწინააღმდეგე ჯგუფი ამ მანევრმა დროებით დააბნია. მაგრამ მალევე მოეგო გონს, მატარებლიდან გადმოცვივდნენ და გამოუდგნენ. ტრამვაიში მსხდარ მგზავრებს არც კი შეუნიშნავთ, როგორ გამალებით მოვარდნენ ჭაბუკი და გოგონა და კუთხეში თავისუფალ ადგილებზე ჩამოსხდნენ. არავის უფიქრია, ამ წყვილს რაიმე კავშირი თუ ჰქონდა ჯიმისთან, რომელიც ტრამვაის შეახტა და ვატმანს გასძახა:

— მიდი, მიდი, ძმობილო, გარეკე!

იმავე წუთში ყველამ შენიშნა, როგორ დაბზრიალდა ჯიმი და პირველ მდევარს, რომელიც საფეხურზე ახტომას ლამობდა, პირდაპირ სახეში ჩასცხო მუშტი. მთელი ვაგონის გასწვრივ ამოძრავდა მუშტები — ჯიმისა და მის ამხანაგებს გარეთა გრძლივი საფეხური დაეკავებინათ და მომხვდურებს წინააღმდეგობას უწევდნენ. ტრამვაი აიძრა გონგის გამაყრუებელ ბრახუნში და ჯიმის მეგობრები გადმოხტნენ, რათა საქმე დაემთავრებინათ. ტრამვაი წავიდა, ბრძოლის ველი შორს მოიტოვა, მგზავრებს ერთი წუთითაც ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ კუთხეში წყნარად მიყუჟულ ჭაბუკსა და ლამაზ მუშა-გოგონას იმ მოჩხუბრებთან რაიმე კავშირი ჰქონდათ.

ჩხუბმა სასიამოვნო მღელვარება მოჰგვარა მარტინს, ტანში ძველებურადვე ჟრუანტელმა დაუარა. მაგრამ ეს აღელვებაც სწრაფად ჩაუქრა და კვლავ ნაღველი შემოაწვა. თითქოს მოხუცდა და დაჩაჩანაკდა, თითქოს საუკუნეებით უფროსი იყო ამ ბიჭებზე, თავისივე უდარდელ და უზრუნველ ამხანაგებზე. დიდი გზა განვლო, ძალიან შორს წავიდა და უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. ამათი ცხოვრება — თავისი ძველი ცხოვრება — უკვე ეზიზღებოდა. ყველაფერზე გული გასტეხოდა, უცხო გამხდარიყო. ისეთივე გულისამრევი ჩანდა ძველ მეგობრებთან ურთიერთობა, როგორც იმ უბრალო ლუდმა აურია გული. მეტისმეტად შორს წასულა. ათასობით წიგნი ჩამდგარიყო მასა და იმათ შორის. თვითონვე გადაიხვეწა, მოშორდა თავისიანებს. შესტოპა, შორს შეიტყუა ცოდნის უსაზღვრო სამყარომ და შინ დაბრუნება შეუძლებელი გახდა. მეორე მხრივ, იგი ხომ ადამიანი იყო და ადამიანებთან ურთიერთობა სწყუროდა. მაგრამ ახალი სამშობლო, ახალი ნავსაყუდელი ჯერაც ვერ აღმოეჩინა. არც იმ ძველ ძმა-ბიჭებს ესმოდათ მისი, არც თავისიანებს, არც ბურჟუებს, და აგერ ამ გოგონასაც კი არა, რომელსაც იგი განუზომლად პატივს სცემდა და ათაყვანებდა. ფიქრობდა ამას და გული სევდით ეწურებოდა.

— შეურიგდი იმ ბიჭს, — ურჩია მან ლიზის გამომშვიდობებისას, როცა მუშათა კვარტალამდე მიაცილა. ქალი აქა ცხოვრობდა — მეექვსე ქუჩასა და ბაზარს შორის. იმ ყმაწვილ კაცზე ეუბნებოდა, რომლის ადგილი დღეს მან დაიკავა.

— არ შემიძლია... აღარ შეიძლება, — მიუგო ქალმა.

— რას ამბობ, — მხიარულად შესძახა მარტინმა, — ერთი რომ დაუსტვინო, ძუნძულით წამოვა.

— არა, მე მაგას არ ვგულისხმობ, — უბრალოდ უპასუხა ქალმა.

ის იყო, ღამე მშვიდობისა უნდა ეთქვა მარტინს, რომ ქალი მკერდზე მიეყრდნო, არა გამომწვევად, არა მბრძანებლურად, არამედ მორჩილად, საწყლად. მარტინს

გული ჩაწყდა. ხელი მოხვია ქალს და აკოცა — და ხელად იგრძნო ისეთი ალალი საპასუხო კოცნა, როგორიც არც ერთ მამაკაცს არ ღირსებია.

— ღმერთო! — ზლუქუნებდა ქალი, — თავს შეგწირავდი! სიამოვნებით შეგწირავდი თავს!

ერთბაშად მოშორდა და გავარდა, კიბე აირბინა. მარტინს თვალები დაენამა.

— მარტინ იდენ, — ჩაილაპარაკა მან, — შე უბადრუკო ნიცშეანელო, პირუტყვი ხომ არა ხარ! შეირთე ეს ქალი, ბედნიერებით გაავსე მისი ათრთოლებული გული. მაგრამ რომ არ შეგიძლია, რომ არ შეგიძლია! სირცხვილი შენი!

«ბებერი მაწანწალა თავის ძველ იარაზე მოსთქვამს», — წაიბუტბუტა მან, ჰენლი გაიხსენა, — «ცხოვრება საშინელი შეცდომებითა და სირცხვილით არის სავსე». მართლაც რომ სირცხვილი და შეცდომაა მთელი ცხოვრება.

თავი ორმოცდამესამე

«მზის სირცხვილი» ოქტომბერში დაიბეჭდა. როცა მარტინმა საფოსტო ბანდეროლს კანაფი მოაცილა და გამომცემლობის გამოგზავნილი ექვსი საავტორო ეგზემპლარი მაგიდაზე დაცვივდა, გულს მძიმე ნაღველი შემოაწვა. წარმოიდგინა, რა გიჟური სიხარული მოიცავდა, ეს რომ რამდენიმე თვის წინათ მომხდარიყო, ახლა კი, თითქოს არაფერიო, გულგრილად შეხედა. თავისი წიგნი, თავისი პირველი წიგნი! და გულიც არ შესტოკებია. პირიქით, ნაღველით დაუმძიმდა! მისთვის ახლა აღარაფერს წარმოადგენდა ეს წიგნი. ერთადერთი ეს იყო, რომ ფული მოჰყვებოდა, მაგრამ ან ფული რად უნდოდა?!

ერთი ცალი წიგნი აიღო და სამზარეულოში გაიტანა, მარიას აჩვენა.

— ჩემი დაწერილია, — განუმარტა მან გაკვირვებულ და დაბნეულ ქალს, — ამ ოთახში დავწერე, შენი სუპიც დამეხმარა ამის წერაში, ძალა მომცა. გამომართვი. შენი იყოს. მომიგონე ხოლმე.

ეს არ იყო ბაქიობა და თავის გამოჩენის სურვილი. უბრალოდ უნდოდა, ბედნიერება მიენიჭებინა, ამაყად თავის დაჭერის საფუძველი მიეცა, გაემართლებინა ის რწმენა, რასაც ქალი ამდენი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა მარტინისადმი. მარიამ სასტუმრო ოთახში გააქანა წიგნი და საოჯახო ბიბლიაზე შემოდო. მისთვის წმიდათა წმიდა იყო მდგმურის დაწერილი წიგნი, მეგობრობის ფეტიში. ამ წიგნმა ხელადვე შეარბილა ის უსიამოვნო განცდა, რაც ქალს დაეუფლა, როცა მარტინის მრეცხაობის ამბავი გაიგო. ერთი სტრიქონიც არ გაეგებოდა ამ წიგნისა, მაგრამ ღრმად სჯეროდა, რომ ყოველი სტრიქონი უდიდესი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ხომ უბრალო ქალი იყო, საქმეს გადამკვდარი, მძიმე შრომისაგან წელში გაწყვეტილი, მაგრამ რწმენა დიდი ნიჭისა შეურყვნელი ჰქონდა.

რა გულგრილადაც «მზის სირცხვილის» საავტორო ეგზემპლარი მიიღო, ისეთივე გულგრილობით ათვალიერებდა მარტინი საგაზეთო რეცენზიებს, რასაც ამონაჭრების ბიურო უგზავნიდა ხოლმე ყოველკვირეულად. აშკარა იყო, რომ წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მაშ, პარკშიაც მეტი ოქრო მოგროვდებოდა. შეეძლება ლიზიც მოაწყოს, ყველა დაპირება შეასრულოს, და იმდენი კიდევ დარჩება, რომ ისლის კოშკიც აიშენოს.

გამომცემლობამ სიფრთხილე იხმარა და ათას ხუთასი ცალი დაბეჭდა, მაგრამ პირველივე რეცენზიებმა ხელახლა დააბეჭდინეს წიგნი, ამჯერად სამათასიანი ტირაჟით. ჯერ ესეც არ გაესაღებინათ, რომ მესამედაც გამოსცეს — ხუთი ათასი ცალი. ლონდონის ერთ-ერთმა ფირმამ მოლაპარაკება გამართა წიგნის ინგლისური

გამოცემის თაობაზე, ამას ფეხდაფეხ მოჰყვა დაკვეთები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, სკანდინავიის ქვეყნებიდან — თარგმანის ნებართვას თხოულობდნენ. ამაზე ხელსაყრელ დროს ვერც ინატრებდნენ მეტერლინკის სკოლაზე შეტევისათვის. გაჩაღდა მძაფრი პოლემიკა. სალიბი და ჰაკელი თავგამოდებით იცავდნენ «ზის სირცხვილს». კრუკსი და უოლესი მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდნენ, სერ ოლივერ ლოჯი კი, თავისივე კოსმოსური ფილოსოფიის საკეთილდღეოდ, ცდილობდა კომპრომისი გამოეძებნა. მეტერლინკის მიმდევრები მისტიციზმის დროშის ქვეშ დაირაზმნენ. ჩესტერტონმა მთელი ქვეყანა ახარხარა ვითომცდა პირუთვნელი და მიუდგომელი სტატიებით, ბერნარდ შოუმ კი თავისი დაუნდობელი გონებამახვილობით ლამის დაასამარა მოკამათენიც და კამათის საგანიც. რაღა სათქმელია, რომ ამ დიდ-დიდ მნათობთა გარდა საბრძოლო არენაზე წვრილი მბჟუტავი ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ — ბრძოლა გამძაფრდა და გამძვინვარდა.

«სასწაული მოხდა, — სწერდნენ მარტინს გამომცემლები, — კრიტიკულ-ფილოსოფიური ესეის ასეთი გასაღება ჯერ არავის ახსოვს. უკეთეს თემას ვერც შეარჩევდით, და სხვა გარე პირობებმაც შეუწყო ხელი წარმატებას. ალბათ საჭიროც არ იქნება დაგარწმუნოთ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს ხელსაყრელი შემთხვევა არ გავუშვათ. ორმოც ათას ცალზე მეტი გავრცელდა უკვე შეერთებულ შტატებსა და კანადაში, ოციათასიანი ახალი გამოცემა უკვე იბეჭდება. ძლივს ვასწრებთ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მოთხოვნილების გაზრდას ერთგვარად ჩვენ შევუწყვეთ ხელი. რეკლამაზე ხუთი ათასი დოლარი დაგვეხარჯა უკვე. ეს იქნება სარეკორდო წიგნი».

«თავს ნებას ვაძლევთ, ამასთან ერთად ხელშეკრულებაც გამოგიგზავნოთ თქვენს მორიგ წიგნზე. მხედველობაში მიიღეთ, რომ ოცი პროცენტით გიდიდებთ ჰონორარს. ეს უმაღლესი განაკვეთია და ისიც ჩვენისთანა პირველხარისხოვანი გამომცემლობისათვის. თუ მოგეწონათ ჩვენი პირობები, გთხოვთ ხელშეკრულებაში წიგნის სახელწოდება ჩაწეროთ. ნაწარმოების თემითა და ხასიათით არა გზღუდავთ, რაზეც გნებავთ დაწერთ. დაწერილი თუ გაქვთ — მით უკეთესი. ამაზე ხელსაყრელ დროს ვერ იპოვით — უნდა მოასწროთ, მანამ ინტერესი არ განელებულა.

როგორც კი ხელმოწერილ ხელშეკრულებას დაგვიბრუნებთ, მაშინვე ჰონორარის ავანსს გამოგიგზავნით — ხუთი ათას დოლარს. ხომ ხედავთ, როგორი რწმენა გვაქვს თქვენი, რა რისკს ვიჩენთ! სასურველი იქნებოდა, მოლაპარაკება დაგვეწყო და უფრო დიდი ხნით დაგვედო ხელშეკრულება (ვთქვათ ათი წლით), რომლის მიხედვითაც მხოლოდ ჩვენ გვექნებოდა ყველა თქვენი ნაწარმოების წიგნად გამოცემის უფლება. მაგრამ ამაზე შემდეგ».

მარტინმა წერილი გადადო და ზეპირ ანგარიშს შეუდგა: თხუთმეტი ცენტი გადაამრავლა სამოც ათასზე და ცხრა ათასი დოლარი მიიღო. ხელშეკრულება შეავსო, შიგ «სიხარულის კვამლი» ჩაწერა, ხელი მოაწერა და გამომცემლობას გაუგზავნა, თან ოცი პატარა მოთხრობაც გააყოლა, სულ ადრე დაწერილი, მანამ საგაზეთო ფელეტონების სქემის წერას შეუდგებოდა. მალევე მიიღო ხუთი ათასი დოლარიც: იმ სისწრაფით, რა სისწრაფითაც ამერიკული ფოსტა მუშაობს.

— მარია, დღეს ორი საათისათვის ქალაქში გამომყევი, საქმე მაქვს, — უთხრა მარტინმა იმავე დილას, როცა ჩეკი მიიღო, — ან არადა, პირდაპირ იქ მოდი ორ საათზე, მეთოთხმეტე ქუჩისა და ბროდვეის კუთხესთან.

დანიშნულ დროს მარია იქ დახვდა. დიდხანს იმტვრევდა თავს ამ საიდუმლოს გამოსაცნობად, მაგრამ ახალ ფეხსაცმელებზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. ასე რომ გულიც კი დაწყდა, ფეხსაცმელების მაღაზიას რომ ჩაუარეს და რაღაც კანტორაში

შევიდნენ. რაც ამის შემდეგ მოხდა, ის სამუდამო სიზმრად დარჩა ქალის მეხსიერებაში. დიდებული ჯენტლმენები, რომლებიც მარტინს ელაპარაკებოდნენ და ერთმანეთში რაღაცას ბჭობდნენ, ხშირ-ხშირად გადმოხედავდნენ ხოლმე მარიას და გულმოწყალედ გაუღიმებდნენ; საბეჭდი მანქანა გამწარებით ჩხაკუნობდა. მერე რაღაც მნიშვნელოვან ქაღალდს მოაწერეს ხელი, მარიას სახლის პატრონიც აქ იყო და იმასაც მოაწერინეს. გარეთ რომ გამოვიდნენ, ტროტუარზე, სახლის პატრონმა გადაულაპარაკა:

— ასე, მარია: ამ თვეში აღარ გადამიხდი შვიდნახევარ დოლარს.

მარია გაშეშდა, ენა წაერთვა:

— არც იმ თვეში, არც იქითაში, არც იმის იქითაში, — განაგრძო სახლის პატრონმა.

მარიამ ბორძიკით მადლობა უთხრა ამ მოწყალებისათვის. მაგრამ მანამ შინ არ დაბრუნდა, ჩრდილო ოუკლენდში, და თავისიანებს არ მოელაპარაკა, მანამ პორტუგალიელ ბაყალს კარგად არ გამოჰკითხა ყველაფერი, არც მიმხვადარა, რომ ეს პატარა სახლი, რომელშიაც ამდენი ხანი ცხოვრობდა და ქირას იხდიდა, ახლა მისი საკუთრება იყო.

— რატომ აღარაფერს ყიდულობთ ჩემთან? — ჰკითხა მარტინს პორტუგალიელმა ბაყალმა და მისასალმებლად გარეთ გამოვიდა, როცა მარტინი კარეტიდან ჩამოხტა. მარტინმა განუმარტა, მე თვითონ აღარ ვიმზადებ საჭმელსო. მერე დუქანში შეჰყვა და თითო ჭიქა ღვინო გადაჰკრეს. მარტინს არ გამოჰპარვია, რომ ეს იყო ყველაზე საუკეთესო ღვინო, რაც კი ბაყალს დუქანში მოეძებებოდა.

— მარია, — მიმართა იმავე საღამოს მარტინმა, — მე უნდა გადავიდე აქედან. თქვენც აღარ დარჩებით აქ დიდხანს. ამ სახლს გააქირავებ და შენ თვითონ აიღებ ქირას. შენ ხომ ძმა გყავს სან ლეანდროსა თუ ჰეიუორდსში? მგონი, რძის ფერმა უნდა ჰქონდეს! რაც ახლა სარეცხი გაქვს აღებული, უკანვე გააბრუნებ გაურეცხავად, გამიგე? გაურეცხავად! ხვალ დილითვე ჩახვალ სან ლეანდროსა თუ ჰეიუორდსში და ძმას მოინახულებ. უთხარი, ჩემთან ჩამოვიდეს, საქმე მაქვს. «მეტროპოლში» მნახავს, ოუკლენდში. იქნებ, კარგი რძის ფერმა ეგულებოდეს. სადმე.

ამრიგად, მარია სახლის მეპატრონეც გახდა და ფერმის ერთადერთი მფლობელიც. ორი მუშა დაიქირავა და მძიმე საქმეს იმათ აკეთებინებდა, ბანკში ანგარიში გახსნა, რომელიც დღითიდღე იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხსაცმელებში გამოწკიპული ბავშვები სკოლაში დაუდიოდა. იშვიათად თუ მომხდარა, რომ სიზმარში ნანახი პრინცი ვინმეს ცხოვრებაში შეხვედროდეს. მაგრამ მძიმე მუშაობისაგან წელმოწყვეტილი და გამოლენჩებული მარია, რომელსაც თავის დღეში არ დასიზმრებია პრინცები, მართლაც შეხვდა — და ეს იყო სამრეცხაოს ყოფილი მუშა, გადაცმული.

ამასობაში ქვეყანა დაინტერესდა — «ვინ არის მაინც ეს მარტინ იდენი?» გამომცემლებს მან უარი უთხრა ბიოგრაფიული ცნობების მიცემაზე, მაგრამ გაზეთებს სად დაემალებოდა?! წარმოშობით იგი ოუკლენდელი იყო და რეპორტიორებმა ყნოსვით მიაგნეს მარტინის მცნობ ხალხს, შეთითხნეს და გამოაცხვეს — ვინ იყო, რას წარმოადგენდა, რას აკეთებდა, ისიც ბლომად დაუმატეს, რასაც არ წარმოადგენდა და არ აკეთებდა. სურათებითა და ფოტოებით შეამკეს. ადგილობრივ ფოტოგრაფს ერთხელ გადაეღო მარტინისათვის სურათი, ახლა კი ბეჭდავდა და ბეჭდავდა — ჰყიდდა, ასაღებდა. იმდენად დიდი იყო მარტინის სიძულვილი ჟურნალებისა და ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ, რომ პირველ ხანებში მაგრად შეებრძოლა ასეთი მასალების გამოქვეყნებას, ბოლოს კი დარწმუნდა, უმოქმედობა უფრო ადვილი იყო და ფარ-ხმალი დაჰყარა. უხერხული გამოდგა, უარი ეთქვა ინტერვიუს მიცემაზე

ისეთი კორესპონდენტებისათვის, რომლებიც შორიდან ჩამოდიოდნენ საგანგებოდ მის სანახავად. გარდა ამისა, დღე-ღამეში საკმაოდ დიდი დროა, და რაკი ახლა არც მეცადინეობდა და აღარც წერდა, ეს დრო რითიმე ხომ უნდა მოეკლა! ასე რომ, დასთმო — ინტერვიუებსაც აძლევდა, აზრებსაც გამოსთქვამდა ლიტერატურასა და ფილოსოფიაზე და ბურჟუების მიწვევებსაც კი ღებულობდა. უცნაურმა სიმშვიდემ მოიცვა. აღარაფერი აწუხებდა, ყველაფერი სულერთი გახდა. ყველას მიუტევა, იმ ახალგამოჩეკილ რეპორტიორსაც კი, რომელმაც იგი წითელ სოციალისტად მონათლა. ინტერვიუც მისცა ახლა ამ რეპორტიორს გაზეთის მთელ გვერდზე და იქვე თავის ფოტოსურათის დაბეჭდვის ნებაც დართო.

ზოგჯერ ლიზისაც ხვდებოდა. აშკარა იყო, ქალს არ სიამოვნებდა მარტინის ასეთი აღზევება — შიშობდა, რომ ეს კიდევ უფრო გააფართოვებდა მათ შორის უფსკრულს. სწორედ ამ უფსკრულის დავიწროების მიზნით იყო, ალბათ, რომ მარტინს დათანხმდა და საღამოს სკოლაში შევიდა, პარალელურად სტენოგრაფიის შესწავლასაც შეუდგა; კაბებს აკერინებდა საუკეთესო თერმს, რომელსაც ქვეყნის ფული მიჰქონდა. მისი წარმატებები დღითიდღე შესამჩნევი ხდებოდა; მარტინი, ბოლოს, ჩააფიქრა ამ ამბავმა, კარგს ვშვრები თუ არაო, რადგან, აშკარა იყო, ლიზი მისი გულისთვის აკეთებდა ყველაფერს: ცდილობდა, მარტინის ღირსი გამხდარიყო, ისეთი თვისებები შეეძინა, რასაც, მისი აზრით, მარტინი დიდად აფასებდა. მაგრამ მარტინი ვერაფერ ნუგეშს აძლევდა — ძმასავით ეპყრობოდა და იშვიათად ხვდებოდა.

«დაგვიანებული» იმ დროს დაბეჭდა მერეით-ლოუელის გამომცემლობამ, როცა მარტინი დიდების ზენიტზე იყო ასული და, რაკი ეს ბელეტრისტიკა იყო, «მზის სირცხვილზე» მეტი წარმატება ხვდა. უპრეცედენტო ამბავი მოხდა — «ბესტსელერების» სიაში პირველი ორი ადგილი მარტინის ორ წიგნს ერგო. განა მარტო ბელეტრისტიკის მკითხველები, ისეთი ხალხიც კი, ვინც «მზის სირცხვილს» კითხულობდა, საოცრად გაიტაცა ამ საზღვაო მოთხრობამ, აღფრთოვანებაში მოდიოდნენ ავტორის ოსტატობით და კოსმოსური გაქანებით. პირველი წიგნით მისტიკურ ლიტერატურაზე მიიტანა იერიში და დიდებულადაც. მეორე წიგნით კი მკითხველს თვალსაჩინოდ უჩვენა, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ლიტერატურა, და ამასაც წარმატებით გაართვა თავი; ამრიგად, კრიტიკული და მხატვრული ნიჭის შერწყმის იშვიათი გენიალობა გამოიჩინა.

ფულითაც ივსებოდა, დიდებითაც ივსებოდა, კომეტასავით გაიელვა ლიტერატურულ სამყაროში, მაგრამ ეს ართობდა უფრო, ვიდრე ახარებდა. ერთმა ამბავმა საოცრად გააკვირვა — მთელ ქვეყანასაც გააკვირვებდა ეს ამბავი, რომ გაეგოთ. მაგრამ ქვეყანას გააკვირვებდა არა ის პატარა ამბავი, თავისთავად, არამედ ფაქტი, რომ ამ ამბავმა მარტინი გააკვირვა. მოსამართლე ბლაუნტმა მარტინი სადილად დაპატიჟა. თავისთავად პატარა ფაქტი იყო, მაგრამ სულ მალე განუზომლად დიდი მნიშვნელობისა გახდა. ბლაუნტი ხომ შეურაცხყო ერთხელ მარტინმა, გამოლანძღა, ახლა კი ქუჩაში შეხვდა დაშინ მიიპატიჟა სადილად! მარტინმა გაიხსენა, რამდენჯერ შეხვდა იგი მოსამართლეს მორზების სახლში, მაგრამ სადილზე ერთხელაც არ დაუპატიჟებია. რატომ მაშინ არ დამპატიჟა? ეკითხებოდა მარტინი თავს. მას შემდეგ სულაც არ შეცვლილა, იგივე მარტინ იდენი დარჩა! მაშ, რა მოხდა? მხოლოდ ის, რომ მისი ნაწარმოებები დაიბეჭდა და ყდაში ჩაისვა? მაგრამ აკი ადრევე ჰქონდა დაწერილი! მას შემდეგ ხომ არ დაუწერია! მისი ყველაზე უკეთესი მოთხრობები და წერილები უკვე დაწერილი იყო, როცა ფეხის ხმას აყოლილი მოსამართლე ბლაუნტი გესლიანად დასცინოდა სპენსერსა და მარტინის

შეხედულებებს. ასე რომ, მოსამართლემ იგი დაპატიჟა არა ჭეშმარიტი დამსახურების გამო, არამედ იმ დიდების გამო, რაც ამ დამსახურების შემდეგ ერგო მარტინს.

ღიმილით მიიღო მიწვევა და თავისი დიდსულოვნება თვითონვე გაუკვირდა. სადილზე, სადაც ექვსამდე დიდ გვამს მოეყარა თავი, ცოლებითურთ, მარტინს მეფური მოწიწებით ექცეოდნენ. მოსამართლე ბლაუნტმა, მოსამართლე ჰანუელის მხურვალე მხარდაჭერით, მარტინს სთხოვა, «სტიქიის» წევრი გახდიო, ამ დიდებული კლუბის კარებს უბრალო მდიდარ ხალხს კი არ ვუღებთ, თან გამოჩენილი პიროვნებაც თუ არ არისო. მარტინს კიდევ უფრო მეტად გაუკვირდა და კლუბის წევრობაზე უარი უთხრა.

კვლავ თავის ერთად დახვავებული ხელნაწერების განაწილებასა და აქეთ-იქით გზავნაში იყო გართული. მოსვენება აღარ ჰქონდა რედაქტორებისაგან — სთხოვდნენ და სთხოვდნენ ხელნაწერებს. გამოირკვა, რომ იგი დახვეწილი სტილისტი ყოფილა, ხოლო ამ სტილის საბურველში დიდებული შინაარსია გახვეული. «სილამაზის აკვნის» დაბეჭდვის შემდეგ «ჩრდილოეთის მიმომხილველმა» ექვსამდე ასეთივე სტატია მოსთხოვა. მარტინმა გამოარჩია დახვავებული ხელნაწერებიდან შესაფერი მასალა და ის იყო უნდა გაეგზავნა, რომ უცებ აზარტში შესულმა «ბარონის ჟურნალმა» ხუთი ასეთივე სტატია სთხოვა და თითოში ხუთასი დოლარი აღუთქვა. მარტინმა საპასუხო წერილი გაუგზავნა — თხოვნას შეგისრულებთ, ოღონდ თითოში ათასი დოლარი უნდა გადამიხადოთო. გაახსენდა, რომ სწორედ იმ ჟურნალებმა დაუწუნეს ეს ხელნაწერები, რომლებიც ახლა თავგადადებული ეღიჭინებოდნენ, დაგვითმეო. თანაც, აუწყებდნენ უგულოდ, ცივად, სტანდარტულ პასუხებს უგზავნიდნენ. ბევრი სიმწრის ოფლი ადინეს მაშინ, და მარტინმაც გადაწყვიტა, ჩემი ჯერიც დადგა, ახლა მე უნდა ვადინოო. «ბარტონის ჟურნალმა» მიიღო ეს პირობა და ხუთი სტატია დაუბეჭდა, ხოლო დანარჩენ ოთხ სტატიას «ყოველთვიური მაკინტოში» ჩაებღაუჭა და იგივე თანხა გადაუხადა. «ჩრდილოეთის მიმომხილველი» ღარიბი გამოდგა, კონკურენციას ვერ გაუძლო. ასე გამოქვეყნდა «დუმალებათა ქურუმები», «საოცარი მეცნებენი», «საკუთარი «ეს» საზომი», «ილუზიის ფილოსოფია», «ღმერთი და მხეცი», «ხელოვნება და ბიოლოგია», «კრიტიკოსები და სინჯარები», «ვარსკვლავის მტვერი» და «მევახშეობის ძალა». ამათგან გამოწვეული ხმაური, მითქმა-მოთქმა და აურზაური დიდხანს არ დამცხრალა.

რედაქტორ-გამომცემლები სწერდნენ — თქვენ თვითონ განგვისაზღვრეთ ჰონორარის რაოდენობაო, და მარტინიც საზღვრავდა. მაგრამ უკვე დაწერილს აქვეყნებდა, ახლის დასაწერად კალამს ხელს აღარ ახლებდა, კატეგორიულად აიკრძალა. უბრალო გაფიქრებაც კი, რომ მაგიდას უნდა მისჯდომოდა და კალამი აეღო, ჭკუიდან შლიდა. იგი მოწმე იყო, როგორ დაგლიჯა ბრბომ ბრისენდენი და თუმცა იგივე ხალხი მას ახლა ტაშს უკრავდა, მაინც სძულდა ბრბო. თავისი ასეთი პოპულარობა მას ბრისენდენის შეურაცხყოფად და მის მიმართ ღალატად მიაჩნდა. შუბლი უსიამოვნოდ ეჭმუხნებოდა, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა. გადაწყვეტილი ჰქონდა პარკი ფულით გაევსო.

ხშირად ღებულობდა ხოლმე ასეთი შინაარსის წერილებს:

«ამ ერთი წლის წინათ, ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ, სატრფიალო ლირიკა არ დაგიბეჭდეთ. თქვენმა ლექსებმა მაშინაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ გარკვეულმა მიზეზებმა ხელი შეგვიშალა დაგვებეჭდა. თუ ისევ ხელთა გაქვთ ის ლექსები და იმდენ დიდსულოვნებას გამოიჩენთ, რომ გამოგვიგზავნით, ჩვენ სიხარულით დავბეჭდავთ მთელ ციკლს. ამასთან, ჰონორარის

რაოდენობა თქვენ თვითონ განგვისაზღვრეთ. მზადა ვართ, ამავე ლექსების ცალკე წიგნად გამოცემაც შემოგთავაზოთ თქვენთვის ხელსაყრელ პირობებში».

მარტინს თავისი ტრაგედია მოაგონდა, ურითმო ლექსით დაწერილი და სატრფიალო ციკლის ნაცვლად ის გაუგზავნა. მანამ გაგზავნიდა, გადაიკითხა და გაოცებული დარჩა — სრული უბადრუკობა იყო. მაინც გაგზავნა, და, დაიბეჭდა კიდეც, თუმცა რედაქციას სამუდამო სანანებლად გაუხდა ეს. ხალხი აღშფოთდა, არავის სჯეროდა, რომ სახელგანთქმული მარტინ იდენი ამისთანა სისულელეს დაწერდა. მისი დაწერილი არ იქნებაო, გაიძახოდნენ. რედაქციის სიყალბეა, იქ დაუჯღაბნიათო; ან არადა მარტინ იდენი დიუმა მამას გასჯიბრებია, რაკი ასეთ დიდებას მიაღწია, ახლა სხვას აწერინებს და თვითონ ხელს აწერსო. მაგრამ როცა მარტინმა განმარტა, ეს ბავშვობის დროინდელი ნაცოდვილარია და რედაქცია აღარ მომეშვა, ძალათი დამაბეჭდინაო, ხალხმა სასაცილოდ აიგდო ჟურნალი და იძულებული გახდნენ, რედაქტორი შეეცვალათ. ჟურნალმა დიდი ზარალი ნახა. ცალკე წიგნად აღარ გამოსულა ტრაგედია, მაგრამ მარტინს მიღებული ავანსი აღარ დაუბრუნებია.

«კოლმენის ყოველკვირეულმა» მარტინს უშველებელი დეპეშა გამოუგზავნა, რაც სამასამდე დოლარი დაუჯდათ, ოცი ნარკვევი დაგვიწერეო, სთხოვდნენ, თითო ნარკვევში ათას დოლარს სთავაზობდნენ. რედაქციისავე ხარჯზე მარტინს შეერთებული შტატები უნდა მოევლო და ისეთი მასალა შეერჩია, რასაც თვითონვე მიიჩნევდა საინტერესოდ. რამდენიმე სავარაუდო თემა დეპეშაშივე იყო ჩამოთვლილი იმის ნიმუშად და მაგალითად, თუ რამდენად შეუზღუდავი იქნებოდა მარტინი თემის შერჩევის დროს. ერთადერთი მტკიცე პირობა ის იყო, რომ ნარკვევის თემა ამერიკის ცხოვრებიდან უნდა აეღო. საპასუხო დეპეშაში, რაც ფასდადებით გაგზავნა, მარტინი სინანულს გამოთქვამდა, რომ არ შეეძლო რედაქციის თხოვნა შეესრულებინა.

«ვიკი-ვიკის», რომელიც «ეორენის ყოველთვიურში» გამოქვეყნდა, დაბეჭდვისთანავე არნახული წარმატება ერგო. ჟურნალის შემდეგ ხელადვე ცალკე წიგნადაც გამოვიდა და მთელი ტირაჟი ელვის სისწრაფით გაიყიდა. კრიტიკოსები ერთხმად წინასწარმეტყველებდნენ, რომ ეს ნაწარმოები გვერდში ამოუდგებოდა ისეთ კლასიკურ ქმნილებებს, როგორიცაა «ბაგრენის ტყავი», და «ბოთლში გამომწყვდეული სული».

მოთხრობების კრებულს — «სიხარულის კვამლს» — ხალხი ცოტა არ იყოს ცივად და დაეჭვებით შეხვდა. ის სითამამე და პირდაპირობა, რითაც მოთხრობები იყო გამსჭვალული, ელდად ეცა ბურჟუაზიულ მორალსა და რწმენაზე აღზრდილ ხალხს. მაგრამ წიგნი მაინც სწრაფად ითარგმნა და პარიზში გამოიცა. აქ კი ჭკუა დაკარგეს მოთხრობების კრებულზე. მაშინ ამერიკელი და ინგლისელი მკითხველებიც აჰყვნენ ფეხის ხმას და ისე დაიტაცეს წიგნი, რომ მარტინმა აიძულა «სინგლტრი-დარნლის» გამომცემლობა მესამე წიგნში ოცდახუთი, ხოლო მეოთხეში ოცდაათი პროცენტი გადაეხადა. ამ ორ წიგნში ყველა პატარა მოთხრობა შევიდა, რაც კი ოდესმე დაეწერა და სხვადასხვა ჟურნალებს გამოექვეყნებინათ. «ზარის ძახილი» და ყველა ე. წ. «საშინელი» მოთხრობა პირველ ტომში შევიდა. მეორეში კი — «თავგადასავალი», «ქოთანი», «სიცოცხლის ზედაშე», «მორევი», «მხიარული ქუჩა» და ოთხი სხვა მოთხრობა. «მერედით-ლოუელის» გამომცემლობამ სტატიებს ჩასჭიდა ხელი და, რაც კი რამ დაეწერა, პირწმინდად გამოუცა. «მაქსიმილიანის» გამომცემლობამ — «ზღვის სიმღერა» და «სატრფიალო ციკლი» «მანდილოსანთა საოჯახო მეგობარმა» დაბეჭდა და ზღაპრული ჰონორარი გადაუხადა.

როცა უკანასკნელი ხელნაწერიც დაიბეჭდა, მარტინმა შვებით ამოისუნთქა. ისლის კოშკი და სპილენძით მოჭედილი თეთრი კარჭაპი შორეულ ოცნებას უკვე აღარ წარმოადგენდა. ბრისენდენის ვარაუდი, თითქოს ვერც ერთი ჭეშმარიტი ნაწარმოები ჟურნალებში გზას ვერ გაიკვლევდა, არ გამართლდა. მისმა გამარჯვებამ აშკარად დაამტკიცა, რომ ბრისენდენი ცდებოდა, და, მიუხედავად ამისა, მარტინი გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ მეგობარი მაინც მართალი იყო. მისი წარმატების მიზეზი «მზის სირცხვილი» უფრო იყო, ვიდრე სხვა ნაწარმოებები. სხვებს შემთხვევით გაუმართლა. აკი ზედიზედ უწუნებდნენ ჟურნალები. «მზის სირცხვილის» გამოცემამ დიდი ხმაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მარტინს სახელი გაუთქვა. «მზის სირცხვილი» რომ არ გამოსულიყო, არც ამისთანა პოლემიკა ატყდებოდა, ხოლო ამ წიგნის ასეთი წარმატება ნამდვილი სასწაული იყო. აკი გამომცემლებმაც ირწმუნეს ეს სასწაული. პირველად ხომ ათას ხუთასი ცალი გამოსცეს და იმაზედაც გული ეთანაღრებოდათ, ვერ გავასაღებთო. გამოცდილ-გამოქექილი გამომცემლები იყვნენ, მაგრამ ასეთი წარმატება ყველაზე უფრო მათთვის იყო მოულოდნელი. მართლაც რომ სასწაულად მიიჩნიეს ეს. დიდხანს ვერ მოეგენ გონს, ვერა და ვერ აეხსნათ სასწაულის მიზეზი, ყველა წერილში, რაც კი მარტინისათვის მიუწერიათ, სულ იმ იდუმალი წარმატებით გამოწვეული გაკვირვება გამოსჭვიოდა. ბოლოს მიზეზების ამოხსნას სულაც მიანებეს თავი. ამისი ამოხსნა შეუძლებელი იყო. შემთხვევით მოხდა, სავსებით შემთხვევით — ყოველგვარი ვარაუდისა და გამოცდილებებით განმტკიცებული რწმენის საწინააღმდეგოდ.

ასეთ ფიქრებს მოეცვა მარტინი და თავისი პოპულარობა საფუძველმოკლებულად მიაჩნდა. მის წიგნებს ხომ ბურჟუები ყიდულობდნენ, მათი ოქროთი ივსებოდა მარტინის ქისა. და უკვირდა მარტინს — ჩემი მოთხრობებისა და წერილების ნეტა რა მოეწონათო. ამ ასიათასობით მკითხველისათვის, რომლებიც მარტინის წიგნებს ყიდულობდნენ და თაყვანსა სცემდნენ, მისი აზრის ძალა და შინაგანი სილამაზე არაფერს წარმოადგენდა. შემთხვევით გაუღიმა ბედმა, იმ დროს შედგა პარნასზე ფეხი, როცა ღმერთებს ეძინათ. იმავე პირუტყვული უგუნურებით ასხამდნენ ახლა მარტინს ხოტბას ის ათასები და ათიათასები, რითაც ბრისენდენის ‹ეფემერას› მივარდნენ და დაგლიჯეს. იგივე მგლის ხროვა იყო, ოღონდ მარტინს, დაგლეჯის ნაცვლად, კუდის ქიცინი დაუწყეს. კუდის ქიცინიცა და დაგლეჯაც სულ შემთხვევის საქმე იყო. ერთი რამ მტკიცედ სწამდა მარტინს: «ეფემერა» განუზომლად მაღლა იდგა ყველაფერ იმაზეც, რაც გულში ჰქონდა და შეიძლებოდა მომავალში დაეწერა. ასეთი პოემა საუკუნეებში ერთი თუ დაიწერება. ასე რომ ბრბოს თაყვანისცემა გულდასაწყვეტი უბადრუკობა იყო, რადგან იმავე ბრბომ ‹ეფემერა› ლაფში ამოთხვარა. მარტინმა მძიმედ და კმაყოფილებით ამოიხვნეშა: კმაყოფილი იყო, რომ უკანასკნელი ხელნაწერიც გაჰყიდა და ყველაფერს მორჩა.

თავი ორმოცდამეოთხე

მისტერ მორზი სასტუმრო «მეტროპოლში» შეხვდა მარტინს. შემთხვევით მოხვდა იქა, თუ საგანგებოდ მივიდა, რათა მარტინი სადილად დაეპატიჟებინა, ეს გაუგებარი დარჩა. თუმცა მარტინი ამ მეორე ვარაუდისაკენ იხრებოდა. ასე იყო თუ ისე, სადილზე დაპატიჟეს, მისტერ მორზმა დაპატიჟა, რუთის მამამ, რომელმაც ამას წინათ სახლიდან დაითხოვა და ნიშნობა ჩაუშალა.

მარტინი არ გაბრაზებულა. არც შეურაცხყოფად მიუღია. მოთმინებით უსმენდა მისტერ მორზს და თან იმას ფიქრობდა, ალბათ რა მწარეა ასე თავის დამცირებაო.

უარი არ უთქვამს. საკმაოდ გაურკვეველი პასუხი მისცა და ოჯახის წევრები მოიკითხა, განსაკუთრებით მისის მორზი და რუთი. ისე წარმოთქვა რუთის სახელი, რომ არც წაბორძიკებულა, გაუკვირდა კიდეც — არც ჟრუანტელს დაუვლია ტანში, არც სისხლი მოსწოლია ძველებურად და არც გული აჩქროლებია.

ბევრი ვინმე ეპატიჟებოდა სადილად, ზოგან მიდიოდა კიდეც, საგანგებოდ ეცნობოდნენ ხოლმე, რომ სადილზე დაეპატიჟნათ. და მარტინი თავისდაუნებურად ჩაუფიქრდა ამ პატარა მოვლენას, რაც ფაქტობრივად დიდი გამოდგა. ბერნარდ ჰიგინბოთამმაც კი დაპატიჟა. ეს უკვე მეტისმეტი იყო — მარტინი გაშრა. გაახსენდა საშინელი შიმშილის დღეები, როცა კაციშვილი არ ეპატიჟებოდა. არადა, სადილი სწორედ მაშინ სჭირდებოდა, უჭმელობით ღონეს კარგავდა, ძალა ელეოდა, ერთიანად ჩამოხმა. ეს იყო სწორედ პარადოქსი: როცა შიოდა — არავინ ეპატიჟებოდა სადილად; ახლა კი, როცა ასი ათასი სადილის დაკვეთა შეუძლია და მადასაც თანდათანობით კარგავს, ყოველი მხრიდან სადილს აჩრიან! რატომ? ეს ხომ უსამართლობაა, ეს ხომ არ დაუმსახურებია! მას შემდეგ სულ არ შეცვლილა მარტინი. რაც კი რამ დაწერა, სწორედ მაშინ, იმ შიმშილის დროს! მისტერ და მისის მორზმა ზარმაცი და უსაქმური შეარქვეს, რუთის პირით შეუთვალეს, კანტორაში კლერკად მოეწყვეო, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდნენ, რა საქმეს ეწეოდა მარტინი. ყველა ხელნაწერს, რასაც რუთს აძლევდა წასაკითხად, ისინიც კითხულობდნენ. სწორედ იმ ხელნაწერებმა გაუთქვეს სახელი, გაზეთები აალაპარაკეს, ხოლო რაკი სახელი გაუვარდა და გაზეთის ფურცლებზე მოხვდა, აგერ, ახლა, სადილზეც ეპატიჟებიან!

ერთი რამ აშკარა იყო: მორზებს სულაც არ ენაღვლებოდათ არც მარტინი და არც მისი შემოქმედება. ასე რომ, მისი კაი ბიჭობის გამო, ან მისი ნაწარმოებების სურვილით კი არ ეპატიჟებოდნენ, არამედ მისი დიდების გამო, და — რატომაც არა? — იმის გამო, რომ ახლა იგი ასი ათასი დოლარის პატრონი იყო. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაცი ამით ფასდება, და მარტინი რას წარმოადგენდა, რომ მისთვის გამონაკლისი გაეკეთებინათ, მაგრამ მარტინი ამაყი კაცი იყო. ასეთი დაფასება გულს ურევდა. მას სურდა პირადი ღირსებებით დაეფასებინათ, ან შემოქმედებით, რაც, ბოლოს და ბოლოს, მისი პირადი ღირსებების გამომხატველი იყო. სწორედ ასე აფასებდა მას ლიზი. მის შემოქმედებასაც კი თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევდა. მას აფასებდა, პირადად მას. ასე აფასებდა ჯიმიც და ყველა ძველი ამხანაგი. რამდენჯერ დაუმტკიცებიათ ეს წინათ, როცა მარტინი მათი განუყრელი იყო. ახლაც დაამტკიცეს, იმ კვირა დღეს, შელ-მოუნდ-პარკში. მისი შემოქმედება სულაც არ ენაღვლებოდათ. თვითონ ის უყვარდათ, მარტინ იდენი, თავიანთი ამფსონი და ამხანაგი, კაი ბიჭი, რომლის გულისთვისაც თავს დასდებდნენ.

ახლა რუთის ამბავიც ვნახოთ! მანაც პირადი ღირსებების გამო შეიყვარა მარტინი — ეს უეჭველია. მაგრამ როგორადაც არ უნდა ყვარებოდა, ბურჟუაზიული ცხოვრების წესი და შეხედულებანი უფრო ძვირფასი გამოდგა. მარტინის მწერლობა მას, უმთავრესად, იმიტომ არ მოსდიოდა ჭკუაში, რომ ამ მწერლობას მაშინ ფული არ შემოჰქონდა. აკი ამ თვალთახედვით შეაფასა «ატრფიალო ლირიკა». აკი ისიც არ აძლევდა მოსვენებას, სამსახური დაიწყეო. მართალია, უფრო რბილი გამოთქმით ეტყოდა ხოლმე, «რაიმე საქმეს მოეკიდეო», მაგრამ ეს ხომ იგივე იყო. მარტინმა ყველაფერი წაუკითხა ქალს, რაც კი დაწერა — ლექსები, მოთხრობები, სტატიები — «ვიკი-ვიკი», «მზის სირცხვილი»... ყველაფერი. რუთი კი ჯიუტად ჩასჩიჩინებდა, სამსახურში მოეწყვე, სამუშაო გაიჩინეო. ღმერთო დიდებულო! თითქოს არ მუშაობდა, უძილობით თვალებს არ იღამებდა, ჯანის სიმრთელეს არა ფლანგავდა, რათა მისი ღირსი გამხდარიყო!

ამრიგად, ეს პატარა საკითხი გადიდდა და გაიზარდა. სავსებით ჯანმრთელი და ნორმალური იყო, არც საჭმელს იკლებდა, არც ძილს, მაგრამ ის პატარა საკითხი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევდა. ეს ხომ მაშინვე ჰქონდა დაწერილი! ტვინს უხვრეტდა ეს ფრაზა. იჯდა ბერნარდ ჰიგინბოთამის პირდაპირ კვირა დღეს, სადილად, და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ეყვირა:

«ეს ყველაფერი ხომ მაშინვე მქონდა დაწერილი! ახლა სადილზე მეპატიჟებით, მაშინ კი მაშიმშილებდით, სახლიდან გამაგდეთ, შემაჩვენეთ, რატომ სამსახურში არ მოეწყობიო. ეს მოთხრობები და სტატიები კი უკვე დაწერილი მქონდა. ახლა თვალებში შემომციცინებთ, პირზე მომდგარ სიტყვასა წყვეტთ და ჩუმდებით, როცა შემატყობთ, მე ვაპირებ დალაპარაკებას, გაფაციცებით უგდებთ ყურს, თუ რის თქმას ვინებებ: პირში გეუბნებით, თქვენი პარტია დალპა, მექრთამეებით გაივსო-მეთქი, თქვენ კი, — ნაცვლად იმისა, რომ გაცოფდეთ, — ტკბილად კრუტუნებთ, მეთანხმებით კიდეც, ბევრი რამ მართალია მაგ შენს სიტყვებშიო. რატომ? იმიტომ რომ სახელი გამივარდა. დიდძალი ფულის პატრონი გავხდი. იმიტომ კი არა, რომ მარტინ იდენი ვარ, კარგი ბიჭი, ჭკუა არ მაკლია! უცებ რომ ავდგე და ვთქვა, მთვარე მწვანე ყველისაგან არის გაკეთებული-მეთქი, თქვენ კვერს დამიკრავთ, — ყოველ შემთხვევაში, არ შემედავებით, — იმიტომ რომ დოლარები მიჩხრიალებს, მთა მიდგას დოლარებისა. მაგრამ აკი ყველაფერი ეს მაშინვე მქონდა დაწერილი, როცა თქვენ ფეხის მტვრადაც არ მაგდებდით და სახეში მაფურთხებდით.

მაგრამ მარტინმა თავი შეიკავა და არ იყვირა. ტვინს უხვრეტდა ეს ფიქრი, არ შორდებოდა, აწვალებდა, მაგრამ მოთმინებით იღიმებოდა. როცა მარტინი დადუმდებოდა, ბერნარდ ჰიგინბოთამი მოუშვებდა სადავეებს და გაიტლიკებოდა. თავი მოჰქონდა — მე თვითონ, საკუთარი მეცადინეობით მივაღწიე ცხოვრებაში ყველაფერსო. მე თვითონ, ხელი არავის წამოუშველებია, არავის ვალში არა ვარო. ჩემს მოქალაქეობრივ ვალს ვასრულებ, ამოდენა ოჯახს ვინახავო. მართლაც, ჰიგინბოთამის დუქანი, მისი შრომისმოყვარეობისა და უნარის შესანიშნავი ძეგლი იყო! ზოგს საკუთარი ცოლი არ ეყვარება ისე, როგორც მე ეს დუქანი მიყვარსო. გული გადაუშალა მარტინს, უამბო, რა განუზომელი შრომა და ენერგია დასჭირდა დუქნის მოწყობასა და საქმის მოგვარებას. ახალი გეგმებიც ჰქონდა, კაი გაბედული გეგმები. მოსახლეობა მატულობს ამ უბანში, დუქანი კი პატარაა, ვეღარ აუდის. ცოტა უფრო დიდი შენობა რომ ჰქონდეს, ისეთ რამეებს მოაწყობს, რაც ფულსაც დაუზოგავს და ენერგიასაც. ახლავე შემეძლო ამის გაკეთებაო. ნეტა იმას ვეღირსებოდე, რომ მეზობელი ნაკვეთიც შემოვიერთოო, მაშინვე ორსართულიან სახლს მივადგამ ამ ჩემს დუქანსო. ზემო სართულს გააქირავებდა, ქვემო სართულებს კი გააერთიანებდა, დიდ დუქანს მოაწყობდა. ახალი აბრა რომ წარმოიდგინა, რომელიც ორივე შენობას გადასწვდებოდა, თვალები გაუბრწყინდა.

მარტინი აღარ უგდებდა ყურს. ტვინს კვლავ ის ფრაზა უხვრეტდა: «ეს ყველაფერი ხომ მაშინვე მქონდა დაწერილი!» ლამის გააგიჟა ამ ფრაზამ, სცადა როგორმე მოეშორებინა.

— რაო, რამდენი დამიჯდებაო? — ჩაეკითხა იგი უცებ.

სიძე უკვე ენად იყო გაკრეფილი, სავაჭროს გაფართოებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ერთბაშად შედგა. რამდენი დამიჯდებაო, ეს არც კი უხსენებია, მაგრამ იცოდა კი, ათასჯერ ჰქონდა გამოანგარიშებული.

— ახლანდელი ფასების მიხედვით, — თქვა მან, — ოთხი ათასი დაჯდება.

— აბრის ჩათვლით?

— აბრა არ მიმითვლია. შენობა იყოს და აბრას კი მოვუხერხებ რამე.

— მიწა?

— სამი ათასი მიწასაც დასჭირდება.

წინ გადაიწია, გამშრალ ტუჩებს ენით ილოკავდა, ნერვულად შლიდა და კეცავდა თითებს და თვალს არ აშორებდა მარტინს, რომელიც ჩეკის გამოწერას შეუდგა. როცა გაუწოდა ჩეკი, მაშინვე თანხას დახედა — შვიდი ათასი დოლარი იყო.

— ექვს... ექვს პროცენტზე მეტს ვერ შემოგთავაზებთ, — ხმა ჩაეხრინწა ჰიგინბოთამს.

მარტინს გაცინება მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა და ჰკითხა:

ეს რამდენი იქნება?

— აბა, ვნახო. ექვსი პროცენტი... ექვსჯერ შვიდი... ოთხას ოცი.

— თვეში ოცდათხუთმეტი დოლარი გამოდის, არა?

ჰიგინბოთამმა თავი დაუქნია.

— მაშინ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნება, ასე შევთანხმდეთ, — მარტინმა გერტრუდას გადახედა, — თავნი მთლიანად თქვენი იყოს, ოღონდ იმ პირობით, რომ მაგ ოცდათხუთმეტი დოლარით მზარეული და მრეცხავი დაიქირავო. ერთი სიტყვით, სულ თქვენი იქნება ის შვიდი ათასი დოლარი, გერტრუდას თუ აღარ გააკეთებინებთ მძიმე საოჯახო საქმე.ს თანახმა ხართ?

მისტერ ჰიგინბოთამმა ძლივს გადაყლაპა ნერწყვი. იმის მოთხოვნა, რომ ცოლს საოჯახო საქმე არ ეკეთებინა, მის წუწურაქულ სულს შეურაცხმყოფელად ეჩვენა. ასეთი გულუხვი საჩუქარი — მწარე პილულის კაპსულში გახვევა ყოფილა. ცოლმა არ იმუშაოს? გაშრა კაცი!

— კი, ბატონო, — უთხრა მარტინმა, — მე გადავიხდი მაგ ოცდათხუთმეტ დოლარს, ოღონდ...

ჩეკისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ბერნარდ ჰიგინბოთამმა დაასწრო და შესძახა:

— თანახმა ვარ! თანახმა ვარ!

ტრამვაიში რომ ადიოდა, საშინელი დაქანცულობა და მოთენთილობა იგრძნო. ქუჩაში გამოშვერილ აბრას გახედა.

— ღორი! — კბილებში გამოცრა მან, — ღორი! ღორი!

«მარჩიელი» რომ გამოქვეყნდა ჟურნალ «მაკინტოშში», ბერთიესა და უენის ნახატებით დამშვენებული, ჰერმან შმიდტს სულ დაავიწყდა, რომ ამ ლექსს ერთხელ სამარცხვინო უწოდა. საქვეყნოდ აცხადებდა, ჩემი ცოლის შთაგონებულია ეს ლექსიო, ცდილობდა ამ ხმას რეპორტიორის ყურამდე მიეღწია; თანახმა გახდა ინტერვიუც მიეცა რეპორტიორისათვის, რომელსაც ფოტოგრაფი და მხატვარი მოჰყვნენ. საკვირაო დამატებაში მთელი გვერდი დაუთმეს ამ ამბავს — გამოქვეყნდა მერიენის სურათი, ათასნაირი ინტიმური წვრილმანი მარტინ იდენისა და მისი ოჯახის ცხოვრებიდან, მსხვილი ასოებით დაბეჭდილი სრული ტექსტი «მარჩიელისა», რომელიც «მაკინტოშის» საგანგებო ნებართვით გადმობეჭდეს. ამან სულ ააფორიაქა მეზობლები, ქალები ამაყობდნენ — ამოდენა მწერლის და ჩვენი ნაცნობიაო, ვისაც ჯერ არ შეეძლო ნაცნობობით დაეკვეხნა, ახლა ეშურებოდა გაცნობას, ჰერმან ფონ შმიდტი სიხარულით ცმუკავდა თავის სახელოსნოში. ამ მოვლენის აღსანიშნავად გადაწყვიტა ახალი დაზგა დაედგა.

— ყოველგვარ რეკლამას აჯობებს, — უთხრა მან მერიენს, — არც არაფერი დაგვიჯდება.

— მოდი, სადილზე მოვიპატიჟოთ, — ურჩია ცოლმა.

მარტინი მართლაც ეწვია მათ სადილზე. ცდილობდა თავაზიანობა გამოეჩინა ჩასუქებულ ყასაბთან და მის კიდევ უფრო გასიებულ ცოლთან. ეტყობოდა, საჭირო

ხალხი იყო, გამოადგებოდა ჰერმან შმიდტისთანა ახალგაზრდა კაცს, რომელიც, ის იყო, კარიერას იწყებდა. არც გახდიდნენ მას თავიანთ სტუმრობის ღირსად, მაგრამ გაიგეს, სახელმოხვეჭილი ცოლისძმაც ეყოლება სადილადაო, მივიდნენ, ანკესზე წამოგებულ მოსატყუებელივით გამოდგა ეს ფაქტი. ამავე საქნიერმა მიიტყუა აგრეთვე წყნარი ოკეანის საველოსიპედო სააგენტოს მთავარი მმართველი. ამ კაცის სიამოვნება და მოთაფლვა სურდა განსაკუთრებით ფონ შმიდტს, რადგან მისი შემწეობით შეეძლო მიეღო ოუკლენდის საველოსიპედო საგენტოს უფროსობა. ასე რომ, ჰერმან ფონ შმიდტმა, საბოლოოდ, დიდ სიკეთედ მიიჩნია მარტინის მოყვრობა, თუმცა გულის სიღრმეში ვერანაირად ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა ყველაფერი ეს. ღამის სიჩუმეში, როცა ცოლს უკვე ეძინა, წამოდგებოდა და მარტინის მოთხრობებსა და ლექსებს უკირკიტებდა, და სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა ხალხის სისულელეში, თორემ ამ წიგნებს ისე ვინ იყიდდაო!

მარტინს მშვენივრად ესმოდა საქმის ვითარება, სკამს გადასწოლოდა, ფონ შმიდტის სიფათს მიშტერებოდა და ხელი ექავებოდა, გულში ფიქრობდა, რა მადლი იქნება ამ თავგასიებული ჰოლანდიელის მობეთქვაო! თუმცა ერთი რამე მაინც მოსწონდა მისი. ხომ ასეთი ღატაკი იყო, ხომ ასე გამწარებით ცდილობდა გამდიდრებასა და წინ წაწევას, მოსამსახურე მაინც დაექირავებინა, რათა მერიენი მძიმე სამუშაოსაგან თავისუფალი ყოფილიყო. მარტინი ელაპარაკა საველოსიპედო სააგენტოს უფროსს, ნასადილევს კი ჰერმანი განზე გაიხმო და დაფინანსება აღუთქვა, ოუკლენდში ყველაზე კარგ საველოსიპედო მაღაზიას თუ გახსნიო. ეგეც არ აკმარა, საავტომობილო სახელოსნოსა და გარაჟზე გეჭიროს თვალიო, უთხრა, რადგან ეჭვი არ იყო, იგი ორივე საქმეს მშვენივრად გაართმევდა თავს.

გამომშვიდობების დროს, თვალზე ცრემლმომდგარმა მერიენმა ხელები მოხვია მარტინს და უთხრა — გაგიჟებით მიყვარხარ და მუდამაც მიყვარდიო. მართალია, ბოლო სიტყვებზე ცოტათი წაბორძიკდა, ცრემლები მოეძალა, კოცნა დაუწყო, და მარტინი მიხვდა, რომ ამით იგი პატიებასა სთხოვდა ძველი ურწმუნოებისა და უნდობლობის გამო, როცა დაჟინებით ჩასჩიჩინებდა, სამსახურში მოეწყვეო.

— ხომ ხედავ, ფული ჯიბეში არ უჩერდება, — გაენდო ჰერმან ფონ შმიდტი ცოლს, — სარგებელი რომ ვუხსენე, ლამის გაცოფდა. არც შენი თავნი მინდა და არც შენი სარგებელიო, კიდევ თუ დაგცდენია, მაგ ჰოლანდიურ გოგრას სულ წაგაგლეჯო! სწორედ ასე მითხრა — ჰოლანდიურ გოგრასო! საქმის კაცი ვერ არის, მაგრამ ისე კარგი ბიჭია. ყოველ შემთხვევაში, მე კი ამაშენა!

სულ უფრო და უფრო ხშირად ეპატიჟებოდნენ სადილად მარტინს. გაკვირვებული იყო კაცი. ბოჰემიურ კლუბში მიიწვიეს ბანკეტზე, საპატიო სტუმრად. ირგვლივ სულ ცნობილი ხალხი ეხვია, რომელთა შესახებ ბევრიც წაეკითხა თავის სიცოცხლეში და ბევრიც გაეგონა. როგორც კი თქვენი «ზარის ძახილი» და «ფერია და მარგალიტი» წავიკითხეთ, მაშინვე მივხვდით, რომ დიდი მწერალი გამოჩნდაო, განუცხადა ამ ხალხმა. «ღმერთო ჩემო, მე კიდევ იმ დროს მშიერი და ჩამობრანძული დავდიოდი!» გაიფიქრა მარტინმა. «მაშინ რატომ არ დამპატიჟეთ სადილზე? სწორედ მაშინ მჭირდებოდა. ეს ყველაფერი ხომ მაშინვე მქონდა დაწერილი! ახლა თუ მაჭმევთ საჭმელს ჩემი ნაწერების გამო, მაშინ რატომ არ მაჭამეთ, როცა მშიერი ვიყავი? ერთი სიტყვაც კი არ შეცვლილა მას შემდეგ არც «ზარის ძახილში» და არც «ფერიასა და მარგალიტში». არა, ჩემი ნაწერების გამო არ მეპატიჟებით, საპატიო საქმედ იქცა ჩემი დაპატიჟება. პირუტყვები ხართ და იმიტომ მეპატიჟებით, ჯოგი ხართ, ბრბო ხართ, ბრმა, ჯოგურ ინსტინქტს აჰყოლიხართ, ეს ინსტინქტი გეუბნებათ, დაპატიჟეო, და თქვენც მეპატიჟებით. მარტინ იდენი და მისი შემოქმედება სულაც არ

გაინტერესებთ». გაიფიქრა მან და წამოდგა, რათა გონებამახვილურ და ჭკვიანურ სადღეგრძელოზე ასევე გონებამახვილური და ჭკვიანური პასუხი მიეცა.

ასე გადიოდა დრო. საცა არ მოხვდა — რომელ კლუბსა თუ ლიტერატურულ საღამოზე — ყველგან «ზარის ძახილსა» და «ფერიასა და მარგალიტს» უხსენებდნენ ხოლმე: როგორც კი დაიბეჭდა, მაშინვე მივხვდით, რა მწერალიც მოგვევლინაო. და მუდამ ერთი და იგივე მტანჯველი ფიქრი მოუვიდოდა მარტინს — «რატომ მაშინ არ დამპატიჟეთ? ეს ყველაფერი ხომ მაშინვე მქონდა დაწერილი! «ზარის ძახილსა» და «ფერიასა და მარგალიტში» იოტისოდენა არაფერი შემიცვლია. რა ოსტატურად დაწერილი და უნაკლო ქმნილებაც ახლაა, მაშინაც ის იყო. მაგრამ არა, თქვენ ამის გამო არ მეპატიჟებით, არც სხვა რომელიმე მოთხრობისა თუ ლექსის გამო. იმიტომ მეპატიჟებით, რომ მოდად იქცა ეს, იმიტომ რომ მთელი ბრბო ჭკუას ჰკარგავს ახლა, როგორმე ჩქარა დაპატიჟოს მარტინ იდენი».

და ხშირად ასეთ წუთებში, თვალწინ წარმოუდგებოდა ორბორტიან ქურთუკში ჩაცმული, სტეტსონის ქუდწამოკოსებული თავზეხელაღებული ბიჭი. ასე მოუვიდა ერთხელ ოუკლენდში, როცა ქალთა კლუბში იყო მიწვეული ლიტერატურულ საღამოზე. როცა ადგილიდან წამოდგა და ესტრადისკენ დაიძრა დიდ დარბაზში, უკან, შემოსასვლელთან, ეს თავზეხელაღებული ბიჭი დაინახა! ორბორტიანი ქურთუკი ეცვა და მაგარფარფლიანი ქუდი ეხურა... ხუთასმა დიდებულად გამოწყობილმა მანდილოსანმა უკან მიღრიცა თავი, დაინტერესდნენ, ასე რას გაუშტერა თვალიო. მაგრამ ვერაფერი დაინახეს, გასასვლელი ცარიელი იყო. მარტინი კი დაჟინებით შეჰყურებდა და ფიქრობდა, აბა ქუდს თუ მოიხდისო; უქუდოდ ერთხელაც არ მოსჩვენებია ეს ყმაწვილი. ჯიქურ წამოვიდა ბიჭი, დარბაზი გამოიარა და ესტრადაზე ამოვიდა. მარტინს ლამის ცრემლები წასკდა, შეჰყურებდა თავისივე ბავშვობის მოჩვენებას და სევდა იპყრობდა, როცა ითვალისწინებდა მთელ იმ გზას, რაც ამ ყმაწვილს უნდა გაევლო. მოჩვენებამ ესტრადა გადმოსჭრა, მარტინთან მივიდა გაჰქრა. ხუთასმა მანდილოსანმა ნაზად შემართა ხელთათმნიანი ხელები და ტაში შემოჰკრა, დიდი და საპატიო სტუმარი გაამხნევეს, რომელმაც უცებ დაიმორცხვა და ენა დაება. მარტინმა მოჩვენება თავიდან მოიშორა, გაიღიმა და ლაპარაკი დაიწყო.

სკოლის დირექტორმა — კეთილმა მოხუცმა კაცმა — ერთხელ ქუჩაში გააჩერა მარტინი და გაახსენა, რა ალიაქოთი და ვაიუშველებელი ატყდა კანცელარიაში, როცა მარტინი ჩხუბისათვის სკოლიდან დაითხოვეს.

— წავიკითხე თქვენი «ზარის ძახილი» რომელიღაც ჟურნალში, — უთხრა მან, — კარგა ხანია მას შემდეგ, — ედგარ პოს არ ჩამოუვარდება. ბრწყინვალეა. მაშინვე ვთქვი, ბრწყინვალეა-მეთქი!

«მართლა? ორჯერ შემომხვდი იმხანად ქუჩაში და ზედაც არ შემოგიხედავს, თითქოს ვერც მიცანი», — თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა მარტინმა, — ერთხელაც და მეორედაც შიმშილით კუჭი მიხმებოდა, მევახშესთან მივდიოდი ნივთების დასაგირავებლად. ხომ დაწერილი მქონდა მაშინ ყველაფერი. შენ კი ვერც მიცანი. ახლა როგორღა მიცანი?»

— ცოლს ვეუბნებოდი სწორედ იმ დღეს, — განაგრძობდა დირექტორი, — კარგი იქნება სადილად მოვიპატიჟოთ-მეთქი. ცოლიც დამეთანხმა მაშინვე, უყოყმანოდ.

— სადილად? — თითქმის შეჰკივლა მარტინმა.

— დიახ, სადილად... რა თქმა უნდა... შენს ძველ დირექტორთანაც გატეხე პური, აი, შე ოინბაზო! — მიუგო დაბნეულმა დირექტორმა და მუჯლუგუნი წაჰკრა, ძმაბიჭურ ხუმრობაში გაუტარა.

გაოგნებულმა მარტინმა გზა განაგრძო. კუთხეში შეჩერდა და მოხუცს გახედა.

— დალახვროს ეშმაკმა! — წაიბუტბუტა თავისთვის, — მგონი, დავაფეთე ბერიკაცი!

თავი ორმოცდამეხუთე

ერთ დღეს კრეისი ესტუმრა მარტინს და მარტინიც გულმხიარულად შეეგება. რაღაც უცნაური პროექტი გააცნო, რასაც მარტინი უნდა დაეინტერესებინა, როგორც მწერალი და არა როგორც დამფინანსებელი. ჯერ ისევ პროექტს აცნობდა, რომ ერთბაშად შედგა და უთხრა — უმეტესი ნაწილი იმ შენი «ზეზის სირცხვილისა» ნამდვილი სიგიჟეაო.

— მაგრამ ფილოსოფიური პაექრობის გასამართავად არ მოვსულვარ, — განაგრძო კრეისმა, — მე მაინტერესებს გავიგო, ჩვენს ახალ საქმეში დააბანდებენ თუ არა ათას დოლარს?

— არა, — მიუგო მარტინმა, — ჯერ მასე არ გავგიჟებულვარ. მაგრამ იცით, რას ვიზამ. თქვენთან გატარებული საღამო ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი იყო ჩემს ცხოვრებაში. ისეთი რამე მომეცით მაშინ თქვენ, რასაც ფულით ვერ იყიდი. მე ახლა ფულიანი კაცი გავხდი და ეს ფული არაფრად მიმაჩნია. დიდი სიამოვნებით მოგცემდით ათას დოლარს ისე, უბრალოდ, იმ ღამის აღსანიშნავად. თქვენ ფული გჭირდებათ. მე საჭიროზე მეტი მაქვს. წაიღეთ, თქვენი იყოს. ოღონდ არავითარი პროექტები საჭირო არ არის.

კრეისს სულაც არ შეტყობია გაკვირვება. ჩეკი გამოართვა და ჯიბეში იკრა.

— ასე თუა, მაგისთანა ღამეებს ბევრს მოგიწყობთ, — უთხრა მან.

— გვიანღაა, — თავი გააქნია მარტინმა, — ის ჩემთვის ერთადერთი ღამე იყო. თითქოს სამოთხეში მოვხვდი. ვიცი, რომ თქვენთვის ეს ჩვეულებრივია. ჩემთვის — არა. ამისი განმეორება აღარ შეიძლება. ფილოსოფია უკვე აღარ მაინტერესებს, გაგონებაც აღარ მინდა.

— პირველად გავაკეთე ფული ჩემი ფილოსოფიით, — თქვა კრეისმა და კართან შეჩერდა, — მაგრამ აქციები ხელადვე დაეცა.

ერთხელ მისის მორზმა ჩაიარა კარეტით ქუჩაში და ღიმილით დაუკრა მარტინს თავი. მარტინმაც გაუღიმა და ქუდი მოუხადა. თითქოს არაფერიო — გულგრილად გაიარა მარტინმა. ერთი თვის წინათ ან გულს აურევდა ეს შეხვედრა მარტინს, ან გაართობდა, ახლა კი არაფერი — არავითარი გრძნობა არ აღუძრავს მისთვის. მაშინვე დაავიწყდა, ისევე როგორც დაავიწყდებოდა, მაგალითად, ცენტრალური ბანკის, ან რატუშის წინ ჩავლა. მაგრამ მისი გონება ზედმეტი დაძაბულობით მუშაობდა. ერთი და იგივე აკვიატებული ფიქრი უტრიალებდა თავში — «ყველაფერი დამთავრებულია!» გაიღვიძებდა — ეს ფიქრი უტრიალებდა. ყველაფერი, რასაც კი ირგვლივ ხედავდა, აღიქვამდა, ამ ფიქრს უკავშირდებოდა ხოლმე — «ყველაფერი დამთავრებულია!» ასე, თანდათანობით, იგი ულმობელ ლოგიკამდე მივიდა — რომ არაფერი იყო, არარაობას წარმოადგენდა. თავზეხელაღებული ბიჭი მარტ იდენი, მეზღვაური მარტ იდენი მართლაც იყო, მართლაც არსებობდა; მაგრამ სახელგანთქმული მწერალი მარტინ იდენი არასოდეს არ არსებულა; მარტინ იდენი, სახელგანთქმული მწერალი, ბრბომ მოიგონა, მის ტვინში აორთქლდა და ჩაისახა და მერე თავზეხელაღებული ბიჭისა და მეზღვაურის სხეულში ჩაასახლა. მაგრამ თვითონ ხომ იცოდა საქმის არსი, ვინ გაასულელებდა და დააჯერებდა ამის სიმართლეში. არა, იგი არ ყოფილა ლეგენდა, კერპი, რომლის წინაშეც ბრბო ქედს

იხრიდა და მსხვერპლად სადილები მიჰქონდა. ეს ყველაფერი კარგად იცოდა მარტინმა.

გადაშლიდა ჟურნალებს და სტატიებს კითხულობდა, მასზე დაწერილს, საკუთარ ფოტო-სურათებს ათვალიერებდა, იმდენი იყო ეს ფოტოები, იმდენს ათვალიერებდა, რომ ბოლოს საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა. ყმაწვილი კაცი იყო იგი — ცხოვრობდა, უყვარდა, თრთოდა, ცხოვრების უკუღმართობას მოთმინებით იტანდა, ხალხს ადვილად ეგუებოდა; ბევრს დაეხეტებოდა. უცხო ქვეყნები მოიარა, თავის ძმაბიჭებთან ერთად რამდენი უჩხუბია; ბიბლიოთეკაში ათასობით წიგნს რომ ჰკიდა თვალი, გაოგნდა, ენა დაება, მაგრამ მერე თვითონვე წაიკითხა ეს წიგნები, თავისით გაიკვლია გზა; ღამეებს ათენებდა, ნავთს დაუზოგავად სწვავდა, ლოგინში დეზებს იგდებდა და წიგნებს წერდა... აი, ეს იყო მარტინ იდენი, და არა ის ამოუყორავი ვაჟბატონი, რომლის გასაძღომადაც ბრბო თავს იკლავდა.

ზოგჯერ ისეთი მასალაც გამოერეოდა ჟურნალში, რაც მარტინს ართობდა ხოლმე. ერთმანეთს ეცილებოდნენ — ყველა თავის დამსახურებად მიიჩნევდა მარტინ იდენის აღმოჩენას. «უორენის ყოველთვიური» თავის ხელმომწერლებს არწმუნებდა — ჩვენი ჟურნალი ერთთავად ახალი ტალანტების ძიებაშია და მარტინ იდენი პირველად სწორედ ჩვენ გავაცანით მკითხველსაო. «თეთრ თაგვს» თავისი პრეტენზია ჰქონდა, ასევე ებღაუჭებოდნენ მარტინს «ჩრდილოეთის მიმომხილველი» და «ბაკინტოში»; ბოლოს ეგენი გააჩუმა «გლობუსმა», რომელმაც დიდის ამბით მოაგონა მკითხველებს დაჩეხილ-დამახინჯებული «ზღვის სიმღერა». «სიჭაბუკემ და სიბერემ», რომელმაც კვლავ იწყო გამოსვლა, რაკი კრედიტორებს დაუსხლტა, თავისი პრიორიტეტი მოითხოვა ამ საქმეში, თუმცა ამ ჟურნალს ფერმერის ბავშვებს გარდა კაციშვილი არ კითხულობდა. «ტრანსკონტინენტურმა» სარწმუნო და დასაბუთებული ფაქტები მოიშველია, მარტინ იდენი ჩვენი აღმოჩენილიაო, ამას «კრაზანა» ჩაუდგა კრიჭაში — «ფერია და მარგალიტი» ხომ ჩვენ გამოვაქვეყნეთო. «სინგლტსისა და დარნლეის» მოკრძალებული პრეტენზია საერთო აურზაურში შთაინთქა: ამ გამომცემლობას საკუთარი ჟურნალი არ ჰქონია, რომ უფრო გაბედულად დაეცვა თავისი უფლებები.

გაზეთები გამწარებით უთვლიდნენ ჰონორარს. როგორღაც, ზოგიერთი ჟურნალის შეთავაზებული გულუხვი ჰონორარის ამბავი გახმაურდა და ქვეყანას მოედო. ოუკლენდელი მღვდლები მეგობრული შეგონებით მოუწოდებდნენ, მოწყალება გაიღეო: შემწეობის თხოვნის წერილებმა აიკლეს, მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ქალები იყვნენ. მარტინის ფოტო-სურათები ქვეყანას მოედო, რეპორტიორები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის გამოკვეთილ, ბრინჯაოსფერ სახეს, ნაიარებს, ფართო მხარ-ბეჭს, ნათელ, მშვიდ თვალებს, ოდნავ ჩავარდნილ, ასკეტისებურ ღაწვებს. ამ ბოლო შენიშვნაზე მარტინს თავისი ფეთიანი ახალგაზრდობა გაახსენდა და ჩაეცინა. ქალების საზოგადოებაში რომ მოხვდებოდა, ხშირად შეუნიშნავს მათი წყლიანი აღტაცებული გამოხედვა. მარტინს ეცინებოდა. ბრისენდენის გაფრთხილება გაახსენდებოდა და კიდევ ჩაიცინებდა. ქალები ვეღარაფერს დააკლებდნენ, ეს განვლილი საფეხურია.

ერთხელ ლიზის მიაცილებდა საღამოს სკოლაში. ლიზიმ შენიშნა, როგორ დააკვირდა მარტინს ვიღაც კარგად ჩაცმული, მოხდენილი ქალი. დიდხანს არ მოუშორებია თვალი. გამომწვევად მიშტერებოდა. ლიზი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს და სიბრაზისაგან ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. მარტინს არ გამოჰპარვია ეს, არც ამის გამომწვევი მიზეზი გამოჰპარვია, და დაამშვიდა ლიზი — ამას უკვე შევეჩვიეო, უთხრა, სულაც არ მოქმედებს ჩემზეო.

— მერე რატომ ყურადღებას არ მიაქცევ? — უთხრა ლიზიმ და თვალები წამოენთო, — ავად ყოფილხარ და ეგ არის.

— ასე ჯანიანად ჩემს დღეში არა ვყოფილვარ. წონაშიაც კი ხუთი გირვანქა მოვიმატე.

— განა სხეულის ავადმყოფობა — მე სულზე გეუბნები. თავში გემართება რაღაც. მე რა ვარ და მეც კი შევნიშნე ეს.

მარტინი ჩაფიქრებული მიჰყვებოდა გვერდზე.

— ნეტა ჩქარა გაგივლიდეს, — მხურვალედ შესძახა ქალმა, — როგორ შეიძლება, რომ ქალის ასეთი შემოხედვა შენისთანა კაცმა არაფრად ჩააგდოს! ეს ხომ არაბუნებრივია. პატარა ბიჭებსაც კი ააფორიაქებს ასეთი შემოხედვა. შენ რა გჭირს სამაგისო. ნეტა, მართლა გამოჩნდებოდეს ისეთი ქალი, რომ ერთი მაგრად აგაფორიაქოს.

მიაცილა ლიზი საღამოს სკოლაში და «მეტროპოლში» დაბრუნდა.

ნომერში რომ შევიდა, სავარძელში ჩაეშვა და თვალი სივრცეს გაუშტერა. არც ეძინა, არც არაფერზე ფიქრობდა. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ არაფერს ხედავდა. მხოლოდ შიგადაშიც წარსულის სურათები წარმოუდგებოდა; შეჰყურებდა ამ სურათებს, მაგრამ უაზროდ, თითქოს სიზმარში ყოფილიყოს. ერთბაშად გამოფხიზლდა და საათს დახედა. ჯერ რვა საათი იყო. საქმე არაფერი ჰქონია, დაწოლაც მეტისმეტად ადრე იყო. ისევ გაუშტერდა თვალები, ისევ წარმოისახებოდნენ და ქრებოდნენ სურათები. სულ ერთი და იგივე სურათები — მცხუნვარე მზით განათებული ფოთლები და ბუჩქები.

კარზე კაკუნმა გამოაფხიზლა. არ ეძინა და ეს კაკუნი ასოციაციებით ხელად დაუკავშირდა დეპეშას, წერილს, მსახურს, რომელსაც სამრეცხაოდან საცვლები მოჰქონდა. ჯო გაახსენდა, ნეტა სად იქნებაო, გაიფიქრა, და მექანიკურად გასძახა:

— შემოდით!

ისევ ჯოხზე ფიქრობდა, კარისკენ არც კი მიბრუნებულა. გაიგონა, როგორ ფრთხილად მიხურეს კარი. სიჩუმე ჩამოწვა, გადაავიწყდა კიდეც დაკაკუნება და კვლავ სივრცეს გაუშტერა თვალი. უცებ ქალის ქვითინი ჩაესმა. ნერვიული ქვითინი იყო, უცებ წამსკდარი, შეკავებული, მოგუდული. ეს მაშინვე შენიშნა მარტინმა, როგორც კი თავი მიაბრუნა და ზეზე წამოხტა.

— რუთ! — შესძახა გაკვირვებულმა და დაბნეულმა.

გაწამებული და გაფითრებული სახე ჰქონდა ქალს. ზღურბლს აღარ გამოსცილებოდა, ცალი ხელი კარისთვის ჩაევლო, მეორე კი ფერდზე მიედო. უცებ მუდარით გაიშვირა ორივე ხელი და მარტინისკენ დაიძრა. მარტინმა ხელი შეაშველა და სავარძელში ჩასვა. ქალს თითები გაყინული ჰქონდა. მარტინმა მეორე სავარძელი მოაჩოჩა და სახელურზე ჩამოჯდა. ისე დაიბნა, რომ სიტყვაც ვეღარ დასძრა. მის გულში რუთის სიყვარული უკვე გამქრალი და წერტილდასმული იყო. სასტუმრო «მეტროპოლის» ნაცვლად უცებ «ხელი წყაროს» სამრეცხაოში რომ შეეგდოთ და მთელი კვირის ჭუჭყიანი სარეცხი დახვავებული დაეხვედრებინათ, რა გუნებაზედაც მაშინ დადგებოდა, ახლაც ისეთივე განცდა დაეუფლა. რამდენჯერმე დააპირა დალაპარაკება, მაგრამ ვერ მოახერხა.

— მე რომ აქა ვარ, ეს არავინ იცის, — ლამის ხმა ჩაუწყდა ქალს და საწყლად გაიღიმა.

— რა სთქვი? — ჰკითხა მარტინმა.

თავისივე ხმამ გააკვირვა.

ქალმა გაიმეორა.

— ო! — წამოიძახა მარტინმა და დაფიქრდა, კიდევ რა შეიძლება ვთქვაო.

— დაგინახე, როცა შემოხვედი და ცოტა ხანს დავიცადე.

— ო! — კვლავ გაიმეორა მარტინმა.

ასე ენადაბმული თავის დღეში არ ყოფილა. აზრი დაჰფანტვოდა. შტერივით იჯდა, გრძნობდა მთელს უხერხულობას, მაგრამ სიკვდილით რომ დამუქრებოდი, სათქმელს მაინც ვერაფერს მოიფიქრებდა. ისევ «ცხელი წყაროს» სამრეცხაო აჯობებდა — მკლავებს დაიკაპიწებდა და საქმეს შეუდგებოდა.

— და მერე შემოხვედი, ხომ! — ამისი თქმაღა მოახერხა ბოლოს.

რუთმა ერთგვარი სიკეკლუცით დაუქნია თავი და კაშნე მოიხსნა.

— ჯერ იქით მიმავალი დაგინახე, იმ გოგონას რომ მიჰყვებოდი.

— ჰო. საღამოს სკოლაში მივაცილე, — უბრალოდ თქვა მარტინმა.

— ჩემი ნახვა არ გაგიხარდა? — ჰკითხა ქალმა ახალი პაუზის შემდეგ...

— კი, როგორ არა! — სწრაფად მიუგო მარტინმა, — მაგრამ ვითომ არ დააშავე, აქ რომ მოხვედი?

— ჩუმად შემოვიპარე. არავინ იცის, აქ რომ ვარ. შენი ნახვა მწყუროდა. რა სულელი ვიყავი. აღარ შემეძლო უშენობა... გული სულ შენკენ მომიწევდა...

წამოდგა და მარტინს მიუახლოვდა. ხელი მხარზე ჩამოადო, სუნთქვა გაუხშირდა და უცებ მკერდში ჩაუცურდა. მარტინი ხომ კეთილი და გულისხმიერი იყო, არ უნდოდა გული ეტკინა ქალისათვის, ასეთ წუთებში ხელის კვრა კი ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელი იქნებოდა, გულს ჩასწყვეტდა, ამიტომ ხელი გაშალა და მოხვია, მაგრად მიიკრა. მაგრამ არც სითბო იგრძნობოდა ამ მოხვევნაში და არც ალერსი. ქალი მიეხუტა მკერდზე, მერე ხელები მაღლა აიცა და კისერზე შემოაჭდო. მაგრამ რუთის ხელები შეხებისაგან მარტინს ამჯერად ცეცხლი აღარ უგრძვნია, უხერხულად იჯდა და რა ექნა, არ იცოდა.

— ასე რად კანკალებ? — ჰკითხა მან, — გცივა? გინდა, ბუხარს დავანთებ!

გაიწია, თავის განთავისუფლება და წამოდგომა სცადა, მაგრამ ქალი კიდევ უფრო მაგრად მოეჭდო, მთელი ტანით ცახცახებდა.

— ნერვული კანკალია, — კბილის კაწკაწით უთხრა რუთმა, — ახლავე გამივლის. აჰა! უკეთა ვარ.

თანდათანობით გაუარა კანკალმა. მარტინს გულში ჰყავდა ჩახუტებული, მაგრამ უკვე აღარ უკვირდა. მიხვდა, რისთვისაც მოვიდა ქალი.

— დედაჩემს უნდოდა ჩარლი ჰეპგუდისთვის მივეთხოვებინე, — უთხრა მან.

— ჩარლი ჰეპგუდი! ეს ის ვაჟბატონია, განუწყვტლივ სისაძაგლეს რომ როშავს ხოლმე?! — მარტინმა ამოიხვნეშა. მერე დასძინა: — ახლა კი, დარწმუნებული ვარ, დედაშენის სურვილია, მე გამომყვე ცოლად!

ეს დარწმუნებით თქვა, კი არ შეჰკითხვია. და თვალწინ წიგნებში მიღებული ჰონორარის ციფრები აუთამაშდა.

— ახლა წინააღმდეგი აღარ იქნება. ამაში დარწმუნებული ვარ, — უთხრა რუთმა.

— ახლა უკვე შენს შესაფერადა მთვლის, არა?

რუთმა თავი დაუქნია.

— ჰო, მაგრამ ერთი ბეწოთიც არ შევცვლილვარ მას შემდეგ, რაც ჩვენი ნიშნობა ჩაშალა, — ჩაფიქრებით თქვა მარტინმა, — რაც ვიყავი, ისევ ისა ვარ. იგივე მარტინ იდენი... თუმცა არა, ცოტა უფრო უარესი — ახლა ისევ პაპიროსს ვეწევი. თუთუნის სუნს ვერა გრძნობ?

პასუხად რუთმა ტუჩებზე თითი მიადო, კეკლუცად და გამომწვევად, კოცნას ელოდა ძველებურადვე. მაგრამ მარტინის ტუჩები არც განძრეულა საალერსოდ. დაუცადა, მანამ თითს მოაშორებდნენ და მერეღა განაგრძო:

— სულ არ შევცვლილვარ. სამსახურში არ დავდივარ. არც ვეძებ სამსახურს. ის კი არადა, არც მომავალში ვაპირებ. ახლაც ძველებურადვე მწამს, რომ ჰერბერტ სპენსერი უდიდესი და უკეთილშობილესი ადამიანია, ხოლო მოსამართლე ბლაუნტი — გაუზრდელი ვირი. ამას წინათ ვიყავი მასთან სადილად და დავრწმუნდი, რაცა ბრძანდება.

— მამაჩემს კი უარი უთხარი, სადილად რომ დაგპატიჟა — საყვედურით უთხრა რუთმა.

— აჰ, შენ იცი ეს! ვინ მომიგზავნა? დედაშენმა?

რუთს არაფერი უპასუხნია.

— მაშ, დედაშენს მოუგზავნია. განა არა! ახლა კი აიღო და შენ გამოგგზავნა!

— კაციშვილმა არ იცის, მე რომ აქა ვარ, — შეესიტყვა რუთი, — შენ როგორ გგონია — დედაჩემი ამის ნებას მომცემდა?!

— ჩემი ცოლობის ნება ხომ მოგცა, ეს ხომ ცხადია!

ქალმა გამწარებით შეჰკივლა.

— ო, მარტინ, ნუ იქნები ასეთი გულქვა. ერთხელაც არ მაკოცე. ქვასავით უგრძნობელი გამხდარხარ. ვერა ხედავ, რა რისკი გავწიე, რა გავბედე?! — შიშის კანკალით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ამ გამოხედვაში ცნობისმოყვარეობაც იყო არეული, — დაფიქრდი მაინც, სად მოვედი!

«თავს გავწირავ შენთვის. თავს გავწირავ!» ლიზის სიტყვები ჩაესმოდა მარტინს ყურში.

— მაშინ რატომ ვერ გაბედე ეს? — მკვახედ ჰკითხა მარტინმა, — როცა არაფრის მქონებელი ვიყავი? როცა ვშიმშილობდი? მაშინაც ხომ ასეთივე ვიყავი, იგივე მარტინ იდენი, როგორც კაცი, როგორც მწერალი?.. ამ ბოლო დროს ხშირად ვკითხავ ხოლმე ამას ჩემს თავს, და არა მარტო შენთან დამოკიდებულების გამო, არა, საერთოდ ყველას მისამართით. ხომ ხედავ, რომ მას შემდეგ სულაც არ შევცვლილვარ. თუმცა ისე ერთბაშად მომემატა ფასი, რომ მეც კი დაეჭვებული ვარ ახლა ამაში. იგივე კაცი ვარ. იგივე ძვალრბილი, იგივე ათი თითი ხელებზედაც და ფეხებზედაც. არც ძალა მომმატებია, არც ნიჭი, ტვინიც იგივე მაქვს, რაცა მქონდა. ლიტერატურასა და ფილოსოფიაზედაც კი არ შემცვლია შეხედულება — იგივე დამრჩა. ახლაც იგივე ფასი და წონა მაქვს, რაც მაშინ მქონდა, როცა არავის ვუნდოდი. ისღა მიკვირს, ახლა რატომ ვუნდივარ ხალხს! ჩემი პირადი ღირსების მიზეზი არ უნდა იყოს ეს, რადგან მაშინაც იგივე ღირსება მქონდა, როცა არავის ვუნდოდი. ეტყობა, სხვა რაღაცათი დაინტერესდნენ, ისეთი რამეთი, რაც ჩემში კი არ არის, ჩემს გარეთაა, მე არ მეკუთვნის. გითხრა, რა არის ის რაღაცა? საერთო აღიარება! მაგრამ ეს აღიარება ხომ ჩემს გარეთ არის, მე არ მეკუთვნის, სხვების თავშია! ფულის გამოც დაინტერესდნენ, მე ხომ დიდძალი ფულის პატრონი გავხდი და კიდევ ბევრი შემოდის. მაგრამ ფულიც ხომ ცალკეა, ჩემს გარეთ — ბანკში დევს, ვიღაც ტომის, დიკისა და ჰარის ჯიბეში ჩხრიალებს. შენც ამ აღიარებისა და ფულის გამო მობრუნდი.

— გულს რად მიხეთქავ! — ტირილი წასკდა ქალს, — შენ თვითონვე ხომ იცი, რომ მიყვარხარ, რომ ამ სიყვარულმა მომიყვანა!

— ეტყობა, ვერ გაგაგებინე ჩემი სათქმელი, — რბილად უთხრა მარტინმა, — მე აი რას გეკითხები: თუკი მართლა გიყვარვარ, რა მოხდა ასეთი, ახლა რამ შეგაყვარა ასე

გაგიჟებით ჩემი თავი, მაშინ კი ისეთი სუსტი სიყვარული გქონია გულში, ხელად გამწირე და ზურგი შემაქციე?!

— დაივიწყე და მაპატიე! — მხურვალედ შესძახა ქალმა, — მუდამ მიყვარდი! რატომ გავიწყდება! ახლაც, აგერ, შენს მკლავებში ვარ მოქცეული.

— ვშიშობ, რომ ჭირვეულ ვაჭარს დავემსგავსე — ყველაფერში ეჭვი მეპარება, სულ სასწორს ვუყურებ. ახლაც ვცდილობ, შენი სიყვარული ავწონო და ვნახო ერთი, რას წარმოადგენს.

რუთმა ერთბაშად გაითავისუფლა თავი, გასწორდა და მარტინს გაუშტერა თვალი. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, აღარაფერი უთქვამს.

— იცი, რა ფიქრები მომდის ხოლმე, — განაგრძო მარტინმა, — როცა ასეთივე ვიყავი, რაც ახლა ვარ, არავის — ჩვენივე წრის ადამიანებს გარდა — ჩემი არსებობა არ აინტერესებდა. დავწერე წიგნები და ვინც წაიკითხა, არც ერთი არ დაინტერესებულა. პირიქით, ამითვალწუნეს, ზურგი შემაქციეს, თითქოს დანაშაული ჩამედინოს, სამარცხვინო საქმე გამეკეთებინოს. «მუშაობა დაიწყე», ჩამჩიჩინებდა ყველა.

რუთი შეიშმუშნა.

— ასეა, ნამდვილად ასეა, — განაგრძო მარტინმა, — ყველა ამას ჩამჩიჩინებდა, ოღონდ შენ «მუშაობას» კი არ ახსენებდი, «საქმეს მოეკიდეო», მეუბნებოდი. სიტყვა «მუშაობა» გეხამუშებოდა, ისევე როგორც გეხამუშებოდა ყველაფერი ჩემი დაწერილი. ტლანქად ჟღერს, არა? მაგრამ დამერწმუნე, არანაკლები სიტლანქე იყო, როცა ყველანი, ვისთანაც კი რაიმე ურთიერთობა მქონია, სამუშაოზე მოწყობას მიჩიჩინებდა, თითქოს ბოროტმოქმედი ვყოფილიყავ და სწორ გზაზე მაყენებდნენ. ჰო, რას ვამბობდი. დაიბეჭდა ჩემი წიგნები, სახელი გამივარდა და შენი სიყვარულიც ხელად შეიცვალა. ცოტა ხნის წინათ უარი უთხარი ცოლობაზე მარტინ იდენს, რომელსაც ყველა ეს წიგნი მაშინ უკვე დაწერილი ჰქონდა. ისე ძლიერი არ ყოფილა მაშინ შენი სიყვარული, რომ გაგებედა და ცოლად გაჰყოლოდი. ახლა გაზრდილა ეს სიყვარული, ძალა შემატებია. როგორ არ ვიფიქრო, რომ სწორედ ჩემმა სახელის მოხვეჭამ შემატა ძალა მაგ შენს სიყვარულს. ფულმა შემატა-მეთქი, ამას არ გკადრებ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, შენს მშობლებს სწორედ ამან მოუბრუნა გული. რაღა თქმა უნდა, ჩემთვის ეს ვერაფერი სანუგეშოა. მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ თვით სიყვარულში დავეჭვდი, წმიდათა წმიდა სიყვარულში. ნუთუ სიყვარულსაც სახელის მოხვეჭა და ხალხის აღიარება უნდა ასაზრდოებდეს! ნუთუ ასეთი მდაბალია ეს გრძნობა. იმდენს ვფიქრობ ამაზე, რომ თავი მტკივა ხოლმე.

— ჩემი საბრალო თავი! — რუთი ხელით მისწვდა და თითები თმაში შეუცურა, — ნუღარ აიტკივებ. ხელახლა დავიწყოთ ყველაფერი. შენ მე მუდამ მიყვარდი. ვიცი, სისუსტე გამოვიჩინე, დედას დავემორჩილე. არ უნდა დავმორჩილებოდი. მაგრამ შენგანვე რამდენჯერ გამიგონია, ადამიანურ სისუსტეს სულგრძელად უნდა მოეკიდოო. ჩემთანაც გამოიჩინე ეს სულგრძელობა. შევცდი. მაპატიე!

— ო, მიპატიებია, — მოუთმენლად შესძახა მარტინმა, — პატიებას რა ბევრი რამე უნდა, როცა ფაქტიურად საპატიებელიც არაფერია. შენი საქციელი პატიებას არ საჭიროებს. ყველა თავისი შეხედულების მიხედვით იქცევა, და რისი ძალაც არ შესწევს ადამიანს, ის არც უნდა მოსთხოვო. მაშ, მეც უნდა გთხოვო პატიება, რომ სამსახურში არ მოვეწყვე.

— მე ხომ შენი კარგი მინდოდა. როგორ შეიძლება, მყვარებოდი და შენი კარგი არა მდომოდა.

— ვიცი. მაგრამ მაგ შენი კეთილი სურვილებით კინაღამ გამანადგურე. ასეა! ნამდვილად! — ქალმა შეწყვეტინება სცადა, მაგრამ მარტინმა არ დაანება, — კინაღამ

ჩემი შემოქმედება არ გაანადგურე, ჩემი მომავალი. მე ბუნებით რეალისტი ვარ, ბურჟუაზიული საზოგადოება კი ვერ იტანს რეალიზმს. ლაჩარია. ცხოვრებისა ეშინია. მუდამ იმას ცდილობდი, მეც დაგეშინებინე ცხოვრებით. საკუთარ გემოზე გინდოდათ ჩემი ჩამოყალიბება, გალიაში გამომწყვდევა მომინდომეთ, ყალბი, ფუყე, ვულგარული შეხედულებები გინდოდათ მოგეხვიათ, — იგრძნო, რომ ქალი უსიამოვნოდ შეიშმუშნა, — ვულგარიზმი, — დე, გულწრფელი იყოს თუნდაც — ბურჟუაზიული კულტურისა და დახვეწილი ცივილიზაციის საფუძველია. უკვე გითხარი კიდეც, თქვენ თქვენს გემოზე გინდოდათ ჩემი ჩამოყალიბება, თქვენივე კლასის წევრად უნდა გაგეხადეთ, თქვენი კლასის იდეალები, შეხედულებანი და მორალი მოგეხვიათ ჩემთვის, — ნაღვლიანად გააქნია თავი, — ახლაც კი არ გესმის, რას გეუბნები. ჩემთვის სხვა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვებს, შენთვის — სულ სხვა მნიშვნელობა. შენთვის ცარიელი ფანტაზიაა, რასაც მე ვამბობ, ჩემთვის კი ცხოვრებისეული ჭეშმარიტება. შენგან ისიც კი დიდი წყალობა იქნება, უბრალოდ გაგაკვირვოს და გაგართოს ამ გაუთლელი ბიჭის სიტყვებმა, რომელიც ტალახიდან ამოცოცებულა და შენი კლასის გაკიცხვას ბედავს, ვულგარულს უწოდებს.

ქალმა მხარზე მიასვენა თავი მარტინს, კვლავ ცახცახი დააწყებინა. მარტინმა დააცადა, ხომ არაფერს იტყვისო და მერე განაგრძო:

— ახლა გინდა კვლავ განაახლო ჩვენი სიყვარული. გინდა ცოლად გამომყვე. ისევ მოგინდა ჩემი თავი. მაგრამ, აბა ერთი დაუფიქრდი — ვთქვათ, არავის შეემჩნია ჩემი წიგნები, მე ხომ მაინც იგივე ვიქნებოდი, რაც ახლა ვარ. შენ კი ისევ შორს იდგებოდი. სულ ამ ოხერი წიგნების...

— ნუ იგინები, — შეაწყვეტინა ქალმა.

მარტინი გაშრა. გესლიანი სიცილი აუვარდა.

— ხომ ხედავ, — თქვა მან, — ახლაც კი, როცა შენი ბედი სასწორზე დევს და არ იცი, საით გადაიხრება, ძველებურადვე გეშინია ცხოვრებისა, ტლანქი, ცხოვრებისეული სიტყვა ყურსა გჭრის.

რუთს ეკალივით უჩხვლიტა ამ სიტყვებმა; თითქოს ბავშვობად ჩაუთვალეს მთელი მოქმედება. მოეჩვენა, რომ მარტინი უსამართლოდ მოექცა და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ — არც ერთს გაუღია ხმა და არც მეორეს; ქალი სასოწარკვეთილებას მოეცვა, — მარტინი კი თავის, აწ გამქრალ, სიყვარულზე ფიქრობდა. ახლაღა მიხვდა, რომ რუთი ნამდვილად არასოდეს არ ყვარებია. მას სულ სხვა რუთი უყვარდა, იდეალად დასახული, საკუთარი ოცნებით წარმოდგენილი ეთერიული ქმნილება, თავისივე სატრფიალო ლექსების ნათელი და გასხივოსნებული სული. ხოლო ნამდვილი რუთი, ბურჟუაზიული ოჯახის შვილი, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიითა და შეხედულებებით გამსჭვალული, მას არასოდეს არ ჰყვარებია.

უცებ რუთმა დაიწყო:

— ვიცი, ბევრი რამ მართალია, რაც შენ სთქვი ახლა. მართლაც მეშინოდა ცხოვრებისა. მართლა არ მყვარებიხარ ჭეშმარიტად. მას შემდეგ ვისწავლე ნამდვილი სიყვარული. რაც ახლა ხარ, რაც იყავი, რამაც ასეთი გაგხადა — ყველაფერ ამისთვის მიყვარხარ. მიყვარხარ რამაც ასეთი გაგხადა — ყველაფერ ამისთვის მიყვარხარ. მიყვარხარ იმისთვის, რითაც ჩემი კლასის — როგორც შენ იცი ხოლმე თქმა — ხალხისაგან განსხვავდები, შენი რწმენის გამო, რომელსაც ჯერ კი ვერა ვწვდები, მაგრამ, მჯერა, ოდესმე მივწვდები. თავს მოვიკლავ და ჩავწვდები. პაპიროსს რომ ეწევი, ზოგჯერ რომ იგინები, ეს ყველაფერი შენია, შენი განუყრელი ნაწილია, და ამისთვისაც მიყვარხარ. ჯერ კიდევ ბევრი რამ შემიძლია ვისწავლო. ამ ათ წუთში

იმდენი რამე ვისწავლე. შენთან მოსვლა რომ გავბედე ახლა, ესეც რაღაცას ნიშნავს. ო, მარტინ...

ქალი ქვითინებდა, გულზე მიხუტებოდა მარტინს.

ახლა კი ნაზად და თანაგრძნობით მოხვია მარტინმა ხელი. ქალმა მაშინვე იგრძნო და სახე გაუბრწყინდა, კიდევ უფრო მაგრად მიეხუტა.

— გვიანღაა, — თქვა მარტინმა. ლიზის სიტყვები მოაგონდა, — მე ავადა ვარ... არა, სხეულით კი არა. სული, ტვინი მაქვს დაავადებული. თითქოს ყველაფერმა დაჰკარგა ფასი. აღარაფერი მაინტერესებს. რამდენიმე თვის წინათ რომ მოსულიყავი, სულ სხვა იქნებოდა. ახლა მეტისმეტად გვიანაა.

— არა, არ არის გვიან, — შესძახა ქალმა, — დაგიმტკიცებ, რომ არ არის გვიან. შენ თვითონვე დარწმუნდები, როგორ გაიზარდა ჩემი სიყვარული, ყველაფერზე უფრო ძვირფასი გახდა, ჩემს კლასზედაც და ყველაფერზეც. მზადა ვარ, ყველაფერი დავთმო, რაც კი ჩვენი წრისათვის ძვირფასია. ახლა უკვე აღარ მეშინია ცხოვრებისა. დედ-მამასაც მივატოვებ, ჩემს სახელს საუგოდ და მეგობრების საგინებლად გავხდი. შენთან დავრჩები, ახლავე, აქვე, და სამუდამოდ საამაყოდ მექნება, რომ შენთან ვარ. თუკი ოდესმე ვუღალატე სიყვარულს, მზადა ვარ იმავე სიყვარულის გულისთვის გამოვისყიდო ეს დანაშაული და ყველაფერ იმას გადავუდგე, რამაც ის ღალატი ჩამადენინა.

იდგა ჭაბუკის წინაშე და თვალები უბრწყინავდა.

— შენ გელოდები, მარტინ, — ჩურჩულით უთხრა მან, — მიმიღე! შემომხედე!

მართლაც დიდებული რამ არის, გაიფიქრა მარტინმა, როცა ქალს შეხედა. ძველი ცოდვები გამოისყიდა. ამაღლდა და განიწმინდა, ჭეშმარიტი ქალი გახდა, ბურჟუაზიული თვალთმაქცობის რკინის კანონი დაგმო. დიდებულია, ბრწყინვალე, თავგანწირული მოქმედებაა. მაგრამ მე რა უნდა ვქნა? ქალის სიტყვებს ერთი ბეწოთიც არ შეურყევია იგი, ოდნავადაც კი არ აუძგერებია გული. მარტო გონების თვალით შეაფასა და დიდებული მოეჩვენა. იმის ნაცვლად, რომ ცეცხლით აგზნებულიყო, ცივი გონებით მოუწონა. გულს არაფერი გაჰკარებია. სისხლი არ აჩქროლებია. ისევ გაახსენდა ლიზის სიტყვები.

— ავად ვარ, ძალიან ავადა ვარ, — თქვა მარტინმა და სასოწარკვეთით ჩაიქნია ხელი, — ახლაღა მივხვდი, რომ ძალიან ავად ვარ, აქამდე არც კი მიგრძვნია. რაღაც მემართება. ცხოვრებისა არასოდეს მშინებია, მაგრამ არც ის მიფიქრია, ოდესმე მომყირჭდება-მეთქი. ისე ერთბაშად გავივსე ცხოვრებით, რომ ადგილიც აღარ დამრჩა. ნატვრა რომ შემეძლოს რისიმე, შენ გინატრებდი. ხომ ხედავ, როგორ ავადა ვარ!

თავი სავარძელს მიაყრდნო, თვალები დახუჭა. და როგორც მტირალ ბავშვს გადაავიწყდება ხოლმე თავისი გასაჭირი, როცა ცრემლიან თვალებს მზეს მიაშტერებს, ისე მარტინსაც დაავიწყდა თავისი ავადმყოფობა, რუთი, ყველაფერი... მცხუნვარე მზის სხივებით გაბრწყინებულ ფოთლებსღა ჭვრეტდა. ფოთლები მწვანედ ხასხასებდა, მზე მაგრად აჭერდა. მარტინს თვალები ეწვოდა, მაგრამ მაინც უყურებდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

კარის სახელურის ჩხაკუნმა გამოაფხიზლა. რუთი კართან იდგა.

— როგორ უნდა გავიდე აქედან? — შიშნარევი ხმით იკითხა მან, — მეშინია!

— ო, მომიტევე! — შესძახა მარტინმა და წამოხტა, — მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება. შენი აქ ყოფნაც კი დამავიწყდა. — ხელი თავზე გადაისვა, — ცუდადა ვარ. მე გაგაცილებ. უკანა კარებიდან გაგიყვან. ძეხორციელი ვერ დაგინახავს. პირბადე ჩამოიფარე და ყველაფერი კარგად იქნება.

მანამ ჩაბნელებულ დერეფნებსა და ვიწრო კიბეებს ჩაივლიდნენ, ქალი მკლავზე ჩამოეკიდა.

— ახლა უკვე სამშვიდობოს ვარ, — თქვა ქალმა, როცა ისინი ტროტუარზე გავიდნენ, ხელის გათავისუფლება სცადა.

— აჰ, არა, შინ მიგაცილებ, — უთხრა მარტინმა.

— არა, შენ დარჩი, — გაუძალიანდა ქალი, — რა საჭიროა.

კვლავ სცადა ხელის გათავისუფლება. მარტინს წამიერად ცნობისმოყვარეობამ წამოუარა: რატომღაც სწორედ ახლა შეეშინდა ქალს, როცა საშიში უკვე აღარაფერი იყო. თითქოს პანიკურმა შიშმა შეიპყრო, ვაითუ არ ჩამომცილდესო. მარტინს ვერაფრით ვერ აეხსნა ეს, ქალის ნერვულობას მიაწერა. ასე რომ ხელი აღარ დაანება და გაჰყვა. ნახევარი კვარტალი ძლივს გაიარა, რომ გრძელ პალტოში გახვეული კაცი შენიშნა, ფაცხაფუცხით შეიმალა რომელიღაც სახლის შესასვლელში. იმ სახლს რომ ჩაუარა, ცალი თვალით შეიხედა შესასვლელში და რუთის ძმა ნორმანი შეიცნო, თუმცა თავი ზეწამოწეულ საყელოში ჰქონდა ჩამალული და ძნელი საცნობი იყო.

უხმოდ მიდიოდნენ, კანტიკუნტად თუ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ქალი გამშრალი მიაბიჯებდა, მარტინი აპათიურად იყო განწყობილი. გაკვრით ახსენა — წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვაპირებ გაბრუნებასო; ქალმა კი ბოდიში მოუხადა, ჩემი მოსვლით შეგაწუხეო. ეს იყო და ეს. გამომშვიდობება მორზების სახლთან ჩვეულებრივი იყო. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ღამე ნებისა უსურვეს. მარტინმა ქუდი მოუხადა. ქალმა კარი მოიხურა, მარტინმა სიგარეტს მოუკიდა და სასტუმროსკენ გამობრუნდა. იმ სახლის შესასვლელს რომ მიადგა, საცა ნორმანი შეძვრა, მარტინი შეჩერდა, შეიხედა და ჩაიცინა.

— იცრუა! — თქვა მან ხმამაღლა, — თავგამოდებით მარწმუნებდა, რისკი გავწიე და გამოვიპარეო, და ძმა თურმე აქვე ელოდებოდა, — სიცილი წასკდა, — ოჰ, ეს ბურჟუები! როცა არაფრის მქონებელი ვიყავი, ახლოსაც არ მაკარებდა თავის დას. ანგარიში რომ გამიჩნდა ბანკში, თვითონვე მოჰყავს.

შებრუნება და წასვლა დააპირა, რომ ვიღაც მაწანწალა წამოეწია, შემწეობა სთხოვა.

— იქნებ ცოტა ფული მაჩუქოთ, ბატონო, ღამის გასათევი.

მარტინმა ხმა იცნო და სწრაფად მოუბრუნდა., იმავე წუთში ჯოს ართმევდა ხელს.

— გახსოვს, «ცხელ წყაროსთან» რომ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს? — ჰკითხა ჯომ, — აკი გითხარი მაშინ, კიდევ შევხვდებით-მეთქი. ტანი მიგრძნობდა. აგერ, ხომ გამიმართლდა.

— გაკეთებულხარ, მოსუქებულხარ! — ეუბნებოდა გახარებული მარტინი.

— მაშ, რა გეგონა! — სახე გაუბრწყინდა ჯოს, — მანამ ქუჩაში წანწალი არ დავიწყე, ადამიანური ცხოვრება არ ვიცოდი. ოცდაათი გირვანქა მოვიმატე, თავს დიდებულად ვგრძნობ. ხომ გახსოვს, როგორ ძვალტყავად ვიყავი! ჩემი საქმე ყოფილა მაწანწალობა.

— ღამის გასათევი ფული რომ გაქვს საძებნელი! — შეუტია მარტინმა, — თანაც რა ცივი ღამეა.!

— ეჰ! ღამის გასათევი ფული? — ჯიბეში იკრა ხელი და ფული ჩხრიალით ამოიღო, — მე ეგეც მეყოფა. მდიდარი მომეჩვენე და იმიტომ გაგაჩერე.

მარტინს გაეცინა.

— ეგ ფული დასალევადაც გეყოფა.

ჯომ უკანვე ჩააჩხრიალა ფული.

— ღვინოს ვეღარ ვეწყობი, — უთხრა მან, — აღარ ვსვამ. აღარ მინდება, თორემ ისე რა მიშლის ხელს. რაც შენ დაგშორდი, სულ ერთხელ დავითვერი და ისიც ცარიელ კუჭზე. პირუტყვივით როცა მუშაობ, პირუტყვივით უნდა დალიო. კაცურად რომ

ვცხოვრობ, მეც კაცურადა ვსვამ. ზოგჯერ თუ გადავკრავ თითოს, როცა ძალიან მომინდება, თორემ ისე მორჩა.

მარტინმა ხვალისთვის დაიბარა ჯო და სასტუმროში შევიდა. ვესტიბიულში შეჩერდა — გემების მოსვლის ცხრილს დახედა. ხუთ დღეში «მარიპოზა» გავიდოდა ტაიტისაკენ.

— ხვალ დაურეკეთ და კაიუტა გადაანახვინეთ ჩემთვის — უთხრა მან პორტიეს, — გემბანზე კი არა — ქვემოთ იყოს. ქარის მხარეს. დაიწერეთ, არ დაგავიწყდეთ.

შევიდა თუ არა ნომერში, ლოგინში შეწვა და მაშინვე დაეძინა, ბავშვივით. თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს იმ საღამოს, არავითარი შთაბეჭდილება არ გამოჰყოლია. საერთოდ შთაბეჭდილებები უცხო გახდა მისთვის. ჯოსთან შეხვედრის სიხარულიც წამიერი გამოდგა. ერთი წამით გაიხარა და მაშინვე ინანა, თავის ძველ ამხანაგთან ლაპარაკი დაეზარა. აღარც ის ახარებდა, რომ ხუთ დღეში თავისი საყვარელი ადგილებისაკენ — წყნარი ოკეანის კუნძულებისაკენ — გასწევდა. თვალები დახუჭა და მთელი რვა საათი გაუნძრევლად და მშვიდად ეძინა. გვერდიც კი არ შეუცვლია, არც სიზმარი უნახავს. ძილს თავდავიწყება მოჰქონდა ხოლმე და ამიტომ ყოველთვის სინანულით იღვიძებდა. ცხოვრება სტანჯავდა, სულს უმწარებდა, დრო — ნამდვილ წამებად ექცა.

თავი ორმოცდამეექვსე

— გამოიხედე, ჯო, — ამ სიტყვებით შეხვდა მარტინი მეორე დღეს თავის ამხანაგს, — ოცდამერვე ქუჩაზე ერთი ფრანგი ცხოვრობს. კარგა ბლომად ფული მოუხვეტავს და ახლა საფრანგეთში დაბრუნებას აპირებს. მშვენივრად მოწყობილი, კოპწია ორთქლის სამრეცხაო აქვს. სწორედ შენთვის იქნება ზედგამოჭრილი, მშვიდობიან ცხოვრებას თუ აპირებ. აჰა, გამომართვი. ტანსაცმელი იყიდე და ათი საათისთვის ამ კაცის კანტორაში მიდი, მისამართი აგერ წერია. ამ კაცმა მომიძებნა სწორედ ის სამრეცხაო. წაგიყვანს და დაგათვალიერებინებს. თუ მოგეწონება და არც ძვირი მოგეჩვენება — თორმეტი ათასს აფასებს — შემატყობინე და შენი იქნება. აბა, გაიქეცი. მე საქმე მაქვს. მოგვიანებით გნახავ.

— იცი, რას გეტყვი, მარტ, — წყნარად უპასუხა ჯომ, ცდილობდა მოწოლილი ბრაზი შეეკავებინა, — მე შენს სანახავად მოვედი ამ დილაადრიან. გაიგე? სამრეცხაოსთვის სულაც არ მოვსულვარ. სალაპარაკოდ მოვსულვარ, ძველი მეგობრობის გასახსენებლად მოვსულვარ, შენ კი სამრეცხაოს მჩრი. იცი, რა ქენი — მოიკიდე ეგ შენი სამრეცხაო და ჯანდაბამდისა გზა გქონია.

ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ მარტინი ქეჩოში სწვდა და დააბზრიალა.

— ახლა მეც მომისმინე, ჯო, — შესძახა მან, — კიდევ თუ გააგრძელე ამისთანა რამეები, ცხვირ-პირს ამოგინაყავ. და იმ ჩვენი ძველი მეგობრობის ხათრით, კარგა მაგრადაც ამოგინაყავ. გაიგე?! ჰა, რას იტყვი?

ჯო დაწირეხდა, დაიგრიხა, დასხლტომა და ხელის კვრა მოუნდომა, მაგრამ უფრო ღონიერ ხელს ჰყავდა გაქაჩული. ასე ერთმანეთს ჩაფრენილებმა კარგა ხანს იტრიალეს ოთახში, სკამი დაამსხვრიეს, თავად ზედ დაასკდნენ და იატაკზე გაითხლარშნენ. ჯო ქვეშ მოექცა, მაგრამ ხელები მაინც მაგრად ჰქონდა შემოხვეული და თავისკენ ექაჩებოდა. მარტინმა მუხლი დააჭირა მკერდზე. სუნთქვა შეეკრა ჯოს, ქოშინი დაიწყო და მაშინღა გაუშვა მარტინმა.

— ახლა კი მოვილაპარაკოთ, — უთხრა მარტინმა, — ჩემთან ვერაფერს გახდები. ჯერ იმ სამრეცხაოს მოვრჩეთ. მერე კი მოდი და ძველი მეგობრობა გავიხსენოთ. აკი გითხარი, არა მცალია-მეთქი. ხომ ხედავ?

სწორედ ამ დროს მსახურმა დილის ფოსტა შემოიტანა, ქვეყნის წერილები და ჟურნალები.

— როგორ გინდა — ამდენი რამეც ვიკითხო და შენც გელაპარაკო?! ჯერ იმ სამრეცხაოს მიხედე, მერე კი მოდი და ვილაპარაკოთ.

— კარგი, — უხალისოდ დაეთანხმა ჯო, — მეგონა, თავიდან მიშორებდი, მაგრამ, ეტყობა, შევცდი. ოღონდ, ეგეც იცოდე, მარტ, მუშტი-კრივში ვერ მაჯობებ.

— მაგასაც ვსინჯავთ, როცა იქნება, თათმანებს ჩავიცვამთ, — სიცილით უთხრა მარტინმა.

— სამრეცხაოს როგორც კი ვიყიდი, მაშინვე ვცადოთ, — ჯომ მუშტი შეათამაშა. — ხომ ხედავ? თვალისდახამხამებაში მოგერევი.

მრეცხავი წავიდა და მარტინმა შვებით ამოისუნთქა. ხალხს ვეღარ იტანდა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო უმძიმდა თავის შეკავება. ხალხთან ურთიერთობა აღელვებდა, ლაპარაკი აღიზიანებდა. მოვენებას კარგავდა ხოლმე, ხელად აწრიალდებოდა, ბოდიშს მოიხდიდა და გარბოდა.

მაშინვე არ გაუსინჯავს ფოსტა. ნახევარი საათი სავარძელში იჯდა, მოსვენებული, არაფერს აკეთებდა, არაფერს ფიქრობდა, ზოგჯერ თუ შეაღწევდა გონებაში ბუნდოვანი, ჩამოუყალიბებელი აზრი.

ბოლოს წამოდგა და ფოსტას დახედა. ზოგი ავტოგრაფს სთხოვდა — ათი-თორმეტი წერილი იქნებოდა ასეთი, მარტინი თვალის ერთი გადაკვრით ცნობდა; ზოგი შემწეობას თხოულობდა. ახლა ახირებული და შეპრეკილი ხალხის წერილები: ზოგს «მუდმივი ძრავა» გამოუგონებია; ზოგი ამტკიცებდა, დედამიწის ზედაპირი ჩაღრუეებული სფეროს შიგნითა ნაწილს წარმოადგენსო; ერთი ვიღაცა ქვემო კალიფორნიის ნახევარკუნძულის შესაძენ ფულსა სთხოვდა მექსიკაში, კომუნისტების ახალშენი უნდა მოვაწყოო. აქვე იყო ქალების წერილები, გაცნობასა სთხოვდნენ; ერთმა ასეთმა წერილმა ღიმილი მოჰგვარა: თავისი სათნოებისა და ღვთისმოსაობის დასამტკიცებლად, კონვერტში წერილთან ერთად ქვითარიც ჩაეგდო, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ეკლესიაში მუდმივი ადგილის საფასური ჰქონდა გადახდილი.

რედაქტორები და გამომცემლები უგზავნიდნენ და უგზავნიდნენ ყოველდღიურად წერილებს: პირველნი სტატიებსა სთხოვდნენ, მეორენი — ახალ წიგნებს. ახლა ეღიჭინებოდნენ იმ საწყალ ხელნაწერებს, რომელთა აქეთ-იქით დასაგზავნად იძულებული იყო თვეობით დაეგროვებინა, თუკი რამ გააჩნდა, და მარკების ფული ეშოვნა. აღმოჩნდა ისეთი ჩეკებიც ფულისა, რასაც არც კი მოელოდა — ეს იყო ინგლისური სერიული გამოცემისათვის და ავანსები სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ნაწარმოებებისათვის. საკუთარი აგენტი ინგლისიდან ატყობინებდა, რომ გერმანიაში კი უკვე ბაზარზე გამოსულიყო, თუმცა აქედან არაფერი ერგებოდა, რადგან შვეცია არა ყოფილა ბერნის კონვენციის მონაწილე. სთხოვდნენ ნებართვას რუსულად თარგმნის თაობაზე, მაგრამ აქედანაც არაფერი ერგებოდა, რადგან არც ეს ქვეყანა ყოფილა ბერნის კონვენციის მონაწილე.

გახსნა პრეს ბიუროდან გამოგზავნილი უშველებელი პაკეტი და გაზეთის ამონაჭრები გადმოცვივდა. გადაიკითხა რეცენზიები, რასაც მასზე წერდნენ, მის ზღაპრულ პოპულარობაზე, რამაც ფურორი მოახდინა. ერთი მოქნევით გადაუყარა ხალხს ყველაფერი, რაც კი დაწერილი ჰქონდა. იმიტომაც მოიხვეჭა ასე ხელად

სახელი. ერთბაშად მიიტანა ხალხზე იერიში, კიპლინგის მსგავსად, როცა იგი სიკვდილის სარეცელზე იწვა, ხოლო ჯოგის ინსტინქტებით აღტყინებულმა ხალხმა გაფაციცებით დაუწყო კითხვა. გაახსენდა, რომ იმავე ბრბომ, რომელიც ასე გაფაციცებით ეწაფებოდა მის ნაწერებს, საბოლოოდ ვერაფერი გაუგო, რამდენიმე თვის შემდეგ ფეხით შედგა და გაქელა კიპლინგი. მარტინს გაეცინა. ეგ ვიღა მყავს, რომ ამას უარესი არ დამართონ რამდენიმე თვეში! მაგრამ არა, მარტინი გააცურებს ბრბოს. ამ დროისათვის იგი უკვე წყნარი უკეანის კუნძულებზე იქნება, ისლის სახლს დაიდგამს, მარგალიტითა და კოპრათი ივაჭრებს, პატარა ნავებით რიფებს გადაუქროლებს, ზვიგენებს დაიჭერს, ჯიხვებზე ინადირებს...

და იმავე წუთში თავისი მდგომარეობის მთელი განწირულება წარმოუდგა. წარმოიდგინა თავი «ჩრდილოეთის ხეობაში». ჭკნება, სიცოცხლე ეცლება, ძალ-ღონე ელევა, სამარისკენ მიჩოჩავს. გაახსენდა რამდენი ეძინა ახლა და მაინც როგორ ეძინებოდა. ისიც გაახსენა, სულ ცოტა ხნის წინ როგორა სძულდა ძილი. როგორ ართმევდა იგი სიცოცხლის უძვირფასეს წუთებს. ოცდაოთხი საათიდან ოთხ საათს აკლებდა. როგორ ენანებოდა ძილისთვის დრო! ახლა კი სიცოცხლისთვის ენანება. გულისამრევი გახდა სიცოცხლე, პირში სიმწარეს უტოვებდა. აქ იწყებოდა მისი დაღუპვა და აღსასრული. როცა სიცოცხლე სიცოცხლეს არ ეტრფის, სასიკვდილოდ არის განწირული. თავის დახსნის ძველი ინსტინქტი გაეღვიძა. ჩქარა უნდა გაშორდეს აქაურობას. ოთახში მიიხედ-მოიხედა და ბარგის ჩალაგება რომ გაახსენდა, წელი მოსწყდა. თუმცა ეგ მერეც მოესწრება, სულ ბოლოს. ახლა საყიდლებზე ჯობს წასვლა.

ქუდი დაიხურა და გამოვიდა, იარაღის მაღაზიაში შევიდა, მთელი დილა იქ გაატარა, იყიდა ავტომატური თოფები, ტყვია-წამალი, სათევზაო მოწყობილობა. სავაჭრო საქონელს კი მერე გამოიწერდა, ტაიტიდან, რადგან მოდები წარამარა იცვლებოდა. სულაც ავსტრალიიდან გამოიწერს. ამ აზრმა გაახარა. ყველაფერი ეზარებოდა, ცდილობდა ყოველგვარი საქმისთვის დაეღწია თავი. ბრუნდებოდა სასტუმროში და უხაროდა, იცოდა, რომ იქ რბილი სავარძელი ელოდა. მაგრამ როცა ოთახში შევიდა და ჯო დაინახა, სავარძელში მოკალათებული, სიმწრით ამოიხვნეშა.

ჯოს ძალიან მოსწონებოდა სამრეცხაო, გახარებული იყო. ყველაფერი მოეგვარებინათ, ხვალ უკვე ამ სამრეცხაოს პატრონი გახდებოდა. მარტინი ლოგინზე წამოწვა და თვალები დახუჭა, ჯო კი ამბავს უყვებოდა. მარტინის ფიქრები შორს დაფრინავდა, ისე შორს, რომ ვერც კი გრძნობდა, რამეს თუ ვფიქრობო. თავს ძალას ატანდა და დიდი გაჭირვებით ახერხებდა, ზოგჯერ მაინც გამოპასუხებოდა ჯოს. არადა, ეს ყმაწვილი თავიდანვე შეუყვარდა. მაგრამ ჯო სიცოცხლით სავსე იყო, სიცოცხლეს შეჰხაროდა, და მასთან ყოფნა ახლა მარტინის გაწამებული სულისათვის მეტისმეტად მტკივნეული იყო. როცა ჯომ პირობა შეახსენა, ოდესმე მუშტი-კრივში უნდა შევხვდეთ ერთმანეთსო, მარტინმა კინაღამ წამოიკივლა.

— ოღონდ გახსოვდეს, ჯო, შენს სამრეცხაოში ისეთი წესები უნდა შემოიღო, რაზედაც შენ თვითონვე ოცნებობდი «ცხელი წყაროს» სასტუმროში ყოფნის დროს, — უთხრა მან, — არავითარი ზედმეტი დატვირთვა! არც ღამით მუშაობა! არც ბავშვების აყვანა მძიმე სამუშაოზე, სულაც ნუ ამუშავებ ბავშვებს! ხელფასი ყველას ხეირიანი უნდა ჰქონდეს.

ჯომ თავი დაუქნია და უბის წიგნაკი ამოიღო.

— აბა, ნახე, მე უკვე ჩამოვაყალიბე წესები, დღეს დილით საუზმემდე. რას იტყვი?

ხმამაღლა წაუკითხა, მარტინი თავს უქნევდა მოწონების ნიშნად და თან გულში ფიქრობდა, როდის გამეცლებაო.

საღამო ხან იყო, როცა გაეღვიძა. თანდათანობით გამოფხიზლდა და გამოერკვა. ოთახში მიიხედ-მოიხედა. ჯო უკვე წასულიყო, ალბათ მაშინ, როცა მარტინმა ჩათვლიმა. დიდი თავაზიანობა გამოუჩენია ჯოს, გაიფიქრა მან. მერე თვალები დახუჭა და ისევ დაიძინა.

მომდევნო დღეებში ჯო ისე იყო გართული სამრეცხაოს მოწყობითა და დალაგებით, რომ მარტინის შეწუხების დროც არა ჰქონია. გაზეთებმა მხოლოდ გამგზავრების წინა დღეს გამოაქვეყნეს ცნობა, რომ მარტინი «არიპოზათი» მიემგზავრებოდა. ამაზე უფრო ადრე მარტინს თავდაცვის ინსტინქტი გაეღვიძა და ექიმთან მივიდა. გაესინჯა. არაფერი არ სჭირდა. გული და ფილტვები დიდებული ჰქონდა. ყველა ორგანო, რისი გასინჯვაც კი შეიძლებოდა, ნორმალურად მუშაობდა.

— არაფერი არა გჭირთ, მისტერ იდენ, — უთხრა ექიმმა, — სრულებით არაფერი. შესანიშნავი ორგანიზმი გაქვთ. მართალი თუ გნებავთ, მშურს კიდევაც თქვენი ჯანმრთელობა. უაღრესად ჯანმრთელი ადამიანი ხართ. ჯერ მარტო მკერდს შეხედე! კუჭ-ნაწლავიც დიდებული გაქვთ. ეს არის თქვენი იშვიათი ჯანმრთელობის საწინდარი. ასეთი ჯანმრთელი სხეული ათასში ერთი... ათიათასში ერთი თუ გამოერევა. ასი წელიწადი სიცოცხლე მომიცია, თუ რაიმე უბედური შემთხვევა არ შეგხვდათ.

მარტინი დარწმუნდა, რომ ლიზის დიაგნოზი სწორი იყო. სხეული სავსებით ჯანმრთელი ჰქონდა, ტვინი სტკიოდა, «სააზროვნო მანქანა» მოშლოდა და წყნარი ოკეანის გარდა ვერც ვერაფერი განკურნავდა. მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ზედ გამგზავრების წინ წასვლის ხალისიც დაეკარგა. ისევე იტაცებდა ახლა წყნარი ოკეანე, როგორც ბურჟუაზიული ცივილიზაცია. აღარავითარი ინტერესი არ შერჩა, პირიქით, როცა წარმოიდგენდა, რა მომქანცველი მგზავრობა ელოდა, უსიამოვნო გრძნობა მოიცავდა. რაკი მაინც წასასვლელი ვარ, ბარემ გემზე ვიყო და მივდიოდეო, ფიქრობდა.

უკანასკნელი დღე ყველაზე საშინელი გამოდგა. გაზეთებში წაეკითხათ მარტინის გამგზავრების ამბავი და გამოსამშვიდობებლად ჯგროდ მოადგნენ: ბერნარდ ჰიგინბოთამი, გერტრუდა და მთელი ოჯახი, ასევე ჰერმან ფონ შმიდტი და მერიენი. საჭირო იყო ზოგიერთი საქმის მომთავრება, ფულადი ანგარიშების გასწორება და მოუშორებელი რეპორტიორებისათვის პასუხის გაცემა. ლიზი ქონოლის უცებ გამომშვიდობება საღამოს სკოლის შესასვლელთან და სწრაფად გამობრუნდა. სასტუმროში ჯო დაუხვდა. მთელი დღე საქმეებში ყოფილიყო გართული და უფრო ადრე მოსვლა ვერ მოეხერხებინა. ეს უკვე უკანასკნელი წვეთი იყო მოთმინების ფიალის ასავსებად, მაგრამ მარტინმა სავარძლის სახელურებს ჩასჭიდა ხელები, ნახევარი საათი უსმინა და ელაპარაკა.

— მაგ სამრეცხაოზე მიჯაჭვულად ნუ წარმოიდგენ თავს, ჯო, — უთხრა მან, — როცა მოგეგუნებოს, გაყიდე და ფული შენს გემოზე ფანტე. როგორც კი მოგაბეზროს თავი და კვლავ ქუჩა-ქუჩა წანწალი მოგინდეს, ადექი და გაუტიე. რაც შენს გულს გაუხარდეს ის გააკეთე.

ჯომ თავი გააქნია.

— ქუჩა-ქუჩა წანწალი აღარ მომენატრება. მაწანწალობა ყოველნაირად კარგი საქმეა, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს — გოგოებს ვგულისხმობ. უმაგათოდ კი ვერ გავძლებ. ქუჩაში წანწალი მარტოკა უნდა. ზოგჯერ ჩამივლია ხოლმე სახლთან, გახურებული ცეკვა-თამაში აქვთ, ქალების ტკარცალი გამოდის, შევიჭყიტები ფანჯარაში — ქათქათა კაბები ჩაუცვამთ და გემოზე ილხენენ. უჰ! გულში ჯოჯოხეთი დამიტრიალდება ხოლმე. რა ვქნა, მიყვარს ცეკვა, პიკნიკები, მთვარიან ღამეში

სეირნობა და ამისთანა რამეები. სამრეცხაოც იმიტომ მინდა, კარგად გამოეწყობი, ჯიბეში დოლარებს ჩაიჩხრიალებ... უკვე შევხვდი ერთ გოგოს... სწორედ გუშინ იყო. იცი რა, ერთი სული მაქვს, მანამ ცოლად შევირთავდე. მთელი დღე დავდივარ, ვუსტვენ და იმაზე ვფიქრობ. ისეთი ლამაზი გოგოა, ჟუჟუნა თვალები აქვს... იმისთანა ღუღუნა ხმა შენს დღეში არ გექნება მოსმენილი. ნეტა, შენ რატომ არ ირთავ ცოლს. ამდენი ფულის პატრონი ხარ?! მზეთუნახავი შეგიძლია შეირთო.

მარტინმა თავი გააქნია და გაიღიმა, გულში კი გაიფიქრა, ნეტა ცოლს რატომ ირთავენო. ყოვლად საოცარი და გაუგებარი ჩანდა.

«მარიპოზას» გემბანიდან, სწორედ დაძვრის წინ, ლიზი ქონოლის მოჰკრა თვალი, ჩუმად გამოსულიყო და ხალხს ეფარებოდა. «თან წაიყვანე, ჩასძახა მარტინს იდუმალმა ხმამ, — შენთვის არაფერი არ ღირს ეს სიკეთე. ის კი უმაღლეს ნეტარებას ეწევა». იმდენად ძლიერი იყო ცთუნება, რომ კინაღამ გადაწყვიტა, მაგრამ მაშინვე შიში მოერია და გადაიფიქრა. გადაღლილი სული აუმხედრდა. ამოიოხვნეშა და სწრაფად მოშორდა მოაჯირს. «გაიგე რომ ავადა ხარ, ძალიან ავადა ხარ» ბუტბუტებდა იგი.

კაიუტაში შევიდა და მანამ გემი გაშლილ ზღვაში არ გავიდა, იქიდან არც გამოსულა. სასადილო სალონში რომ შევიდა, გამოირკვა, საპატიო ადგილი შეერჩიათ მისთვის — კაპიტნის ხელმარჯვნივ. მიხვდა, რომ ყველაზე დიდი და საპატიო მგზავრი იყო. მაგრამ ამაზე უმადური საპატიო მგზავრი ალბათ თავის დღეში არავის ენახა გემზე. მთელი დღე სავარძელში გაატარა, ბანზე. თვალები დაეხუჭა, თვლემდა, ხოლო როგორც კი მოსაღამოვდა, დასაძინებლად გაეშურა.

მიიწურა მეორე დღე, ზღვის ავადმყოფობის შემდეგ მგზავრები უკვე გამოკეთდნენ, ყველა გემბანზე გამოფენილიყო, უკლებლივ, და რაც უფრო მეტს უყურებდა მარტინი მგზავრებს, მით უფრო ვერ იტანდა. თუმცა თვითონვე გრძნობდა, რომ ეს უსამართლობა იყო მისი მხრივ. მშვენიერი ხალხი იყო — კეთილი, გულღია... თავს ძალა დაატანა, რათა ეს ერწმუნა, მაგრამ იქვე დასძინა, გუნებაში: კეთილი და გულღია, როგორც ყოველი ბურჟუა თავიანთი გამოფიტული სულითა და უბადრუკი გონებით, მათთან საუბარი ტანში ზარავდა, იმდენად სულელი და ტვინნამცეცა ჩანდა ყველა. ახალგაზრდების ღრიანცელი კი ნერვებს უშლიდა. ერთი წუთითაც ვერ მოესვენათ. წრიალებდნენ, ერთთავად თამაშობდნენ, ყვირილით მივარდებოდნენ მოაჯირს და დელფინებსა და მფრინავ თევზებს შესცქეროდნენ.

უმეტესი დრო ეძინა მარტინს. ნასაუზმევს თავის სავარძელს მიაშურებდა და ჟურნალს გაშლიდა, რომელიც ვერ იქნა და ვერ დაამთავრა. ნაბეჭდი სტრიქონები ღლიდნენ. უკვირდა, ამდენ დასაწერს საიდან გამოძებნიანო, და სავარძელშივე ჩაეძინებოდა. სადილის ზარზე გული მოსდიოდა, რატომ მაღვიძებენო. ძილი ერჩივნა.

ერთი პირობა მოინდომა გამოცოცხლებულიყო და მეზღვაურებს გაჰყვა. მაგრამ მეზღვაურებიც გამოცვლილიყვნენ, ვერაფერი საერთო ვერ გამონახა ამ გამოყეყეჩებულ, გონებადაჩლუნგებულ პირუტყვებთან. სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. იქ, ზემოთ, არავის აინტერესებდა მარტინ იდენი, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი, ხოლო უკან დაბრუნება, თავისივე კლასის ხალხთან, ვისთანაც წარსულში იყო დაკავშირებული, მას უკვე აღარ შეეძლო. აღარც სურდა მათთან ურთიერთობა. ისევე ვეღარ იტანდა მათ, როგორც იმ გამოლენჩებულ პირველი კლასის მგზავრებს და მყვირალა ახალგაზრდებს.

როგორც კაშკაშა, ლაპლაპა სინათლე თვალმტკივანი ადამიანისათვის, ისეთივე გამხდარიყო სიცოცხლე მარტინისათვის. სიცოცხლეს ირგვლივ ლაპლაპი გაუდიოდა,

ელვარებდა, მწველ სხივებს აფრქვევდა, და მარტინს სტანჯავდა ეს, აწამებდა... აუტანელი გამხდარიყო. პირველი შემთხვევა იყო, რომ მარტინი ასეთი კომფორტით მგზავრობდა. სხვა დროს ან საჭესთან იდგა, ან საცეცხლფარეშოში ნახშირს უკეთებდა... რამდენჯერ მომხდარა, საშინელი ხვატის დროს, როცა რკინის კიბით მაღლა მიძვრებოდა, ცალ თვალს მგზავრებს გადაჰკრავდა — ტილოს გრილ ტანსაცმელში გახვეულებს რა ეკეთებინათ არ იცოდნენ, ღლაბუცობდნენ, თავს იქცევდნენ, ტენტები გადაეჭიმათ და ქარისა და მზისაგან ეს ტენტები იფარავდათ, ათად მოკაკული სტიუარდები ენაგადმოგდებული დარბოდნენ, რათა ყოველი მათი ჟინი და სურვილი შეესრულებინათ... მარტინს ეჩვენებოდა, რომ ეს იყო ნამდვილი სამოთხე. ახლა, აგერ, თვითონვე გამხდარა საპატიო მგზავრი, ყველა მას შესცინინებს, კაპიტანს ხელმარჯვნივ მისჯდომია და ამაოდ მისტირის იმ საცეცხლფარეშოსა და შეხუთულ სარდაფებს, როგორც დაკარგულ სამოთხეს. ძველი დაუკარგავს და ახალიც ვერ უპოვია.

გამწარებით ცდილობდა, რისამე ინტერესი აღძროდა. მეზღვაურების სასადილოში შეიხედა, მესაჭეს გამოელაპარაკა, განათლებული კაცი გამოდგა, მიაყარა და მიაყარა მარტინს სოციალისტური პროპაგანდა, ხელებში ძალით ჩასჩარა პამფლეტები და ფურცლები, მონური მორალის არსი აუხსნა. უსმენდა მარტინი და თან ნიცშეს ფილოსოფია აგონდებოდა, რითაც ერთ დროს თვითონვე იყო გატაცებული. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ან ის რას წარმოადგენს?! გაახსენდა ნიცშეს ერთ-ერთი გიჟური დებულება, როცა ამ გიჟ ადამიანს ჭეშმარიტებაშიაც კი ეჭვი შეჰქონდა... თუმცა ვინ იცის! იქნებ მართალიც იყოს ნიცშე. ალბათ არსად არ არის ჭეშმარიტება, თვით ჭეშმარიტებაშიაც კი... მაგრამ მალე დაიღალა, ისევ თავის სავარძელს მიაშურა და ჩასთვლიმა.

რა საცოდავ დღეში იყო გემზე, მაგრამ უფრო დიდი საცოდაობა წინ ელოდა. როცა იქნება, გემი ტაიტს მიადგება. მერე? ნაპირზე უნდა გადავიდეს, სავაჭრო საქონელი დაუკვეთოს, მარკიზის კუნძულისკენ მიმავალი შხუნა ეძებოს, ათასი რამე გააკეთოს, რისი წარმოდგენაც კი თავზარდამცემია. რაც უფრო ღრმად დაუფიქრდებოდა ყველაფერ ამას, მით უფრო აშკარა ჩანდა თავისი მდგომარეობის საშინელი განწირულება. იგი უკვე მართლაც იმყოფებოდა «ჩრდილების ხეობაში» და მთელი საშინელება ის იყო, რომ არავითარ შიშს არ განიცდიდა. შიში რომ ჩასახოდა, მაშინ სიცოცხლესთან დაბრუნებაც შეეძლებოდა. მაგრამ არაფრის შიში არა ჰქონდა და სულ უფრო და უფრო იძირებოდა წყვდიადში. აღარაფერი გვრიდა სიამეს, ისეთი რამეც კი, რაც უწინ ართობდა და ახარებდა. «მარიპოზა» უკვე ჩრდილო-აღმოსავლეთის პასატში მოხვდა, და ეს ქარიც, ადრე რომ ართობდა და აბრუებდა, თითქოს ღვინო დაელიოს, ახლა ნერვებს უშლიდა. სავარძელი გადაადგმევინა, რათა ძველი მეგობრის ალერსიანი ლამუნისათვის თავი დაეღწია.

განსაკუთრებით უბედურად მაშინ იგრძნო თავი მარტინმა, როცა «მარიპოზა» ტროპიკებში შევიდა. ძილი უკვე აღარ გაეკარა. იმდენი იძინა, რომ ახლა იძულებული იყო ეფხიზლა, სიცოცხლის თეთრი, თვალისმომჭრელი ელვარება აეტანა. მოუსვენრად დაწრიალებდა. ჰაერი ცხელი და ნესტიანი იყო და ერთბაშად მოვარდნილი კოკისპირული წვიმები ოდნავადაც კი არ აგრილებდა. სიცოცხლის შეგრძნებისაგან საშინელ ტკივილებს განიცდიდა მარტინი. მანამ მაგრად არ მოერეოდა ტკივილი, გემბანზე დაწრიალებდა, მერე სავარძელში ჩაეშვებოდა და იძულებული ხდებოდა ისევ მალე წამომდგარიყო, ისევ წრიალს მოჰყოლოდა. თავს ძალა დაატანა და ჟურნალის კითხვა დაამთავრა, ბიბლიოთეკიდან ლექსების

რამდენიმე კრებული გამოიტანა. მაგრამ კითხვას ვეღარ დაუდო გული და ისევ წრიალს მოჰყვა.

ნავახშმევს დიდხანს რჩებოდა ხოლმე ბანზე, მაგრამ ამანაც არაფერი უშველა — კაიუტაში რომ შევიდოდა, ძილი მაინც არ ეკარებოდა. სიცოცხლის ტკივილის ამ ერთადერთმა დამაამებელმა საშუალებამაც უღალატა. ეს უკვე მეტისმეტი საშინელება გამოდგა. სინათლე აანთო და წიგნის წაკითხვა სცადა. ერთ-ერთი კრებული სუინბერნის ლექსები გამოდგა. წამოწვა და კითხვა დაიწყო. ბოლოს იგრძნო, რომ ინტერესი აღეძრა. წაიკითხა სტროფი, გაგრძელება მოინდომა, მაგრამ ისევ წაკითხულს დაუბრუნდა. გადაშლილი წიგნი გულზე დაისვენა და ფიქრებს მიეცა. აჰა, მიაგნო — ნამდვილად ეს ყოფილა! საოცარია, რატომ აქამდე ვერ მიაგნო. აქეთკენ მიატივტივებდა ტალღა და ახლა სუინბერნმა მიახვედრა, რომ სწორედ ეს იყო ნეტარება. აკი დასვენება ეწადა — სწორედ აქ ელოდა დასვენება. სარკმელს გახედა. კი, საკმაოდ დიდი იყო. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში პირველად იგრძნო თავი ბედნიერად. როგორც იქნა, მიაგნო თავისი ავადმყოფობის წამალს. წიგნი ასწია და მშვიდად წაიკითხა:

იმედებისგან მოსვენებული,
დღიურ ზრუნვისგან თავისუფალი,
ჩვენ სასოებით და გულმხურვალედ
ღმერთებს მადლობას აღვუვლენთ ცაში _
რომ სიცოცხლესაც ბოლო ჰქონია,
რომ მკვდარი ვეღარ აღსდგება მკვდრეთით,
რომ ნაკადულიც, რბენით დაღლილი,
ზღვას მინებდება და მოისვენებს.

ისევ ღია სარკმელს გახედა. სუინბერნმა აპოვნინა გასაღები. სიცოცხლე სნეულება ყოფილა, ყოველ შემთხვევაში სნეულებად ექცა, აუტანელ სნეულებად. «რომ მკვდარი ვეღარ აღსდგება მკვდრეთით!» უდიდესი მადლიერება აგრძნობინა ამ სტრიქონმა. ყველაზე დიდი მადლი ეს ყოფილა ქვეყნად. როცა სიცოცხლე დამქანცველი ტანჯვა გახდება, სიკვდილი დაუამებს, მარადიულ ძილს მოჰგვრის. მაშ, რაღას უცდის? დროა, წავიდეს.

წამოდგა და თავი სარკმელში გაჰყო, რძესავით აქაფებულ ტალღებს დახედა. «მარიპოზა» ღრმად იყო ჩამჯდარი წყალში. ხელებით თუ დაეკიდებოდა სარკმელს, ფეხებით წყალს მისწვდებოდა. უხმაუროდ ჩაეშვებოდა. კაციშვილი ვერ გაიგონებდა. შხეფები მოხვდა, სახე დაუსველა. მარილის გემო ჰქონდა და ეამა. გედის სიმღერა ხომ არ დამეწერაო, გაიფიქრა, მაგრამ გაეცინა ამ ფიქრზე. რაღა დროსი იყო. წასვლამდე ერთი სული ჰქონდა.

კაიუტაში სინათლე ჩააქრო, რათა არავის მოხვედროდა თვალში. ჯერ ფეხები გაჰყო სარკმელში. ბეჭები გაეჩხირა და ცოტათი უკან დაიწია, ცალი მკლავი მჭიდროდ მიიკრა ფერდზე. გემის რწევა დაეხმარა და გაძვრა, როგორც იქნა, ხელებით დაეკიდა. ფეხები რომ შეეხო წყალს, სარკმელს ხელი უშვა. რძესავით აქაფებულ წყალში გაეხვია. «მარიპოზამ» გვერდზე ჩაუქროლა, ჩაბნელებულ კლდეს ჰგავდა, რასაც აქა-იქ განათებული სარკმლები ჰქონდა დატანებული. გემი სწრაფად მიჰქროდა. ამის გაფიქრება ვერც კი მოასწრო, რომ მის წინ უკვე კიჩო აღიმართა. წყნარად გასცურა აქაფებულ წყლის ზედაპირზე.

იქვე სკუმბრია გაჩნდა, თეთრი სხეული რომ დაინახა წყალში, გამოსრიალდა და გაჰკრა. მარტინმა გადაიხარხარა: თევზმა ხორცი მოგლიჯა სხეულზე და ტკივილმა გაახსენა, აქ რისთვის იყო. ამ ჩამოშვების ფაცაფუცში მთავარი მიზანი გადავიწყებოდა. «მარიპოზა» უკვე შორს მკრთალად ციმციმებდა; ეს კი აქ გულმოდგინედ მიცურავდა, თითქოს განუზრახავს უახლოეს ნაპირს მიაღწიოსო, რაც ათასი მილით იქნებოდა დაშორებული.

ეს იყო სიცოცხლის შენარჩუნების ინსტინქტი. ერთი პირობა, შეწყვიტა ცურვა, მაგრამ როცა ტალღამ დაფარა, ისევ გამწარებით მოუსვა ხელები. გამწარებული სურვილი სიცოცხლის შენარჩუნებისა, გაიფიქრა მან და ჩაიქირქილა. გამწარებული მართლაც იყო... თანაც, ისე გამწარებული, რომ კიდევ ერთი გაბრძოლება და სულ მოისპობოდა, არსებობას შეწყვეტდა.

ფეხები ღრმად ჩაუშვა წყალში და თავი წამოსწია. მშვიდად მოკიაფე ვარსკვლავებს ახედა და ფილტვებიდან სულ გამოუშვა ჰაერი. ერთი მაგრად მოუსვა ხელ-ფეხი, წელამდე ამოიზიდა წყლის ზედაპირზე, რათა მთელი ძალით ჩაშვებულიყო. მერე გაშეშდა და უმოძრაოდ ჩაცურდა, როგორც თეთრი ქანდაკება. ღრმად, ხარბად შეიწოვა წყალი, როგორც სნეული ადამიანი დაეწაფება ხოლმე ნარკოზულ წამალს, რათა ტკივილი გაიყუჩოს და სრულ თავდავიწყებას მიეცეს. მაგრამ სუნთქვა რომ შეეკრა, უნებურად ისევ მოუსვა ხელები და ფეხები და ზევით ამოსრიალდა, ვარსკვლავებს ახედა.

გამწარებული სურვილი სიცოცხლის შენარჩუნებისა! ზიზღით გაიფიქრა მან და ამაოდ სცადა თითქმის დაწყვეტილი ფილტვებით ჰაერი აღარ შეესუნთქა. მაშ, სხვაგვარად უნდა სცადოს. ისევ გაივსო ფილტვები ჰაერით, კარგად გაივსო. დიდხანს ეყოფოდა, შორს ჩაიყვანდა სიღრმეში. შეტრიალდა და ამჯერად თავით დაეშვა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელებს უსვამდა და ეშვებოდა, თვალები გაეხილა და ელვასავით მოსრიალე სკუმბრიების მკრთალ, ფოსფორულ კვალსა ჭვრეტდა. ეშინოდა არ დაეჩხვლიტათ, დაძაბული ნებისყოფა არ მოდუნებოდა. მაგრამ სკუმბრიები არ გაჰკარებია, და მან მოასწრო სიცოცხლის მიმართ გულში მადლობა ეგრძნო ამ უკანასკნელი სიკეთისათვის.

გამალებით ეშვებოდა ფსკერისკენ, ძლივსღა ამოძრავებდა ხელებსა და ფეხებს. იცოდა, რომ ღრმად იყო ჩასული. წნევა ყურის აპკს უხეთქავდა, თავი უბზუოდა. ლამის უმტყუნა გამძლეობამ, მაგრამ მაინც უსვამდა ხელ-ფეხს, უფრო ღრმად მიიწევდა. მერე კი ერთბაშად მოეშვა, ფილტვებიდან ჰაერმა იხუვლა და დაიცალა. ჰაერის ბუშტებმა ღაწვებსა და თვალებზე ამოისრიალეს და ზევით წავიდნენ, ამას მოჰყვა დახრჩობის საშინელი ტანჯვა. მიბნედილი გონებით გრძნობდა, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო სიკვდილი. სიკვდილმა ტკივილი არ იცის. ეს სიცოცხლე იყო, სიცოცხლის უკანასკნელი გაბრძოლება, საშინელი, სულისშემხუთავი განცდა. უკანასკნელი დარტყმა, რაც მას სიცოცხლემ აგემა.

ხელები და ფეხები აუსხმარტალდა — სუსტად, უღონოდ. ეს კრუნჩხვა იყო. მარტინმა ხერხი იხმარა, გააცურა ისინი, გააცურა სიცოცხლის სწრაფვაც. მორჩა, მეტისმეტად ღრმად იყო უკვე და წყლის ზედაპირზე ვეღარ ავიდოდა. თითქოს ზმანების ზღვაში ცურავდა — წყნარად, აუჩქარებლად სხვადასხვაგვარ ფერებში გახვეულიყო, ამ ფერებს ერწყმოდა, მათში ითქვიფებოდა. ეს რაღაა? შუქურასა ჰგავს. მაგრამ ტვინში რომ ეღვრება — ეს თვალისმომჭრელი, კაშკაშა სინათლე. სულ უფრო და უფრო მეტი ელვარებით კაშკაშებდა. რაღაცამ დაიგრიალა — გაბმით, ძლიერად, და მოეჩვენა, თითქოს უშველებელი, გაუთავებელი კიბიდან ეშვებოდა, სადღაც ძირს,

შორს წყვდიადში. ეს აშკარად იგრძნო. წყვდიადში ეშვებოდა. და როგორც კი იგრძნო ეს, გონიც დაჰკარგა.

მეზღვაური უნაგირზე

ამ სახელწოდებით ჯეკ ლონდონს მემუარების შექმნა ჰქონდა განზრახული.

მემუარები დაუწერელი დარჩება, მაგრამ ეს სახელწოდება მაინც არ დაიკარგება და ირვინგ სტოუნი სწორედ ასე დაასათაურებს ბიოგრაფიულ რომანს ჯეკ ლონდონზე.

მეზღვაური უნაგირზე...

თითქოს შეცბუნებულ დაწყვილებად მოჩანს: რა უნდა მეზღვაურს უნაგირზე?! თუ «უნაგირი» ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებას გულისხმობს, მეზღვაურის ხსენებასთან ერთად განა შესაძლო არ იყო უფრო შესაფერისი სიმბოლოს გამოძებნა?

იქნებ სწორედ ამის გარეგნულ შეუსაბამობაშია საძიებელი ამერიკელი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მრწამსის თავისებურება.!..

ჯეკ ლონდონმა უკეთ იცოდა, თუ როგორ განესაზღვრა თავისი ბედი და მისი სიმბოლური ფორმულა.

ირვინგ სტოუნი ხელუხლებლად სტოვებს ამ განსაზღვრებას, რადგანაც ჯეკ ლონდონის ცხოვრებასა და სულიერებაში წვდომა უდასტურებს ფორმულის სიზუსტესა და სიღრმეს.

«მეზღვაური უნაგირზე» ბედისწერის ტრაგიზმს გულისხმობს, ამაღლებული იდეალისა და რეალობის უმძაფრეს ჭიდილს, მწერლის სიცოცხლის განწირულებას რომ მოასწავებს.

მეზღვაურად ისედაც ყოველთვის საკუთარ თავს ხედავდა: წყლის, ზღვის სტიქია სიყმაწვილიდანვე აჯადოებდა, თავისკენ ეწეოდა და, შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, იქით მიილტვოდა, ხამანწკებზე ნადირობა რა სათქმელია, მერე სულაც დედამიწის შემოვლას განიზრახავს იახტით და ტალღების ტორტმანში მოჰკიდებს ხელს «მარტინ იდენს» — რომანს, ყველაზე სრულყოფილად რომ უნდა გამოხატოს ჯეკ ლონდონის მხატვრული მრწამსიც და სულის ყველაზე დაფარული შრეებიც.

რა მიხვედრა უნდა: რომანის მთავარი გმირი მეზღვაური იქნება. მოქმედება გემზე არ ხდება და მარტინის მეზღვაურული ცხოვრების ცალკეული სურათები თუ გაკრთება, ისიც გახსენებებში, მაგრამ მეზღვაურობა ხელობას კი არა, უპირველესად პერსონაჟის სულის დაუოკებელ სწრაფვას გამოხატავს, თავდაუზოგავ ძიებას შეუცნობლისაკენ.

ზღვა კომპოზიციურ ჩარჩოს ქმნის: იქიდან შემოდგამს ფეხს მარტინი საოცნებო ცხოვრებაში და მერე კი კვლავ იმ სტიქიას უბრუნდება, მის წიაღში შთაინთქმის, რადგანაც ოცნებას უმოწყალოდ შეემუსრება ფრთები.

არადა, თითქოს მიწვდა მიუწვდომელს. რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდა, ხელშესახები გამხდარა, და მარტინი ცხოვრების ფსკერიდან ერთბაშად გაუტოლდება იმ სახელებს, კაცობრიობის სულიერი ამაღლებისათვის რომ იღვწოდნენ.

... შენ ამოხვედი იმ ტალახიდან, მარტინ იდენ... კაშკაშა სინათლემ თვალებზე ლიბრი მოგაცილა, მხრებით ვარსკვლავებსა სწვდები, ნამდვილ ცხოვრებას ეზიარე და ბრძოლით ართმევ უზენაეს მემკვიდრეობას იმ ძალებს, რომელთაც იგი

საუკუნეების განმავლობაში უპყრიათ», — ასე საკუთარ თავს მიმართავს, აღტაცებულიც და შეცბუნებულიც ერთდროულად ასეთი არაჩვეულებრივი გარდატეხით. ოდნავადაც არაფერს აზვიადებს, და თუკი მართლა ვარსკვლავებს შეწვდომა არა, მაშ, რანაირად გადმოენაცვლებია მის ხელში უზენაეს მემკვიდრეობას, რეალურად და არა მოჩვენებითად!..

მარტინი იდეალური სახეა თავგანწირული ჯაფისა და იშვიათი ნებისყოფის, მონუმენტური ფიგურა, რომანტიკული ეპოსიდან გადმოსული და ნიცშეს ზეკაცის იერითაც შეძერწილი.

ერთბაშად გაუტოლდებაო...

ჭაბუკი, ვინც წერა-კითხვასაც ვერ ახერხებს ხეირიანად, ამერიკასა და მთელ სამყაროს საუკეთესო მწერლად მოევლინება, და მის ასეთ აღზევებაში არაფერია ფანტასტიკური — მარტინის ძიებისა და ამაღლების გზა რეალისტის კალმითაა გამოკვეთილი და ჯეკ ლონდონს არ დასჭირვებია რაიმეს გამოგონება თუ შელამაზება. იგი ხომ საკუთარი ცხოვრების გარდამტეხ წლებს იხსენებს და მარტინ იდენის სახეში თავის ზოგიერთ პიროვნულ თვისებას კი არ აქსოვს, არამედ მთელ ხასიათს.

«შენ ამოხვედი ამ ტალახიდან» — ეს ჯეკ ლონდონი გაოგნებულა ცხოვრების სულ სხვა დინებაში მოხვედრით; და როცა მის ბიოგრაფიას ვაკვირდებით, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს დაახლოებით ისეთივე სასწაულია, როგორც მიუნჰაუზენის მიერ საკუთარი თავის ამოთრევა ჭაობიდან, ეს შტეფან ცვაიგის მეტაფორული ფრაზაა, ბალზაკზე ნათქვამი, მაგრამ ჯეკ ლონდონის ტალანტის ამოფრქვევასაც ისე მიესადაგება, თავს ვერ შეიკავებ გამეორებისაგან.

ამ ტალანტს რედაქტორ-გამომცემელთა მიერ აღმართული ჯებირები რას დაუდგებოდა და თურმე იოლად არ გაურღვევია და «მარტინ იდენის» კომპოზიციური ქარგა და ბირთვი სწორედ ეს შეუპოვარი ბრძოლაა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისათვის, რკინის ნებისყოფა ამსხვრევს ყოველგვარ წინააღმდეგობას და აურაცხელი იმედგაცრუება და სიმწარე ანაზღაურდება განსაცვიფრებელი აღზევებით.

«მხრებით ვარსკვლავებსა სწვდება» — რწმენის სიმტკიცის გამოხატულებაა, საკუთარი სულის შეცნობით მოგვრილი ჩვენება და წინასწარი, კეთილისმაუწყებელი ნიშანი, რომ ფერხთქვეშ გართხმულს იხილავს რედაქციებსა და გამომცემლობებს და ახალ სიტყვას მიაწვდენს ადამიანებს.

ირწმუნებიან, რომ ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების დამდეგს ჯეკ ლონდონზე უფრო პოპულარული მწერალი მსოფლიოში არა ყოფილა. ქუხს მისი სახელი ამერიკაშიც და ევროპის კონტინენტსაც გადმოწვდენია, ყოველწლიურად ქვეყნდება მისი ახალი წიგნი, ყოველწლიურადვე ითარგმნება ათობით ენაზე, აღტაცებით ეხმაურება სალიტერატურო კრიტიკაც და მკითხველთა წრეებიც, და მწერლის ფოტოსურათებიც მოსდებია ქვეყნიერებას. მისკენ კი დაძრულა უთვალავი ბარათი, რომელთაც ჯეკი უპასუხოდ არა ტოვებს, ისედაც წერაში ჩაფლულს, ძილი რომ განუდევნია.

არა ვარ ნაყოფიერიო, — ამტკიცებდა, — ეგაა, ყოველდღიურად ვწერ, შეუსვენებლივ, და არც შაბათ-კვირა ვიციო. არადა, გასაკვირი იყო მაშინაც და გასაკვირია დღესაც, 17 წლის მანძილზე შექმნილი 590 წიგნი — ნოველები, მოთხრობები და რომანები, ყველგან რომ ინარჩუნებს თავისებურ ხიბლსა და სილამაზეს.

ქუხილი გადაივლის, მისი ქმნილებებით გამოწვეული განსაკუთრებული ვნებათაღელვაც ჩაცხრება და ის უზენაესი მემკვიდრეობა, რაც წამიერად ხელთ იპყრო, სხვებისაკენ გადაინაცვლებს, მაგრამ ჯეკ ლონდონი მაინც შეინარჩუნებს თავს ვარსკვლავთა შორის, თვითონვე რომ შეიგრძნო, თუ როგორ მისწვდა მხრებით. საუკეთესო მიღწევანი მისი ბელეტრისტული ხელოვნებისა სამუდამოდ დარჩება კლასიკურ ნიმუშად და ზნეობრივ მატიანედ, როგორც აუცილებლობა ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბების, ამაღლებული იდეალების შთანერგვისათვის.

სიუჟეტები და თხრობის მანერა მისი მოთხრობებისა სათავგადასავლოა და ამითაც მიმზიდველი. ოღონდ სტილი და ხედვა რეალისტურია და ეს თანაზომიერი და მოხდენილი შერწყმა ქმნის სწორედ ჯეკ ლონდონის მხატვრული წარმოსახვის თავისებურებასაც და ხიბლსაც.

მოთხრობები უმთავრესად ორ რკალს მოიცავს, თავისუფლებისაკენ სწრაფვის ორი ხატი და გარემო რომ გამოსახავს: ზღვა და ალიასკა — ჩრდილოური ოდისეის ციკლის შთამაგონებელი, ყველაზე ღრმად და ექსპრესიულად მის მიერ გააზრებული და აღბეჭდილი მხატვრულ სიტყვაში.

ხელმოცარულმა ოქროსმაძიებლობამ აპოვნინა ლიტერატურული ოქრო და მანამდელი სულიერი დუღილი მიზანდასახულად წარმართა იმ გზისაკენ, რომელზე შედგომითაც ჯეკ ლონდონს საკუთარი თავი უნდა შეექმნა.

და კიდევ უსაზღვრო ვნებით დაიწყებს გამოძერწვას.

რა არის მაინც ის იდუმალი ფანტომი, ადამიანს რომ დაყვება და არ ასვენებს; და, თუკი საკმარისი ნებისყოფა აღმოაჩნდება, მისთვისვე მოულოდნელ სამყაროში შეუძღვება. ეს შინაგანი ძახილი არ აძლევდა მოსვენებას ჯეკ ლონდონსაც, როცა თვით ალიასკაზე, ყინვა-ყიამეთში წიგნებს დაეძებდა — უძნელეს გზაზე, ხიფათსა და გულისგამაწვრილებელ ცდაში, იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთისას. იქ ნამდვილად არა ყოფილა წიგნებში შთანთქმის გარემო და განწყობილება, მაგრამ ჯეკი თვითონვე შექმნის განწყობილებასაც და აუცილებლობასაც, რადგან მწერლობა ბედისწერად წარმოუდგება, ბედისწერა კი არ მოითმენს მარტოოდენ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობას. წარმოსახვა ფერმკრთალია წიგნიერების გარეშე. სიცოცხლის ჟინს ოსტატის ხელი უნდა წარმართავდეს.

ალიასკა — თავისი უჩვეულობით, ისევე, როგორც მისეული ზღვა — თავისი სიბობოქრით, ვერასოდეს დამკვიდრდება ლიტერატურაში, თუ ახლებური ხედვით და სტილით არ განათდა და ისეთ მხატვრულ სამოსელში არ მოექცა, განუმეორებლობის ტვიფარი რომ დაჩნევია.

და ჰა, ჩამოყალიბებული და დახვეწილია ახალი სტილიც და, იმავდროულად, დამსხვრეულია ყველა დაბრკოლებაც.

დიდების მწვერვალზე ატყორცნილ მარტინ იდენს მძაფრად შეახსენებს თავს საკუთარი სიყმაწვილე, ორბორტიან ქურთუკში გამოწყობილი და ფარფლისქუდიანი, თავზეხელაღებული ბიჭის სახით რომ ეცხადება, და ისეთ სინანულს გრძნობს, თითქოს ეღალატოს იმ თავისუფლებისმოყვარე ჭაბუკისათვის.

ეს თვითონ ჯეკ ლონდონის კრთომაა, უკიდურესად გამახვილებული პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი პიროვნებისა და, საერთოდ, ადამიანობის მიმართ, რათა ვარსკვლავებთან შეტოლებისას არ დაივიწყოს და არ გაუქრეს სულში ჩაბუდებული ყმაწვილი — თავისი უზომო გატაცებით, სიალალით, თავისუფლებისაკენ სწრაფვით, იმ საწყისით, კიდეც რომ უნდა შთააგონოს

ჩრდილოეთის ოდისეაც და ზღვაზე ხეტიალიც და კიდეც ასულდგმულოს მისი შემოქმედების ეს ორი ძირითადი ნაკადი.

მაგრამ არც ჯეკ ლონდონს და არც მის გმირს არაფერი აქვთ სასინანულო და მოსარიდებელი იმ თავზეხელაღებული ბიჭის წინაშე, რადგანაც მისი სახება უცვლელად შეინარჩუნეს თავიანთ არსებაში.

ის ბიჭი აწყდებოდა კედლებს მათ სულში, აქეზებდა და, ერთი მხრივ, თუ წიგნები უნდა მოვლენოდათ შემწედ და გზის გამკვალავად, მეორე მხრივ, სიყვარული: მარცხიანი და მაინც აღმტაცი და შუქურასავით წინ წამძღოლი. არა, საპასუხო გრძნობა ჯეკმაც ისევე გამოიწვია ქალისაგან, როგორც მისმა გმირმა, მაგრამ წრფელი ძაფები უმოწყალოდ შეიმუსრება ოჯახების მიერ და ეს მწარე იმედგაცრუება სულიერ კრიზისად გარდაესახებათ.

მარტინს სრული აპათია ეუფლება, დიდების მწვერვალი უბადრუკ ქიმერად ეჩვენება და სიცოცხლის აზრსაც კარგავს. მხოლოდ ზღვა თუ უშველის, როგორც სამუდამო თავშესაფარი, როგორც განმკურნავი იმ სნეულებისაგან, სიცოცხლე რომ დარქმევია. კიდევ კარგი, ადამიანის არსებობას დასასრული რომ აქვს, თორემ რა გააძლებინებდა სულიერი გვემისაგან გატანჯულს.

მარტინის თვითმკვლელობის სცენა ნატურალისტური შემზარაობით არის წარმოსახული, ჯეკ ლონდონი ხელშესახებად გრძნობს ამ აღსასრულის ყოველ რეალიასა თუ ელფერს, და უკანასკნელ წამს გმირის ტვინში ჩაღვრილი თვალისმომჭრელი, კაშკაშა სინათლეც თითქოს დასტურია მისი გადაწყვეტილების უტყუარობისა. ვიდრე გონებას დაკარგავდეს, იოტისოდენადაც არ განიცდის სინანულს და გაჭიანურებული ეჩვენება ყოველი წამი, რაც სიკვდილს აშორებს.

მარტინ იდენი ინდივიდუალისტია და ამიტომაც მარცხდებაო, — ასე ხსნიდა ჯეკ ლონდონი გმირის ბუნებასაც და რომანის ფინალის კანონზომიერებასაც, და მიაჩნდა, რომ თვითონ, როგორც პიროვნება, აქ დაშორდა მარტინ იდენის ხასიათს, გაემიჯნა ინდივიდუალიზმს და ჰპოვა სიცოცხლის ჭეშმარიტი აზრი.

სჯეროდა: ჩიხში არ მოვემწყვდევიო, — რადგანაც ეყრდნობოდა დარვინის, ნიცშეს, მარქსისა და სპენსერის ფილოსოფიურ მოძღვრებებს და ყველაზე რეალურ გზად კი აღიარებდა ცხოვრების მოწყობას საყოველთაო გათანაბრების წესით. არადა, სწორედ აქ იფარებოდა ის ჩიხი თუ ის უფსკრული, რომელსაც გაურბოდა, და ის მოძღვარნიც, სრულიად განსხვავებულნი ერთმანეთისაგან, არამცთუ ვერ გაუადვილებენ ჭეშმარიტებისაკენ სავალ ბილიკებს, სულ ჩაუქუფრავენ სინამდვილეს და ღმერთს მოკლებული გარემოს ანაბარა მიატოვებენ.

თავიდან ჯეკ ლონდონი ვერავითარ უსიამოვნებას ვერ იგრძნობს და ისე ჩინებულად მოერგება ამ რეალობას, ისე ბატონ-პატრონად და ქომაგად მიიჩნევს თავს, თითქოს სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი ცხოვრების ასეთი წესიო. სამყარო ბორგავდა, ცხოვრების ნირის მკვეთრ შეცვლას მოასწავებდა, მაგრამ ჯეკი სად დალოდებოდა საყოველთაო ცვლილებებს და თვითონვე შეეცადა ბედნიერი ყოფა შეექმნა ადამიანებისათვის აქ მაინც, თავის მამულში, ექვს რანჩოს რომ შეიძენს და გაამთლიანებს.

ეს უნდა ყოფილიყო იდეალური საზოგადოება, მისი ოცნების ხორცშესხმა, და იახტით მოგზაურობისას, თან «მარტინ იდენს» რომ უჯდა და თან ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით ივსებოდა, ფიქრით ახლადშეძენილ მამულსაც დასტრიალებდა და იმ სახლსაც, რომელსაც რანჩოები უნდა შემოემტკიცებინა. მისთვის ის მხოლოდ საცხოვრებელს თუ თავშესაფარს არა ნიშნავდა, უფრო მეტი იყო, თითქოს სიმბოლური აზრითაც გაჟღენთილი და სახელწოდებაც ამიტომ შეურჩია: მგლის

სახლი. მგელს ალიასკას მკვიდრნი ყველა თეთრკანიანს ეძახდნენ, და ჯეკიც ოქროსმაძიებლობისას მათ თვალში მგლად გამოიყურებოდა. ახლა ეს მოაგონდა და სახლის სახელად შესაფერისად მიიჩნია გარეგნული ეგზოტიკითაც და შინაარსობრივი ტევადობითაც.

მის ნაწერებში სიჭაბუკის იმ დღეების სახსოვრად ეს სახელიც არაერთხელ გაიელვებს და ერთ-ერთი რომანის სათაურში «ზღვის მგელი» მართლაც მარჯვედ შეერწყა ორი ვნება — ოქროსმაძიებლისა და მეზღვაურის, მაგრამ სახლი და სამკვიდრო უფრო განაზოგადებდა შერქმეული სახელწოდების მნიშვნელობას და ახლადნაგები შენობა თითქოს ამითაც ძველ ციხე-სიმაგრეებს ემსგავსებოდა.

სახლი ჯეკის პროექტით აშენდება, თვით წვრილმანებამდე რომ იყო ყოველივე გათვალისწინებული და კიდეც დადგება ის დღე, ნანატრი და ნაოცნებარი, როცა ჯეკ ლონდონი მგლის სახლის ბინადარი შეიქნება მრავალრიცხოვან სტუმრებთან და ხიზნებთან ერთად. ამ შენობის კარი არასოდეს იკეტებოდა და სტუმრებს ნება ეძლეოდათ თვეობით და წლობით ეცხოვრათ იქ. მამულში დამკვიდრებულ მუშახელსაც ისეთი საუკეთესო პირობები შეუქმნა, მანამდე რომ არ ღირსებიათ.

არადა, სახლსა და მამულს შენახვა ესაჭიროებოდა და, რაკიღა სხვა არავინ წუხდა თუ ცდილობდა რაიმეს, ჯეკ ლონდონმა ითავა მის მაცხოვრებელთა სრული კეთილდღეობა და ამ სინამდვილის შენარჩუნება იმ სახით, რასაც ჯიუტი ნებისყოფით მიაღწია.

ყველა ხელებში შეჰყურებდა. ის უთვალავი ადამიანიც მას მისჩერებოდა და მისგან მოელოდა შველას, ვისაც სმენოდა ჯეკ ლონდონის არნახული გულკეთილობა, და დაუსრულებლად დიოდა ხალხიც და ბარათიც ბარათზე მოდიოდა მგლის სახლში. ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, თავს აცოდებდნენ. ჯეკს ხვეწნა რად უნდოდა, ისედაც მათთვის გადამდგარიყო, რასაც შოულობდა, გულუხვად არიგებდა, თვითონ არაფერი რჩებოდა და არცა ნაღვლობდა, სიკეთეს თესდა ულევად და უანგარიშოდ და ეს იმხელა შვებასა და კმაყოფილებას ანიჭებდა, თავგადაკლულ გარჯას რაღას დაგიდევდა.

ხელგაშლილი მარტინიც არის, მაგრამ ჯეკმა ძალიან გადააჭარბა თავის პერსონაჟს.

«ფული» — გამოეშვირათ ხელი.

«ფული» — წიოდა ტელეგრამები.

ამხელა ჰონორარი ამერიკაში მაშინ სხვას არავის ღირსებია, ევროპიდანაც დაძრულიყო — თარგმანი თარგმანს რომ ემატებოდა, მაგრამ ხარჯებმაც ბევრად წაჭარბა შემოსავალს და ჯეკ ლონდონი ისე გაიხლართება ვალებში, რომ გასტუმრების იმედი თვალდათვალ გაქრება.

მაინც ბედს არ ეპუება. არჩეული გზიდან გადახვევა არაფრის დიდებით არა სურს და ზედ ეხლება ოცნებას — თავის სამკვიდრებელში შექმნას ბედნიერება და კეთილდღეობა.

რედაქტორები და გამომცემელნი ძალიან ეფერებიან, წინასწარ სთავაზობენ დიდ გასამრჯელოს, ოღონდ დაპირდეს, ახალ თხზულებას თქვენ მოგართმევთო. არც თემას უთანხმებენ, არც იდეას. ენდობიან და არც ის ეეჭვებათ, რომ მკითხველები დაიტაცებენ მის ყოველ ახალ წიგნს.

კრიტიკა და მკითხველი ერთსულოვანია და მისი ამდენი წიგნიდან მხოლოდ ერთს შეხვდებიან ცოტა ცივად და ამრეზით. რა გგონიათ? — «მარტინ იდენს». არა, მოწონებით მასაც მოიწონებენ, მაგრამ რაღაც არ ეჭაშნიკებათ, და ეს ერთგვარი ათვალწუნებაც კანონზომიერია, როცა ასეთი უშეღავათობითაა მხილებული საზოგადოების სიყალბე და სულიერი სიცარიელე.

და მაინც: ჯეკ ლონდონი ადრინდელივით ინარჩუნებს პირველი მწერლის სავარძელს და მეტოქეობასაც ვერავინ უწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ასე ბევრს წერს, ჯეკ ლონდონს ჩავარდნა არა ჰქონია და ესეც უჩვეულოა, მით უმეტეს, აურაცხელი მთხოვნელი სულ მეტად და მეტად ურთულებს მოღვაწეობას.

— ფული, ფული, ფული...

ძველებურად ვეღარ ასდის ყველას და უკვე დრტვინავენ მის კარმიდამოში, ჩოჩქოლობენ, იყვედრებიან. პატრონი ვითომ თვითონ არის, მაგრამ სინამდვილეში ხიზნები გაუბატონდნენ და ჯეკ ლონდონს უკვე მათი დაშოშმინება უხდება. ასე როდემდე უნდა გასტანოს? იქნებ დაირეკოს ყველა, ხელი აუკრას მთხოვნელებს, ცეცხლში გადაუძახოს ბარათები და ტელეგრამები? მაგრამ ჯეკი ისევ იდეალს ასდევნებია, სჯერა, სიკეთე თავისას გაიტანს და ძალდაუტანებლად ჩაკლავს ადამიანის სულში სიძულვილს, წვრილმანობას, ორპირობას, უმადურობას...

სიკეთეს სიავით უხდიან, ის კი სიავეს კვლავ სიკეთით პასუხობს.

დრტვინვა არა და არ ცხრება და ერთხელაც მეზობლად გადასულ ჯეკ ლონდონთან გულამოვარდნილი მივარდება ვიღაც: შენს სახლს ცეცხლი უკიდიაო.

მგლის სახლი იწვოდა, ყოველი მხრიდან ავარდნილი ცეცხლის ენები ცასა წვდებოდა და არავინ იყო მიმკარებელი. უმწეო და გაოგნებული დგას ჯეკი და გულში ჩაღვრილი ცრემლებით შეჰყურებს როგორ ინაცრება ნანინანატრი შენობა.

ვერაფრით ვერ დაუჯერებია, რომ განზრახ გადაუწვეს სახლი. ვერც ბედისწერის განაჩენს ხედავს, თვალნათლივ მინიშნებას მისი ოცნების გარდუვალ მარცხზე. ის ჩიხი, რაც მხატვრული მრწამსით გაარღვია და ადამიანის სულიერი ამაღლებისათვის მეტად ფასეული ქმნილებანი დაუტოვა შთამომავლობას, რეალობაში გადაულახავი აღმოჩნდება და ჯეკ ლონდონმა ბოლოს და ბოლოს უნდა იგრძნოს, რომ მარტოხელაა უმადურობით გაჟღენთილ გარემოში, მარტინ იდენივით ამოვარდნილი საზოგადოებიდან; და ადამიანთა კეთილდღეობა კი მათთვის თავგადადებული პიროვნებისთვის სისხლის გამოწურვა ყოფილა და სხვა არაფერი.

ალბათ პირველად მაშინ მოისაკლისა ღმერთი, მატერიალისტური დოქტრინებისაგან გათანგულმა იგრძნო უზენაესი საიდუმლოებისაკენ სწრაფვის აუცილებლობა, სახარებაც მაშინ მოიძია და იესო ქრისტეზე რომანის დაწერაც განიზრახა. მის ქაღალდებში მხოლოდ სათაურს წააწყდებიან, მაგრამ თავისთავად ეს სახელწოდებაც ჭრისტე» რაღაც დიდი შემობრუნების სურვილს უნდა მიგვანიშნებდეს.

მაგრამ გვიანღაა.

მეზღვაური უნაგირზე მოქცეულა და ამ შეუსაბამობამ ტრაგიკულად უნდა იჩინოს თავი.

«ფული» — ძველებურად ჩაბღავის ყურში ყველა და ყველაფერი და, ვიდრე პირში სული უდგას ისევ ისე უნდა ფანტოს.

უჩვეულო გარჯით მოპოვებული და მგლის სახლის აღდგენაზეც ჯიუტად და ამაოდ იოცნებოს.

არა, ცხოვრების წესს ვეღარ შეცვლის, მაგრამ უზომო გულისტკივილსაც რომ ვეღარ ელევა!..

ამასობაში რკალი იკვრის, ვიწროვდება და ჯეკ ლონდონსაც ყელში უჭერს საბელი.

შემთხვევით? კანონოზომიერად? ატყდება ერთი ალიაქოთი და დიდხანს, დიდხანს ვერ ჩაცხრება: ოპიუმის დოზა მეტი მოუვიდა და თავისი ნებით გამოესალმა სიცოცხლესო.

ირვინგ სტოუნს არ ეეჭვებოდა: თვითმკვლელობით დაასრულა არსებობაო. ყველა არ დაუჯერებს და მტკიცებას დაიწყებენ: აზვიადებს, ბიოგრაფიული რომანის ფინალი რომ მეტი დრამატიზმით განემსჭვალაო.

მაგრამ სტოუნი არც შეცდებოდა და არც ხელოვნურად გადაასხვაფერებდა მწერლის აღსასრულს. ის, რაც თვალნათლივ ჩანდა, შეუძლებელია ჭოჭმანს იწვევდეს. ღრმად ჩაწვდომა ჯეკ ლონდონის პიროვნულ ბუნებასა და ცხოვრების ყაიდაში სწორედ კანონზომიერებას ადასტურებდა ასეთი ნაბიჯისა, სიცოცხლის ჯაჭვის თანმიმდევრულ უკანასკნელ რგოლს.

თუმც რა დასტური ჭირდება იმას, რაც მარტინ იდენის ბედშია წინასწარვე განჭვრეტილი. მართალია, მაშინ ჯეკი ინტუიციურად მიწვდა ბედისწერის გარდუვალობას და არც თავს უტყდებოდა, მარტინი სრული სიზუსტით რომ იმეორებდა მწერლის ხასიათს, მაგრამ საკუთარ არსებას ვინ გაქცევია და «მარტინ იდენის» ფინალი წინასწარმეტყველური სურათია ჯეკ ლონდონის სიკვდილისწინა წუთებისა.

ალბათ არც ჯეკი განიცდიდა იოტისოდენა სინანულს და გაჭიანურებული ეჩვენებოდა ყოველი წამი, რაც აღსასრულს აშორებდა.

და ჰა, კიდეც იგრძნო თვალისმომჭრელი, კაშკაშა სინათლე, ტვინში რომ ჩაეღვარა, და ისიც მოეჩვენა, თითქოს უშველებელი, გაუთავებელი კიბიდან ეშვებოდა სადღაც ძირს, შორს წყვდიადში. და როგორც კი ეს იგრძნო, გონიც დაკარგა.

როსტომ ჩხეიძე